ქ-537

მერი ინაძე

ძველი კოლხეთის საზოგადოება

„მეცნიერება"

9(C41)
ი-537
-91310-
-91310-

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

მ. ინაძე

ძველი კოლხეთის საზოგადოება

თბილისი
„მეცნიერება“
1994

9(С41)
63. 3(2ს)
ი 537

წიგნში ბერძენ-რომაელ ავტორთა და ქართულ საისტორიო წყაროთა ცნობების ანალიზის საფუძველზე, ახალი არქეოლოგიური მასალის გამოყენებით, განხილულია ძველი კოლხეთის საზოგადოების განვითარების პროცესი ძვ. წ. VI—I სს-ში, მისი სოციალური სტრუქტურა. შესწავლილია კოლხეთის სამეფოს პოლიტიკურ-რელიგიური ცენტრების წარმოქმნის საკითხი, ტაძრების როლი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. გარკვეული ადგილი ეთმობა ბერძნულ-მცირეაზიულ სამყაროსთან კოლხთა კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის კვლევას.

ნაშრომი გათვალისწინებულია სპეციალისტებისათვის, სტუდენტებისათვის, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, და საქართველოს ძველი ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი აკადემიკოსი გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი

რეცენზენტები: აკადემიკოსი გ. გ ი ო რ გ ა ძ ე,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე,

— 91310 —

0 $\frac{0503020905}{М667(06)—94}$ 52—94

© „მეცნიერება“, 1994

ISBN 5—520—01550—3

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს ძველი საზოგადოებების სოციალურ-ეკონომიკური წყობის საკითხების მეცნიერულ კვლევა-ძიებას ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი. აღნიშნულ ხანებში ქართველ ისტორიკოსთა წრეში დიდად გაიზარდა ინტერესი უძველესი ხანის საქართველოს სოციალური ისტორიის, ძველი ქართული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის, ქართულ სახელმწიფოთა გენეზისის, მათი წყობილებისა და სხვა საკითხების შესწავლისადმი. დასახელებული საკითხების კვლევა-ძიებას ივ. ჯავახიშვილმა მიუძღვნა თავისი ფუნდამენტური ნაშრომის — „ქართული სამართლის ისტორიის“ I წიგნი, რომელიც გამოქვეყნდა ჯერ 1919 წელს, შემდეგ — 1928 წელს. საქართველოს ძველი საზოგადოებების სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფო წყობილების საკითხების კვლევას ივ. ჯავახიშვილმა საფუძვლად დაუდო უმთავრესად ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული ტერმინების ანალიზი. კვლევა-ძიების შედეგად, უძველესი ქართულად ნათარგმნი და ორიგინალური ძეგლებიდან ამოკრებილ და შესწავლილ იქნა ძველი ქართველი საზოგადოების სოციალური ცხოვრების ამსახველი მთელი რიგი ტერმინი — „თესლი“, „ნათესავი“, „ტოჰმი“, „ერი“, „სახლი“ (რომელიც გვარის აღმნიშვნელი თავდაპირველი ტერმინი უნდა ყოფილიყო), „მამასახლისი“ და სხვ. უძველესი ხანის საქართველოს სახელმწიფო და სოციალური წესწყობილების ძირითადი საკითხების შესასწავლად, ენობრივ მასალასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილი სანდო დასაყრდენად მიიჩნევდა და, როგორც ძირითად წყაროს, იყენებდა ბერძენი გეოგრაფის — სტრაბონის — ცნობებს იბერიის მოსახლეობის სოციალური შედგენილობის შესახებ, თუმცა აქვე, სავსებით მართებულად, დასძენდა, რომ ეს აღწერილობა, მისი სიმოკლის გამო, უეჭველია, სისრულეს მოკლებული უნდა იყოს. კვლევა-ძიებას მეცნიერი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ „უძველეს დროს საქართველოში სუფევდა საგვარეულო წესწყობილება: იგი გაბატონებული იყო სახელმწიფო ცხოვრებაშიაც

რიგი დარგის საკვლევი მდიდარი მასალა; დადგენილია მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. მეცნიერი შეისწავლის სახნავი და სხვა სამეურნეო იარაღის სახეებს; ეხება აგრეთვე ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოშობის, მათი გავრცელების გზების საკითხს და სხვადასხვა პურეული მცენარეების სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევს. ფართოდ არის აქ განხილული ძველთაგანვე საქართველოში წამყვანი სამეურნეო დარგის — მევენახეობისა და მეღვინეობის საკითხები.

20-იან წლებში ქართლის სახელმწიფოებრივი ცხოვრების წარმოშობის, ძველი ქართველი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლას დიდ ყურადღებას უთმობს ს. კაკაბაძე. მისი სიტყვით, იმ დროს ამას მოითხოვდა ქართული ისტორიული მეცნიერების აქტუალური, მისი მომავალი განვითარების ინტერესები. ს. კაკაბაძის მთავარ წყაროს შეადგენდა კლასიკურ მწერალთა ცნობები, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცული ეთნიკურ-სოციალური ტერმინები და სხვა. გარდა ამისა, მკვლევარი გარკვევით ცდილობდა ლეონტი მროველის თხზულებაში დაცული ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის მონაცემთა გამოყენებას. ს. კაკაბაძის დაკვირვებით, ფარნავაზი და მისი უშუალო მემკვიდრეები რეალური ისტორიული პირები იყვნენ და საჭიროა ძველ წყაროებში შესაფერისი სისრულით ამოვიცნოთ მათი მოღვაწეობის შტრიხები. საკითხის ასეთი დასმა დღეს სავსებით გამართლებულია, რადგან მრავალი ახალი მონაცემი ლეონტის ამ ცნობების სანდოობის სასარგებლოდ მეტყველებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ 20—30-იანი წლების ქართულ საისტორიო მეცნიერებას არ გააჩნდა არც ის მდიდარი არქეოლოგიური მასალა, რომელსაც დღეს მიმართავენ მკვლევარნი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების კრიტიკული შეფასებისა და გამოყენების დროს, და არც უცხოური, მათ შორის ბერძენ-რომაელი ავტორების ცნობები იყო იმ დონეზე შესწავლილი, რომ მათთან შედარების გზით მშობლიური საისტორიო ძეგლების უტყუარობა დაედგინათ. წყაროთმცოდნეობითი ბაზის ასეთი სივიწროვისა და შეზღუდულობის მიუხედავად, ზემოხსენებულმა მკვლევარებმა შეძლეს შეექმნათ ნაშრომები, რომელთაც დღესაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ კოლხეთისა და იბერიის ძველი საზოგადოებების სოციალური ბუნებისა და ისტორიის სხვა საკითხების შესწავლისათვის.

ივ. ჯავახიშვილის ამ პერიოდის მთელი შემოქმედება ამზადებს ნიადაგს 30-იან წლებში საქართველოს ძველი ისტორიის კვლევა-ძიებ-

ბის გასაშლელად ახალი მეთოდოლოგიის თვალთახედვით. ამ დიდი საქმის შესრულება წილად ხვდა ს. ჯანაშიას. ის გატაცებით შეისწავლის საქართველოს ძველი საზოგადოების სტრუქტურას, გვაროვნული საზოგადოების წიაღში კლასების ჩასახვა-განვითარებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესებს, ადგენს მათ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

ამ პრობლემების კვლევა-ძიებას ს. ჯანაშიამ თავდაპირველად მიუძღვნა საქართველოს ისტორიის კურსის — „განაკვეთის“ — სახით გამოცემული შრომები: „გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში“, „ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში“ და „ადრეული ფეოდალიზმი“ (ეს ნაშრომები 1932—33 წლებში გამოიცა).

აღნიშნულ შრომებში ს. ჯანაშია, ისევე როგორც მისი უფროსი თანამედროვე მკვლევარნი, საქართველოს ძველი საზოგადოების სოციალური წყობილების, მისი ბუნების შესწავლისას დიდ ყურადღებას უთმობს იბერიის სტრაბონისეული აღწერილობის დეტალურ ანალიზს, მაგრამ, მის წინამორბედ მკვლევართაგან განსხვავებით, ამ ანალიზის შედეგად, სრულიად განსხვავებულ დასკვნამდე მიდის. იგი იბერიის ამ მოსახლეობაში არა გვაროვნულ წყობილებას, არამედ ერთგვარი გვაროვნული გადმონაშთების მქონე კლასობრივ საზოგადოებას ხედავს.

1932 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში („ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში“) ს. ჯანაშია არკვევს სტრაბონთან მოხსენებული საზოგადოებრივი ფენების — „გენოსების“ — ადგილსა და როლს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასთან დაკავშირებით გამოთქვამს მეტად მნიშვნელოვან მოსაზრებას, რომ იბერიის საზოგადოების მეოთხე გენოსს, ლაოებს, რომელთაც სტრაბონი „სამეფო მონებს“ უწოდებს, „მონებს, როგორც ეკონომიურ კატეგორიას, ვერასგზით ვერ მივაკუთვნებთ: მწარმოებელი, თავის „გვარში“ („თემში“) ცხოვრობს, იქ ერთგვარ თვითმმართველობის მქონეა ...ოჯახს არის მოკიდებული და ერთგვარ საწარმოო საშუალებებსაც მოკლებული არ არის... ასეთი მწარმოებელი უკვე ყმაა და არა მონა“ — ასკვნის მკვლევარი (დასახ. ნაშრომი — შრომები. II. გვ. 144, 147).

აქვე ს. ჯანაშია განიხილავს იბერიის საზოგადოების მესამე გენოსს, რომელიც მეომართა და მიწისმოქმედთაგან შედგებოდა. მკვლე-

ვარი მათ „თავისუფალთა“ წოდებას უწოდებს. მისი აზრით, მესამე „გენოს“-ში ამ დროს უკვე უნდა არსებულიყო ქონებრივი უთანასწორობა ცალკე ოჯახებს შორის (აქ თემური საკუთრება უკვე დარღვეულია) (გვ. 138).

ამავე დროს, ს. ჯანაშია ცდილობს ახსნა მოუძებნოს იმ გარემოებას, რომ სტრაბონის ტექსტში მონების შესახებ არაფერია ნათქვამი. მაგრამ ამაში, მისი აზრით, გაუგებარი არა არის რა. მონობა იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომ მისი მოხსენიება საჭიროებას არ წარმოადგენდა. ს. ჯანაშიას აზრით, მონობა აქ უძველესი დროიდან მოდის და, რა თქმა უნდა, ყოველ თავისუფალ პირს ამ დროს, თუ მას სათანადო ქონებრივი პირობები მოეპოვება, შეუძლია გამოიყენოს მონის შრომა. „თვით სამეფო დინასტიასაც, მიუხედავად იმისა, რომ მისი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, უმთავრესად, ...კოლონების ექსპლოატაციაზე იყო დამყარებული, მონები, უეჭველია, საკმაო რაოდენობით უნდა ჰყოლოდა“ (გვ. 145), — აღნიშნავს იგი.

იმის საფუძველზე, რომ სტრაბონის ტექსტში ლაოების მფლობელად მხოლოდ მეფის „გენოსია“ დასახელებული, ს. ჯანაშია ფიქრობდა, რომ მონის შრომას უფრო მეტად იყენებდნენ მეორე გენოსში მოხსენიებული ქურუმები, რომელთა ხელში არამცირედი სივრცის მამულები იყო თავმოყრილი. ს. ჯანაშიას აზრით, ქურუმები იბერიაში უძველესი ხანიდან გაბატონებულ კლასს წარმოადგენდნენ, „რადგან, რელიგიურ საქმეების გარდა მათ თურმე მეზობლებთან ურთიერთობის გაძღოლის ფუნქცია ჰბარებიათ“. ამისდაკვალად, „სახელმწიფოსაც მეტ-ნაკლებად თეოკრატიული ხასიათი ჰქონდა“, — შენიშნავს იგი (გვ. 145).

აქვე გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ერთ მნიშვნელოვან მომენტზე. სტრაბონისეული იბერიის მეორე გენოსის სოციალური შინაარსის დადგენას 1932 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ს. ჯანაშია შემდეგი ზოგადი დასკვნით ამთავრებს:

„თეოკრატიულ სახელმწიფოებს ჩვენ თითქმის ყველგან ვხვდებით ძველ აღმოსავლეთში. ქურუმთა ბატონობას ზოგან უფრო ძლიერ, სხვაგან უფრო სუსტად გამოხატული სახე აქვს, მაგრამ, იგი, ვიმეორებთ, ყველგან არის შესამჩნევი აღმოსავლეთში... ქურუმების (ე. ი. კლასობრივად — მონათმფლობელთა ერთი ჯგუფის) სოციალური დაწინაურება ჯერ კიდევ პირველყოფილი გვარის შიგნით ხდება“ (შრომები II, გვ. 145).

აქედან ნათლად ჩანს, რომ ს. ჯანაშია, უკვე 1932 წელს, ცდილობს სტრაბონის აღწერილობის საფუძველზე დახატული სურათი იბერიის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურისა ძველაღმოსავლურ საზოგადოებებში არსებული ვითარებიდან მოტანილი ანალოგიებით შეამაგროს. იგივე მეორდება მის მომდევნო ხანის ნაშრომებშიც.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველ საზოგადოებაში კლასების არსებობის კვლევისას ს. ჯანაშია, უკვე იმხანად, იყენებს მის ხელთ არსებულ არქეოლოგიურ მასალებს; გამოდის სხვა მონაცემებიდანაც, კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონიდან, ნუმიზმატიკური ფაქტებიდან, რომელნიც ქვეყანაში ფულადი ურთიერთობის არსებობაზე და ფართო საშინაო და საგარეო ვაჭრობაზე მიუთითებენ და სხვ.

1932—1933 წლებში დაწერილი გამოკვლევები იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ აქ ს. ჯანაშია შეისწავლის ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხსაც. ამ პროცესს მკვლევარი უკავშირებს ქურუმთა მიერ მონათა ექსპლუატაციის მოთხოვნილებას: „მას შემდეგ, რაც ტაძრებში თავიანთ მამულებზე შედარებით ფართო მეურნეობის წარმოებას იწყებენ და ამისათვის საჭირო ხდება მონების შრომის უფრო დიდი მასშტაბით გამოყენება, ჩნდება აუცილებლობა ისეთი აპარატის შექმნისა, რომელიც ტაძრების მრავალრიცხოვან მონებს მორჩილებაში იყოლიებს. ჩნდება მეფის ხელისუფლება და სახელმწიფო“. მაშასადამე, დაასკვნის მეცნიერი, „მეფის ხელისუფლება ქართველ ტომებში მონათმფლობელთა ინტერესებისა და საჭიროებათა ნიადაგზე აღმოცენდა უპირატესად“ (შრომები, II, გვ. 164—165). მიუხედავად იმისა, რომ ს. ჯანაშია იბერიის სახელმწიფოს წარმოქმნას მონათმფლობელთა საჭიროებას უკავშირებს, იგი, 30-იანი წლების ყველა ნაშრომში, სტრაბონისეული იბერიის საზოგადოებას გარდამავალი ტიპის საზოგადოებას უწოდებს, იმიტომ, რომ, მკვლევრის აზრით, ამ საზოგადოებას ჯერ კიდევ გარკვეული და ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის სახე არ მიუღია. „აქ წარმოების სხვადასხვა წესები ებრძვიან ერთმანეთს“, — წერს იგი[1]. „თავდაპირველმა დიფერენციაციამ მოგვცა გაბატონებული ჯგუფი ქურუმებისა, რომელნიც მონთმფლობელთა კლასს ეკუთვნიან“.

---

[1] წარმოების წესში, უეჭველია, იგულისხმება ის, რასაც მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში „წყობას“ — „уклад“-ს — უწოდებენ.

„მაგრამ წარმოების მონათმფლობელური წესს, რომელიც წარმოადგენდა ქურუმთა ბატონობის საფუძველს, არ მიუღია, როგორც ჩანს, საქართველოში ისეთი ფართო ხასიათი, რომ ის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკველი გამხდარიყო... გვაროვნული საზოგადოების ერთმა ნაწილმა (მესამე გენოსი, ერი) დიდხანს, ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო გაბატონებამდე, შეინარჩუნა ერთგვარი ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ნაწილი თავისი ძველ პოლიტიკური უფლებებისა, ...ამ ფენის უმრავლესობა წვრილ მესაკუთრე-მწარმოებლებისაგან შესდგება. ყველაზე გვიან ამ საზოგადოებაში ისახება ფეოდალური წესი წარმოებისა, რომელიც თანდათან უპირისპირდება მონათმფლობელურს... ფეოდალური ურთიერთობა ისახებოდა და ვითარდებოდა იბერიის საზოგადოების ძირითად ფენაში, „ერში“... იგი სულ უფრო და უფრო მკვეთრად და შეურიგებლად იყოფა ორ ბანაკად: უმრავლესობა თანდათან ჰკარგავს თავის ძველს ძირითად ქონებრივსა და სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებს და „მეოთხე გენეში“, „გლეხობაში გადადის“ (შრ. I, გვ. 171). აქვე ს. ჯანაშია დაწვრილებით განიხილავს ამ „გარდამავალი ტიპის საზოგადოების“ შემდგომი განვითარების პროცესს, რამაც IV—VI სს. ფეოდალური წყობილების სრულ გამარჯვებამდე მიგვიყვანა.

ამრიგად, ეჭვს არ ტოვებს ის გარემოება, რომ ს. ჯანაშიას ფეოდალიზმი გამოყავს უშუალოდ გვაროვნული წყობილების დროინდელი საზოგადოებრივი ფენებიდან.

ანალოგიურ სურათს გვიხატავს მკვლევარი დასავლეთ საქართველოს მიმართ თავის ნაშრომში — „ეგრისის სამეფოს წარმოშობა“ (შრომები, II. გვ. 307—321). ფლავიუს არიანეს დროის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების ბუნებაზე მსჯელობისას ის აღნიშნავს: „გვაროვნული წყობილების ნაშთები ამ დროს ჯერ კიდევ უაღრესი სიძლიერითაა გამოხატული... ასევე ცხადია, რომ პირველყოფილ მონობასაც თავისი გარკვეული წონა აქვს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობაში... აღნიშნული ელემენტების გვერდით ჩვენ ფეოდალური ურთიერთობის ჩანასახსაც ვგულისხმობთ და სხვებთან შეპირისპირებით, მის შედარებითს უპირატესობასაც ვვარაუდობთ. აღნიშნული მთავრების ხელისუფლებაც ადრინდელ-ფეოდალური დიფერენციაციის ნიადაგზე წარმოშობილად მიგვაჩნია...“ (შრომები, II, გვ. 312—313).

აქვე გვინდა გავიხსენოთ ისიც, რომ ქართველი საზოგადოების ბუნების, მისი სახელმწფოებრიობის განვითარების საკითხების შესწავლაში დიდი როლი შეასრულეს 30-იანი წლების მეორე ნახევარსა და 40-იანი წლების დასაწყისში მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგებმა, არმაზის მდიდრული სამარხებისა და ბილინგვის აღმოჩენამ, რაც ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ამ აღმოჩენებმა ნათელყვეს საქართველოს ძველი საზოგადოების განვითარებული კლასობრივი სახე და ბრწყინვალედ დაადასტურეს ს. ჯანაშიას დებულება იბერიაში განვითარებული სახელმწიფოებრივი სისტემის არსებობის შესახებ. ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი, გააზრებული და განზოგადებული ს. ჯანაშიას მიერ, აისახა მის უკანასკნელ შრომებში, მათ შორის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსათვის დაწერილ ნაკვეთშიც.

საქართველოს მრავალ ადგილას — ვანის, საირხის, ციხეა-გორას, სამადლოს და სხვ. ტერიტორიაზე მიკვლეული ტაძრებისა და მდიდრული სამარხების გათხრებით მოპოვებულმა მასალამ ბრწყინვალედ დაადასტურა, აგრეთვე, ს. ჯანაშიას დებულებები ძველ კოლხეთსა და ქართლში უძველესი ხანიდან ქურუმთა გაბატონებულ ფენად ჩამოყალიბების, მათ ხელში დიდი განძების თავმოყრისა და სხვათა თაობაზე; სავსებით დასაბუთდა დებულება ძველი კოლხეთის სახელმწიფოს თეოკრატიული ხასიათის შესახებაც.

ანტიკური ხანის ქართლისა და კოლხეთის საზოგადოებების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის კვლევა-ძიებას 50-იანი წლებიდან სათავეში ჩაუდგა გ. მელიქიშვილი.

გ. მელიქიშვილს მოუხდა არსებული მეცნიერული მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისება, ახლად მოპოვებული არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ეპიგრაფიკული მონაცემების შუქზე ადრე გამოთქმული მოსაზრებების გადასინჯვა და თავისებურად გააზრება. კოლხეთისა და იბერიის ძველი საზოგადოების სოციალური სტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების საკითხების შემდგომი დამუშავების, ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებების ბუნების გათვალისწინებისა და საკითხების ფართო თეორიულ ასპექტებში განხილვის შედეგად, გ. მელიქიშვილმა შექმნა არაერთი ნაშრომი, რომლებშიც წამოყენებული დებულებები დღეს საფუძვლად უდევს კოლხეთისა და იბერიის სოციალური წყობისა და ეკონომიკური ვითარების შესწავლას. ეს დებულებები წინამდებარე ნაშრომში გათვალისწინებული გვაქვს განხილულ პრობლემათა კვლევისას.

აქვე გვინდა შევნიშნოთ ისიც, რომ ანტიკური ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის კვლევა-ძიებას დღეს დიდი ადგილი ეთმობა სხვა სწავლულთა ნაშრომებშიც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერული ინტერესი ამ საკითხებისადმი წლითიწლობით იზრდება. კვლევა მიმდინარეობს, ერთი მხრივ, წერილობითი წყაროების ჩაღრმავებული ანალიზის, ახალი არქეოლოგიური მასალის, ეთნოგრაფიული მონაცემების განზოგადების საფუძველზე (ვ. ბარდაველიძე, ნ. ლომოური, ი. კიკვიძე, ოთ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, გ. ლორთქიფანიძე, გ. მამულია და სხვ.), ხოლო, მეორე მხრივ, საკითხების ზოგადთეორიულ ასპექტში განხილვისა და გააზრების გზით.

სადღეისოდ, ინტერესი საქართველოს, კერძოდ, კოლხეთის ძველი საზოგადოების შესწავლისადმი განაპირობა იმ დიდმა აღმოჩენებმა, რომლებითაც დაგვირგვინდა უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე დასავლეთ საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური ძიება. ახლად აღმოჩენილი ძეგლები არა მხოლოდ აზუსტებენ, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, რამდენადმე ცვლიან კიდევაც უკვე გამოთქმულ მოსაზრებებს, არამედ, ადრემოპოვებულ მასალებთან ერთად, ქმნიან მეტად მნიშვნელოვან წყაროს კოლხეთის ძველი ისტორიის საკვანძო პრობლემების კვლევისათვის. ისინი შესაძლებელს ხდიან, კონკრეტული მასალის საფუძველზე, თვალი გავადევნოთ კოლხეთის ტერიტორიაზე ადრეკლასობრივი საზოგადოების სახელმწიფოდ ჩამოყალიბების რთულ პროცესს. ასევე, ახალი კუთხით შევხედოთ ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სხვა საკითხებსაც: ამ საზოგადოების ზედაფენის ბუნებას, სატაძრო ცენტრების მნიშვნელობას ქვეყნის ცხოვრებაში, მწარმოებელ საზოგადოებას და სხვ.

ამას გარდა, უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა არაერთი გამოკვლევა, რომლებშიც ძველი კოლხეთის ისტორიის პრობლემები ახლებურად და საინტერესოდ არის დასმული. წინამდებარე ნაშრომში შეეცდებით გამოვთქვათ ჩვენი დამოკიდებულება მათ მიმართაც.

გვინდა შევნიშნოთ ისიც, რომ ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა გვაიძულებს კვლავ მივუბრუნდეთ წერილობით წყაროებს და მათში ვეძიოთ კოლხეთის ისტორიის პრობლემების გადაჭრის ახალი ვარიანტები, რადგან არ შეიძლება ითქვას, რომ ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, სტრაბონის, ან პლინიუსის ცნობების ამ თვალსაზრისით ინტერპრეტაციის შესაძლებლობანი დღეისათვის მთელი სისრულით იყოს ამოწურული.

თ ა ვ ი I

კოლხეთი ფინა და ადრეანტიკურ ხანაში

1. სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა კოლხეთში

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემები მოწმობენ, რომ კოლხური ცივილიზაციის წარმოქმნას, კოლხეთის საზოგადოებაში კლასებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ორი ძირითადი ფაქტორი აპირობებდა. ეს იყო ბინადარი მიწათმოქმედება და განვითარებული რკინის წარმოება. როგორც ცნობილია, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულის დასაწყისში კოლხური კულტურა თავისი განვითარების უმაღლეს სტადიას აღწევს. სწორედ ამ დროიდან, ბრინჯაოს მეტალურგიის მხარდამხარ თნდათანობით ფეხს იკიდებს რკინის ინდუსტრია. რკინის შემოსვლამ კოლხური კულტურის აყვავებაზე დიდი გავლენა იქონია, თუმცა ბრინჯაოს აქ კიდევ კარგა ხანს ეკავა მოწინავე მდგომარეობა[1].

ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან კოლხეთის ბარსა და მთისწინეთში რკინის წარმოება უკვე საკმაოდ არის განვითარებული. როგორც უკანასკნელი 30 წლის არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა, ამ პერიოდიდან კარგადაა ცნობილი რკინის სადნობი სახელოსნოები. მკვლევართა ვარაუდით, რკინის წარმოების ერთ-ერთი წამყვანი, და შესაძლებელია ყველაზე ადრეული, კერა, რომელიც შავიზღვისპირეთის მაგნეტიტური სილებით მდიდარი საბადოების ბაზაზე აღმოცენდა, სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში უნდა ყოფილიყო[2].

---

1 ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში. — „მაცნე", ისტორიის სერია, თბ., 1982, № 2, გვ. 53.

2 დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი. რკინის წარმოების ძველი კოლხური ცენტრის არქეოლოგიური გათხრები ჩოლოქ-ოჩხამურის ხეობაში 1970 წ. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. V. თბ., 1975, გვ. 83,

რკინის წარმოება ვრცელდება უფრო ჩრდილოეთითაც, კოლხეთის შიდა მხარეებში, მთისწინეთში. ხობ-ოჩხომურის ხეობაში გამოვლენილ იქნა ძვ. წ. X—IX სს. მრავალი რკინისსადნობი სახელოსნო, რომლებიც მადნეულით, უპირატესად, მთის ზონიდან (რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი) მარაგდებოდნენ[3].

ძვ. წ. VIII—VII სს-დან კოლხეთში დგება რკინის ფართო ათვისების ხანა. რკინის მეტალურგია, მჭედლობა ხელოსნური წარმოების ერთ-ერთ წამყვან დარგად იქცევა. რკინის ნაწარმი ყოველდღიური მოხმარების საგანი ხდება. ამ დროიდან ჩნდება რკინის პირველი სამეურნეო იარაღი — ცული, თოხი, სეგმენტისებრი იარაღი და სხვ. დაახლოებით ამავე პერიოდიდან (ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებიდან) იწყება რკინის სახნისის გამოყენებაც, რასაც, თოხის კულტურასთან ერთად, მიწათმოქმედებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა უნდა მოეხდინა, საგრძნობლად გაეზარდა შრომისნაყოფიერება მემინდვრეობაში[4].

სოფლის მეურნეობაში რკინის იარაღის ფართოდ გამოყენებისათვის ამ დროს ყველაზე ხელსაყრელი პირობები კოლხეთის მთისწინა ზოლში არსებობდა. აქ გამოვლენილი მსხვილი დასახლებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კოლხეთის ეს მხარე, აღებულ ხანაში, ეკონომიკურად ქვეყნის ყველაზე დაწინაურებული ნაწილი ჩანს. გაუმჯობესებული რკინის სამეურნეო იარაღის ხმარებაც, უთუოდ, აქ უფრო ეფექტური იქნებოდა[5]. ბოლო ოცწლეულში გამოვლენილმა არქეოლოგიურმა ძეგლებმა დაადასტურეს ისიც, რომ, რკინის ფართო ათვისების ხანაში, მიწათმოქმედების განვითარების თვალსაზრისით, დიდად დაწინაურებულია კოლხეთის ბარიც, კერძოდ, კოლხეთის დაბლობის ცენტრალური რაიონებიც (ზღვისპირა ზოლის ჩათვლით), სადაც ამ დროს ჭარბად მზადდება და გამოიყენება რკინის სამეურნეო იარაღი. ამის ნათელი მოწმობაა უამრავი სამიწათმოქმედო იარაღის აღმოჩენა წინაანტიკური ხანის კოლექტიურ სამარხებში[6].

ახლად მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალამ ნათელყო ისიც, რომ რკინის მეტალურგიაზე გადასვლამ და ამასთან დაკავშირებულმა

---

3 დ. ხახუტაიშვილი. მასალები რკინის წარმოების ადრეული საფეხურის ისტორიისათვის ჩრდილო კოლხეთში. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. IX. თბ., 1980, გვ. 3—37; ო. ჯაფარიძე, დასახ, ნაშრ., გვ. 53.

4 ო. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრ. გვ, 53.

5 ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

6 ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ.

პროგრესმა წარმოების იარაღების განვითარებაში (რკინის სახნისის შემოსვლა) გადამწყვეტი როლი შეასრულა კოლხეთის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში[7]. ამ დროიდან შეინიშნება სოფლის მეურნეობის (მემინდვრეობის) ინტენსიფიკაცია და ახალი მიწის სავარგულების დამუშავება.

1967—1981 წლებში ნოსირის ადრერკინის ხანის ნამოსახლარის ქვედა ფენებში, ცალკეული მცირე გროვების სახით, აღმოჩნდა კარგად დაცული ენდემური ჯიშის ხორბლის მარცვლები — დიკა და მახა. აქვე ნაპოვნია ფეტვის მარცვლები[8]. გარდა ამისა, ნოსირი-მუხურჩის ძეგლების ყველა ფენაში მრავლად გვხვდება დამახასიათებელი ხელსაფქვავები, ქვასანაყები, სანაყები, სასრესები, კაჟის ნამგლისპირები და სხვა[9]. ზემოაღნიშნული ენდემური ჯიშების დადასტურება მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში საფუძველს აძლევს მკვლევართ იმისათვის, რომ კოლხეთის ბარი და მთისწინა ზოლი ხორბლეულისა და კულტურულ მცენარეთა წარმოშობის ერთ-ერთ მხარედ მიიჩნიონ საქართველოში[10]. ასეთივე მრავლისმეტყველი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ვაზის აღმოჩენას ნოსირის ბორცვის ქვედა ფენაში[11].

დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1966 წელს მთლიანად მოიხილა სენაკის (მაშინდელი ცხაკაიას) და, ნაწილობრივ, მარტვილის (მაშინდელი გეგეჭკორის) რაიონები (სენაკიდან საზღვრამდე). აქ მიკვლეულმა გვინბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარმა ბორცვებმა მეტად საინტერესო მასალები წარმოაჩინა. აღნიშნული ძეგლების ერთი ნაწილი ადრეულია და მრავალფე-

---

7 მართალია, ზემოაღნიშნული სახნისი პრიმიტიული იყო, მაგრამ, სპეციალისტთა აზრით, ამ ტიპის სამეურნეო იარაღს მთელი რიგი ღირსებები ჰქონდა. Г. С. Читаная. О некоторых чертах древнеколхидской культуры. VII международный конгресс антропологических и этнографических наук. М., 1964, с. 6.

8 ე. გოგაძე. კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ., 1982, გვ. 73. მახას ჯიშის მარცვლები ადრე აღმოჩენილია დიხა-გუძუბა I-ის II ფენაშიც (იხ. ნ. ხოშტარია. დიხა-გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლობა. — სმამ. V. № 2, თ., 1944; Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды. II. Тб., 1950, с. 251—252.

9 ე. გოგაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 73,

10 ამის შესახებ ადრე გამოთქმული მოსაზრებები იხ. ჯ. რუხაძე. ხალხური აგროკულტურა დასავლეთ საქართველოში. თბ., 1976, გვ. 39—42; ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში. თბ., 1969, გვ. 4—5 და შემდ.

11 ე. გოგაძე. დასახ. ნაშრ., I, გვ, 73,

ნიანი, ნაწილი კი მოგვიანოა და ერთფენოვანი. ეს ფაქტი, შემდეგ მიკვლეულ ბორცვ-ნამოსახლარების მასალასთან ერთად, კოლხეთის ამ რეგიონში სოციალურად და ეკონომიკურად დაწინაურებული საზოგადოების არსებობის უტყუარი მაჩვენებელია[12].

2. მწარმოებელი საზოგადოება ძველ კოლხეთში

ჩვენ მიერ კოლხეთის მწარმოებელი საზოგადოების შესწავლას, უმთავრესად, საფუძვლად უდევს ამ უკანასკნელი 50 წლის მანძილზე დასავლეთ საქართველოს ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, რომლის მნიშვნელობა, როგორც საისტორიო წყაროსი, განუზომლად დიდია ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალური ბუნების გაგების თვალსაზრისით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კოლხეთის სამაროვნებიდან მომდინარე მრავალფეროვანი მასალა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, სრულიად ახალი კუთხით აშუქებს ჩვენთვის საინტერესო საკითხებს. სამარხეული ინვენტარის შემადგენლობა ხშირად იძლევა დაკრძალულთა სოციალური ატრიბუციის საფუძველს, ხოლო დაკრძალვის წესების მიხედვით, შეიძლება განისაზღვროს მათი სოციალური სტატუსი და საზოგადოებრივი მდგომარეობა.

აქვე გვინდა ისიც შევნიშნოთ, რომ ამ საკითხის შესწავლას კოლხეთის სამაროვნების მიხედვით მრავალი სირთულე ახლავს. ცნობილია, რომ ანტიკური ხანის კოლხეთი გამოირჩეოდა როგორც ტომობრივი სიჭრელით, (მრავალტომიანობით), ისე იქ მოსახლე ეთნიკური კოლექტივების სოციალური განვითარების დონის სხვადასხვაობით. ამიტომ ზოგიერთი არქეოლოგიური მასალა ხშირად მხოლოდ ერთ რეგიონში მოსახლე საზოგადოების დახასიათებისათვის შეიძლება გამოდგეს და იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთელი კოლხეთის საზოგადოების შესწავლისათვის. კოლხეთის საზოგადოების სოციალური განვითარების არაერთგვაროვნებას განსაზღვრავდა ასევე განსხვავებული ბუნებრივი პირობების არსებობა ბარსა (დაბლობსა), მთისწინა ზოლსა და მთაში. ამიტომ თითოეულ მხარეს ცალკე სჭირდება განხილვა.

სირთულე მდგომარეობს იმაშიც, რომ ჩვენთვის საინტერესო სამაროვნები ხშირად კოლხეთის ისტორიის ხანმოკლე ეტაპს ასახავენ, რაც, აგრეთვე, აძნელებს კოლხეთის მწარმოებელი ფენის განვითარების მთელი პროცესისათვის თვალის გადევნებას, დაწყებული წინაანტიკური ხანიდან ძვ. წ. I ს-მდე. ყოველივე ამის გამო, ჩვენთვის საინტერესო პრობლემაზე მუშაობა მოითხოვს კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ. წ. VII—I სს-ის არქეოლოგიური ძეგლების ერთობლივ, კომპლექსურ შესწავლას და მათი კვლევა-ძიების შედეგების კრიტიკულ განხილვა-გაანალიზებას.

უპირველეს ყოვლისა, შევეხებით კოლხეთის დასავლეთ ნაწილში გამოვლენილ წინაანტიკური ხანის ნამოსახლარებსა და ქრონოლოგიურად მათ შესაბამის კოლექტიურ სამაროვნებს, რომელთა კვლევა-ძიების შედეგად შესამჩნევად შეივსო დიდი ხარვეზი განვითარებული რკინის ხანის კოლხეთის საზოგადოების ისტორიის ამ მნიშვნელოვანი ეტაპის შესწავლაში. აღნიშნული ნამოსახლარებიდან და სამაროვნებიდან მომდინარე არქეოლოგიურმა მასალამ, გარდა იმისა, რომ გაამდიდრა ჩვენი ცოდნა-წარმოდგენა წინა და ადრეანტიკური კოლხეთის საზოგადოების სოციალური განვითარების დონის შესახებ, ამავე დროს, დაადასტურა ამ საკითხთან დაკავშირებით ადრე გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ემყარებოდა არქეოლოგიური დაზვერვებით მოპოვებულ მწირ მასალას, უმთავრესად კი, ეთნოგრაფიულ მონაცემებს.

როგორც დადგენილია, ჭარბი ტენიანობისა და ნიადაგის დაჭაობების გამო, მეურნეობის წარმოება კოლხეთის დაბლობზე მსხდომი საზოგადოებისაგან დიდ შრომას და საგანგებო ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვდა. აქ გამოვლენილი დასახლებების მიხედვით ჩანს, რომ აღებული ხანის კოლხეთის დაბლობის მიწისმოქმედ საზოგადოებას გამოუყენებია ყველა სამეურნეო ხერხი დაჭაობებული სამიწათმოქმედო ფართობისა თუ სავარგულების ათვისებისათვის. როგორც ეთნოგრაფიული დაკვირვებები მოწმობენ, ხალხური მელიორაცია კოლხეთის დაბლობზე, მიწის გამოშრობასთან ერთად, მისი განაყიერების სხვადასხვა ხერხებს აერთიანებდა. იგი ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებული სისტემის სახით წარმოგვიდგება.

ეთნოგრაფიული მასალებით კოლხეთის დაბლობზე დამოწმებული ეს სისტემა თავისებურებებით გამოირჩევა. თავისებურება, უპირ-

---

[12] კ. გრიგოლია, გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე, დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები. — მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის. თბ., 1973, V, გვ. 31 და შემდ.; გ. გრიგოლია. ქართული არქეოლოგიისა და საისტორიო გეოგრაფიის ძირითადი პრობლემები. თბ., 1992, გვ. 31—34.

ველეს ყოვლისა, მდგომარეობს მდინარის შლამის სამეურნეო გამოყენებაში. ხალხი დიდად აფასებდა მდინარის შლამს ანუ ლეკს და მას მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად მიიჩნევდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ფასობდა მდინარე რიონის შლამი. სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ რიონის შლამი, ნაყოფიერებითა და მცენარეულისათვის სარგებლიანობის მოტანის თვალსაზრისით, უკეთესია მდინარე ნილოსის შლამზე (მასში მეტია აზოტი და ფოსფორი). ხალხი შლამის გამოყენების სხვადასხვა წესს მიმართავდა. კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ვრცელ ნაწილში, სადაც წყალი მოჭარბებულია, დაჭაობებულ ზედაპირზე ხშირად მიმართავდნენ მდინარის წყლის გადატარებას. წყალი, თავისი შლამით, ნესტიან ზედაპირს ფარავს და ამით ნათესებისათვის მეტად ნოყიერ ნიადაგს ქმნის. აგროტექნიკური ეს ხალხური წესი კოლხეთის დაბლობისათვის უძველესი ჩანს. არსებობს ასევე ნიადაგის ბუნებრივი მოშლამვაც, როდესაც მდინარეების ადიდებისა და ნაპირებიდან გადმოსვლის დროს მიწა შლამით იფარება, რაც ნიადაგს განსაკუთრებით ანოყიერებს. მოშლამვის ხალხურ წესებთან უშუალო კავშირშია ნესტიანი ადგილების გაშრობის წესი (წყლის დაწრეტვა ხელოვნურად გაყვანილ არხებში)[13].

კოლხეთის დაბლობის ნესტიან ადგილებში დასახლებისა და მეურნეობის წარმოების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა წყლიანი ადგილებიდან მიწის ნაკვეთის ამოწევა, ან შემაღლება, რასაც ხალხში „დაზვინვა“ ანუ „მოზვინვა“ ეწოდება. კოლხეთის დაბლობის მელიორაციის თავისებურებანი უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყნის დასახლებისა და სამეურნეო ყოფის თავისებურებებთან[14].

დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შედეგად, დღეს უკვე შუქი აქვს მოფენილი კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლობების საკითხს. არქეოლოგიურმა დაზვერვებმა დაადასტურა ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დამყარებული, ზემოთ მოტანილი დაკვირვებები და ამასთან, გამოავლინა ბუნებრივ თუ ხელოვნურ ბორცვებზე განლაგებული არაერთი ძველი მოსახლობის ნაშთი. ასეთ მოსახლობებს ადგილობრივი მცხოვრებნი „დიხა გუძუბას“ ან „დიხა გუძბას“ (ამობურცულ მიწას) უწოდებენ, რომლებშიც ხედავენ ძველი

---

13 მ. გ ე გ ე შ ი ძ ე. სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში. თბ., 1961, გვ. 102—112.

14 მ. გ ე გ ე შ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 112; გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 32—34.

ადამიანების — „დევების“ — ნამოქმედარს („ნამდევუ“). ამ ადგილებს, ზოგადად, „ნაზონარე“-საც ანუ მიწა-ნაყარსაც უწოდებენ. იქვე დადასტურებულია მსგავსი ადგილების სხვა სახელებიც: „დიხაზურგა“, „ნაზონამუ“, „დიხა“[15].

კოლხეთის დაბლობზე, რიონის შესართავთან ჭალებში, სადაც მდინარის პერიოდული ადიდება მის მიერ ჩამოტანილი შლამით მიწის განოყიერებას იწვევდა და ნიადაგს ადვილად და ღრმად დასამუშავებელს ხდიდა, მიწის მეურნის შრომის ნაყოფიერების სიდიდე ბუნებრივად ერწყმოდა მისი ორგანიზაციის სირთულეს (მიწის დაზვინვა, საწრეტი არხების გაყვანა, მათი ყოველწლიური გაწმენდა-შეკეთება მეტად შრომატევადი სამუშაო უნდა ყოფილიყო). აქ სამიწათმოქმედო საკარგულები ძნელად მოსაპოვარი იყო და ამ მოპოვებულ მიწას მეურნე ძნელადვე მიატოვებდა. ამიტომ არის, რომ კოლხეთის დაბლობზე აღმართულ ბორცვებზე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანიდან, ვიდრე ძ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის დასასრულამდე, ადამიანისა უწყვეტი ცხოვრების კვალი ჩანს. დასახლებების ასეთი უწყვეტი ხანგრძლივობა და მათი ხანგრძლივი არსებობა განპირობებული იყო ნესტიანი, მაგრამ, მოხერხებული გამოყენების შემთხვევაში, უაღრესად ნოყიერი და ნაყოფიერი ადგილებისადმი მოსახლეობის დიდი სამეურნეო ინტერესით.

კოლხეთის მოსახლეობა ხანგრძლივად ინარჩუნებდა არა მხოლოდ უძველეს სამეურნეო ტრადიციებს, სამოსახლოთა მოწყობის ხერხებს, არამედ ყოფაში ოდითგანვე დამკვიდრებულ წესებსაც. ვამჩნევთ ძველი ტრადიციების საფუძველზე ნაშენ, ადრეულ ნაგებობათა მსგავს საცხოვრებლებს. არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, ესაა ოთხით შელესილი ხის ნაგებობანი, რომლებიც ძველი წესით არიან გაწყობილი ხელოვნურად მოზვინულ ან ბუნებრივად შემაღლებულ თიხნარზე. ამ ხანისათვის დასტურდება როგორც მორების და ძელების წყობით, ისე წნელებით ნაგები (წნული) სახლების არსებობა[16].

კოლხეთის დაბლობის ძეგლებისათვის, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია თიხაზვინულების სისტემა. თუმც, შეიძლება, რომ იგი ყველგან და ყოველთვის ერთნაირად არ იყოს გამოხატული. დიდი თიხაზვი-

---

15 კოლხეთის დაბლობის ამ ძველი მოსახლობების შესახებ დაწვრილებით იხ. გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 32—34.

16 ე. გ ო გ ა ძ ე. კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლარი. კულტურა, თბ., 1982, გვ. 65, 77—79.

ნული ქმნიდა სამოსახლოს ცენტრს და შესაძლებლობისდაგვარად
იგებოდა ბუნებრივად შემაღლებულ ადგილას[17]. ნოსირისა და მუხუჩის
ძეგლებს გარდა („ნოსირის ბორცვი", „კეკელური ზუგა", „ნაჭვის ზუ-
გა"), გრუნტის ასეთ შემაღლებას მოწმობს ნოხვამუს ბორცვიც, რო-
მელიც საკმაოდ დიდი მოცულობისა უნდა ყოფილიყო[18]. ნოსირის
ბორცვის კვლევამ ნათელყო, რომ დიდ თიხაზვინულზე, უმთავრესად,
საცხოვრებელი ნაგებობები იყო განლაგებული[19].

თავდაპირველი სამოსახლო იგებოდა შედარებით მცირე ფარ-
თობზე. საკუთრივ ბორცვული დასახლება, თავისი შინასამეურნეო სა-
ქმიანობით, კომპაქტური იყო და ძირითადად მცირე ტერიტორიით
იფარგლებოდა. შემდეგში ხდებოდა ადრინდელი სამოსახლოს ზრდა-
განვითარება სამოსახლოს გარეთაც, ბორცვის ფერდობზე, რომელიც
წარმოადგენდა სამეურნეო დანიშნულების ადგილს. როგორც კოლხე-
თის დაბლობის დაზვერვებმა გვიჩვენეს, მოსახლეობის მიერ ათვისე-
ბული იყო არა მხოლოდ ბორცვების ზედა ნაწილი, არამედ მათი ერთ-
ანეთთან შეერთების ადგილიც[20].

ნოსირ-მუხურჩის გათხრებმა დაადასტურა, აგრეთვე, გვიანბრინ-
ჯაო-ადრერკინის ხანაში კოლხეთის დაბლობის მოსახლეობის მიერ
შინამრეწველობისა და ხელოსნობის დარგების განვითარებაში მიღწე-
ული მაღალი დონე. ნოსირში ადგილობრივ ვითარდება მეთუნეობა,
მელითონეობა და სხვა დარგები. მელითონეობასთან ერთად, განსა-
კუთრებით მაღალი ხარისხით გამოირჩევა ამდროინდელი კერამიკა. კე-
რამიკული ნაწარმის მაღალი ხარისხი, ზოგიერთი სხვა, მახლობელ ძე-
გლთან შედარებით („კეკელურ ზუგა", „ნაჭვის ზუგა" და სხვ.), მკვლე-
ვართ აფიქრებინებს ნოსირში ამ დარგის წამყვანი საწარმოო ცენტრის
არსებობასაც. აღნიშნული გარემოება უნდა ნიშნავდეს ხელოსნობის
ძირითადი დარგების ნატურალური მეურნეობის ჩარჩოებიდან გამო-
სვლის ტენდენციის გაძლიერებას კოლხეთში. უთუოდ ეს მოვლენ-
ედო საფუძვლად იმ ზოგად ერთგვაროვნებას, რასაც კოლხურმა კე-
რამიკამ მიაღწია უკვე საკვლევი პერიოდის ადრეულ ეტაპზე (დიდ

---

17 იქვე.

18 Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды. II. Тбилиси 1950, გვ. 171; გ. ნ ი ო რ ა ძ ე. არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში. ენიმკის მოამბე X. თბ., 1941.

19 ე. გ ო გ ა ძ ე. დასახ, ნაშრ., გვ. 80, 81.

20 გ. გ რ ი გ ო ლ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 33.

რაოდენობით კერამიკული მასალის ტიპოლოგიური იდენტურობა ერთ-
მანეთისგან ისე დაშორებულ ძეგლებზე, როგორიცაა ნოსირის, ანაკლი-
ის ციხე-გუძუბა, ქობულეთის ნამჭედური და სხვა)[21]. შეიმჩნევა ადგი-
ლობრივი კერამიკის ტიპოლოგიური უნიფიკაცია მთლიანად კოლხეთის
მასშტაბით.

კერამიკა გამოირჩევა ფორმათა დახვეწილობითა და ფუნქციონა-
ლური მრავალგვარობით. ჭურჭლეულის უდიდესი ნაწილი ჩარხზეა ნა-
კეთები. კერამიკული წარმოება, მოცემულ ხანაში, ერთ-ერთი წამყვა-
ნი და ყოველისმომცველი დარგი ჩანს, რომლის პროდუქცია კოლხეთის
ძეგლებზე გაცილებით სჭარბობს ყოველნაირ სხვა მასალას.

კოლხეთის მოსახლეობის იმდროინდელი კერამიკული ნაწარმი
გვაძლევს საფუძველს თვალი გავადევნოთ მეურნეობის სხვა დარგების
განვითარებასაც. სახელდობრ, ნოსირის, ნამჭედურ-ფიჭვნარის, სოხუ-
მის მიდამოების ჭურჭლის ფართო და ტიპოლოგიურად დიფერენცი-
რებული ასორტიმენტის მიხედვით, თავისუფლად შეიძლება მსჯელობა
ინტენსიური მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ხასიათზე. უკვე
ადრეული კულტურული ფენების კერამიკაში ვხედავთ დიდი ზომის
ქვევრისებურ ჭურჭლებს, რომელთა რაოდენობა და ფორმათა თავი-
სებურება სავარაუდებელს ხდის მათ გამოყენებას არა მარტო მარცვ-
ლეულისა და მესაქონლეობის პროდუქტების, არამედ ღვინის შესანა-
ხადაც. ამასვე ადასტურებს ვაზის აღმოჩენა ნოსირის ბორცვის ქვედა
ფენაში.

ამასთან, ზემოაღნიშნული ენდემური ჯიშების გავრცელება ძველ
კოლხეთში საკმაოდ მყარ საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ კოლხე-
თის ბარსა და მთისწინა ზოლში ინტენსიური მიწათმოქმედების მიმ-
დევარი მოსახლეობის არსებობა ვივარაუდოთ. როგორც ითქვა, ამ
დროს სამეურნეო თვალსაზრისით განსაკუთრებით დაწინაურებული
უნდა ყოფილიყო კოლხეთის მთისწინეთის საზოგადოება, რასაც განა-
პირობებდა აღნიშნული მხარის ნაყოფიერება და მჭიდრო კავშირი
ლითონით (რკინით) მდიდარ მთაგორიან რეგიონებთან (რაჭა, სვანეთი).

რაც შეეხება საკითხს, თუ რა სოციალური უჯრედია (ორგანიზა-
ცია) საგულისხმებელი კოლხეთის დაბლობის დასახლებებში და საზო-
გადოების რომელ სოციალურ კატეგორიასთან გვაქვს საქმე ბორცვებ-
ზე მდგომი საზოგადოების სახით.

---

21 ე. გ ო გ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 84.

რკინის ინდუსტრიის მაღალ განვითარებას, რასთანაც დაკავშირებული იყო დიდი ძვრები მიწათმოქმედებაში, არ შეიძლება არ გამოეწვია სოციალური გარდაქმნები კოლხეთის ბარისა და მთისწინა ზოლის საზოგადოებაში[22]. ამ მხრივ განვითარებული რკინის ხანა უნდა იყოს ის მიჯნა, საიდანაც კოლხეთის ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი უნდა ვივარაუდოთ.

ინტენსიური მიწათმოქმედება და ბინადარი უწყვეტი ცხოვრება ერთ ადგილას, ასევე მრავალდარგობრივი მეურნეობის განვითარება, ლითონისა და კერამიკის საწარმოო ცენტრების გაჩენა, რასაც თან სდევდა მოსახლეობაში ქონებრივი დიფერენციაციის ჩასახვა კოლხეთის ბარსა და მთისწინა ზოლში, გვაფიქრებინებს, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში გვარების უფრო მცირე ერთეულებად დაშლა უკვე შორს არის წასული.

მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კოლხეთის დაბლობის სამოსახლო ბორცვებზე მიწათმოქმედება და წარმოება რთულად წარსამართავი იყო, ხოლო სამიწათმოქმედო ტექნიკა კი შედარებით დაბალი. ასეთ პირობებში სამეურნეო საქმიანობა აღემატებოდა ინდივიდუალური ოჯახის ძალას. ამიტომ საფიქრებელია, რომ ნამოსახლარი ბორცვების უმრავლესობა დიდი ოჯახებით იყო დასახლებული. კოლხეთის ეს სამოსახლოები, ჩანს, დიდ ოჯახებად უნდა წარმოვიდგინოთ. აქედან გამომდინარე, ამ სამოსახლოებს „სახლი“ შეიძლება ვუწოდოთ (მეგრულად „ოხორი“, სვანურად „ლახორ“ ანუ „ლალხორ“)[23]. ასეთი „სახლების“ კომპაქტური სახით ცალკე დასახლება, მათი სამოსახლოების შემოზღუდვა არხებით, იმის ნიშანია, რომ ისინი დამოუკიდებელ სოციალურ ერთეულებს წარმოადგენდნენ.

22 ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ, 56, 57,

23 ამ თვალსაზრისით საყურადღებო უნდა იყოს კოლხეთის დაბლობზე გვარებად წარმოდგენილი სოფლების ისეთი სახელწოდებების შემონახვა, როგორიცაა „საგვიჩიო“, „საქორქეიო“, „საღვამიჩაო“, „საბოკუჩაო“, „საგაბესკირიო“ და სხვ.

ს. ჯანაშია ტერშინ „სახლის“ თაობაზე შენიშნავდა: „ეს სახლი“ არის, ეთნოგრაფების ენით რომ ვთქვათ, „დიდი ოჯახი“ — ისეთი ერთობა ადამიანებისა, რომელიც ერთს ჭერქვეშ ცხოვრობს. სახლისშვილების სოციალური ერთობა დამყარებულია მათს ეკონომიკურ ერთობაზე. ერთ ჭერქვეშ ერთად ცხოვრება სწორედ ამ ეკონომიკური ერთობის ერთ-ერთი მომენტია. გარდა ამისა, სახლი, გარკვეულ დროში მაინც, კოოპერირებულ სამეურნეო საქმიანობას ეწევა მიწის ნაჭრის საერთო მფლობელობის ნიადაგზე (ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. — შრომები, ტ. I. თბ., 1949 წ, გვ. 131; 132); იხ: აგრეთვე გ: მ ი ნ დ ი ა შ ვ ი ლ ი. გორანამოსახლართა სოციალური ბუნებისათვის.—„მაცნე“. ისტორიის სერია. 1980, № 4, გვ. 180—183.

ამავე მხრივ, კოლხეთის დაბლობზე ცხოვრებისთვის მეტ-ნაკლებად ნორმალური პირობების შექმნა-შენარჩუნება რთულ კოლექტიურ ფორმებთა განხორციელების გარეშე ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ ერთობლივი შრომის საჭიროება უნდა ყოფილიყო ის ძირითადი მიზეზი და პირობა, რომელმაც აქ შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმა წარმოშვა და შემდეგაც მისი ხანგრძლივად არსებობა განსაზღვრა. არქეოლოგიური აღმოჩენები ამ ვარაუდს დამაჯერებელს ხდიან (სამოსახლო ბორცვები ერთმანეთთან არხებით არიან დაკავშირებული და დასახლებათა ერთ სისტემას ქმნიან). ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ირიგაციის სამუშაოებთან დაკავშირებული ერთობლივი შრომის გამოყენება დამახასიათებელი მოვლენაა როგორც კოლხეთის ბარის, ისე მთისწინეთისა და მთის საირიგაციო პრაქტიკაში. ამ მოვლენის სიძველე ეჭვს არ იწვევს. ირიგაციაში შრომის გაერთიანების საჭიროება ამ საქმიანობაში თემურ ორგანიზაციას დიდხანს უნახავს ადგილს, მაგრამ ადრეკლასობრივ საზოგადოებაში შრომის ასეთი ორგანიზაცია მხოლოდ ფორმას ინარჩუნებს, ხოლო შინაარობრივად იგი სახეშეცვლილია[24]. ეს არის უფრო სასოფლო თემებად გაერთიანებული სამოსახლოების, ეკონომიკურად უკვე დამოუკიდებელი დიდი ოჯახების ერთობლივი მონაწილეობა ერთ საერთო საქმეში, რაც გულისხმობს განსაკუთრებით შრომატევადი და გადაუდებელი სამუშაოების შესრულებას (ასეთი სამუშაოს დროს, ფიზიკურ ძალასთან ერთად, შეერთებული იყო შრომის იარაღები და საშუალებანი).

როგორც ზემოთ ითქვა, წინაანტიკური ხანის კოლხეთის დაბლობის სამოსახლოების არქეოლოგიური კვლევა-ძიებით წარმოდგენილი საზოგადოების განვითარების ეს სურათი მნიშვნელოვნად შეავსო დასავლეთ საქართველოს არაერთ ადგილას გამოვლენილმა კოლექტიურმა სამაროვნებმა და მათგან მომდინარე მასალამ.

მეხეველობაში გვაქვს სოფ. ნიგვზიანის, ურეკის, ერგეტის და სხვა კრემაციული კოლექტიური სამაროვნები, რომელთა სამარხეულ კომპლექსებში ზოგჯერ მრავალი ათეული ცალი სამიწათმოქმედო იარაღია წარმოდგენილი. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნიგვზიანის სამაროვნის № 12 სამარხი და ერგეტის ერთ-ერთი სა-

24 ვ. ფ ე ბ ე შ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 199—200; 203—206.

მაროვნის (№ 3) პირველი სამარხი, რომელთა ინვენტარის დიდი ნაწილი მრავალი ათეული რკინის სამიწათმოქმედო იარაღისაგან შედგება. აქ არის რკინის სახნისები, თოხები, ნამგლები, სასხლავი დანები და სხვ[25]. უდავოა, რომ ეს სამარხები მიწათმოქმედთ ეკუთვნოდათ, ხოლო მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს, კოლხეთის ამ რეგიონში, მიწათმოქმედება წარმოადგენდა. კოლხეთის მწარმოებელი საზოგადოების შესწავლის, მისი სოციალური კატეგორიის განსაზღვრის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ კოლექტიური სამარხებიდან მომდინარე ინვენტარს, არამედ აქ შესრულებული დაკრძალვის თავისებური წესისა და მასთან დაკავშირებული რიტუალის გათვალისწინებას.

მაგალითისათვის განვიხილავთ ნიგვზიანის სამაროვანს, რომელიც მდებარეობს ლანჩხუთის რაიონში, ზღვის სანაპიროდან 20 კმ-ით დაშორებულ მაღალ ბორცვზე.

ნიგვზიანის სამაროვნის დაკრძალვის წესის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ მაინცდამაინც მოედნის პერიმეტრზე.

ნიგვზიანის სამაროვნის ყველა სამარხი კოლექტიურია. მცირე სამარხებიც არაფრით არ განსხვავდებიან დიდი კოლექტიური სამარხებისაგან. ეს სამარხი-ორმოები სავსეა მიცვალებულების ძვლებით, ინვენტარითა და რიყის ქვებით. კოლექტიური სამარხი-ორმოები, როგორც ჩანს, საოჯახო (ე. ი. დიდი ოჯახის) სამარხებს წარმოადგენენ, სადაც, დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალის შესრულების შემდეგ, ერთად ასაფლავებდნენ მიცვალებულთა ძლიერ დანაწევრებული, დამწვარი ძვლების ნაშთებსა და სხვადასხვა ნივთებს[26].

უამრავ სამიწათმოქმედო იარაღთან ერთად (მარტო რკინის თოხი 125 ცალი იყო), აქვე აღმოჩნდა საბრძოლო იარაღი, რომელიც, სამიწათმოქმედო იარაღისგან განსხვავებით, დამზადებულია რკინისა და ბრინჯაოსაგან (მათ შორის 7 სკვითური აკინაკი და ისრისპირი).

კოლექტიურ სამაროვნებზე აღმოჩენილია ბრინჯაოს საკულტო დანიშნულების სხვადასხვა მცირე ქანდაკებები: თევზის გამოსახულება, ბაბაკაცის ითიფალური ფიგურა (ნიგვზიანში), ხარის სკულპტურა, დედაღვთაების ქანდაკება და სხვა (ურეკის სამაროვანზე)[27]. მთელი ეს ნაბადლა იმის მაჩვენებელია, რომ ამ გამოსახულებებში, ისევე როგორც დაკრძალვისას შესრულებულ რიტუალში, ჩადებულია რაღაც ღრმა შინაარსი, რომელიც, ერთი მხრივ, უნდა უკავშირდებოდეს დაკრძალულ მიწათმოქმედთა იდეოლოგიურ შეხედულებებს, მეორე მხრივ, მათ სამეურნეო საქმიანობას.

ამდენად, სავსებით სწორი უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ აღწერილი კოლექტიური სამარხების სახით აშკარად გამოხატულ მიწათმოქმედ-მეომართა სამაროვნებსა და მათ საკულტო მოედანთან გვაქვს საქმე. სამარხებში ჩატანებული სამიწათმოქმედო იარაღის განსაცვიფრებელი სიმრავლე, რაც უნიკალური შემთხვევაა მსოფლიო არქეოლოგიაში, დაკავშირებული უნდა იყოს კოლხეთის დაბლობზე მოსახლე მწარმოებელი საზოგადოების მიერ მიწათმოქმედების კულტად ქცევასთან[28]. ეჭვი არ არის, რომ ზემოაღწერილი დაკრძალვის რიტუალი საწესო რიტუალია, რომელიც ეძღვნებოდა მიწათმოქმედის შრომისნაყოფიერების ზრდას, შესაბამისად, სამიწათმოქმედო ღვთაების კულტს.

სხვადასხვა სამიწათმოქმედო რკინის იარაღის დიდი რაოდენობით შეწირვა ნაყოფიერების ღვთაებისადმი, თავისთავად, მრავლისმეტყველი ფაქტია. იგი მოწმობს კოლხეთის დაბლობზე მიწის დამუშავების პროცესის სირთულეს, მის მრავალდარგიანობას; შესაბამისად, მწარმოებელი საზოგადოების სპეციალიზაციას სოფლის მეურნეობაში, რომ აღარაფერი ვთქვათ, რკინის ფართო წარმოებასა და მისგან აურაცხელი ოდენობით იარაღის დამზადებაზე.

რკინის სამიწთმოქმედო იარაღის შეწირვა ნაყოფიერების ღვთაებისადმი, უთუოდ, იმითაც აიხსნება, რომ რკინისგან გაკეთებული სახნისის, თოხების, სეგმენტისებრი იარაღის ხმარება და ფართოდ გამოყენება მეურნეობაში მნიშვნელოვნად აადვილებდა მიწისმოქმედების შრომას და უფრო შედეგიანს ხდიდა მას, რაც, ბუნებრივია, იწვევდა რკინის იარაღის დაკავშირებას ნაყოფიერებასა და მის ღვთაებასთან.

ამითვე უნდა აიხსნას ისიც, რომ რკინის ჭედვას და მისგან იარაღის დამზადებას სხვა ხალხებიც, ჩვეულებრივ, ნაყოფიერების ღვთაებას უკავშირებდნენ. ამასთან, არ შეიძლება არ გავიხსენოთ სტრა-

---

25 თ. მიქელაძე. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები (ურეკისა და ნიგვზიანის სამაროვნები). — კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. II, თბ., 1985, გვ. 91—92.

26 ერგეტის № 1 სამაროვნისათვისაც უფრო ტიპიურია კოლექტიური სამარხები, ვიდრე ინდივიდუალური (თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 15, 71).

27 თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 59—69; 85—88.

28 თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 92.

ბონთან დაცული ერთი ძველი გადმოცემა, რომლის თანახმად, რკინის წარმოება პირველად დაუწყიათ ნაყოფიერების ქალღვთაების—იდეს—სახელობის მთაზე, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ მცირე აზიაში, ტროას მახლობლად მდებარეობდა[29].

საყურადღებოა ისიც, რომ რკინის დიდი რაოდენობით წარმოება არქეოლოგიურად დადასტურებულია საირხეშიც, საბადურის მთაზე, სადაც სრულდებოდა ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი დიდი რიტუალები[30] (ამის შესახებ ქვემოთ).

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც კოლექტიური სამარხების დაკრძალვის წესიდან ირკვევა, ზემოაღწერილი დაკრძალვის რიტუალი თემის ფარგლებში სრულდებოდა და იგი ერთდროულად ამ თემში შემავალი რამდენიმე ოჯახის მიერ ხორციელდებოდა.

ამრიგად, ზემოგანხილული კოლექტიური სამარხებიდან მომდინარე მასალა ადასტურებს, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, კოლხეთის დაბლობის სხვადასხვა ადგილებში მიწათმოქმედთა სასოფლო თემებად გაერთიანებული დიდი ოჯახების არსებობას. თემი ამ დროს მყარი სოციალური ორგანიზმია. მის სიმტკიცეს ამ ხანაში ხელს უმართავს, ერთი მხრივ, კოლხეთის დაბლობზე სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის რთული ბუნებრივი პირობების არსებობა, რაც ბადებდა კოლექტიური შრომის აუცილებლობას (ასეთი შრომით ორგანიზებული თემი კი, ბუნებივია, უფრო მტკიცე და სიცოცხლისუნარიანი იქნებოდა), მეორე მხრივ, ამას ხელს უწყობდა ამ საზოგადოებაში საერთო კულტის — ნაყოფიერების ღვთაების — თაყვანისცემა. რაც თემის ერთობლივი საკულტო რიტუალის შესრულების სახით ხორციელდებოდა. აქედან ჩანს, რომ ის თემები, რომელნიც ასრულებდნენ ზემოაღწერილ თავისებურ რიტუალს, ჩვეულებრივ სასოფლო თემებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ, ამავე დროს, ნაყოფიერების ღვთაების კუთვნილ თემებად ითვლებოდნენ, ხოლო მათი მიწა ხატის, ღვთაების მიწა-წყლად იყო მიჩნეული. ნაყოფიერების ღვთაებაზე დამოკიდებული სასოფლო თემების არსებობას წინაანტიკური ხანის კოლხეთის დაბლობზე გარდა ზემოაღწერილი დაკრძალვის რიტუალისა, გვაფიქრებინებს ფიჭვნარის მახლობლად, ქვიშაზვინულებზე წინაანტიკური

[29] Strabo. X. III, 22. Страбон. География в 17 книгах. Перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского. М., 1964, с. 450.

[30] ჯ. ნადირაძე. საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. წ. I, თბ., 1990, გვ. 20.

ხანის დიდი სამლოცველოების გამოვლენა. აქვეა დამოწმებული აღნიშნული ღვთაებისადმი შეწირული ხარის თავის თიხის სტილიზებული გამოსახულებები — სადგრები, ასევე დიდი ზომის ოთხკუთხაგანივკვეთიანი სადგრებისგან ნაგები, სართულებად განლაგებული მონუმენტური სამსხვერპლოებიც[31].

ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი წინაანტიკური ხანის დიდი სამლოცველო დადასტურებულია შიდა კოლხეთის ტერიტორიაზეც (ვანი, ე. წ. „ახვლედიანების გორა"). აქვე აღმოჩენილია ღვთაებისათვის შეწირული ცხოველთა გამოსახულებები. მხოლოდ საკულტო კერა აქ სრულიად სხვაგვარად იყო გამართული[32].

საწესო რიტუალის შესრულებასა და საკულტო კერებს შორის არსებული ეს სხვადასხვაობა, უთუოდ, აიხსნება სანაპირო და შიდა რეგიონებში მოსახლე ტომების ცხოვრების პირობებისა და ყოფითი წესების სხვაობით და მთელი რიგი თავისებურებებით. მაგრამ ღვთაება, რომელსაც ეძღვნებოდა ამ სამლოცველოებსა და საკულტო კერებთან შესრულებული რიტუალები, ჩანს, ერთი და იგივე ფუნქციის — ნაყოფიერების — მატარებელი იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ კოლხეთის დაბლობის კოლექტიურ სამარხებზე, რომელნიც გაფანტულნი არიან ურეკიდან მერხეულამდე და ჭალურამდე, არსად არ არის დადასტურებული სავსებით ერთნაირი დაკრძალვის წესი. ამ თვალსაზრისით სამარხებს შორის გარკვეული სხვაობაა შენიშნული[33].

განსხვავება დამოწმებულია თვით ინვენტარშიც; სახელდობრ, ოქროსა და ვერცხლისგან დამზადებული სამკაული ნაპოვნია მხოლოდ ურეკის სამაროვანზე.

აღნიშნული გარემოება, ჩვენი აზრით, ნიშანდობლივია და უთუოდ იმის მომასწავებელი, რომ წინაანტიკურ ხანაში კოლხეთის დაბლობის სამხრეთი რეგიონების მწარმოებელი საზოგადოების თემებში უკვე დაწყებულია ეკონომიკურად მომძლავრებული სახლების დაწი-

[31] ა. რამიშვილი. ძველი სადგომები ფიჭვნარის ქვიშნარ დიუნაზე. — სგსძ. I. თბ., 1964, გვ. 17—29; ა. კახიძე, საქართველოს ანტიკური ხანის ქალაქები. თბ. 1971, გვ. 33.

[32] ვანი. III. თბ., 1977, გვ. 14,

[33] თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 88—93,

ნაურება, მათი წინ წამოწევა. ამასთან, უთუოდ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ურეკის ტერიტორიაზე, კოლექტიური სამარხების გვერდიდან, გამოვლენილია ინდივიდუალური სამარხებიც, რომლებიც მამაკაცებისთვისაც იყო განკუთვნილი და ქალებისთვისაც[34].

ზემოაღნიშნული ფაქტები, უთუოდ, უნდა აიხსნას ურეკის ტერიტორიაზე მცხოვრები მწარმოებელი საზოგადოების სიახლოვით და მჭიდრო კონტაქტით წინაანტიკური ხანის კოლხეთის დაწინაურებული მხარის, სამხრეთ-დასავლეთ რეგიონების მოსახლეობასთან. სასოფლო თემებად გაერთიანებულ დიდ ოჯახებს შორის ქონებრივი სხვაობის გაღრმავების პროცესი და სოციალურ-ეკონომიკური ძვრები შეინიშნება კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილისა და მთისწინა ზოლის საზოგადოებაშიც, რაზედაც, სხვა მონაცემებთან ერთად, უნდა მიუთითებდეს ძვ. წ. VI საუკუნიდან მათი კოლექტიური სამაროვნების გაქრობა[35].

საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ კოლექტიური კრემაციული სამარხები შემორჩა მხოლოდ კოლხეთის მთიან რეგიონებს. მაგალითად, სვანეთში ლარილარის კოლექტიური სამაროვანი ფუნქციონირებს ძვ. წ. IV—III სს-მდე[36]. ასეთივე სურათია რაჭაში, სოფ. ღების სამაროვანზე.

რაც შეეხება წინაანტიკური ხანის ჩრდილოეთ კოლხეთის ზღვისპირეთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს, ამ საკითხის კვლევის ძირითად წყაროდ ისევ სოხუმის მიდამოების არქეოლოგიური ძეგლები გვევლინება. ხსენებული ძეგლებიდან, ჯერ კიდევ 50-იან წლებში, მკვლევართა ყურადღება მიიქცია ლითონის ნაწარმმა (ბრინჯაოსა და რკინის სამეურნეო და საომარმა იარაღმა), ბრინჯაოსა და რკინის წარმოების ნაშთებმა, მდიდარმა და მრავალფეროვანმა, ჩარხზე ნაძერწმა ჭურჭელმა, ტექსტილურმა კერამიკამ სელის სხვადასხვა ქსოვილების ანაბეჭდებით. მთელი ამ მასალის შესწავლის საფუძველზე, ადრევე აღინიშნა მისი დიდი მნიშვნელობა სოხუმის მიდამოების წინაანტიკური ხანის მოსახლეობის დაწინაურებული ეკონომიკისა და მეურნეობის, ასევე მრავალდარგობრივი ხელოსნური საქმიანობისა და ინტენსიური მიწათმოქმედების დასადგენად[37]. აღინიშნა ისიც, რომ, უკვე ამ ხანაში, მჭიდროდ დასახლებული ჩანს არა მხოლოდ სოხუმის უბესთან მდებარე სანაპირო ზოლი (წითელი შუქურა), არამედ მახლობლად მდებარე ბორცვებიც (სოხუმის მთა, გუადიხუ, ლეჩქოფი, ბოტანიკური ბაღის ტერიტორია და სხვ.), სადაც აღმოჩნდა ბარისმაგვარი სეგმენტისებური იარაღი და ბრინჯაოს ცულების მთელი კომპლექსი[38].

დებულება სოხუმის მიდამოების მოსახლეობის ეკონომიკური დაწინაურების შესახებ დადასტურდა ეშერის ახლად აღმოჩენილი ძეგლებითაც. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს, ბერძნული წარმოშობის ჭურჭელთან ერთად, დიდი რაოდენობით მოპოვებული წისქა და ადრეანტიკური ხანის ადგილობრივ დამზადებული მაღალი ხარისხის კერამიკა (პითოსები, ქოთნები, თასები), რომელნიც აქ მოსახლე საზოგადოების მიერ შექმნილი მატერიალური კულტურის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, და აგრეთვე 1969 წელს აქვე, მახლობლად, ე. წ. ვერეშჩაგინის გორაზე მიკვლეული განძი, რომელიც შეიცავს როგორც ბრინჯაოს, ასევე რკინის საბრძოლო იარაღის მთელ კომპლექსს (ცულებს, შუბისპირებს და სხვ.). როგორც მკვლევარნი შენიშნავენ, ამ იარაღის დიდი ნაწილი კოლხური კულტურის ძეგლებად უნდა ჩაითვალოს[39].

სოხუმის მიდამოების არქეოლოგიური მონაპოვარი, განსაკუთრებით კი წითელი შუქურას, სოხუმის მთისა და გუადიხუს სამარხეული ინვენტარი, წარმოდგენას გვიქმნიან აგრეთვე წინაანტიკურ ხანაში აქ მოსახლე საზოგადოების სოციალურ წყობაზე. „წითელი შუქურას“ სამარხეული ინვენტარის მიხედვით, უკვე ძვ. წ. VIII—VII სს. შეინიშნება ქონებრივი დიფერენციაციის ჩასახვა. ე. წ. უფროსი ჯგუფის 91 სამარხიდან (რომლებიც VIII—VI სს-ით თარიღდებიან) გამოიყოფა მხოლოდ რამდენიმე, შედარებით შეძლებული პირის სამარხი. ნამდვი-

---

34 თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 15.

35 იქვე.

36 შ. ჩართოლანი. ლარილარის სამაროვანი.—საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. თბ., 1968.

37 ალ. კალანდაძე, სუხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სუხუმი, 1954; მ. ინაძე. ანტიკური ხანის ჩრდილოეთ კოლხეთის ქალაქების განვითარების ხასიათის საკითხისათვის. — სმამ. XXIII, № 6. 1959,

38 მ. ინაძე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დიოსკურია). — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VI. ნაკვ. 2, 1962, გვ. 188 და შემდ.

39 Г. К. Шамба. О некоторых археологических находках из села Нижняя Эшера Сухумского района.—Абх. Инст. яз. лит. и ист. им. Д. И. Гулия, Известия, II, Тбилиси, 1973, с. 181 და შემდ.

ლად მდიდრული სამარხი ამ ნეკროპოლზე გათხრილ უფროსი ჯგუფის სამარხებს შორის არა გვაქვს. ოქროსა და ვერცხლის ნივთები არც ერთ ამ სამარხში არ გვხვდება (ერთი ვერცხლის სამკაულის გარდა). სამარხებში ჩვეულებრივ ერთი ან ორი ნივთია ხოლმე ჩატანებული. იშვიათად რამდენიმე.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ VIII—VII სს-მდე კოლხეთში სიმდიდრის განმსაზღვრელად გვევლინება არა ოქროსა და ვერცხლის სამკაული (რომლებიც საერთოდ იშვიათად არის დადასტურებული წინაანტიკური ხანის სამარხებში), არამედ სპილენძის ზოდები, ბრინჯაოსა და რკინის იარაღი. მდიდარი ის იყო, ვისაც შეეძლო ასეთი ნივთების უხვად დაგროვება და შენახვა (გავიხსენოთ ეშერის სამარხში, სხვა ნივთებთან ერთად, ჩატანებული სპილენძის ზოდები. იმავე ეშერში, ვერეშჩაგინის გორაზე მიკვლეული განძი).

ამრიგად, სამარხეული ინვენტარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძვ. წ. VIII—VII სს.-ს სოხუმის მიდამოების საზოგადოებაში უკვე დაწყებულია ქონებრივი დაყოფა. ამ საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების კვლევის თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს ის საინტერესო ფაქტიც, რომ სოხუმის მთაზე და წითელი შუქურას ნეკროპოლზე დამოწმებულია დაკრძალვის სრულიად განსხვავებული წესები, რაც, უთუოდ, უნდა გვაუწყებდეს წინაანტიკურ ხანაში, აღნიშნულ ტერიტორიაზე სხვადასხვა გვარის წარმომადგენელთა თანაცხოვრებას და, შესაბამისად, აქ მოსახლე საზოგადოებაში გვაროვნული წყობილების ტრადიციების რღვევის დაწყებას[40].

მთელი ზემოთ მოტანილი მასალის განხილვა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ძვ. წ. VIII—VII სს. რკინის იარაღზე გადასვლა, სამეთუნეო წარმოებაში ჩარხის გამოყენება, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარება იწვევს ჩრდილოეთ კოლხეთის ზღვისპირა რეგიონების საზოგადოების ეკონომიკურ წინსვლას და მასში არსებული გვარების რღვევას, მაგრამ, მეორე მხრივ, უდავოა ისიც, რომ მეკობრე და მთის ტომებთან ახლო მეზობლობა ხელს უწყობს ამ საზოგადოებაში თემურ-გვაროვნული წყობილების ელემენტების კონსერვაციას და მყარად შემონახვას[41].

---

40 მ. ინაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1982, გვ. 107 და შემდ.

41 მ. ინაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 110,

მოთხოვნილების ზრდა ნედლეულზე, ხელოსნურ ნაწარმზე, კოლხეთის მოსახლეობაში იწვევდა მისი დამზადების მკვეთრ გაფართოებას, რამაც თავი იჩინა კერამიკული ნაკეთობის სერიულ წარმოებასა და ლითონის, განსაკუთრებით რკინის, ფართო მასშტაბით ჭედვაში.

რკინის წარმოებასა და მეტალისგან იარაღის დამზადებაში ამ დროს ჩაბმული ჩანს არა მხოლოდ კოლხეთის დაბლობის სამხრეთი რეგიონების მოსახლეობის დიდი ნაწილი, არამედ ჩრდილოეთ კოლხეთის, სამხედრობრ, დღევ. სოხუმის მიმდებარე ტერიტორიის საზოგადოებაც, აგრეთვე ქვეყნის შიდა, მთიანი რაიონების, უმთავრესად რაჭის და ლეჩხუმის ზემო წელის, მოსახლეობა. აქ, საჩხერის რაიონში არქეოლოგიურად შესწავლილი 30 სამოსახლოდან 15-ში დადასტურებულია ფერადი და შავი მეტალის საწარმოო კერები. რკინის ფართო წარმოებით, როგორც ირკვევა, გამოირჩეოდა საირხის ქვეყანა, ცენტრით საჩადურის გორა[42], საიდანაც ბერძნებს, ადრეანტიკურ ხანაში (შესაძლებელია, ამაზე ადრეც), დიდი რაოდენობით გაჰქონდათ მათთვის საჭირო მეტალი (ამის შესახებ ქვემოთ).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საირხის მიდამოებში (მოდინაზე, კოდისწყალი,) ადრეანტიკურ ხანაში მწარმოებელი საზოგადოების წევრები, მათ შორის მელითონე ხელოსნები, იმარხებოდნენ ინდივიდუალურად, მოკრუჩხული პოზით, ოვალური ფორმის ორმოებში. სამარხებში, რომლებშიც, უთუოდ, თემის წევრები იყვნენ დაკრძალულნი, აღმოჩენილია ჭურჭელი, სამკაული. ზოგიერთ სამარხში ნაპოვნია რკინის და ვერცხლის ნივთებიც[43].

რკინის მეტალურგიის განვითარების შედეგად გამოწვეულმა ქვეყნის სამეურნეო მიღწევებმა მყარი ნიადაგი შეუქმნეს წინაანტიკური ხანის კოლხეთის მთელ რიგ რეგიონებში მრავალრიცხოვანი მსხვილი სამოსახლოების აღმოცენებას, სადაც მიწათმოქმედებისა და მეურნეო-

---

42 ვ. ნადირაძე. საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, თბ., 1990, გვ. 19—21.

43 ვ. ნადირაძე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975, გვ. 39—43.

ასევე საჩხერის რაიონის ადგილ გორაძირზე გაითხარა წინაანტიკური ხანის ყორღანული სამარხები და ე. წ. „ორმოსამარხები"; როგორც ვარაუდობენ, არ არის გამორიცხული, რომ ეს სამარხები წარმოადგენდნენ ნაწილს ცალკეულ მოედნებზე ჩასაფრებულ კოლექტიური სამარხებისა, კრემაციული დაკრძალვით (ე. გოგაძე, ... ბერძენიძე. გორაძირი. თბ., 1981, გვ. 8, შენ. 1).

ბის სხვა დარგებთან ერთად (მევენახეობა, მესაქონლეობა), თავმოყრილი იყო ხელოსნური წარმოება.

ტიპიური ვრცელი სამოსახლო ადრერკინის ხანისა მიკვლეულ იქნა თანამედროვე ფიქვნარის ტერიტორიაზე (ქობულეთიდან 10 კმ-ის დაშორებით, მდ. ჩოლოკის მარცხენა ნაპირას). იგი მოიცავდა რამდენიმე, ხელოვნურად მოწყობილ საცხოვრებელ ბორცვს („ნამჭედური", „ნაპურვალა" და სხვ.) და დიუნურ დასახლებებს. როგორც ამ ძეგლის კომპლექსურმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, ადრერკინის მეტალურგიის განვითარებასთან ერთად, მახლობლად (ჭოლოკის აუზში) მდებარე ეს ვრცელი სამოსახლო, ძვ. წ. I ათასწ. დასაწყისიდან, მის ირგვლივ არსებული ქვეყნის ეკონომიკურ ცენტრად გადაქცევის ტენდენციას იჩენს[44].

ადრერკინის ხანის ვრცელი სამოსახლოები შეინიშნება ასევე ურეკის ტერიტორიაზე, სუფსა-ნატანების მეტალურგიული ცენტრის მახლობლად, ასევე, მდ. ჭოროხის მარცხენა ნაპირას. მდინარის შესართავთან ახლოს, იქ, სადაც გამოვლენილ იქნა რკინის მეტალურგიის უძველესი კერა, მიკვლეულია საცხოვრებელი ბორცვების მთელი წყება, რომელთა შორის, თავისი გრანდიოზულობით, გამოირჩევა მახვილაურის ბორცვი[45].

წინაანტიკური ხანიდან მსხვილი სამოსახლოების მკვეთრი ზრდა დადასტურებულია კოლხეთის ბარსა და მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე. თუ სპეციალისტთა მიერ მოხილულ ენგურ-რიონის შუამდინარეთში გამოვლენილი სურათის მიხედვით ვიმსჯელებთ, აქ, ამ პერიოდიდან გორა-სამოსახლოები სოკოებივით არიან მომრავლებულნი, რაც ამ რეგიონში მომხდარი დემოგრაფიული აფეთქების უტყუარი მაჩვენებელია.

ნამოსახლართა რიცხობრივ მატებასთან ერთად, არსებითია ისიც, რომ ამ დროისათვის თვისებრივად იცვლება სამოსახლოთა მასშტაბები, დაგეგმარება და სხვ. წინარეანტიკური ხანიდან აღნიშნული ნამოსახლარები ბორცვების ჯგუფებით არიან წარმოდგენილნი: ცალკეული სამოსახლო (იშვიათი გამონაკლისის გარდა) შედგება ორი, სამი, ოთხი და მეტი ბორცვისაგან, როგორც წესი, ასეთი ნამოსახლარი ბორცვე-

44 დ. ხახუტაიშვილი. იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966, გვ. 70.

45 ა. კახიძე. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971, გვ. 23, 24.

ბის ჯგუფიდან ერთ-ერთი ყოველთვის გამოირჩევა სიმაღლით, მზღუდავი თხრილის სიდიდით, და მას დასახლებაში ცენტრალური ადგილი უკავია[46].

კოლხეთის დაბლობის რიგ ადგილებში (დოვაბა, წინაგოლა, ბუნიცხე, ოტორონჯე, ოყუნე, ქვემო ქვალონი, ნამარნუ, საგვიჩიო, ნანდეე და სხვ.) დაზვერვებით გამოვლენილია დიდი სამოსახლო ბორცვების ჯგუფები, რომელთაც გარს ერტყა რელიეფიდან ოდნავ ამაღლებული, თხრილშემოვლებული, წაგრძელებული მოედნები. ისინი ამ სამოსახლოებთან არხების საერთო სისტემით იყვნენ დაკავშირებულნი და ერთ სამეურნეო ფართობს წარმოადგენდნენ.

ამასთან, შენიშნულია, რომ კოლხეთის ბარის გორა-ნამოსახლარები, გარკვეული შუალედებით, გავრცელებული არიან რომელიმე პატარა მდინარის და მასთან დაკავშირებული არხის გასწვრივ. შედარებით უკეთ შემონახული ძველი ნაარხალები შემორჩენილია სენაკისა და ანაგის რაიონებში. ნოღელას არხზე დევს ქოლობანისა და ნაესაკაოს დიხაგუძუბები. პატარა ტეხურზე განლაგებულია სოფ. წყემის ბორცვების ჯგუფი, ხოლო დიდი მარაგანის არხზე, მის გასწვრივ განლაგებულია: სოფ. III ნოსირის დიხაგუძუბები, სოფ. ძიგურის უსახელო ბორცვი, სოფ. ზანათის გორა-ნამოსახლარი ნამანცხვარი, ზანათის მეორე ბორცვი-დოინი. კიდევ უფრო კარგად არის შემონახული ძველი ნამოსახლარები და ნაარხალები კოლხეთის დაბლობის ზღვისპირეთის მიმიჯნავე ზოლში, სადაც ხობის, ფოთის, სენაკისა და ლანჩხუთის რაიონების ქვევით ტყიანი ზოლი მრავალრიცხოვანი არხებითაა დასერილი. კოლხეთის დაბლობის ქვედა ზოლში საარხო სისტემების მთავარი შემკრები მდინარეული არტერიებია: მდ. ფიჩორი, მდ. ყორათის წყალი და მდ. მუნჩია. ეს პატარა და მდორე მდინარეები გეოგრაფიულად მკვეთრად არიან გამიჯნული ერთიმეორისაგან დიდი მდინარეებით და ითითეული მათგანი ბატონობს გარკვეულ „ქვეყანაში". ფიჩორის „ქვეყანა" მოქცეულია სუფსასა და რიონს შორის, ყორათის წყლის „ქვეყანა" — რიონსა და ხობს შორის, ხოლო მუნჩია ბატონობს ხობსა და ენგურს შორის მოქცეულ „ქვეყანაზე"[47].

კოლხეთის გორა-სამოსახლოების მიდრეკილება შედარებით პატარა მდინარეებისაკენ ნაკარნახევი უნდა იყოს მათი პრაქტიკული და-

46 გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

47 იქვე, გვ. 33, 34.

ნიშნულებით; ისინი ასრულებდნენ სამოსახლოების როგორც ახლო და შორეულ მეზობლებთან, ისე გარე სამყაროსთან დამაკავშირებლის როლს.

არხებს, გარდა იმისა, რომ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სამეურნეო თვალსაზრისით (კოლხთა სამოსახლო ტერიტორიის ჭარბი ტენისაგან განთავისუფლება), მათი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია უნდა ყოფილიყო, მტრის თავდასხმისგან სამოსახლოს დაცვა.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ძვ. წ. VI ს-დან კოლხეთის მწარმოებელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება. აღებული ხანიდან ეს პროცესი სწრაფად მიდის წინ არა მხოლოდ კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის მოსახლეობაში, რომლის სოციალური პროგრესისათვის დიდად უნდა შეეწყო ხელი ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში ამ რეგიონში საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური გაერთიანების — კულხას (კოლხას) — არსებობას, არამედ მდ. რიონის აუზის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (მთისწინა ზოლი) მობინადრე საზოგადოებაშიც. კოლხეთის ამ მხარის საზოგადოების დაწინაურებას ხელსაყრელ პირობებს უქმნის ის გარემოებაც, რომ აღებულ ხანებში აქ შედარებით მშვიდობიანობაა.

დღესდღეობით არსებული მატერიალური კულტურის მონაცემები ცხადყოფენ, რომ წინაანტიკური ხანიდან რიონის აუზის და მთისწინეთის მოსახლეობა დიდ ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის. ამას განაპირობებს: რკინის წარმოება, სოფლის მეურნეობის — მარცვლეულის მოყვანის მაღალი დონე, წარმოების პროდუქციის ფართო სასაქონლო ხასიათი, გარე სამყაროსთან ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა. სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში გარკვეული ცვლილებები უნდა გამოეწვია მევენახეობა-მეღვინეობის ფართოდ დანერგვასაც. ადრეანტიკური ხანის დასაწყისი, ამ თვალსაზრისით, აღნიშნული საზოგადოების მეურნეობის განვითარებაში მოსაბრუნი ხანაა.

ძვ. წ. VI ს-დან მევენახეობის ინტენსიური განვითარების უტყუარი მაჩვენებელია ღვინის დასაყენებელ-შესანახი ჭურჭლის — ქვევრების — ფართოდ გავრცელება შიდა კოლხეთში (დიდი რაოდენობით ქვევრები გვხვდება აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთშიც). გაკვირვებას იწვევს კოლხური ქვევრებისა და მეღვინეობასთან დაკავშირებული კერამიკის (კოლხური სასმისების, ფიალებისა და სხვა) მრავალრიცხოვნება, საღვინე ჭურჭლის ახალი ფორმებისა და შემკობის სხვადასხვა მოტივების გაჩენა. მეურნეობის ახალი დარგის—მეღვინეობის—

ინტენსიური განვითარება, ბუნებრივია, დიდ ძვრებს იწვევდა მწარმოებელი საზოგადოების ცხოვრებაში. ვენახების მოვლა-მოშენება, რომელიც ხანგრძლივ შრომას და სათანადო აგროტექნიკური ხერხების კომპლექსს მოითხოვდა, მძლავრი სტიმული გახდა ამ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურებისათვის[48].

ძვ. წ. VI ს-დან კოლხეთის დაბლობისა და მთისწინა ზოლის მწარმოებელი საზოგადოების ქონებრივ დაწინაურებას და შესაბამის სოციალურ ცვლილებებს მის განვითარებაში ხელს უმართავს აგრეთვე ამ საზოგადოების ჩაბმა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში იმდროინდელი მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ცენტრებთან, საბერძნეთისა და შავი ზღვის ქალაქებთან; იწყება კოლხეთის ბუნებრივი რესურსების — ხე-ტყისა და სხვათა, ასევე ხელოსნური ნაწარმის (სელის), უმთავრესად კი, მეტალის, რკინისა და სპილენძის დიდი რაოდენობით გატანა საერთაშორისო ბაზარზე. ამრიგად, თუკი აქამდე კოლხეთის საზოგადოების განვითარება უმთავრესად შინაგანი ძალების საფუძველზე მიმდინარეობდა, აღებული ხანიდან ამ განვითარებას მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ეკონომიკური სტიმული გამოუჩნდა საგარეო ურთიერთობების სახით, რასაც შედეგად მოჰყვა ქვეყანაში სასაქონლო წარმოების უჩვეულო ზრდა ადრეანტიკურ ხანაში.

კოლხეთის ჩაბმამ ინტენსიურ საზღვაო სავაჭრო ურთიერთობებში ხელთაშუაზღვისპირეთის უდიდეს ცენტრებთან (მილეტი, ქიოსი, როდოსი, სამოსი) მნიშვნელოვნად დააჩქარა ეკონომიკურად დაწინაურებული რაიონებში არსებულ მოსახერხებელ სამდინარო და საზღვაო გზებთან განლაგებული ადგილობრივი მსხვილი სახელოსნო-სანაწარმოებელი სამოსახლოების განვითარება ქალაქებად, ან ქალაქური ტიპის დასახლებებად. ასეთი სამოსახლოები ამ დროს (ძვ. წ. VI—V სს.) მრავლად ჩნდება ფასისის მაგისტრალზე. მათი კვალი განსაკუთრებით ხშირად გვხვდება მდ. რიონის შუაწელის მიმდებარე ტერიტორიაზე, მასთან მდ. ცხენისწყლის შეერთების აღმოსავლეთით, სადაც მეტად ხელსაყრელი პირობები არსებობდა ინტენსიური სოფ-

[48] ნ. ბერძენიშვილი. ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან. — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I. თბ., 1960, გვ. 182; ნ. ფაღავა. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხები. თბ,. 1955, გვ, 160,

ლის მეურნეობის (მევენახეობის) და ხელოსნობის (ლითონის წარმოების, მეთუნეობის) განვითარებისთვის.

არქეოლოგიური გათხრების მონაცემების მიხედვით, დიდი ქალაქური ტიპის სამოსახლო ძვ. წ. VII—V სს-ისა კონცენტრირებული უნდა ყოფილიყო რიონის მარჯვენა ნაპირას, ქუთაისის ტერიტორიაზე, სახელდობრ, „გაბაშვილების გორაზე“ ადრეანტიკურ ფენაში (ძვ. წ. V ს.) მიკვლეული იყო ლითონდამმუშავებელი წარმოების ნაშთები. ამავე ხანის ფენაში დადასტურდა ანტიკური შავლაკიანი კერამიკის ნატეხები. გარდა ამისა, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, ამავე „გაბაშვილების გორაზე“ გამოვლენილი ძვ. წ. VIII—VII სს-ის თიხის გადამწვარი ბათქაშის შემცველი ფენა და ხის ძელების ფრაგმენტები მოწმობენ ქუთაისის მიწაზე უკვე ამ ხანაში დიდი სამოსახლოს არსებობას. როგორც ჩანს, ძვ. წ. VIII—VII სს-სა და მის მომდევნო პერიოდში კოლხეთის ამ ადგილებში მნიშვნელოვანი ცხოვრება მიმდინარეობდა[49].

ქუთაისის სანახებში, დღევანდელი სოფ. ჭოგნარის ტერიტორიაზე (პარნალის ბორცვზე) მიკვლეულია წინაანტიკური, ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კულტურული ფენები. ადრეანტიკური ხანის ფენაში აღმოჩნდა ძვ. წ. V ს-ის ატიკური კერამიკა, რკინის წიდები და სხვ., რითაც დადასტურდა აქ მსხვილი სავაჭრო-სახელოსნო დასახლების არსებობა[50].

ქუთაისის მახლობლად დამოწმებულია ასევე თერთმეტამდე ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის არქეოლოგიური განძი. აქვე, რიონის შუაწელზე, ადრეანტიკური ხანის გორა-სამოსახლოები გამოვლენილი ფარცხანაყანებში, კირინებში, შროშანეთში, კოპიტნარში, ქვედამეჯსხეთში, ქვიტირში.

ვანსა და მის მიდამოებში მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლების საფუძველზე, ჯერ კიდევ ნ. ხოშტარიამ აღნიშნა, რომ აქ „საქმეს ეხება შედარებით ადრინდელ ქალაქს, რომლის ზეობა ძვ. წ. VI—V სს-ში უნდა ვივარაუდოთ“[51]. უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე

---

49 ო. ლანჩავა. ქუთაისის ძველი ისტორიისათვის. თბ., 1975; Г. Т. Кварквелия. Раскопки в ЦПКО им. Габашвили г. Кутаиси.—ПАИ. Тбилиси, 1984, с. 62.

50 ო. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966, გვ. 42,

51 ნ. ხოშტარია. ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში. — საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959, გვ. 238,

ვანის ნაქალაქარზე (ე. წ. „ახვლედიანების გორა“ და სხვ.) ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებით სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთების გამოვლენამ, აქვე დამოწმებულმა ფართო კერამიკულმა წარმოებამ, მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილმა ნატიფად შესრულებულმა საიუველირო ხელოვნების ნიმუშებმა, ძვირფასმა იმპორტულმა ჭურჭელმა და სხვა ნივთებმა საკმაოდ დაადასტურეს ადრე გამოთქმული მოსაზრება ვანში, ადრეანტიკურ ხანაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-საქალაქო ცენტრის არსებობის შესახებ[52].

აქვე უნდა აღინიშნოს ვანიდან 10—12 კმ-ის დაცილებით, რიონისპირა გორაკებზე განლაგებული დაბლაგომის ნაქალაქარი. იგი მსხვილი ქალაქური ტიპის დასახლებათა იმ რიგს განეკუთვნებოდა, რომლებიც ადრეანტიკურ ხანაში რიონ-ფასისის გაყოლებით აღმოცენებულ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდნენ. დაბლაგომი კერამიკული წარმოების საკმაოდ მსხვილი ცენტრი ჩანს. მისი მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობდა ფულად ურთიერთობებშიც[53].

კოლხეთის მთისწინეთში საქალაქო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევენ მდინარე ყვირილის ზემოწელზე სოფელ საირხის არქეოლოგიური ძეგლები. აქ, ადგილ ლომინაურში აღმოჩენილი იყო გრანდიოზული შენობის სვეტების კაპიტელები. აქვე გათხარა ორი ნაგებობა. ერთ-ერთი მათგანის კედლები ნაშენი ყოფილა საგანგებოდ შერჩეული დიდი ზომის ქვებით. საირხის მახლობლად, საბადურის გორაზე გამოვლენილი ადრეანტიკური ხანის (ძვ. წ. V—IV სს.) მდიდრული სამარხები ოქროსა და ვერცხლის ინვენტარით და ძვირფასი იმპორტული ნივთებით, ამავე გორაზე გათხრილი ციხის მრავალრიცხოვანი საწარმოო უბნები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ საირხის ადგილას არსებობდა დიდი საქალაქო-სავაჭრო და სახელოსნო ცენტრი, რომლის წარმოქმნა-განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა რკინის ფართო წარმოება უნდა ყოფილიყო[54].

---

52 ო. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები). — ვანი I. თბ., 1972, გვ. 21—25.

53 В. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды. II, с. 2—6; ვ. ფოცხიშვილი. მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან.—ვანი II. თბ., 1976, გვ. 68—79.

54 ვ. ნადირაძე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975, გვ. 80—146; მისივე, საირხე — საქართველოს უძველესი ქალაქი. წ. I. თბ. 1990, გვ. 8—22, 130—154.

იმავე ყვირილის ზემო წელზე, სოფელ ითხვისში (ჭიათურის მახლობლად) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია მშრალად ნაგები ქვის შენობის ნაშთებს. ნიშანდობლივია, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ამ ადგილს „ბერძენთა ნასახლარს“ უწოდებენ. აქვე გაითხარა ძვ. წ. V—IV სს-ის მდიდრული სამარხები იმპორტული კერამიკით, აგრეთვე, ლითონის წარმოების ნაშთები და სხვა. ყოველივე ეს მეტყველებს ადრეანტიკურ ხანაში ამ რეგიონის დაწინაურებასა და აქ ქალაქური ტიპის დასახლების არსებობაზე[55].

ძვ. წ. VI—V სს. მჭიდროდ დასახლებული ჩანს მდ. ფასისის (რიონის) ქვემო წელიც, სადაც არქეოლოგიური დაზვერვებით ბუნებრივ ან ხელოვნურად აღმართულ ბორცვებზე მიკვლეულ იქნა რამდენიმე ქალაქური ტიპის დასახლება. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამოსახლო ბორცვები საგვიჩიოს, სირიაჭყონის, კონძას და ნანდეუს მიდამოებში (რიონსა და მდინარე ფიჩორას შორის). მართალია, დღეს საგვიჩიოს ბორცვები მდ. რიონის ნაპირიდან 500-ოდე მეტრით არის დაშორებული, მაგრამ ძველად, როგორც ვარაუდობენ, მდინარის კალაპოტი უფრო სამხრეთით მიემართებოდა, ისე, რომ დასახელებული ბორცვები განლაგებული უნდა ყოფილიყო სწორედ მდ. რიონის ნაპირას, ზედ სამდინარო გზაზე[56].

ანტიკური ხანის სამოსახლოთა მთელი სისტემა იქნა გამოვლენილი აგრეთვე ზემოხსენებული ბორცვების დასავლეთით, ზღვიდან 15—18 კმ-ის დაშორებით, მდ. რიონის ორივე ნაპირას (საქორქიო, ქვემო ჭალადიდი და სხვ.). აქ აღმოჩენილი იმპორტული კერამიკის მიხედვით მკვლევარნი ვარაუდობენ ამ სამოსახლოს მჭიდრო ტერიტორიულ და ეკონომიკურ კავშირს ქ. ფასისთან[57].

ანტიკური ხანის კოლხეთის ამ რეგიონებში საქალაქო ცხოვრების განვითარებას, არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად, მოწმობენ წერილობითი წყაროებიც.

---

55 რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. 1963 წელს ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიციის შუშაობის შედეგები; იხ. ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. საირხე—საქართველოს უძველესი ქალაქი, გვ. 20.

56 გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, გ. ლ ო რ თ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასავლეთ საქართველოს 1966 წ. სადაზვერვო-არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები; გ. გ რ ი გ ო ლ ი ა. დასახ. ნაშრ. გვ. 32—33.

57 თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე (მასალები ძველი ფასისის ისტორიისათვის). — კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. I. თბ., 1978, გვ. 120—122.

[illegible], წყაროებმა არ შემოგვინახეს შიდა კოლხეთში არსებული ქალაქთა სახელწოდების უმრავლესობა, მაგრამ მათში მკვეთრად [illegible] ფასისი-რიონის გაყოლებით, მის ქვემო და შუა წელზე, ადრეანტიკურ ხანაში განვითარებული საქალაქო ცხოვრებისა და მრავალ[illegible] ქალაქების არსებობის ფაქტი[58].

ადრეანტიკური ხანის ქალაქური ტიპის დასახლება სავარაუდოა [illegible] ხობის მარჯვენა ნაპირას, მისი შესართავიდან 2 კმ-ის დაშორებით, სოფ. ქარიატაში. აქ აღმოჩენილი იმპორტული ამფორები და [illegible] კერამიკა მოწმობს სანაოსნო მდინარე ხობის მეშვეობით ამ სამოსახლოს მჭიდრო ურთიერთობას იმდროინდელ საზღვაო-სავაჭრო [illegible]ებთან.

[illegible] უნდა აღინიშნოს ენგურის ქვემო წელის მარცხენა ნაპირას [illegible]ებისა და შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად გამოვლენილი [illegible]ოლოგიური და ნუმიზმატიკური მონაპოვარი, რომელიც მოწმობს ადრეანტიკური ხანის კოლხეთის ამ რეგიონის განვითარების მაღალ [illegible]ს. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევენ ზუგდიდის გარ[illegible] [illegible]ილი კოლხური მონეტების განძები სოფ. ჯუმიდან, სოფ. [illegible]ტიდან, სოფ. რუხიდან, სოფ. ახალ აბასთუმნიდან, სოფ. ჭითა[illegible]ან და სხვ[59]. ამ მხარის განვითარებას ხელს უწყობდა, როგორც [illegible], ნაოსნობა მდინარე ენგურის ქვემო წელზე, ნაწილობრივ, სხვა [illegible]ებზეც, აგრეთვე ხელოვნური არხების სისტემა (რომლის შე[illegible] ზემოთ გვქონდა საუბარი). მოტანილი მასალა, სახელდობრ კი, [illegible] მონეტების (მათ შორის უნიკალური ტიპების) შემცველი [illegible]ების თავმოყრა ენგურის ქვემო წელის აუზში, უთუოდ, ნიშანდობლივი ფაქტია და იმის მაჩვენებელიც, რომ ადრეანტიკურ ხანაში [illegible]ებული რეგიონის საზოგადოება აქტიურად იყო ჩაბმული [illegible] სახელმწიფოებრიობის შექმნის პროცესში.

ზემოთქმულის თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს ასევე ენგურის მარცხენა ნაპირთან, სოფ. ჭუბურხინჯში 1890 წელს, სპილენძის, ოქროს და ვერცხლის ნივთებთან ერთად, აღმოჩენილი სწორი [illegible] ჯოხების მსგავსი ვერცხლისა და ოქროს ზოდები, რამდენიმე

[illegible] მეცნიერებაში გვაქვს ჰიპოკრატეს და პლინიუსის ცნობები (H i p p o c r a t e s. [illegible] locis, 15; Plin. NH, VI, 15). ამ საკითხის შესახებ იხ.: მ. ი ნ ა ძ ე. [illegible] ზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1982, გვ. 24—27; [illegible]

[illegible] ხ ო შ ტ ა რ ი ა. არქეოლოგიური ძეგლები. გვ. 238—241.

ნაჭდევით თითოეულზე. როგორც ცნობილია, ლითონის ასეთი ჩხირები მონეტის შემოღებამდე არაერთ ქვეყანაში იხმარებოდა ღირებულების საზომად[60].

ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქებისა და ქალაქური ტიპის დასახლებათა განლაგება კოლხეთის მთავარი მაგისტრალების ხაზზე (რიონ-ყვირილა, ხობი), ასევე აქ აღმოჩენილი იმპორტული კერამიკა, ადგილობრივი და უცხოური მონეტები უდავო მაჩვენებელია იმ დიდი მნიშვნელობისა, რომელსაც რეგულარული საშინაო და საგარეო ვაჭრობა ასრულებდა კოლხეთში საქალაქო ცხოვრების განვითარების პროცესში.

რეგულარული სავაჭრო ურთიერთობის დამყარებასთან იყო დაკავშირებული, ასევე კოლხეთის სანაპიროზე, მოსახერხებელ უბეებთან და მდინარეთა შესართავებთან განლაგებული მსხვილი სამოსახლოების შემდგომი დაწინაურება და მათი დიდ ქალაქებად განვითარების პროცესის დასრულება (ფიჭვნარი, ფასისი, დიოსკურია, გიენოსი). ივ. მჭედლიძე იყო გადანასკვული აქ ბერძნული ახალშენების დაარსებასთან, რაც კოლხეთის ზღვისპირა ქალაქთა განვითარებას თავისებურ იერს აძლევდა.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ძვ. წ. II—I ათასწლეულებში, კოლხეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ხანგრძლივი და რთული პროცესი ადრეკლასობრივი საზოგადოების განვითარებისა. ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევრისთვის აქ სახეზეა საზოგადოება მრავალდარგობრივი მეურნეობით, დაწინაურებული მიწათმოქმედებით, მევენახეობით, განვითარებული ხელოსნური წარმოებით, საქალაქო ცხოვრებით, რეგულარული ვაჭრობით, ადგილობრივი სამონეტო სისტემით. ყოველივე ეს კი იმის მომასწავებელია, რომ აღნიშნული ხანის კოლხეთში სავსებით მომზადებულია ნიადაგი სახელმწიფოს წარმოქმნისთვის.

არქეოლოგიური მასალების განხილვის შუქზე წარმოდგენილი კოლხეთის ძველი საზოგადოების განვითარების ეს სურათი ნათელყოფს, რომ წინაანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VIII—VII სს.) კოლხური კულტურის მატარებელ ტომებში მიმდინარეობს დიდი მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიკური ძვრები, რომელნიც მყარ საფუძველს უქმნიან კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბებას.

---

[60] А. А. Иессен. Т. С. Пассек. Золото Кавказа,—ИГАИМК, Вып. 110. 1935, С. 173—174; იხ. მ. ინ ა ძ ე. სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში.—კავკ.-ახლოაღმ. კრებული, II, თბ., 1962, გვ. 87, 88.

3. ანტიკური ხანის კოლხეთის პოლიტიკური გაერთიანება

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ადრეული პოლიტიკური გაერთიანების — კოლხეთისა და იბერიის სამეფოების — აღმოცენების დროის, მიზეზების, მათი პოლიტიკური თუ სოციალური წყობის საკითხები ქართული ისტორიოგრაფიის უაღრესად რთულ პრობლემათა წრეს განეკუთვნება. ეს პრობლემები ადრევე იდგა ქართველ მეცნიერთა წინაშე[61] და დღესაც საქართველოს ძველი ისტორიის მეცნიერთა შესწავლის ერთ-ერთ უმთავრეს საგანს წარმოადგენს. ამგვარად დასახელებული პრობლემები მუშავდება როგორც წერილობითი წყაროებისა და ნუმიზმატიკური ფაქტების ანალიზის, ასევე, ბოლო წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ფართოდ გამოყენების საფუძველზე[62]. მაგრამ ზემოაღნიშნული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების შესწავლა მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე მოითხოვს არა მხოლოდ უახლესი არქეოლოგიური და ისტორიული დამხმარე დისციპლინათა მონაცემების გამოყენებას, არამედ ამ შედეგების გათვალისწინებასაც, რომლებიც მიღებულია ამ ბოლო დროს ახლო აღმოსავლეთისა და შავიზღვისპირეთის ძველ საზოგადოებებში ადრეკლასობრივი სახელმწიფოების ისტორიის შესწავლის სფეროში.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს დასავლეთ შავიზღვისპირეთში თრაკიელთა სახელმწიფოს (ე. წ. ოდრისთა სამეფოს) ისტორიის ბოლოდროინდელ-ძიებით მოპოვებული უახლესი მიღწევები[63].

---

[61] საქართველოს ისტორია. ნაწ. I. ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები. II. თბ., 1952, გვ. 50 და შემდ.

[62] I. A. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ., 1970; М. П. Инадзе. Причерноморье города древней Колхиды. Тб., 1968; ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი.—„მაცნე" (ისტორიის სერია), 1976, № 2, გვ. 127 და შემდეგ. მისივე. Наследие древней Грузии. Тб., 1989, с. 219—308; Т. К. Микеладзе. К Вопросу о периодизации истории древней Колхиды.—Вопросы древней истории (Кавказско-ближневосточный сборник). IV. Тб., 1973, გვ. 126 და შემდ.; Г. Лордкипанидзе. Колхида в VI—II вв. до н. э. Тб., 1978.

[63] თრაკიელთა სახელმწიფოს საკითხები სადღეისოდ ყველაზე სრულად, უახლესი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მონაცემების გამოყენებით, შესწავლილია ბულგარელ მეცნიერებში: Т. Д. Златковская. Возникновение государства у

თრაკიელ ტომებში სახელმწიფოს (ოდრისთა სამეფოს) წარმოქმნა-განვითარების პროცესის განხილვა გვარწმუნებს, რომ იგი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს კოლხურ საზოგადოებაში მიმდინარე ამავე რიგის პროცესთან. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მსგავსება შეინიშნება არა მხოლოდ ამ სახელმწიფოთა ფორმირების მსვლელობაში, მის გამომწვევ მიზეზებში, არამედ მათი პოლიტიკური ორგანიზაციის ხასიათსა და სოციალურ-ეკონომიკურ წყობაშიც. რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ მხოლოდ ოდრისთა სამეფოსთან პარალელების გავლებით და მათზე დაყრდნობით ვამტკიცოთ კოლხეთში ამა თუ იმ სოციალური, თუ პოლიტიკური ინსტიტუტის არსებობა, ანდა კონკრეტულად ვიმსჯელოთ კოლხეთის საზოგადოებისა და სახელმწიფოს რაობაზე, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ასეთი შედარებითი შესწავლა სასარგებლოა, რადგან იგი შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ღრმად გავიაზროთ ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო (წერილობითი, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური) მონაცემები კოლხეთის სამეფოს შესახებ და, ამასთან, უფრო დაბეჯითებით ვამტკიცოთ როგორც ჩვენი, ისე სხვა მკვლევართა მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება ზემოდასახელებული საკითხების შესახებ.

პროცესები, რომლებიც თრაკიაში მიმდინარეობდა აღებულ ხანაში, საგულისხმოა ძველი კოლხეთის ისტორიის მკვლევართათვის იმ თვალსაზრისითაც, რომ მათში განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა წინაკლასობრივიდან ადრეკლასობრივ საზოგადოებაში გადასვლის მთელი ის კანონზომიერება, რომელიც ანტიკური სამყაროს პერიფერიისათვის იყო დამახასიათებელი. ამასთან, აქ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო დიდხანს და უფრო სრულად შემოინახა ადრეკლასობრივი საზოგადოების განვითარებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, ისევე როგორც კოლხეთში, თრაკიაშიც სახელმწიფოებრიობა ჩაისახა უფრო ადრე, ვიდრე აღნიშნული საზოგადოებები მოექცეოდნენ ბერძნული ცივილიზაციის გავლენის სფეროში. ეს გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს თვალი გავადევნოთ იმ ფაქტორებს, რომელთაც მოამზადეს აქ სახელმწიფოს წარმოქმნა მათ თვითმყოფად მდგომარეობაში, ე. ი. შევისწავ-

---

фракийцев. М., 1971; Хр. Данов. Древна Тракия. София, 1969; Хр. М. Данов. Древняя Фракия. Л., 1969 (Автореферат докт. диссертации).

[illegible] ამ სახელმწიფოების წარმომშობი შინაგანი მამოძრავებელი ძალები. მეორე მხრივ, ეჭვი არ არის, რომ სიახლოვემ და მჭიდრო ურთიერთობამ ელინური სამყაროს მსხვილ ცენტრებთან, რომლებისთვისაც დამახასიათებელი იყო უფრო განვითარებული ეკონომიკა და რომლებსაც ადრე მიაღწიეს სახელმწიფოებრიობას, აგრეთვე გაცხოველებულმა საეკონომო ურთიერთობებმა და მრავალსაუკუნოვანმა კულტურულმა კავშირებმა ცივილიზაციის სხვა კერებთან (წინა აზია, ანატოლია), ერთგვარად დამაჩქარებელი როლი შეასრულეს როგორც [illegible], ასევე კოლხეთის საზოგადოებების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.

* * *

მკვლევართა დიდი ნაწილი ოდრისთა სამეფოს წარმოქმნის თარიღად ასახელებს ძვ. წ. 480—460 წლებს, ანდა ძვ. წ. V ს. დასაწყისს[64], თავისი აღმავლობის მწვერვალს იგი აღწევს ტერეუსის შვილის, სიტალკესის დროს[65].

სიტალკესის მეფობა ოდრისთა სახელმწიფოს ფორმირების ისტორიაში გვევლინება თვისობრივი გარდატეხის, ერთგვარი კულმინაციის ხასიათ. სამეფოს საზღვრები ამ დროს უჩვეულოდ ფართოვდება [illegible] მოიცავს ვრცელ ტერიტორიას—თითქმის მთელ დასავლეთ შავიზღვისპირეთს მდ. დუნაიმდე), იზრდება სამეფო ხელისუფლების მნიშვნელობაც, მტკიცდება სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც წარმოიქმნება სატომო და სახელმწიფო საწყისების შერევის საფუძველზე. ამავე დროს განეკუთვნება, აგრეთვე, თრაკიის მნიშვნელობის ზრდა ანტიკური ხმელთაშუაზღვისპირეთის პოლიტიკურ სარბიელზე[66].

ანალოგიური სურათი იშლება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ. წ. VI ს. უკანასკნელ მეოთხედსა და V ს. ეს არის კოლხური ტომების სახელმწიფო გაერთიანების საბოლოო ფორმირების ხანა. ამავე დროს, აქაც სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესის დასრულებას ემთხვევა კოლხთა სატომო ბირთვის განსაკუთრებული გააქტიურება, მისი პოლიტიკური გავლენის ზრდა (სამხრეთით და ჩრდილოეთით მცხოვ-

---

[64] Хр. Данов. Древна Тракия. გვ. 172—194; მისივე. Social and Economic Development of the Ancient Thracian in Homerik, Archaic and Classical times. «Studies historiques à l'occassion du XI Congrés Internationale des sciences historiques à Stockholme», I, Sofia, 1960, გვ. 3—30.

[65] Хр. Данов. Древна Тракия. გვ. 175.

[66] Г. Д. Златковская, დასახ. ნაშრ., გვ. 8 და შემდ.

რებ მეზობელ ტომებზე) და სახელმწიფოს ტერიტორიის გაფართოება[67]. ბერძენ ავტორთა (ჰეროდოტე[68], ფსევდო-სკილაქს კარიანდელი[69] და სხვ.) ცნობების თანახმად, ამ დროს კოლხთა გაერთიანების საზღვრები მოიცავს მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს: იგი წარმოგვიდგება საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად, რომელიც რთულ საგარეო ვითარებაში, სპარსეთის იმპერიის მიმართ გარკვეული დათმობების გზით, ახერხებს ერთგვარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას[70].

კოლხთა წამყვანი როლი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სახელმწიფოს შექმნის პროცესში განპირობებული იყო მთელი რიგი ფაქტორებით. ძველბერძნული წყაროების (ჰეკატაიოს მილეტელის, ჰეროდოტეს, ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ცნობების) და არქეოლოგიური მასალის კვლევამ ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ კოლხთა სატომო ბირთვმა ადრიდანვე (საფიქრებელია, კულხას, ანუ კოლხას პოლიტიკური გაერთიანების განადგურების შემდეგ, ე. ი. VIII ს-ის დასასრულიდან) მოიპოვა დომინირებული მდგომარეობა ქვეყნის ყველაზე ნაყოფიერ და ბუნებრივი რესურსებით მდიდარ მიწებზე — მდინარე რიონის აუზსა და მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე (ქ. ქუთაისიდან ზღვამდე), რასაც შედეგად მოჰყვა მისი შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურება და სხვა დასავლურ-ქართველურ ტომებთან (ეგრებთან, ფასიანებთან) ერთად აქტიური ჩაბმა კოლხეთის სახელმწიფოს შექმნის პროცესში[71].

---

[67] М. П. Инадзе. О времени образования Колхидского царства по данным древнегреческих авторов.—Вопросы древней истории (Кавказско-ближневосточный сборник). IV. Тбилиси, გვ. 156.

[68] Her., Hist., IV, 37, 38.

[69] Ps.-Scyl., Peripl., 77—84.

[70] М. П. Инадзе. О времени образования..., გვ. 167

[71] ზემოაღნიშნულის თვალსაზრისით, უთუოდ, ანგარიშგასაწევი გარემოებაა ჰეკატაიოს მილეტელის მიერ კოლებისა და კორაქსების კოლხურ ტომად მოხსენიება. ამასთან, კოლების კავკასიონთან მოსახლე ტომად წარმოდგენა; გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ამავე ავტორის ის ცნობაც, რომელშიც დასახელებულია „კავკასიონის ქვედა ფერდები, კოლიკედ წოდებული მთები“ (Hec., fr. 185, 186). ამ სახელწოდების ფუძე „კოლ“ იმით იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ იგი დადასტურებულია, უფრო გვიან, სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ოლქის სახელში („კოლა“) (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1960, გვ. 12). ორივე ეს სახელწოდება („კოლები“ და „კოლა“) უკავშირდება ამავე ფუძის მქონე ეთნონიმს „კოლ-ხი“

[illegible] ამისა, კოლხეთის აღნიშნულ მხარეს მოსახერხებელი მდებარეობა ეჭირა თავისი სამდინარო კომუნიკაციებით, რომელთა მეშვეობით კოლხებს ადვილად შეეძლოთ როგორც ლითონით მდიდარ მთიან რეგიონებთან, ისე ზღვის სანაპიროსთან დაკავშირება. კოლხთა საგანმანათლებლო ბირთვის ამ მთავარ ადგილსამყოფელს სტრატეგიული უპირატესობაც ჰქონდა. აქაურ მოსახლეობას ნაკლებად შეეხო ის პოლიტიკური გართულებები, რომლებიც თან სდევდა ურარტელთა და კიმერიელთა, შემდეგ კი სპარსელთა ლაშქრობებს ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში[72].

კოლხთა და თრაკიელ ტომთა პოლიტიკური გაერთიანებების შედარებითი შესწავლისას ჩვენი ყურადღება უნდა შევაჩეროთ მათ წარმოშობის მიზეზებსა და პოლიტიკური ორგანიზაციის ხასიათზე.

როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, თრაკიელ ტომთა პოლიტიკური გაერთიანების აღმოცენებას საფუძველი მოუმზადა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებამ. სახელდობრ, საერთოთრაკიული ეკონომიკური ერთობის შექმნამ. იგი გაივლის რამდენიმე ეტაპს. უკვე ძვ. წ. VIII—VII სს. წარმოება ემყარება ადგილობრივ ნედლეულს და ემსახურება [illegible] ტომთა კავშირს ან რამდენიმე ტომის გაერთიანებას. ძვ. წ. VII—VI სს., პერიოდში, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ოდრისი-

---

[illegible] ბელი გარემოება, ჰეროდოტეს და ფსევდო-სკილაქსის ზემოთ მოტანილ ცნობებთან ერთად, იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ დიოსკურიის (დღ. სოხუმის) [illegible], მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მთაგორიანი ადგილები და სანაპირო ზოლიც ადრეანტიკური ხანისათვის კოლხური წარმომავლობის ტომებით იყო [illegible] (თვით ქ. დიოსკურია, ფსევდო-სკილაქსის ჩვენებით, კოლხთა მიწა-წყალზე მდებარეობდა (Ps.-Syl., fr., 81). ამ დროს აქ, როგორც ჩანს, პოლიტიკურად [illegible], უთუოდ, ეთნიკურადაც წამყვანია კოლხური ელემენტი. მყარია და ძლიერი [illegible] კოლხური კულტურის ტრადიციებიც, რომლის გავლენა ჩანს ამ ტომებისგან [illegible] მატერიალურ კულტურაშიც (ყულანურხვის სამაროვანი, ლიხნის და [illegible] ცულების განძი, არქეოლოგიური მონაპოვარი სოხუმის მიდამოებში და სხვ.) (იხ. ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1964). [illegible], კოლხთა ჩრდილოეთით, კავკასიონის ფერდებამდე მოსახლე სწორედ ეს [illegible] მოდგმის კოლები და კორაქსები უნდა იგულისხმებოდნენ ჰეროდოტეს [illegible] დასახელებულ იმ ტომებში, რომელთაც, „ისტორიის მამის“ ცნობით, კოლხებთან ერთად, ნებაყოფლობით აღიარეს სპარსეთის გავლენა და იკისრეს მისთვის [illegible] ოთხ წელიწადში ერთხელ ძღვენის გაღება (Her., III, 97).

[72] ბ. ინაძე. ანტიკური ხანის კოლხეთსა და თრაკიაში სახელმწიფოს წარმოქმნა-განვითარების ისტორიული პარალელები. — კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. VI. თბ., 1979, გვ. 131.

თა სამეფოს წარმოქმნას, შეინიშნება საერთოთრაკიული ეკონომიკური კავშირების ზრდა, კერძოდ, ხელოსნური ნაწარმი ვრცელდება მისი დამამზადებელი ცენტრებიდან საკმაოდ დაშორებულ რაიონებში. ძვ. წ. VI—V სს. თრაკიელთა ეკონომიკური კონსოლიდაცია კიდევ უფრო ძლიერდება, რაც გამოიხატა მატერიალური კულტურის საერთოთრაკიული ტიპების შექმნაში, ასევე, სახელოსნო ნაწარმის უნიფიკაციაში (ერთი და იმავე ტიპის ნაწარმი მზადდება მთელი ქვეყნის მასშტაბით). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იმდროინდელი ლითონისა და კერამიკული ნაწარმი ზუსტად თავსდება ოდრისთა სამეფოს საზღვრებში. მკვლევართა აზრით, სწორედ ეს ფაქტი არის არსებითი ნიშანი თრაკიაში ეკონომიკური ერთობის შექმნისა, რაც საფუძვლად დაედო ამ მოსახლე ტომთა პოლიტიკურ კონსოლიდაციას[73].

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური ვითარება დასტურდება კოლხეთშიც, პოლიტიკური გაერთიანების შექმნის ხანაში. დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კოლხეთში, ძვ. წ. VI—IV სს., სავსებით აშკარად შეინიშნება ხელოსნური ნაწარმის ძირითადი ფორმების სტანდარტიზაცია: სხვადასხვა საწარმოო ცენტრი, ზოგჯერ ალბათ, ტერიტორიულად ერთმანეთს საკმაოდ დაშორებულიც, ამზადებს ფორმითა და ორნამენტაციით ერთგვაროვან პროდუქციას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა, რომელიც თრაკიის, ისევე როგორც კოლხეთის, ცალკეულ ოლქებს ერთიან ეკონომიკურ სისტემაში აქცევდა, ხელოსნური ნაწარმის უნიფიკაციასთან ერთად, იყო ფულადი მიმოქცევა, დაფუძნებული ერთიან სისტემაზე. შინათრაკიული და შინაკოლხური ბაზრებისათვის მოჭრილი მონეტების არაჩვეულებრივი სიმრავლე ქვეყნის სხვადასხვა ოლქში, თავისთავად, მეტყველებს წარმოების სასაქონლო ხასიათსა და ვაჭრობის ორგანიზაციის მაღალ დონეზე.

ამრიგად, ძვ. წ. VI—IV სს. ხელოსნური წარმოებისა და სამონეტო სისტემის ასეთი განვითარება სრულ უფლებას გვაძლევს დავინახოთ კოლხეთში, ისევე როგორც თრაკიაში, საზოგადოების რთული ეკონომიკური სტრუქტურა, რაც საფუძვლად დაედო პოლიტიკური გაერთიანების ჩამოყალიბებას.

---

[73] Т. Д. Златковская. დასახ. ნაშრ. გვ. 56 და შემდ.; Chr. Danov. Social and Economic Development..., გვ. 3—30.

ბოლოს საერთოთრაკიული პოლიტიკური გაერთიანების წარმოქმნის პროცესის კვლევა-ძიების შედეგების განხილვა გვარწმუნებს, რომ ეკონომიკური ერთობა არ იყო ერთადერთი წინამძღვარი, რამაც განაპირობა აღნიშნული პროცესის დასრულება და ოდრისთა სამეფოს საბოლოოდ ფორმირება. აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი, ანუ, მკვლევართა აზრით, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა თრაკიელ ტომთა პოლიტიკურ კონსოლიდაციაში; ესაა გარეპოლიტიკური ფაქტორი, რომელიც იქმნება თრაკიის მახლობლად მისი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ხანაში; იგულისხმება ის დიდი ძვრები, რომლებიც გადაუარა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, ძვ. წ. VI ს. დასასრულსა და V ს. დასაწყისში, იმდროინდელი ოიკუმენეს უმსხვილესი სამხედროპოლიტიკური ძალების — ელინური სახელმწიფოებისა და სპარსეთის სამეფოს — შეტაკებამ[74]. ზოგიერთი მკვლევარი (ქრ. დანოვი) ვარაუდობს, რომ რამდენიმე სატომო ერთეულის ერთმანეთთან შეკავშირებისა და გაერთიანების ტენდენცია, გარეპოლიტიკური სიტუაციის გართულების გამო, უფრო ადრეც (ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ს. უკანასკნელ მეოთხედში) ხდება თრაკიაში. სახელდობრ, ეს იდეა პირველად უნდა ჩამოყალიბებულიყო თრაკიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლე ტომებში, რომელთაც განსაკუთრებით მწვავედ განიცადეს სპარსელთა დამპყრობლების შედეგები[75]. პოლიტიკური შეკავშირებით ამ ტომებს საშუალება მიეცა დაეღწიათ სპარსეთის მბრძანებელთა აგრესიისაგან. ამ ეტაპის ხანაში (ძვ. წ. V ს. დასაწყისი), საგარეო ვითარების გარდაქმნასთან ერთად, ერთიანი სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნის ტენდენციასთან ძლიერდება და რეალურ სახეს იღებს.

ამრიგად, მკვლევართა აზრით, გარეპოლიტიკური სიტუაციის გამწვავებამ თვით თრაკიის საზოგადოებაში ეკონომიკური პირობების მომწიფებას (საერთოთრაკიული ეკონომიკური ბაზის მომზადებას), რასაც შედეგად მოჰყვა თრაკიელთა შეკავშირება ოდრისთა სამეფო ბირთვის გარშემო და თავისებურ სახელმწიფო ორგანიზაციად ჩამოყალიბება[76].

---

[74] H. Beloch. Griechische Geschichte. Berlin-Leipzig, 1923, III, 2, გვ. 85; Кр. М. Данов. Древняя Фракия. გვ. 56; Т. Д. Златковская. დასახ. ნაშრ., გვ. 8, 9.

[75] Кр. М. Данов. Древняя Фракия. გვ. 57, 69, 70.

[76] Т. Д. Златковская. დასახ. ნაშრ., გვ. 9, 10.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური მოსაზრება გარეპოლიტიკური ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ კოლხეთის სამეფოს საბოლოოდ ფორმირების პროცესში გატარებულია ჩვენს ნაშრომებში, რომლებშიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიის სხვა საკითხებთან ერთად, განხილულია კოლხეთის სამეფოს წარმოქმნის პირობები და მიზეზები[77]. სახელდობრ, ძველ ბერძენ ავტორთა—ჰეკატეოს მილეტელის, ჰეროდოტეს, ფსევდო-სკილაქსის—ცნობების ურთერთშედარებისა და ანალიზის საფუძველზე ვვარაუდობთ, რომ კოლხთა სამხრეთი მეზობელი ტომები (ბექირები და ბიძერები) კოლხებს უნდა შეკავშირებულიყვნენ სწორედ დარიოსის მიერ იმპერიის სატრაპიებად დაყოფის წინ (ძვ. წ. VI ს. 20-იან წ-მდე), იმ მიზნით, რომ თავი დაეღწიათ სპარსეთის აგრესიისაგან და არ მოხვედრილიყვნენ მის უშუალო შემადგენლობაში (ე. ი. არ გადაქცეულიყვნენ იმპერიის ფისკალურ-ადმინისტრაციულ ერთეულად, მის შემადგენელ ნაწილად). ამავე ხანას მივაკუთვნებთ, და ძირითადად ამითვე ვხსნით, კოლხეთის გარშემო სხვა, სამხრეთ მეზობელი სატომო ერთეულების შემომტკიცებას და მათი დიდი გაერთიანების შექმნას (ძვ. წ. VI ს. უკანასკნელ მეოთხედისათვის). ოდრისთა სამეფოს წარმოქმნასთან პარალელურად გავლენა შესაძლებლობას გვაძლევს მეტი დაბეჯითებით ვამტკიცოთ, კოლხეთის პოლიტიკური გაერთიანების ფორმირების პროცესში სხვა, მესამე ფაქტორის მნიშვნელობა.

ამრიგად, თავისი ფორმირების დასასრულისათვის (ძვ. წ. VI ს. 20-იანი წლები) კოლხთა პოლიტიკური გაერთიანება, ისევე როგორც ოდრისთა სამეფო, წარმოგვიდგება თავისი პოტენციალით საკმაოდ ძლიერ სახელმწიფო ორგანიზმად, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მრავალი სატომო ერთეულის თავმოყრა და ტერიტორიის სიფართოვე.

მაგრამ აქვე დგება მეორე საკითხი — გულისხმობს თუ არა კოლხურ და თრაკიელ ტომებში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური კონსოლიდაციის პროცესი იმას, რომ მათ მიერ შექმნილი გაერთიანებანი წარმოადგენდნენ მყარ, საკმარისად ორგანიზებულ და მტკიცედ ადმინისტრირებულ სახელმწიფოებს; რამდენად შეესაბამებოდა კოლხეთის ან თრაკიის საზოგადოების იმდროინდელი ეკონომიკური [illegible]

[77] М. П. Инадзе. Причерноморские города древней Колхиды. გვ. [illegible] და შემდ.; მისივე. О времени образования Колхидского царста... გვ. 156 და შემ[illegible]

[illegible] მათი პოლიტიკური კონსოლიდაციის ხარისხს, ანდა [illegible] განსაზღვრავდა ზემოაღნიშნული ერთიანი ეკონომიკური [illegible] არსებობა ამ ქვეყნებში მათი პოლიტიკური ორგანიზაციის [illegible]

[illegible] პასუხის გაცემა მოითხოვს შევეხოთ ოდრისთა და [illegible] სახელმწიფოების პოლიტიკური და სოციალური წყობის საკითხს.

[illegible] და ეთნოგრაფიული წყაროები მოწმობენ, რომ [illegible] პოლიტიკური გაერთიანების არსებობის ადრეულ ეტაპზე [illegible] ერთპიროვნულად წყვეტდა საგარეო პოლიტიკასთან [illegible] საკითხებს. ამ დროს თრაკიის მბრძანებელთა ხელში [illegible] იყო მეფისა და ქურუმის ფუნქცია[78]. მაგრამ, როგორც [illegible] ვიგულისხმავთ, თრაკიელ მეფეთა ხელისუფლება მაინცდამაინც [illegible] გამოირჩეოდა სიძლიერით. ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა პარადინასტების ინსტიტუტი, რომელიც ოდრისთა სამეფოს [illegible] პოლიტიკური ორგანიზაციის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ [illegible] წარმოადგენს.

[illegible] წყაროებსა და ნუმიზმატიკურ მონაცემებზე დაყრდნობით [illegible] ოდრისთა სამეფოს პოლიტიკურ სტრუქტურას [illegible] წარმოგვიდგენენ. სამეფო (უფრო სწორად მისი ერთი [illegible] დაყოფილი იყო საგამგეო ოლქებად, რომელთა სათავეში [illegible] მმართველი პარადინასტები — თრაკიის უძლიერესი ტომ[illegible] [illegible], ისინი ხშირად ნათესაურ კავშირში იმყოფებოდნენ [illegible] მეფესთან (სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებად გვევ�dნ[illegible]), ჩვეულებრივ, პარადინასტები მეფისაგან იღებდნენ საგამგეო [illegible], ამასთან, თავდაპირველად, მათ სამმართველოდ შეიძლება [illegible] [illegible] სხვადასხვა ოლქი. ოდრისთა სახელმწიფოს ასეთ [illegible], თქმა, ერთგვარი წინსვლა უნდა დავინახოთ სატომო კავშირის [illegible] სტრუქტურასთან შედარებით, ხოლო პარადინასტები წარმოვი-

[illegible] Т. Д. Златковская. О происхождении некоторых элементов куг[illegible] образа у болгар, СЭ, 1967, № 3, გვ. 31—46, საგულისხმოა, რომ დე[illegible] [illegible] მონეტებზე გამოსახულია ხარებშებმულ ეტლზე მდგომი მეფე, რომელ[illegible] [illegible] ხვნის ცერემონიალს ასრულებს (Т. Д. Златковская. Возникновение государства у фракийцев. გვ. 226 და შემდ.).

[illegible] Дайрски. Исторически поглед върху нумизматика на тракийс[illegible] [illegible] (Т. Д. Златковская. Возникновение государста..., გვ. 230 [illegible]

დგინოთ ადმინისტრაციულ პირებად[80]. მაგრამ საკითხი ასე მარტ[illegible] არ წყდება. საქმე ის არის, რომ პარადინასტები მხოლოდ ადმინისტ[illegible]ციულ მოხელეებად არ წარმოგვიდგებიან. როგორც წერილობ[illegible] წყაროებიდან (თუკიდიდე[81], ქსენოფონტი[82] და სხვ.) ირკვევა, თავ[illegible] საგამგეო ოლქებში ისინი ხშირად თითქმის არ განსხვავდებოდნ[illegible] ფისაგან, დიდი გავლენით სარგებლობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხ[illegible]რებაში და თავისი მმართველობის ცალკეულ პერიოდში იჩენ[illegible] სრული გამოყოფისა და დამოუკიდებლობის ტენდენციას[83]. მაგრამ [illegible]სებობს სხვა ისტორიულ-ლიტერატურული გადმოცემებიც, რომ[illegible] მიხედვით, პარადინასტების შედარებით დამოუკიდებლობასთან [illegible]თად, მკვეთრად შეინიშნება სამეფო ხელისუფლებისადმი მათი [illegible]ჩილება, გარკვეული დაქვემდებარება. ზოგ შემთხვევაში, ოდრ[illegible] მეფეები აქტიურად ერევიან პარადინასტების საქმიანობაში, აუქმ[illegible] ან ცვლიან მათ გადაწყვეტილებებს, ანდა მათ მიერ გაცემულ უფ[illegible]ბა-პრივილეგიებს ამა თუ იმ პირებისადმი[84]. პარადინასტების ას[illegible] დაქვემდებარებული მდგომარეობა ცენტრალური ხელისუფლების [illegible] მართ განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს ოდრისის მეფეთა [illegible]ერების ხანაში.

ამრიგად, თრაკიის მეფეთა ხელისუფლების ხასიათისა და პრერ[illegible]გრატივების შესახებ არსებულ წერილობით წყაროებში თვალნათ[illegible] შეინიშნება წინააღმდეგობა. წყაროთა ერთი ნაწილი აშკარად [illegible]ყველებს პოლიტიკური ცენტრალიზაციის ელემენტებზე, ხოლო [illegible] ორე ნაწილი, პირიქით, თითქოს, მიუთითებს მის შეზღუდვასა და [illegible]რადინასტთა შედარებით დამოუკიდებლობაზე[85].

---

[80] Т. Д. Златковская. Возникновение государства..., გვ. 232.

[81] Thuc., II, 97, 3.

[82] Xen., Anab., VII, II, 32—34; VII, VII, 26.

[83] წერილობით ცნობებთან ერთად, ამაზე მეტყველებენ ნუმიზმატიკური [illegible]ტებიც. კერძოდ, ძალზე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზოგიერთი მონეტა იჭ[illegible] როგორც ოდრისთა მეფის, ასევე, მისი თანამმართველი პარადინასტის სახელით. [illegible] თან, მათ მიერ მოჭრილი მონეტების ტიპები ერთმანეთს ემთხვევა. განსხვავება [illegible] ჩანს არც სამონეტო ლეგენდაში. ორივე შემთხვევაში ფიგურირებს მონეტის [illegible]რელთა სახელები მათი ტიტულის გარეშე (Т. Д. Златковская. Возник[illegible]вение государства..., გვ. 235, 236).

[84] Xen., Anab., VII, III, 36; VII, V, 8; VII, VI, 43; VII, VII, I; [illegible] VII, 50.

[85] Т. Д. Златковская. Возникновение государства..., გვ. 238.

[illegible] ამ წინააღმდეგობის საფუძველზე მკვლევარნი ვარაუ-[illegible] ოდრისთა სამეფო წარმოადგენდა ერთიან პოლიტიკურ [illegible] მეტად სუსტი შინაგანი კავშირებით[86]. საქმე ის არის, [illegible] პოლიტიკური ორგანიზაცია არ ამოიწურებოდა მხო-[illegible]ნასტთა საგამგეო ოლქებად დაყოფით. ეს ოლქები, თა-[illegible] ერთიანებდნენ ცალკეულ ტომებს, რომელთა სათავეში [illegible] არისტოკრატიის წარმომადგენელნი, ე. წ. სუბპარადი-[illegible] როგორც არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, აღნიშნული სა-[illegible]ტია, ტომის ბელადები თუ მეთაურები საკმაო ძალა-[illegible] სარგებლობდნენ ოდრისთა სამეფოში. საკმარისია აღინიშ-[illegible] მდელ თრაკიაში გაბნეულია მათი მდიდრული სამარხები, [illegible] ძვ. წ. V—IV სს. განეკუთვნება[88]. ასევე დადასტურებულია [illegible] სატომო ხელისუფალთა რეზიდენციები, ციხესიმაგ-[illegible] სხვ. ამას უნდა დაემატოს ისტორიულ-ლიტერატურულ [illegible], რომელთა თანახმად, საკმაოდ გვიანდელ ხანაშიაც კი, [illegible] ძირითადი დანაყოფების ფორმირება ხდებოდა სატო-[illegible] მიხედვით და თითოეული მათგანის სათავეში იდგა ტო-[illegible] მეთაური[89].

[illegible] საკითხის გასაშუქებლად ძალზე მნიშვნელოვანია, ავ-[illegible] ხანის (დაახლოებით ძვ. წ. 300 წლის) ნუმიზმატი-[illegible] კერძოდ, ბრინჯაოს მონეტები ავერსზე ჰერაკლეს [illegible] (რეკერსზე გამოხატულია ხარი). მონეტას ახლავს [illegible] „ოდროეს", „ოდროსიტონ", „ოდროსონ", „ოდროს", რაც [illegible] სატომო სახელს წარმოადგენს. მონეტაზე მეფის სახელის [illegible] წარწერის მოთავსება აშკარად მოწმობს სამეფოში [illegible] სატომო ინსტიტუტების შემონახვას[90]. ასეთი წარწერის [illegible] ოდრისთა მონეტებზე სამეფოს დაცემისა და დასუსტების [illegible] ტების შემოსევას სდევდა თან, მკვლევართა აზრით, [illegible] სატომო ტრადიციებისა და სატომო მმართველობის [illegible] შენარჩუნებას თრაკიის ყველაზე განვითარებულ ტომ-[illegible]ებშიც კი[91].

[illegible] М. Данов. Древняя Фракия. გვ. 69 და შემდ.

[illegible] Д. Златковская. Возникновение государства..., გვ. 240.

[illegible] 168, 239.

[illegible] Д. Златковская. Возникновение государства..., გვ. 240.

[illegible]

[illegible] Д. Златковская. Мезия в I—II вв. н. э. М., 1951, გვ. 50.

[illegible]

სახელმწიფოს მმართველობის ორგანოების არსებობის პირობებ[illegible]
ში ამ სატომო ინსტიტუტების შენარჩუნებასა და სიმყარეში მკვლევ[illegible]
ნი ხედავენ სწორედ თრაკიის ადრეკლასობრივი სახელმწიფოს დამ[illegible]
სიათებელ ნიშანს, მის სუსტ სიცოცხლისუნარიანობას, რაც გარ[illegible]
მტრების მიერ მიყენებული პირველი დარტყმისთანავე გამოვლინ[illegible]
მაკედონელთა დაპყრობების, კელტების შემოსევების, ან რომაელ[illegible]
ლაშქრობების დროს ცალკეული თრაკიელი ტომები და მათი მეთ[illegible]
რები ისტორიის ასპარეზზე ჩნდებიან და იქიდან არ ქრებიან რო[illegible]
იმპერიის შექმნის ხანაშიც[92].

სატომო ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობა აშკარად ი[illegible]
თავს თრაკიაში მაშინაც, როდესაც რომაელ დამპყრობთა მიერ [illegible]
პროვინციად გადაკეთდა და სტრატეგიებად დაიყო. ეს სტრატეგ[illegible]
ტომთა სახელებს ატარებდნენ და, როგორც ჩანს, მათ მიხედვით [illegible]
ნენ შედგენილნი. რომაელებმა ადმინისტრაციულ ერთეულებ[illegible]
სტრატეგიებს — საფუძვლად დაუდეს ქვეყნის სატომო დაყოფა, [illegible]
მელიც ოდრისთა სამეფოშიც არსებობდა. სტრატეგია, ფაქტიურ[illegible]
წარმოადგენდა სატომო ტერიტორიას[93].

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ადმინისტრაციული დ[illegible]
ფა, რომელიც შემოღებული იყო ოდრისთა სამეფოში, თავდაპირ[illegible]
ლად არ მოიცავდა ამ სახელმწიფოს მთელ პოლიტიკურ სისტემას[illegible]
სისტემა ძირითადად ეყრდნობოდა სატომო დაყოფას. ოდრისთა [illegible]
ფოს ორგანიზაციის პრინციპების ასეთ ორბუნებოვნებაში (სატ[illegible]
და ტერიტორიული) კარგად ვლინდება მისი ადრეკლასობრივი ხ[illegible]
ათი[94].

ოდრისთა სამეფოს პოლიტიკური წყობის თავისებურებათა [illegible]
ხასიათებელი მთელი ეს მრავალმხრივ საინტერესო მასალა იმისა[illegible]
მოვიტანეთ, რომ აღნიშნული პოლიტიკური სისტემა, თავისი სატ[illegible]
ტრადიციებით, გასაოცარ მსგავსებას ავლენს კოლხეთის სხელმწ[illegible]
ორგანიზაციასთან, რომელიც, ჩვენს ხელთ არსებული მწირი წერი[illegible]
ბითი წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძირითადად ასევე ეთ[illegible]
ტერიტორიულ პრინციპზე იყო აგებული.

---

[92] Н. Ф. Мурыгина. Фракия и Рим. Борьба фракийских племен [illegible]
тив римской агрессии во II—I вв. до н. э. и в начале I в. н. э. М., [illegible]
(Автореферат).

[93] Н. Ф. Мурыгина. დასახ. ნაშრ., გვ. 14.

[94] Т. Д. Златковская. Возникновение государства.., გვ. 241.

[illegible] სინამდვილიდან მოტანილი ეს ფაქტები მნიშვნელოვნად [illegible]
[illegible] ჩვენს წარმოდგენებს კოლხთა პოლიტიკური წყობის, მისი ხა-
[illegible] ამასთან, ისინი საფუძველს გვაძლევენ დავრწმუნდეთ, [illegible]
[illegible] საკითხთან დაკავშირებით ანტიკურ მწერლობაში შემონა-
[illegible] ცნობის საფუძველზე, ჩვენს სამეცნიერო ლიტერა-
[illegible] შემოშალებული დებულების სისწორეში.

[illegible] არაერთხელ აღნიშნულა, ამ ცნობათაგან განსაკუთრე-
[illegible] ადგილებს იმსახურებს სტრაბონის გადმოცემა (XI, 2, 18),
[illegible] ასეთად, აიეტის მემკვიდრე „მეფეებს სკეპტუხიებად დაყო-
[illegible] ქვეყანაში (კოლხეთი.—მ. ი.) ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“[95].

[illegible] ცნობის ანალიზის, აგრეთვე, იმავე სტრაბონის სხვა
[illegible] განხილვის საფუძველზე, სამეცნიერო ლიტერატურაში
[illegible] მოსაზრება, რომლის თანახმად სტრაბონის ცნობაში მო-
[illegible] სკეპტუხიებში, უპირველეს ყოვლისა, უნდა იგულისხმე-
[illegible] ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები, მაგრამ აღი-
[illegible] ისიც, რომ სკეპტუხიათა რეალურ-ისტორიული შინაარსი ამით
[illegible] სტრაბონის ცნობები უნდა მიუთითებდეს არა ჩვე-
[illegible] ადმინისტრაციულ დაყოფაზე, არამედ „კოლხეთის დანაწი-
[illegible] ცალკეულ ტომურ ორგანიზაციებად“. „კოლხეთში ტომთა ორ-
[illegible] მოლად გამქრალი არ იყო, მაგრამ ეს ტომები უკვე ცენტრა-
[illegible] ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ“[96].

[illegible] და სხვა ბერძენ თუ რომაელ ავტორთა ნაშრომებში
[illegible] ცნობების ანალიზმა და შემდგომმა კვლევამ ჩვენც იმ დასკვ-
[illegible] მივიყვანა, რომ კოლხეთის სამეფოს ადმინისტრაციული დანა-
[illegible] ტერიტორიულ პრინციპზე კი არ მოხდა, არამედ მას საფუძვლად
[illegible] ქვეყანაში არსებული სატომო ორგანიზაციები. ეს სატომო
[illegible], კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შესვლისა და ად-
[illegible] ტერიტორიულ დანაყოფებად გადაქცევის შემდეგაც, ერთმანეთში არ
[illegible] და მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდნენ თავიანთ ეთნო-ტე-
[illegible] მოლიანობას[97].

[illegible] ყაუხჩიშვილი. სტრაბონის „გეოგრაფია“, თბ., 1957, გვ. 124.

[illegible]. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. — „შრო-
[illegible], 1949, გვ 210; მისივე, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის
[illegible] — „შრომები. II. თბ., 1952, გვ. 156, 157.

[illegible], კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის. — „სმამ. ტ.
[illegible], 1961, გვ. 783—790. ანალოგიური მოსაზრებაა გამოთქმული აკად.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ოდრისთა სამეფოს ანალ[illegible]
ურად, ამ სატომო-საგამგეო ერთეულების სათავეში მდგომი პირები[illegible]
სკეპტუხები — გარკვეულ პერიოდში (სამეფოს ძლიერების ხანა[illegible]
უთუოდ, ერთგვარად კიდეც ემორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუ[illegible]
ლებას, მაგრამ ხელსაყრელ ვითარებაში ყოველთვის იჩენდნენ პო[illegible]
ტიკური დამოუკიდებლობისა და განკერძოების ტენდენციას[98].

ქვეყნის სკეპტუხიებად, ანუ ეთნო-ტერიტორიულ ერთეულებ[illegible]
დაყოფა, ჩანს, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომელიც არსები[illegible]
განსაზღვრავდა კოლხეთის სამეფოს ხასიათსა და მის პოლიტიკ[illegible]
წყობას. სატომო ორგანიზაციის ელემენტების შემორჩენის პირობებ[illegible]
ბუნებრივია, კოლხეთში არ შეიძლებოდა შექმნილიყო საკმარის[illegible]
ცენტრალიზებული, მყარი სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ თა[illegible]
სი არსებობის ადრეულ პერიოდში იგი, თავისი პოტენციალით, უ[illegible]
ოდ, წარმოადგენდა ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებას საერთო-კო[illegible]
ხური ეკონომიკური ბაზით[99].

ყოველივე ზემოთქმული გვარწმუნებს, რომ ეკონომიკური [illegible]
თობის, ვაჭრობის მაღალგანვითარებული ფორმებისა და ერთიანი [illegible]
მონეტო სისტემის არსებობა (რის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლ[illegible]
რაკი), ჯერ კიდევ არ მოასწავებს კოლხეთის სამეფოს პოლიტიკუ[illegible]
ცენტრალიზაციის სიმყარეს. ეს არ იყო ძირითადი, განმსაზღვრ[illegible]
ფაქტორი კოლხეთის პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმებისა, თუმ[illegible]
თავისთავად, აუცილებელ წანამძღვარს წარმოადგენდა ამ სახელმწიფ[illegible]
წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესში.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები ნათელყოფენ, რ[illegible]
კოლხეთის სახელმწიფოს ცენტრალიზაცია მისი ჩამოყალიბებიდან[illegible]

ნ. ბერძენიშვილის არქივში დაცულ მასალებში, რომლებიც 1975 წელს გამოქვეყნ[illegible]
„კოლხეთი რომ სახელმწიფო ყოფილიყო, ისე როგორც ეგრისი იყო გვიან, ის [illegible]
აგრე ადვილად გაქრებოდა და ტომები, რომელნიც ასე თავშემონახული აღმოჩ[illegible]
კოლხეთის დაშლის შემდეგ, გაითქვიფებოდნენ კოლხთა სახელმწიფოში. ეს [illegible]
ტომთა დიდი გაერთიანება კოლხთა მეთაურობით“ (საქართველოს ისტორიის ს[illegible]
თხები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 365). შდრ. ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ვანის [illegible]
ლაქარი. ავტორი აღნიშნავს, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე „მკაცრი კულტურ[illegible]
ლი და ეკონომიკური ერთიანობა (ადრეანტიკურ ხანაში) გულისხმობს პოლიტიკ[illegible]
კონსოლიდაციის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც ტომობრივი ორგანიზაციის [illegible]
ფუძვლები უკვე დაძლეულია და წაშლილი“ (ვანი. III. გვ. 16, შენ. 14).

98 მ. ი ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 788.

99 М. П. И н а д з е. Причерноморские города..., გვ. 164, 165.

[illegible] მაგრამ ამ პროცესს დასრულება არ დასცალდა.
[illegible] კოლხთა გაერთიანება გაცილებით ადრე დაიშალა მის შე-
[illegible] ეთნო-ტერიტორიულ ერთეულებად, ვიდრე ზემოაღნიშნუ-
[illegible] — კოლხეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა და
[illegible] ტომთა ერთმანეთთან შერწყმა — დასრულებას
[illegible]

[illegible] ისიც აღვნიშნოთ, რომ კოლხეთის სამეფო, როგორც
[illegible] წყობით, მმართველობის ინსტიტუტებით, ისე ცენტრა-
[illegible] ხასიათით, გარკვეულ მსგავსებას ავლენს არა მხოლოდ თრა-
[illegible] სამეფოსთან, არამედ მის სამხრეთით ადრეარსებულ
[illegible] კოლხას გაერთიანებებთან, ასევე ურარტუს სახელმწი-
[illegible] სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ურარტუს ად-
[illegible] მნიშვნელოვანი ადგილი სჭერიათ მეფის უახლოეს ნა-
[illegible] ქვეყნის მართვის სისტემაში ჩაბმული ყოფილა ადგილობ-
[illegible] ეთნო-პოლიტიკური ერთეულების საზოგადოე-
[illegible][101], ანალოგიური სურათი ჩანს კოლხას (კულხას) პო-
[illegible] გაერთიანებაშიც. ურარტუს მეფის სარდურ II-ის ანალებში
[illegible] ცნობა კოლხას მეფის „ნაცვალის“ შესახებ, რომელიც „სა-
[illegible] ილდამუშაში იჯდა[102]. სავარაუდოა, რომ ასეთი „ნაცვლე-
[illegible] კოლხას სხვადასხვა ცენტრებში ისხდნენ და ქვეყნის
[illegible] ტერიტორიულ და ეკონომიკურ ერთეულებს განაგებდნენ, ად-
[illegible] სატომო არისტოკრატიის ზედაფენას ეკუთვნოდნენ[103].

[illegible] ამ საკითხებ დაწერილებით იხ. III. და IV თავები.

[illegible] М. Д ь я к о н о в. Урартские письма и документы. М., — Л., [illegible]

[illegible] А. М е л и к и ш в и л и. Урартские клинообразные надписи. М., [illegible]

[illegible] А. М е л и к и ш в и л и. Наири-Урарту. Тб., 1954, с. 356; Д. А. [illegible] ш в и л и. К истории древнеколхидской металлургии железа.— [illegible] Вопросы древней истории. Тб., 1973, с. 178—179

თ ა ვ ი II

სატაძრო და პოლიტიკური ცენტრები ძველ კოლხეთში

1. კვტაია — ადრეანტიკური კოლხეთის პოლიტიკური ცენტრი

ალექსანდრიაში მოღვაწე ელინისტური ხანის პოეტების — კოფრონის, კალიმაქეს, აპოლონიოს როდოსელის — თხზულებებ[illegible] რომლებშიაც არგონავტთა სახელგანთქმული თავგადასავალია გ[illegible] ცემული, ძველი კოლხეთის შესახებ შემონახულ ცნობათა შ[illegible] დიდი ხანია, რაც მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას [illegible] გეოგრაფიული სახელი „კვტაია“ (Κύταια). აპოლონიოს როდ[illegible] ლის „არგონავტიკაში“ „კვტაია“ იხსენიება როგორც აიას ქალაქ[illegible] ქალაქი სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვენი აზრით, სავსებით [illegible] ლიანად, გაიგივებულია მდინარე რიონის ნაპირას, დღევანდელ [illegible] თაისისა და მისი მიდამოების ადგილას ანტიკურ ხანაში არსებულ[illegible] ვე სახელწოდების საქალაქო ცენტრთან [1].

ბერძნული წერილობითი წყაროების ქალაქ კვტაიას, იმავე [illegible] იონის გაიგივებას მერმინდელ ქუთაისთან მხარს უჭერს ახ. წ. [illegible] ის ბიზანტიელი მწერლის პროკოპი კესარიელის ცნობა, რომლის [illegible] ნახმად ადგილი ქუთაისი ამ ავტორის დროსაც ცნობილი ყოფილ[illegible] ვისი ისტორიული წარსულით. პროკოპი გადმოგვცემს: „მდინარე [illegible] ნის სანაპიროებთან ძველადვე კოლხებს აუგიათ ციხე, რომელიც [illegible] დეგ ხანებში მათ მეტწილად მიწასთან გაუსწორებიათ, რადგან ის [illegible]

---

1 ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ეს მოსაზრება გამოთქვა, იყო ფრედერიკ [illegible] ბუა დე მონპერე (Dubois de Montpereux. Voyage autour du Caucase [illegible] 1839, p. 339). ამ მოსაზრებას იზიარებენ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. გეორგიკა [illegible] თბ., 1965, გვ. 195; აკ. უ რ უ შ ა ძ ე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულ[illegible] თბ., 1964, გვ. 8, 59, 83, 493, 494; ო. ლ ა ნ ჩ ა ვ ა. ქუთაისის ძველი ისტორ[illegible] ვის. თბ., 1975, და სხვ.

[illegible] ადგილას მდებარეობდა და, მათი აზრით, ადგილი მისასვლელი [illegible] ამ ციხეს კოტიაიონს უწოდებდნენ ელინური ენით, ამჟა[illegible] ლაზები ქუთაისს ეძახიან: ...ასე აქვს ეს მოთხრობილი არი[illegible]

[illegible] პროკოპის ქუთაისის შესახებ დაცული აქვს მეორე ჩვენე[illegible] ხლები კი ამბობენ, ძველს დროში ამ ადგილას ქალაქი იყო და [illegible] ეწოდებოდაო; აქაური იყო აეტი, რის გამოც პოეტები მას [illegible] ეძახდნენ, კოლხიდის ქვეყანას კი კვიტატიდსო“[3].

[illegible] როგორც ვხედავთ, პროკოპი კესარიელს ქუთაის-ქუთათისის შეს[illegible] შემონახული აქვს ორი სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ცნობა; [illegible] ის თავის წყაროდ ასახელებს არიანეს, მეორეგან ალექსანდ[illegible] პოეტებს. პროკოპისთან დაცული ეს ორი ჩვენება ქუთაისის შე[illegible] შესაბამისობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთი ცნობით, [illegible] ძველად ციხე ყოფილა, კოლხების მიერ აგებული და შემ[illegible] მეტწილად, მიწასთან გასწორებული; ხოლო, მეორის მიხედვით, [illegible] დროში იგი ქალაქი იყო. განსხვავებულად არის წარმოდგენილი [illegible] ძველებულ წყაროებში ქუთაისის სახელწოდებაც: ერთის მიხედვით [illegible] „კოტიაიონი“ ეწოდებოდა, მეორეს მიხედვით — „კვტაიონი“.

ელინისტური ხანის პოეტების მიერ არგონავტების კოლხეთში [illegible] ყოფნასთან დაკავშირებით გეოგრაფიული სახელის „კვტაიას“ [illegible] ხსენიება, უპირველესად, საინტერესოა იმ მხრივ, რომ თქმულება [illegible] ვტა შესახებ ამ პოეტებამდე ბევრ ავტორს დაუმუშავებია, [illegible] მათ წინამორბედთა თხზულებებში ჩვენ ვერსად ვხვდებით აღ[illegible] ნიშნული სახელის მქონე ადგილისა და ქალაქის ხსენებას. ამდენად, [illegible] ისად, პირველ, პირდაპირ მითითებად კოლხეთში არსებულ [illegible] კვტაიონის შესახებ, სწორედ, ალექსანდრიელ პოეტთა ნაწარ[illegible] ებში დაცული ცნობები გვევლინება. ამასთან დაკავშირებით ნი[illegible] ბლივი ჩანს ის გარემოება, რომ გვიანდელი მწერლები, კერ[illegible] ბიზანტიელი ავტორი პროკოპი კესარიელი, ძველი ქალაქის კვტა[illegible] შესახებ ცნობის გადმოცემისას, თავის ერთადერთ წყაროდ, რო-

---

[illegible] არიანეს ჩვენამდე მოღწეულ თხზულებებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. [illegible] VIII, 14. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. გეორგიკა. ტ. 2. გვ. 194, 195.

[illegible] BG VIII, 14, იქვე, გვ. 195.

გორც ზემოთ დავინახეთ, ასახელებს „პოეტებს“, რომლებშიც, პირველ რიგში, უთუოდ, იგულისხმება აპოლონიოს როდოსელი[4].

სანამ კვტაიას შესახებ ალექსანდრიელ პოეტთა ცნობების უფრო დეტალურ განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროა ჩვენი ყურადღება შევაჩეროთ აიას რაობისა და მისი კვტაიასთან მიმართების საკითხზე.

---

4 ჩვენს ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში ქალაქ კვტაიას ვაიგივებთ ძვ. წ. IV ს-ის ბერძენი ავტორის ფსევდო-სკილაქს კარიანდელის მიერ მოხსენიებულ მდინარე „ფასისის ზევით აყოლებით 180 სტადიონის მანძილზე მდებარე დიდ ბარბაროსულ ქალაქთან, საიდანაც იყო მედეა“ (Ps—Scyl., 81) (მ. ინაძე. საავჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში. — კავკასიურ-აღმოსავლური კრებული. II. თბ., 1962, გვ. 93). ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა უკანასკნელ ხანებში ოთ. ლორთქიფანიძემ, რომლის ვარაუდით, დასახელებულ „დიდ ბარბაროსულ ქალაქში“, ძვ. წ. III ს-ის ავტორის აპოლონიოს როდოსელისა და სხვა ალექსანდრიელი პოეტების მიერ, შუაგულ კოლხეთში, მდ. ფასისის სანაპიროსთან მოხსენიებული კვტაია უნდა იგულისხმებოდეს. ხოლო რადგანაც კოლხეთის სამეფო თავისი ძლიერების მწვერვალს ადრეანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI—V სს.) აღწევს, მკვლევარი სავსებით მართებულად ვარაუდობს, რომ კოლხეთისა და მისი დედაქალაქის დიდების ის აღწერილობა, რომელიც აპოლონიოს როდოსელს აქვს გადმოცემული, არა ძვ. წ. III ს-ის, არამედ გაცილებით უფრო ადრინდელი ხანის (ძვ. წ. VI ს-ის) ვითარების ანარეკლი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ აპოლონიოსი თავის გადმოცემაში ქ. კვტაიას შესახებ იყენებდა ძვ. წ. VI ს-ის წყაროებს (სკილაქს კარიანდელის, ჰეკატაიოს მილეტელის ნაშრომებს) (О. Д. Лордкипанидзе. К Вопросу о первом упоминании г. Кутаиси в письменных источниках. Местные этно-политические объединения Причерноморья в VII—IV вв. до н. э. Тб., 1988, с. 150—172). „დიდი ბარბაროსული ქალაქის“ კვტაიასთან გაიგივების სასარგებლოდ მეტყველებს ფსევდო-სკილაქსის ის მითითებაც, რომ აქ (ამ ქალაქთან) არის მდინარე რისი, რომელიც მკვლევართა უმრავლესობის მიერ მდ. რიონის ზემო წელის აღმნიშვნელად არის მიჩნეული. მაგრამ არსებობს ზოგიერთი გარემოება, რომლებიც თითქოს ხელს უშლიან ამ ორი ქალაქის გაიგივებას. უპირველესად, ეს არის ფს-სკილაქსის მიერ მითითებული მანძილი „დიდ ბარბაროსულ ქალაქსა“ და ზღვას შორის — 180 სტადიონი (-35 კმ). როგორც ცნობილია, ქ. ქუთაისსა და ზღვის სანაპიროს შორის გაცილებით დიდი მანძილია, ვიდრე 35 კმ. გარდა ამისა, კვტაიას „დიდ ბარბაროსულ ქალაქთან“ გაიგივების დროს აუხსნელი რჩება კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ, თუკი ცნობა ქალაქ კვტაიას სახელწოდების შესახებ აპოლონიოს როდოსელმა გადმოიღო ძვ. წ. VI ს-ის ავტორების — სკილაქს კარიანდელის, ჰეკატაიოს მილეტელის — თხზულებებიდან, რატომ არ შემოგვინახა ეს სახელწოდება ფსევდო-სკილაქსმა, რომელიც, ძირითადად, ამავე წყაროებით სარგებლობდა და სხვა შემთხვევაში, მათგან საკმაოდ კონკრეტულ ჩვენებებს სესხულობდა თუნდაც იმავე „დიდი ბარბაროსული ქალაქის“ შესახებ („იქ არის მდინარე რისი“ და სხვ.). აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ფსევდო-სკილაქსისათვის, ისევე როგორც მის მიერ გამოყენებული ძველი წყაროებისათვის, უცნობი იყო მედეას სამშობლო ქალაქ

[illegible] ალექსანდრიელ პოეტებამდე აიეტის სამფლობელო ქვეყანა ორი [illegible] მოიხსენიება: ერთია „აია“, მეორე — „კოლხეთი“. ამათგან [illegible] „აია“ უფრო ძველია (უფრო ადრინდელ წყაროებში [illegible]), როგორც ვარაუდობენ, „აია“ თავდაპირველად ნიშნავდა [illegible], მიწას, რომლისკენაც მიისწრაფოდნენ არგონავტები ოქროს [illegible] მოსაპოვებლად[5].

[illegible] არგონავტთა თქმულების „აიამ“ რეალური შინაარსი და კონკრეტული [illegible] სახელი მხოლოდ ძვ. წ. VIII ს-ის შემდეგ მიიღო, მას მერე, რაც [illegible] უკეთ გაიცნეს პონტოს აღმოსავლეთი ნაპირი (კოლხეთი). [illegible] ბერძენი ავტორები არგონავტების სალაშქრო ქვეყანას უკვე [illegible] მოიხსენიებენ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ „აია“-მ [illegible] შინაარსი და სახელი მიიღო კოლხიდა-კოლხიკეს სახით, [illegible] სახელწოდება („აია“) კოლხეთის პარალელურად მაინც განაგრძობდა არსებობას ბერძნულ მწერლობაში[6].

[illegible] სახელწოდება, თუმც მათ იცოდნენ, რომ ეს ქალაქი მდებარეობდა შუაგულ [illegible], მდ. ფასის — რიონის — ნაპირას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენება „დიდ ბარბაროსულ ქალაქსა“ და ზღვის სანაპიროს შორის [illegible] მანძილის შესახებ (180 სტ.) ფსევდო-სკილაქსის სახელით ცნობილ პერიპლუსში შეტანილ იქნა თვით ამ ავტორის მიერ, რომელმაც ეს ნაშრომი ძვ. წ. [illegible] შეახებებში შეადგინა ათენელი ვაჭრებისათვის (М. М. Ростовцев. [illegible] и Боспор. М., 1925, с. 23—26). ამასთან, სავსებით შესაძლებელია ისიც, რომ [illegible]სკილაქსმა მედეას სამშობლო ამ „დიდ ბარბაროსულ ქალაქში“ იგულისხმა [illegible] IV ს. ფასის — რიონის სანაოსნო მაგისტრალზე ზღვასთან შედარებით [illegible] მდებარე რომელიღაც სხვა მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრი, რომელიც [illegible] დიდ როლს ასრულებდა კოლხეთსა და ბერძნული სამყაროს ცენტრებს [illegible] და სხვ.) შორის არსებულ საზღვაო-საავჭრო ურთიერთობებში.

[illegible] უნდა აიხსნას, ჩვენი აზრით, „დიდი ბარბაროსული ქალაქის“ დასახელება „პერიპლუსში“ — ნაწარმოებში, რომელშიც მხოლოდ ზღვისპირა ქალაქები [illegible] უნდა ყოფილიყო ჩამოთვლილი (იხ. მ. ინაძე. აღმოსავლეთ [illegible]ზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. გვ. 21).

[5] მკვლევართა აზრით, „აიას“ სახელი მოდის ბერძნული „γῆ“, „γᾶ“-საგან (მიწა), [illegible] ითური ფორმა არის „γαῖα“ (ჰომეროსთან დადასტურებულია მიწის—γῆ-ს [illegible] ფორმა—„ᾶ ἶα“ (Ilias, VIII, 1) (იხ. ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნული [illegible] ლიტერატურის ისტორია. წ. II. გვ. 92 და შემდ.; აკ. ურუშაძე. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა. თბ., 1970, გვ. 7—9).

[6] Her. Hist., I, 2. თ. ყაუხჩიშვილი. ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1960 გვ. 58; ჰეროდოტეს ამ ცნობის განმარტების შესახებ იხ. [illegible] Р. В. Гордезиани „Αἶα“ в древнейших греческих источниках. Античность и современность. М., 1972, с. 184.

დროთა განმავლობაში „აია“ ქვეყნის აღმნიშვნელად მხოლო[illegible] ზოგიერთი ავტორის ნაწარმოებში შემორჩა[7]. ანტიკურ მწერალთა [illegible]დი ნაწილის მიერ კი იგი გააზრებულ იქნა, როგორც კოლხეთის [illegible] კოლხების ქალაქი.

ლიკოფრონი აიეტს უწოდებს აჲასა და კორინთოს მრისხანე [illegible]გებელს (1024). ამ კონტექსტში აია არის კორინთოს დარი, ე. ი. [illegible]ვე ქალაქია: სქოლიასტებიც ასევე განმარტავენ: აია კოლხიდის ქალ[illegible]ქია (1024)[8].

მართალია, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ რამდენიმ[illegible] ადგილას „აია“ აღნიშნავს ქვეყანას, მხარეს, მაგრამ ამ ნაწარმოებშ[illegible] არის ერთი ადგილი, რომლის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ამ ავტორ[illegible] ე. ი. აპოლონიოსს (ისევე, როგორც ლიკოფრონს) „აია“ ზოგჯერ ქ[illegible]ლაქის მნიშვნელობითაც აქვს ნახმარი. ასე, „არგონავტიკის“ IV თავ[illegible] 270—280 ტაეპში ვკითხულობთ: სესოსტრისემ... „გარს შემოუ[illegible] მთელს ევროპასა და აზიას. ლაშქრობათა ჟამს მან დაასახლა ურიცხ[illegible] ქალაქები, რომელთაგან ზოგი ახლაც დასახლებულია, ზოგი კი [illegible] აღარ; ხოლო აია ახლაც მტკიცედ დგას და აქ (ცხოვრობენ) იმ ვაჟკაც[illegible]თა ჩამომავალნი, რომლებიც მან აიაში სამოსახლოდ დაამკვიდრა“[9].

ვფიქრობთ, „არგონავტიკის“ ეს ადგილი უთუოდ გასათვალისწ[illegible]ნებელია აპოლონიოს როდოსელის მიერ მოხსენიებული „აიას“ რეა[illegible]ლური შინაარსის დადგენისას. მით უმეტეს, რომ „არგონავტიკის“ ძვ[illegible]ლი სქოლიასტიც მასში მოხსენიებულ „Αἶα δὲ Κόλχις“ განმარტავს რ[illegible]გორც „ἡ Αἶα πόλις τῆς Κολχίδος“ („აია ქალაქია კოლხიდისა“)[10].

„აია“ როგორც ქალაქი, ხოლო „აიაში“ მცხოვრები კოლხები რ[illegible]გორც მოქალაქეები გააზრებული ჰქონია აგრეთვე ალექსანდრიულ[illegible]

---

7 იხ. აკ. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. გვ. 18.

8 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შ[illegible]ხებ. IV. თბ., 1980, გვ. 32.

9 აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, თარგმანი და კომენტარები [illegible] ურუშაძისა. თბ.. 1970. ასევე აქვს მოტანილი ადგილი გაგებული „არგონავტ[illegible] რუსულად მთარგმნელს გრ. წერეთელს (Аполлоний Родосский. Арго[illegible]втика. Перевод, введение и примечания Г. Ф. Церетели. Тбилиси, 1964, с. [illegible] და აკ. გელოვანს, რომლის ქართული თარგმანი „არგონავტიკისა“ ისე ახლოს [illegible] მისდევს ბერძნულ ტექსტს, როგორც აკ. ურუშაძისეული (აპოლონიოს როდ[illegible]სელი. არგონავტიკა. თარგმანი და შესავალი წერილი აკ. გელოვანისა, [illegible] აკ. ურუშაძე. თბ., 1975, გვ. 163).

10. აკ. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. გვ. 325.

[illegible] ფარმომადგენელს კალიმაქესაც (აპოლონიოსის [illegible]). კალიმაქეს მიზეზების I-ის ერთ ცნობაში (ბერლინის [illegible] ბაპირუსში დაცული) ვკითხულობთ: „...კოლხები ეწოდებათ იმ [illegible]ებს, რომლებიც აიაში ცხოვრობენ, ხოლო მთელი ქვეყანა [illegible] კოლხიდად“[11].

[illegible]ზემოთ განხილული ცნობებიდან ირკვევა, რომ „აია“ [illegible] მხოლოდ ლიკოფრონის მიხედვით, არამედ ელინისტური [illegible] ფარმომადგენელთა — კალიმაქესა და აპოლონიოს რო[illegible] ნაწარმოებთა ზოგიერთი ადგილის თანახმადაც. აქედან კი [illegible] გამომდინარეობს, რომ სახელწოდება „აია“-ს შინაარსის [illegible] ე. ი. ამ ფართო მნიშვნელობის გეოგრაფიული ცნე[illegible] ქვეყანა) უფრო ვიწრო ცნებამდე (ქალაქი) დაყვანა პირველად [illegible] ალექსანდრიელ პოეტთა წრეში ხდება.

[illegible] დასკვნას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ალექსანდრიელ [illegible] მოხსენიებული გეოგრაფიული სახელის—„კუტაიას“—რე[illegible]ალისტურიული შინაარსის დადგენისა და ქალაქ კუტაიას შესახებ [illegible] დადასტურებული ცნობის წარმომავლობისა და თარიღის [illegible]. კერძოდ, დაკვირვებას აპოლონიოს როდოსელის, კალი[illegible] და ლიკოფრონის ცნობებზე ჩვენ იმ დასკვნამდე მივყევართ, [illegible] არგონავტთა თქმულებასთან დაკავშირებული ეს მეორე გეოგრა[illegible] სახელი — „კუტაია“, ისევე როგორც მითიური „აია“, თავის [illegible] ქალაქის მნიშვნელობით საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით [illegible] როდოსელის „არგონავტიკაში“ იღებს, თვით სახელწოდე[illegible] „კუტაია“ კი არსებობდა გაცილებით ადრე, ალექსანდრიელ პო[illegible] მოღვაწეობის ხანამდე.

[illegible] ნამდვილ ქალაქად გააზრებისათვის, ჩვენი ვარაუდით, [illegible] როდოსელს საფუძველი მისცა იმ გარემოებამ, რომ, ძველ [illegible] წერილობით წყაროებთან ერთად, რომლებშიაც კუტაია იხ[illegible] როგორც ქვეყანა, იგი სარგებლობდა ელინისტური ხანის

---

11 [illegible]ქე. მიზეზები, I. ბერლინის პაპირუსი, 11521. ბერძენი მწერლები [illegible] შესახებ, IV, გვ. 109.

12 [illegible]ნიოს როდოსელი. არგონავტიკა II. 1268. თარგმანი აკ. [illegible]

[illegible] აქვს გაგებული „არგონავტიკის“ 11, 1268-ში მოხსენიებული „Κυναίδα [illegible] Αἴης“ გ. წერეთელს—„Эи, град Китаидский“ (Аполлоний Ро[illegible] Аргонавтика, с. 137).

ვითარების ამსახველი ცნობებითაც, რომელთა მიხედვით კუტაია კოლ-ხეთის მნიშვნელოვან საქალაქო ცენტრს წარმოადგენდა.

ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ნიშანდობლივად გვეჩვენება ის გარემოება, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" ქალაქ კუტაიას შესახებ დაცულ ცნობათა შორის შეიძლება გამოიყოს ერთი ადგილი, რომლის მიხედვითაც ეს სახელწოდება, მართლაც, ქალაქის მნიშვნელობით არის ნახმარი. სახელდობრ, „არგონავტიკის" II, 1268-ში ვკითხულობთ: „ხომალდი მძლავრად მიაპობდა ფასისის მღელვარე ტალღებს. არგონავტებს ხელმარჯვნივ ეკავათ მაღალი კავკასიონი და აიას ქალაქი კუტაიისი" (Κυταιίδα τε πτόλιν Αἴης, სახელობით ბრუნვაში იქნება—Κυταῖα τε πτόλις Αἴης)[12], ხოლო ამ ნაწარმოების სხვა ადგილებში ლაპარაკია ხან კუტაიას ხმელეთზე—Κυταιίς ἠπείρος (II,399), ხან კუტაიას მხარეზე, ქვეყანაზე Κύταιῖδος ἤιεα γαίης (IV, II), ანდა კუტაიელ აიეტზე — Κυταῖος ἀν Κυταιεὺς Αἰήτης (II, 403, III, 228). ასევე უფრო მხარის, ქვეყნის ვიდრე ქალაქის მცხოვრებთა მნიშვნელობით უნდა ჰქონდეს მოხსენიებული კუტაიელები კალიმაქესაც: მიზეზების I-ში იგი შენიშნავს: ...„მედეას კუტაიელებს... შემდგომ (ე. ი. მერმინდელ—მ. ი.) კოლხებს"[13]. ცხადია, აქაც „კუტაიელები უფრო ფართო („კოლხების") მნიშვნელობით არიან ნახმარი[14]. რაც შეეხება კალიმაქეს ამ ნაწარმოების სხვა ფრაგმენტებს და ლიკოფრონის თხზულებებს, აქ უბრალოდ იხსენიება „კუტაია", მისი ქალაქად აღნიშვნის გარეშე: „მიზეზებში", 7, 19—34-„აიეტის კუტაია", ლიკოფრონის „ალექსანდრაში" — „ლიგისტური კუტაია"[15].

მთელი ეს ზემოთ მოტანილი მასალა, ჩვენი აზრით, იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ელინისტური ხანის პოეტთა ნაწარმოებებში ცნობა კუტაიას შესახებ შეტანილი იყო რომელიღაც ძველი წყაროებიდან, რომლებშიც ეს ტერმინი, ისევე როგორც „აია", ფიგურირებდა ფართო გეოგრაფიული ცნების — მხარის, ქვეყნის — მნიშვნელობით[16]. ის

---

13 ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, IV, გვ. 54, 107.

14 მართალია, კალიმაქეს სქოლიასტი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ „კოლხები ეწოდებათ იმ მოქალაქეებს, რომლებიც აიაში ცხოვრობენ", მაგრამ იქვე, დასძენს: „ხოლო მთელი ქვეყანა (იწოდება) კოლხიდად" (ბერძენი მწერლები... IV, გვ. 109).

15 ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ. IV. გვ. 54, 107.

16 ჩვენი ვარაუდით, ეს ძველი წყაროები, რომლებიც ზემოაღნიშნულ პოეტებს ჰქონიათ გამოყენებული, უთუოდ, ალექსანდრიის უმდიდრესი ბიბლიოთეკის წიგნ-

[illegible] ეგვიპტეში, რომ არგონავტთა თქმულების ზოგიერთ ვერსიაში უძველესი ხანიდანვე ჩნდება „კუტ"-ძირიანი გეოგრაფიული სახელი, დასტურდება ჰეროდოტესთან დაცული გადმოცემითაც (VII, 197), რომელშიც დამოწმებულია ფრიქსეს ძის სახელწოდება „კუტისორე", „[illegible]ისი" (Κυτίσσωρος) აია-კოლხიდიდან. თ. ყაუხჩიშვილის სა[illegible] დაკვირვებით, ამ სახელწოდებაში იგივე „κυτ" — ძირი [illegible] დადასტურებულ, რაც სიტყვაში Κύταια (ქუთაისი) („ισσ" — გეოგრა[illegible] სახელის მაწარმოებელი სუფიქსი უნდა იყოს). ამრიგად, სახელი „Κυτίσσωρος" დაახლოებით იმასვე უნდა ნიშნავდეს, რასაც [illegible] ქუთათელი. ხოლო თუკი ჰეროდოტეს წყაროებში შემო[illegible] სიტყვა „ქუთათელი", ძველ ხანაში ცნობილი უნდა ყოფილიყო [illegible] შესატყვისი „კუტ"-ძირიანი გეოგრაფიული სახელიც[17].

ჩვენ მიერ ზემოთ გამოტანილ დასკვნას, რომლის თანახმადაც [illegible] დიდი ხნით ადრე ნიშნავდა ქვეყანას, ფართო გეოგრაფიული [illegible]ნელობით, მხარს უჭერს დასავლეთ საქართველოს მრავალ ადგილას [illegible] დადასტურებული კუტ-ფუძიანი ტოპონიმიკური მონაცემები, რომელნიც საგანგებოდ აქვს შესწავლილი თ. მიქელაძეს. ირკვევა, რომ [illegible] ნაწარმოები სახელები ერთნაირად ყოფილა გავრცელებული, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ისე სამეგრელოში და იმერეთში[18].

[illegible] ეხებოდა ელინისტურ ხანაში და მხოლოდ აქ მომუშავე პოეტებისათვის [illegible] ხელმისაწვდომი, ხოლო ამ ბიბლიოთეკის დაღუპვის შემდეგ უკვალოდ დაიკარგა. [illegible] ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ წყაროებს, რომლებშიც დაცული იყო ცნობა [illegible] კუტაიას შესახებ, არ იცნობდნენ სხვა, ელინისტური ხანის საბერძნეთისა [illegible] აზიის ცენტრებში მოღვაწე მწერლები.

17 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., [illegible], გვ. 34. 35. ფრიქსეს ძის კიტისორეს სახელი დამოწმებულია აპოლოდორესთან [illegible] (ეს V 11 ს.) (Bibl., I, IX), (იხ. აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი..., გვ. 351) [illegible] „არგონავტიკის" სქოლიოებში (იქვე, გვ. 318).

18 თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 86, 87. გარდა ამისა, [illegible] ისიც აქვს შენიშნული, რომ Κ-ρ - ძირის შემცველი გეოგრაფიული [illegible] უძველესი ხანიდან ჩნდება არა მარტო კოლხეთში, არამედ მის მეზობელ [illegible], აგრეთვე შავიზღვისპირეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზში. ზე[illegible]ელთან დაკავშირებით განსაკუთრებით საგულისხმო ჩანს პილოსის წარწერებში [illegible] გამოწმებული გეოგრაფიული სახელი Kutajito, Kutato ვარიანტებით — Kutatijo, Kutatija და სხვ. (იხ. С. Я. Л у р ь е. Язык и культура микенской Греции. М—Л. 1967, с. 205).

მთელი ამ მასალის საფუძველზე თ. მიქელაძე მიდის საყურადღებო დასკვნამდე, რომლის თანახმად კუტ-ფუძის მქონე სახელი მრავალი ყოფილა დასავლეთ საქართველოში და ყველა უკავშირდება კოლხეთს ფართო გაგებით.

ამრიგად, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ვიდრე „კუტ"-ფუძიანი სახელი ქალაქ ქუთაისის (კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური ცენტრის) აღმნიშვნელი ტერმინი გახდებოდა, იგი ეწოდებოდა ამ ქალაქთან მდებარე მხარეს. სახელდობრ, პროკოპი კესარიელის ზემოთ განხილული გადმოცემიდან ნათლად ჩანს, რომ ძველად „კვიტატიდს" ეძახდნენ ქალაქ კვიტაიონთან (ქუთაისთან) მდებარე კოლხეთის ქვეყნას, რომელსაც მდინარე რეონი (რიონი) ჩამოუდიოდა (BG VIII, 14). ამავე ფარგლებში შეიძლება წარმოვიდგინოთ „კუტაიის ხმელეთი" აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკის მიხედვითაც: „იქ კუტაიის ხმელეთზე და კირკეს ველზე,—გადმოგვცემს პოეტი,—ამარანტის შორეულ მთებიდან (იგულისხმება რაჭის მთიანეთი—მ. ი.) გამომდინარე მორეული ფასისი მიაგორებს თავის ფართო ნაკადს ზღვისაკენ. ამ მდინარის შესართავთან რომ მიაცურებთ ხომალდს, თქვენ დაინახავთ კუტაიელ აიეტის კოშკს"...[19] ამ აღწერილობას, მართალია, მხატვრული იერი გადაჰკრავს, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ „კუტაიის ხმელეთი" კოლხეთის ეს მხარეა, რომელიც ჩრდილოეთით დიდი კავკასიონის ქედს ებჯინება, აღმოსავლეთით და სამხრეთით მას მდ. ფაზის — რიონი ჩამოუდის, ხოლო დასავლეთიდან ზღვა აკრავს.

კუტაიის ქვეყნის საზღვრების დადგენის თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს იმავე პროკოპი კესარიელთან დაცული მეორე ცნობა, რომელიც წინ უძღვის ზემოთ განხილულ მის გადმოცემას ქალაქ კვიტაიონის და ამავე სახელწოდების ქვეყნის შესახებ. ბიზანტიელი ავტორი გვამცნობს, რომ მდინარე რეონის სანაპიროსთან, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ძველად ქალაქი კვიტაიონი მდებარეობდა (აქვე იყო კოტიაიონად წოდებული ციხეც), მის დროს არსებობდა მჭიდროდ დასახლებული, ნაყოფით სავსე მხარე, რომელსაც მოხირისს ეძახდნენ. პროკოპი კესარიელის აღწერილობის მიხედვით, მოხირისის მხარე, ცხენისწყლიდან დაწყებული, გადაჭიმულია რიონამდე, ე. ი. რიონი საზღვრავს ამ მხარეს სამხრეთ-აღმოსავლეთით. მოხირისის გავლის

19 აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, წ. II. 399—401. თბ., 1948, თარგმ. აკ. ურუშაძისა, გვ. 82.

[illegible] ადამიანი ქუთაისში მოვიდოდა. მსგავსად პროკოპისა, აგათიაც [illegible] ერთად ყოველთვის იხსენიებს ქუთაისს („მოვიდა მოხირ[illegible] ქუთაისის ციხეში")[20].

[illegible]ამრიგად, ირკვევა, რომ პროკოპის დროინდელი მოხირისის მხარე, [illegible], ჩანს, ცხენისწყლის დასავლეთით მდებარე მიწებიდან მოალებული ქალაქ ქუთაისამდე ვრცელდებოდა, მის სანახებთან ერთ[illegible]ადგენდა ერთ სამეურნეო ერთეულს და, ამასთან, ძველი „კუტაიის" მნიშვნელოვან და საუკეთესო ნაწილს. ეს სწორედ [illegible]ტორიაა, რომელიც, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, [illegible]ტიკურ ხანაში წარმოგვიდგება კოლხეთის წამყვან რეგიონად [illegible] მძლავრი რკინის მეტალურგიითა და მრავალდარგობრივი მეურნეობით. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამან განაპირობა აქ დამკვიდ[illegible] კოლხთა სატომო ბირთვის სოციალურ-ეკონომიური დაწინაურ[illegible] და მისი აქტიური ჩაბმა კოლხეთის სახელმწიფოს შექმნის პრო-

[illegible] BG VIII, 14; Agath., II, 19, 22; III, 6, 7, იხ. გეორგიკა, ტ. II, [illegible] 208—210, შენ. 1; გეორგიკა, ტ. III, თბ., 1936, გვ. 30, 54, 56; 123.

[illegible] რიონ-ცხენისწყლის აუზში ცნობილია რამდენიმე გეოგრაფიული პუნქტი, [illegible] მიხედვით შეიძლება წარმოდგენა შევიქმნათ მოხირისის მხარის დასავლ[illegible]ის შესახებ: სოფ. მუხური სენაკის რაიონში, სოფ. მუხური ჩხოროწყუს [illegible], სოფ. მუხურჩა მარტვილის რაიონში, სოფ. მუხური ანაკლიის მახლობლად, [illegible] მუხური გალის რაიონში, ოქუმსა და გუდაკას შორის. ეს ტოპონიმები გვაფიქ[illegible], რომ მოხირისის, ანუ მუხირისის მხარე მდინარე ცხენისწყლის დასავ[illegible] ერცელდებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ [illegible]ის მხარეში რიონის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაც შედიოდა. ხოლო [illegible] „მუხურის" დადასტურება სოფ. დაბლაგომთან საფუძველს აძლევს ზო[illegible] მკვლევარს მუხირისის მხარე მდ. რიონის სამხრეთითაც ივარაუდოს [illegible]ა. დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის.—„მაცნე". [illegible], 1974, გვ. 129—136; Г. Гамкрелидзе. К археологии долины [illegible] Тбилиси, 1992, с. 115, 116). ბიზანტიელ ავტორთა ცნობების ანალი[illegible]ლოგიურ მოსაზრებას გამოთქვამდა ს. ჯანაშიაც. მისი სიტყვით, მუხირისი [illegible]ობს საკმაოდ დიდ რაიონს, რომელიც, მთლიანად ან ნაწილობრივ, შეიცავ[illegible] [illegible]ეროვე ქუთაისის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, აბაშისა და მარტვილის [illegible], უფრო ზუსტად, მათს ვაკე ნაწილს, რომელიც, სამეურნეო თვალსაზრი[illegible] [illegible]ულ მთლიანობას შეადგენს". — ამ მხარის ძველი ქართული სახელწო[illegible] „სამოქალაქო"; მკვლევრის აზრით, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრი[illegible] [illegible] რაიონს მიეკუთვნებოდა ეგრისის პოლიტიკური ცენტრი — არქეოპოლისი [illegible]ია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, II, თბ. 1952, გვ. 320, [illegible] მუხირისის ლოკალიზაციისათვის იხ. აგრეთვე, დ. მუსხელიშვილი, საქართველ[illegible] ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 113).

ცესში, რის შედეგად, ძვ. წ. VII—VI სს-ში, ამ ნაყოფიერი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი მხარის ფლობის საფუძველზე, აღმოცენდა კოლხთა წინასახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელმაც ითავა გარშემო მდებარე ეთნო-ტერიტორიული ერთეულების — „ქვეყნების“ — შემოკრება-შემომტკიცება და წამყვანი როლი შეასრულა კოლხთა პოლიტიკური გაერთიანების ჩამოყალიბებაში. როგორც ჩანს, აქვე, ამ წარმონაქმნში იშვა კოლხთა სამეფო სახლი და მეფის ხელისუფლება, რამაც აღნიშნული ტერიტორია — რიონით და ზღვით შემოსაზღვრული მხარე — ადრიდანვე სამეფო სახლის კუთვნილ მამულად, სამეფო დომენად აქცია (ამის შესახებ ქვემოთ).

კოლხთა ამ წინასახელმწიფოებრივი წარმონაქმნის აღმოცენებამ სწორედ აღნიშნულ ნაყოფიერ, ლითონით მდიდარ „კუტაიად“ წოდებულ მიწაზე განსაზღვრა აგრეთვე იმ საისტორიო ტრადიციის შექმნაც, რომლის თანახმად ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანებში კოლხეთის მესვეურნი განიხილებოდნენ როგორც კუტაიის ქვეყნის ოდინდელი მბრძანებლის — აიეტის — ჩამომავალნი, მისი მემკვიდრეენი. გავიხსენოთ ქსენოფონტის ცნობა, რომლის მიხედვით, მის დროს კოლხეთში „ფასისთან მეფობდა აიეტის ჩამომავალი“ (Xen., Anab., V, VI, 36, 37); ასევე, პლინიუს უფროსთან დაცული საინტერესო გადმოცემა კოლხეთში „აიეტის ჩამომავალ სავლაკის“ მეფობის შესახებ (Plin., NH, XXIII, 5Წ). ბერძენ-რომაელ ავტორებთან შემონახულ ამ გადმოცემაში უთუოდ აირეკლა კოლხეთის სამეფო სახლში ადრიდანვე დამკვიდრებული წარმოდგენები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ კოლხთა სამეფო ხელისუფლების წარმომავლობის დაკავშირებას „კუტაიის ქვეყნის“ უძლერეს მბრძანებელ აიეტთან და მის წინაპარ ჰელიოსთან[21], ამით იმ უფლებების იურიდიულ დასაბუთებასაც, რომლებიც მათ ძველთაგან მოიპოვეს კუტაიის მიწაზე. აიეტისგან ძალაუფლების მემკვიდრეობით მიღების დასაბუთებით, კოლხეთის მესვეურებს, ფაქტიურად, სურდათ დაეკანონებინათ სამეფო სახლის უფლებები ამ მიწაზე — რიონით და ზღვით შემოფარგლულ კოლხეთის ამ საუკეთესო მხარეზე.

თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ უკვე ძვ. წ. VIII ს-ის ბერძენი ავტორები (ევმელოსი, ჰესიოდე) კარგად იცნობდნენ კოლხეთის მიწას

[21] О. Д. Лордкипанидзе. Древняя Колхида (Миф и археология.). Тбилиси, 1979, с. 55, 56.

[illegible] მის მდინარეებს — ფასისსა და რესოსს, რომელსაც, ჩვეულებრივ, [illegible] ფსევდო-სკილაქსის მიერ მოხსენიებულ მდინარე რისსთან, [illegible] რიონის ზემოწელთან, ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ „კუტაიის [illegible]“ (იმავე მოხირისის მხარემ) იმ ხანებში ჰიიქცია ლითონის მა[illegible] ბერძენ ზღვაოსანთა ყურადღება, როდესაც აქ უკვე არსებობ[illegible] კოლხთა ძლიერი წინასახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. ამდენად, [illegible]ბრივია, რომ არგონავტთა ლაშქრობის თემაზე დაწერილ თხზულ[illegible]ში თავისი ასახვა პოვა ამ მდიდარმა მხარემ და მის მბრძანებელთა [illegible]ლერემ. ქუთაისის სანახებმა და ქუთაისის მხარემ, რომელიც უკვე [illegible] საუკუნისათვის ამ მბრძანებელთა სამკვიდრო ქვეყანა გახდა, ასა[illegible] პოვეს აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაშიც“, რომელშიც [illegible] აზრით, არა მთელ კოლხეთში, არამედ სწორედ „კუტაიად“ [illegible]ებულ ამ მხარეში ძვ. წ. VII—VI სს. შექმნილი ვითარებაა აღწე[illegible].

ძვ. წ. VIII—VII სს. ის ხანაა, როდესაც შიდა კოლხეთსა და მის [illegible]ელეთ რეგიონებში (მდინარე რიონის შუა წელსა და ყვირილის [illegible]ებით) იქმნებიან ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი დიდი სამლო[illegible]ები (ვანი, საირხე). ძვ. წ. VI ს-დან ისინი მნიშვნელოვან რელი[illegible]-პოლიტიკურ და საქალაქო ცენტრებად ვითარდებიან. მართალია, [illegible] ქუთაისი და მისი მიდამოები არქეოლოგიურად ჯერ კიდევ [illegible]ელის პროცესშია, მაგრამ სადღეისოდ მოპოვებულ მასალას, ზე[illegible] განხილულ წერილობით წყაროებთან ერთად, იმ დასკვნისკენ [illegible]ართ, რომ აღებულ ხანაში აქ უკვე არსებობდა მნიშვნელოვანი [illegible]ება, რომელიც დიდ როლს ასრულებდა კუტაიის ქვეყნის [illegible] და პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში. ვფიქრობთ, ადრე[illegible]ური ხანისთვის, კოლხეთის სახელმწიფო გაერთიანების ჩამოყა[illegible]ებასთან ერთად, ქუთაისი მისი მთავარი პოლიტიკურ-ურბანისტუ[illegible] ცენტრი ხდება, აქვე ეწყობა, უთუოდ, სამეფო რეზიდენციაც. ხო[illegible] სახელწოდება „კუტაია“, რომელიც ადრე იმ მიწას ეწოდებოდა, [illegible] კოლხთა სახელმწიფოს ჩაეყარა საფუძველი, ამიერიდან შინა[illegible]ბრივად თანდათან ვიწროვდება, ბოლოს მხოლოდ ქალაქის და [illegible] სანახების მნიშვნელობას იღებს და დიდი ხნის მანძილზე ასეთად [illegible].

[illegible]წუხაროდ, სადღეისოდ, არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, [illegible] მსჯელობა იმაზე, თუ განვითარების რა გზა განვლო ქალაქ [illegible]ონმა — კუტაიამ იმ დრომდე, ვიდრე ის კოლხეთის სამეფოს პო-

ლიტიკური ცენტრი გახდებოდა. აპოლონიოს როდოსელის „არგ
ტიკის“ მიხედვით, ქ. კუტაია — სამეფო ქალაქია, ხოლო კოლხთა
ამავე დროს, მიწათმოქმედების და ნაყოფიერების უზენაესი კულ
ხურიც არის. საღვთო ნაკვეთზე ის ასრულებს რიტუალურ ხვნას
ლოგიურ სურათს ვხედავთ თრაკიაში დერონების სატომო მონეტ
გამოსახულებაზე. იხ. თავი I). თვით მეფის ასული მედეა ქალ
ჰეკატეს, ანუ მთვარის ტაძრის ქურუმია (III). სამიწათმოქმედო კ
სა და საერთოდ, ნაყოფიერების ღვთაების თაყვანისცემას რომ
მორჩეული ადგილი უნდა სჭეროდა კუტატიდის ქვეყანაში, ამაზე
სახელწოდებაც მიგვანიშნებს. ამ თვალსაზრისით, საგულისხმო
ხელწოდება „კუტაიას“ ფუძე „კუტ“, რომელიც უკავშირდება
ველთა რელიგიურ წარმოდგენებში შემორჩენილ, იმერულ,
დიალექტებში და მეგრულ ენაში ნაყოფიერების სიმბოლოს —
სის — აღნიშვნელ სიტყვებს „კუტას“ და „კუტუს“. ხოლო ფ
მონაწილეობა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მფა
ღვთაებისადმი მიძღვნილ (ბოსლობის, ანუ ბოსელ-კოტის) საკ
რიტუალში დამოწმებულია დასავლეთ საქართველოს არაერთი კ
ეთნოგრაფიულ მონაცემებში[22]. ამასთან დაკავშირებით, განსაკ
ბულ ყურადღებას იმსახურებს პროკოპი კესარიელის ზემოგანხ
გადმოცემაში კუტაიონის პარალელურად მოტანილი „კოტ“-ფ
სახელწოდების ფორმა — „კოტიაიონი“ („Κοτιάϊον“), რომელიც,
ტიელი ავტორის ცნობით, მას სხვა, ასევე ძველი წყაროდან ა
აქვე, უთუოდ, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ პროკოპ
რიელის თხზულების ტექსტში ძირითადად „Κοτ“-ფუძიანი ფ
დადასტურებული, იგივე ფორმას — Κοτιάϊον — იძლევა თ
ყველა ხელნაწერის გადამწერი[24]. ამავე „კოტ“-ფუძიან ფორმას
რობს პროკოპის მომდევნო ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი
ნაშრომის სამ ადგილას[25]. ქუთაისის სახელწოდების ამ ფორმის —

---

22 В. В. Бардавелидзе დასახ. ნაშრ. გვ. 178, 179.

23 პროკოპი ამ მეორე წყაროდ არიანეს მონათხრობს ასახელებს, მაგ
გორც ვთქვით, არიანეს ჩვენამდე მოღწეულ თხზულებებში ამის შესახებ
მოიპოვება.

24 BG VIII, 14, გეორგიკა, ტ. II, შენ. 7, გვ. 195, 196.

25 აგათია სქოლასტიკოსი. ისტორია. II. 19, 21, 22, III, 6.
კა. ტ. III. თარგმანი ს. ყაუხჩიშვილისა.

[illegible] განმარტებას ს. ყაუხჩიშვილი ერთ მეტად საინტერესო
[illegible] ურთავს:

[illegible] ჩაეუკვირდებით ჩვენამდე მოღწეულ სხვა ბერძნულ ძეგ-
[illegible], ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ ფორმა „კოტაისი“ („ქოთაისი“)
[illegible] ტრადიციისათვის საკმაოდ ცნობილი და პროკოპი კესარი-
[illegible] ერთადერთიც ყოფილა“[26]. აქედან ნათლად ჩანს, რომ სახელ-
[illegible] „კოტიაიონს“ — „კოტაიას“, მართლაც, გარკვეული კავშირი
[illegible] ქონოდა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მფარველი
[illegible] კულტთან, რომელიც XX ს-ის დასავლეთ საქართველოს მო-
[illegible] „ბოსელ-კოტის“ რიტუალის გადმონაშთის სახით შემო-
[illegible] ყოველივე ზემოთქმული, თითქოს, უფლებას გვაძლევს ისიც
[illegible] ოთ, რომ „კუტაიას მიწა“-ს, იგივე „კუტატიდის“, რომელიც
[illegible] ეთის საუკეთესო, ნაყოფიერებით განთქმულ მხარეს წარმოად-
[illegible], შემთხვევით არ უნდა შერქმეოდა ეს სახელი.

[illegible] ნიშნულ სახელწოდებაში თავისი გამოხატულება პოვა, სწორედ,
[illegible] ის გამორჩეულმა უხვმოსავლიანობამ და ლითონით სიმდიდრემ,
[illegible] საერთო დაწინაურებამ, რამაც უთუოდ თავიდანვე განაპირობა
[illegible] ფიერების კულტის თაყვანისცემის ფართოდ დანერგვა და გავრ-
[illegible] „კუტაიის მიწაზე“ მცხოვრებ საზოგადოებაში. ამდენად,
[illegible] ბით გასაგები და კანონზომიერია ისიც, რომ ძველ ბერძენთა წარ-
[illegible] ებში ნაყოფიერებისა და ძლიერების სიმბოლოს — ოქროს საწ-
[illegible] — მფლობელად სწორედ კუტაიის ქვეყნის მბრძანებელი
[illegible] ეველინება.

[illegible] „კუტაიის მიწის“ მნიშვნელობის დაზუსტება და მასში ჩაქსო-
[illegible] შინაარსის გახსნა, ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყარო-
[illegible] ს გათვალისწინებით, საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ ზოგიერთი
[illegible] ბა სახელწოდება „აიას“ რაობის შესახებაც. სახელდობრ, სა-
[illegible] ბელია, რომ გარკვეული პერიოდიდან (წინაანტიკური ხანა), ამ
[illegible] ში იგულისხმებოდა არა კოლხთა მთელი ქვეყანა (მთელი კოლ-
[illegible]), არამედ ნაყოფიერებითა და სიმდიდრით განთქმული კოლხეთის
[illegible] ეთესო მხარე, იგივე „კუტაიის მიწა“. ამდენად, აია მოიცავდა
[illegible] კუტაიასაც და რიონის ქვემო და შუა წელის გაყოლებით მდება-
[illegible] ქვეყანას ზღვამდე, მის ფარგლებში შედიოდა მდინარე ფასის-რი-
[illegible] ის შესართავიც. აპოლონიოს როდოსელი[27] და სხვა ავტორები პირ-

---

26 გეორგიკა. ტ. II. შენ. 7, გვ. 196.

27 აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა.

დაპირ აღნიშნავენ, რომ კუტაია აიას ქალაქია, ხოლო სტეფანე ბ
ზანტიელი კი, რაღაც სანდო წყაროზე დაყრდნობით, გვაუწყებს, რ
„ქ. ფაზისი (არის) აიას ქალაქი კოლხების ქვეყანაში“[28].

ამ უკანასკნელი ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ აია არის კოლ
ბის ქვეყანაში, მდ. ფასისთან, მაგრამ მასზე მცირე გეოგრაფიუ
ერთეულია, მისი ნაწილია. ასეთივე შინაარსით უნდა ხმარობდეს ტ
მინ „აიას“ ჰეროდოტეც, როდესაც აღნიშნავს: „გრძელი ხომალდ
მოსცურეს (ელინებმა) აიაში, კოლხიდაში, და მდინარე ფაზისთ
(1,2)[29]. ანალოგიური აზრი აქვს ჩადებული ეაში აპოლონიოს როდ
სელს თავის არგონავტიკის II თავის იმ ადგილას, სადაც იასონი ეუ
ნება ფინეუსს: „კოლხეთის ეა ხომ ზღვისა და მიწის უკიდურეს მ
ერეში მდებარეობს“[30]. ზემოთქმულთან დაკავშირებით, საგულისხმოა
წ. XII ს-ის ცნობილი ეგზეგეტიკოსის ევსტათი თესალონიკელის გ
მარტებაც ჰომეროსის „ოდისეის“ ერთ-ერთ ადგილზე; ევსტათი წერ
Αἰαίη (ნახმარია) Κολχίκη -ს მაგიერ ადგილის სახელის მიხ
ვით[31]. ამ განმარტებიდან ჩანს, რომ „აიაია“, მართალია, კოლხიკეს
გიერ იხმარება, მაგრამ ის ამ ქვეყნის გარკვეულ ადგილს აღნიშნ

ამრიგად, მოტანილი წერილობითი ცნობების განხილვა უფლ
გვაძლევს წინაანტიკური ხანიდან აიაში ვიგულისხმოთ კოლხეთის
ნაწილი, სადაც ძველი ბერძენი ავტორები ათავსებენ „კუტაიის
წას“; როგორც ჩანს, გარკვეულ პერიოდში ამ ორი სახელწოდებ
მქონე ქვეყანა ერთმანეთს ფარავს და ამდენად, ეს ტერმინები, ფ
ტიურად, ერთი შინაარსის მატარებელია. როგორც ზემოთ დავინახ
სახელწოდება „კუტაიას“ მსგავსად, ტერმინი „აიაც“ ძვ. წ. IV ს
დასასრულიდან ალექსანდრიელი პოეტების წრეში და მათ შემდგ
ავტორთა მიერ ზოგჯერ ქალაქის მნიშვნელობითაც იხსენიება[32].

ამრიგად, ძველ ბერძენ ავტორთა ნაწარმოებებში „კუტაიას
რის“ სინონიმად ზოგჯერ გვევლინება „აია“-ს ანუ „აიაიას“ ქვეყ
ხოლო „აია“, იგივე „აიაია“, სავსებით შესაძლებელია, უკავშირდებ

---

28 გეორგიკა. III.

29 თ. ყაუხჩიშვილი. ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. 19
გვ. 58, შეად. შენ. 2, გვ. 48.

30 აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა. გვ. 82.

31 აკ. ურუშაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 183, 416.

32 მ. ინაძე. პირველი ცნობები ქალაქ კუტაიას შესახებ. — კავკასიურ-აღ
აღმოსავლური კრებული. VII. თბ., 1984, გვ. 152—161.

ეს ხეთური ტექსტების ეიას, რომელიც მარადმწვანე ხეს აღნიშნავ-
და. როგორც დადგენილია, ეია მარადიულობას, უსულ სასიცოცხლო
ძალას, ნაყოფიერებას, გამრავლებას, მოკვდავ და აღორძინებად ბუ-
ნებასა და თავისუფლებას ასახიერებდა. მოკვდავ და აღორძინებად
ღვთაებასთან — თელეფინუსთან — დაკავშირებულ მითში ეია ის წმინ-
და ხეა, რომელზედაც საკრალურ საწმისს ჰკიდებენ, ხოლო საწმისი
ნაყოფიერების, გამრავლების და ყოველივე კეთილის საწინდარია[33].

აქვე აღსანიშნავია ურარტულ პანთეონში ქალღმერთებს შორის
„აიას“ დასახელება[34]. საგულისხმოა ისიც, რომ ქვეყნის სახელი „აია“
მიწათმოქმედების ღვთაების სახელწოდებად მიაჩნიათ. ამ ღვთაების
სახელს ხედავენ სვანურ მეტყველებაში შემონახულ გამოთქმაში —
„ია მიშლადაღ“, რაც აიას კვირადღეს ნიშნავს[35]. როგორც მოტანილი
მონაცემები მოწმობენ, ჩვენს ხელთაა საინტერესო თანხვედრები სა-
ხელწოდებების — „კუტაიის მიწა“ და „აიას“ — გააზრებისათვის.

2. ვანი. საირხე

ზემოთ აღინიშნა, რომ ძვ. წ. VI საუკუნე კოლხეთის საზოგადოე-
ბის ისტორიაში მოსაბრუნი ხანაა. ამ დროისათვის ქვეყანაში იქმნება
ერთი ეკონომიკური ბაზა კოლხთა პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამო-
ყალიბებისათვის[36].

აღებულ ხანაში საკუთრივ კოლხთა საზოგადოება წამყვანია არა
ხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ სოციალურ-ეკონომი-
კური პროგრესის მხრივაც. კოლხთა საზოგადოების დაწინაურებაში
ესებითი როლი, უპირველესად, რკინის წარმოებისა და ინტენსიური
მიწათმოქმედების, განსაკუთრებით კი მევენახეობა-მეღვინეობის ფარ-
თოდ განვითარებას უნდა შეესრულებინა.

მეურნეობის ახალი დარგის — მეღვინეობის — ფართოდ დანერგვა
წვევდა დიდ ძვრებს, როგორც ამ საზოგადოების ეკონომიკაში, ისე
მის სოციალურ ურთიერთობაში. იგი მძლავრი სტიმული გახდა ქვე-

---

33 იხ. ნ. ხაზარაძე, თ. ცაგარეიშვილი. ხეთურ-ქართული მითოლო-
გიური პარალელები (ეია-ურთხელი). — მნათობი, 1988 წ., № 2, გვ. 169—173.

34 Г. А. Меликишвили, Наири—Урарту. Тбилиси, 1954, с. 371.

35 Г. Читаия, Земледельческие системы и пахотные орудия в Грузии. Вопросы этнографии Кавказа. Тбилиси, 1952, с. 103.

36 მ. ინაძე. ანტიკური ხანის კოლხეთსა და თრაკიაში სახელმწიფოს წარმო-
�-განვითარების ისტორიული პარალელები.

ყანაში სასაქონლო წარმოებისა და კერძო საკუთრების განვითარ[illegible] სათვის[37].

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა შენიშნული, [illegible] ვაზი, თავდაპირველად, საკულტო მცენარე უნდა ყოფილიყო. იგი [illegible] ხატის საკუთრებას წარმოადგენდა და ინერგებოდა ძლიერ [illegible] ღვთაებათა კუთვნილ მიწებზე, რის გამო ვენახის პირველი დიდი [illegible] საკუთრე წარმართული ტაძარი ხდება[38]. მიუხედავად იმისა, რომ [illegible] ნახის გაშენება შემდეგში მეთემეების სარგებლობისათვის განკუთ[illegible] ნაკვეთებშიც იწყება, ვენახის დიდი ნაწილის მფლობელად მაინც [illegible] ძარი გამოდის. კოლხეთის უმნიშვნელოვანესი სატაძრო ცენტრ[illegible] (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ), სწორედ, რიონისა და ყვირ[illegible] ხეობათა გასწვრივ, ქვეყნის შუა და აღმოსავლეთ ნაწილში მდ[illegible] მევენახეობით განთქმულ რეგიონებში წარმოიქმნებიან და ვითარ[illegible] ბიან[39].

ძვ. წ. VI ს-დან, რიონ-ყვირილის გაყოლებით მოსახლე საზოგ[illegible] ების სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურება განაპირობა იმ გა[illegible] ებამაც, რომ თუკი აქამდე ამ საზოგადოების განვითარება, უმთ[illegible] სად, შინაგანი საწარმოო ძალების პროგრესის საფუძველზე მიმდინ[illegible] ობდა, ამ ერიდან მას მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი გამ[illegible] და, საბერძნეთის, შავიზღვისპირეთის, ახლო აღმოსავლეთის დიდ [illegible] ტრებთან სავაჭრო ურთიერთობის სახით. ეს კავშირი, რომელიც [illegible] ადრეანტიკურ ხანაში, დიდი მნიშვნელობის სანაოსნო გზის, [illegible] ყვირილის მაგისტრალის მეშვეობით ხორციელდებოდა, მძლავრ[illegible] მული გახდა ქვეყნის ამ მხარის ეკონომიკურ შესაძლებლობათ[illegible] ველმხრივი გამოვლენის, ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისების, სასა[illegible] ლო წარმოებისა და მისი პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე [illegible] ნისათვის.

როგორც ზემოთ ითქვა, ძვ. წ. VI ს-სათვის საკუთრივ კო[illegible] საზოგადოება იმდენად დაწინაურდა, რომ მან შეძლო გარშემო [illegible] ბული, შედარებით სუსტი ეთნო-პოლიტიკური წარმონაქმნების [illegible]

---

37 საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. რედ. გ. მელიქიშვილი. [illegible] 1970, გვ. 414.

38 ი. კ ი კ ვ ი ძ ე. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქ[illegible] ველოში. თბ., 1976, გვ. 99—100.

39 ეს მხარე დღესაც განთქმულია უხვმოსავლიანი მიწებით.

[illegible] ტერიტორიის [illegible] გამოსვლა და საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის [illegible] სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნა.

[illegible] სამეფოს ფორმირებასთან ერთად, როგორც ჩვენ ვვა- [illegible] ვდებდა ე. წ. სკეპტუხიათა ჩამოყალიბების პროცესი[illegible] [illegible] წარმოადგენდნენ კოლხეთის სამეფოს ადმინისტრაციულ [illegible] [illegible] ერთეულები[40] („ქვეყნები", „ხევები", ან „ხევთა" გაერ- [illegible] [illegible] კოლხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლის [illegible] [illegible] ეთნო-ტერიტორიული წარმონაქმნები საგამგეო ერთეუ- [illegible] [illegible] ხოლო მათი ადგილობრივი ხელისუფლებანი, სატო- [illegible] [illegible] ტრატის წარმომადგენელნი, სამეფო მოხელის ფუნქციები- [illegible] [illegible] ებიან[42].

[illegible] სამეფოს ერთ-ერთი საგამგეო ერთეული — სკეპტუხია, [illegible] [illegible] ბდებარეობდა ყვირილის ხეობაში[43]. ზოგიერთი მკვლე- [illegible] [illegible] ეარაუდობს კოლხეთის ცენტრალურ ნაწილშიც, ვა- [illegible] [illegible]

[illegible] სახელმწიფო ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან ერთად, კოლხეთ- [illegible] [illegible] მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრებიც. წერი- [illegible] [illegible] ლობების (ალოლონიოს როდოსელის და სხვ.) მიხედვით, [illegible] [illegible] ეოფილიყო კუტაია (ქუთაისი), ხოლო არქეოლოგიური [illegible] [illegible] ძველი საქალაქო ცენტრები გამოვლენილია დღევან- [illegible] [illegible] და ყვირილის ხეობის ერთ-ერთი სოფლის — საირხის— [illegible]

[illegible] საირხეში მოპოვებული მასალა, როგორც წყარო ძვ. წ. [illegible] [illegible] ბდა კოლხეთის ქალაქების ისტორიის შესასწავლად, მა- [illegible] [illegible] ბების ცალკეული ეტაპისა და ფუნქციების დასადგენად, [illegible] [illegible] ბდა იქცევს მკვლევართა ყურადღებას. ვანში აღმოჩენილი

[illegible] კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის.—საქართველოს [illegible] [illegible] ბის მოამბე, ტ. XXVI. № 6, 1961, გვ. 783—790.

[illegible] ი. საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII. თბ., [illegible] [illegible] 140—141, 150, 151 და შემდ.

[illegible] დასახ. ნაშრ., გვ. 788.

[illegible] ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ. 1975, გვ. 134; [illegible] Колхида в VI—II вв. до н. э. Тб., 1978, გვ. 30. [illegible] Лордкипанидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 75; ო. ლორთქიფანიძე, ვა- [illegible] [illegible] ანი, ისტორია, პრობლემები (წერილი მეორე). ვანი III. თბ. 1977, [illegible]

არქეოლოგიური ძეგლების კვლევა-ძიების საფუძველზე უკანასკნ
ათეული წლების მანძილზე დაიწერა არაერთი გამოკვლევა, სამეცნ
ერო ლიტერატურაში გამოითქვა არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზ
ბა. ზემოთქმულის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვ
ვანის ექსპედიციის ხელმძღვანელის ო. ლორთქიფანიძის ნაშრომ
წარმოდგენილი მოსაზრებანი. მკვლევრის ვარაუდით, ვანის ძველ
ლაქის ისტორიაში უნდა გამოიყოს სამი ძირითადი ეტაპი. თავისი
ვითარების პირველ ეტაპზე (ძვ. წ. VI—IV ს-ის პირველ ნახევ
ვანი წარმოადგენდა კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაც
ლი ერთეულის („სკეპტუხიის" || „ვანის ქვეყნის") პოლიტიკურ
შესაბამისად, ეკონომიკურ ცენტრს, მმართველი ზედაფენის რეზ
ციას, რომელსაც ეკავა ბუნებრივი ხევებით გამაგრებული ბორ
(ე. ი. „ახვლედიანების გორა"), უფრო სწორედ, მისი ქვედა და ცენ
რალური ტერასები, რადგან სამოსახლო კულტურული ფენები
ლოდ აქ არის წარმოდგენილი. ეს რეზიდენცია, თავდაპირველად,
ზედრო-ადმინისტრაციული ცენტრია, სადაც თანდათანობით ხ
კონცენტრაცია ხელოსნობის ძირითადი დარგებისა[45].

მკვლევრის თანახმად, შემდგომი ეტაპი ვანის ძველი ქალაქის
ტორიაში მოიცავს ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარს და III ს-ის პირ
ნახევარს (ყოველ შემთხვევაში, დასაწყისს მაინც). ამ ეტაპს იგი
შირებს დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძვრებს, რომლებიც შეინ
ნება როგორც მახლობელ აღმოსავლეთში, ისე ქართლში. ამავე დრ
მას ნიშანდობლივად მიაჩნია ის გარემოებაც, რომ ამ დროისათვის
ნის ონომასტიკონში გლიპტიკურ ძეგლებზე და სხვ. თავს იჩენს
მოსავლურ-ანატოლიური (კაპადოკიური) გავლენა[46].

ვანის ქალაქის განვითარების ახალი ეტაპი, როგორც ო. ლორთ
ფანიძე ვარაუდობს, ძვ. წ. III—I სს-ებს ემთხვევა და ამ დროს
ფუნქციონალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით, სატაძრო ქალ
წარმოადგენს. ამის დამადასტურებლად მიჩნეულია ის გარემოება,
არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით ამჟამად ყველა უბანზე,
წ. III—1 საუკუნეებისათვის, მხოლოდ სატაძრო-საკულტო და
გადოებრივი დანიშნულების ნაგებობანია წარმოდგენილი. ამასთან,
ხანის სატაძრო-საკულტო კომპლექსები, საკურთხევლები გამოირჩ

---

45 ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ვანის ნაქალაქარი. — ვანი III. გვ. 18, 19.
46 იქვე. გვ. 19, 20.

[illegible] სიმაგრეებითა და დიდი მასშტაბით[47]. მკვლევრის შემდგომი
[illegible] იქნება შთაბეჭდილება, რომ იგი შინაგან კავშირს ხე-
[illegible] ხანაში (ძვ. წ. III ს-ის შუახანიდან) ვანის ტერი-
[illegible] ქალაქის არსებობასა, თუ წარმოქმნასა (?) და აღ-
[illegible] კოლხეთში სწორედ ამ დროს მომხდარ ეთნო-პოლიტიკურ
[illegible] ძვრებს შორის (კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებია
[illegible] აღმოსავლეთ-ქართული ტომების—მესხების ექსპანსია,
[illegible] სამეფოს პოლიტიკური გავლენის გავრცელება და სხვ.).

[illegible] ამ მსჯელობიდან იმ აზრის გამოტანა შეიძლება,
[illegible] ცენტრი, სატაძრო ქალაქი ვანში, მხოლოდ მისი ისტო-
[illegible] ეტაპზე, ელინისტური ხანიდან (ძვ. წ. III ს-დან) ჩნდება.
[illegible] ადრეანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI ს—IV ს-ის ბოლო მე-
[illegible] ვანი წარმოადგენს კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმი-
[illegible] ერთეულის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს[48].

[illegible] ვანში აღმოჩენილია ძვ. წ. VI—IV სს-ის მდიდრული
[illegible] ინვენტარის დეტალური დამუშავება, მისი სოციალური
[illegible] თვალსაზრისით ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები,
[illegible] ეკანასკნელ წლებში ვანსა და საირხეში (ყვირილის ხეობაში)
[illegible] ახალი არქეოლოგიური მასალა, შესაძლებელს ხდის გა-
[illegible] ჩვენი მოსაზრება ვანის სატაძრო ქალაქის გენეზისისა და ამ
[illegible] ადრეანტიკურ ხანაში არსებული ქალაქის, მისი მმართველი
[illegible] ბის საკითხზე[49].

[illegible] სატაძრო ქალაქის წარმოქმნის საკითხის შესწავლისას, უპირ-
[illegible] გათვალისწინებულ უნდა იქნეს ახვლედიანების გორის
[illegible] ცენტრალურ ტერასზე გამოვლენილი წინა და ადრე-
[illegible] ხანის საკულტო ნაგებობათა ნაშთები და ამავე დანიშნუ-
[illegible] კომპლექსები, რადგან სწორედ ადრეული ხანის ეს ძეგლები
[illegible] შემადგენლობა ყოველწლიურად ივსება ახალი მონაცემე-
[illegible] ძვ. წ. V—IV სს-ის ვანისა და საირხის სამარხებიდან მომდინარე
[illegible] ერთად, სადღეისოდ წარმოადგენს ამოსავალს, ამავე დროს,

---

[illegible] გვ. 22.
[illegible] 25—27. შეადარე О. Д. Лордкипанидзе. Вани в сис-
[illegible] царства.—Причерноморье в VII—V вв. до н. э., Вани—1987.
[illegible] 1990, с. 327—332, სადაც ის აზრია გატარებული, რომ ძვ. წ. VI—IV სს.
[illegible] ადმინისტრაციულ ცენტრს, რომელიც ახორციელებდა უპირ-
[illegible] პოლიტიკურ, მასთან ერთად, ეკონომიკურ და რელიგიურ ფუნქციებს.
[illegible] ა ნ ა ძ ე, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში. „მაცნე", ისტორიის სერია,
[illegible] № 4.

საიმედო დასაყრდენს ზემოაღნიშნული საკითხების შემდგომი კვლევისათვის. ამ თვალსაზრისით საგანგებო ინტერესს იწვევს 1975 წელს ცენტრალურ ტერასზე აღმოჩენილი, ვერტიკალურად მდგარი ქვის ფილებით შედგენილი „საკულტო კერია“, რომლის შიგნით და ირგვლივ ნაპოვნია დიდი რაოდენობით ჩალეწილი თიხის ჭურჭელი (ქოთნები, დერგები), უპირატესად ძვ. წ. VII—VI საუკუნეებისა.

მომდევნო წლების გათხრებმა იმავე ცენტრალურ ტერასზე გამოავლინა კიდევ უფრო საგულისხმო მასალა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეავსო წინა მონაპოვრის მიხედვით წარმოდგენილი სურათი. სახელდობრ, 1983—84 წლებში ამ ტერასზე, ელინისტური ხანის ფენის ქვეშ კვლავ აღმოჩნდა საკულტო დანიშნულების ნაგებობის ნაშთები და მასთან ერთად, ცხოველთა თიხის მრავალრიცხოვანი სტილიზებული გამოსახულებანი, რომლებიც ძვ. წ. VIII—VII სს-ით თარიღდებიან. ფიქრობენ, რომ ეს გამოსახულებანი გამოყენებული უნდა ყოფილიყო ნაყოფიერების ქალღვთაების — იმავე ღმერთების დიდი დედისადმი მიძღვნილ საკულტო რიტუალში, რომელიც ამ ადგილზე სრულდებოდა ჯერ კიდევ წინარეანტიკურ ხანაში[50].

აღსანიშნავია, რომ საკმაოდ ადრეული ხანის, სახელდობრ, უშუალოდ ძვ. წ. VIII—VII სს-ის მომდევნო პერიოდის, საკულტო-რიტუალური დანიშნულების ძეგლები გამოვლენილია ახვლედიანების გორის ზედა ტერასზედაც[51]. ასეთ ძეგლად არის მიჩნეული, უპირველეს ყოვლისა, ბორცვის წვერის ცენტრალურ ადგილზე ფიქსირებული, ე. წ. დახურული კომპლექსი: კლდოვან დედაქანში (თირში) ამოკვეთილი სარიტუალო ქვაბული, ორმოები და ურთიერთგადამკვეთი არხები, რომლებშიც აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის კერამიკის ერთი ჯგუფი არქაული იერით გამოირჩევა. შემჩნეულა ისიც, რომ არხების ერთი ნაწილი ძვ. წ. VI საუკუნეში უკვე წყვეტს ფუნქციონირებას[52], რაც ამ

[50] В. Н. Толордава, Культовый комплекс VIII—VII вв. до н. э. из Вани.—Причерноморье в VII-V-вв. до н. э., Тбилиси, 1987. с. 261—276.

[51] ზედა ტერასზე აღმოჩენილია წინარეანტიკური ხანის მასალაც, თუმცა მცირე რაოდენობით. ეს მასალა მოწმობს ბორცვის წვერზე დასახლების არსებობას ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებიდან მაინც (დ. კაჭარავა, ო. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, გ. ყიფიანი, არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასზე. — ვანი IV. თბ., 1979, გვ. 37). მკვლევართა ვარაუდით, ამ დროის, ისევე როგორც უფრო ადრინდელი ხანის ძეგლები, ზედა ტერასზე მერმინდელი მშენებლობისას უნდა იყოს განადგურებული (იქვე, გვ. 37).

[52] დ. კაჭარავა, ო. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, გ. ყიფიანი. არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასზე. გვ. 33—37.

კომპლექსის სიძველის კიდევ ერთი მაჩვენებელი უნდა იყოს. მკვლევართა თანახმად, დახურულ კომპლექსში სრულდებოდა ქტონიურ ღვთაებებთან დაკავშირებული საკულტო რიტუალი[53]. ზოგიერთი იმაზეც გარაუდობს, რომ კლდეში ნაკვეთი ეს კომპლექსი — სარიტუალო ნაგებობები სპეციფიკური არხებით — წარმოადგენდნენ მიწისქვეშა სამსხვერპლოებს, რომლებშიც აგროვებდნენ ღვთაებისადმი შეწირულ ცხოველთა სისხლს[54]. როგორც ფიქრობენ, ეს სამსხვერპლოები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმავე ზედა ტერასზე გამოვლენილი, ძვ. წ. VI—V სს-ის ხის ძელებით ნაშენ დიდ საკულტო ნაგებობასთან[55], რომელიც შემდგომში ხანძრისაგან განადგურებულა[56].

ზემოაღწერილი დახურული კომპლექსი, როგორც ჩანს, მართლაც, ადრიდანვე საგანგებო დანიშნულებას ასრულებდა ბორცვზე ჩატარებულ საკრალურ ცერემონიალებში. ამაზე, გარდა ამ კომპლექსის მდებარეობისა (განლაგება ბორცვის შუაგულში, მის უმაღლეს წერტილში, ყველაზე საპატიო ადგილას), უნდა მეტყველებდეს ის გარემოებაც, რომ ამ ადგილზე, ელინისტურ ხანაში (ძვ. წ. III ს.), შენდება ვანის სატაძრო ქალაქის ერთ-ერთი მთავარი სალოცავი — „საზეიმო“ საფეხურებიანი მონუმენტური ქვის საკურთხეველი[57]. აღსანიშნავია ისიც, რომ ბორცვის წვერზე ძვ. წ. IV—III სს. არაერთი წარჩინებული — ვანის საზოგადოების ზედაფენის წარმომადგენელი — დაუკრძალავთ[58] (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ პირთა გარკვეული ნაწილი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, აშკარად ვანის კულტმსახურთა ფენას განეკუთვნება).

ანალოგიური სურათი იშლება ახვლედიანების გორის ცენტრალურ ტერასზედაც, სადაც ზემოხსენებული წინარეანტიკური ხანის საკულტო კერის ახლოს, ელინისტურ ხანაში (ძვ. წ. IV—III სს.) იგება თეთრი ქვის საკურთხეველი[59]. ამასთან, ნიშანდობლივია ისიც, რომ აქეე, მახლობლად დასტურდება კულტმსახურ წარჩინებულთა სამარხები. ყველა ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, პირდაპირ მიუთითებს ახვლე-

[53] დ. კაჭარავა, ო. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 37.

[54] Г. Лордкипанизе. დასახ. ნაშრ., გვ. 122, 123.

[55] იქვე.

[56] დ. კაჭარავა, ო. ლორთქიფანიძე... დასახ. ნაშრ., — ვანი IV. გვ. 31.

[57] იქვე. გვ. 21.

[58] იქვე, გვ. 25 და შემდ.

[59] ო. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი. — ვანი III. გვ. 14.

დიანების გორაზე არსებული სამლოცველოს ძველსა და ძლიერ ტრადიციებზე. ამავე დროს, დასახელებული ფაქტები იმის მაუწყებელნიც არიან, რომ ძველი კოლხური კულტები ვანის ქალაქში ადრეელინისტურ ხანაშიც ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას[60].

ზემოთქმულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ახვლედიანების გორის ზედა ტერასის დიდი ნაწილი ადრეანტიკურ ხანაში საკულტო-რიტუალური დანიშნულების კომპლექსებს უჭირავთ. სახელდობრ, გარდა ზემოდასახელებულ ნაგებობებისა, ზედა ტერასზე ადრეანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI—V სს.) არსებობდა ე. წ. „რიტუალური მოედანიც". რიტუალში, ჩანს, გარკვეულ როლს ასრულებდა ცეცხლი. „მოედნიდან" 0,75 მ დაცილებით აღმოჩნდა ადგილობრივი თიხისაგან გამოძერწილი ქალღმერთის (?) ტერაკოტული ქანდაკება. „მოედნის" გაგრძელებაზე, ჩრდილოეთით დადასტურებულია დიდი რაოდენობით შეწირულ ცხოველთა ძვლები[61].

მთელი ამ არქეოლოგიური მონაპოვრის, „ახვლედიანების გორის" ზედა და ცენტრალურ ტერასებზე გამოვლენილი საკულტო-რიტუალური დანიშნულების ძეგლების განხილვა გვაფიქრებინებს, რომ ვანის ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სალოცავი ხატი ძველთაგანვე (ყოველ შემთხვევაში, წინარეანტიკური ხანიდან მაინც) „ახვლედიანების გორად" წოდებულ ბორცვზე არის საგულისხმებელი. როგორც ჩანს, უკვე ძვ. წ. VIII—VI სს. აქ საკმაოდ დიდი მასშტაბით სრულდებოდა ნაყოფიერების ქალღვთაებისადმი განწესებული კულტმსახურება[62].

---

60 შდრ. დ. კაჭარავა, ო. ლორთქიფანიძე,... დასახ. ნაშრ., გვ. 37.

61 დ. კაჭარავა, ო. ლორთქიფანიძე..., დასახ. ნაშრ. გვ. 21, 36.

62 საკულტო ცენტრების არსებობა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, და უფრო ადრეც (II ათასწლეულის დასასრულს), არქეოლოგიური კვლევა-ძიებით დასტურდება კოლხეთის მეზობლად, შიდა ქართლშიც. ასეთებია ყათნალისხევის, ნაცარგორას (მესამე ფენის) და ხოვლეგორას საწესო კომპლექსები, რომლებიც წარმოადგენენ ნაყოფიერების ღვთაებათა ხატებს. როგორც ფიქრობენ, ისინი უნდა ყოფილიყვნენ ხევის ან ტომის საკულტო ცენტრები, სადაც ტარდებოდა საკმაოდ რთული საწესო რიტუალი ნაყოფიერების გასაზრდელად (ი. კიკვიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 200—208; ავტორი ემყარება დ. ხახუტაშვილის, გ. გობეჯიშვილის, რ. აბრამიშვილის, დ. მუსხელიშვილის, გ. ცქიტიშვილის ნაშრომებს). გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლებისა, ძვ. წ. VIII—VII სს. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ცენტრების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის გამდლისწყაროში (ტირიფონის ველზე) აღმოჩენილ განძში შემავალი ერთი საკულტო დანიშნულების ნივთი, რომელიც სამლოცველოს იმიტაცია უნდა იყოს. ეს ნივთი მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის, რომ განძი კოლხურ კულტურას განეკუთვნება და უმთავრესად

ვანის სამლოცველოს საკულტო ცენტრად განვითარების შემდგომ პერიოდი ძვ. წ. V ს-დან იწყება. ამ დროისათვის კოლხეთში დიდი სოციალური და პოლიტიკური ძვრები ხდება: იქმნება საკმაოდ რთული სტრუქტურის საზოგადოება ურთიერთდაპირისპირებული კლასებითა და იერარქიულად დაქვემდებარებული სოციალური ფენებით, სრულდება სახელმწიფოს ფორმირების პროცესი[63]. ამ ძვრებს, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი ცვლილებები და გარდაქმნები უნდა მოეტანა ვანის საზოგადოების ცხოვრებაშიც. და მართლაც, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით, აღებულ ხანაში (ძვ. წ. V—IV სს.) ვანი წარმოგვიდგება მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად მაღალგანვითარებული ხელოსნური წარმოებით, ფართო სავაჭრო ურთიერთკავშირებით, ქონებივად და სოციალურად ძლიერად დიფერენცირებული საზოგადოებით[64]. მაგრამ მთავარი და არსებითი მაინც ის არის, რომ, სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებთან ერთად, მნიშვნელოვანი

[illegible]ბერძნული დანიშნულების ნივთებისაგან შედგება. თვითონ საკულტო ნივთი წარმოადგენს ხალის ფორმის შემოღობილ სარიტუალო მოედნის მოდელს. მოედნის შუაგულში დგას თაღისებური საკურთხეველი, რომელსაც უკან ედგმის ხალის ფორმისავე [illegible] მოედნის სწორ თავში დგას ოთხკუთხა ნაგებობა — ტაძარი. მომრგვალებული [illegible] ძალიანად უჭირავს შესაწირავად გამზადებულ ცხოველთა (ცხვრების) ფიგურებს. მოედანზე აღმართულია 7 ანთროპომორფული ფიგურა (4 მათგანი ითიფალია). ორი ფიგურა კერის შიგნით აწყვია (ი. კ ი კ ვ ი ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 223, [illegible]; ბ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, მატერიალური კულტურის ზოგიერთი ძეგლი როგორც ისტორიული წყარო). ამრიგად, ეს საკულტო მნიშვნელობის ნივთი შეიცავს ყველა იმ სარიტუალო დანიშნულების ნაგებობის გამოსახულებას და რთული რიტუალის შესრულებისათვის საჭირო კომპონენტებს, რომლებიც ახვლედიანების გორაზე გამოვლენილ ძვ. წ. VIII—VI სს-ის სამლოცველოშია წარმოდგენილი. საწესო რიტუალიც, [illegible] საკულტო ნივთზეა გამოსახული, ისევე როგორც ვანში, ნაყოფიერებისადმია მიძღვნილი. ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთი საბუთია იმის [illegible]ბელად, რომ ვანი, ისევე როგორც შიდა ქართლის ზემოჩამოთვლილი ძეგლები, ძვ. წ. VIII—VII სს. სატომო საკულტო ცენტრია („ვანის ქვეყნის" მთავარი სამლოცველოა). მომდევნო პერიოდში (ადრეანტიკური ხანიდან), კოლხეთში დიდი პოლიტიკური გაერთიანების შექმნის შემდეგ, ვანის ეს სამლოცველო უკვე სატომო-[illegible] მნიშვნელობის საკულტო ცენტრი ხდება. მისი დიდ სატაძრო ცენტრად [illegible]ირება ამ დროს უკვე ადრეკლასობრივი საზოგადოების წიაღში მიმდინარეობს. [illegible] ინაძე, სატაძრო ცენტრები... გვ. 38 და შემდ),

63 საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I. გვ. 410—414; Г. Лордкипанидзе. Колхида в VI—II вв. до н. э. გვ. 77 და შემდ.

64 ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ვანის ნაქალაქარი. — ვანი III. თბ., 1977, გვ. [illegible]—20.

ტეხილი შეინიშნება ვანის საკულტო ცენტრის განვითარებაშიც. ამ დროისათვის (ძვ. წ. V ს.) აქ უკვე არსებობს სატაძრო ცენტრი მკვეთრად ჩამოყალიბებული ქურუმთა ინსტიტუტით, დაკანონებული სამრალურ-რიტუალური წესებითა და ნორმებით. ვანის სატაძრო ცენტრში მიმდინარე ამ პროცესის ნათელსაყოფად, ტერასზე გამოვლენილ საკულტო დანიშნულების ნაგებობებსა და კომპლექსებთან ერთად, რომელთაც, როგორც დავინახეთ, ძვ. წ. VI—V სს. დიდი როლი ჰქონდა განკუთვნილი ვანის საზოგადოების რელიგიურ ცხოვრებაში, სრულად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ახლადდიანების გორას გათხრილ, ძვ. წ. V—IV სს-ის წარჩინებულთა მდიდრულ სამარხებს.

თავდაპირველად უნდა შევჩერდეთ ძვ. წ. V ს-ის შუა ხანების ცენტრალურ ტერასზე დაკრძალული წარჩინებული ქალის სამარხეული ინვენტარსა და დამარხვის რიტუალზე, რომელთა დეტალური განხილვა, საირხეში ამ ბოლო დროს მოპოვებულ ანალოგიურ მასალასთან ერთად, თვალნათლივ გვიჩვენებს ადრეანტიკური ხანის ვანისა და საირხის საზოგადოების ზედაფენის თეოკრატულ ბუნებასა და მის წარმომადგენელთა ახლო კავშირს კულტმსახურებასთან. ამ თვალსაზრისით, წარჩინებული ქალის სამარხეული ინვენტარიდან, უპირველესად, ყურადღებას იქცევს მისთვის ჩატანებული საკულტო ნივთები.

ამ ნივთებიდან აღსანიშნავია თავსამკაული, შედგენილი მსხლისებრი საკიდებისა და ტანდაღარული მძივებისაგან. სპეციალისტთა აზრით, ეს ნივთი ზუსტ პარალელს ვერსად პოულობს. იგი წარმოადგენს წარჩინებული კოლხი ქალის თავისებურ სამკაულს და ადგილობრივ შექმნილ ძეგლთა რიგს მიეკუთვნება[65]. ეს თავსამკაული იმ მხრივ იმსახურებს ჩვენს საგანგებო ინტერესს, რომ იგი დიდ მსგავსებას იჩენს იმავე ცენტრალურ ტერასზე დაკრძალული „წარჩინებული მეომრის“ (ძვ. წ. IV საის მესამე მეოთხედი) სამარხში აღმოჩენილ ოფიციალურ საბეჭდავ-ბეჭედზე გამოსახულ ქალ-ღვთაების (თუ ქურუმ-ქალის) თავსამკაულთან[66]. ეს მსგავსება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს და უნდა მიგვანიშნებდეს ამ ნივთის საკულტო დ[illegible]

---

65 ა. ჭ ყ ო ნ ი ა. ოქროს სამკაულები. ვანის ნაქალაქარიდან. თბ., 1981, ვ[illegible] VI, გვ. 16—17.

66 მ ა რ გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. არქაული და „არქაიზირებული“ საბეჭდავ-ბეჭედები ვანიდან. ვანი II. თბ., 1976, გვ. 136; ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, ა. ჭ ყ ო ნ ი ა. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. — ვანი I, თბ., 1972, გვ. 216—217.

[illegible]ებაზე, ამასთან, მისი მფლობელის კულტმსახურებასთან კავ[illegible]

[illegible] მეტყველებენ წარჩინებული ქალისათვის ჩატანებული [illegible] დანიშნულების სხვა ნივთებიც (რომლებიც მიცვალებულ[illegible] ელაგა): ვერცხლის სფერული ჭურჭელი, რომელიც დაჭ[illegible] ხელაწეული სფინქსების გრავირებული გამოსახულებე[illegible] ასევე ბრინჯაოს მცირე ზომის სიტულის ფორმის ჭურჭელი, [illegible] ძირზე გამოსახულია მზის სიმბოლო — სვასტიკა[67]. სვასტიკეს [illegible] შემკულია დოლისებური საკიდებისაგან შედგენილი წარჩინებული [illegible] ქალის ყელსაბამიც. აქვეა კოლხური ბრინჯაოს სარიტუალო [illegible][68].

საგანგებო ინტერესს იწვევს აგრეთვე წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში ფრთაგაშლილი არწივის გამოსახულებიანი ორი ოქროს ფირფიტის აღმოჩენა, რომლებიც უთუოდ სარტყლის მოსართავს წარმოადგენდა. არწივი, როგორც ცნობილია, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა რელიგიური რწმენების მიხედვით, „მზის ფრინველია“, მისი სიმბოლოა. იგი ყველგან სამეფო ან საღმრთო ფრინველად ითვლებოდა — ჰერალდიკური მნიშვნელობის მატარებელი იყო[69]. ამავე დროს, ქართულ წარმართულ პანთეონში არწივი უკავშირდებოდა ნაყოფიერების უზენაეს ღვთაებასაც[70]. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში არწივის გამოსახულებიანი ფირფიტების აღმოჩენა შემთხვევითი არ უნდა იყოს და იგი დაკრძალულის დიდ ძალაუფლებასა და მაღალ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს[71]. ჩვენი აზრით, არწივის გამოსახულებიანი ფირფიტების კავშირი მზისა და ნაყოფიერების ღვთაებათა კულტებთან, წარჩინებული ქალის ძალაუფლების თეოკრატიულ ხასიათზედაც უნდა მეტყველებდეს.

---

67 ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, ა. ჭ ყ ო ნ ი ა. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. — ვანი I. თბ., 1972, [illegible] 213, 238.

68 იქვე, გვ. 214, 223.

69 A R o o s. L' aigle du culte solaire syrien, RA, 6-e série, t. XXXVI, 1950 (octobre-décembre), მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, არქაული და „არქაიზირებული“ საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან, გვ 161, 162.

70 Г. Л о р д к и п а н и д з е, К истории древней Колхиды, Тбилиси, [illegible] 124; он же, Колхида в VI—II вв. до н э. გვ. 122.

71 ა. ჭ ყ ო ნ ი ა. დასახ. ნაშრ. გვ. 52.

ზემოდასახელებული ქალის კუთვნილებას ვანის საზოგადოების უზენაეს კულტმსახურთა ფენისადმი, რომლის რელიგიურ ცხოვრებაში მზის თაყვანისცემას და მასთან დაკავშირებულ ცერემონიალებს დიდი ადგილი ეჭირა, უნდა მოწმობდეს სამარხში ჩატანებული ოქროს დიადემაც, რომელზედაც ცხოველთა ჭიდილის სცენებია წარმოდგენილი დაბალი რელიეფით. ერთ ფირფიტაზე ორი ლომი დასძგერებია ქურციკს, მეორე ფირფიტაზე — ორი ლომი ხარს[72]. რაკი ლომი ძველ ხალხებში მზისა და სინათლის განსახიერებად იყო მიჩნეული, ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ წარჩინებული ქალის დიადემაზე მოთავსებული გამოსახულებანი წარმოადგენენ მზისა და სიბნელის, სიცოცხლისა და სიკვდილის ჭიდილის სიმბოლოს[73]. ამასთან, გამოთქმულია ვარაუდი, რომ აღნიშნული დიადემები საგანგებოდ მზადდებოდა დასაკრძალავი რიტუალისათვის[74]. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად კოლხეთის დიდებულთა სამარხებში აღმოჩენილი დიადემები წარმოადგენენ წარჩინებულობის ნიშანს[75]. ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული ოქროს დიადემა ვანის უზენაეს კულტმსახურთა ფენის წარმომადგენლის ხელისუფლების ინსიგნია უნდა იყოს და მისი დანიშნულება მხოლოდ დასაკრძალავ რიტუალში მონაწილეობით არ უნდა განისაზღვრებოდეს. სავსებით დასაშვებია, რომ წარჩინებული კოლხი ქალი მას სიცოცხლეში ატარებდა, როგორც განსაკუთრებული ღირსებისა და უზენაესი ქურუმის ნიშანს ვანის საკულტო ცენტრში შესრულებულ საკრალურ ცერემონიალებსა და საზეიმო პროცესიებზე გამოსვლისას (როგორც ამას ადგილი ჰქონდა პონტოს კომანას სატაძრო გაერთიანებაში. სტრაბონის გადმოცემით, კომანას ქურუმი დიადემას წელიწადში ორჯერ იკეთებდა, ისიც მხოლოდ ღმერთქალისათვის მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალის შესრულების დროს[76]).

გარდა მზის სიმბოლოებით დამშვენებული საკულტო დანიშნულების ნივთებისა, წარჩინებული კოლხი ქალის უმაღლეს კულტმსახურთა წრისადმი კუთვნილებას უნდა მოწმობდეს, აგრეთვე, მის სა-

72 ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ვანის ნაქალაქარი. — ვანი I. გვ. 12, 13.

73 იქვე. შენ. გვ. 13.

74 ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ვანის ნაქალაქარი. შენ. 31, გვ. 13; ა. ჭ ყ ო ნ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 16.

75 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე. ითხვისის სამარხი. — აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XXV—B. 1968, გვ. 34.

76 Strabo XII, 3, 32.

სამარხში აღმოჩენილი არაერთი ნივთი, შემკული ნაყოფიერების ქალღვთაების — დიდი დედის კულტთან დაკავშირებულ ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებით: ერთ-ერთი ოქროს ყელსაბამის საკიდები გაფორმებულია ვერძის თავების სახით[77], ხოლო ვერძი, ცხვარი ძველ კოლხთა წარმოდგენებში სიმბოლოა ნაყოფიერებისა, მოსავლიანობისა და სხვა. აღსანიშნავია აგრეთვე წარჩინებული ქალის სამარხში ფრინველის ფიგურებიანი სამკაულის (საყურეების, ყელსაბამის) ჩატანება[78]. დადგენილია, რომ სამკაულთა მორთულობაში ამ ელემენტის შეტანა მათ საკულტო დანიშნულებაზე მიუთითებს და ფრინველთა ეს გამოსახულებებიც უკავშირდებიან ბუნების დიდი დედის კულტს[79].

ნაყოფიერების ღვთაებასთან დაკავშირებული საკულტო ნივთების ჩატანება სამარხში ვანის საზოგადოების თეოკრატიული ზედაფენის წარმომადგენლისათვის სავსებით ბუნებრივი ჩანს, რადგან ვანში (ისევე როგორც მთელ კოლხეთში), ადრიდანვე იკვეთება ნაყოფიერებისა და ბუნების მფარველი ქალღვთაების, იგივე ღმერთების დიდი დედის კულტი, რომლის იკონოგრაფია ქალის მცირე ზომის ქანდაკებებით არის წარმოდგენილი. ვანში, საირხეში, ურეკში, ქუთაისში აღმოჩენილი წინა და ადრეანტიკური ხანის ქალის ტერაკოტული ფიგურები დაკავშირებულნი არიან დიდი დედის კულტთან და ბუნების მფარველ ქალას განასახიერებენ[80]. დიდი დედა, რომელიც სიმბოლოა ბუნების ნაყოფიერებისა, ვანის საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ღვთაება კოლხეთის სამეფოს აყვავების ხანაშიც. როგორც ვარაუდობენ, ამ დროს იგი სახელმწიფო კულტის მნიშვნელობასაც იღებს[81]. ნაყოფიე-

77 ა. ჭ ყ ო ნ ი ა. დასახ. ნაშრ. გვ. 37.

78 იქვე. გვ. 37, 38.

79 იქვე.

80 კოლხური დიდი დედაღვთაების შესახებ დაწვრილებით იხ. თ. მიქელაძის „ეშრომი — კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ., 1985, გვ. 62—67.

81 ამის დასტურია კოლხური ტრიობოლების შუბლზე ამოტვიფრული ქალის გამოსახულება, რომელსაც ბ. კუფტინი, სავსებით მართებულად, დიდი დედაღვთაების გამოსახულებად მიიჩნევდა (Б. А. К у ф т и н. Материалы к археологии Колхиды. I. Тбилиси, 1949, გვ. 253—254). იხ. აგრეთვე Г. Л о р д к и п а н и д з е. დასახ. ნაშრომი. გვ. 117, 131 აქვე აღნიშნულია, რომ ანტიკური ხანის კოლხური მითოლოგიის მიხედვით, დედამიწა—გეა ითვლებოდა ყველა ღვთაების წარმომშობად (მთავარ ღვთაებად). გეას აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკაში“ ღმერთების დედასაც უწოდებს (Г. Л о р д к и п а н и д з е. Колхида..., გვ. 121).

რების ღვთაების თაყვანისცემის ოფიციალურ რელიგიად აღიარებ
ადრეანტიკური ხანის ვანის ქალაქში ადასტურებს „წარჩინებული მ
ომრის“ — დედატოსის — ხელისუფლების ინსიგნიაზე — ოფიციალ
საბეჭდავ-ბეჭედზე — მცენარეულ სამყაროსთან დაკავშირებული ქ
ღვთაების გამოსახვა[82].

ნაყოფიერების კულტის პარალელურად, ადრეანტიკური ხ
ნის ვანში (ისევე როგორც კოლხეთის სხვა ცენტრებ
დასტურდება ციურ მნათობთა, განსაკუთრებით სოლარული ღ
ების თაყვანისცემაც. წარჩინებული ქალების საკულტო ნივთ
მზის სიმბოლოებით (სვასტიკებით, ლომის, არწივის გამოსახულ
ბით) უხვად შემკობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დროს დამ
სიათებელი ჩანს ვანის თეიკრატიული ზედაფენის ყოფისათვის, რ
თავის მხრივ, ამ საზოგადოებაში ასტრალური პანთეონის მყარი
ლიგიური სისტემის არსებობის მაუწყებელია.

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველ
გამოთქმულია მოსაზრება, რომ, ასტრალური რწმენა-წარმოდგენ
განვითარებასთან ერთად, საქართველოს მიწათმოქმედებაში შეინ
ნება ნაყოფიერების ქალღვთაებისა და მზის კულტების შერწყმა,
მათი ფუნქციონალური თანხვდომით იყო გამოწვეული (მზე, ხალ
დაკვირვებით, არის ნაყოფიერების მთავარი წყარო)[83].

მზისა და დიდი დედის, ნაყოფიერების ქალღვთაების კულტებ
ფუნქციონალური შერწყმის პროცესი ვანშიც დასტურდება და
აირეკლება ამ ღვთაებათა სიმბოლოებშიც. არწივის, ლომის, ცხენ
მხედრის გამოსახულებანი, ერთი მხრივ, უკავშირდებიან ნაყოფიერ
ბის ღვთაების, დიდი დედის კულტს, მეორე მხრივ კი, ციურ მ
თობს—მზეს—განასახიერებენ. ხშირად ცხენის სახით გამოიხატებ
მზე, ანდა მზის სიმბოლოს—სვასტიკას—ათავსებდნენ ცხენის გამ
ხულებაზე[84].

ამრიგად, წარჩინებული კოლხი ქალის სამარხეული ინვენტარ
განხილვას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ მისთვის ჩატანებული ნ

---

82 მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, არქაული და „არაქაიზირებული“ საბეჭ
ბეჭდები ვანიდან. გვ. 144.

83 ი. კ ი კ ვ ი ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 161.

84 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან.
1964, გვ. 36; ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ვანის ნაქალაქარი, — ვანი I, გვ.
თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 67

ბეჭედი და სამკაულის საკმაოდ დიდი ნაწილი საკულტო-რიტუალური
ბ ბ ბ

(უფლებრივი თვალსაზრისით) უნდა ლაპარაკობდეს მათთვის ვერ[illegible]
ლის დიადემების ჩატანება, რაც, ითხვისში აღმოჩენილი ძვ. წ. V ს[illegible]
შემომრის სამარხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ დროის კოლხ[illegible]
საზოგადოებაში წარჩინებულთა, ან განსაკუთრებით გამორჩეულ [illegible]
თათვის განკუთვნილი, მათი დაკრძალვისათვის დამახასიათებელი [illegible]
ჩანს[89]. ამდენად, წარჩინებული კოლხი ქალისათვის ასეთი [illegible]
მდგომარეობისა და ღირსების მქონე პირთა ჩატანება სამარხში არ [illegible]
იძლება გამოწვეული იყოს მათი უუფლებობით: ჩვენი აზრით, უფ[illegible]
მართებული და გასაგები იქნება, თუ ამ მეტად თავისებურ დაკრძ[illegible]
ვის წესს ავხსნით მისი საკულტო ხასიათით. უნდა ვიფ[illegible]
როთ, რომ დაკრძალვის ამ რიტუალის შესრულების დროს [illegible]
ლაფერი ვანის საკულტო ცენტრის უზენაესი ღვთაების — ნაყ[illegible]
ფიერების ღმერთქალის — სახელით ხდება და მისი ფუნქციებ[illegible]
გაძლიერება-განახლებას ემსახურება. სახელდობრ, უმაღლესი [illegible]
რუმი ქალის (მთავარი მიცვალებულის) დაკრძალვისას ვ[illegible]
სატაძრო ცენტრის ღვთისმსახურებაში მყოფი ღირსეული [illegible]
რები, საკუთარი ნება-სურვილით, ნაყოფიერებასა და მის ღვთაებ[illegible]
ეწირებიან მსხვერპლად. ეჭვი არ არის, ეს პირნი ვანის [illegible]
ძრის ჩვეულებრივი საღვთო მონები, მისი მომსახურე პერსონალ[illegible]
რიგითი წევრები არ არიან, არამედ მთავარ კულტმსახურთან ახლ[illegible]
დგომი, ღმერთქალის მსახურებაში მყოფი, დიდგვაროვანთა წარმომ[illegible]
გენელნი, რომლებიც სიცოცხლეშიც უმნიშვნელო როლს არ ასრ[illegible]
ლებდნენ ვანის ქალაქის რელიგიურ ცხოვრებაში[90]. ჩვენი აზრ[illegible]
აღნიშნულ ქალთა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ამ ბოლო ხანებ[illegible]
ვანში (ახვლედიანების გორაზე) აღმოჩენილ სატაძრო დადგენილებ[illegible]
(ძვ. წ. III ს.) გამორჩევით მოხსენიებული „ქალები" („γυναικάι")[91]

კულტმსახურ ქალთა ამავე კატეგორიას ეკუთვნოდნენ, ჩვ[illegible]
აზრით, სტრაბონთან მოხსენიებული არმენიელთა უწარჩინებულ[illegible]
გვარების წარმომადგენელნი, რომელნიც ქალღვთაების მსახურებ[illegible]
ვის იყვნენ შეწირულნი ანაიტისის ტაძრისათვის. სტრაბონი მოგ[illegible]

89 მ. ინაძე, სატაძრო ცენტრები..., გვ. 97.

90 ამ მხრივ საკმაოდ სწორად მიგვაჩნია გ. ლორდკიფანიძის შენიშ[illegible] რომ რელიგიური თვალსაზრისით ასეთი ხვედრი, თავის თავის მსხვერპლად შეწირ[illegible] ნეტარებად უნდა ყოფილიყო მიჩნეული (Г. Лордкипанидзе. Колхи[illegible] VI—II вв. до н. э., გვ. 76).

91 თ. ყაუხჩიშვილი. ვანის ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერ[illegible] (იხ. თავი III და VI).

[illegible] მათი საღვთო პროსტიტუციის შესახებ. „მათში კი კანონი [illegible] დიდხანს უნდა ემეძავნათ ქალღმერთის (მსახურებში) [illegible] ხოლო ამის შემდეგ შეეძლოთ ქორწინება"[92], — აღნიშნავს [illegible] გეოგრაფოსი. ეჭვი არ არის, რომ საღმრთო პროსტიტუცია [illegible] ქალთა მსხვერპლად შეწირვაც ქალღვთაების სახელით ხდებოდა [illegible] მსახურებას ისახავდა მიზნად[93].

[illegible]ღვთაებისათვის ადამიანის (მეფის, უფლისწულის, ქურუმის და [illegible]ების სხვა წევრთა) მსხვერპლად შეწირვის წესი მსოფლი[illegible] [illegible] ხალხის რელიგიურ წარმოდგენებსა და ყოფაში არის [illegible], ადამიანს მსხვერპლად სწირავდნენ ასტრალური პანთეო[illegible] [illegible]ზენაეს ღმერთებს მზესა და მთვარეს, ასევე ნაყოფიერების [illegible]ებს. საქართველოში, ისევე როგორც საბერძნეთში, შორეულ [illegible]ში, გადმოცემის მიხედვით, დადასტურებულია უფლისწულის [illegible]ისათვის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულება[94]. ცნობილი ინგლი[illegible] [illegible]ელევარი ჯ. ფრეზერი ნაყოფიერების ღვთაებისათვის ადამი[illegible] [illegible] მსხვერპლად შეწირვის წესის კვლევა-ძიებამ იმ დასკვნამდე მი[illegible], რომ მსხვერპლად მოტანის წესი ადამიანებისა, რომელთაც [illegible]ურდნენ ღვთაებასთან სიახლოვეს, კავშირს ანუ ღვთითშთაგონ[illegible], გავრცელებული იყო მრავალ ქვეყანაში. ამ რიტუალის დედააზრი, [illegible] დაკვირვებით, იმაში მდგომარეობს, რომ, ძველი ხალხების წარ[illegible]ებით, ნაყოფიერების ღვთაება (ისევე როგორც ბუნება) მოკვ[illegible], იგი შეიძლება დაბერდეს და ამის გამო დაკარგოს თავისი ფუნქ[illegible], ამიტომ საჭიროა პერიოდულად მისი ძალების განახლება, ისე-

92 Strabo XI, 14, 16. თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბ., [illegible], გვ. 198.

93 სტრაბონის გეოგრაფიაში დაცულია მეორე საყურადღებო ცნობაც: ბერძენი [illegible] იბერიის სახლვარზე მდებარე მთვარის სალოცავის აღწერილობაში (XI, 4, [illegible]) [illegible]ებს ტაძრის მონებს, რომელთაგან მრავალნი შთაგონებულნი წინასწარმეტ[illegible] ხოლმე. ამათ შორის ის, ვინც უფრო მეტად იქნება შთაგონებული, [illegible]ქალის სამსხვერპლოსთან მსხვერპლად ეწირება (თ. ყაუხჩიშვილი. [illegible]ის გეოგრაფია, გვ. 134, 135).

94 „მოქცევაჲ ქართლისაჲსა" აღნიშნულია, რომ ქართლში არმაზ და ზადენის [illegible] „იყვნეს კერპნი სხუანიცა სამეფონი: გაცი და გა. და შეიწირვოდა" მათა [illegible] „ეყოფული ცეცხლითა დაწუვად და მტუერი გარდაბნევად თავსა კერპისასა" [illegible] ცხოვრება, შატბერდის კრებული X საუკუნისა, თბ., 1979, გვ. 338).

[illegible]ბერძნული მითოლოგიური გადმოცემის მიხედვით, თესალიის მეფის ათამანტის [illegible] [illegible]ქსე, სწორედ, მოსაკლეანობისათვის მსხვერპლად შეწირვის შიშით გამ[illegible] [illegible]ეფინაცვალს კოლხეთში (ა. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების [illegible]ებაში, თბ., 1964, გვ. 350—351).

ვე როგორც ამას ბუნებაშიც აქვს ადგილი (მცენარეული სამყარ[illegible] ყოველწლიური კვდომა და კვლავ აღდგენა). ნაყოფიერების ღვთაებ[illegible] სადმი მიძღვნილი სამსხვერპლო ცერემონიალებიც ბუნების ამ გან[illegible]ლება-აღორძინებას ისახავს მიზნად. ამ დროს მიწაში ასვენებენ [illegible] ღვთაების გამოსახულებას, ანდა, უფრო ხშირად, მსხვერპლად შეწ[illegible]რულ ადამიანს, რომელიც ნაყოფიერების ღმერთთან არის დაკავ[illegible]რებული, მის მსახურებაშია, ღვთით შთაგონებულია და ამდენად, [illegible] წარმომადგენელია[95]. ღმერთის გამოსახულების, ან მისი განმასახიერ[illegible]ბელი, მსხვერპლად შეწირული ადამიანის დაკრძალვის რიტუალ[illegible] რომ, მართლაც, ეს აზრი უნდა იყოს ჩაქსოვილი, ამის დასტური ვ[illegible] ში, ახვლედიანების გორის ზედა ტერასზე მამაკაცი ღვთაების ითიფ[illegible]ლური რკინის ქანდაკების ქურუმ ქალთან ერთად დაკრძალვის ფაქტ[illegible] (სამარხი ძვ. წ. III ს. განეკუთვნება)[96]. სამეცნიერო ლიტერატურ[illegible] სავსებით სწორად არის შენიშნული, რომ ეს ნაყოფიერების წრ[illegible] ღვთაებაა, რომლის ქანდაკების დაკრძალვა ქურუმი ქალის გვერდ[illegible] ბუნების კვდომასა და აღდგენას, მის აღორძინებას უკავშირდება. [illegible] რომ, აქ სრულდება ამ ღვთაებისა და მისი კულტმსახურის სიკვდილ[illegible]სა და მათი გამოტირების მისტერია[97].

ამრიგად, როგორც დავინახეთ, წარჩინებული ქურუმი ქალები [illegible]ტაძრის, ღვთის მსახურებაში მყოფი პერსონალი (ახალგაზრდა ქალ[illegible]ბი), რომელნიც მსხვერპლად ეწირებიან ნაყოფიერების ღვთაებას, [illegible] მახასიათებელნი არიან ვანის საზოგადოების რელიგიური ცხოვრებ[illegible] სათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ელინისტურ ხანაში უმაღლესი კულტ[illegible] მსახურის დაკრძალვის რიტუალში შეწირულ ქალთა ადგილს ნაყოფ[illegible]ერების ღვთაების ქანდაკება იკავებს.

ზემოთ განხილული ძვ. წ. V ს-ის შუა ხანების წარჩინებული კოლ[illegible]ხი ქალის სამარხის გარდა, ადრეანტიკური ხანის ვანის სატაძრო ცენტ[illegible]რში კულტმსახურთა ფენის წარმომადგენელთა შესახებ საყურადღ[illegible]ბო მონაცემებს შეიცავს ახვლედიანების გორის ქვედა ტერასზე (მის[illegible] ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში) გამოვლენილი მეორე წარჩინებულ[illegible]

---

95 Дж. Фрезер. Золотая ветвь М. 1983, გვ. 160, 266, 277, 535—55[illegible]

96 ნ. ხოშტარია. ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. — ვანი I. თბ., 1972.

97 Г. Лордкипанидзе. К истории древней Колхиды. გვ. 123. [illegible] ლორთქიფანიძის ვარაუდით, ეს ითიფალური ქანდაკება დიონისეს, ატის-ადონის-ოზირის[illegible] ტიპის ღვთაებათა წრეს განეკუთვნება.

[illegible] მდიდრული სამარხიც, რომელიც ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევ[illegible]რით თარიღდება. მის ინვენტარშიც მკვეთრად გამოიყოფა საკულტო-[illegible]ტალური დანიშნულების ნივთები, რომლებიც, ამავე დროს, დიდ[illegible]ებას ამყღავნებენ ძვ. წ. V ს-ის წარჩინებული ქალის სამარხში [illegible]ნილ ნივთებთან. ასეთებია: გრეხილ რკალიანი ოქროს დიადემა, [illegible]ზედაც აგრეთვე ლომებია გამოსახული (ორი ლომი თავს ესხმის [illegible] მოქცეულ ტახს)[98]; ვარდულებით, სვასტიკებითა და ფრინველთა [illegible]ებით დამშვენებული ოქროს სამკაული, ორი ცალი ფრთაგაშ[illegible]ული არწივის გამოსახულება[99]. საგანგებო ინტერესს იწვევს, აგრეთ[illegible] ოქროს საყურეები, რომლებიც შემკულია ოთხთვალა ბაქანზე (სა[illegible]ეტლზე?) მდგომი წყვილი მხედრით. მათ თავზე, ზოგიერთი [illegible]ელის ვარაუდით, უწესრიგოდ გაბნეული ცვარათი მუზარადია [illegible]ნილი[100].

აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოგანხილული მეორე წარჩინებული [illegible] სამარხის ახლოს აღმოჩნდა ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთები, [illegible]ელნიც, ნ. ხოშტარიას ცნობით, იმეორებენ ოქროს სამკაულთა [illegible]ების ფორმას[101], ამის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ [illegible]ჩინებულ ქალთანაც დაკრძალული უნდა ყოფილიყო მისი „მოახ[illegible]ლე"[102]. ზემოთ განხილული ძვ. წ. V—IV სს-ის ორი მდიდრული სამარ[illegible]ული ინვენტარი, რომელიც თითქმის ერთნაირ და ერთი დანიშნუ[illegible]ების ნივთებს შეიცავს, საფუძველს გვაძლევს ეს მეორე წარჩინე[illegible]ული ქალიც უმაღლეს კულტმსახურთა წრის წარმომადგენლად მი[illegible]ჩნიოთ (არ არის გამორიცხული, რომ მის მახლობლად დაკრძალული [illegible]ირი ღვთის მსახურებაში მყოფი პერსონალის იმავე კატეგორიას [illegible]კუთვნოდა, რომელსაც ძვ. წ. V ს-ის წარჩინებულ კოლხ ქალთან და-[illegible]კრძალულნი განეკუთვნებოდნენ. თუმცა მასალის ნაკლებობის გამო, [illegible]ბეჯითებით ამგვარი მტკიცების საფუძველი ჩვენ არ გაგვაჩნია)[103].

---

98 რ. ფუთურიძე, ნ. ხოშტარია, ა. ჭყონია. ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961—1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური [illegible]ების შედეგები. — ვანი I. თბ., 1972, გვ. 113, 114.

99 იქვე. გვ. 114, 115.

100 Г. Лордкипанидзе, Колхида в VI—II вв до н. э. გვ. 90.

101 Н. Хоштария. Археологические раскопки в Вани (Предварительное сообщение), კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 71.

102 Г. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრ. გვ. 90.

103 ვანში გამოვლენილი, ძვ. წ. V—IV სს-ის მდიდრული სამარხებისა და აქ დაკრძალულთა სოციალური რაობის შესწავლისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ნაშრომში,

ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს ვანის წარჩინებული ქალთა და მათთან ერთად დაკრძალულ პირთა შესახებ მეტ დამაჯერებლობას მატებენ უკანასკნელ წლებში საჩხერის რაიონის სოფელ საირხეში გამოვლენილი ადრეანტიკური ხანის (ძვ. წ. V—IV სს.) სამარხები, რომლებიც, დაკრძალვის რიტუალით, ასევე მიცვალებულთათვის ჩატანებული ინვენტარით, დიდ მსგავსებას იჩენენ ვანის წარჩინებული ქალების ამავე ხანის სამარხებთან. უკანასკნელი წლების არქეოლოგიური აღმოჩენა საირხეში მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ ზემოთ წამოჭრილი საკითხების შესწავლისათვის, რომ, საირხის მახლობლად აღმართულ გორებზე (სახოველე და სხვ.) მოპოვებული მასალისა და ადგილ ლომინაურში ადრე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგების საფუძველზე, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომლის თანახმად ამ ტერიტორიაზე ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებიდან არსებობდა არა მხოლოდ დიდი ქალაქური ტიპის დასახლება, არამედ ყვირილის ხეობის უმნიშვნელოვანესი საკულტო-რელიგიური ცენტრიც ძლიერი სატაძრო ორგანიზაციით[104]. მართლაც, ლომინაურში აღმოჩენილი დიდი სატაძრო ნაგებობის ნაშთები, მის შიგნით ფიქსირებული ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კერამიკული ნაწარმი, ქვისაგან გამოკვეთილი ლომის თავების ქანდაკებების ფრაგმენტები, მახლობლად მეორე ნაგებობაში გამოვლენილი ნაყოფიერების

რომელიც რუსულ ენაზეა გამოქვეყნებული კრებულში „ვანი III", ო. ლორთქიფანიძე გამოთქვამდა მოსაზრებას, რომლის თანახმად, ვანის წარჩინებული ქალების (ძვ. წ. V—IV სს-ის) სამარხები ეკუთვნიან საზოგადოების უმაღლეს და, უთუოდ, ყველაზე შეძლებულთა ფენის წარმომადგენლებს, რომელთაც ხელთ ეპყრათ ქურუმის ფუნქციებიც (О т а р Л о р д к и п а н и д з е, Ванское городище, раскопки, история, проблемы. Статья вторая.—ვანი III, გვ. 164).

104 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975, გვ. 80 და შემდ. აქვე ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ საირხის საკულტო ცენტრი ძველსა და ძლიერი ტრადიციების საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული. იგი იმ სატაძრო ორგანიზაციათა რიგს უნდა ეკუთვნოდეს, რომელნიც უძველეს სასოფლო-სატაძრო თემებში ჩაისახნენ და განვითარდნენ (ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 138—140). საირხის მახლობლად მდებარე ვეშაპიძის, საბადურის გორებზე წინა და ადრეანტიკური ხანის ფენებში გამოვლენილია თიხისაგან გამოძერწილი ქალ-ღვთაების ქანდაკებები. აქვეა ნაყოფიერების ღვთაებისადმი შეწირული ცხოველთა მცირე ქანდაკებები და სხვ. მთელი ეს მასალა მოწმობს, რომ ნაყოფიერებისა და განაყოფიერების თაყვანისცემა გვიანბრინჯაოს ხანისათვის უკვე სავსებით ჩამოყალიბებულია საირხის გარშემო მდებარე გორებზე მსხდომ ინტენსიური მიწათმოქმედების მიმდევარ საზოგადოებაში.

ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული სხვადასხვა საგნები, აქვე ლომინაურში შემთხვევით აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები — ფასადი მარმარილოს მსგავსი კირქვისაგან გამოთლილი ტაძრის სვეტების ბაზები (თუ კაპიტელები), — უთუოდ, იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ საირხე-ლომინაურში ნაყოფიერების ღვთაების სახელზე აგებულ რაღაც დიდსა და ძველ სატაძრო ცენტრთან უნდა გვქონდეს საქმე. აქ მოპოვებული საკულტო საგნების (ქვისაგან გამოკვეთილი ფალიური სიმბოლოების, განაყოფიერების აქტისა და სიცოცხლის ხის გამოსახულების) მიხედვით გამოთქმულია აზრი, რომ ამ ღვთაებაში გამრავლებისა და დოვლათიანობის მფარველი ღმერთქალი — დიდი დედა — უნდა იგულისხმებოდეს[105]. ზოგიერთი მკვლევარი, აქ აღმოჩენილი ლომის თავების გამოსახულებათა გამო, იმასაც ვარაუდობს, რომ ლომინაურში არსებული ტაძარი მზის ტაძარი უნდა ყოფილიყო[106]. უკანასკნელ წლებში სოფელ საირხეში მიკვლეული და გამოვლენილი ძვ. წ. V—IV სს-ის მდიდრული სამარხების განხილვისას, ჩვენ დავინახავთ, რომ აქ, ისევე როგორც ვანში, მართლაც, დასტურდება ნაყოფიერების ქალღმერთისა და ასტრალური კულტების (მზის, მთვარის) თაყვანისცემის თანაარსებობა. როგორც უკვე აღინიშნა, ეს ახლად აღმოჩენილი აკლდამები, გარკვეული თვალსაზრისით, დიდ მსგავსებას იჩენენ ვანის სინქრონულ სამარხებთან.

სოფელ საირხის მახლობლად აღმართული საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე 1982—83 წწ. გაითხარა აკლდამა. მის ერთ კამერაში დაუკრძალავთ სამი ახალგაზრდა ქალი, საკმაოდ მდიდრული ინვენტარით და ძვირფასი აკაზმულობით მორთული 5 ცხენი. სამარხი, როგორც აღინიშნა, ძვ. წ. V ს-ის შუახანებით თარიღდება. ცხენების სამეფოთით მდებარე კამერაში გამოვლენილია კიდევ ერთი სამარხი, სადაც (ქვაყრილის ქვეშ), ოქროს ზოდთან ერთად, აღმოჩნდა უძვირფასესი სამკაული, ორი ოქროს სასაფეთქლე, რომელთა საკიდებზე, თითოეულზე 22 ვერძის თავის გამოსახულებაა მოთავსებული. აქვეა არწივის თავის მსგავსი გამოსახულებიანი, აფრისმაგვარი ოქროს ნივთი და სხვ.[107].

საირხის ზემოაღწერილ სამარხებში ჩატანებული ნივთების განხილვისას, უპირველესად, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მიცვალებულთა შემკულობაში იგივე სიმბოლიკაა ჩაქსოვილი, როგო-

---

105 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 84—94.

106 ი. კ ი კ ვ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., 116.

107 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. საირხე—საქართველოს უძველესი ქალაქი, წ. I. გვ. 22—97.

რიც ვანის წარჩინებულ ქალთა და მათ თანმხლებ პირთა სამ[illegible]
შია წარმოდგენილი. ასეთია: ნაყოფიერების ქალღვთაების [illegible]
ცემასთან დაკავშირებული ვერძის თავების გამოსახულებები [illegible]
ლებითაც შემკულია საირხის მთავარი მიცვალებულის სასაფ[illegible]
ები და მისი თანმხლები ქალის ოქროს ყელსაბამი), ფრინველის [illegible]
დაკებებით შემკული საყურეები, მზისა და ძალაუფლების სიმ[illegible]
ები — ოქროს ფირფიტისაგან გამოკვეთილი არწივის გამოსახ[illegible]
(ცხენების აკაზმულობასა და მთავარი მიცვალებულის ინვენტ[illegible]
ნიშანდობლივია, აგრეთვე, მზისებრი ვარდულებით და ნახევ[illegible]
რისებრი გამოსახულებებით საყურეების შემკობა. მთელი ამ [illegible]
დან ჩანს, რომ სამარხში ჩასატანებელი ნივთების შერჩევის [illegible]
როგორც სიცოცხლეში მათ ტარებას ზემოაღნიშნულ პირთა [illegible]
შემთხვევითი ხასიათი არ ჰქონია, მათ ნებისმიერ მდიდრულ სამ[illegible]
კი არ ატანენ, არამედ ნაყოფიერებისა და ასტრალურ ღვთაებათ[illegible]
ყვანისცემასთან დაკავშირებულ საკულტო-რიტუალური დანიშნ[illegible]
ბის ნივთებს. იგივე ითქმის საირხის აკლდამაში აღმოჩენილ ვ[illegible]
ლის დიადემებზე, რომლებიც ანალოგიას პოვებენ ვანში, წარ[illegible]
ბული ქალის სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის დიადემებთან.

მკაცრად დაწესებული რელიგიური ნორმების დაცვა კიდევ [illegible]
თვალნათლივ ვლინდება საირხის დიდგვაროვანთა დაკრძალვის [illegible]
ალშიც (რომელიც აგრეთვე მკვეთრად გამოხატულ საკულტო ხ[illegible]
ატარებს). აქ, ისევე როგორც ვანში, ჩვენი აზრით, სახეზეა, ქურ[illegible]
წრის წარმომადგენლის დაკრძალვასთან ერთად, მასთან ახლოს[illegible]
წარჩინებულთა ფენიდან გამოსულ და ტაძრის მსახურებაში [illegible]
ქალთა მსხვერპლად შეწირვა მოსავლიანობისა და ნაყოფიერ[illegible]
თვის. ამ შემთხვევაში საკულტო-რიტუალური მნიშვნელობა აქვ[illegible]
რეთვე მდიდრულად აკაზმული ცხენების მსხვერპლად შეწირვ[illegible]
როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, ცხენი ერთდროულად ნაყოფ[illegible]
ბის მომნიჭებელი წყაროს — მზის — ცხოველიცაა და ნაყოფიერ[illegible]
მფარველი დედაღვთაების ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტადაც გვ[illegible]
ნება. საირხეში, საბადურის გორაზე მიცვალებულთა დაკრძალ[illegible]
შესრულებული ცერემონიალის დიდ მასშტაბებზე და მის საკულ[illegible]
დანიშნულებაზე ნათლად მეტყველებს სამარხში 70-ლიტრიანი სპ[illegible]
ძის სქელფურცლოვანი ფირფიტებისაგან დამზადებული სარიტ[illegible]
ჭურჭლის ჩატანება[108]. ზემოთქმულთან დაკავშირებით, დიდ [illegible]

108 ჯ. ნადირაძე. საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, გვ. 22—[illegible]

[illegible] აგრეთვე, იმავე საბადურის გორაზე, აკლდამიდან 20-
[illegible] დაშორებით, გამოვლენილი მოედანი (4×4 მ), სადაც
[illegible] დროს სრულდებოდა საკულტო რიტუალი. ფიქსირებუ-
[illegible] ცეცხლში ძვირფასი ჭურჭლისა და სამკაულის შე-
[illegible] გამოსახულებათა მიმობნევა. აქვე გათხრილია 11 მე-
[illegible] სარიტუალო დანიშნულების ორმო[109].

[illegible] ხანის კოლხეთის (საირხის, ვანის) საზოგადოების
[illegible] ფენის ხელისუფლების თეოკრატიული ხასიათისა და
[illegible] ცენტრებში მოქმედი მტკიცედ დაკანონებული საკრა-
[illegible] წესების არსებობის დასადგენად, არანაკლები მნი-
[illegible] აქვს იმავე საბადურის გორის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში
[illegible] მიცვლილ კიდევ ერთ მდიდრულ სამარხს, რომლის კამე-
[illegible] ნაწილისაგან შედგებოდა. კამერის ჩრდილოეთ ნაწილში ემარ-
[illegible] შემკული სამი ადამიანი, ხუთი ცხენი და სამი ძაღლი,
[illegible] სამხრეთ ნაწილში კი დაკრძალული იყო მთავარი მიცვალე-
[illegible] სამწუხაროდ, ადამიანთა ნეშტისაგან ძალიან ცოტა რამ შე-
[illegible] რაც დიდად აბრკოლებს ამ პიროვნებათა განსაზღვრას, მაგ-
[illegible] ეგეთ სამარხში, ისე მის ზემოდან გაკეთებული ქვაყრი-
[illegible] დროს მოპოვებული მასალის განხილვა გვარწმუნებს,
[illegible] ინვენტარის შერჩევისა და საკრალური რიტუალის შეს-
[illegible] მხრივ, აქაც ისეთივე საკულტო წესებია დაცული, როგორიც
[illegible] გორის დასავლეთ ფერდობზე ღვთისმსახურ ქალთა დაკრ-
[illegible][111].

[illegible] და საირხის მასალების ერთობლივმა კვლევამ გვიჩვენა,
[illegible] საირხის მიდამოებში გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები
[illegible] ავსებენ ახვლედიანების გორაზე გათხრილი ძვ. წ.
[illegible] VI—V სს.-ის საკულტო
[illegible] ნაგებობათა საფუძველზე შექმნილ სურათს ვანის ძვე-
[illegible] ქალაქის რაობის შესახებ. ირკვევა, რომ ადრეანტიკურ ხანაში აქ
[illegible] არსებობენ არა მხოლოდ მნიშვნელოვანი ქალაქები, არამედ დი-
[illegible] საკულტო ცენტრებიც საკმაოდ განვითარებული სატაძრო ორგანი-

108 იქვე.

109 ჯ. ნადირაძე. საირხე—საქართველოს უძველესი ქალაქი. აქვე გვინდა
[illegible], რომ ძაღლი, კავკასიის უძველესი ტომების წარმოდგენით, წმინდა
[illegible] იყო.

111 იქვე.

ზაციული ფორმებით; ჩამოყალიბებულია ქურუმთა სოციალური ფენ[illegible] სრულდება რთული საკრალური ცერემონიალები, დადგენილი ნო[illegible] მების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმო ფაქტად გვეჩვ[illegible] ნება ისიც, რომ როგორც ვანში, ისე საირხეში მოქმედებს დაახლო[illegible] ბით ერთი და იგივე რიტუალური წესები, რომელშიც მონაწილეობ[illegible] მთავარი ქურუმი, ღვთით შთაგონებული ქალები და სხვ. რელიგიუ[illegible] რი ცერემონიალებიც ერთი და იმავე ღვთაებათა კულტებს ეძღვნება[illegible]

ამრიგად, „ახვლედიანების გორისა" და საირხე-ლომინაურის არ[illegible] ქეოლოგიური ძეგლების შესწავლას იმ დასკვნისაკენ მივყევართ, რომ ადრეანტიკურ ხანაში აქ არსებული საკულტო ცენტრები უძველეს[illegible] სამლოცველოებისა და მათ გარშემო შემოკრებილი თემების წიაღშ[illegible] ისახებიან, ხოლო ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებ[illegible] კვალდაკვალ (ძვ. წ. VI—V სს.) სავსებით განვითარებულ ორგანიზაცი[illegible] ულ ფორმებს იღებენ. როგორც საფიქრებელია, ამ დროისათვის ტაძ[illegible] რების ხელში თავმოყრილია რიონის შუა წელსა და ყვირილის ხე[illegible] ობის გასწვრივ განლაგებული, მევენახეობა-მეღვინეობით განთქმული ნაყოფიერი მიწების საკმაოდ დიდი ნაწილი. მართალია, ტაძრის მიწ[illegible] თავდაპირველად თემისაა[113], მაგრამ თემის სათავეში მდგომი კულტ[illegible] მსახური — თეოკრატიული ზედაფენა — ყოველ ღონეს ხმარობს [illegible] მიწის შემოსავლის საკმაო ნაწილის მისათვისებლად[114].

სტრაბონის ცნობების თანახმად, ელინისტურ ხანაში, მცირე აზ[illegible] ის სატაძრო გაერთიანებაში საღვთო ნაკვეთი და ქურუმის მიწა, მათ[illegible] მსხდომი მრავალიცხოვანი ტაძრის მონებითა და მომსახურე პერსო[illegible] ნალით, ქურუმთა შემოსავლის წყაროდ იყო გადაქცეული. უზენაეს[illegible] კულტმსახურნი ფლობდნენ აურაცხელ სიმდიდრეს (XII, II, 36).

---

112 ანალოგიური ვითარება არსებობდა ძველთაგანვე მცირე აზიის თეოკრატიულ გაერთიანებებში. სტრაბონის გადმოცემით, პონტოს სატაძრო ქალაქ კომანაში, ისევ[illegible] როგორც დიდი კაპადოკიის ამავე სახელწოდების სატაძრო გაერთიანებაში, თაყვან[illegible] სცემდნენ ერთი და იმავე ქალღვთაებას, აქაური ტაძრები ერთმანეთის მსგავსად იყო აგებული, ერთნაირი იყო საღვთო წეს-ჩვეულებანი, ღვთითშთაგონება, და ქურუმთ[illegible] მიმართ დაწესებული პატივი; ანალოგიურად ტარდებოდა საკრალური ცერემონია[illegible] ლებიც (Strabo, XII, 3,2). მ ინაძე, სატაძრო ცენტრები..., გვ. 103.

113 სასოფლო სატაძრო თემი, თავდაპირველად, ერთმანეთს ემთხვევა. გ. მელიქ[illegible] შვილის აზრით, „ძველი ქართული თემი სატაძრო თემი ჩანს" (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1. თბ. 1970, გვ. 497), იხ. ავრეთვე А. Р. Периханян. Храмовые объединения Малой Азии и Армении. М., 1959, გვ. 83, 173.

114 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. საქართველო ადრეული ფეოდალიზაციის გზაზე. — შრომები. I. თბ., 1949, გვ. 155, 169; ი, კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ, ნაშრ, გვ; 117.

ვანისა და საირხის (საბადურის გორის) ძვ. წ. V—IV სს-ის წარჩინებულთა მდიდრული სამარხები, რომელთა დიდი ნაწილი, ჩვენი აზრით, უმაღლეს ქურუმთა ფენის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა, მოწმობს, რომ ანალოგიური ვითარება შეიძლება ვივარაუდოთ ადრეანტიკური ხანის კოლხეთის საკულტო ცენტრებში[115].

ადრეულ ხანაში, ქვეყანაში სახელმწიფოს წარმოქმნამდე, ტაძარი [illegible]ესელოვანი პოლიტიკური ძალაცაა. ტაძარი (ხატი) ის ცენტრია, [illegible]ელიც თავის ნებას უმორჩილებს, აწესრიგებს და მართავს ხატის [illegible]ემო შემოკრებილი თემის ცხოვრებას. შესაბამისად, კულტმსა[illegible]ები ადრიდანვე ახდენენ ხელისუფლების უზურპაციას, ითვისებენ [illegible]ის ყოველი საქვეყნო საქმის წარმოებას და თავის ხელში აერთი[illegible]ებენ საერო და სასულიერო ფუნქციებს[116]. ამას მოსდევს კულტმსა[illegible]ების ფუნქციის ერთი დაწინაურებული სახლის პროგატივად [illegible], რაც მომავალში მის მემკვიდრეობითობას მოასწავებს. მსგავსი [illegible]ტუაცია იქმნება, ჩანს, კოლხეთის სამეფოს შექმნამდე, ვანის სამ[illegible]ველოს ირგვლივ მდებარე „ქვეყანაშიც". ამ თვალსაზრისით, [illegible]ულად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვანის მახლობ[illegible], სოფელ სულორში აღმოჩენილ, ძვ. წ. VII ს-ის ბრინჯაოს ცულს, [illegible]ის უკუაზე მოთავსებულია წყვილი მხედრის გამოსახულება. ორი[illegible] მხედარს თავზე მუზარადი ახურავს. ერთ-ერთ მათგანს მარჯვენა [illegible]ში (საღვთო?) კვერთხი უჭირავს. მხედრების ამ გამოსახულებას [illegible]ევარნი უკავშირებენ ნაყოფიერების ქალღვთაების — დიდი დე[illegible] — კულტს[117], რომლის თაყვანისცემა, ჯერ კიდევ წინარეანტი[illegible]ური ხანის ვანში დასტურდება ახვლედიანების გორის ცენტრალურ [illegible]ასზე გამოვლენილი სამლოცველოს ნაშთებით (ამის შესახებ და[illegible]ვალებით ზემოთ გვქონდა საუბარი). ერთი მხრივ, მხედართა ფიგუ[illegible]ში ჩაქსოვილი ეს სემანტიკა (ღმერთების დიდი დედის კულტთან [illegible]შირი), ხოლო მეორე მხრივ, მათი ატრიბუტები — საბრ-

---

115 ამაზე არაპირდაპირ მიუთითებს სტრაბონის ცნობაც კოლხეთის მეზობლად, [illegible] ქვეყანაში არსებული, ოდესღაც სიმდიდრით განთქმული, ლევკოთეას სამ[illegible]ველოს ორჯერ გაძარცვის შესახებ, ჯერ ბოსფორის მეფის ფარნაკეს, შემდეგ [illegible] ბიერიდატე პერგამონელის მიერ (Strabo, XI, 2, 17), (იხ. საქართველოს ისტორ[illegible] ნარკვევები. I. გვ. 494, 495).

116 ი. კ ი კ ვ ი ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 115, 119, 145.

117 О. Д. Лордкипанидзе и Т. Микеладзе, Колхида VII—VI вв до н. э., მოხსენება განხილული შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის პრობ[illegible]ში მიძღვნილ IV საკავშირო სიმპოზიუმზე (წყალტუბო, 1985 წ.).

ძოლო აღჭურვილობის შემადგენელი ნაწილი — მუზარადი და ძალ-
უფლების ნიშანი — კვერთხი, თვალნათლივ უნდა მიუთითებდეს ცუ-
ლის მფლობელის როგორც საკულტო, ისე საერო ფუნქციებზე. მხე-
რების ამ გამოსახულებაში, ჩვენი აზრით, ასახვას პოვებს წინარეანტ-
კურ ხანაში „ვანის ქვეყნის“ დაწინაურებული გვარის (თეოკრატიულ-
ზედაფენის) წარმომადგენელთა ხელში საკულტო და საერო ფუნქ-
ების თავმოყრის ფაქტი.

ზემოთქმული უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კოლხეთის სა-
მეფოს წარმოქმნის წინა ხანაში (ძვ. წ. VII—VI სს.) და მისი არსებო-
ბის ადრეულ ეტაპზე, „ვანის ქვეყნის“ საზოგადოების განვითარებ-
კულტმსახურებისა და საქვეყნო საქმეთა გამგებლობის საჭეს ეკონ-
მიკურად და სოციალურად დაწინაურებული გვარის წარმომადგენელ-
თა ხელში აქცევს. აღებულ ხანაში მათი სოციალური აღზევების ყვ-
ლაზე მძლავრი საშუალება სწორედ კულტია და ტაძარი.

ამრიგად, საფიქრებელია, რომ, ვიდრე კოლხეთში სახელმწიფ-
საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებდა, ტაძარსა და მის სა-
ვეში მდგომ თეოკრატიულ ზედაფენას უკვე მნიშვნელოვანი როლ-
ჰქონდა მოპოვებული კოლხეთის საზოგადოების ცხოვრებაში. ვახ-
და საირხეში გამოვლენილი ძვ. წ. IV და III სს-ის წარჩინებულ მ-
ომართა სამარხების კვლევა-ძიების შედეგები, ამავე ხანის საკულტ-
და საფორტიფიკაციო დანიშნულების ნაგებობანი და სხვა მასალა შ-
საძლებელს ხდიან თვალი გავადევნოთ ვანისა და საირხის საკულტ-
საქალაქო ცენტრების განვითარებისა და აქ მსხდომი მმართველი ზ-
დაფენის ევოლუციის, მისი ხელისუფლების კიდევ უფრო გაძლიერ-
ბის პროცესს კოლხეთის სამეფოს აყვავებისა და მის შემდგომ ხანაშ-
მაგრამ ამ საკითხების შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ ,
გვინდა შევნიშნოთ შემდეგი:

ვანის სატაძრო ცენტრის წარმოქმნა-განვითარების ზემოთ წარ-
მოდგენილი პროცესი, როგორც ირკვევა, დამახასიათებელი იყო მცი-
რე აზიის (კაპადოკიის, პონტოს, ფრიგიის) სატაძრო გაერთიანებებ-
თვისაც, რომელთაც, აგრეთვე, უძველეს სამლოცველოებსა და მ-
ირგვლივ კონცენტრირებულ სასოფლო (-სატაძრო) თემებში უდე-
სათავე. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ერთ-ერ-
პირველ ნიშანთაგანი, რომელიც მცირე აზიის სხვადასხვა პოლიტიკ-
რი ფორმის მქონე სატაძრო გაერთიანებას ერთმანეთთან „ანათეს-

ბა“, სწორედ მათი გენეზისის ერთიანობაა[118]. გარდა ამისა, მცირე
აზიის სატაძრო გაერთიანებების შესახებ სტრაბონთან დაცული ცნო-
ბების შესწავლამ ისიც გვიჩვენა, რომ ეს გაერთიანებანი კანონზომი-
ერად აღმოცენდებიან თეოკრატიული თემებისა და მათი სამლოცვე-
ლოების ნიადაგზე, ხოლო სატაძრო გაერთიანებად ჩამოყალიბების
შემდეგ, ხელშემწყობ პირობებში, ისინი, სავსებით შესაძლებელია,
მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და სავაჭრო ცენტრე-
ბადაც განვითარდნენ[119].

ადრეულ ხანაში, თავის განვითარების საწყის ეტაპზე სასოფლო
თემი ემთხვევა სატაძრო თემს. ამის თვალნათლივ ილუსტრაციას წარ-
მოადგენს საქართველოს მთაში, სახელდობრ, ხევსურულ თემებში შე-
მორჩენილი გადმონაშთური მასალა[120]. ამაზე მეტყველებენ არქეო-
ლოგიური ძეგლებიც, ძველი საწესო-საკულტო ნაგებობანი, რომელთა
ადგილზე შემდეგ სატაძრო ცენტრები ვითარდებიან[121]. ამის დამადას-
ტურებელია, აგრეთვე, მცირე აზიის ეპიგრაფიკული ძეგლებიც, ანტი-
კური ავტორებისა და ძველი სომხური წყაროების მონაცემები, რომ-
ლებიც საშუალებას გვაძლევენ არა მხოლოდ აღვადგინოთ მცირე
აზიის, ქართლის, კოლხეთის, სომხეთის თეოკრატიული თემების ში-
ნაგანი სტრუქტურა, არამედ ზოგად ხაზებში წარმოვიდგინოთ მათი
წინა ისტორია.

---

118 А. Г. Периханян. Храмовые объединения Малой Азии и Армении. М., 1959, გვ. 83, 173.

119 მ. ინაძე. მცირე აზიის სატაძრო ქალაქების წარმოქმნა-განვითარების საკითხისათვის სტრაბონის ცნობების მიხედვით. — ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1976, გვ. 136—144.

120 ვ. ბარდაველიძე. ხევსურული თემის სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი. — საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIII, № 8, 1952, გვ. 495 შემდ. ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს: „ხევსურული თემების მახასიათებელ მხარეს შეადგენდა ის, რომ თითოეული მათგანის ცენტრში მოთავსებული იყო ჯვარი ანუ ეროვნული ღვთაების საკულტო და სამეურნეო ნაგებობათა სახით, რომელიც საერო და სასულიერო ხელისუფლების თავყრილობის ადგილს შეადგენდა. ხევსურული თემები ყველა ამ მხრით, როგორც ამაში შედარებითი მასალების გათვალისწინებით ირწმუნდებით, ძველი აღმოსავლეთის თემურ ორგანიზაციებს ემსგავსებოდა. ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ხევსურული თემები ძველი აღმოსავლური თემების ტიპისა იყო“ (გვ. 497).

121 ი. კიკვიძე. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976, გვ. 99—100.

მომდევნო ხანაში, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარ-
როდესაც ამ ქვეყნებში მიმდინარეობს ადრეკლასობრივი საზოგა-
ების განვითარების რთული პროცესი, ქვეყნის ცალკეულ რეგიონ-
ში შექმნილი ისტორიული პირობების შესაბამისად, სატაძრო თემ-
განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართება. თავისი ევოლუც-
პროცესში ისინი იღებენ სხვადასხვა ორგანიზაციულ ფორმებს. მცი-
აზიაში ნათლად დასტურდება თეოკრატიული წყობის, მმართველობ-
ფორმების მრავალრიცხოვნება — სასოფლო თემიდან თეოკრატიულ
სახელმწიფომდე. მათ შორის ჩვენ ვხედავთ როგორც მცირე სატაძრ-
თემებს (სატაძრო სოფლებს), ისე თეოკრატიული თემების გაერთ-
ნებებს. ამასთან, თვით ეს გაერთიანებებიც საკმაოდ მრავალფეროვ-
ნნი არიან. ზოგიერთი მათგანი ქმნის, ტერიტორიული და პოლიტიკ-
რი თვალსაზრისით, კომპაქტურ ორგანიზმს — ქალაქ-სახელმწიფ-
სხვები — მთელი რიგი დამოუკიდებელი სატაძრო თემების შედარებ-
სუსტ გაერთიანებას. ხოლო ზოგიერთი სატაძრო გაერთიანება იმ-
ნად ძლიერდება, რომ სარგებლობს თავისი სტრატეგიული, პოლიტ-
კური და ეკონომიკური მდგომარეობით, იქვემდებარებს, იერთებს მ-
ზობელ თემებს და თეოკრატიულ სახელმწიფოდ ვითარდება[122].

ამ თვალსაზრისით სატაძრო ცენტრების ორგანიზაციის მრავალ-
ფეროვნება შეინიშნება ძველ საქართველოშიც. სატაძრო თემების გ-
ვითარების პროცესში აქაც იქმნება მათი გაერთიანებების სხვადასხ-
ფორმები.

ქვეყნის მთიან რეგიონებში ამ თემების განვითარება არ სცილ-
დება ტომობრივი გაერთიანების ჩარჩოებს. ყველაზე მცირე უჯრედ-
აქ სასოფლო თემია[123].

---

122 А. Г. Периханян. დასახ. ნაშრ., გვ. 5—80.

123 ვ. ბარდაველიძე შენიშნავს: „ხევსურული თემების მეტად საყურადღებ-
მხარეს მათი წყობა, ანუ ფორმა შეადგენდა. ცოტად თუ ბევრად მსხვილი თემ-
მცირე და უმცირესი თემური ორგანიზაციების ჯამს წარმოადგენდა, ამავე დრო-
ეს უკანასკნელნი, თუმცაღა მსხვილი თემის შემადგენელ ნაწილებად გამოდიოდნ-
მაგრამ ადგილობრივ საქმეებში მისგან დამოუკიდებელნი იყვნენ (დასახ. ნაშრ-
გვ. 497).

მეორე მხრივ, ხევსურული თემები სხვადასხვა სიდიდისა იყო მოსახლეობ-
რაოდენობისა და ტერიტორიის მოცულობის მიხედვით. ამ თვალსაზრისით, სრ-
ლიად ხევსურეთის თემს შიგნით მოიპოვებოდა თემები: სახევთაშორისო, ე. ი. რა-
დენიმე ხევის ან შედარებით ფართო ტერიტორიის მომცველი, სახევო, სასოფლო-
შორისო, სასოფლო და მეტად მცირე, სასოფლო და თემური უჯრედები, რომელ-
თაგან თითოეული მცირერიცხოვან გვარს, მამას ან საძმოს აერთიანებდა. ხევსურეთ-

საქართველოს ბარში კი ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა
I ათასწლეულის დასაწყისში არსებული საკულტო ცენტრებიდან,
ამ დროს სატომთაშორისო ცენტრებს წარმოადგენენ, მხო-
ნაწილი ვითარდება უფრო დიდი ტერიტორიული ერთეულების,
ან ხევთა გაერთიანებების, ანუ ე. წ. „ქვეყნების“ პოლიტი-
ცენტრებად და შემდეგ ქართლისა და კოლხეთის სა-
ების სატაძრო ცენტრებად.

წინაელინისტურ და ელინისტურ ხანაში როგორც მცირე აზიის,
ქართლისა და კოლხეთის სატაძრო ცენტრების ორგანიზაციული
ების ჩამოყალიბებას, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, განაპი-
ებდა და წარმართავდა აქ არსებული საზოგადოებების სოცია-
ეკონომიკური განვითარების დონე, მაგრამ, ამასთან ერთად, ამ
ცესში გარკვეულ როლს ასრულებდა ქვეყანაში შექმნილი პოლი-
ური სიტუაცია. ამ მხრივ საინტერესო სურათს ქმნის მცირე აზი-
ქართლისა და კოლხეთის სატაძრო-საკულტო ცენტრების შედარე-
ისტორიული შესწავლა.

წყაროებიდან ჩანს, რომ მცირე აზიის წინაელინისტური ხანის
ელ რიგ თეოკრატიულ გაერთიანებაში იქმნება თითქმის დამოუკი-
ებელი მმართველობის ფორმები. ირკვევა ისიც, რომ მცირე აზიის
ტაძრო თემებში მმართველობის ამ ფორმების ჩამოყალიბებაში გარ-
ეულ როლს ასრულებს ირანთან ურთიერთობა. შესაძლებელია, აქე-
ნიანებს არ ჰქონდათ მკვეთრად გამოხატული სატაძრო პოლიტიკა
ირანული მცირეაზიული სატრაპიების მიმართ, მაგრამ, ყოველ შემ-
ხვევაში, არავითარი საფუძველი არ არსებობს ვიფიქროთ, რომ აქე-
ნიანებმა გააუქმეს სატაძრო თვითმმართველობა, ან მოახდინეს სა-
ძრო მიწების რეკვიზიცია. არსებული მონაცემებიდან გამომდინა-
მკვლევარნი უფრო იმ მოსაზრებისკენ იხრებიან, რომ აქემენიანე-
იყენებენ მცირე აზიის სატაძრო ორგანიზაციებს, როგორც პოლი-
ურ დასაყრდენს[124]. ამ მხრივ საგულისხმო ჩანს ის ფაქტი, რომ
ასის გაერთიანება (კარიაში) არა მხოლოდ განაგრძობს არსებობას
ქემენიანთა ბატონობის მთელ პერიოდში, არამედ მის სათავეში მდგო-

---

ეთია ტომობრივი გაერთიანების ხასიათის თემისა, რომელიც წარსულში თავის
ს სხვა მეზობელ თემებს უპირისპირდებოდა (ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ.,
. 496).

124 А. Г. Периханян. დასახ. ნაშრ., გვ. 147; В. Тарн. Эллинис-
ская цивилизация. М., 1949.

მი ქურუმი, ძვ. წ. V ს-ის დასაწყისიდან, ახორციელებს სატრაპის [illegible]
ლაუფლებას და ჭრის მონეტას. კარიის სატაძრო გაერთიანებების [illegible]
ხედრო ორგანიზაციაც, უთუოდ, ემორჩილებოდა უზენაეს ქურ[illegible]
რომელიც, ამავე დროს, სატრაპიც იყო. წარწერები მაგნესიიდან, [illegible]
ანტიკური ავტორების ცნობები მოწმობენ აქემენიანთა მფარველ[illegible]
პოლიტიკას მცირე აზიის დიდი ტაძრების მიმართ; სახელდობრ, სტ[illegible]
ბონის ცნობების თანახმად, ამ ხანაში ანატოლიის დიდი დედის [illegible]
ება სპარსულ ანაიტისს უტოლდება და სპარსელთა ღვთაებების [illegible]
ხელზე დიდი ტაძრები იგება. ფიქრობენ, რომ ირანის სამეფო [illegible]
ამ ტაძრების მშენებლობის დროს, დიდ სუბსიდიებს აძლევდა [illegible]
ლობრივი თეოკრატიული გაერთიანების მმართველებს; ამით [illegible]
ის ფაქტიც, რომ მერმინდელ ხანებში აქემენიანებს მიაწერდნენ [illegible]
ლი რიგი სალოცავების აგებას მცირე აზიაში[125].

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ სპარსეთის მფარველური [illegible]
ლიტიკამ მცირე აზიის დიდი სატაძრო გაერთიანებების მიმართ, [illegible]
ცხადია, თავისი მიზეზები ჰქონდა, ხელი შეუწყო ქვეყანაში ამ [illegible]
თიანებათა პოზიციების განმტკიცებას და გავლენიან თვითმმ[illegible]
თეოკრატიებად ჩამოყალიბებას. ამავე ხანაში უნდა მომხდარიყო [illegible]
სათავეში მდგომ ქურუმთა პოლიტიკური ხელისუფლების გაძლ[illegible]
და მათი ავტორიტეტის ზრდა. სტრაბონი ზელას სატაძრო ცენ[illegible]
შესახებ პირდაპირ აღნიშნავს: ძველად მეფეები (იგულისხ[illegible]
უთუოდ, ირანის მეფეები) ზელას მართავდნენ როგორც სპარ[illegible]
ღვთაებების სალოცავს და ქურუმი იყო იქ ყველაფრის უფალ[illegible][126].

ანალოგიური ვითარება სავარაუდებელია წინაელინისტური [illegible]
იბერიაშიც. ძნელია დაბეჯითებით მტკიცება, თუ რამდენად [illegible]
იყო ირანის პოლიტიკური გავლენა ქართლზე, მაგრამ ეჭვი არ [illegible]
რომ მასთან ურთიერთობამ შესამჩნევი კვალი დატოვა ქართლის [illegible]
ვების საკულტო ცენტრების დაწინაურებასა და მნიშვნელოვან [illegible]
გიურ-პოლიტიკურ ცენტრებად ჩამოყალიბებაში. კერძოდ, შეს[illegible]
ვითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ სამადლოში და ციხია-გ[illegible]
სადაც მკვეთრად ჩანს სპარსული გავლენა (რელიგიის, ხელოვ[illegible]
არქიტექტურის და სხვა სფეროში), სწორედ, წინაელინისტური [illegible]
დან იქმნება დიდი სატაძრო ორგანიზაციები, იწყება დიდი [illegible]
მშენებლობა. ამ დროს იგება სამადლოში კოშკისებური ტაძარ[illegible]

125 იქვე.

126 Strabo XII, 3, 37. თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის [illegible]
გვ. 216.

[illegible] ანალოგიას პოვებს აქემენიანთა ირანის (პასარგადისა და [illegible]
[illegible]ტამის) კვადრატულ, კუთხეებშვერილიანი კოშკის მოყვანი[illegible]
[illegible] ტაძრებთან[127].

[illegible]ისმოა ისიც, რომ სამადლოს ტაძარს ზუსტად ისეთივე გა-
[illegible] ჰქონოდა (ბრტყელი სახურავი), როგორიც ირანის სინ-
[illegible] ძეგლებს. აქედან სპეციალისტებს ის დასკვნა გამოაქვთ, რომ
[illegible] სატაძრო მშენებლობა ირანული საკულტო არქიტექტურის
[illegible] მიხედვით ხდებოდა. ამაზევე მეტყველებს ამ კოშკის გან-
[illegible] ბორცვის ყველაზე მაღალ წვერზე, განცალკავებულ ადგილას
[illegible] როგორც ფიქრობენ, ტაძარი აგებული იყო სპარსული კულ-
[illegible] ხელზე. აქ თაყვანს სცემდნენ ცეცხლს (აღიარებდნენ მაზდეა-
[illegible] რელიგიის ერთ-ერთ სახეობას — მითრაიზმს)[128].

[illegible]ებით ასეთივე ვითარებაა კავთისხევში, ციხია-გორაზე, სა-
[illegible] წინაელინისტურ ხანაში (ცოტა უფრო გვიან, ვიდრე სამადლოში)
[illegible] დიდი სატაძრო მშენებლობა, მიძღვნილი იმავე კულტ[illegible]
[illegible][129].

[illegible]ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ, ისევე როგორც მცირე აზიაში,
[illegible] ირანი თავის დასაყრდენს ეძებს და ქმნის კიდეც ქართ-
[illegible] ზეების საკულტო ცენტრების სახით და ამით ხელს უწყობს მათ,
[illegible] პოლიტიკურ-რელიგიური ცენტრების, წინ წამოწევას, თვით-
[illegible] სატაძრო-პოლიტიკურ ორგანიზაციებად განვითარებას, ამას-
[illegible] ერთად, მათ სათავეში მდგომი უზენაესი ქურუმის პოლიტიკური
[illegible]ების გაძლიერებას, რაც აისახება კიდეც წერილობით ძეგ-
[illegible] სტრაბონის ცნობებიდან ჩანს, რომ ქურუმები იბერიაში განა-
[illegible] მეზობლებთან ურთიერთობას, ე. ი. აწესრიგებენ საგარეო საქ-
[illegible] (სტრაბონისეულ იბერიის აღწერილობაში შემონახული ეს ცნო-
[illegible] ძველი ვითარების ამსახველი უნდა იყოს).

[illegible]ამრიგად, სავსებით დასაშვებია, რომ აღებულ ხანაში ირანი თავის
[illegible]ებას ქართლზე ახორციელებდა ადგილობრივ პოლიტიკურ-რელი-
[illegible] ძალებზე დაყრდნობით, მათი მეშვეობით.

127 Ю. М. Гагошидзе. Самадло. Тбилиси, 1979, с, 52, 53.

128 იქვე. ი. გაგოშიძე სავსებით დასაშვებად თვლის, რომ ქართლის ტერიტო-
[illegible] ირანის აქემენიდთა იმპერიის XVIII სატრაპიაში. ჩვენი აზრით, ირა-
[illegible] პოლიტიკური გავლენის აღიარება, მაინცდამაინც, არ გულისხმობდა იმპერიის
[illegible] სატრაპიაში შესვლას.

129 Г. Г. Цкитишвили. Результаты работ на „Цихиа-гора" (1971—
1974 гг.).—КС, 151. Античные памятники Колхиды и Иберии. М., 1977, с. 87.

ვფიქრობთ, ანალოგიური პოლიტიკის გატარებას ეცდებოდა ირანი კოლხეთშიც, აქ სამეფოს საბოლოო ჩამოყალიბებამდე (VI ს. 20-იანი წლების წინა ხანაში). როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდი საკულტო ცენტრები და მათ სათავეში მდგომი კულტმსახურნი, სწორედ, ამ დროს (VI ს.) გვევლინებიან საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ მაორგანიზებელ, მის წარმმართავ ძალად კოლხეთში. ირანის ასეთ მცდელობაზე შეიძლება მეტყველებდეს სპარსული ცეცხლთაყვანისმცემლობის, საერთოდ, ცეცხლის კულტის დადასტურება ვანში, „ახვლედიანების გორის“ ზედა ტერასაზე, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდესთან, სადაც გამოვლენილია ადრეანტიკური ხანით დათარიღებული დიდი „მოედანი“. მოედანი მოგებულია გაწითლებული თიხის ქვებით. თიხის ქვები ძლიერი ცეცხლის შედეგად უნდა გაწითლებულიყო. მკვლევართა ვარაუდით, საქმე უნდა გვქონდეს რიტუალურ მოედანთან, ხოლო რიტუალში, ჩანს, გარკვეულ როლს ასრულებდა ცეცხლი[130]. ირანიდან მომდინარე კულტების გავლენა შეინიშნება საირხის რელიგიურ-პოლიტიკურ ცენტრშიც[131].

კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ ირანის გავლენა თეოკრატიულ ცენტრებსა და მათ სათავეში მდგომ კულტმსახურებზე, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად იზღუდება. უთუოდ ირანის ამ გავლენის წინააღმდეგ იყო მიმართული კოლხეთის სამეფო ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები, რომლებიც (ისევე როგორც ქართლში) მიზნად ისახავდნენ ზემოაღნიშნული ცენტრების სამეფოს ადმინისტრაციულ სისტემაში მოქცევას. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია, რომ კოლხეთის სამეფოს საგამგეო ერთეულთა მთავარი ცენტრები იქმნება იქ, სადაც ქვეყნის მნიშვნელოვანი სალოცავი ხატები იყო. აქედან კარგად ჩანს ცენტრალური ხელისუფლების მცდელობა, დაძაბული საგარეო ვითარების პირობებში, ქურუმთა ფენა თავის დასაყრდენად აქციოს. ზემოაღნიშნული ვითარების გათვალისწინების შემდეგ, კოლხეთის სამეფო ხელისუფლების მიერ ირანის პოლიტიკური გავლენის ნებაყოფლობითი აღიარებაც, ვფიქრობთ, საგარეო

130 დ. კაჭარავა, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე... არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე.—ვანი. IV. თბ. ,1979, გვ. 35, 36.

131 ჯ. ნადირაძე. საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ სამარხში აღმოჩენილი ცხენის აკაზმულობა შემკულია აპურამაზდას გამოსახულებებით.

ფაქტორთან ერთად[132], ნაწილობრივ, ნაკარნახევი იყო შინაგან რელიგიურ-პოლიტიკურ ძალთა განწყობილებით.

ამრიგად, აქემენიანთა ირანთან ურთიერთობის ხანაში, ირანის მესეიურთა ხელშეწყობით, როგორც მცირე აზიის, ისე ქართლის და კოლხეთის სატაძრო ცენტრებში, სავარაუდოა დამოუკიდებელი მმართველობის ფორმების განმტკიცება; ამასთან, მათ სათავეში მდგომ ქურუმთა პოლიტიკური უფლებების გაფართოება-გაძლიერება. მაგრამ კოლხეთისა და ქართლის სამეფოთა შექმნა მნიშვნელოვნად აფერხებს ამ თვითმმართველი ორგანიზაციის მქონე დიდი სატაძრო ცენტრების განვითარებას. სხვა ვითარებაა ამ მხრივ მოგვიანო პერიოდის (ელინისტური ხანის) კოლხეთში, სადაც სამეფო ხელისუფლების დასუსტება და კოლხეთის სამეფოს მიერ ოდინდელი ძლიერების დაკარგვა ანის თვითმმართველი სატაძრო ორგანიზაციის ჩამოყალიბების ხელშეწყობი ფაქტორი ხდება.

ანალოგიური დამოუკიდებელი სამხედრო ორგანიზაციის მქონე სატაძრო ცენტრები არსებობდნენ სომხეთშიც ქრისტიანობის მიღებამდე[133].

მსგავსი ვითარებაა ელინისტური ხანის მცირე აზიის იმ სატაძრო გაერთიანებებში, რომელთაც დიდი სამხედრო-პოლიტიკური ძალა ქონდათ. ელინისტური სახელმწიფოების მონარქები ცდილობენ იმ სატაძრო გაერთიანებებს ჩამოაშორონ მათი გავლენის სფეროში შემავალი ტერიტორია მათზე მოსახლე თემებით, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებენ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება დიდ სატაძრო სახელმწიფოებს ძლიერი სამხედრო პოტენციალით და ქურუმის ცენტრალიზებული ხელისუფლებით. ამიტომ, უფრო ხშირად, ელინისტური მონარქები სჯერდებიან ტაძრების ნომინალურ დამოკიდებულებას. მაგალითად, კაპადოკიის კომანას შესახებ სტრაბონი შენიშნავს, რომ იგი ექვემდებარებოდა კაპადოკიის მეფეს, მაგრამ უფრო მეტად უზენაეს ქურუმს და ეს ქურუმი იყო იქ ყველაფრის მფლობელი. ამასთან ერთად, ქურუმი კატაონიის სტრატეგიც იყო[134],

132 ჩვენ უკვე შენიშნული გვაქვს, რომ ირანის გავლენის ნებაყოფლობითი აღიარებით, კოლხეთი ახერხებს გარკვეული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ღ ირანის ადმინისტრაციულ სისტემაში შესვლისაგან თავის დაღწევას (იხ. М. П Инадзе. О времени образования Колхидского царства по данным древнегреческих авторов.—КБС. IV, Тб., 1973, с. 166—167.

133 А. Г. Периханян. დასახ. ნაშრ., с. 99, 100, 161.

134 იქვე; Strabo. XII. 2, 3.

ე. ი. ადმინისტრაციულ ფუნქციასაც ასრულებდა. მაგრამ თანდათ
ნობით, დასახელებული სატაძრო გაერთიანებები რომის სახელმწიფ
სისტემაში ექცევიან, მათი ქურუმები ოლქის მმართველნი, სტრატ
გოსები ხდებიან, სატაძრო ქალაქი კი ასრულებს ოლქის ცენტრ
როლს.

3. ფრიქსოპოლისი — იდეესა

კოლხეთის სატაძრო ცენტრების წარმოქმნის საკითხის განხილ
ვასთან დაკავშირებით, უნდა გავიხსენოთ, აგრეთვე, ბერძნულ მწერ
ლობაში (სტრაბონთან) შემონახული ტრადიციაც, რომელიც კოლხ
თის მახლობლად უძველესი სატაძრო ცენტრების დაარსებას მიაწერ
არგონავტების ლაშქრობის წინარე ხანის მითიური გმირის — ფრიქ
სეს — სახელს. ერთ-ერთი ასეთი საკულტო ცენტრი ყოფილა ფრიქ
სოპოლისი — „ფრიქსეს ქალაქი კოლხიდის საზღვრებზე“[135]. მეორე ს
ტაძრო ცენტრი ფრიქსეს მიერ დაარსებული, ლევკოთეად წოდებულ
სამლოცველო და მისი სამისნო სტრაბონს მოხსენიებული აქვს კოლ
ხეთის მოსაზღვრე მოსხიკებში[136].

ჩვენ აქ არ შევეხებით გადმოცემას ლევკოთეას სამლოცველ
ზესახებ, რადგან მასში ასახული ვითარება, ამ გადმოცემის კრიტიკულ
შეფასებასთან ერთად, საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილ
ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში[137].

ამჟამად ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ცნობაზე ფრიქსოპოლ
სის შესახებ. გეოგრაფიის წ. XI, თ. 2, § § 17, 18-ში, სადაც სტრ
ბონი გადმოგვცემს კოლხეთის აღწერილობას და მის მოკლე ისტ
რიას, იქვე მოგვითხრობს ფრიქსეს მოღვაწეობის ამბავსაც მოსხიკ
და ამის შემდეგ განაგრძობს: „იბერიაში არის ერთი პატარა ქალ
ფრიქსოპოლისი, ეხლანდელი იდეესა, კარგად გამაგრებული ადგ
კოლხიდის საზღვრებზე“ (Strabo, XI, 2, 18)[138] („ἔστι δὲ καὶ πολίχν

135 თ. უაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 125.

136 Strabo. XI, 2, 17, 18.

137 ზოგიერთი მკვლევარი სტრაბონისეულ ლევკოთეას აიგივებს ვანის სატაძრო ც
ტრთან (О. Д. Лордкипанидзе. К локализации „Τό τῆς Λευκοθ
ἱερόν“. ВДИ. 1972, №2. მაგრამ ამ საკითხის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურ
არსებობს სხვა მოსაზრებებიც (იხ. ნ. ხაზარაძე. საქართველოს ძველი ისტორ
ეთნო-პოლიტიკური პრობლემები. თბ., 1984).

138 თ. უაუხჩიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 125.

ἐν τῇ Ἰβηρίᾳ Φρίξου πόλις, ἡ νῦν Ἰδήεσσα, εὐερκὲς χωρίον ἐν μεθο-
ρίοις τῆς Κολχίδος“).

მოტანილი გადმოცემის კრიტიკული შესწავლა, უპირველეს ყოვ
ლისა, მოითხოვს მასში შემონახული სხვადასხვა ისტორიული ეპოქის
ფენაშრევის ერთმანეთისაგან გამოყოფას და ცალ-ცალკე განხილვას.

თავდაპირველად შევეხებით საკითხს თვით ფრიქსოპოლისის რა
ობის შესახებ. მისი რეალური შინაარსის გარკვევას არსებითი მნიშვ
ნელობა აქვს მთელი ამ გადმოცემის შემდგომი ინტერპრეტაციისათ
ვის.

ამ თვალსაზრისით, ინტერესს იწვევს სტრაბონთან დაცული მე
ორე ცნობაც, რომელშიც ფრიქსეს იმავე საქმიანობაზე და მის შე
ფეგებზეა საუბარი. ცნობაში — წ. I, თ. 2, § 39 — ავტორი მოგვითხ
რობს ჯერ ფრიქსეს, ხოლო შემდეგ არგონავტების ლაშქრობის რეა
ლური მიზეზების შესახებ და იქვე დასძენს: „ორივე ლაშქრობის ძეგ
ლები (ὑπομνήματα) მოიპოვება: ფრიქსესას მიუთითებენ კოლხიდისა
და იბერიის საზღვრებზე, ხოლო იაზონისას ბევრგან: ... არმენიის, მი
დიისა და მიდამო ქვეყნების ადგილებში“[139].

როგორც ვხედავთ, თ. უაუხჩიშვილის მიერ შესრულებული თარ
გმანის მიხედვით არ ჩანს რა იგულისხმება კონკრეტულად ფრიქსეს
მიერ დაარსებულ ძეგლში (ბერძნული ტექსტის τὸ ὑπομνήμον-ში)“.
თარგმანში წერია მხოლოდ: „ფრიქსესას მიუთითებენ“...

რაც შეეხება გ. ა. სტრატანოვსკის, ის ამ ადგილს შემდეგნაირად
თარგმნის: „Кроме того, существуют памятники обоих походов: свя-
тилище Фрикса, расположенное на границах Колхиды и Иберии и
святилища Иасона“...[140].

ტექსტის ასეთ ინტერპრეტაციას, ე. ი. „τὸ ὑπομνήμον“-ის გაგებას
„святилище“-ს — „სამლოცველოს“ მნიშვნელობით, მხარს უჭერს ის
გარემოება, რომ სტრაბონის „გეოგრაფიის“ სხვა ადგილების მიხედ
ვით, ფრიქსეს და იასონს, კოლხეთის მახლობლად მდებარე ქვეყნებში,
სწორედ სამლოცველოების და ტაძრების დაარსებას მიაწერდნენ. მა
გალითად, მოსხიკეში ფრიქსეს აუგია სამლოცველო და სამისნო, ხო-

139 თ. უაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 71.

140 Страбон. География в 17 книгах. Перевод, статья и комментарии Г.
А. Стратановского. М., 1964, с. 54.

ლო, იმავე სტრაბონის სხვა ცნობის თანახმად, იასონის სახელთან და კავშირებულ „ბარბაროსთაგან ფრიად პატივცემულ ტაძრებს“ (ბერძნულ ტექსტში — „τὰ ὑπομνήματα“-ს) მიუთითებდნენ კასპიის კარების ზემოთ და არმენიაში (XI, 13, 10)[141]. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, სავსებით დასაშვებია, კოლხეთისა და იბერიის საზღვრებთან ფრიქსეს საქმიანობის შედეგად დაარსებულ „ძეგლშიც“, ანუ ფრიქსოპოლისში ვივარაუდოთ ტაძარი.

შემდეგი დასკვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს ფრიქსოპოლისის შესახებ სტრაბონის გადმოცემის განხილვის შედეგად, არის ის, რომ თუმცა სტრაბონი მას ახასიათებს როგორც პატარა ქალაქს (πολίχνιον), მაგრამ ადრეულ ხანაში ფრიქსოპოლისი, როგორც ჩანს, ნამდვილ ქალაქს წარმოადგენდა. ამაზე მეტყველებს გადმოცემაში სტრაბონის მიერ მისი პოლისად ხსენება (იბერიის დიდი ქალაქების სევსამორას და ჰარმოზიკეს მსგავსად), აღნიშნული გარემოება, ჩვენი აზრით, უთუოდ, იმის მანიშნებელია, რომ თავისი არსებობის ადრეულ ეტაპზე ფრიქსოპოლისი მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრი შეიძლებოდა ყოფილიყო, რაც, თავისთავად, არ გამორიცხავს იმთავითვე აქვე სამლოცველოს არსებობასაც[142].

ამასთან, სტრაბონის მიერ ლევკოთეას სამლოცველოს გვერდით მხოლოდ ფრიქსოპოლისის გამორჩეულად მოხსენიება საფუძველს გვაძლევს ისიც ვიფიქროთ, რომ, ლევკოთეას ტაძრის მსგავსად, მასაც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა კოლხეთისა და მისი მიმდებარე ქვეყნების ძველ საკულტო ცენტრებს შორის.

სტრაბონის ზემოთ მოტანილი ცნობები სხვა მხრივაც საჭიროებენ კვლევას. სახელდობრ, ყურადღებას იმსახურებს ისიც, რომ სტრაბონი ფრიქსოპოლისს ხან „კოლხეთისა და იბერიის საზღვრებთან“ ათავსებს, ხან კი იბერიაში, მაგრამ მაინც კოლხეთის საზღვრების ახლოს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სტრაბონს ან საერთოდ არ ჰქონდა უფრო ზუსტი ცნობები ფრიქსოპოლისის ადგილმდებარეობის შესახებ, ანდა ის ემყარებოდა სხვადასხვა დროის წყაროებს, რომელთა ერთი, უფრო ძველი ინფორმაციის მიხედვით, ფრიქსეს საქმიანობის ასპარეზს კოლხეთი წარმოადგენდა და მისი ამ საქმიანობის მოწმე „ძეგლიც“ კოლხეთში უნდა ყოფილიყო; მეორე მხრივ, მას ჰქონდა უფრო გვიანდელი მონაცემები, რომელთა თანახმად, ძველი ფრიქსოპოლისი, მისი [illegible]ის სახეშეცვლილი, მცირე გამაგრებულ ქალაქად ქცეული, [illegible] იბერიას ეკუთვნოდა, რამაც საფუძველი მისცა სტრაბონს (უფრო [illegible], მის წყაროს), ფრიქსოპოლისი იბერიაში მოეთავსებინა. ზემოთ გამოთქმული ორი ვარაუდიდან, ჩვენ უფრო მეორე შესაძლებლობასაც ვიხრებით და ვფიქრობთ, რომ ფრიქსოპოლისის ადგილსამყოფელი, თავდაპირველად, კოლხეთში იყო, ხოლო უფრო გვიან (ძვ. წ. III ს-იდან), ქართლის სამეფოს წარმოქმნისა და მისი მიწების [illegible]ეთით გაფართოების შემდეგ, ეს ქალაქი იბერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა, თუმცა იბერიაში შესვლის შემდეგაც, როგორც ჩანს, იგი კოლხეთის საზღვრებისგან დიდად არ იყო დაშორებული.

ამის შემდეგ ისმის საკითხი, თუ რამ განაპირობა ხსენებული სამლოცველოს წარმოქმნის დაკავშირება ფრიქსეს სახელთან, რა ნიადაგზე აღმოცენდა გადმოცემა ლეგენდარული გმირის, ფრიქსეს მიერ [illegible] სახელის მატარებელი ქალაქისა და სამლოცველოს დაარსების შესახებ.

პასუხი ამ კითხვაზე, უპირველესად, თვით ბერძნულ მითოლოგიაში უნდა ვეძიოთ.

დადგენილია, რომ არგონავტიკა წარმოშობით თესალიურ-ბეოტიური თქმულებაა (უფრო გვიან, იონურ ნიადაგზე გადამუშავებული). არგონავტთა ლაშქრობის შესახებ ბერძნულ თქმულებას საფუძვლად უდევს ბეოტიური ლეგენდა ორქომენის მეფის ძის ფრიქსეს შესახებ. ძვ. წ. II ს-ის ავტორმა აპოლოდორემ ფრიქსეს შესახებ შემდეგი გადმოცემა შემოგვინახა:

ბეოტიის გამგებელ ათამანტს ნეფელესაგან შეეძინა ვაჟი ფრიქსე და ქალიშვილი ჰელე. შემდეგ ათამანტმა თავის შვილებს დედინაცვალი ინო მოუყვანა. ინომ თავის გერის — ფრიქსეს — მიმართ ვერაგობა განიზრახა და ქალებს დასათესი ხორბალი მოახალინა. მოხალული ხორბლით დათესილმა მიწამ ყოველწლიური ნაყოფი აღარ გამოიღო. რომ შეაგონა ხალხს, თითქოს, უნაყოფობა შეწყდებოდა, თუ ფრიქსეს (სხვა ვერსიით, ფრიქსესა და ჰელეს) მსხვერპლად დაუკლავდნენ ზეუსს. იმ ქვეყნის მცხოვრებთაგან ძალდატანებულმა ათამანტმა ფრიქსეს მსხვერპლად შეწირვა დაუპირა და იგი საკურთხეველთან დააყენა. [illegible]შინ ნეფელემ მისცა და-ძმას ოქროსსაწმისიანი ვერძი, რომელმაც [illegible] აღმოსავლეთისკენ წამოიყვანა. შუა გზაში ჰელე ზღვაში ჩავარდა და დაიღუპა, ხოლო ფრიქსემ მიაღწია კოლხებს, რომლებზედაც [illegible]ეფობდა აიეტი (ჰელიოსის ძე). აიეტმა ფრიქსე შეიფარა და ერთი

---

141 თ. ყაუხჩიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 184.

142 მ. ინაძე. ლეგენდა და ისტორიული სინამდვილე სტრაბონთან (ფრიქსოპოლისი — იდეესა). ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება, 3—4, 1992, გვ. 117.

ქალიშვილთაგანი — ქალკიოპე — ცოლად მისცა[143]. ფრიქსემ ოქროსსა-
წმისიანი ვერძი მსხვერპლად შესწირა ფიქსიოს ზევსს, ხოლო მის
ტყავი კი აიეტს უბოძა. ამან საჩუქარი არესის ჭალაში მუხას მიაჭედ-
ამ თქმულებასთანაა დაკავშირებული ლეგენდა ოქროს საწმისის
კვლავ საბერძნეთში დაბრუნების შესახებ, რაც გახდა მიზეზი არგო-
ნავტთა ლაშქრობისა აიეტის ქვეყანაში.

ამრიგად, ოქროსსაწმისიანი ვერძის მიერ ფრიქსეს გადმოყვა-
კოლხეთში და მის მიერ მსხვერპლად შეწირული ვერძის ოქროს ტყ-
ვის ბოძება აიეტისათვის არის მთავარი თემა, რომლის საფუძველზ-
დაც აიგო თქმულება არგონავტთა ლაშქრობის შესახებ. ამას სხვა ძვ-
ლი ბერძენი ავტორებიც ადასტურებენ.

ფრიქსეს მიერ ვერძის მსხვერპლად მიტანისა და მისი ტყავის ზევ-
სისათვის, ან არესისათვის შეწირვის შესახებ გვამცნობენ ჰესიოდ-
„ასტრონომიის“ სქოლიონები[144]. პინდარეს სქოლიონები[145]. ფრიქსე-
მიერ ვერძის შეწირვის ამბის სხვადასხვა ვერსიებს ვხვდებით აპოლო-
ნიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიონებშიც: „დიონისიოსი კ-
მეორე წიგნში გადმოგვცემს, ვერძი ფრიქსეს აღმზრდელი იყო დ-
მასთან ერთად გაემგზავრა კოლხებისაკენ; ამიტომ მოგვითხრობ-
მითს იქ ვერძის შეწირვის შესახებ“[146]. დიოდორე სიცილიელის ცნ-
ბით, ოქროს საწმისი არესის ტაძარში იქნა მოთავსებული, წეს-ჩვეუ-
ლების შესაბამისად[147].

ამრიგად, ძველი ბერძნული წერილობითი ტრადიცია ფრიქსეს ს-
ხელს დაჟინებით უკავშირებს ოქროს საწმისის ზევსისათვის (მეორ-
ვერსიით — არესისათვის) შეწირვას არესის ჭალაში, ან არესის ტ-
ძარში მის შენახვას. ვერძით ფრიქსეს მოგზაურობის წყალობით, ოქ-
როს საწმისი საბერძნეთიდან კოლხეთში ინაცვლებს და მისი გამგებ-
ლის აიეტის კუთვნილი ხდება.

ძველი ბერძნული ტრადიციის თანახმად, ვერძი ფრიქსეს მფარ-
ველია; მეორე მხრივ, თვით ვერძი, ცხვარი და ოქროს საწმისი, მცირ-
აზიისა და კავკასიის ხალხთა უძველეს წარმოდგენებში, სიმბოლოა ნ-

143 აკ. ურუშაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 350—351.
144 იქვე, გვ. 188.
145 იქვე, გვ. 223.
146 იქვე. გვ. 244.
147 იქვე. გვ. 390, 392.

ნაყოფიერების, დოვლათიანობის, მოსავლიანობისა და ძლიერების[148].
ამდენად, ფრიქსოპოლისის და ლევკოთეას სამლოცველოთა დაარ-
სების დაკავშირება ოქროს საწმისის მომტან ლეგენდარულ გმირ
ფრიქსესთან სავსებით შესაძლებელია მეტყველებდეს ნაყოფიერების
კულტის დიდ მნიშვნელობაზე ამ ტაძრებში.

ზემოთქმულთან დაკავშირებით ნიშანდობლივი უნდა იყოს ბერძენ
ავტორებთან (ჰეროდოტე, სტრაბონი) დაცული სხვა ტრადიციაც; ამ
გადმოცემის მიხედვით, ფრიქსეს ვაჟიშვილს, რომელიც მას აიეტის
ასულის ქალკიოპესაგან ჰყავდა, კიტისორისი ეწოდებოდა (Her., VII,
§. 197; Strabo, XII, 3, 10). ამ სახელწოდების ფუძე—„კიტ“, „КЗТ“;
ასევე უკავშირდება ქართველთა რელიგიურ წარმოდგენებში შემორ-
ჩენილ სიტყვას „კოტ“ — „კოტრა“ და „კიტ“, რომლებიც, თავის
მხრივ, შეესატყვისება იმერულ, რაჭულ დიალექტებში და მეგრულ
ენაში ფალოსის აღმნიშვნელ სიტყვებს — „კუტას“ და „კუტუს“.
ხოლო ფალოსის, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოს, მონაწილეობა
მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების მფარველი ღვთაებისადმი მი-
ძღვნილ (ბოსლობის, ანუ ბოსელ-კოტის) საკულტო რიტუალში და-
დასტურებულია დასავლეთ საქართველოს არაერთი კუთხის ეთნოგრა-
ფიაში[149]. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ოქ-
როს საწმისის მომტანი ფრიქსე, ისევე როგორც მისი ვაჟი — კიტი-
სორისი, ანტიკურ მწერლობაში დაცული ტრადიციის თანახმად, კოლ-
ხეთში ნაყოფიერების მომტან სიმბოლოებად განიხილებოდნენ. ამდე-
ნად, ნაყოფიერების კულტისადმი მიძღვნილ უძველეს საქალაქო-სა-
ტაძრო ცენტრების დამაარსებლად ფრიქსეს მიჩნევა კოლხეთში სავ-
სებით კანონზომიერ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. ყველაფერი ეს
კარგად ეთანხმება არქეოლოგიური კვლევა-ძიებით გამოვლენილ უძ-
ველს საკულტო ცენტრებში (ვანი, საირხე და სხვ.) დადასტურებულ
ნაყოფიერების ღვთაების თაყვანისცემის განსაკუთრებულ მნიშვნე-
ლობას.

გარდა ამისა, არგონავტების ლაშქრობის წინარე ხანის გმირის —
ფრიქსესთვის ასეთი განსაკუთრებული როლის მინიჭება კოლხეთსა

148 გრ. გიორგაძე. „საწმისი“ ხეთურ წყაროებში და მისი ანტიკური პარა-
ლელები. — თსუ-ს შრომები. 227. 1982, გვ. 287—293.
149 В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и об-
рядовое графическое искусство грузинскик племен. Тб., 1957, с. 178, 179.

და მის მეზობელ ქვეყნებში სამლოცველოების დაარსების საქმეში ვფიქრობთ, იმ რეალური ვითარების გამოძახილიც უნდა იყოს, რომ ეს ტაძრები შორეულ წარსულში იქნენ აღმოცენებულნი[150].

მთელი ზემოთ განხილული მასალა, სტრაბონთან დაცული სა ორიენტირო მონაცემების გათვალისწინებით, შესაძლებელს ხდ ფრიქსოპოლისი გავაიგივოთ ყვირილის ხეობაში ადრეანტიკური ხა ნიდან არსებულ ქალაქ საირხესთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ საირხე, როგორც საქალაქო ცენტრი, კოლხურ სამყაროში წარმოიქმნება. წინაანტიკურ ხანაში ის კოლხური კულტურის არეალში შედის და მის მომდევნო პერიოდშიც (ძვ. წ. VI—IV სს.) კოლხეთის სამეფოს ეკუთვნის (მისი ერთ-ერთი განაპირა საგამგეო ერთეულის ცენტრია), მაგრამ შემდეგ, ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების კვალდაკვალ (ძვ. წ. III ს-ის დასაწყისი), საირხე ამ სამეფოს ფარგლებში ექცევა და მთელ მომდევნო ხანის განმავლობაში იბერიის შემადგენლობაში რჩება. არ ქეოლოგიური კვლევა-ძიებით ისიც ირკვევა, რომ ელინისტური ხანა დან (ძვ. წ. III ს-ის მეორე მეოთხედი) საირხე კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას, როგორც დიდი საქალაქო-სატაძრო ცენტრი და ამ ერიდან წარმოადგენს შედარებით უფრო მცირე მასშტაბის დასახ ლებულ ადგილს[151]. ეს გარემოებაც ერთხელ კიდევ უნდა დასტურებ დეს იმას, რომ ფრიქსოპოლისში, მართლაც, შეიძლება ვივარაუდოთ უძველესი ქალაქი საირხე.

ფრიქსოპოლისის გაიგივებას ქალაქ საირხესთან არაერთი სხვა გარემოება უჭერს მხარს.

საირხის მახლობლად აღმართულ გორებზე (საბადურის გორა, სა ხოველე და სხვ.) მოპოვებული მასალისა და ლომინაურში ადრე ჩატა რებული კვლევა-ძიების შედეგების საფუძველზე, სამეცნიერო ლიტე რატურაში წამოყენებულ იქნა დებულება, რომლის თანახმად ამ ტე რიტორიაზე ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში იქმნება არა

150 მ. ი ნ ა ძ ე. სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში.—„მაცნე", ისტორიის სერია. 1986, № 4, 51—53.

151 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. წ. I. თბ., 1990, გვ. 152, 153; მ. ი ნ ა ძ ე, ეგრისისა და ქართლის ურთიერთობისათვის. — მნათობი, 1989, № 8, გვ. 161. ზ. ბ რ ა გ ვ ა ძ ე. ფარნავაზის პოლიტიკა კოლხეთის მიმართ და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ზოგიერთი საკითხი.—„მაცნე", ისტორიის სერია. 1991, № 3, გვ. 86—97.

მხოლოდ დიდი ქალაქური ტიპის დასახლების წარმოშობის პირობები, ამასთან ერთად აქვე აღმოცენდება ყვირილის ხეობის უმნიშვნელოვანესი რელიგიური ცენტრი ძლიერი სატაძრო ორგანიზაციით, რომელიც ძველ საკულტო ტრადიციებს ემყარება[152].

საირხის მახლობლად, საბადურის, ვეშაპიძის და სხვა გორებზე, წინა- და ადრეანტიკური ხანების ფენებში გამოვლენილი, თიხისგან გაკეთებული ქალღვთაების ქანდაკებები, ლომინაურში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები, აქვე მოპოვებული საკულტო საგნები, ამასაც მოწმობენ, რომ საირხის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლე მოწათმოქმედ საზოგადოებაში და მის სატაძრო ცენტრში, უკვე ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, გარკვევით იკვეთება ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ღვთაების დიდი დედის — კულტი, რომელიც ციურ მნათობთა (მზე, მთვარე) თაყვანისცემასთან არის შერწყმული[153].

გარდა ამისა, ლომინაურში ნაპოვნი საკულტო საგნების — ქვისაგან გამოკვეთილი სიმბოლოების, განაყოფიერების აქტისა და სტილიზებული სიცოცხლის ხის გამოსახულების — მიხედვით გამოითქვა აზრი, რომ საირხის სატაძრო ცენტრში არსებობდა ხის კულტიც, რომელიც ორგანულად ერწყმოდა ნაყოფიერების ქალღვთაების კულტს[154]. ამასთან დაკავშირებით, მკვლევარ ჯ. ნადირაძის ყურადღება მიიქცია სოფ. საირხის ეკლესიის კედელში ჩატანებულმა, ფეოდალური ხანის საფლავის ქვაზე შემორჩენილმა სახელწოდებამ — სარიხე, რომელიც, მისი ვარაუდით, საირხის არქაული სახელწოდება უნდა იყოს[155]. მართლაც, ეს სახელი ორი სიტყვისაგან შედგება („სარი" და „ხე") და ორივე ხეს აღნიშნავს. ნიშანდობლივია ისიც, რომ სიტყვა „სარი" სი-

152 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975, გვ. 80, 84—94; მისივე. საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. გვ. 144; მ. ი ნ ა ძ ე. სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში. გვ. 46—52.

153 მ. ი ნ ა ძ ე. სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში. გვ. 48—52; მისივე, ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. გვ. 46 და შემდ.

154 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. საირხე... გვ. 107—108.

ქართველურ ტომებში ტყის და ხის კულტის ფართოდ გავრცელება და მისი მჭიდრო კავშირი ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილ რიტუალებთან დასტურდება ეთნოგრაფიული მონაცემებითაც (იხ. В. В. Бардавелидзе, **დასახ.** ნაშრ., გვ. 105).

155 იქვე.

ცოცხლისა და ნაყოფიერების სიმბოლოს — ვაზის — შესაყენებელ ხე-
ეწოდება.

სტრაბონისეული გადმოცემის რეალურ-ისტორიული შინაარსი-
კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ფრიქსოპოლისის მე-
ორე სახელწოდების — „იდეესა“-ს — წარმომავლობის საკითხის გა-
კვევას. გადმოცემაში ვკითხულობთ: „...ფრიქსოპოლისი, ეხლანდელ-
იდეესა, კარგად გამაგრებული ადგილი კოლხიდის საზღვრებთან“, მაგ-
რამ სტრაბონის მიერ ფრიქსოპოლისის „ეხლანდელ ედეესად“ გამო-
ცხადება არ ნიშნავს იმას, რომ ეს მეორე სახელი მას, მაინცდამაინც,
სტრაბონის ხანაში შეერქვა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფრიქსო-
პოლისის მეორე სახელწოდების — იდეესას — წარმოქმნა, სხვა მონა-
ცემების მიხედვით, უფრო ადრეა სავარაუდო, ამიტომ, ვფიქრობთ,
რომ ბერძენი ავტორის მიერ ამ ადგილას ნახმარი დროის აღმნიშვნე-
ლი სიტყვა — „νῦν“ — „ეხლა“, „ამჟამად“, „ეხლანდელი“ — „უფ-
რველესად, გულისხმობს ამ ძველი, ოდესღაც, უთუოდ, მნიშვნელო-
ვანი ქალაქის (ფრიქსოპოლისის) „ეხლა“, ე. ი. სტრაბონის (უფრო
სწორად, მისი წყაროს) დროისათვის, პატარა საქალაქო ცენტრად
კარგად გამაგრებულ ადგილ იდეესად გადაქცევას, ე. ი. თვით ქალაქის
ტრანსფორმაციას.

სტრაბონის ცნობის ასეთ გაგებასთან ერთად, დგება მისი წყა-
როს საკითხიც.

რომელი ავტორისაგან აიღო სტრაბონმა ცნობა (ძვ. წ. I ს.) მა-
დროს იბერიაში, კოლხეთის საზღვრებთან მდებარე გამაგრებული ად-
გილის იდეესას შესახებ, დანამდვილებით ძნელია თქმა, მაგრამ, ყვა-
ლა მონაცემის მიხედვით, ეს ავტორი იყო თეოფანე მიტილენელი,
ამიერკავკასიის ქვეყნებში პომპეუსის ლაშქრობების თანამონაწილ-
და მისი ძლევამოსილი ომების ისტორიის აღმწერი. როგორც ვარ-
უდობენ, სწორედ, თეოფანეს ცნობებით უნდა ესარგებლა სტრაბონ-
მეზობელი ქვეყნებიდან იბერიაში შემოსასვლელი და აქედან გასას-
ლელი გზების აღწერილობის დროს[156]. ამდენად, სავსებით შესაძლ-
ბელია, ცნობაც გამაგრებულ ადგილ იდეესას შესახებ სტრაბონს იმ-
ვე ავტორისაგან ესესხა.

თვით თეოფანეს ხელში ეს ინფორმაცია, უთუოდ, აღმოჩნ-
იბერიიდან მდ. ყვირილის ხეობით კოლხეთში, პომპეუსთან ერთ-

156 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 7. ეს შემოსასვლ-
გასასვლელები იბერიის იმდროინდელ პოლიტიკურ საზღვრებთან იყო განლაგებულ-

-ბის გადასვლის დროს, რადგან იდეესა (ძველი ფრიქსოპოლის-საირ-
ხე), სწორედ, ამ მნიშვნელოვან საგზაო მაგისტრალზე მდებარეობ-
და[157], ეს გზა ერთ-ერთ ყველაზე მოსახერხებელ, მთავარ საკომუნი-
კაციო საშუალებას წარმოადგენდა პომპეუსის ლაშქრობის ხანაშიც,
-ის გამო ქართლის სამეფოს ხელისუფალთა მიერ, როგორც ჩანს, იგი
-ამეფოდ იყო ციხესიმაგრეებით დაცული და გამაგრებული
(Strabo, XI, 3, 4). თეოფანეს მიერ იდეესას კარგად გამაგრებულ ად-
-ილად მოხსენიებაც, რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი. ამდენად,
-ფიქრობთ, პომპეუსის ლაშქრობების აღმწერ ისტორიკოსის ეს ცნო-
-ბა სავსებით სწორად უნდა ასახავდეს მდ. ყვირილის ამ მნიშვნელო-
-ვანი პუნქტის შორეულ წარსულს და შემდეგ, ძვ. წ. I-სათვის, აქ
-ქმნილ პოლიტიკურ ვითარებას: ოდესღაც კოლხეთის დიდი სატაძ-
-ro-საქალაქო ცენტრის დამცრობას და მის ადგილას კარგად გამაგ-
-რებულ, უკვე იბერიის ფარგლებში შემავალ პატარა საქალაქო ცენ-
-ტრთან სტრატეგიული დანიშნულების სიმაგრის გაჩენას.

სურათი, რომელიც გვეხატება სტრაბონის წყაროს გადმოცემის
-ანხილვის შუქზე, სავსებით სარწმუნო ჩანს საირხის მიმდებარე ტე-
-ტორიის არქეოლოგიური დაზვერვებით მიღებული შედეგების მი-
-ხედვით[158]. თუმცა აშკარაა ისიც, რომ სტრაბონს ეს ინფორმაცია
-ალზე მოკლედ და ლაკონიური ფორმით აქვს გადმოცემული, რის გა-
-ო, სავსებით შესაძლებელია, ამ პირველწყარომ სტრაბონის ხელში
-ირკვეული ცვლილება განიცადა.

დავუბრუნდეთ მთავარ საკვლევ საკითხს — სახელწოდება იდე-
-ესას, რომელიც ფრიქსოპოლისის მეორე, თითქოს სტრაბონის დროინ-
-ელ სახელს წარმოადგენდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სტრაბონის
-ტყვები — „ფრიქსოპოლისი — ეხლანდელი იდეესა“ — არ უნდა გუ-
-ისხმობდეს იმას, რომ ეს სახელწოდება ფრიქსოპოლისს, მაინცდა-
-ინც, სტრაბონის ხანაში შეერქვა.

რამდენადაც ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები მოწმობენ, სა-

157 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. საირხე... გვ. 150—152.

158 საირხის ექსპედიციას ყვირილის ხეობის გაყოლებით, მთის თხემებზე ამო-
-ული კირქვის მასივზე აგებული არაერთი ანტიკური ხანის ციხე აქვს შესწავლი-
-ლ. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს, ამ თვალსაზრისით, საბა-
-ის გორის მახლობლად მდებარე წყაროსთავის გორა, რომელიც ადრეელინის-
-ურ ხანაში გამაგრებული იყო მძლავრი საფორტიფიკაციო კედლებით. გ. მ ა ხ ა-
-ძ ე, საირხის ნაქალაქარის ისტორიის ძირითადი ეტაპები. (ელინისტური ხანა).
-ისერტაციო მაცნე. თბ., 1993, გვ. 13, 14.

ხელი იდეესა წარმოქმნილი უნდა იყოს გაცილებით უფრო ადრეულ
ხანაში, საირხის არქაული სახელის — საირხეს — ბერძნულად გააზრ
ბის შედეგად. სახელდობრ, ეს სახელწოდება შედგება სიტყვისაგან
„იდე“ — „Ἰδη“, რაც ნიშნავს ტყიან მთას, ტყეს და „ესა“ („εσσα“
რომელიც ბერძნულში თვისებრიობის მაწაროებელი ფორმასტ
მაგრამ ყველაზე მთავარი და არსებითი ამ ბერძნულად გააზრებ
სახელწოდებაში ის არის, რომ „Ἴδη“ აღნიშნავდა არა მარტო გან
ნებულად ტყიან მთას, ან ტყეს, არამედ, ამავე დროს, მცირე აზ
ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ტროას მახლობლად მდებარე მთის
სივს — იდეს, სადაც, ძველთაგანვე, თაყვანს სცემდნენ ნაყოფიერ
ქალღმერთს — ცხოველთა მფარველ დედაღვთაებას. იდეს ხსენ
ჯერ კიდევ ჰომეროსთან და ჰესიოდესთან ვხვდებით, როგორც ფ
გიის მახლობლად მდებარე მთის სახელწოდებას. ჰომეროსთან
ეპითეტებია „ქარიანი“, „ტყიანი“, და რაც მთავარია, ჰომეროსი
უწოდებს „ცხოველთა დედის“ მთასაც (πότνηρ θηρῶν)[159].

მაგრამ მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი და დაწვრილებითი ცნ
ბები მცირეაზიულ იდეზე სტრაბონს აქვს დაცული.

ძველ ბერძენ მწერალთა (დემეტრიოს სკეფსისელის, სტესიმ
როტე თაზოსელის და სხვათა) ცნობებზე დაყრდნობით, სტრაბონ
აგვიწერს ღმერთების დედისადმი მიძღვნილ იმ საკრალურ რიტ
ლებს, რომლებიც ტროასთან მდებარე იდეს მთაზე და ფრიგიაში
მართულ სადღესასწაულო ცერემონიალებზე სრულდებოდა. ა
ავტორის ცნობით, ფრიგიაში იდეს ღვთაების შესატყვისი ქალღმ
თი კიბელას სახელს ატარებდა, ხოლო კრეტაზე იგივე ღვთაება
სახელით იყო ცნობილი; თუმცა, სტრაბონის ჩვენებით, კრეტაზე
არ წარმოადგენდა ადგილობრივ ღვთაებას, ასეთი ადგილობრივი
სიათი ამ ქალღმერთის კულტს ჰქონია მხოლოდ ტროას იდესა
ფრიგიაში. რაც შეეხება რეას, მისი კულტის გაჩენა კრეტაზე, სტ
ბონის აზრით, შესაძლებელია გამოიწვია იმან, რომ იდე ეწოდებო
არა მხოლოდ ტროასთან, არამედ კრეტაზე მდებარე მთასაც (Strab
X, 2, 7, 19, 20).

სტრაბონმა შემოგვინახა, აგრეთვე, ფრიად საინტერესო გადმო
მები ღმერთების დედის იდე-კიბელასადმი მიძღვნილ რიტუალებ
ქურუმ-მეომართა, ე. წ. კორიბანტებისა და კაბირების მონაწილეობ

---

159. იხ. Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий. Р
С. И. Соболевский, т. I, М., 1958 с. 809.

შესახებ. კორიბანტებს, რომელთაც რეას მხლებელ და ზევსის მფარ-
ველ კურეტებთან აიგივებდნენ მათი ფუნქციის მიხედვით, მიიჩნევდ-
ნენ ქალღმერთის მსახურებაში მყოფ ღვთითშთაგონებულ აბჯროსან
მეომრებად. დედაღვთაებისადმი მიძღვნილ საკულტო რიტუალებში ეს
ფიზიკურად შეიარაღებული მეომრები ასრულებდნენ სამხედრო ცეკვას
(Strabo, X, 2, 19, 20). სტრაბონს დაცული აქვს ის მეტად საგულისხ-
მო გადმოცემაც, რომ ზოგიერთი ძველი ბერძენი ავტორი კორიბან-
ტებს კოლხურ სამყაროს უკავშირებდა და კოლხებისგან წარმომდგა-
რად სახავდა (X, 2, 19). აღწერილი რიტუალები, მისივე სიტყვით,
ახლო მსგავსებას ამჟღავნებდნენ სამოთრაკიაზე, ასევე ლემნოსზე და
მცირე აზიის სხვადასხვა ადგილებში შესრულებულ საღმრთო ცერე-
მონიალებთან (Strabo, X, 2).

მცირეაზიულ იდესთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურად-
ღებას იმსახურებს, აგრეთვე, ძველი ბერძენი ავტორების ჩვენებები
იმის შესახებ, რომ იდეს მთაზე მცხოვრებმა, ღმერთების დედის მსა-
ხურმა — დაქტილებმა — პირველად წამოიწყეს რკინის წარმოება (X,
2, 22). აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ავტორი კორიბანტებს,
სწორედ, ამ დაქტილების ჩამომავლობად მიიჩნევდა, ზოგი კი კოლხებს
უკავშირდება. სტრაბონის ნაშრომში შემონახულ ყველა ამ გადმო-
ცემას ტროას იდეზე „ღმერთების დედის“ თაყვანისცემის შესახებ
სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფრიქსოპოლის — სა-
ირხის მეორე სახელის — იდეესას — წარმომავლობის გარკვევისა და
მცირეაზიულ იდესთან ამ სახელწოდების ურთიერთმიმართების საკი-
თხის კვლევისათვის, რადგან საირხის ნაქალაქარზე, საბადურის გორა-
ზე არქეოლოგიური გათხრებით დამოწმებულია ნაყოფიერებისა და
სიცოცხლის მფარველი ღვთაების — „დიდი დედისადმი — “ მიძღვნი-
ლი საკრალური რიტუალები, რომელთა შესრულებაში, ღვთითშთაგო-
ნებულ ქალებთან ერთად, მონაწილეობდნენ „დიდი დედის“ მსახურ-
ნი, აბჯროსანი მეომრები. საბადურის გორაზე ნაპოვნია მათი აბჯრის
ფირფიტები, როგორც ქურუმ ქალთა და მათ თანმხლებ პირთა სამარ-
ხების ზემოდან გაკეთებულ ქვაყრილებში, ისე ამავე გორაზე გათხ-
რილ დიდ სარიტუალო ორმოში[160]. აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი
რიტუალები დადასტურებულია ვანის საკულტო ცენტრშიც, „ახვ-
ლედიანების“ გორის წვერზე, სადაც წარჩინებული მეომარი დაუკრ-

---

160 Ზ. ᲝᲜᲐᲫᲔ. სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, გვ. 49.

ძალავთ ნაყოფიერების ღვთაების რკინის ქანდაკებასთან ერთად, კულტმსახური ქალის გვერდით[161].

როგორც ჩანს, მცირე აზიასა და კოლხეთში ღვთაების მომსახურე ამ ქურუმ მეომართა მონაწილეობით შესრულებული მსგავსი რიტუალების არსებობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ კორიბანტებს, ერთი მხრივ, უკავშირებდნენ იდეს მთის თავდაპირველ მოსახლეობას, მეორე მხრივ კი, კოლხურ სამყაროს და კოლხებს. ამითვე უნდა ყოფილიყო განპირობებული იმ წერილობითი ტრადიციის წარმოქმნაც, რომ თითქოს რეა-კიბელა-იდეს ღვთაებათა მომსახურე ეს მეომრები (კურეტები, კორიბანტები, კაბირები) ერთმანეთის მონათესაეე ტომებისაგან იყვნენ წარმომდგარნი (Strabo, X, 2, 7).

მსგავსება იდეს მთასა და საირხის ნაქალაქარის ტერიტორიაზე (საბადურის გორაზე) მოსახლე საზოგადოებების წარმოდგენებსა და რიტუალებს შორის უფრო მნიშვნელოვნად მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ საირხე (და მისი მიმდებარე საბადურის გორა), ისევე როგორც ტროას იდე, ძველთაგანვე წარმოადგენდა რკინის წარმოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს. მეტალურგიული წარმოების კონცენტრაცია საირხეში დაწყებული ჩანს წინარეანტიკურ ხანაში, ხოლო განსაკუთრებულ აყვავებას იგი ძვ. წ. VI—V სს. აღწევს[162]. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამავე ხანას განეკუთვნება საბადურის გორაზე ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი დიდი საკრალური ცერემონიალების შესრულებაც. აღნიშნული გარემოება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ, როგორც მცირე აზიის იდეზე, ისე საირხეში, სიცოცხლის მფარველი „დიდი დედის“ თაყვანისცემა, ასევე ტყის, ხის კულტი და რკინის წარმოება-დამუშავება მჭიდროდ ერწყმოდა ერთმანეთს.

ამრიგად, მთელი ზემოთ მოტანილი მასალის განხილვის შუქზე, ტროას იდესა და საირხის იდეესას ურთიერთმიმართების საკითხების კვლევამ შემდეგ დასკვნებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

უპირველეს ყოვლისა, უფრო დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ უკვე ადრეანტიკური ხანის დასაწყისში, ბერძნებს რეალური წარმოდგენა ჰქონდათ კოლხეთის შიდა რეგიონების საზოგადოების სულიერ სამყაროსა და ცხოვრების წესის შესახებ, სახელდობრ,

161 იქვე.

162 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. საირხე..., გვ. 18, 19.

ამ ხანაში ბერძნები საკმაოდ კარგად იცნობდნენ კოლხეთის ერთ-ერთი, ყველაზე უკიდურესი აღმოსავლეთი მხარის (ყვირილის ხეობის) საკულტო ცენტრის — საირხის — მოსახლეობის კულტებს და საწესო რიტუალებს, რომლებიც, გარკვეული თვალსაზრისით, მსგავსებას ამჟღავნებდნენ მცირე აზიის მთის — იდეს — მცხოვრებთა რელიგიურ რწმენებთან. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ რეალური მსგავსების საფუძველზე შეიძლებოდა საირხედ წოდებული საბადურის გორა და მასზე არსებული სამლოცველო, სადაც ერთმანეთს ერწყმოდა ტყის, სიცოცხლის ხის, ნაყოფიერების მფარველი „დიდი დედის“ კულტი და რკინის ჭედვა, ბერძნებს აღექვათ, როგორც მცირეაზიული სალოცავი ადგილი — მთა იდე, რომელიც ძველთაგანვე განთქმული იყო ცხოველთა მფარველი ღვთაების თაყვანისცემითა და რკინის წარმოებით. ადგილ საირხის ასეთ გააზრებას და მისთვის სახელწოდება „იდეესა“-ს შერქმევას, ჩანს, ისიც განაპირობებდა, რომ მცირეაზიური იდე წარმოადგენდა არა მხოლოდ ღმერთების დედის სალოცავ, მისი სახელობის ადგილს, არამედ აღნიშნავდა ტყიან მთასაც. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, საირხის ამ გაბერძნულებულ სახელწოდებაში — „იდეესა“ — იგულისხმებოდა მთა იდეს სალოცავი, მისი შესადარი ადგილი[163].

გარდა ამისა, ზემოთქმული ნათელყოფს, რომ სახელწოდება იდეესა საირხეს უნდა შერქმეოდა ადრიდანვე, სახელდობრ, არაუგვიანეს ადრეანტიკური ხანისა, როდესაც საბადურის გორაზე არსებობდა ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი, ფრიქსეს მიერ დაარსებულად ცნობილი სატაძრო ცენტრი, რადგან ამის მომდევნო ეპოქაში საირხის საკულტო ცენტრი კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას, მასთან ერთად ქრება ი: რიტუალებიც, რომლებსაც იქ არსებული ტაძრის მომსახურე პერსონალი ასრულებდა. სტრაბონის ზემოთ განხილული ცნობიდან ჩანს,

163 ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ თრაკიასა და ფრიგიაში დედაღვთაება, მეტწილ შემთხვევაში, უკავშირდება მთას, გორას, კლდეს, რომელიც ამ ღვთაების ადგილსამყოფელად იყო მიჩნეული. კლდე, გორა აქ ღვთაების სალოცავ ადგილს წარმოადგენდა.

ღვთაებისათვის მისი სალოცავი ადგილის — მთის, გორის — მიხედვით შერქმეული საკულტო ეპითეტი, გადატანილი უცხო ეთნიკურ გარემოში, აღიქმებოდა როგორც ამ ღვთაების სახელი. ნომინაციის ეს პრინციპი პარალელებს მცირე აზიის ძველ საზოგადოებებში პოვებს (იხ. М. В а с и л е в а. Гора Бог и имя: О некоторых фрако-фригийских параллелях.—ВДИ. 1990, №3, с. 95—100).

რომ მის დრომდე მოუღწევია როგორც სახელწოდებას „იდეესა“, ისე „ფრიქსოპოლისს“; მაგრამ ფრიქსოპოლისი, რომელიც ლეგენდარული პერსონაჟის, ფრიქსეს სახელს უკავშირდებოდა, ბუნებრივია, უფრო შორეულ წარსულში წარმოქმნილ სახელწოდებად იქნა გააზრებული.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად საირხის არქაული სახელი სარიხე შემორჩენილი უნდა იყოს ახ. წ. II ს-ის გეოგრაფის კლავდიოს პტოლემაიოსის ნაშრომში დამოწმებულ სახელწოდებაში „სარაკე“[164]. პტოლემაიოსი სარაკეს ასახელებს კოლხეთის ქალაქებს შორის[165]. სარაკეს დაკავშირება საირხესთან ჩვენ სავსებით მისაღებად გვეჩვენება. ამასთან, ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრება სრულიად არ ეწინააღმდეგება საირხის გაიგივებას სტრაბონისეულ ფრიქსოპოლის-იდეესასთან, რადგან პტოლემაიოსთან დაცული სახელწოდება სარაკე მხოლოდ და მხოლოდ სარიხეს ბერძნული ტრანსკრიფციით გადმოცემის ცდას შეიძლება წარმოადგენდეს, ფრიქსოპოლის-იდეესა კი ბერძენთა მიერ ადგილობრივი სარიხეს თავისებური შინაარსობრივი გააზრების შედეგად არის მიღებული.

---

164 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975, გვ. 145.

165 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ. — მასალები საქართ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 45.

თ ა ვ ი III

ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი

1. სოციალურ-პოლიტიკური ვითარება

წინა თავში — „ძველი კოლხეთის სატაძრო და პოლიტიკური ცენტრები“[1] — ჩვენ განვიხილეთ ვანისა და საირხის ნაქალაქარებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები (ძვ. წ. VIII—VII სს-ის საკულტო კერები, ძვ. წ. VI—V სს-ის ამავე დანიშნულების ნაგებობანი, ძვ. წ. V—IV სს-ის მდიდრული სამარხები), რომელთა მნიშვნელობა დიდია ადრეანტიკური ხანის კოლხეთის ისტორიის ისეთი საკვანძო პრობლემების გასარკვევად, როგორიცაა საზოგადოების მმართველი ზედაფენის ბუნება, მისი ხელისუფლების ხასიათი, საკულტო-საქალაქო ცენტრების გენეზისი და სხვა[2].

ვანსა და საირხეში გამოვლენილი მომდევნო ხანის არქეოლოგიური ძეგლები, სახელდობრ, ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედისა და ელინისტური ხანის (ძვ. წ. IV—III სს-ის) წარჩინებულთა მდიდრული სამარხები, ამავე ხანის საკულტო და საფორტიფიკაციო დანიშნულების ნაგებობანი და სხვა მასალა, შესაძლებელს ხდიან თვალი გავადევნოთ ვანისა და საირხის საკულტო-ურბანისტული ცენტრებისა და აქ მსხდომი მმართველი ზედაფენის შემდგომი ევოლუციის პროცესს ადრეანტიკური ხანის დასასრულსა და ელინიზმის ეპოქაში (ეს არის კოლხეთის ოდესღაც ძლიერი სამეფოს დასუსტების ხანა). თავდაპირველად განვიხილავთ ვანში, ახვლედიანების გორის ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილი წარჩინებული მეომრის სამარხს, რომელიც ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით თარიღდება. ეს სამარხი წინარეანტი-

---

1 იხ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1986, № 4.

2 იქვე.

კური ხანის საკულტო კერასთან ახლოს ყოფილა გამართული. მას გარდა მდიდრული და მრავალფეროვანი საომარი იარაღ-აღჭურვილობისა, აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის ფარაკებიანი საბეჭდავები, რა ნის ბეჭდები, ფილიპე მაკედონელის (ძვ. წ. 359—333 წწ.) ოქრო სტატერი, იმპორტული და ადგილობრივი ჭურჭელი, ოქროსა და ვერ ცხლის სამკაული. მთავარი მიცვალებულის ფერხთით ესვენა კიდ ორი ჩონჩხი (მამაკაცის და ქალის). საფიქრებელია, ისინი მონა მხევალი იყვნენ[3].

წარჩინებული მეომრის სოციალური ფუნქციების გასარკვევ უპირველესი მნიშვნელობა აქვს ოქროს საბეჭდავ-ბეჭედს, რომლ ფარაკზე საგანგებოდაა ამოკვეთილი მისი მფლობელის სახელი დედატოსი (ΔΕΔΑΤΟΣ)[4]. როგორც დადგენილია, ეს საბეჭდავ წარმოადგენდა ინსიგნიას, დედატოსის ძალაუფლების ნიშანს, უფლ ბრივ საბეჭდავ-ბეჭედს, განკუთვნილს ოფიციალური დოკუმენტებ დასაბეჭდად[5]. აქედან ჩანს, რომ დედატოსი სარგებლობდა დიდი უფ ლებებით და სამხედრო ფუნქციების შესრულებასთან ერთად, განგ გებდა სხვა საქმეებსაც: სამართალს, საგარეო ურთიერთობას. ზემო თქმულთან დაკავშირებით ფრიად საგულისხმოა შემდეგი გარემოება: მფლობელის სახელწოდების გარდა დედატოსის საბეჭდავის ფარაკ ზე გამოსახულია კვართითა და ჰიმატიონით შემოსილი ქალი. იგი ტ

---

3 ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა. ჭ ყ ო ნ ი ა, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, — ვანი. I. თბ., 1972, გვ. 202, 203.

4 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედატოსის სამარხში აღმოჩენილი საბეჭდავ ბეჭდები (ისევე როგორც ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული მთელი გლიპტიკური მასალა), სპეციალურად გამოიკვლია მარგარიტა ლორთქიფანიძემ, რის შედეგ მთელი ეს მასალა იქცა საიმედო წყაროდ ზემოთ წამოჭრილი საკითხების შესასწავ ლად (იხ. მ ა რ გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. არქაული და „არქაიზირებული“ საბეჭ დავი-ბეჭდები ვანიდან. — ვანი, II, თბ., 1976, გვ. 136 და შემდ.).

5 მ ა რ გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 143, დადგენილია ისიც, რომ ეს საბეჭდავი დამზადებული იყო მისი მფლობელის შეკვეთით, ადგილობრივ სახელოსნოში ძვ. წ. IV ს-ის პირველ ნახევარში (იქვე, გვ. 142, 145). რაკი დედატ სის გარდაცვალება ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით განისაზღვრება, გამოდის, რომ ამ ინსიგნიით იგი სიცოცხლეში (ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევარი) სარგებლობ და, ე. ი. თავისი ფუნქციების შესრულებას იგი საკმაოდ ადრე შესდგ მია. ამასვე მოწმობს ოქროს მეორე საბეჭდავი-ბეჭედიც, რომელიც ამავე ხანაში დამზადებული (ძვ. წ. IV ს-ის I ნახევარში).

ტზე (თრონოსზე) ზის. მარჯვენა ხელში ფიალა უჭირავს, მარცხენა ხელში — გრძელი ტოტი. თავზე ბადურა თავსამკაული აქვს დამაგ-რებული. ქალის ზურგს უკან აღმართულია ისეთივე ჯიშის მცენარე, როგორიც მას ხელში უჭირავს. მარგ. ლორთქიფანიძის ვარაუდით, მთელი რიგი ნიშნების მიხედვით, საბეჭდავის ფარაკზე გამოსახული ქალი მცენარეულ სამყაროსთან დაკავშირებული ღვთაებაა. იგი ნაყოფიერების ქალღმერთი უნდა იყოს[6], მაგრამ, ამასთან, მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ინტალიოს მჭრელი არ ალა-ბეს: მის მიერ ფარაკზე გამოსახული ქალღვთაების „სახეს“ (ბერძნული წარმოშობის საბეჭდავების შემქმნელ ოსტატთაგან განსხვავებით), არამედ, პირიქით, ხაზს უსვამს და ნატურალისტურად ასახავს ყველა მის ინდივიდუალურ თავისებურებას. ნიშანდობლივია ისიც, რომ ის უზუსტობანი, რომლებიც ოსტატს „დაშვებული“ აქვს სახის ნაკვთების გადმოცემისას (მარგ. ლორთქიფანიძის დაკვირვებით), უნდა აიხსნას არა მისი ხელუმარჯვობით, არამედ მისწრაფებით — ინტალიოზე მის მიერ წარმოდგენილი სახე გააცოცხლოს[7]. აქედან კეთდება დასკვნა, რომ ოსტატს მიზნად დაუსახავს ღვთაებისათვის მიეცა გარეგნული იერი („სახე“) რეალურად არსებული დიდგვაროვანი ქალისა, საფიქრებელია ქურუმისა, რომელიც ღმერთქალთან იყო გატოლებული. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ დედატოსის საბეჭდავზე გამოსახულ ღვთაება-ქურუმს ისეთივე თავსამკაული ამშვენებს, როგორიც ჩვენ მიერ უზენაეს კულტმსახურად მიჩნეულ წარჩინებულ ქალს აქვს ჩაყოლებული სამარხში (ძვ. წ. V ს-ის შუახანებში)[8].

რაკი დედატოსის საბეჭდავი ოფიციალური დაკვეთით, ადგილობრივ იყო დამზადებული, „ვანის ქვეყნის“ საზოგადოების მმართველი წრის წარმომადგენლისათვის მის ინსიგნიაზე ქალაქის მფარველი უზენაესი ღვთაების — ნაყოფიერების ქალღმერთის — გამოხატვა რეალურად არსებული ქურუმი ქალის სახით, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას მხოლოდ დედატოსის ხელისუფლების მჭიდრო კავშირით ნაყოფიერების ღვთაების კულტმსახურებასთან და მის უზენაეს ქურუმებთან. ეს გვაფიქრებინებს, რომ დედატოსი ეკუთვნოდა ვანის საზოგადოების იმავე წრეს,

---

6 მ ა რ გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

7 მ ა რ გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 138, 139, 144, 147.

8 იხ. შ. ი ნ ა ძ ე. ძველი კოლხეთის სატაძრო ცენტრები. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1986., № 4.

უთუოდ, იმავე გვარს, რომლის წარმომადგენელიც იყო მის ინსიგნიაზე გამოსახული ქურუმი ქალი. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ იმავე ცენტრალურ ტერასზე, რომელზედაც დედატოსის სამარხია გამართული (მის დაკრძალვამდე დაახლოებით ერთ საუკუნეზე მეტი ხნით ადრე — ძვ. წ. V ს-ის შუახანებში), როგორც ადრეც შევნიშნეთ, დაუკრძალავთ ჩვენ მიერ ქურუმად მიჩნეული წარჩინებული კოლხი ქალი მსხვერპლად შეწირულ კულტმსახურ ქალებთან ერთად. ეს ფაქტი მით უფრო ანგარიშგასაწევია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ვანის ადრეანტიკური ხანის მდიდრული სამარხები მიჩნეულია ადგილობრივ დიდგვაროვანთა საოჯახო სამარხებად, რომლებიც მათსავე სამოსახლოსთან იყო გამართული[9]. ძვ. წ. IV ს. ცენტრალურ ტერასაზე (დედატოსის სამარხის მახლობლად), როგორც ჩანს, დაუკრძალავთ ქურუმთა ამ გვარის სხვა წარმომადგენლებიც, მაგრამ ამჟამად მათი სამარხებიდან თითო-ოროლა ნივთია შემორჩენილი. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მიწაყრილში აღმოჩნდა, წარმოადგენს ბრინჯაოს უფლებრივ საბეჭდავს — ინტალიო ბეჭედს. იგი ძვ. წ. IV ს-ის ადგილობრივ ნაკეთები ნივთია. ინტალიოზე ამოჭრილია ორი არწივი, ხოლო მათ შორის, ცენტრში, გამოხატულია სიცოცხლის ხე (ფიჭვი). გამოსახულებათა შინაარსის მიხედვით, მარგ. ლორთქიფანიძე დასაშვებად თვლის საბეჭდავი მამაკაცი კულტმსახურის კუთვნილებად მიიჩნიოს[10].

დედატოსის ხელისუფლების ხასიათის დადგენის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოებაც: დიდი რაოდენობით საომარ იარაღ-აღჭურვილობასთან ერთად, ამ წარჩინებული მეომრისათვის სამარხში მუზარადის მაგიერ ჩაუტანებიათ თავისებური თავსამკაული, რომელიც არ შეიძლება საომარ აღჭურვილობას მივაკუთვნოთ. ეს თავსამკაული, რომელიც შედგენილია ცხენოსნისა და ფრინველისფიგურებიანი საკიდების, მძივებისა და მილაკებისაგან და ერთდროულად შეიცავს როგორც ნაყოფიერების ღვთაების (დიდი დედის), ისე სოლარული კულტის ემბლემებს[11], საკულტო დანიშნულების ნივთია და

---

9 ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ვანის ნაქალაქარი (წერილი მეორე). ვანი III. თბ. ,1977, გვ. 18.

10 მ ა რ გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 162—164, შენ. 233.

11 წარჩინებული მეომრის თავსამკაულის გამოსახულებები ძველი კოლხების რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება. ცხენის, მეომარი მხედრისა და ჩიტების კომბინაცია გვიანბრინჯაოს ხანიდან ხშირად გვხვდება ქართველ ტომთა მცირე ხელოვნების ძეგლებზე (ი. გ ა გ ო შ ი ძ ე. ადრეანტიკური ხანის ძეგლები

[illegible]ელ კიდევ მიგვანიშნებს მისი მფლობელის ძალაუფლების თეოკრატიულ ხასიათზე.

დედატოსის სასულიერო ფუნქციების გასარკვევად განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, აგრეთვე, მისი მეორე უფლებრივი ოქროს საბეჭდავი-ბეჭედი, რომლის ფარაკზე, მარცხენა პროფილით, გამოსახულია მხედარი; მას მარჯვენა ხელში შუბი მოუმარჯვებია სატყორცნად. მხედარს კონუსური მოყვანილობის თავსაბურავი ახურავს. იგი ზ[illegible]ან ცხენზე ზის. ცხენს კისერზე შებმული აქვს ნიღაბი, რომელიც [illegible]ერთი იერით მსგავსებას პოულობს სილენის (სატირის) ნიღაბთან[12]. [illegible] გამოსახულების სემანტიკის ასახსნელად, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს ვერცხლის საბეჭდავ-ბეჭედს (№ 8) ქართლის მთისძირა ხოლში, მდინარე ქსნის ხეობის სოფ. ყანჩაეთის მახლობლად აღმოჩენილი მდიდრული სამარხიდან (ძვ. წ. V—IV სს.). ამ საბეჭდავის ფარაკზე, ისევე როგორც დედატოსის ბეჭედზე, მარცხენა პროფილით, გამოსახულია ფანტასტიკურ რქიან ცხენზე მჯდომარე შუბოსანი მხედარი, რომლის უკან რვასხივიანი ვარსკვლავია მოთავსებული[13].

სპეციალურ ლიტერატურაში შეირაღებული მხედრების გამოსახულებანი გააზრებულია როგორც მეომარი ღვთაებები, რომელთა საბოლოო ფორმირება ქართველ მიწათმოქმედ ტომებში ადრეკლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ხანიდან ივარაუდება. როგორც შენიშნულია, ამ დროს მეომარი ღვთაების კულტის განვითარებისათვის მეტად ნოყიერი ნიადაგი არსებობს[14]. მაგრამ ზემოთ განხილულ ღვთაებათა გამოსახულების სიმბოლიკის ბოლომდე ამოსაცნობად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმავე

ქსნის ხეობიდან. თბ., 1964, გვ. 34; ა. ჭ ყ ო ნ ი ა. ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. — ვანი VI. თბ., 1981, გვ. 37—38).

12 მარგ. ლორთქიფანიძის აზრით, მხედრის გამოსახულებაში შეიძლება დავინახოთ რომელიღაც უცნობი ღვთაება, რომელსაც დიონისეს წრესთან აქვს პირდაპირი კავშირი (დასახ. ნაშრომი, გვ. 149, 151). მკვლევარი საბეჭდავს ადგილობრივ ნახელავად მიიჩნევს და მას ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს (იქვე, გვ. 154, 155).

13 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 25, 26. სიუჟეტურად და სტილისტურადაც სავსებით ერთნაირი გამოსახულებაა ამოჭრილი ალგეთის წინწყაროს მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ერთ-ერთი საბეჭდავის ფარაკზედაც (ი. გ ა გ ო შ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 30).

14 ი. კ ი კ ვ ი ძ ე. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976, გვ. 225, 226.

ყანჩაეთის სამარხიდან მომდინარე სხვა მასალას, სახელდობრ, ბრინ[illegible]ოს შტანდარტს (№ 10), შედგენილს ანთროპომორფული და ზოომორ[illegible]ფული ფიგურებისაგან. ასეთი შტანდარტები მრავლადაა აღმოჩენ[illegible]ლი ქართლის ადრეანტიკურ ძეგლებზე (ახალგორი, ყაზბეგი) და ჩვე[illegible]თვის იმით არის საყურადღებო, რომ ისინი სარიტუალო დროშის [illegible] კვერთხის ნაწილებს წარმოადგენენ[15]. ყანჩაეთის სამარხში აღმოჩ[illegible]ნილ შტანდარტებზე მოთავსებულ გამოსახულებათა შორის განს[illegible]კუთრებით საინტერესოა მხედრების ფიგურები, რომლებიც ვერძ[illegible]რქებზეა აღმართული[16]. მთელი ამ მასალის საფუძველზე მკვლევარ[illegible] დაასკვნიან, რომ შტანდარტის სიმბოლიკა შეიცავს როგორც მეომარ[illegible] ისე ნაყოფიერების ღვთაების ემბლემებს. ეს მებრძოლი ღვთაებებ[illegible] დაკავშირებულნი არიან ნაყოფიერების კულტთან[17]. ამდენად, ასეთ[illegible] შტანდარტის მოთავსება წარჩინებული მეომრის სამარხში (ყანჩაეთ[illegible] იმის ნიშნად არის მიჩნეული, რომ აღებული ხანის ქართლის საზოგ[illegible]დოების ზედაფენის წარმომადგენელთა (ხევისუფალთა, ხევისთავთ[illegible] მიერ უკვე უზურპირებულია საერო და სასულიერო ხელისუფლება[illegible], ხოლო ის პუნქტები, რომლებშიც შტანდარტის შემცველი ძეგლებ[illegible] დადასტურებული, ხევის საკულტო ცენტრებია, რომლებიც დ[illegible] როლს ასრულებენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში[19]. ეს მოსაზრებ[illegible] დადასტურებას პოვებს ქართლის სხვა არქეოლოგიურ ძეგლებშიც (ს[illegible]მადლო, ციხეაგორა), რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ ქართლ[illegible]

---

15 ი. კიკვიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 225; ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრ., [illegible] 45—47. ეს შტანდარტები ძალიან წაგავს საქართველოს მთებში გადმონაშთების [illegible]ხით შემონახულ დროშებს.

16 ი. გაგოშიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 44. ყანჩაური შტანდარტის ზუსტი ა[illegible]ლოგი, მთლიანად და დეტალებშიც, ახალგორის განძის ბრინჯაოს შტანდარტია (იქვ[illegible] გვ. 45).

17 ი. გაგოშიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 45, 46, 47; ი. კიკვიძე. დასახ. ნაშრ., [illegible] გვ. 225, 226. ერთდროულად ნაყოფიერების, გამრავლებისა („მზის მომფენელ[illegible] ქუეყნისა ნაშობთა გამომზრელი") და მეომრული ფუნქციების მატარებელია, ძველ[illegible] ქართული წყაროების მიხედვით, ქართლის სამეფოს უზენაესი ღვთაება — არმაზი[illegible] რომლის კულტი მცირეაზიური ხეთურ-ხურიტული რელიგიური ტრადიციების [illegible] ფუძეზე უნდა შექმნილიყო (И. Сургуладзе, Армази. Мифы народов мира. I. 1980; გრ. გიორგაძე. ხეთურ-არმაზული „ტრიადები".— „მნათობი", 1985, გვ. 154—157).

18 ი. გაგოშიძე. დასახ. ნაშრომი., გვ. 79.

19 ი. კიკვიძე. დასახ. ნაშრომი. ,გვ. 225, 226.

[illegible]ების" წინა- თუ ადრესახელმწიფოებრივი ტიპის ტერიტორიულ-[illegible]ეკონომიკური წარმონაქმნების დიდ რელიგიურ და პოლიტიკურ ცენტ-[illegible]ებს, ამავე დროს, თეოკრატიული მმართველი ზედაფენების ადგილ-[illegible]ადგილსამყოფელს[20].

[illegible]ის გარემოება, რომ ქართლის უძველეს გაბატონებულ სოციალ-[illegible]ურ ფენას შეადგენდნენ ქურუმები, კულტმსახურნი, რომელთა არ-[illegible]ებობა ქვეყნის პოლიტიკურ მმართველობას და სამეფო ხელისუფ-[illegible]ებას თეოკრატიულ ელფერს აძლევდა, ნათლად ჩანს სტრაბონის ცნო-[illegible]ებიდან იბერიის საზოგადოების სტრუქტურული აღნაგობის შესა-[illegible][21], სახელდობრ, იბერიის სამეფოს შექმნის წინა ხანაში და მისი [illegible]ებობის ადრეულ ეტაპზე ქართლის „ხევების" მმართველი ზედა-[illegible]ენის თეოკრატიული ხასიათი მკვეთრად გამოსჭვივის იმ ნიშანდობ-[illegible]ივი ფაქტიდან, რომ, სტრაბონის ცნობით[22], იბერიაში ქურუმები

[illegible] Ю. М. Гагошидзе. Картли (Иберия) в V—I веках до. н. э. Дис-[illegible]ерт. на соискание уч. степ. докт. ист. наук в форме научного доклада, Тб., [illegible], гв. 15; გ. ცქიტიშვილი. კასპის რაიონის ექსპედიციის მუშაობის შედეგ-[illegible]ი. მოხსენება წაკითხული 1986 წლის საველე-არქ. კვლევა-ძიების შედეგებისადმი [illegible]ძღვნილ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო სესიაზე, თბ., 1987, 16—[illegible] აპრილი.

[illegible] Strabo, XI, 3, 1-6; სწორედ სტრაბონის ამ ცნობებს ემყარება ს. ჯანაშიას [illegible] გ. მელიქიშვილის დებულებები ძველი ქართლის საზოგადოებრივი წყობის, თეო-[illegible]ატიული ხასიათის შესახებ (ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდ. ფეოდალიზაციის [illegible]ზე. — შრომები. ტ. I. თბ., 1949, გვ. 157, 170—172; გ. მელიქიშვილი, [illegible]ადრეკლასობრივ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება ელინისტუ-[illegible] ხანის ქართლის სამეფოში. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I. გვ. 493—[illegible]97); სტრაბონის ცნობებიდან გამომდინარე, ს. ჯანაშია ანალოგიურ ვითარებას კა-[illegible]ოდობდა კოლხეთშიც, კლასობრივი საზოგადოების დასაწყისში (ს. ჯანაშია. [illegible]ასახ. ნაშრომი, გვ. 172).

[illegible] ვ. ვაშაკიძე, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა სტრაბონის ცნობები (XI, [illegible] 6) იბერიის საზოგადოების სტრუქტურის შესახებ, სავსებით მართებულად აღ-[illegible]ნიშნავს, რომ ბერძენი გეოგრაფის ეს ცნობები უნდა ასახავდეს ძვ. წ. III—II ს[illegible]ის ქართლის ვითარებას, მაგრამ მთელი რიგი მომენტები მაინც თითქოს იმაზე [illegible]ნდა მიუთითებდეს, რომ ამ ცნობაში შემონახულ ზოგიერთ დეტალში აირეკლა [illegible]ართლის სამეფოს შექმნის წინარე ხანის სურათი საზოგადოების პოლიტიკურ და [illegible]ოციალურ განვითარებაში (იხ. В. В. Вашакидзе. Источниковедческие проб-[illegible]мы изучения социальной структуры Восточной Грузии в IV—III—I вв. до [illegible]. Автореферат диссерт. на соиск. ученой ст. канд. ист. наук. Тб., 1983. [illegible] 16).

ზრუნავენ მეზობლებთან სამართალზე, ე. ი. მეზობელ ქვეყნებთან ომარ და სხვა სადავო საქმეებსაც ქურუმები აწესრიგებენ[23].

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართლის საზოგ-დოების ზედაფენის წარმომადგენელთა სამარხებში აღმოჩენილ საბეჭ-დავ-ბეჭდებზე და შტანდარტებზე გამოსახული მებრძოლი ღვთაებ-ანალოგიური შინაარსი ჩაქსოვილი უნდა იყოს დედატოსის საბეჭდ-ვის გამოსახულებაშიც. სახელდობრ, სატირის ნიღაბმიბმულ, რქ-ცხენზე მჯდომარე, შუბმომარჯვებული მებრძოლი მხედრის გამოსახ-ლება უნდა ავრთიანებდეს აგრეთვე მეომარი და ნაყოფიერების ღვთ-ებათა ემბლემებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნაყოფიერების ნ-შანი ამ საბეჭდავზე სატირის ნიღბის სახით არის წარმოდგენილი (სა-ტირები — ტყის ღვთაებები — ბერძნულ სამყაროში ნაყოფიერებ-დემონებად იყვნენ აღიარებული[24]). ამრიგად, დედატოსის ოქროს ს-ბეჭდავი (რომელზედაც რქიან ცხენზე მჯდომარე მხედარია გამოსახ-ლი), ისევე როგორც ზემოთ განხილული საკულტო იერის მქონე მ-სხვა ნივთები და მისი დაკრძალვა უძველეს საკულტო კერასთან ა-ლოს წოწმობს, რომ მათი მფლობელი — ვანის ზედაფენის ეს წარ-მომადგენელი — ისეთივე თეოკრატიული ხელისუფლების მატარებ-ლია, როგორც ქართლის დიდ სატაძრო ცენტრებში მსხდომი წინ-ელინისტური ხანის წარჩინებულნი.

ვანის ძველი ქალაქის მმართველი ზედაფენის ხელში საერო ე-სასულიერო ფუნქციების თავმოყრის საკითხის განხილვისას საჭირ-გაივლოს პარალელი დედატოსსა და იმ წარჩინებულ მეომარს შორის, რომლის სამარხი გაითხარა ჯერ კიდევ 1947 წელს ახვლედიანებ-გორის ზედა ტერასაზე, რკინისაგან გამოჭედილი მამაკაცის ქანდაკ-

23 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I. გ. მელიქიშვილის რედაქციით, გ-494; იხ., აგრეთვე В.В.Вашакидзе. დასახ. ნაშრ., გვ. 18, 19. ჩვენი ვარაუდ-სტრაბონთან მოხსენიებულ საქვეყნო საქმეთა გამრიგე ქურუმთა ფენას ეკუთვნოდ-ქართლის მთისძირა ზოლში გამოვლენილი ძვ. წ. IV ს-ის სამარხებში დაკრძალულ-წარჩინებულნიც, რომელთა ინვენტარში, საომარი იარაღის გვერდით, გვხვდება კულ-მსახურის ინსიგნიები (დროშა-შტანდარტები, უფლებრივი საბეჭდავები და სხვ.).

24 მ ა რ გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 149, 151. საგულისხმ-გვეჩვენება შემდეგი ფაქტიც: ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლო დედატოსის-ბეჭდავზე ელინიზირებული ფორმით არის წარმოდგენილი, რაც იმის მაუწყებელ-უნდა იყოს, რომ კოლხეთის ადგილობრივ წარჩინებულთათვის ძვ. წ. IV ს-ის პი-ველ ნახევარში წმინდა ელინური რელიგიურ-მითოლოგიური სახეები გასაგები-ახლობელი იყო.

ის გვერდით (მის დასავლეთით, დაახლოებით 1 მეტრის დაშორებით). ქანდაკების სამარხის მეორე მხარეს დაკრძალული ყოფილა წარჩინებული ქალი (მთელი ეს კომპლექსი ძვ. წ. III ს-ით თარიღდება)[25]. მეომრის სამარხში აღმოჩნდა რკინის იარაღი (ექვსი შუბისპირი და სხვ.), ხოლო მის თავზე დიდი რაოდენობით იყო მიმობნეული ბრინ-ჯაოს ფირფიტები, რომლებიც „შედგენილ“ ჯავშანს („ბეგთარს“) გა-ნეკუთვნებოდნენ[26]. ასეთ საომარ აღჭურვილობას, ჩვეულებრივ, წარ-ჩინებული მეომრები — მხედრები — ატარებდნენ. მამაკაცის და ქა-ლის დაკრძალვის თავისებური ხასიათი (რკინის ითიფალური ფიგუ-რის გვერდით), ქალისთვის სამარხში ლითონის რიტუალური დანიშ-ნულების ჭურჭლის (ვერცხლის ფიალებისა) და სხვა ნივთების ჩა-ყოლება, ნ. ხოშტარიას აფიქრებინებდა დაკრძალვის საკულტო ხასი-ათს. მისი აზრით, ორივე მიცვალებული (ქალი და კაცი), შესაძლოა, კულტის მსახურნი იყვნენ[27]. ამავე დროს, ეჭვი არ არის, რომ ეს კულტმსახური მამაკაცი მაღალი რანგის მეომარიც იყო. ამრიგად, ძნელია არ დავინახოთ მემკვიდრეობითობა ამ წარჩინებულ მეომარსა და დედატოსს შორის მათი ფუნქციების თვალსაზრისით (თუმც თა-ვისი სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობით დედატოსი, უთუ-ოდ, უფრო მაღლა იდგა ამ წარჩინებულ მეომარზე).

ახვლედიანების გორის ზედა ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე 1980 წელს გაითხარა კიდევ ერთი სამარხი ძვ. წ. III ს-ის დასაწყ-სისა. იგი გაძარცულია და ძლიერ დაზიანებული ძვ. წ. II—I სს. ჩ-ტარებული სამშენებლო მუშაობის დროს. სამარხში ჩასვენებული ყო-ფილა ორი მიცვალებული (თუ მეტი არა). ინვენტარის ხასიათი (იარა-ღი — ბრინჯაოს ისრის პირები, რკინის შუბის პირები, რკინის ჯავშნის ფრაგმენტები და სხვ.), ასევე ცხენის მდიდრული აკაზმულობისათვის განკუთვნილი მოსართავი მოწმობს, რომ სამარხი წარჩინებულ მეო-მარს (თუ მეომრებს) ეკუთვნოდა (აქვეა აღმოჩენილი ოქროსა და ვერ-ცხლის სამკაული, გრავირებულ გამოსახულებიანი საბეჭდავი-ბეჭდები, 86 ცალი კოლხური მონეტა და სხვ.). ზემოაღწერილი სამარხი იმით იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ მასთან ახლოს, კლდოვან გრუნტში ამოკვეთილ ორმოში დაუკრძალავთ ტილოს ქსოვილში გა-

25 ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა. ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. — ვანი. I. გვ. 89.

26 იქვე.

27 ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

ხვეული, ოქროს სამკაულით დამშვენებული ბრინჯაოს ორი ქანდაკება: მამაკაცის და ქალის[28]. ისინი ჩასვენებულნი იყვნენ ორმოში პირდამხობილნი, მლოცველის პოზაში. ჩვენი აზრით, ეჭვი არ არის, რომ ეს ორი ფიგურა, ისევე როგორც ადრე აღმოჩენილი ზემოგანხილული რკინის ქანდაკება ნაყოფიერების ღვთაებებს განასახიერებენ. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, ქურუმი ქალის გვერდით დაკრძალული მამაკაცის რკინის ითიფალური ქანდაკება დიონისეს, ატის-ადონის-ოზირისის ტიპის ნაყოფიერების ღვთაებათა წრეს განეკუთვნება[29]. აღნიშნულია ისიც, რომ, ელინისტური მითოლოგიის თანახმად, ეს დაკრძალული მამაკაცი-ღვთაება ნაყოფიერების, მიწათმოქმედების ქალღვთაების მეუღლეა, ან შვილია, ხოლო ქალი-ღვთაების როლში ხშირად ღმერთების დიდი დედა გამოდის. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაშიც, აღნიშნული ქანდაკებების დამარხვისას, ჩატარებულია ნაყოფიერების ღვთაებათა კვდომისა და დაკრძალვის რიტუალი, რაც, ცხადია, ბუნების განახლება-აღორძინებას ისახავდა მიზნად. ხოლო მათ გვერდით დაკრძალული პირები — მეომრები და სხვ., ისევე როგორც რკინის ქანდაკების გვერდით დაკრძალული ზემოხსენებული მამაკაცი და ქალი, საფიქრებელია, მონაწილენი არიან ამ საღვთო რიტუალისა და მას უკავშირდებიან.

საერო და სასულიერო ხელისუფლების მატარებელნი უნდა ყოფილიყვნენ, აგრეთვე, ყვირილის ხეობის საგამგეო ერთეულის მმართველი ზედაფენის წარმომადგენელნი. ამასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ, რომ ადრეანტიკურ ხანაში საირხე წარმოადგენდა კოლხეთის უკიდურეს აღმოსავლეთ პროვინციის — „საჩხერის ქვეყნის“ — ცენტრს და მის მმართველს, სხვა ფუნქციებთან ერთად, ევალებოდა კოლხეთის სახელმწიფოს აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრების დაცვა[30]. აღსანიშნავია ისიც, რომ საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე, კულტმსახურ ქალთა მდიდრული სამარხების მახლობლად, გაითხარა № 8 სამარხი, რომელშიც

[28] О. Д. Лордкипанидзе. Город-храм Колхиды. М., 1984 გვ. 78—81.

[29] Г. А. Лордкипанидзе. К истории древней Колхиды. Тб., 1970. გვ. 122, 123. დიონისე აგრეთვე ითვლებოდა მომაკვდავი და აღორძინებული ბუნების ღვთაებად.

[30] ჯ. ნადირაძე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 79, 150—165.

წარჩინებული მამაკაცი უნდა ყოფილიყო დაკრძალული[31]. ეს საინტერესო არქეოლოგიური აღმოჩენა მოწმობს, რომ საბადურის გორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე დაკრძალული წარჩინებული მამაკაცები, ისევე როგორც კულტმსახური ქალები, ერთ არისტოკრატიულ სახლს, ანუ საგვარეულოს ეკუთვნოდნენ. ხოლო ამ საგვარეულოს წევრები, მისი წარმომადგენელნი ერთმანეთში ინაწილებდნენ საერო და სასულიერო ფუნქციებს. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა მოსაზრება ქალაქ საირხის საზოგადოების მმართველი ზედაფენის ხელში საერო და სასულიერო ფუნქციების თავმოყრის შესახებ. საირხის მმართველი საზოგადოების ზედაფენაში, როგორც ჩანს, შედიოდნენ წარჩინებული მეომრებიც, რომელნიც მონაწილეობდნენ ქურუმ ქალთა დაკრძალვასთან დაკავშირებულ საკრალურ რიტუალებში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე, საბადურის გორის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე ბოლო წლებში გათხრილი, ძვ. წ. IV ს-ის სამარხის დასავლეთით ჩახერგილ ქვაყრილში აღმოჩენილი საომარი იარაღ-საჭურველის ნაშთები (დიდი რაოდენობით ჯავშნის შემადგენელი რკინის ფირფიტები, ბრინჯაოს ისრის ბუნიკები და სხვ.), რომლებიც, უთუოდ, აქ დაკრძალულ მეომარს (თუ მეომრებს) ეკუთვნოდა[32]. მათ ახლო კავშირს საირხეში მსხდომ ქურუმთა საგვარეულოსთან უნდა მოწმობდეს მათი დაკრძალვის ფაქტი საბადურის გორაზე, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ჯერ კიდევ ძვ. წ. V ს-ის შუახანებში და შემდგომაც სრულდებოდა საკულტო ცერემონიალები, ღვთისმსახურ ქალთა მსხვერპლად შეწირვა და დაკრძალვა (ასევე ტრადიციულ ძველ საკულტო ადგილზე, ან მასთან ახლოს იყო გამართული ახვლედიანების გორის ზედა და ცენტრალურ ტერასებზე ძვ. წ. IV ს-ისა და ძვ. წ. IV—III სს-ის ვანის ძველი ქალაქის წარჩინებულ მეომართა სამარხებიც).

ამრიგად, ვანისა და საირხის ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედის სამარხებიდან მომდინარე მასალის განხილვა გვიჩვენებს, რომ აქ არსებულ რელიგიურ-პოლიტიკურ ცენტრებში მსხდომი მმართველი ზედაფენის ხელისუფლება ადრეანტიკური ხანის დასასრულს კვლავ ინარჩუნებს თეოკრატიულ იერს. ასეთივე ვითარება გრძელდება აქ ადრეელინისტურ ხანაშიც (ძვ. წ. IV—III სს.).

[31] ჯ. ნადირაძე. საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, წ. I. თბ., 1990, გვ. 64—85.

[32] ჯ. ნადირაძე. საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, გვ. 52—54.

აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: რ[illegible] გორც ირკვევა, აღებული ხანის კოლხეთის მმართველი ზედაფენა, [illegible] ვისი თეოკრატიული იერით, დიდ მსგავსებას ავლენს არა მხოლ[illegible] ქართლის უძველეს გაბატონებულ წრესთან — ქურუმებთან, რომელ[illegible] თაც, სტრაბონის თანახმად, საქვეყნო საქმეებიც ებარათ, არამედ მ[illegible] რე აზიისა და მეზობელი სომხეთის სატაძრო ცენტრებისა და გაერ[illegible] თიანებათა სათავეში მდგომ ხელისუფალთა ფენასთან. მცირე აზი[illegible] თეოკრატიული თემების შინაგანი სოციალური სტრუქტურის კვლევ[illegible] ძიების საფუძველზე დადგენილია, რომ მთელ რიგ სატაძრო გაერთ[illegible] ანებებში უზენაესი ქურუმი ადრიდანვე ასრულებდა მთავარსარდ[illegible] მოვალეობას, ხოლო მძიმედ შეიარაღებული მეომარნი შეადგენდ[illegible] სატაძრო თემის პრივილეგიურ ზედაფენას[33]. ასეთივე ვითარებას ვა[illegible] უდობენ სომხეთის სატაძრო ცენტრებშიც[34].

ამრიგად, კოლხეთის და ქართლის წარჩინებულთა წარმომადგენ[illegible] ლების მდიდრული სამარხების შესწავლა, ასევე სტრაბონის ცნობებ[illegible] და ანალოგიები მცირე აზიის სატაძრო გაერთიანებებთან, თითქო[illegible] ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ადრეანტიკურ ხანაში კოლხეთის, ისე[illegible] ვე როგორც ქართლისა და მცირე აზიის საზოგადოებებში, ქურუმებ[illegible] გამორჩეული მდგომარეობა აქვთ მოპოვებული ქვეყნის ეკონომიკურ[illegible] და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ვანისა და საირხის ძვ. წ. V—IV სს-ის[illegible] და IV ს-ის მესამე მეოთხედის სამარხებში აღმოჩენილი ხელისუფ[illegible] ლების ინსიგნიები — უფლებრივი საბეჭდავი-ბეჭდები და აურაცხ[illegible] ლი ძვირფასი ნივთი, ოქროს სამკაული და სხვ. — ნათლად მეტყველ[illegible] ბენ არა მხოლოდ კოლხეთის ამ სატაძრო-საქალაქო ცენტრებ[illegible] მსხდომი მმართველი ზედაფენის არაჩვეულებრივ ქონებრივ შეძლ[illegible] ბაზე, არამედ მის დიდ უფლებებზედაც[35].

---

[33] А. Г. Периханян. Храмовые объединения Малой Азии и Армении (IV в. до н. э. III в. н. э). М., 1959, გვ. 77—81.

[34] იქვე, გვ. 80, 81.

[35] ამ ხანის კოლხეთის მმართველი წრის ერთ-ერთ წარმომადგენელს უნდ[illegible] ეკუთვნოდეს ვანის მახლობლად, მთისძირში აღმოჩენილი სამარხი, რომელიც ძ[illegible] წ. V—IV სს-ით თარიღდება. მაგრამ ეს წარჩინებული, ისევე, როგორც ითხვისის დიდგვაროვანი მეომარი, ვანის მმართველ ელიტასთან შედარებით, სოციალური კ[illegible] ბის უფრო დაბალ საფეხურზე უნდა მდგარიყო (ვ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბ., 1982, გვ. 81). ამ პირის კულტმსახურებასთან კავშირს უნდა მოწმობდეს მის სამარხში აღმოჩენილი ვაც-კაცის გამოსახულებიანი ყანწ-რიტონი; ასეთ ყანწ-რიტონებს პრაქტიკული დანიშნულება არ

ზოგიერთი არქეოლოგიური მონაცემის გათვალისწინება და პარალელები მცირე აზიის სატაძრო გაერთიანებათა სინამდვილიდან შესაძლებელს ხდის შეეიქმნათ გარკვეული შეხედულება კოლხეთის კულტმსახურთა ფენის უფლებებისა და მის შიგნით არსებული იერარქიის შესახებაც. სახელდობრ, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ადრეანტიკური ხანის კოლხეთის სამლოცველოებსა და ტაძრებს შორის ვანი მაინც გამოირჩეოდა თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობით, როგორც ქვეყნის მთავარი საკულტო ცენტრი, ხოლო მისი ხელისუფალნი, სოციალური თვალსაზრისით, უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე კოლხეთის სხვა ცენტრების მმართველნი. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია შემჩნეულია ვანის ნაქალაქარის სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარის გამორჩეული სიმდიდრე, ასევე ნივთების სინატიფე და მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულება, რაც მკვლევართ უფლებას აძლევს ეს სამარხები მიაკუთვნონ კოლხეთის საზოგადოების მმართველი წრის ყველაზე უფრო მდიდართა და შეძლებულთა ფენას[36]. ზემოაღნიშნული გარემოება მიუთითებს ვანის ქალაქში მსხდომი წარჩინებული თეოკრატიული ზედაფენის უფრო მაღალ სოციალურ მდგომარეობაზედაც, კოლხეთის სხვა საკულტო ცენტრების მმართველებთან შედარებით[37]. ჩვენი აზრით, ამაზევე უნდა მეტყველებდეს დედატოსის ხელისუფლების ოქროს ინსიგნიები, — ოფიციალური საბეჭდავი-ბეჭდები, ვანის წარჩინებულ ქალთა ოქროს დიადემები, ახვლედიანების გორაზე შემთხვევით აღმოჩენილი გველის თავის გამოსახულებით შემკული ოქროს კვერთხი — სკიპტრა, რომელიც ამჟამად დაკარგულია და სხვა[38].

გაჩნდა. მათ, ჩვეულებრივ, საკრალურ რიტუალებში იყენებდნენ ხოლმე (იქვე, გვ. 78, 79).

[36] ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ვანის ნაქალაქარი, გათხრები, ისტორია, პრობლემები (წერილი მეორე). — ვანი III. თბ., 1977, გვ. 17, 18.

[37] ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 18, 19,

[38] Н. В. Хоштария. Археологические раскопки в Вани,—КБ сборник. II, Тб., 1962, გვ. 75. დღესდღეობით ხელისუფლების ამგვარი ოქროს ინსიგნიები მხოლოდ ვანში, ახვლედიანების გორაზეა აღმოჩენილი. უკანასკნელ ხანებში საბადურის გორაზე ძვ. წ. V ს-ის შუახანებისა და ძვ. წ. IV ს-ის წარჩინებულთა მდიდრულ სამარხებში გამოვლენილი ზოგიერთი სამკაული და ნივთი აგრეთვე გამოირჩევა მაღალმხატვრული შესრულებით (იხ. ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. წ. I. გვ. 22—97).

ქვეყნის შუაგულში, ფასისის მაგისტრალურ სანაოსნო გზაზე მდებარე, ნაყოფიერი მიწებით გარშემორტყმულ ვანის ტაძარს, რა თქმა უნდა, ყველა პირობა ჰქონდა ქვეყანაში გამორჩეული მდგომარეობა მოეპოვებინა და მთელი კოლხეთის მთავარი საკულტო ცენტრი გამხდარიყო. მაგრამ, ვფიქრობთ, ვანის, როგორც კოლხეთის მთავარი სატაძრო ცენტრის მნიშვნელობას განაპირობებდა არა მხოლოდ მისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობა და ეკონომიკური გარემო.

ადრეანტიკური ხანის ვანის სტატუსისა და მისი ზედაფენის სოციალური პოზიციების გარკვევაში დიდი სამსახური შეიძლება გაგვიწიოს სტრაბონის გადმოცემამ მცირე აზიის თეოკრატიულ გაერთიანებათა შესახებ. ბერძენი გეოგრაფი გვამცნობს რომ კაპადოკიის ქალაქი კომანა და აქვე არსებული ღვთაება ენიოს (ანუ მას) სახელობის სამლოცველო პირველი იყო ქვეყნის სხვა სატაძრო გაერთიანებათა შორის. მის სათავეში მდგომი უზენაესი ქურუმი სარგებლობდა განსაკუთრებული პატივით[39]. სტრაბონის ცნობებიდან ისიც ირკვევა, რომ კომანას ქურუმთა ღირსება-უპირატესობას თავისი სოციალური საფუძველი ჰქონდა. სახელდობრ, ისინი ეკუთვნოდნენ იმავე გვარს, საიდანაც წარმოდგებოდნენ კაპადოკიის (კატაონელთა) მეფეები[40]. სამეფო გვართან ახლონათესაურ კავშირზე იყო დამყარებული, ჩანს, მათი გამორჩეული ეკონომიკური მდგომარეობაც: კაპადოკიის კომანას ქურუმები ფლობდნენ ყველაზე მეტ სატაძრო მონას (6 ათასს)[41] და სხვ.

სამეფო საგვარეულოსადმი კუთვნილებით უნდა აიხსნას ის საყურადღებო ფაქტიც, რომ, სტრაბონის ცნობით, კაპადოკიის კომანას ქურუმი წარმოადგენდა „მეფის შემდგომ მეორე პირს". იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე იდგა ტაძრის სათავეში, რაც შესაძლებელია იმაზე მეტყველებს, რომ კომანას უზენაესი ქურუმის ხელისუფლება მემკვიდრეობითიც იყო (სამეფო გვარის ფარგლებში თაობიდან თაობაზე გადადიოდა). სტრაბონის „გეოგრაფიაში" დაცული სხვა ცნობების მიხედვით, ასეთივე ვითარებაა სავარაუდებელი პონტოს კომანაში, სადაც უზენაესი კულტმსახური, კაპადოკიის კომანას ქურუმის მსგავსად, განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა[42] და თავისი ღირ-

[39] Strabo. XII, 2, 3.

[40] იქვე.

[41] იქვე.

[42] იქვე, XII, 3, 32.

ებით ასევე „მეფის შემდგომ მეორე პირს" წარმოადგენდა, რაც შესაძლებელია იმავე ვითარებით, სახელდობრ, მისი პონტოს სამეფო გვართან ახლონათესაური კავშირით იყო განპირობებული. ამაზე უნდა მიგანიშნებდეს სტრაბონის სიტყვებიც — პონტოს კომანას ქურუმები ასევე პატივით განსაკუთრებით ადრინდელი მეფეების დროს სარგებლობდნენ[43] (ე. ი. სარგებლობდნენ მაშინ, როდესაც პონტოში ძველი სამეფო დინასტია და ძველი სატაძრო ტრადიციები ბატონობდა. გვიანელინისტურ ხანაში კი, ჩანს, ვითარება იცვლება)[44].

სტრაბონის ზემოთ განხილულ ცნობათა შუქზე, ვანის წარჩინებულთა სამარხებში ხელისუფლების ინსიგნიების — ოქროს დიადემების, ოქროს ოფიციალური საბეჭდავი-ბეჭდების, ოქროს კვერთხისა და მათთან ერთად მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული მრავალი ნივთის აღმოჩენის ფაქტი სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს ამ საზოგადოების სოციალური სტატუსის გახსნის თვალსაზრისით. სახელდობრ, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ადრეანტიკურ ხანაში ვანი წარმოადგენდა კოლხეთის უმთავრეს სატაძრო ცენტრს, ხოლო მის სათავეში მდგომი წარჩინებულნი (იგივე უზენაესი ქურუმები), რომელნიც სამეფო სახლის წევრთა შესაფერისი უფლებებითა და პატივით სარგებლობდნენ (გარეგნულად ეს გამოიხატებოდა ოქროს ინსიგნიების ტარებაში), ეკუთვნოდნენ იმავე გვარს, საიდანაც სხამდნენ კოლხეთის მეფეებს[45]. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ კოლხეთში, ისევე როგორც მთელ რიგ ადრეკლასობრივ საზოგადოებებში (კაპადოკია, პონტო და სხვ.), სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და მისი

[43] იქვე.

[44] სტრაბონის გადმოცემაში პონტოს კომანას ქურუმთა შესახებ არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ბერძენი ავტორი შენიშნავს, რომ კომანას ქურუმები, რომელთაც თავისი ღირსებით მეფის შემდგომ მეორე ადგილი ეჭირათ, ქალღვთაებისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო ცერემონიალების შესრულებისას, წელიწადში ორჯერ დიადემას ატარებდნენ (Strabo, XII, 3, 32). აქედან ჩანს, რომ ქურუმის მიერ დიადემის (უთუოდ, ოქროს დიადემის) ტარებასა და მის მეფურ წარმოშობას (მეფის შემდგომ მეორე პირის სტატუსს) შორის რაღაც შინაგანი კავშირი არსებობდა. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ დღესდღეობით ოქროს დიადემები მხოლოდ ვანის სამარხებშია აღმოჩენილი.

[45] შდრ. А. И. Болтунова. К вопросу о социально-политической организации колхов.—Демографическая ситуация в Причерноморье в период великой греческой колонизации. Тб., 1981, გვ. 324.

არსებობის ადრეულ ხანაში, მთავარი ტაძრის უზენაესი მმართველობა და სამეფო ხელისუფლება ერთი საგვარეულოს წარმომადგენელთა ხელში იყო მოქცეული[46].

გვაქვს საფუძველი ისიც ვიფიქროთ, რომ ვანის სატაძრო ცენტრის უზენაეს ქურუმთა ხელისუფლება მემკვიდრეობითიც იყო. ამაზე, გარდა მათი სახლის წევრთა საგვარეულო საძვალის გამოვლენისა (ახვლედიანების გორაზე), მეტყველებს აქვე აღმოჩენილი ძვ. წ. IV ს-ისა და ძვ. წ. IV—III სს-ის ბავშვთა სამარხები და აქედან მომდინარე ნივთები. ერთ-ერთ მათგანში (№ 4), რომელიც დედატოსის სამარხის თანადროულია და მის მახლობლად მდებარეობს, ოქროს სამკაულთან ერთად, აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭედი, რომლის ფარაკზე გამოხატული გარკვეული სიმბოლოების მიხედვით, მისი მფლობელი შეიძლება ძალაუფლების მქონე კულტმსახურთა წრესთან დაკავშირებულ პირად წარმოვიდგინოთ[47]. ბავშვის სამარხში ამ საბეჭდავი-ბეჭდის აღმოჩენის ფაქტი იმით იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს, რომ, მარგ. ლორთქიფანიძის ვარაუდით, იგი ასაკოვანი ადამიანის კუთვნილება უნდა ყოფილიყო (საბეჭდავი დიდი ზომის ხელისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო შემდეგ ბავშვისთვის ჩაუყოლებიათ სამარხში)[48]. საერო და საკულტო ძალაუფლების სიმბოლოების შემცველი ასეთი ბეჭდის ჩატანება ბავშვისთვის, რომელსაც სინამდვილეში არ შეეძლო მისი ტარება, ამ ძალაუფლების მემკვიდრეობითობაზე უნდა მეტყველებდეს[49].

ვანის უზენაესი ქურუმის ფუნქციები რომ ერთი საგვარეულოს კუთვნილებად ითვლებოდა და იგი მემკვიდრეობით გადაიცემოდა, ამის პირდაპირი დასტურია 3—4 წლის გოგონას მდიდრული სამარხი (№ 4), რომელიც ახვლედიანების გორის წვერზე აღმოჩნდა, რკინის კაცთან ერთად დაკრძალულ კულტმსახურთა (წარჩინებული მეომრი-

---

46 მეფესთან უახლოეს ნათესაურ ურთიერთობაში მყოფი პირის მიერ უზენაესი ქურუმის ფუნქციების შესრულების ფაქტი დასტურდება სომხეთშიც (მ ო ვ ს ე ს ხ ო რ ე ნ ა ც ი, სომხეთის ისტორია, თბ., 1984, გვ. 154, 155).

47 მ ა რ გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 155. საბეჭდავის ფარაკზე გამოსახული ხის, ან პალმის ტოტი — საღმრთო ხის სიმბოლოა, დიდი „რგოლი" — უფლების ნიშანია, დანარჩენი რგოლები — მნათობთა სიმბოლოებს უკავშირდებიან (იქვე).

48 იქვე.

49 არ არის გამორიცხული, რომ ბეჭედს ავგაროზის ძალასაც ანიჭებდნენ (მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ, 155).

ქალის) სამარხის მახლობლად (გალავნის კედლის გარეთა მხარეს). [illegible]ნას დაკრძალვა მკვეთრად გამოხატულ საკულტო ხასიათს ატარებს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი [illegible]სამკაული, რომელიც 65 ოქროს ვარდულისაგან შედგება; ასეთი [illegible]ოს ვარდულებით თავსამკაულის დამშვენება, ჩვეულებრივ, მის [illegible]ულტო დანიშნულებაზე მიუთითებს[50] (ვარდული მზის კულტს [illegible]ეშირდება)[51].

[illegible]თუ ვანი ადრეანტიკურ ხანაში, მართლაც, მთელი ქვეყნის მთავარი სატაძრო ცენტრი იყო, ხოლო მისი უზენაესი ღვთისმსახური [illegible]ეფო საგვარეულოს ეკუთვნოდა, მაშინ სავსებით დასაშვებია, რომ, [illegible]ეე როგორც კაპადოკიისა და პონტოს კომანას სატაძრო გაერთიანებათა სათავეში მდგომი, სამეფო გვართან ახლონათესაურ ურთიერთობაში მყოფი უზენაესი ქურუმები, ვანის თეოკრატიული ხელისუფალნიც „მეფის შემდგომ მეორე პირს" წარმოადგენდნენ. ეს დიდგვაროვანნი (დედატოსი და სხვები), ამავე დროს, სარდლის მოვალეობას და სხვა საქვეყნო საქმეებსაც ასრულებდნენ[52].

ანალოგიური ვითარება შეიძლება ვივარაუდოთ ქართლშიც, სადაც „მეფის შემდგომ მეორე პირს" — მეფის უახლოეს ნათესავს — [illegible]ეყნის მართვის მთავარი ფუქციები უპყრია, იგი მოსამართლეობს [illegible] სარდლობს. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, იგივე პირი ქართლის [illegible]ავრესი სატაძრო ცენტრის უზენაესი ქურუმიც იყო[53].

ამრიგად, ზემოთ განხილულ ჩვენებებში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ კოლხეთის, ისევე როგორც კაპადოკიის და სხვ. სახელმწიფო

---

50 Из архива Н. В. Х о ш т а р и а. О раскопках на вершине холма в [illegible]947—1959.—ვანი IV, გვ. 129.

51 ა. ჭ ყ ო ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

52 აქვე ისმის საკითხი — როგორ ეგუება კოლხეთის სამეფო ხელისუფლება [illegible]ესი ღვთისმსახურის მიერ მთელ რიგ საერო ფუნქციათა შენარჩუნებას. ჩვენი [illegible]ით, სამეფო ხელისუფლება იძულებულია სცნოს ეს ფაქტი, რადგან ვანისა და [illegible]ის ძვ. წ. V—IV სს-ის მდიდრული სამარხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, [illegible]ტმსახურთა მიერ ტაძრის მმართველობის მითვისებისა და სატაძრო მამულების [illegible]ერპაციის პროცესი კოლხეთში, სამეფო ხელისუფლების წარმოქმნის დროისათვის [illegible] უკვე საკმაოდ შორს იყო წასული. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კოლხეთში, სახელმწიფოს არსებობის ადრეულ ეტაპზე, სამეფო ხელისუფლების უმთავრეს სოციალურ დასაყრდენად, სწორედ, ტაძრის უზენაესი მსახური გამოდიან.

53 იხ. К. В. Т р е в е р. Очерки по истории и культуре Кавказской Албании, М.—Л., 1959, გვ. 157. შეად. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1. გვ. 496.

ორგანიზაციებისათვის დამახასიათებელი თეოკრატიული ელფერი [illegible]
თი არსებობის ადრეულ ეტაპზე, როდესაც კოლხების მთავარი ტაძრ[illegible]
(ვანის) უზენაეს ქურუმთა საგვარეულოს და სამეფო სახლის ერ[illegible]
მანეთისაგან გათიშვა-გამოცალკევების პროცესი ჯერ კიდევ დასრ[illegible]
ლებული არ არის.

მიღებული დასკვნების შუქზე შესაძლებელი ხდება უფრო დაზ[illegible]
ზუსტოთ ჩვენი წარმოდგენა კოლხეთის სოციალურ-პოლიტიკური ორ[illegible]
განიზაციის თავისებურებათა შესახებ.

სახელდობრ, ზემოთ ჩვენ აღვნიშნავდით, რომ, კოლხეთის სა[illegible]
ხელმწიფოს ფორმირებასთან ერთად, ვანისა და საირხის ქვეყნებ[illegible]
ტერიტორიაზე იქმნება საგამგეო ერთეულები — სკეპტუხიები.

ამავე დროს, ისიც ირკვევა, რომ ადრეანტიკურ ხანაში ვანი კოლ[illegible]
ხეთის მთავარი საკულტო ცენტრია და აქ სამეფო საგვარეულოს წარ[illegible]
მომადგენელი, უზენაესი ქურუმი ზის. ყოველივე ეს, თითქოს, სა[illegible]
ფუძველს გვაძლევს გარკვეული კავშირი დავინახოთ ვანის ტაძრის თ[illegible]
ოკრატიულ მმართველსა და „ვანის ქვეყნის“ სკეპტუხს შორის [illegible]
ვიფიქროთ, რომ ვანის მმართველი წრის წარმომადგენელი (ვის[illegible]
სკეპტუხის ფუნქციები ჰქონდა ჩაბარებული), ისევე როგორც უზენ[illegible]
ესი ქურუმი, ეკუთვნოდნენ კოლხეთის სამეფო საგვარეულოს და [illegible]
სამეფო სახლის წევრთაგანნი იყვნენ[54]. დაკვირვება ბერძენი ავტორ[illegible]
აპიანეს (ახ. წ. II ს.) ცნობებზე ჩვენ იმასაც გვაფიქრებინებს, რომ
ვანში მსხდომ სკეპტუხთა სახლიდან უნდა ყოფილიყვნენ გამოსულ[illegible]
გვიანელინისტური ხანის ე. წ. „კოლხთა სკეპტუხებიც“, რომლებიც
ჩანს, კოლხეთის სამეფო საგვარეულოს ჩამომავლებს წარმოადგენდნ[illegible]
და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ამ ხანის პოლიტიკურ მოვლ[illegible]
ნებში. ერთ-ერთი მათგანი, „კოლხთა სკეპტუხი ოლთაკე“ (აპიანე[illegible]
ცნობით) წამყვანი ფიგურაა კოლხეთში პომპეუსის წინააღმდეგ [illegible]
მართულ საომარ მოქმედებაში. პომპეუსის მიერ დამარცხებულ კოლ[illegible]
ხთა სკეპტუხ ოლთაკეს ვხედავთ რომში, სადაც იგი, სხვა ქვეყნ[illegible]
მძევალ-ტყვეებთან ერთად, მონაწილეობს პომპეუსის ტრიუმფალურ[illegible]
სვლაში. აპიანე თანამიმდევრულად, ტყვეთა წოდებრივი იერარქი[illegible]
დაცვით, ჩამოთვლის ტრიუმფალური სვლის მონაწილეებს, საიდან[illegible]

54 ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ვანში გათხრ[illegible]
რამდენიმე ადგილობრივ (ძვ. წ. III ს.) კრამიტზე დატანილი ბასილევს მელაბ[illegible]
სახელიანი დამღები (შდრ. გ ე ლ ა გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ისტორიულ-ტოპოარქეოლ[illegible]
გიური ძიებანი. თბ., 1993, გვ. 58).

[illegible]ლად ჩანს, რომ ოლთაკე ჩვეულებრივი დიდგვაროვანი სარდალი კ[illegible]
[illegible] არის, არამედ კოლხეთის სამეფო სახლის წარმომადგენელია,
[illegible]ადგან იმ მძევალთა შორის არის დასახელებული, ვინც მეფის შვი-
[illegible]ა ან თვითონ არის მეფე[55].

2. სატაძრო თემები

ვანსა (ახვლედიანების გორა) და საირხეში (საბადურის გორა) გა-
მოვლენილი მასალის ერთობლივმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ
ძველთაგანვე აქ არსებული დიდი საკულტო კერებისა და სალოცავე-
ბის ადგილას ადრეანტიკური ხანისათვის ვითარდებიან მნიშვნელოვანი
სატაძრო ცენტრები.

ვანსა და საირხეში მიკვლეული არქეოლოგიური ძეგლების მიხედ-
ვით, ძვ. წ. V ს-დან ამ პუნქტებში დასტურდება, აგრეთვე, მნიშვნე-
ლოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრების არსებობა მაღალ-
განვითარებული ხელოსნური წარმოებით, ფართო სავაჭრო ურთი-
ერთკავშირებით და სხვ. დადასტურდა ისიც, რომ ამ ცენტრების სა-
ზოგადოებაში, ერთი მხრივ, უკვე გამოყოფილია არისტოკრატიული
ზედაფენა, რომელსაც სამეფო ხელისუფლების მიერ ჩაბარებული
აქვს ქვეყნის ადმინისტრაციული მართვის ფუნქციები (სტრაბონისეული
სკეპტუხები), ხოლო, მეორე მხრივ კი, ქალაქის მიმდებარე სასოფლო
ტერიტორიაზე მსხდომი მწარმოებლები, რომელთა ექსპლოატაციას
ეწევა ზემოაღნიშნული ზედაფენა. ძვ. წ. V ს-სათვის, როდესაც კოლხე-
თის სამეფო თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს აღწევს, ეს
არისტოკრატიული ზედაფენა ტერიტორიულადაც მკვეთრად გამოიყო-
ფა მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისაგან (ახვლედიანების გორა ხდე-
ბა ამ ზედაფენის წარმომადგენელთა საცხოვრებელი ადგილი და სა-
ძვალეც).

ამრიგად, ეჭვი არ არის, რომ კოლხეთის სამეფოს მთავარი პო-
ლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრები — ვანი და საირხე — იქმნე-
ბიან და ვითარდებიან ქვეყნის შიდა რეგიონებში მდებარე უმნიშვნე-
ლოვანესი სამლოცველოების ადგილას და მთელი ადრეანტიკური ხა-
ნის მანძილზე თანაარსებობენ მათთან ერთად.

55 მ. ი ნ ა ძ ე. ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ის-
ტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 59 (იხ. ა პ ი ა ნ ე. მითრიდატეს ომების ისტორ[illegible].
გვ. 117. თარგმ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს ა, თბ., 1959, გვ. 224, 225).

გარდა ამისა, ახვლედიანების გორასა და საბადურის გორაზე დაკრძალულ წარჩინებულთა მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილი ნივთიერებისა და აქ შესრულებული რიტუალების კვლევა-ძიების შედეგად, საგულისხმო ფაქტად დადგინდა ისიც, რომ ამ მდიდრული სამარხების დიდი ნაწილი ეკუთვნოდა უზენაეს კულტმსახურებს. აღნიშნულ ფაქტებს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ვანსა და საირხეში მსხდომი და დაკრძალული ადგილობრივი არისტოკრატიის ზედაფენის სოციალური ბუნების შესწავლისათვის, რადგან ამით ნათელი მოეფინა ადრეანტიკური ხანის კოლხეთის ცენტრების (ვანის, საირხის) საზოგადოების წარჩინებულთა ფენიდან გამოსულ უზენაეს ხელისუფალთა მმართველობის თეოკრატიულ ხასიათს (ერთ საგვარეულოს ხელში საერო და სასულიერო ფუნქციების თავმოყრა).

როგორც ზემოთაც აღინიშნა ადრეულ ხანაში, ჯერ კიდევ კოლხეთის სამეფოს შექმნამდე, ეს ტაძრები, მათი მმართველი ზედაფენით, ის მაორგანიზებელი ძალა იყო, რომელიც აწესრიგებდა და წარმართავდა მათ გარშემო შემოკრებილი სასოფლო თემების არა მარტო სულიერ და პოლიტიკურ, არამედ სამეურნეო ცხოვრებასაც.

აღნიშნული გარემოება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ ტაძრების გარშემო ძველთაგანვე გაერთიანებული თემები. ჩვეულებრივ, სასოფლო თემებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ ტაძრის მსახურებაში მყოფი თემები იყვნენ. ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ვანის და საირხის ტაძრები, თავიანთი სასოფლო-სამეურნეო მიწებით, ე. წ. „ქვეყნებით", კოლხეთის შუაგულ და აღმოსავლეთ რეგიონების მოსახლეობის შემდგომ ცხოვრებაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, მაშინ ეს მიწები, ადრეანტიკურ ხანაში, მეტწილად, სატაძრო-სასოფლო თემებით დასახლებულად უნდა წარმოვიდგინოთ (რაც, თავისთავად, კოლხეთის იმდროინდელ მწარმოებელ საზოგადოებაში სატაძრო თემების საკმაოდ დიდი ხვედრითი წონის მაჩვენებლადაც შეიძლება მივიჩნიოთ).

ამ დროისათვის დასახელებული ტაძრების ხელში თავმოყრილი უნდა ყოფილიყო რიონის შუაწელის და ყვირილის ხეობის გასწვრივ განლაგებული, მევენახეობა-მეღვინეობით განთქმული ნაყოფიერი მიწების საკმაოდ დიდი ნაწილი (იხ. თავი IV). მართალია, ტაძრის მიწა ამ დროსაც ფორმალურად, უთუოდ, ხატის საკუთრებად ითვლებოდა (ღვთაებას ეკუთვნოდა), მაგრამ ვანისა და საირხის ძვ. წ. V—IV სს-ის უზენაეს კულტმსახურთა მდიდრული სამარხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხატისთვის განსკუთვნილი მიწების ნიშვნელოვანი ნაწილის [illegible]ურ მფლობელებად, უთუოდ, გამოდიოდნენ ამ რელიგიურ-პოლიტიკურ ცენტრებში მსხდომი დაწინაურებული საგვარეულოს წარმომადგენელნი, თეოკრატიული მმართველები და ქურუმები, რომელთა ხელში თავმოყრილი იყო საერო-ადმინისტრაციული და სასულიერო ფუნქციები. ხატის მამულების დანარჩენ ნაწილს კი, ჩვენი აზრით, [illegible]ეთა სარგებლობაში მყოფი მიწები შეადგენდნენ. დღესდღეობით არსებული არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით გამოთქმულია [illegible]ება, რომ ადრეანტიკურ კოლხეთში მწარმოებელი საზოგადოება, თავისუფალი, ან ნახევრადთავისუფალი მეთემე-მიწისმოქმედი [illegible]ებს როგორც სამეფო, ისე სატაძრო მაძულებს და ქმნის ქვეყ[illegible] მატერიალური დოკლათის დიდ ნაწილს[56]. მწარმოებელი ფენის [illegible]ხეები დიდი რაოდენობით დიდ ნაწილს[56]. მწარმოებელი ფენის [illegible]ოს მრავალ ადგილას. ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათი [illegible]ტება საირხისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის (მოდინახეს [illegible]ზე და სხვ.) არქეოლოგიური გათხრებით, რომელთა შედეგად, წარ[illegible]ებულთათვის განკუთვნილი, რთულად ნაგები აკლდამების პარალელურად, გამოვლენილ იქნა ამავე დროის (ძვ. წ. V—III სს.) საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენელთა ღარიბულინვენტარიანი ორმოსამარხები და შედარებით დაწინაურებული ფენისათვის ქვით [illegible]ემოსაზღვრული იატაკმოკირწყლული სამარხები[57].

ელინისტური ხანიდან მწარმოებელ მიწათმოქმედთა ფენისათვის [illegible]კუთვნილ ორმოსამარხებს, რიონის შუაწელის გაყოლებით, ქვევრსამარხები ცვლიან.

აქ ჩვენს წინაშე წამოიჭრება ერთ-ერთი რთული პრობლემა — ეს [illegible]ის საკითხი აღნიშნულ ქვევრსამარხთა მფლობელ მწარმოებელთა ფენის სოციალური ბუნების, მისი ურთიერთობის შესახებ ქვეყნის [illegible]თავეში მდგომ წარჩინებულთა ზედაფენასთან, თეოკრატიულ მმართველებთან, რაც განსაზღვრავდა წინაელინისტური და ელინისტური ხანის კოლხეთის საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას. ამ თვალსაზრისით, ვანისა და საირხის არქეოლოგიური ძეგლებით შექმნილ სურათს, ადრეანტიკური ხანის კოლხეთის საზოგადოების სოციალური ბუნების, სოციალურ ურთიერთობათა შესახებ, მნიშვნელოვნად ავ-

---

56 საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. რედ. გ. მელიქიშვილი, თბ., 1970, გვ. 500—582.

57 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. წ. 1.

სებს ითხვისში, განსაკუთრებით კი დაბლაგომსა და დაფნარში, გ
ვლენილი მასალა.

აღნიშნული მასალის გათვალისწინება მით უფრო საჭირო
აუცილებელია, რომ დაბლაგომისა და დაფნარის ტერიტორია ის
რიულ-გეოგრაფიულად შეადგენდა „ვანის ქვეყნის“ ორგანულ
წილს. ასეთივე ურთიერთმიმართებაა სავარაუდებელი ითხვისის
ხებსა და საირხის „ქვეყანას“ შორის.

დაბლაგომის ნაქალაქარი განლაგებულია რიონისპირა გორაკ
ვანიდან 10—12 კმ-ის დაცილებით. ნაქალაქარის მიდამოებში ჩატ
ბული გათხრების შედეგად აქ გამოვლენილია მეტად მნიშვნელოვ
თვისობრივად ახალი და თავის დროისათვის უნიკალური არქეო
გიური ძეგლები, რომლებიც, სპეციალისტთა ნაშრომების წყალობ
ფართოდაა შესული სამეცნიერო მიმოქცევაში. ვიდრე დაბლაგომ
გამოვლენილი სამოსახლოსა და სამარხების განხილვაზე გადავიდოდ
უნდა გავიხსენოთ, რომ დაბლაგომი მსხვილი ქალაქური ტიპის და
ხლებათა იმ რიგს განეკუთვნება, რომლებიც ადრეანტიკურ ხან
რიონ-ფასისის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდნენ.
კერამიკული წარმოების საკმაოდ მსხვილი ცენტრი ჩანს, რომ
პროდუქციასაც, ალბათ, სასაქონლო ხასიათი ჰქონდა. დაბლაგომის მ
სახლეობა აქტიურად მონაწილეობდა ფულად ურთიერთობებშიც[58].

ქვევრსამარხები აღმოჩნდა, ძირითადად, სოფლის გარეთ, ნაკ
ხვარასა და ნასაკირევის ბორცვებზე, სულ 55-მდე ქვევრსამარხი
ითხარა, ამას თუ დავუმატებთ უამრავ შემთხვევით აღმოჩენას, ცხ
გახდება, რომ ქვევრში დაკრძალვის წესი ელინისტური ხანის დაბ
გომსა და მის მიდამოებში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. რ
გორც გათხრების მსვლელობაში გაირკვა, ქვევრებს ერთიანი სამარ
ვანი კი არ ეკავათ, არამედ ცალკეული, ერთმანეთისაგან მოშორებ
ბუდეებად იყვნენ განლაგებული საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე[59] (ს
კარმიდამო სამარხები).

არქეოლოგი ვ. თოლორდავა საერთოდ დაბლაგომში ქვევრ
დამარხვის წესის გაჩენას ძვ. წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედ

[58] Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды. II. с. 2—6.

[59] ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანა საქართველო
თბ., 1980, გვ. 7.

ბუდობს. ქვევრსამარხების ბოლო ქრონოლოგიურ ჯგუფს იგი ძ
III ს-ის მიწურულით განსაზღვრავს[60].

დაბლაგომში დღემდე აღმოჩენილი ყველა ქვევრსამარხი მხოლოდ
მხოლოდ საზოგადოების რიგითი წევრების ყოფას ასახავს. სამ
ელი ნივთების ასორტიმენტი ღარიბული და შეზღუდულია. გარ
ელი ქონებრივი დიფერენციაცია ამ სამარხებში დაკრძალულთა
ისაც შეიმჩევა, მაგრამ ეს დიფერენციაცია იმდენად სუსტია, რომ
ერთარ შემთხვევაში არ მიგვითითებს ამ ფენის შიგნით მიმდი
ბარე რაიმე სოციალური სტრატიფიკაციის პროცესზე. ესენი არიან
ბრიელი მწარმოებელი მეთემეები, რომელთა მეურნეობაში წამყვა
ადგილი მევენახეობა-მეღვინეობას უჭირავს[61].

ამ თვალსაზრისით, დაბლაგომის ქვევრსამარხებში დაკრძალული
საზოგადოება ძალზე ახლოს დგას ვანის ქვეყნის მეორე დიდი სამო
სახლოს — დაფნარის — ქვევრსამარხთა მფლობელებთან, რომელნიც,
ფრეთვე, განეკუთვნებიან სუსტად დიფერენცირებულ რიგით მეთე
მეთა სოციალურ კატეგორიას[62].

ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევისათვის დაბლაგომის
ქვევრსამარხების მნიშვნელობას დიდად ზრდის მათ გვერდით, ნაცი
ხარას ბორცვზე (მის დასავლეთ ფერდობზე) მდიდრული სამარხის
აღმოჩენა, იქ, სადაც ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულის ქვევრსამარხე
ი იქნა გამოვლენილი. ეს სამარხი, როგორც აგებულებით, ისე ინვენ
ტარის შემადგენლობით, სრულიად განზე დგას დაბლაგომიდან დღემ
დე ცნობილი ყველა ძეგლისაგან. სამარხი კრამიტით არის გადახურუ
ლი. ვ. თოლორდავა მას ძვ. წ. III ს-ის პირველი ნახევრით ათარი

[60] ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველო
ში, გვ. 38.

[61] იქვე., გვ. 14.

[62] დაფნარის ქვევრსამარხები სპეციალურად შეისწავლა ნ. კიღურაძემ (იხ.
Н. Кигурадзе. Даппарский могильник. Тб., 1976). ნეკროპოლს უჭირავს დიდი
ტერიტორია, თითქმის მთელი დაფნარის გორა, რომლის დასავლეთი და ჩრდილო
ფერდები რიონის დაბლობისკენ ეშვება. სამარხები განლაგებული იყვნენ როგორც
ჯგუფებად (საოჯახო სამარხები), ასევე ცალ-ცალკე, გაფანტულად და ხშირად დიდი
მანძილით ერთმანეთისაგან დაშორებით. ნ. კიღურაძის ვარაუდით, ეს სამარხები სა
კარმიდამო ნაკვეთებზე იყო გამართული (ისევე როგორც დაბლაგომში),
რაც უნდა მიგვანიშნებდეს დასახელებულ მიწებზე მსხდომ მოსახლეობაში
გვაროვნული თემის დაშლასა და მის მაგიერ სასოფლო თემების წარმოქმნაზე.
ბერძნულ-ელინისტურ ხანაში დაფნარის სამოსახლო და მასთან დაკავშირებული სამარ
ვანი წყვეტს არსებობას (Н. Кигурадзе. დასახ. ნაშრ., გვ. 14.

ღებს, მიუხედავად იმისა, რომ სამარხში ჩატანებული ზოგიერ-
ნივთი (ბრინჯაოს სარკე. ოქროს საბეჭდავი-ბეჭედი და სხვ.) ძვ.
IV ს-ის მეორე ნახევარს უნდა განეკუთვნებოდეს.

სამარხის ინვენტარი საკმაოდ მდიდრულია და მრავალფეროვან
დიდი რაოდენობით გვხვდება რკინის შუბისპირები, აქვეა ოქროს სამ-
ჯურები, საბეჭდავი-ბეჭდები, მძივები, საყურეები, ბრინჯაოს სიტუ-
ცხენის აკაზმულობის ნაწილები (საყბეურები, საშუბლე). სამკალი
როგორც ვარაუდობენ, ყუთში ჩადებული უნდა ჩაეტანებინათ მიცვ-
ლებულისათვის[63].

ეჭვი არ არის, რომ სამარხში დაკრძალული ეკონომიურად საკმ-
ოდ დაწინაურებული პირია. მისი სამარხეული ინვენტარი გარკვეულ
მსგავსებას ავლენს დედატოსის სამარხის ნივთებთან, მაგრამ ნაკლ-
ბად მდიდრულია. როგორც ჩანს, დედატოსთან შედარებით, ეს პი-
სოციალური კიბის უფრო დაბალ საფეხურზე იდგა.

ვ. თოლორდავას მტკიცებით, თითქოს, გამორიცხულია სოციალ-
რი თვალსაზრისით ასე განსხვავებული საზოგადოების წევრების
აღნიშნული დაწინაურებული პირის ქვევრსამარხთა მფლობელებ-
გვერდით, მათ უშუალო მეზობლობაში, დაკრძალვა. ამიტომ მკვლ-
ვარი ცდილობს ამ ფაქტს გარკვული ახსნა მოუძებნოს; კერძოდ, ი
ვარაუდობს, რომ კრამიტით გადახურული სამარხი გაიმართა ქვევ-
სამარხების შემცველი სამაროვნის გაუქმების შემდეგ[64]. თუმცა აქ
დასაშვებად მიიჩნევს ამ სამარხების მფლობელებს შორის გარკვეულ
სოციალური ურთიერთდამოკიდებულების არსებობას[65]. უკანასკნელ-
ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ამ მიდამოებში აღმოჩენილ-
მთელი რიგი ნივთი: ვერცხლის ფიალა კოლხური მონეტების განძი
ოქროს სასაფეთქლე რგოლები, ოქროს, ცვარათი შემკული მძივები
ვერცხლის სამაჯურები და სხვა, რომლებსაც ბ. კუფტინი სამარხეულ-

---

63 ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა. მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან. — ვანი. II. თბ. 1976, გვ. 68—79.

64 მკვლევრის აზრით, ქვევრსამარხები ძვ. წ. IV—III სს-ით თარიღდება, კრ-
მიტით გადახურული სამარხი კი ძვ. წ. III ს-ის I ნახევრით (ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა
არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1973—1974 წლებში. — ვანი. II, თბ., 197
გვ. 71, 72).

65 ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში. გვ. 71.

ინვენტარის ნივთებს მიაკუთვნებს[66]. ეს, თავისთავად, მოწმობს ნაცი-
ხეარას ბორცვზე, ქვევრსამარხების გვერდით შედარებით ადრეული
მდიდრული სამარხების არსებობასაც.

ამრიგად, აღნიშნული მასალა იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ
ნაციხვარაზე ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარში იმარხებოდნენ როგორც
ოემის რიგითი წევრები (ქვევრსამარხები), ისე მათ შორის დაწინაუ-
რებული, პრივილეგირებული პირები.

ყურადღებას იმსახურებს ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ
დაბლაგომიდან ორიოდე კმ-ის დაცილებით, ნასაკირევის ბორცვის
ჩრდილოეთით, ე. წ. ნასაყდრევის ბორცვის ნამოსახლარ, ბათქაშებიან
ფენაში მოპოვებულ იქნა თიხისაგან ნაძერწი ზოომორფული ქანდა-
კებების ფრაგმენტები. ამ მცირე სკულპტურულ გამოსახულებებს,
რომელნიც წინაანტიკური ხანით (ძვ. წ. VIII—VII სს.) თარიღდებიან,
განსაკუთრებული საკულტო-სარიტუალო დანიშნულება ჰქონდათ.
ასეთივე საკულტო-სარიტუალო დანიშნულება უნდა ჰქონოდათ სხვა
ნივთებსაც: ორი ცხოველის თავის სქემატურ გამოსახულებას, მინი-
ატურულ კოლხურ ბრინჯაოს ცულებს, რომელთა ყალიბიც იქნა გა-
მოვლენილი ბათქაშიან ფენაში, ასევე ამ ფენის ქვეშ აღმოჩენილ-
ბრინჯაოს მინიატურულ შუბისპირს[67].

როგორც ვხედავთ, დაბლაგომის მიდამოებში ბორცვებზე აღმოჩე-
ნილ მთელ ზემოთ განხილულ მასალას განსაკუთრებული მნიშვნელობა
აქვს ადრეელინისტური ხანისა და მისი წინა პერიოდის ვანის ქვეყ-
ნის საზოგადოების სოციალური სურათის აღსადგენად. უდავოა, რომ
ამ დროს დაბლაგომის მოსახლეობაში უკვე გამოყოფილი არიან ჭო-
ნებრივად დაწინაურებული, პრივილეგირებული პირნი, რომელნიც,
ერთი მხრივ, გარკვეულ ურთიერთმიმართებაში რჩებიან რიგიო
მეთემეებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკურად მჭიდროდ არიან
დაკავშირებული ელინისტურ სამყაროსთან, განიცდიან ელინისტური
კულტურის ძლიერ გავლენას, რაც, ძირითადად, სინოპესა და რო-

---

66 Б. А. К у ф т и н. Материалы к археологии Колхиды. II. 1950, გვ. 2.
ბ. კუფტინს დაცული აქვს გადმოცემა აქ აღმოჩენილი ოქროს ნივთის შესახებაც.
აღწერილობის მიხედვით, ეს ნივთი რამდენადმე მოგვაგონებს ვანში გათხრილ
კოლხი მეომრის სამარხში აღმოჩენილ თავსაბურავს — „ჯაჭვით გადაბმული მუზარა-
დიანი მხედრები“ (ვ. თოლორდავა. დასახ. ნაშრ., გვ. 71).

67 ე. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 79, 80; Б. А. К у ф т и н. დასახ.
ნაშრ., გვ. 176, 177.

დოსთან კონტაქტების მეშვეობით ხორციელდება (გასათვალისწინებელია, რომ კრამიტს საფლავის გადასახურავად იყენებდნენ როდოსზე, ათენში, სამოსზე და სხვ[68]. დაბლაგომის სამარხიც იმპორტული სინოპური კრამიტით არის გადახურული).

ყველაფერი ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ თუმცა კრამიტით გადახურულ სამარხში დაკრძალული ძვირფასი ნივთების მფლობელი რიგით მეთემეთა შორის დაწინაურებული პირია, მაგრამ მას არ გაუწყვეტია კავშირი იმ თემთან, რომელსაც ქვევრში დაკრძალული რიგითი მეთემეები ეკუთვნიან. როგორც ჩანს, ეს დაწინაურებული პირი, მიუხედავად თავისი ქონებრივი აღზევებისა, ამ თემებისაგან არ იყო სოციალურად ჯერ კიდევ საბოლოოდ გამოყოფილი. ამაზეც უნდა მიუთითებდეს ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ როგორც ეს დაწინაურებული პირი, ისე ქვევრსამარხთა მფლობელი მეთემეები ძველი საკულტო კერების მახლობლად იკრძალებიან[69], რაც, ჩვენი აზრით, იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ეს პირი, ისევე როგორც მის მეზობლად დაკრძალული რიგითი მეთემეები, ტაძართან იყვნენ დაკავშირებულნი. ეს სავსებით გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ იმ გარემოებასაც, რომ დაბლაგომის ტერიტორია ვანის ქვეყნის შემადგენლობაში შედიოდა და ამდენად ეს მიწებიც, უთუოდ, ვანის ხატის კუთვნილ მამულებად ითვლებოდა.

დაბლაგომის მდიდრულ სამარხში დაკრძალული პირი რომ ტაძართან გარკვეულ კავშირში იმყოფებოდა და სხვა საქმიანობასთან ერთად, საკულტო ფუნქციასაც ასრულებდა, ამაზე ნათლად მეტყველებს მისთვის სამარხში დიდი რაოდენობით ჩატანებული რკინის შუბისპირები, რომელთაც (ისევე როგორც დედატოსის სამარხში მოთავსებულ შუბისპირებს) წმინდა სარიტუალო დანიშნულება ჰქონდათ. საკრალური მნიშვნელობით იყო ჩატანებული სამარხში სოლარული ნიშნებით — წვრილი რელიეფური წრეხაზებით — შემკული ბრინჯაოს სარკე, ბრინჯაოს ზარაკი და აგრეთვე, ხელების რიტუალური განბანვისათვის განკუთვნილი ვერცხლის პატერა და ოინოხოია.

---

68 ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა. მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან, გვ. 74.

69 ასევე საკულტო-სარიტუალო ფუნქცია უნდა ჰქონოდა გვიანბრინჯაოს ხანაში ნასაყდრევის გორას, რომელიც ნასაკირევის ბორცვის ჩრდილოეთ გაგრძელებას, მის უმაღლეს წერტილს წარმოადგენს (ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში. გვ. 80).

ელინისტური ხანის დაბლაგომში საკრალურ რიტუალებში მონაწილეობდნენ, როგორც ჩანს, ქვევრებში დაკრძალული რიგითი მეთემეებიც.

ამას გვაფიქრებინებს № 4 ქვევრსამარხის ინვენტარი, რომელიც უჩვეულოდ მდიდარია სხვა ქვევრსამარხებთან შედარებით და ამასთან, შეიცავს მკვეთრად გამოხატულ სარიტუალო ნივთებს: საკისრე რგოლს და სფეროსებურკორპუსიან სანელსაცხებლეს. ასეთივე აზრს ბადებს № 16 ქვევრსამარხი, რომლის გვერდით, პირდაპირ მიწაში დაკრძალული იყო კიდევ ერთი ჩონჩხი (ალბათ, მსხვერპლად შეწირული ადამიანისა)[70].

ამრიგად, დაბლაგომის მასალის განხილვას ჩვენ იმ დასკვნისკენ მივყევართ, რომ ჯერ კიდევ წინაანტიკურ ხანაში, დაბლაგომის მიწაზე სახლობს სასოფლო-სატაძრო თემი, რომელიც ვანის საკულტო ცენტრის გარშემო გაერთიანებული თემების ნაწილს შეადგენს. ადრეანტიკური ხანიდან ამ მიწაზე ინტენსიურად ვითარდება მევენახეობა-მეღვინეობა; მეურნეობის ამ დარგის ფართოდ დანერგვა მნიშვნელოვან ძვრებს იწვევს მეთემე-მიწათმოქმედთა სამეურნეო ცხოვრებაში. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ძვ. წ. IV ს-ის ბოლო მეოთხედისათვის ხსენებულ მეთემეთა შორის ჩნდებიან ქონებრივად დაწინაურებული პირები, რომელნიც ფართოდ მისდევენ მევენახეობა-მეღვინეობას და ამავე დროს, როგორც ჩანს, უმთავრესად სინოპელი ვაჭრების მეშვეობით, ჩაბმული არიან ეკონომიკურ ურთიერთობებში ელინისტური სამყაროს უმნიშვნელოვანეს ცენტრებთან (როდოსთან და სხვ.), რადგან დადგენილია, რომ აღებულ ხანაში კოლხეთის საგარეო ეკონომიკურ კონტაქტებს სწორედ სინოპე წარმართავს.

მაგრამ თავიანთი ქონებრივი დაწინაურების მიუხედავად, ეს პირნი, სოციალურად მაინც, საბოლოოდ არ არიან გამოყოფილი რიგით მეთემეთა კოლექტივისაგან. აქ ჯერ კიდევ არ მომხდარა მკვეთრი სოციალური გამიჯვნა ქონებრივად აღზევებული ფენისა და საშუალო შრეების მეთემეთა შორის. სტრატიფიკაციის ასეთი ფორმა ადრეულ ხანაში (სახელდობრ, ძვ. წ. V ს-ის დასაწყისიდან) სავარაუდებელია მხოლოდ ვანის საკულტო ცენტრის უმაღლეს თეოკრატიულ ხელისუფალთა წრეში, ამ ზედაფენის წარმოქმნის დროს, როდესაც ქვეყნის

---

70 ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970—71 წლებში. — ვანი. II. გვ. 52, 57, 58.

რელიგიურ-პოლიტიკური ცენტრების სათავეში მდგომ არისტოკრატ-
ულ საგვარეულოს ცალკეულ წარმომადგენლებს სამეფო ხელისუ-
ლების მიერ ეკისრებათ ადმინისტრაციული გამგებლის ფუნქციე-
შესრულება, რის შედეგად ჩნდება ტენდენცია ამ საქვეყნო გამ-
ბელთა ანუ სკეპტუხთა მეფის დასაყრდენ მსახურეულ ზედაფენ-
გადაქცევისა. მაგრამ ეს ტენდენცია დროებითი იყო და კოლხეთის
მეფო ხელისუფლების დასუსტების შემდეგ, ელინიზმის ეპოქაში,
აღარ განვითარებულა. თუმცა ადრეულ ხანაში (ძვ. წ. VI—IV სს.)
ნისა და საირხის ცენტრების ირგვლივ მდებარე „ქვეყნების“ კოლ-
თის სახელმწიფოს ადმინისტრაციულ სისტემაში შეყვანამ დიდი რო-
ლი შეასრულა ამ პირთა სოციალურ აღზევებასა და ტაძრის სასო-
ლო ტერიტორიაზე მოსახლე მეთემეთაგან ამ ზედაფენის საბოლო-
გამოყოფაში.

აქ, დაბლაგომში კი ქონებრივ-სოციალური დიფერენციაცი-
პროცესი თემის ფარგლებში ვითარდება და საკმაოდ დიდი ხნის მა-
ძილზე ამ ფარგლებს არ სცილდება.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ანალოგიური სურათი გვე-
ტება საჩხერის სანახებში არსებულ სკეპტუხიასა და მის რელიგიურ-
პოლიტიკურ ცენტრში, რომელიც საირხეში, საბადურის გორაზე მდ-
ბარეობდა. ძვ. წ. V—IV სს. აქაც შეინიშნება მკვეთრი სოციალური
დაყოფა უზენაეს ხელისუფალთა საგვარეულოსა და რიგით მეთემეთ-
შორის, ხოლო რაც შეეხება საირხის ქვეყანაში (სკეპტუხიაში) შემ-
ვალ თემებს, ცენტრებით — ითხვისი, შრომისუბანი და სხვა, აქ
ჩანს დაწინაურებული თემის წევრების მკვეთრი სოციალური გამოყო-
ფა რიგით მეთემეთაგან. ამას ადასტურებს სოფ. ითხვისთან, საშუ-
ლო შეძლების საზოგადოების წარმომადგენელთა სამარხების მახლო-
ლად გათხრილი სამარხები, რომლებიც პრივილეგირებულ პირებ-
უნდა ეკუთვნოდეს. ეს პირნი, დაბლაგომის წარჩინებულის ანალო-
გიურად, ჩანს, თემის შიგნით საკულტო ფუნქციებსაც ასრულებდნენ,
რაზედაც ნათლად მეტყველებს ერთ-ერთი მათგანის სამარხში (№ 2)
აღმოჩენილი რკინისა და ვერცხლის შდანდარტები — სათემო ხატ-
დროშის ნაწილები, აგრეთვე მოკლე შუბისპირები და ისრისპირები.
ზემოთქმულის თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს იმავე სოფ.
ითხვისის მახლობლად, ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე შემთხვევით
აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსიც, რომელიც, სხვა ნივთებთან
ერთად, შეიცავდა ისრისპირებს (სულ 10 ცალია), ვერცხლის სასმისს

ტარა სფერული მუცლით, ომფალოსიან ვერცხლის ფიალას, შემ-
კულს დაჭდეულ ფურცლიანი ვარდულებით (მზის სიმბოლოებით) და,
რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ვერცხლის დიადემას, რომელზე-
დაც ასევე მზის სიმბოლოები (წერტილების წრე ბორჯღალისებური
ხიტვებით) არის გამოსახული[71].

ამრიგად, როგორც ზემოთ მოტანილი მასალის განხილვამ გვიჩ-
ვენა, კოლხეთის შუაგულ და აღმოსავლეთ რეგიონებში სატაძრო მი-
წებზე მოსახლე თემებში ძვ. წ. V—III სს. რთული, ორმხრივი პრო-
ცესი შეინიშნება.

ერთი მხრივ, ნათლად ჩანს ამ მამულებზე მსხდომ მეთემეთა მო-
ნაწილეობა სავაჭრო-ფულად ურთიერთობებში, რაზედაც მეტყველებს
ბრონზის გაყოლებით, მის მიმდებარე ტერიტორიაზე კოლხური მონე-
ტების აღმოჩენა როგორც ქვევრსამარხებში, ისე განძების სახით.
ამავე დროს, უდავოა ამ ფენის ინტენსიურად დასაქმება მევენახეობა-
მეღვინეობაში. მეთემეთა მიწებზე მეურნეობის ამ დარგის ფართოდ
დანერგვა კი, ბუნებრივია, გულისხმობს დიდ ძვრებს აღნიშნული სა-
ზოგადოების ცხოვრებაში. ვენახის მოვლა-მოშენება, რომელიც ხანგ-
რძლივ შრომას მოითხოვდა, მძლავრი სტიმული იყო საზოგადოების
ამ ფენაშიც კერძო საკუთრების, სოციალური უთანასწორობის გან-
ვითარებისათვის[72].

ყველაფერ ამას, მართლაც, თან სდევდა მეთემეთა გარკვეული
ნაწილის დაწინაურება, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. მაგ-
რამ, მეორე მხრივ, თემის დაშლას გარკვეულ დაბრკოლებას უქმნიდ-
ის გარემოება, რომ მიწა, რომლის ნაკვეთსაც მეთემე ამუშავებდ-
ღვთაების — ხატის — საკუთრებად ითვლებოდა. ტაძრის მიწა ფორ-
მალურად ღმერთს ეკუთვნოდა, თემი იყო მისი მფლობელი. ხატის კუ-
თვნილი მიწის ნაკვეთის დამუშავების უფლებით მეთემეები ძველთა-
განვე სარგებლობდნენ, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ისინი თავის
სამლოცველოს გარშემო იყვნენ შემოკრებილი და გაერთიანებული.
ამიტომ არის, რომ ამ მეთემეებს ძველ საქართველოში „ხატის ყმებს“,

---

71 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე. ითხვისის სამარხი — აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXV-B, 1968, გვ. 31—37.

72 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღი-
ურიდან. — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. I. თბ., 1960, გვ.
102; ი. კ ი კ ვ ი ძ ე. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართვე-
ლოში, გვ. 116.

ანუ „ჯვარის ყმებს“ უწოდებდნენ. რაც შეეხება თემის შიგნით ეკ-
ნომიკურად დაწინაურებულ პირებს, მართალია, ამ პირთა გამოყო-
თემის დანარჩენი წევრებისგან ელინისტური ხანისათვის უკვე საკმაო-
შორს იყო წასული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თემის ეს ქონებრივ-
აღზევებული ზედაფენა ცხოვრობდა და იკრძალებოდა რიგითი მეთ-
მეების გვერდით, მათთან ერთად ასრულებდა გარკვეულ ფუნქციებ-
ხატის წინაშე, მონაწილეობდა მისთვის განკუთვნილ საწესო რიტუ-
ლებში, მტკიცედ ინახავდა ოდითგანვე დადგენილ თემურ ტრადიც-
ებს, რწმენა-წარმოდგენებს.

ერთ-ერთი რიტუალი, რომელშიც მონაწილეობდა მთელი თემ-
(ან ხევი) და რომლის დროსაც ხდებოდა ღვთაებისთვის, ხატისთვ-
ტაძრის დღესასწაულზე წმინდა სასმელის — ღვინის, ანუ ზედაშეს
შეწირვა, მეოცე საუკუნემდე შემოინახა საქართველოს სხვადასხვ-
კუთხეში. ყველაზე მნიშვნელოვანი ზედაშეს შეწირვის რიტუალში
იყო, რომ შესაწირავი ღვინო კოლექტიურად მზადდებოდა საგვარეულ-
ლო და სასოფლო ხატის ვენახებიდან, ან იმ სატაძრო ვენახებიდ-
მოწეული ყურძნისაგან, რომლებიც გვარებისა და სოფლების საერთ-
სარგებლობაში იმყოფებოდა და კოლექტიურად მუშავდებოდა[73].

აღნიშნული ეთნოგრაფიული ფაქტი იმის პირდაპირი მაუწყებ-
ლია, რომ ძველად მიწა, რომელზედაც ვენახები შენდებოდა, ხატ-
კუთვნილებად ითვლებოდა[74] და აღნიშნული მიწის დამუშავებაში
ხატის გარშემო გაერთიანებული მთელი თემი იღებდა მონაწილეობ-
ას; ამ მამულებზე გაშენებული ვენახებიდან მოწეული ყურძნისგ-
დაყენებული ღვინის შეწირვაც ღვთაებისთვის მთელი თემის სახელ-
ხდებოდა. ზედაშეს წესის ასე მყარად შემონახვა და შემორჩენა დ-
სავლურ-ქართულ ყოფაში იმის მანიშნებელია, რომ თავდაპირველ-
უთუოდ, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, ღვთაებისათვის კუთვნილი მ-
წის და აქ გაშენებული ვენახების დამუშავება ხატის მთელი საყმ-
მოვალეობად ითვლებოდა და მის მიერვე ხორციელდებოდა. შემდეგ-
ში ვაზი, მისი ფართოდ დანერგვის კვალდაკვალ, გამოდის ხატ-
მფარველობიდან და უკვე ინდივიდუალურ მფლობელობაშიც ექცევ-
სასაქონლო დანიშნულებასაც, უთუოდ, ამ დროიდან (ელინისტურ-

[73] იხ. В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, გვ. 66—68.

[74] ი. კიკვიძე. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, გვ. 116.

ხანიდან) იძენს. აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ იმ მი-
წებზე, სადაც ტაძრის გავლენა ძლიერი იყო, სწორედ ამ ხანისთვის,
ძალიან უნდა ეჩინა თავი, ერთი მხრივ, კერძო, ინდივიდუალური
ინტერესების, ხოლო, მეორე მხრივ, თემის მიერ ღვთაების მსახურე-
ბისათვის დაწესებულ ვალდებულებათა შესრულების ტრადიციის და-
პირისპირებას.

ცენტრალური კოლხეთის სატაძრო თემებში, ადრეელინისტური
ხანისათვის, ამ ორმხრივი პროცესების განვითარების შესახებ
მეტად საგულისხმო მონაცემებს შეიცავს ვანში აღმოჩენილი ბერძნუ-
ლი წარწერაც, რომელიც წარმოადგენს საკანონმდებლო დოკუმენტს,
საფიქრებელია, დადგენილებას გარკვეული სარიტუალო წესების ჩა-
თვლით[75]. წარწერაში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს სი-
ტყვა „ქალები“, რომლებიც „ყველა დანარჩენთაგან“ გამოყოფით,
მათგან ცალკე და მათზე წინ არიან მოხსენიებული, რაც შემთხვევითი
არ უნდა იყოს და, უთუოდ, იმის მანიშნებელია, რომ ეს „ქალები“,
„ყველა დანარჩენთაგან“ განსხვავებით, ვანის — ძველი ქალაქის —
(სურის) — საზოგადოების უფრო მაღალ[76], სახელდობრ, სატაძრ-
კოლექტივის დაწინაურებულ ფენას ეკუთვნოდნენ. სოციალური კი-
ბის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ, როგორც ჩანს, წარწე-
რაში ამ „ქალების“ წინ დასახელებული პირები (მამაკაცები?).

ამრიგად, ვანის წარწერის მიხედვით, ადრეელინისტური ხანის
ვანის კოლექტივი საკმაოდ დიფერენცირებულ, სხვადასხვა ფენები-
საგან შემდგარ საზოგადოებად წარმოგვიდგება. მიუხედავად ამისა,
წარწერაში იმის საგანგებოდ აღნიშვნა, რომ მთელ რიგ საკრალურ
წესებს მკაცრად უნდა მისდიოს სატაძრო კოლექტივის ყველა წევრმა,
ამასთან, თვით ფაქტი ასეთი საგანგებო დადგენილების შედგენისა და
წარწერის სახით მისი აღმართვისა არაპირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე,
რომ ვანის სატაძრო ორგანიზაცია ცდილობს სურის (ვანის) სატაძრო
კოლექტივში ადრეარსებული ვითარების შენარჩუნებას, ძველი სარი-
ტუალო წესების დაცვით მის სტაბილიზაციას.

[75] წარწერა ბრინჯაოს ფილაზეა გაკეთებული. იგი შეისწავლა და გამოსცა თ. ყაუხჩიშვილმა. მანვე, წარწერიდან შემორჩენილი სიტყვებისა და წინადადებების ცალკეული ნაწყვეტების მიხედვით, წარმოადგინა ტექსტის განმარტება და დათარიღება (ძვ. წ. IV—III სს.). იხ. მისი. ვანის ახლადაღმოჩენილი ბერძნული წარწერა, — ქართული წყაროთმცოდნეობა. VII. თბ., 1987, გვ. 131—142.

[76] თ. ყაუხჩიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 131—142.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ბორკავდა და აფერხებდა კ[illegible] ხეთის შიდა რეგიონებში არსებული სატაძრო თემების დაშლას, [illegible] თვისაც, ჯერ კიდევ წინაელინისტურ ხანაში, ქვეყნის მძლავრი [illegible] ნომიკური განვითარების წყალობით, ყველა პირობა არსებობდა. [illegible] ტაძრო ორგანიზაციის ზემოქმედების მიუხედავად, გვიანელინისტ[illegible] ხანაში, ვანის ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მაინც წინ მ[illegible] სატაძრო თემების დაშლის პროცესი, მეთემეთაგან გამოყოფა სიმ[illegible] რით გამორჩეული პირებისა, რომელნიც, ისევე როგორც მცირე[illegible] ული კომანას სატაძრო მოსახლეობის შეძლებული ნაწილი, ქალ[illegible] ფუფუნებით ცხოვრობენ, ხოლო მათ ნაკვეთებზე ვენახებია გაშენებ[illegible] ლი. ელინისტური ხანის დასასრულს, სატაძრო ცენტრები კოლხეთ[illegible] ისევე როგორც მათი „ქვეყნები“, სრულ დაცემას განიცდიან.

აქვე გვინდა შევეხოთ, საერთოდ, ქვევრსამარხთა წარმომავლობ[illegible] საკითხს, რადგან მისი გადაჭრა მჭიდროდ არის დაკავშირებული მ[illegible] მფლობელი საზოგადოების სოციალური ბუნების შესწავლასთან. [illegible] მეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხის თაობაზე არ არსებობს ერთ[illegible] ანი აზრი, მიუხედავად იმისა, რომ ქვევრში ადამიანის დაკრძალ[illegible] წესის წარმოქმნისა და საქართველოში მისი გავრცელების შესახ[illegible] არაერთი ნაშრომია დაწერილი.

დადგენილია, რომ ჩვენთვის საინტერესო ეს წესი კოლხეთ[illegible] პირველად ჩნდება „ვანის ქვეყანაში“, სწორედ დაბლაგომში (ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან); მომდევნო ხანაში ეს წესი ვრცელდებ[illegible] რიონ-სუფსის ორმდინარეთში, რომელიც უშუალოდ ემიჯნება „ვანის ქვეყანას“ სამხრეთიდან. ოდნავ დაგვიანებით, ეს ჩვეულება მტკიცდ[illegible] იკიდებს ფეხს „ქუთაისის ქვეყანაში“ და, აგრეთვე, თავს იჩენს მ[illegible] ტეხურის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნოქალაქევი). გვიანელინისტურ[illegible] ხანაში ქვევრსამარხები უფრო ფართო ტერიტორიაზე დასტურდება [illegible] აღმოსავლეთისკენ საჩხერემდე[77].

ქვევრსამარხების წარმომავლობის საკითხის შესწავლისათვის ჩვენი აზრით, უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, თუ სად, რა ვითარებაში და რა სოციალურ გარემოში ჩაისახა და განვითარდა დაკრძალვის ეს წესი პირველად.

დაბლაგომის მასალის კვლევამ ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ქვევრში დაკრძალვის წესი თავდაპირველად ჩნდება მნიშვნე-

---

[77] ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, გვ 6.

[illegible] საკულტო ცენტრების სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, სახა- [illegible] ებზე, რომლებზე მსხდომ მეთემეებში ღვინო, როგორც [illegible] სასმელი, ადრიდანვე დიდ როლს ასრულებდა ღვთაებისათვის [illegible] ულ რიტუალში.

[illegible] ადგენ, რამდენადაც ვაზის მთავარ მფლობელად და მფარვე- [illegible] ადრიდანვე ღვთაება (ხატი) გამოდის დ მისგან დაყენებული ღვი- [illegible] პირველად ამ ღვთაებას ხმარდება, იქმნება ვენახის (ვაზის) [illegible] ამასთან ერთად, თაყვანისცემის საგნად და სალოცავ ადგი- [illegible] ალ[illegible] ეა მარანი და ჭური (ქვევრი). სადაც წმინდა სასმელი—ღვ- [illegible] ინახება. მარანთან და ჭურთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები [illegible] კულტის ორგანულ ნაწილს შეადგენდა. როგორც ს. მაკალათია [illegible] ცემს, „ლაგვანი საზედაშე ქვევრია, რომელსაც მეგრელები [illegible] ურს (სალოცავს) უწოდებდნენ. ეს ქვევრები ჩაფლული იყო [illegible] , რომელიც აქ ასრულებდა სამლოცველოს, ეკლესიის [illegible][78].

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, სამეგრელოში ღმერთის [illegible] ირავი ღვინის შესანახად იგებოდა საგანგებო შენობები, რომ- [illegible] ც სამლოცველოების დანიშნულება ჰქონდათ[79].

[illegible] ერეთში მარანი ანუ ჭურისთავი წმიდათაწმიდა ადგილი იყო, [illegible] ც სხვადასხვა წმინდანისა და დღეობის სახელზე განკუთვნილი [illegible] ემარხა თითოეულ ასეთ ჭურს თავისი სახელი ჰქონდა. სამეგ- [illegible] ში[illegible] დადასტურებულია მეტად საყურადღებო ნაგებობები, [illegible] ებში ჩაფლულ ჭურებშიც მხოლოდ სხვადასხვა ღვთაებისადმი [illegible] ული ღვინო (ზედაშეები) ინახებოდა[80].

[illegible] ის გარემოება, რომ ვაზის და ვენახის კულტში და ღვთისადმი [illegible] ის შეწირვის რიტუალში, ძველადვე, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭი- [illegible] ქვევრს, გარდა ეთნოგრაფიული მონაცემებისა, დასტურდება არ- [illegible] ოგიური მასალით, სახელდობრ, დასავლეთ საქართველოს არა-

---

[78] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, [illegible] 318.

[79] ნ. თ ო ფ უ რ ი ა. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან. თბ., [illegible], გვ. 34—36. დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელია ღია მარნებიც, [illegible], ეზოში ჩაყრილი უამრავი ქვევრები შეიძლება უფრო ადრეული ტრადიცი- [illegible] ად მივიჩნიოთ. ღია მარანი ქართლისა და კახეთისთვისაც ერთ-ერთ [illegible] ეს ტიპად უნდა იქნეს მიჩნეული (ნ. თ ო ფ უ რ ი ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 20).

[80] ნ. თ ო ფ უ რ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 35.

ერთ ადგილას აღმოჩენილი ქვევრებით (პითოსებით), რომლებიც შ[illegible]
კულია სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურებით, სვასტიკებით, ფრ[illegible]
ველთა (მამლის) და ცხოველთა (ცხენის, ირმისა და მგელძაღლ[illegible]
გამოსახულებებით. ეს გამოსახულებები ნაყოფიერების ღვთაებისა [illegible]
სოლარული კულტების წრეს განეკუთვნებიან და ამდენად, ძვ[illegible]
კოლხების რწმენა-წარმოდგენებს უნდა გამოხატავდნენ[81]. აღნიშნულ[illegible]
გვაფიქრებინებს, რომ სოლარული სიმბოლოებით შემკულ ამ ქვ[illegible]
რებს გარკვეული საკულტო-სარიტუალო დანიშნულება უნდა ჰქ[illegible]
ნოდათ. სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთ ქვევრებში თავდაპირ[illegible]
ლად ინახავდნენ ღვთაებისათვის შესაწირავად აღთქმულ ღვინოს [illegible]
ზედაშეს. ქვევრების სარიტუალო მიზნით დამზადებასა და გამო[illegible]
ნებაზე მიგვითითებს სხვა მასალაც; კერძოდ, დაბლაგომსა, დაფნარ[illegible]
და სუფსა-ნატანების აუზში აღმოჩენილ ქვევრებზე ყელის ქვემო[illegible]
მხარზე, გამოწვამდე დატანილი ასო-ნიშნებიც[82] (რომელთა დანიშნ[illegible]
ლებაზე ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი).

მთელი ზემოთ მოტანილი მასალის განხილვა საფუძველს გვ[illegible]
ლევს ვივარაუდოთ, რომ მიცვალებულის ქვევრში დაკრძალვის იდ[illegible]
ჩაისახა სატაძრო მიწებზე მსხდომი საზოგადოების იმ ფენაში, რომ[illegible]
ლიც მისდევდა მევენახეობა-მეღვინეობას, უშუალოდ მონაწილეობ[illegible]
ღვთაებისათვის ღვინის შეწირვის რიტუალებში, ამასთან, თვითო[illegible]
აყენებდა ამ შესაწირავ სასმელს და ინახავდა სპეციალურად საამისო[illegible]
დამზადებულ ქვევრებში. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ, ღვთ[illegible]
ების მსახურებაში მყოფი ასეთი მევენახის — სატაძრო მეთემის [illegible]
გარდაცვალების შემდეგ, ვაზისა და ვენახის კულტთან დაკავშირებ[illegible]
ლი ეს ჭურჭელი — ქვევრი — გამოეყენებინათ მისი დაკრძალვის რი[illegible]
ტუალშიც, როგორც სამარხი.

---

81 ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. კოლხური ქვევრი. — სდსძ. V, თბ., 1975, გვ. 100—105.

82 ვ. ლ ი ჩ ე ლ ი. დაბლაგომური ასო-ნიშნები.—„მაცნე“, ისტორიის სერია, 1989, № 4, გვ. 30—43.

ნ. კ ი ღ ო რ ა ძ ი ს ვარაუდით, პითოსის, ქვევრის დასამარხ კუბოდ გამოყენების იდეის წარმოქმნას, უთუოდ, ხელს უწყობდა ბუნების აღორძინებასთან დაკავშირებული ადგილობრივი კოლხური რელიგიური წარმოდგენები. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც ვარაუდობს, რომ ქვევრში დამარხვაში ჩადებულია ბუნების განახლების, დაბადებისა და სიკვდილის ერთიანობის იდეა, რომელიც მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ნაყოფიერების კულტთან (იხ. Н. К и г у р а д з е დასახ. ნაშრ., გვ. 45), ხოლო თვით სამარხად გამოყენებული ქვევრი, როგორც ვარაუდობენ, საშვილოსნოს, საშოს იმიტაციას წარმოადგენდა.

ამ თვალსაზრისით, მეტად საგულისხმოდ გვეჩვენება ის ფაქტიც, [illegible] აღმოსავლეთ საქართველოში ქვევრსამარხები პირველად ჩნდება [illegible] ჩ. IV ს-ის მეორე ნახევარში, თუ შუახანებიდან ციხია-გორას ტე[illegible]ტორიაზე[83], სადაც არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილია მნი[illegible]ველოვანი სატაძრო ცენტრი, დიდი მასშტაბის სამეურნეო ნაგებო[illegible]ებით და მრავალი ქვევრით[84]. ჩანს, ღვინო და ქვევრები ციხია-გორა[illegible]ზე აგრეთვე დიდ როლს ასრულებდა ამ ტაძრის კუთვნილ მიწებზე [illegible]სხდომ მეთემეთა სამეურნეო ცხოვრებაში, ისევე როგორც მათ რე[illegible]ლიგიურ წარმოდგენებსა და დაკრძალვის რიტუალში[85].

დიდი სატაძრო ცენტრების კუთვნილ მიწებზე მსხდომ საზოგადოებაში, მევენახე-მეთემის ქვევრში დაკრძალვის იდეის ჩასახვის კვალდაკვალ, ჩვეულებად ჩამოყალიბებული ეს წესი, უფრო მოგვიანებით, ფართოდ ვრცელდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ზოგიერთ ისეთ მევენახე-მეთემეთა მიწებზეც, რომლებიც, შესაძლოა, ტაძარს არც ეკუთვნოდნენ.

ქვევრსამარხების აღმოცენების და გავრცელების ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივად გვეჩვენება ის ფაქტიც, რომ, ქართლისაგან განსხვავებით, შიდა კოლხეთისათვის მიცვალებულის ქვევრში დამარხვა გაბატონებული წესია დაკრძალვისა მთელ ელინისტურ ხანაში, რაც, უთუოდ, მეტყველებს სატაძრო მეურნეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე კოლხეთში. საგულისხმოა ისიც, რომ უფრო გვიან, ელინისტური ხანის დასასრულიდან, ეს წესი ფართოდ ვრცელდება კახეთსა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე, რომლებზედაც, ჩანს, ქართლისგან განსხვავებით, სატაძრო ცენტრებსა და მათ თემებს დიდი მიწები ჰქონდათ განკუთვნილი[86]. როგორც სტრაბონის ცნობებიდან ირკვევა, ამ მხარის მოსახ-

---

83 ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა. დაკრძალვის წესები..., გვ. 43, 44.

84 Г. Ц к и т и ш в и л и. Результаты работ на Цихиа-гора (1971—1974 гг. —КС. 151. 1977, с. 87—92.

85 ადრეულ ქვევრსამარხებს აღმოსავლეთ საქართველოდან მიაკუთვნებენ თეთრიწყაროს მიდამოებში გამოვლენილ ქვევრსამარხებსაც, მაგრამ ამ სამარხებიდან მომდინარე მასალა იმდენად უსახურია და ცუდად დაცული, რომ კატეგორიული დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა (ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა. დასახ. ნაშრ., გვ. 44).

86 საერთოდ, კახეთში ტაძარს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. თეოკრატიული მმართველობა აქ უფრო რელიეფურად ჩანს, ვიდრე ქართლში, სადაც ხელისუფალნი, შემდგომი ერისთავნი და ერისმთავარნი, თუმც ტაძარზე დაყრდნობით, მაგრამ

ლეობა, სწორედ ძვ. წ. I — ახ. წ. I სს, ფართოდ მისდევდა მევენახეობა-მეღვინეობას და მონაწილეობდა საკრალური რიტუალების შესრულებაში. გავიხსენოთ სტრაბონის ცნობა იბერიის საზღვართან, ალბანიაში არსებულ მთვარის დიდ სამლოცველოსა და მის მიწაზე მსხდომ ჰიეროდულების გაერთიანებაში ჩატარებული რიტუალების შესახებ[87].

ამრიგად, ზემოთ განხილული მასალის კვლევა-ძიება გვაფიქრებინებს, რომ ქვევრებში მიცვალებულთა დაკრძალვის წესი უფრო სოციალურ და რელიგიურ-საკულტო ნიადაგზე უნდა წარმოქმნილიყო, ვიდრე მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებიდან კოლხეთისა და ქართლის მიწა-წყალზე გადმოსახლებულ მესხთა მიერ მისი გადმოტანის შედეგად[88].

ქვევრსამარხების წარმოქმნის სათავეებისა და სატაძრო თემებთან მათი დაკავშირების საკითხის კვლევა მოითხოვს შევეხოთ ჰიეროდულიის ინსტიტუტს, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მცირე აზიისა და სომხეთის თეოკრატიულ გაერთიანებებში; ეს მით უფრო აუცილებელია, რომ, როგორც ზემოთ დავინახეთ, კოლხეთის სატაძრო ცენტრები, თავისი ორგანიზაციული ფორმებით, გარკვეულ მსგავსებას ავლენენ მათთან. მაგრამ, ვიდრე ამ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი ყურადღება შევაჩეროთ ქვევრსამარხებში დაკრძალულთა სოციალური სტატუსის განმსაზღვრელ კიდევ ერთ მომენტზე. სახელდობრ, სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია დგას საკითხი, თუ რატომ არ აღმოჩენილა კოლხეთისა და ქართლის არც ერთ ქვევრსამარხში იარაღ-საჭურველი. სადღეისოდ ჩვენ ყველაზე მართებულად გვეჩვენება ამ ფაქტის ახსნასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად, სამარხეული ინვენტარის გამარტივების (ინვენტარიდან იარაღ-საჭურველისა და სამეურნეო დანიშნულების ნივთების გაქრობა) შედეგია გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ძვრებისა, რასაც თან სდევდა კერძო საკუთრებისა და მემკვიდრეობის ინსტიტუტის შემდგომი განმტკიცება.

სამეცნიერო ლიტერატურაში, არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე, დადგენილია, რომ პროგრესულად განვითარებად საზოგადოებაში შეინიშნება სამარხეული ინვენტარის მინიმუმამდე დაყვანის ტენდენცია, რადგან ოჯახის ქონება უკვე განიხილებოდა როგორც საქონელი და სიმდიდრე, და ამიტომ მას ახლა ნაკლები ხალისით ატანდნენ მიცვალებულს[89].

ზემოაღნიშნული უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქვევრში დაკრძალული მევენახე-მიწათმოქმედი მეომარიც იყო და ამრიგად, ამ ფენის სახით საზოგადოების იმ სოციალურ კატეგორიასთან გვაქვს საქმე, რომელიც სტრაბონს იბერიის საზოგადოების სტრუქტურის აღწერილობაში მესამე გენოსად ჰყავს წარმოდგენილი. მესამე გენოსში, როგორც ვიცით, სტრაბონი იხსენიებს მიწათმოქმედებსა და მეომრებს, ეს არის ქართული საისტორიო წყაროების ერი.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავისუფალი მეთემის მოლაშქრეობა ძველთაგანვე მიღებული წესი იყო საქართველოში. ეს ჯერ კიდევ იმდროინდელი წესია, როდესაც მწარმოებელი საზოგადოების კომლებად (სრულ ფუძეებად) დაყოფა უკვე მომხდარი ფაქტია, მაგრამ თემი ჯერ კიდევ არ არის დაშლილი, როცა მოლაშქრე იყო ერისგანი, ეროვანი[90].

ამრიგად, ჩვენ იმ მოსაზრებისკენ ვიხრებით, რომ საზოგადოების რიგით, ანუ საშუალო შეძლების წევრებს ქვეყნის დაცვაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა; მაგრამ იარაღით დაკრძალვის უფლება არ ჰქონდათ, რადგან იარაღი მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. პრივილეგია შეიძლებოდა ჰქონოდათ მხოლოდ მცირერიცხოვან წარჩინებულთ და მმართველ ხელისუფალთ, რომელთათვის იარაღის ჩა-

---

მაინც საერო ხელისუფალნი ჩანან. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებას ქორეპისკოპოსნი განაგებდნენ (ი. კ ი კ ვ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 138).

87 Strabo, XI, 4, 2, 3. ი. კიკვიძის დაკვირვებით, ალაზნის არხის ტრასაზე არაერთი ტაძარი და, შესაბამისად, თეოკრატიული ხევი ან თემია საგულისხმო. ერთ-ერთი ასეთი ტაძარი და მისი თემი ძველი ანაგის ტერიტორიაზეა სავარაუდო. აქ გათხრილია ელინისტური და გვიანანტიკური ხანის სამაროვანი (ქვევრსამარხებით?). ალაზერდსა და ძველ ანაგას შორის კიდევ არის სავარაუდო ტაძრის არსებობა, ვთქვათ, ველისციხე-გურჯაანის ხაზზე (იხ. ი. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 138).

88 შდრ. ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ვანის ნაჭალაქარი. — ვანი. I, გვ, 40—41., ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით იხ. გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს დასახელებული ნაშრომი.

89 ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა. დაკრძალვის წესები..., გვ. 59, იხ. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 224.

90 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ამის თაობაზე შენიშნავდა: „მოლაშქრეობის ქართული წესის თანახმად, ლაშქრობდა ის (გლეხი-მოლაშქრე), ვისაც სრული მიწა ჰქონდა, ანუ, გვიანი ტერმინოლოგიით, ვინც სრული კომლი იყო. ეს იყო ძველთაგანვე მიღებული წესი...“ ე. ი. ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა მოლაშქრე იყო ერისგანი, ეროვანი (დასახ. ნაშრ., გვ. 160).

ტანებას სამარხში ჰქონდა სოციალური შინაარსი, რადგან საბრძოლო იარაღი მათი სოციალური სტატუსის, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მათი ხელისუფლების გამომხატველიც იყო (ინსიგნიის დანიშნულება ჰქონდა).

ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს ახვლედიანების გორის ზედა ტერასაზე გამოვლენილი წარჩინებულ მეომართა სამარხები, რომლებიც ძვ. წ. III ს-ით თარიღდებიან. ამ პირთა მაღალი სოციალური მდგომარეობის ნათელი დადასტურებაა მათი საფლავების ყველაზე საპატიო ადგილას, ახვლედიანების გორის წვერზე — ძველი სარიტუალო მოედნის და საკულტო ნაგებობათა ახლოს გამართვა.

სამარხში იარაღის ჩატანების პრივილეგიით სარგებლობდნენ, როგორც ჩანს, ვანისა და საირხის ქვეყნების განაპირა ოლქებში (ცენტრებით დაბლაგომი, მთისძირი, ითხვისი და ა. შ.) თემის დაწინაურებული პირები, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი[91]; თუმცა ეს პირნი, ვანის მმართველ ელიტასთან შედარებით, სოციალური კიბის უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ.

რაც შეეხება საკითხს, თუ რა ურთიერთმიმართებაა კოლხეთის სატაძრო ცენტრების მიწებზე მსხდომ მეთემეებსა და ჰიეროდულებს შორის, წერილობითი წყაროებით ცნობილია, რომ მრავალი ჰიეროდული ცხოვრობდა მცირე აზიისა და სომხეთის თეოკრატიულ გაერთიანებებში. სტრაბონის გადმოცემით, დიდი რაოდენობით ჰიეროდულები სახლობდა მთვარის სალოცავის — ტაძრის მიწაზეც, რომელიც მდებარეობდა იბერიის საზღვართან, ალბანეთში (XI, 4, 7).

სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი პირდაპირი წერილობითი ცნობა ასეთი სოციალური ფენის არსებობის შესახებ კოლხეთის სატაძრო თემებში. ჩვენ ხელთაა მხოლოდ ვანში აღმოჩენილი ბერძნული წარწერა და არქეოლოგიური მასალა, ასევე ეთნოგრაფიული მონაცემები, რომელთა შესწავლა უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ გარკვეული ვარაუდი ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ.

ზემოთ აღინიშნა, რომ ვანის სატაძრო კოლექტივი, ახვლედიანების გორაზე აღმოჩენილი ბერძნული წარწერისა და არქეოლოგიური ძეგლების (მდიდრული სამარხების) მიხედვით, წარმოგვიდგება საკმაოდ დიფერენცირებულ საზოგადოებად. წარჩინებულთა სოციალური ფენის წარმომადგენელთა გვერდით ამ კოლექტივში შედიან „ყველა დანარჩენები“, რომლებიც, შესაძლოა, გააზრებულ იქნენ, როგორც ტაძრის რიგითი მეთემეები. მაგრამ აქვე ისმის საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია ვანის სატაძრო საზოგადოების ამ ფენაში ვიგულისხმოთ ჰიეროდულები და საერთოდ, არსებობდა თუ არა კოლხეთის სატაძრო მიწებზე ჰიეროდულების ინსტიტუტი.

ა. ფერიხანიანმა, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა მცირე აზიის და სომხეთის სატაძრო გაერთიანებების ჰიეროდულების საკითხი, გამოთქვა მოსაზრება, რომ მცირე აზიაში ჰიეროდულები სატაძრო თემს ეკუთვნოდნენ და მის კოლექტიურ მფლობელობაში იმყოფებოდნენ. სატაძრო თემი ჰიეროდულებს ისევე ფლობს, როგორც სატაძრო მიწას, მაგრამ რაკი სატაძრო თემის სათავეში დგას ქურუმი, რომლის ძალაუფლება დესპოტურია (მაგალითად, კაპადოკიისა და პონტოს კომანას გაერთიანებებში) და ამავე დროს, ის ასახიერებს სატაძრო თემის ერთიანობას, ამდენად, ჰიეროდულების მთავარ მფლობელად უზენაესი ქურუმი გამოდის. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტაძრის მონები არ შეადგენდნენ მის კერძო საკუთრებას; სტრაბონის ცნობის თანახმად, ქურუმს არ შეეძლო ტაძრის მონის გაყიდვა თემის გარეთ, ან მისი კერძო პირზე გასხვისება[92].

სტრაბონის გადმოცემით, მცირე აზიაში საღვთო მიწის მთავარ მწარმოებლად სწორედ ტაძრის მონები — ჰიეროდულები — გამოდიან. ამ მხრივ ნიშანდობლივია ბერძენი გეოგრაფის მიერ, თეოკრატიული გაერთიანებების აღწერილობისას, ყველგან ჰიეროდულების საღვთო ანუ სატაძრო მიწასთან ერთად ხსენება. ჰიეროდულები მწარმოებელ ფენად გვევლინებიან ქურუმის მიწაზედაც. სტრაბონი ათასობით ტაძრის მონას ასახელებს როგორც საღვთო ნაკვეთებთან, ისე ქურუმის მიწასთან ერთად[93]. მცირე აზიის ჰიეროდულეიის დამახასიათებელი ნიშანი იყო მათი მონაწილეობა სხვადასხვა სატაძრო დღესასწაულის მომზადებაში (მისტერიები), მაგრამ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ისინი გამოიყენებოდნენ სოფლის მეურნეობაში, წარმოებაში[94].

---

91 სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მთისძირს, რომელიც ვანისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს, ვანის დაცვის ფუნქციაც ეკისრებოდა (გ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბ., 1982, გვ. 72).

92 S t r a b o, XII. 3. 5—7. А. Г. П е р и х а н я н. Храмовые об'единения Малой Азии и Армении. М., 1959, с. 119—134.

93 S t r a b o, XII, 3, 5-7.

94 А. Г. П е р и х а н я н. დასახ. ნაშრ. გვ. 133—134.

ფართოდ იყენებდნენ ჰიეროდულებს სომხეთშიც სატაძრო მიწების — სატაძრო ცენტრების გარშემო განლაგებული მამულების დასტაკერტების დამუშავებისთვის[95].

ჰიეროდულების თემური ხასიათი მიუთითებს ამ ინსტიტუტის ძველ წარმოშობაზე (ჯერ კიდევ სახელმწიფოსა და მიწაზე კერძო საკუთრების წარმოქმნამდე). ის გარემოება, რომ ჰიეროდულების არ გასხვისება და არც მათი კერძო მონებად ქცევა შეიძლებოდა მკვლევართა ღიდ ნაწილს საფუძველს აძლევს ისინი ყმებად წარმოიდგინოს. ა. ბეკი აღნიშნავდა: „როგორც ადამიანებს, ისე ღმერთებს ჰყავდათ თავიანთი ყმები, რამდენადაც ყმების ბატონად ღმერთი იყო მიჩნეული, მათ ეჭირათ უფრო მაღალი (ღვთაებრივი) მდგომარეობა, ვიდრე ჩვეულებრივ ყმებს“. ამრიგად, ა. ბეკი ჰიეროდულებს მიიჩნევს ღვთის ყმებად[96].

დაახლოებით ანალოგიური აზრი აქვს გატარებული თავის ნაშრომებში მ. როსტოვცევს. მკვლევარი ფიქრობდა, რომ ჰიეროდულია პატრონყმობის პრიმიტიული ფორმაა. აქ ადამიანსა და ღმერთს შორის ისეთივე ურთიერთობა არსებობს, როგორიც პატრონსა და ყმას შორის. პატრონი ღმერთია, ხოლო ყმა ჰიეროდული. ამასთან, მ. როსტოვცევი ჰიეროდულებად ანუ ტაძრის ყმებად მიიჩნევდა სატაძრო გაერთიანების ყველა წევრს[97].

საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული ჰიეროდულების სოციალური შინაარსის დადგენის თვალსაზრისით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც. აღნიშნულია, რომ ამ საკითხის კვლევისას საჭიროა ყოველთვის ამოვიდეთ კონკრეტული სიტუაციიდან. სახელდობრ, ჰიეროდულებში ყოველთვის არ უნდა იგულისხმებოდნენ სატაძრო მონები. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, იბერიის მოსაზღვრე ალბანეთის სატაძრო გაერთიანებაში, სადაც შედარებით სუსტად დიფერენცირებული საზოგადოება იყო. ისინი, უთუოდ, წარმოადგენდნენ თავისუფალ მეთემეებს, სატაძრო თემის წევრებს[98].

---

[95] А. Г. Периханян. დასახ. ნაშრ., გვ. 133—134.

[96] A. Boeckh. Über die Hierodulen.—Kleine schriften, Bg., VII, 1872, p. 575—581.

[97] M. Rostovtzeff. The Sociall and Economic History of the Hellenistic World, p. 506.

[98] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959, с. 412.

ჰიეროდულების ფლობის თემური ხასიათი, ჩვენი აზრით, მართლაც ამ ინსტიტუტის ძველი წარმოშობის მაუწყებელი უნდა იყოს. როგორც საფიქრებელია, სატაძრო მეთემეთაგან წარჩინებულთა ზეფენის გამოყოფამდე, ჰიეროდულები, უთუოდ, ეწოდებოდა თემის ყველა წევრს, ე. ი. სატაძრო გაერთიანების მთელ შემადგენლობას, რომელიც ღმერთს მსახურებდა. მომდევნო ხანაში კი (ელინიზმის ეპოქაში) ვითარება იცვლება. სატაძრო თემის შიგნით, სოციალური ფენების ჩამოყალიბების კვალდაკვალ, ტერმინი „ტაძრის მონა“ იცვლის თავის შინაარსს და ფაქტიურად, მოიცავს არა ტაძრის მსახურთა მთელ კოლექტივს, არამედ მხოლოდ მის ნაწილს, სახელდობრ, ძირითადად, ტაძრის მწარმოებელ საზოგადოებას, რომლის ექსპლოატაციას ეწევა ტაძრის დაწინაურებული და პრივილეგირებული ზედაფენა.

ჰიეროდულიის ასეთი გაგებიდან თუ ამოვალთ, წინაანტიკური ხანის კოლხეთში არსებული ვანისა და საირხის სატომო-საკულტო ცენტრების გარშემო შემოკრებილი თემები, მთელი მათი სატაძრო პერსონალით, შესაძლოა განვიხილოთ როგორც ჰიეროდულები. ხოლო აღებულ ხანაში ამ ტერმინის შესატყვისად შეიძლება მივიჩნიოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევსურულ თემში) ეთნოგრაფიული გადმონაშთების საფუძველზე დადგენილი სახელწოდება „ხატის ყმები“, ანუ „ჯვარის ყმები“.

ვ. ბარდაველიძის გამოკვლევის თანახმად, მართალია, ხევსურული თემი წარმოადგენდა თეოკრატიულ საზოგადოებას და მასში უკვე დაწყებული იყო არისტოკრატიული ზედაფენის გამოყოფა, მაგრამ „ჯვარისყმობის“ ინსტიტუტს ამ საზოგადოების ცხოვრებაში მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ხევსურული თემის ყოველი წევრი თავისი სათემო ჯვარის მიმართ განიხილებოდა როგორც მისი ყმა, ხოლო თვით თემი მთლიანად — როგორც მისი საყმო. აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „ყმა“ თემის ყველა წევრს აღნიშნავდა, სათემო ჯვარის მიმართ ხევსურეთის მეთემეები რამდენიმე კატეგორიის ყმებად იყოფოდნენ. ამათგან „უნჯნი ყმანი“ თემის ფარგლებში არისტოკრატიულ ფენას შეადგენდნენ, საიდანაც ჯვარიონნი — თემის მმართველი წრე და სათემო ჯვარის მთავარი მსახურნი — გამოდიოდნენ[99].

---

[99] ვ. ბარდაველიძე. ხევსურული თემი. — საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიამბე. ტ. XIII. № 8, 1952, გვ. 498, 499.

აქედან ნათელია, რომ „ჯვარისყმობის“, ანუ „ხატისყმობის“ ინსტიტუტი ხევსურულ თემში თავის ძველ მნიშვნელობას ინარჩუნებს სატაძრო თემის დაშლის, მასში არისტოკრატიული ზედაფენის გამოყოფის საწყის ეტაპზედაც.

ამრიგად, მთელი ზემოთ განხილული მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადრეული ხანის კოლხეთის სატაძრო ცენტრებში როგორც ყველა მეთემეს, ისე მის მმართველ წრეს ეწოდებოდა „ხატის ყმა“. მაგრამ უკვე ადრეანტიკური ხანიდან (ძვ. წ. V ს-დან), მას შემდეგ, რაც აქ იქმნება საკმაოდ რთული სტრუქტურის საზოგადოება დაქვემდებარებული სოციალური ფენებით და პრივილეგირებული მმართველი ზედაფენით, რომელიც სახელმწიფო სისტემაშია ჩართული, ხდება „ხატისყმობის“ ცნების დავიწროება ელინისტური ხანიდან იგი აღნიშნავს არა ტაძრის მსახურთა ყველა წრეს, ან ფენას, არამედ, ძირითადად ტაძრის მწარმოებელ საზოგადოებას, სატაძრო თემის რიგით წევრებს, რომელთაც გარკვეული ვალდებულებები ეკისრებოდათ ტაძრის მიმართ. ხოლო, რაც შეეხება თემის დაწინაურებულ, პრივილეგირებულ პირებს, რომელნიც, რიგით მეთემეებთან ერთად კვლავ ასრულებდნენ გარკვეულ ფუნქციებს ხატის წინაშე, მონაწილეობდნენ ღვთაების მსახურებისთვის განკუთვნილ სხვადასხვა საკულტო რიტუალებში და ა. შ., მათ გვიანდელ (ელინისტური ხანის) შესატყვისად (კოლხეთის სატაძრო ცენტრებში) „ხატისშვილები“ უნდა მივიჩნიოთ[100].

ამრიგად, ელინისტური ხანისთვის რიგით მეთემეთა შორის მიმდინარე სწრაფი დიფერენციაციის პროცესის შედეგად, მას გამოეყოფა ერთი ნაწილი, რომლის ხელშიც დიდი ქონება იყრის თავს. ამ შეძლებულ მეთემეთა გამდიდრების ძირითადი წყარო სავაჭრო დანიშნულების სასოფლო პროდუქტის, უმთავრესად, ღვინის დიდი რაოდენობით დამზადება და ექსპორტირებაა.

---

100 ქრისტიანული ხანის საქართველოს მთაში „ხატისშვილები“, წოდებრიობის მიუხედავად, გაერთიანებულ სამონასტრო მსახურთა ჯგუფს წარმოადგენდნენ. ეს ფეოდალური ინსტიტუტი გენეტიკურად ჯვარისყმობის, ანუ ხატისყმობის ინსტიტუტს უნდა უკავშირდებოდეს (ვ. ბარდაველიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 498). ფეოდალურ საქართველოში „ხატისშვილს“ „საყდრისშვილი“ შეესატყვისება. ს. ჯანაშიას განმარტებით, „საყდრისშვილებად“ იწოდებოდა მთელი ის პერსონალი, რომელიც დაკავშირებული იყო კულტსა და ტაძართან, კერძოდ, ტაძრის მეურნეობასთან. უპირატესად, აქ ტაძრის (საყდრის) მოხელე ხელისუფალნი იგულისხმებოდნენ (ადრეული ფეოდალიზმი, შრომები II, გვ. 169).

პონტოს კომანას შესახებ სტრაბონი გადმოგვცემს ერთ მეტად საგულისხმო ცნობას, რომლის თანახმად ამ ქალაქის მოსახლეობა ფუფუნებით ცხოვრობს, ხოლო მის ნაკვეთებზე ვენახებია გაშენებული (XII, 3,5—7). აქედან ჩანს, რომ კომანას მცხოვრებთა სიმდიდრე ვენახების ფლობასთან იყო დაკავშირებული. სტრაბონი სხვა შემთხვევაშიც გამორჩეულად აღნიშნავს სატაძრო მიწების დიდ ნაყოფიერებას. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ ნაყოფიერი მიწები და ვენახები სატაძრო ქალაქში მცხოვრები ზედაფენის გამდიდრების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ანალოგიური სურათი უნდა ვივარაუდოთ კოლხეთის დიდ სატაძრო ცენტრებში, რომელთა ირგვლივ მდებარე მიწებზე ინტენსიურად ვითარდება მევენახეობა-მეღვინეობა.

ღვინის ექსპორტის შედეგად, სატაძრო თემების დაწინაურებული ზედაფენის ხელში დიდი ფულადი თანხა იყრის თავს. გავიხსენოთ ვანში, ახვლედიანების გორის ზედა ტერასაზე დაკრძალული ერთ-ერთი წარჩინებული მეომრის სამარხში 80 ვერცხლის მონეტის, ასევე დაბლაგომში, ნაციხვარას ბორცვზე კოლხური მონეტების განძის აღმოჩენის ფაქტი. ბორცვის ამ ადგილას, როგორც ზემოთ აღინიშნა, მკვლევარნი დაბლაგომის საზოგადოების დაწინაურებულ პირთა სამარხების არსებობას ვარაუდობენ. როგორც ცნობილია, კოლხური მონეტები ხშირად გვხვდება ქვევრსამარხებშიც (დაფნარის ერთ-ერთ სამარხში სინოპური ნახევარდრაქმიანიც კი არის ნაპოვნი). ნიშანდობლივ ფაქტად გვეჩვენება ასევე დაფნარის ტერიტორიაზე საბეჭდავი-ბეჭდების აღმოჩენაც[101].

ვანის „ქვეყნის“ მწარმოებელ, მიწათმოქმედ საზოგადოებაში, ჯერ კიდევ წინაელინისტურ ხანაში დაწყებული ქონებრივ-სოციალური სტრატიფიკაციის პროცესი, ჩანს, მნიშვნელოვნად ღრმავდება ძვ. წ. III—II სს-დან (გვიანელინისტური ხანა). ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა ძვ. წ. III ს-ის მიწურულიდან დაბლაგომის ტერიტორიაზე, საერთოდ, ქვევრსამარხთა გაქრობის ფაქტი, რაც, სავსებით შესაძლებელია, იმით იყო გამოწვეული, რომ აქ არსებული საოემო მიწის ნაკვეთები, ზედ გაშენებული ვენახებით, საბოლოოდ, მეღვინეობით გამდიდრებულ, ვაჭრობით დაწინაურებულ პირთა მფლობელობაში მოექცა. თვით ეს შეძლებული პირნი კი ვანის ქალაქის (სუ-

---

101 Н. Кигурадзе. დასახ. ნაშრ., გვ. 57.

რის) საამეურნეო-სავაჭრო უბანში გადადიან საცხოვრებლად. ამ თვ
საზრისით, საგულისხმო ფაქტად გვეჩვენება სწორედ ამ ხანებში (ძ
III—II სს.-დან) ვანის ქალაქის მოსახლეობის ზრდა და საყანნ
ველზე ახალი სამეურნეო-სავაჭრო უბნის წარმოქმნა[102], რაც, თავის
ვად აქ მოსული მოსახლეობის საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებ
აქტიური მონაწილეობის მაუწყებელია. ხოლო, რაც შეეხება დაბლაგ
მის მეთემეთა დანარჩენ ნაწილს, ვინც ძველ ადგილზე კარგავს თავის
წის ნაკვეთს, ის, როგორც ვანის ქვეყნის თემის წევრი, შესაძ
საცხოვრებლად გადადის მეზობლად მდებარე (დაფნარის?) დასახლ
ბაში, რომელიც გვიანდელ ხანამდე, დაბლაგომთან ერთად, ერთ თ
შეადგენდა. დოკუმენტების მიხედვით, ეს ერთობლივი თემი მუხაკრ
ად იწოდებოდა[103].

ამრიგად, თუკი ადრეულ ხანაში ვანის „ქვეყნის“ ტაძრის კოლ
ტივი თვითონ ამუშავებს მის კუთვნილ სათემო მიწის ნაკვეთს, ხ
ლო გვიანელინისტური ხანისათვის ამ სატაძრო თემს გამოეყო
ქონებრივად შეძლებული და სოციალურად აღზევებული ფენა, რომ
ლიც ქალაქში ცხოვრობს, მის მიწის ნაკვეთზე კი ვენახებია გაშენ
ბული, ამასთან, ვანის ქურუმის ნაკვეთზე დაკრძალული წარჩინებულ
მეომრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ — ამ ზედაფენის წარმომადგ
ნელნი საომარი საქმითაც არიან დაკავებული — მაშინ უნდა ვიფ
ქროთ, რომ სატაძრო კოლექტივის ეს პრივილეგიური წრე გვიანელ
ნისტურ ხანაში საკმაოდ დავიწროებულია, ის აღარ შედის მწ
მოებელ ფენაში, გამოყოფილია მისგან, ხოლო მის ნაკვეთს ამუშ
ვებს ტაძრის მეთემეთა დამოკიდებული ფენა, რომლის ერთ ნაწილ
ტაძრის მონები შეადგენენ.

3. სატაძრო მიწათმფლობელობა

მართალია, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მასალა შესაძლებლ
ბას არ გვაძლევს სრულად წარმოვიდგინოთ ვანისა და საირხის „ქვ
ნების“ ადრეანტიკური ხანის საზოგადოებებში არსებული სატაძ

[102] ვ. ლ ი ჩ ე ლ ი. ძველი ვანი. სამეურნეო უბანი. თბ., 1991, გვ. 90,

[103] Н. К и г у р а д з е. დასახ. ნაშრომი, გვ. 57. მეთემეთა ასეთი გადასახ
ბა ერთი თემის ფარგლებში მდებარე მეზობელ სამოსახლოში, როგორც საფიქ
ბელია, ადრეც ხდებოდა სხვადასხვა მიზეზის გამო. მაგალითად, გ. გამყრელიძე
წ. VII—VI სს. ვარაუდობს დაბლაგომიდან ნამატი მოსახლეობის მთისძირში
მოსახლების (დასახ. ნაშრ., გვ. 46).

მიწისმფლობელობის ფორმები და ბოლომდე თვალი გავადევნოთ
მათი შემდგომი ევოლუციის პროცესს, მაგრამ, როგორც დავინახეთ,
ამ მასალის გააზრება მცირე აზიის თეოკრატიების შესახებ დაცული
ფრაგმენტული ცნობების შუქზე, ასევე ქართლის მთის ეთნოგრაფიუ-
ლი მონაცემები გარკვეულ საფუძველს გვიქმნიან აღნიშნული საკი-
თხების შემდგომი შესწავლისა და მათ შესახებ ზოგიერთი მოსაზრე-
ბის გამოთქმისათვის.

საღღეისოდ კვლევა-ძიებას ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივყევართ:
ვანისა და ადრეანტიკურ ხანაში ვანისა და საირხის „ქვეყნების“ მიწებია
ლი ნაწილი ამ ცენტრების გარშემო გაერთიანებული თემების
ფლობელობაშია. თვით მიწა კი ღვთაების საკუთრებად ითვლება.
თემის სრულუფლებიან წევრთა შემადგენლობაში ყოფნა და ამ თემის
მიწის ნაკვეთით სარგებლობა განუყოფლად არის ერთმანეთთან და-
კავშირებული. ეს მხარე ახასიათებს ყველა სატაძრო თემს. შიდა
ქართლის თემები დიდხანს არ კარგავენ სატაძრო ხასიათს. ისინი,
ისევე როგორც ქართლის მთის მოსახლეობა, დიდხანს ინარჩუნებენ
თავის მამაპაპეულ სარწმუნოებას, კულტებს თავის მსახურებით (ხუ-
ცებით) და სხვ.

ვანისა და საირხის საკულტო ცენტრებში, მართალია, ფორმალუ-
რად ტაძრის მიწა ღმერთს ეკუთვნის და თავდაპირველად თემია მისი
ფლობელი, მაგრამ ტაძრის სათავეში მდგომი უზენაესი კულტმსახუ-
რი ყოველმხრივ ცდილობს ამ მიწის ფონდისა და მისი შემოსავლის
გარკვეული ნაწილის მითვისებას. ადრეანტიკური ხანის მიწურულის-
თვის, როგორც ჩანს, სათემო მიწის ნაკვეთების ნაწილის მითვისების
პროცესი ქურუმისა და თემის ზედაფენის მიერ უკვე დასრულებუ-
ლია. ამ დროს ქურუმი უკვე ფლობს სათემო მიწის ნაწილს („ქურუ-
ს მიწა“). ეს მიწა შეადგენს ქურუმის ფაქტიურ საკუთრებას. გარდა
ამისა, ქურუმი სატაძრო კოლექტივთან და მეთემეებთან ერთად
ფლობს საღვთო ნაკვეთსაც. უზენაესი კულტმსახურნი და მათი სახ-
ლის შვილები ქურუმის მიწაზე ცხოვრობენ და აქვე იკრძალებიან.
საღვთო ნაკვეთი მასზე მსხდომი მეთემეებით და ჰიეროდულებით
ქურუმის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

ქურუმის მიწაზე მჯდომი უზენაესი კულტმსახური და მისი საგ-
ვარეულოს წარმომადგენლები თავიდანვე ყოველ ღონეს ხმარობენ მათ
საკუთრებაში მოქცეული მიწის ფონდის მთლიანი სახით შესანარჩუ-
ნებლად, რადგან საგვარეულო საკუთრების სწორედ ეს მთლიანობა

და განუყოფლობა წარმოადგენდა გვარის ეკონომიკური სიძლიერის ს
ფუძველს. ამაზე იყო დამყარებული თვით ამ საგვარეულოს, როგორ
პოლიტიკური ორგანიზაციის, ძლიერებაც, რაც, თავისთავად, უზრუ
ველყოფდა სახელმწიფო სისტემაში მის პრივილეგიურ მდგომ
რეობას.

ამას ემსახურებოდა ახვლედიანებისა და საბადურის გორებზე ქ
რუმების მიერ თავის საგვარეულოს წარმომადგენელთა საფლავებ
გამართვა და მათ დაკრძალვასთან დაკავშირებული საკულტო რიტუ
ლების შესრულების ტრადიციის დამკვიდრება.

ამრიგად, სამარხების წმინდად და ხელშეუხებლად შენახვა (სახელებული გორების ნაკვეთებზე, ისევე როგორც მამაპაპეულ კულტების ტრადიციის მყარად დაცვა, წარმოადგენდა ქურუმთა ს გვარეულო საკუთრებაში მოქცეულ ამ ნაკვეთების განუყოფლობ მათი მთლიანობის შენარჩუნების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას. (რამდენად დიდი მნიშვნელობა და ძალა უნდა ჰქონოდა აღნიშნულ ტრადიციის მყარად შემონახვას ვანისა და საირხის უზენაეს კულ მსახურთა ეკონომიკური სიძლიერისა და მათი პოლიტიკური პოზ ციების სიმტკიცისათვის, ამას, გარდა ახვლედიანების და საბადურ გორებზე კულტ-მსახურთა რამდენიმე თაობის სამარხების გამოვლ სა, ნათლად ადასტურებს ვანის ქალაქის (სურის) სატაძრო დადგენ ლებაში საკულტო რიტუალის შესრულებისათვის საჭირო წესების (მოთვლისას იმის საგანგებოდ აღნიშვნაც, რომ გარკვეული პირ უნდა იყვნენ განწმენდილნი საფლავთან შეხებამდე, და ეს ეხებ

---

104 თ. ყაუხჩიშვილი. ვანის ახლადაღმოჩენილი ბერძნული წარწ გვ. 137—138. ზემოთქმულთან დაკავშირებით საინტერესო პარალელები შეიძ გაივლოს ქსნის ერისთავების მატიანეში — „ძეგლი ერისთავთა“ — წარმოდგ ამ საგვარეულოს სოციალური აღზევების სურათთან. როგორც ირკვევა, ცხრ ხევში მოსული ერისთავობის მაძიებელი როსტომ ბიბილური მხოლოდ ტაძ საფლავის გამართვის გზით იღებს თემისგან უფლებას ხელი დაადოს ტაძრის (მულსაც და აქვე გაიჩინოს „საჯდომი სახლი“ ,ანუ რეზიდენცია. ვისაც ტაძ საფლავი აქვს, იმას ეკუთვნის ყველაფერი, რაც ტაძართანაა დაკავშირებული, (ველ რიგში, რა თქმა უნდა, ტაძრისთვის შეწირული მიწები. ამასთან, ვისი საფლ ყველაზე საპატიოა, სამართლით, მასვე ეკუთვნის ტაძრის მთელი საგამგეო. ჩვ ვის ფრიად საყურადღებოა ის ჩვენებაც, რომ „საყდრისშვილის“ სოციალურ-პო ტიკური მწვერვალისკენ მოძრაობა საბოლოოდ ტაძრის მემამულეობის გზით ხდ ვინც „საყდრისშვილია“, ტაძრის მსახურია, ამ მემამულეობის ფაქტიური სუბიე ის არის (ს. ჯანაშია. ადრეული ფეოდალიზმი. — შრომები. II, გვ. 168—171).

როგორც ამ პირებს, ისე მათ ჩამომავლებსაც[104]. ჩვენი აზრით, ძნელია გარკვეული კავშირი არ დავინახოთ წარწერაში გამორჩეულად მოხსენებულ ამ წმინდა საფლავებსა, ვანის წარჩინებულ კულტმსახურ ალთა მდიდრულ სამარხებსა და ამავე წარწერაში ხსენებული ტაძრის კოლექტივის ზედაფენის წარმომადგენელ „ქალებს“ შორის[105].

ვანის ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ზემოთ განხილული ქვეერსამარხების შესწავლის საფუძველზე ანალოგიურ ვითარებას ვხედავთ ტაძრის მეთემეთა მიწის ნაკვეთებზეც. ვფიქრობთ, აქაც სათემო მიწის ნაკვეთის განუყოფლად შენარჩუნება და მეთემეზე მის (ყარად მიმაგრებას ემსახურებოდა მეთემის მიერ საკარმიდამო ნაკვეთზე არქეოლოგიურად დადასტურებული საოჯახო სამარხების გამართვა[106].

მაგრამ ელინისტური ხანიდან მეთემეთა შორის ქონებრივი უთანასწორობა იქმნება. ქვეყანაში სავაჭრო ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ, ეს პროცესი სულ უფრო ღრმავდება. ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასთან ერთად, სულ უფრო ძლიერდება მიწის ინდივიდუალურ საკუთრებად გადაქცევის ტენდენცია. მიწაზე ინდივიდუალური, კერძო მფლობელობა გზას იკვლევს სახნავ-სავენახე მიწებზე. მიუხედავად ამისა, სატაძრო თემების რღვევა ხანგრძლივი პროცესი იყო და მათ სრულ დაშლა-გადაშენებას სხვადასხვა ხელისშემშლელი პირობები აბრკოლებდა: საგვარეულო ხატ-სალოცავი, საყოველთაოდ დაწესებული საკულტო ნორმების დაცვა-შესრულება, ვალდებულებანი ხატის წინაშე და სხვა მრავალი.

სატაძრო მიწების გარკვეული ნაწილის გადასვლა მდიდარ მეთემეთა სრულ განკარგულებაში ძირს უთხრიდა ტაძრების ეკონომიკურ ძლიერებას; თავის მხრივ, ტაძრების სათავეში მდგომი ხელისუფალნი ცდილობდნენ თავისი ნაკვეთის გადიდებას თემის თავისუფალი მიწების ხარჯზე.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ვანისა და საირხის „ქვეყნების“ რელიგიურ-პოლიტიკურ ცენტრებში არისტოკრატიულ საგვარეულოთა ცალკეული წარმომადგენელნი საერო ფუნქციებს ასრულებდნენ და ამით კოლხეთის სამეფოს ადმინისტრაციული მართვის სისტემაში იყვნენ ჩაბმულნი. აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ შემოსავალს ამ საგვარეულოთა საკუთრებაში მოქცეული სათემო მიწე-

---

105 მ. ინაძე. კულტი და კულტმსახურება ძველ კოლხეთში. — „მნათობი“, თბ., 1990, № 1, გვ. 166—168.

106 Г. Лордкипанидзе. Колхида.... с. 80 и сл.

ბიდან, უზენაეს კულტმსახურებთან ერთად, ინაწილებდნენ ეს ადმინისტრაციული ფუნქციებით აღჭურვილი ხელისუფალნიც.

ამ თვალსაზრისით, თავისებური ვითარება უნდა ვივარაუდოთ კოლხეთის ქვეყანასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელსაც სამეფოს საგვარეულოდან გამოსული სკეპტუხები მართავდნენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ვანის უზენაესი კულტმსახურნიც ამავე სახლის (საგვარეულოს) წევრებს წარმოადგენდნენ, მაშინ თითქოს საფუძველს გვაქვს ისიც ვიფიქროთ, რომ ადრეანტიკურ ხანაში შიდა კოლხეთის ზოგიერთ ადგილ-მიწებზე სატაძრო და სამეფო სახლის საკუთრება ჯერ კიდევ არ იყო ერთმანეთისგან ბოლომდე გამოყოფილი.

4. სამეფო მიწათმფლობელობა

ზემოთ ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება კოლხთა ძირითადი სატომო ბირთვის ადგილსამყოფელის შესახებ კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბების წინა ხანაში. აღინიშნა, რომ კოლხთა ძირითადი ბირთვის ხელში, ჩანს, ამ დროს აღმოჩნდა ქვეყნის ყველაზე ნაყოფიერი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი მიწები, სახელდობრ, მდ. რიონის გაყოლებით და მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია, ქალაქ ქუთაისის სანახებიდან ზღვამდე (ეს ტერიტორია მოიცავდა პროკოპიოსთან მოხსენიებულ მოხირისის დიდ ნაწილს). მართალია, სამეფო სახლი ფლობდა გარკვეული მიწის ფონდს მდ. რიონის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე რეგიონებშიც, მაგრამ ამ სახლის ძირითადი და უძველესი საკუთრება — სამეფო მიწა — მაინც ზემოდასახელებული ტერიტორია უნდა ყოფილიყო. ერთ დროს ეს მხარე, როგორც ვთქვით, კოლხთა სატომო ბირთვმა დაიჩემა და თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური დაწინაურებით ადრეანტიკური ხანის გარიჟრაჟზე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი წარმოშვა. ჩვენი აზრით, სწორედ ამ მდიდარი ქვეყნის მფლობელობის საფუძველზე აღმოცენდა კოლხეთის მეფის ხელისუფლებაც (ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან). აქედანვე უნდა მომხდარიყო ამ ქვეყნის გარშემო მდებარე მიწების, ეთნო-ტერიტორიული და სამეურნეო ერთეულების შემომტკიცებაშემოკრება და შედეგ მათი კოლხეთის სამეფოს საგამგეო ოლქებად ჩამოყალიბება.

მდ. რიონის ქვემო და ზემო წელით შემოსაზღვრული მხარე რომ კოლხთა სამეფო სახლის ძირითადი და უძველესი საკუთრება უნდა ყოფილიყო, ამის პირდაპირი დასტურია ლეონტი მროველთან („ფარ-

ნავაზის ცხოვრებაში") დაცული ის ცნობაც, რომ ფარნავაზის მიერ დასავლეთ საქართველოზე ქართლის პოლიტიკური გავლენის გავრცელების შემდეგ, როცა ქუჯის შემოეცალნენ ქვეყნის საგამგეო-ადმინისტრაციული ოლქები, მას საერისთავოდ დარჩა მხოლოდ მდ. რიონიდან ცხენისწყალამდე და ზღვამდე მდებარე მიწა-წყალი. ქუჯის ეს ეგრისად შერჩენილი „საერისთავო" ტერიტორიულად ემთხვევა წინაანტიკური ხანის კოლხთა წამყვანი სატომო ბირთვის ადგილსაცხოვრისს — „კუტაიის მიწას". აქ მდებარეობდა ამ ქვეყნის მთავარი ქალაქი — „კუტაია" და აქვე, ამ მიწა-წყლის შუაგულში, მდ. ტეხურის ნაპირზე ქუჯიმ ააგო ციხე-გოჯი (არქეოპოლისი), კოლხთა სამეფოს მეორე დედაქალაქი. ლეონტი აღნიშნავს: ფარნავაზმა „დაამტკიცა იგი (ე. ი. ქუჯი — მ. ი.) ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი". ჩვენი აზრით, ლეონტისთან დაცული ყველა ეს რეალია კარგად შეეფუტყვისება „კუტაიის" მიწა-წყლის კვლევით მიღებულ დასკვნას. ეჭვი არ არის, რომ მიწა, რომელსაც ფარნავაზი უტოვებს ქუჯის, და სადაც ქუჯი თვითონ აგებს ციხეს — პოლიტიკური ძალაუფლების ამ სიმბოლოს, მისი საკუთრებაა, მისი მამაპაპისეული მამულია და ამიტომ, სამეფო დომენიც აქ არის.

ზემოთქმულთან დაკავშირებით ფრიად დამაფიქრებელი ჩანს ის ონომასტიკური ფაქტიც, რომ კოლხური თეთრი ყველაზე დიდხანს სწორედ კოლხეთის სამეფოს ამ უძველესი მიწა-წყლის ფარგლებში ტრიალებს და თითქმის ძვ. წ. II ს-ის დასასრულამდე ინარჩუნებს თავის ადრინდელ მნიშვნელობას, როგორც საშინაო გაცვლა-გამოცვლის ერთადერთი საშუალება[107]. ამავე ტერიტორიაზე ძვ. წ. II ს-ის დასაწყისში იჭრება ლისიმაქეს სტატერის ოქროს მინაბაძი წარწერით ΒΑΣΙΛΕΩΣ ΑΚΟΥ, რომელიც კოლხეთის მეფის ემისიას უნდა წარმოადგენდეს (ამის შესახებ ქვემოთ).

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადრეანტიკური ხანისათვის მდ. რიონსა და ზღვის სანაპიროს შორის მდებარე ტერიტორია მდ. ღა-

---

107 როგორც ნოქალაქევის მიდამოებში გათხრილ ქვევრსამარხებში აღმოჩენილი მონეტების შესწავლით გაირკვა, კოლხეთის ამ რეგიონში საშინაო ბაზარზე კოლხური ნახევარდრაქმიანების მიმოქცევიდან გამოსვლის თარიღად ძვ. წ. II ს-ის დასასრული უნდა იქნეს მიჩნეული, მაშინ როდესაც დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში ეს მონეტები ძვ. წ. III ს-დან გამოდიან ხმარებიდან (გ. გ ვ ი ნ ჩ ი ძ ე. ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის. თბ., 1988, გვ. 73—74, 90).

მსხვერპლად შეწირვის რიტუალის შესრულების დროს, მსხვერპლის „წმინდა შუბით“ განგმირვის წესი იბერიის მეზობლად, ალბანიაში დადასტურებულია დაახლოებით ამავე ხანის (ძვ. წ. I — ახ. წ. I სს.) წერილობითი წყაროების მიხედვითაც[113].

ნოქალაქევის ქვევრსამარხის ინვენტარში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ბრინჯაოს რკალხსნილი საბეჭდავი ბეჭედია, რომელზედაც თითქმის ისეთივე ღვთაების გამოსახულებაა ალბეჭდილი, როგორიც ვანში აღმოჩენილ დედატოსის სამარხში მოთავსებულ ოქროს საბეჭდავზეა გამოხატული. დადგენილია, რომ დედატოსის ეს ბეჭედი ოფიციალური დანიშნულების იყო, იგი ამ ხელისუფლის ინსიგნიას წარმოადგენდა[114].

შუბსა და შუბისპირს სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა და სასაკულტო იარაღად იყო მიჩნეული სამხრეთ ამიერკავკასიის სახელმწიფოებშიც (ურარტუ).

ამავე მნიშვნელობით იყო დედატოსის სამარხი სამი მხრიდან შე-

[113] სტრაბონი გადმოგვცემს, რომ იბერიის მახლობლად მთავარის სალოცავი ტაძრის მონის მსხვერპლშეწირვას ასეთი სახე ჰქონდა: „ერთს უპირავს წმინდა შუბი, რომლითაც წესია ადამიანის მსხვერპლად შეწირვისა. ის გამოდის ხალხიდან, არტყამს გვერდიდან გულში, ისე რომ ამ (საქმეში) გამოუცდელი არ არის“ (Strabo, XI, IV, 7; თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბ., 1957. გვ. 134, 135).

კახეთის ყოფაში დღემდეა შემორჩენილი „ხატის მონობა“, რომელიც განსაზღვრულია, როგორც „ბარში შემორჩენილი ქადაგობის ფორმა“. ნ. ა ბ ა კ ე ლ ი ა ს აზრით, „ხატის მონობა“ მსხვერპლშეწირვის გადმონაშთური ფორმაა. ხატის მონა ხატის მსახურია (ნ. აბაკელია. „ხატის მონობის“ ინსტიტუტი კახეთში (1976—77 წწ. კახეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). — საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1982, გვ. 125—127).

[114] იხ. მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. არქაული და „არქაიზირებული“ საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან. — ვანი II, გვ. 145. მ. ლორთქიფანიძის აზრით, დედატოსის ბეჭედზე გამოსახული ფიგურა „ან მცენარეულ სამყაროსთან დაკავშირებული ღვთაებაა... ანდა.., დიდგვაროვანი მანდილოსანი, ღმერთქალთან გატოლებული“ (არქაული... გვ. 144). ჩვენი აზრით, იგივე შინაარსი უნდა იყოს ჩადებული ნოქალაქევის ქვევრსამარხში აღმოჩენილ ბეჭედზეც. განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული აღნიშნული საბეჭდავის გამოსახულების სიუჟეტის შესახებ გ. გვინჩიძეს, რომლის თანახმად, ქვევრსამარხის ბეჭედზე გამოსახული ადამიანი მამაკაცი უნდა იყოს, ხოლო მისი ფიგურის ორივე მხარეს მოთავსებული მცენარეები კვიპაროსებს წარმოადგენდნენ. და რადგანაც კვიპაროსი, მისი აზრით, საფლავისა და სასაფლაოს ხედ არის მიჩნეული, უნდა ვიფიქროთ, რომ ნოქალაქევის ბეჭედზე გამოსახულია ქთონური ღვთაება (იხ. გ. გვინჩიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 33, 34).

მოთავსებული შუბისპირებით, რომელთა საერთო რაოდენობა 55 აღწევდა.

ამდენად, დედატოსის ოფიციალური საბეჭდავი ბეჭდის ანალოგიური გამოსახულებიანი ბეჭდის აღმოჩენა ნოქალაქევის სამაროვნის ქვევრსამარხში გარკვევით მიგვანიშნებს იმაზე, რომ აქ დაკრძალულ პირსაც, თავისი თემის ფარგლებში, საერო და საკულტო ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს ანალოგიური ქვევრსამარხების ნაშთების აღმოჩენა ნოქალაქევიდან 20-ოდე კმ-ით, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ისულეთის ადგილ ოფაჩაფუში[115] და სხვ.

ამრიგად, მთელი ზემოთ მოტანილი მასალის განხილვას იმ დასკვნისკენ მივყევართ, რომ კოლხეთის ცენტრალური და აღმოსავლეთი რეგიონების მწარმოებელ საზოგადოებას ახასიათებდა მთელი რიგი თავისებურებები. სახელდობრ, ერთი მხრივ, ეს არის ეკონომიკურად მნიშვნელოვნად დაწინაურებული საზოგადოება. მისი გარკვეული ნაწილი ეწევა რკინის ფართო წარმოებას, დიდი ნაწილი მისდევს ინტენსიურ სოფლის მეურნეობას, მევენახეობას, რაც ხელს უწყობს თავისუფალ მეთემეებში კერძო საკუთრების ტენდენციის განვითარებას. ეს საზოგადოება ჩაბმულია საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, ინტენსიურად იყენებს მონეტას და სხვა; მეორე მხრივ, აღნიშნული საზოგადოების ეკონომიკური დაწინაურება, მასში ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავება, შეძლებული, პრივილეგიური მეთემეების გამოყოფა მიმდინარეობს სასოფლო-ტერიტორიული თემის ფარგლებში, თემისა, რომელიც დიდხანს მისდევს და მყარად ინახავს ოდითგანვე გამომუშავებულ თემურ ტრადიციებს, სატომო რწმენა-წარმოდგენებს, რიტუალებს, ღვთაებისადმი მსახურების ინსტიტუტებსა და სხვა. ამასთან, შეინიშნება ისიც, რომ კოლხეთში ადრიდანვე დიდია ტაძრების როლი. სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად, ვითარდებიან და საზოგადოებაში გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებენ ნაყოფიერი მიწების მფლობელი სატაძრო ცენტრები, რომელნიც თავის ირგვლივ აერთიანებენ სასოფლო თემებს და მტკიცე ეკონომიკურ და სოციალურ საფუძველს იქმნიან ქვეყნის მართვა-გამგეობაში ჰეგემონობის მისაღწევად. ამდენად, ქურუმთა ზედაფენა სკეპტუხიის შიგნით საზოგადოებრივი ცხოვრე-

[115] გ. გ ვ ი ნ ჩ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 74, 75.

ბის წარმმართველი ძალა ხდება, მწარმოებელი საზოგადოების უმრავლესობაც ამ ტაძრების გარშემოა შემოკრებილი. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად უნდა შეეზღუდა მიწაზე სახელმწიფო საკუთრება და სამეფო დომენის მასშტაბები. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მეფის კუთვნილი მიწები კიდევ უფრო მცირდება ელინისტური ხანიდან კოლხეთზე ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოძალების შემდეგ, როდესაც კოლხეთის სამეფოს ჩამოსცილდებიან ერთ დროს მის შემადგენლობაში მყოფი ეთნო-ტერიტორიული ერთეულები — მისი საგამგეო ოლქები.

როგორც არქეოლოგიური კვლევა-ძიებით იქნა დადგენილი, ქართლის სამეფოს შექმნამ და მისი პოლიტიკური გავლენის გავრცელებამ კოლხეთის აღმოსავლეთ რეგიონებზე, განსაკუთრებით საირხის ქვეყანაზე, ძვ. წ. III ს-ის მეორე მეოთხედიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოუტანა აქ მსხდომი საზოგადოების ზედაფენას, რომელიც, გარდა მიწებისა, ფლობდა აურაცხელ სიმდიდრეს. სახელდობრ, აქ შეინიშნება ქართლის სამეფო ხელისუფლების მხრივ საბადურის გორაზე ძველი კულტების გაუქმება, ძველი სატაძრო ცენტრის მოშლა; ასევე მოშლილია და წყვეტს არსებობას საბადურის წარჩინებულთ თეოკრატიულ საგვარეულოს წარმომადგენელთა სამაროვანი[116]. ყველაფერ ამას, ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა სამარხში ძველი სატაძრო და კერძო მიწათმფლობელობის ფორმების რღვევა. როგორც საფიქრებელია, ამიერიდან ძველი სატაძრო-სათემო მიწა-წყალი ქართლის მეფის განკარგულებაში გადადის. მისი გარკვეული ნაწილი გაიცემა პირობით მფლობელობაში ქართლის მეფის ადმინისტრაციულ და სამხედრო დიდ მოხელეებზე (ერისთავები, ათასისთავები, ასისთავები) — მათი სამსახურის სანაცვლოდ. ამიერიდან აქ ინტენსიურად იწყება მსახურეული ზედაფენის ჩამოყალიბება, რის განხორციელებას ვერ მიაღწია თავის სახელმწიფოს საგამგეო ერთეულებში (სკეპტუხებში) კოლხეთის სამეფო ხელისუფლებამ. აღნიშნული ერთეულების თეოკრატიული მმართველებისგან მან ვერ მიიღო მსახურეული ფენა, ვერ შეძლო ამ ფენის სოციალური კონსოლიდირება და მისგან კოლხეთის სამეფო ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენის შექმნა.

---

116 ზ. ბ რ ა გ ვ ა ძ ე. კოლხეთის აღმოსავლეთი რეგიონების ქართიზაციის საკითხისათვის. — „მაცნე". 4, 1990 გვ. 144—146.

გ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. საბადურის გორის სტრატიგრაფია და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ძირითადი ეტაპები. თბ., 1991. გვ. 24, 25,

თ ა ვ ი IV

პოლიტიკური ერთეულები ელინისტური ხანის კოლხეთში

ელინიზმის ეპოქაში, ამ რთულ საერთაშორისო ურთიერთობათა მოელვარე ხანაში, კოლხეთის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, რაც, ბუნებრივია, ღრმა კვალს აჩენს კოლხეთის საზოგადოებისა და მისი სატაძრო-პოლიტიკური ცენტრების განვითარებას. სიახლენი მოიტანა როგორც მეზობელ ქვეყნებში (სომხეთი, იბერია, მესხეთი) ადრეარსებული პოლიტიკური სიტუაციის ძირეულმა შეცვლამ, ისე მეტად მჭიდრო, ორგანულმა ეკონომიკურმა და კულტურულმა კონტაქტებმა ელინისტურ სამყაროს უდიდეს სახელმწიფოებთან და მათ ცენტრებთან (სელევკიდების სირია, პონტო და მისი ქალაქები — სინოპე, ამისო და სხვ.).

ქართული საისტორიო წერილობითი ტრადიციის მიხედვით, არიან-ქართლიდან (მტკვრისა და ჭოროხის სათავეების მხრიდან) მოსულმა, ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღზევებულმა აზომ[1] ჯერ ქართლის შუაგული „მცხეთის ქვეყანა" იგდო ხელთ, შემდეგ ქართლოსიანთა მიწა-წყლის საზღვრებში არსებული სახელმწიფო წარმონაქმნები დაიმორჩილა და თავისი გავლენა გაავრცელა კოლხეთზე (ეგრის წყალამდე). დაახლოებით ორ ათეულ წელიწადზე მეტი ხანი გაგრძელდა აზონის (აზოს) მეფობა ქართლსა და კოლხეთში, ვიდრე აჯან-

---

1 „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობაზე დაყრდნობით, გ. მამულია შენიშნავს, რომ აზო არიან-ქართლის, ანუ ოძრხის (ვიტერუხის, მესხთა) საპელმწიფო წარმონაქნის მეფის ძე იყო (გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში. თბ. 1979, გვ. 103). არიან-ქართლს სტრაბონისეულ „მოსხიკესთან" აიგივებს ნ. ხაზარაძე (მოხსენება „სტრაბონისეული „მოსხიკე" და „ქართლის მოქცევის" „არიან-ქართლი", წაკითხული 1985 წ. მარტში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. არქ. და ეთნ. ინსტიტუტის XXIX სამეცნ. სესიაზე).

ყებულმა ფარნავაზმა, კოლხეთის (ეგრისის) მბრძანებელ ქუჯის დახმარებით, იგი აქედან არ განდევნა. ამის შემდეგ, ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, გარკვეული ხნის მანძილზე, ფარნავაზის მეფობის დროს, კოლხეთის (ეგრისის) დიდი ნაწილი (ჩრდილოეთ ზღვისპირა მონაკვეთის გარდა) ქართლის პოლიტიკური გავლენის სფეროში ექცევა. მაგრამ, თუ რას გულისხმობდა რეალურად ეს გავლენა, ანდა რას წარმოადგენდა ამ დროს ფარნავაზის მიერ დაქვემდებარებული კოლხეთი — ამ კითხვებზე ცნობათა სიმცირის გამო კონკრეტული პასუხის გაცემა ძნელია.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გაირკვეს, თუ რამდენად სარწმუნოა ამ საისტორიო ტრადიციაში მოთხრობილი ამბავი „ქართლოსიანი“ ფარნავაზის და „ეგროსიანი“ ქუჯის ურთიერთობისა, და რამდენად შეიძლება საიმედოდ მივიჩნიოთ ამ გადმოცემაში დაცული ცნობები, როგორც წყარო საქართველოს ისტორიული წარსულის იმ მონაკვეთის წარმოსაჩენად, როდესაც კოლხეთის ბედ-იღბალი მჭიდროდ გადაეწნასკვა ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებას, მის გამოსვლას ფართო საერთაშორისო ასპარეზზე, რის შემდეგაც, ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა მეტად მნიშვნელოვან, სრულიად ახალ ფაზაში შევიდა.

უნდა ითქვას ისიც, რომ, მართალია, აღნიშნული ცნობების საბოლოობის საკითხი ადრეც არაერთხელ გამხდარა კრიტიკული განსჯის საგანი, მაგრამ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხის თაობაზე მაინც არ სუფევს აზრთა ერთსულოვნება. ამიტომ სხვა წყაროების მონაცემების მოშველიებით ამ ცნობების შემოწმება, მათი პირუთვნელი შეფასება კვლავ მოელის შემდგომ კვლევა-ძიებას.

ლეონტი მროველის მიერ დაცულ საისტორიო ტრადიციაში ფარნავაზის მიერ ქართლის სამეფოს შექმნისა და ამ პროცესში ეგრისის (კოლხეთის) მონაწილეობის მეტად ცოცხალი და საინტერესო სურათია დახატული.

გადმოცემის თანახმად, როცა ალექსანდრე მაკედონელმა „დაიპყრა ყოველი ქუეყანა, და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა“, ქართლოსიანებს ასიათასიანი ლაშქარი ჰაუყენა და ერისთავად დაუნიშნა აზონ პატრიკი, „ნათესავი მისი ქუეყანით მაკედონით“. მაგრამ აზონი აღმოჩნდა „კაცი ძნელი და მესისხლე“. ის დაუპირისპირდა ქართლოსიანებს („ვინცა-ვინ გამოჩნდის ქართველთაგანი ქმნულ-კეთილი და ასაკოვანი, მოკლიან იგი“) და, ჩანს, იძულებული შეიქმნა ხელახლა „დაეპყრა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი“. დაიპყრო მან „ქართლსა ზედა ეგრისიცა“. ეს ეგრისი, ლეონტის თანახმად, თარგამოსის ძის,

ეგროსის წილი ქვეყანა იყო, თარგამოსითგან (ე. ი. უძველესი) დროიდან ქართლისაგან ცალკე არსებული და მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი (ლიხის მთიდან მცირე ხაზარეთის მდინარემდე).

დაახლოებით ორ ათეულ წელიწადზე მეტი ხანი გაგრძელდა აზონის ბატონობა ქართლში, ვიდრე აჯანყებულმა ფარნავაზმა, ეგრისის (ანუ კოლხეთის) მფლობელ ქუჯის შემწეობით და დახმარებით, ის აქედან არ განდევნა. ეს ამბავი ლეონტის შემდეგნაირად აქვს გადმოცემული: ფარნავაზ იყო ქართლოსის ჩამომავალი უფლოსის შტოდან; ამავე დროს, იგი ალექსანდრეს მიერ მოკლული სამარ მცხეთის მამასახლისის ძმისწულიც იყო. ქართლოსიანთა დევნის ჟამს, ფარნავაზი დედამ „კავკასიის“ მთებში გადამალა. როდესაც დავაუკაცდა ფარნავაზი, მცხეთაში დაბრუნდა. ნადირობის დროს გამოქვაბულში განძი (ხვასტაგი) იპოვნა. „მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა (ანუ მსახური — მ. ი.) თვისი ქუჯის თანა“ და შესთხოვა დახმარება, შესთავაზა კავშირი და ერთობლივი ძალებით აზონ ერისთავის ქვეყნიდან განდევნა. „აწ ინებო რათა მით ხუასტაგითა მოვიდე შენ თანა, და ვიყვნეთ ჩუენ ძმა და ვიხმაროთ ჩუენ ხუასტაგი იგი ორთავე“... ქუჯიმ ფარნავაზს აღუთქვა დახმარება. ამავე დროს, ქუჯი მას დაჰპირდა სპის გამრავლებას, როგორც შემდეგ ირკვევა, გარკვეული საფასურის გაღებით კავკასიიდან მთიელ ტომთა („ოვსთა“ და „ლეკთა“) ლაშქრის გადმოყვანას. მაშინ ფარნავაზი ფარულად წარვიდა ქუჯისთან ეგრისში და „რომელ შესაძლებელ იყო განძისა მისგან წარიტანა თანა“. როგორც განზრახული ჰქონდათ, ქუჯიმ გადმოიყვანა „ოვსთა“ და „ლეკთა“ ლაშქარი ეგრისში, შეიკრიბა ურიცხვი სპა. აქედან შეუტიეს აზონს. ქართლში მას შეემატა აზონის ათასი რჩეული მხედარი, რომელნიც გადამწყვეტ მომენტში ფარნავაზს მიემხრნენ. „მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს“ და ამრიგად განიდევნა ქვეყნიდან ეს მოძალადე.

მეორე წელს ფარნავაზმა კვლავ უხმო ქუჯის და „ოვსთა“, რადგან აზონმა კვლავ გაიმაგრა ზურგი საბერძნეთიდან, შეკრიბა სპანი და „მომართა ფარნავაზს“. ქუჯის გარდა, ფარნავაზს ჯარით დაეხმარნენ მისი მოკავშირის ანტიოქოს ასურასტანის მეფის (უნდა იყოს სელევკის) ერისთავნი სომხეთიდან. ეს მეორე გამოლაშქრება საბედისწერო აღმოჩნდა აზონისათვის, ფარნავაზმა სძლია მას — „და მოკლეს აზონ“. ხოლო ფარნავაზი, როგორც გვაუწყებს საისტორიო ტრადიცია, ამიერიდან „მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა“. მან გატარა ადმინისტრაციული რეფორმა, ეს ქვეყნები დაყო საგამგეო ერ-

თეულებად — საერისთავოებად. ფარნავაზმა ქუჯის საერისთავოდ და-უმტკიცა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვიდან მთამდე მდებარე მიწა-წყალი, „რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი... და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“[2].

ფარნავაზის გამეფების დროინდელი (ელინისტური ხანის დასაწყისი) კოლხეთის შესახებ როგორც ქართული, ისე უცხოური წერილობითი წყაროების სიმწირის გამო დღეს ძალზე გვიჭირს ზემოთ მოტანილ საისტორიო ტრადიციასთან შესადარებელი, მისი რეალურობის შესამოწმებელი მონაცემების მიკვლევა. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამ თვალსაზრისით მთელი სისრულით მაინც არ არის გამოყენებული განთქმული ბერძენი გეოგრაფის — სტრაბონის ნაშრომში დაცული ზოგიერთი ცნობა, სახელდობრ კი, ის გადმოცემა, რომელშიც ავტორი, თუმცა ლაკონიურად, მაგრამ ფრიად ნიშანდობლივად აგვიწერს კოლხეთში შექმნილ ვითარებას, უძველესი ხანიდან მითრიდატე ევპატორის გაბატონებამდე (ძვ. წ. II ს-ის მიწურულამდე). ჩვენი აზრით, სწორედ სტრაბონის ამ ცნობამ შეიძლება დიდი სამსახური გაგვიწიოს ლეონტისთან შემონახული საისტორიო ტრადიციის კრიტიკულ შეფასებაში. მაგრამ, ვიდრე ქართულ გადმოცემას სტრაბონის ცნობას შევუდარებდეთ, საჭიროა უფრო დეტალურად შევეხოთ თვით ამ გადმოცემაში შემორჩენილ ზოგიერთ რეალიას და შევეცადოთ, იმ-დროინდელი ფაქტებისა და მოვლენების გათვალისწინებით, ასევე სხვა (ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური) მონაცემების მოშველიებით, გავაანალიზოთ ისინი.

ლეონტის გადმოცემაში თავდაპირველად ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ფარნავაზის მიერ კოლხეთის მიმხრობა ადგილობრივი ხელისუფლის — ქუჯის — მხარდაჭერით და შემწეობით ხდება და ერთ-ერთი მთავარი ძალა, რომელსაც ეყრდნობა ფარნავაზი აზონის განდევნისა და ქართლის სამეფოს შექმნის პროცესში, არის ეგრიელის პოლიტიკური ერთეული. ეს ნათლად გამოსჭვივის ლეონტი მროველის გადმოცემაში შემონახული იმ ცნობებიდანაც, რომ ქუჯის ფარნავაზისათვის ჩრდილო კავკასიიდან გადმოყავს მთიელ ტომთა დაქირავებული ლაშქარი და ზრუნავს მისი სპის გამრავლებაზე.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ფარნავაზი თვითონვე მიდის ქუჯისთან და სთავაზობს მას მოკავშირეობას („ვიყვნეთ ჩუენ ძმა და ვიხმაროთ ჩუენ ხუასტაგი იგი ორთავე“).

---

[2] ქც I, გვ. 17—25.

ამრიგად, ეჭვი არ არის, რომ ლეონტისთან დაცული გადმოცემის თანახმად, ერთიანი ქართლის სამეფოს შექმნის წინა პერიოდში (წინაელინისტური ხანა) ეგრისი (კოლხეთი), ქართლისაგან ცალკე არსებული, ვრცელი ტერიტორიის მომცველი პოლიტიკური ერთეულია და, ამასთან, იმდენად აქტიური პოლიტიკური ძალაა, რომ აზონთან ბრძოლაში მის მფლობელს — ქუჯის — თამამად შეუძლია ფარნავაზის მფარველად და მის მთავარ მოკავშირედ გამოვიდეს.

გადმოცემიდან ისიც ირკვევა, რომ აღნიშნულ ხანაში, ეგრისთან ერთად, ქუჯი ფლობს სვანეთსაც, მის ხელთაა იმიერკავკასიიდან სვანეთზე გადმოსასვლელი გზები, რომელთა მეშვეობით მას შეუძლია ჩრდილოეთის მთიელ ტომთა ლაშქრის გადმოყვანა. როგორც ჩანს, ქუჯის პოლიტიკური ძლიერებაც, ძირითადად, ამ გადმოსასვლელების ფლობას ემყარება.

აქედან აშკარაა, რომ ქართულ საისტორიო ტრადიციაში შემონახულ რეალიაში აისახა ფარნავაზის მიერ დასავლეთ საქართველოს მიმართ გადადგმული პირველი პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც მიზნად ისახავდა ეგრისის მიმხრობას, მასზე დაყრდნობით, მისი და ჩრდილოკავკასიელ ტომთა სამხედრო ძალის გამოყენებით, უზურპატორ აზონის განდევნას და ქართლის სამეფოს ტახტის დაუფლებას. ფარნავაზის ასეთი პოლიტიკური სვლა სავსებით კანონზომიერი ჩანს ქართლში შექმნილი რთული ვითარების პირობებში და, ვფიქრობ, სწორად უნდა ასახავდეს იმხანად (ძვ. წ. IV ს-ის ბოლო მეოთხედში) დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას, აქ მოქმედ ძალთა განწყობილებას.

განხილული ცნობის ასეთ გაგებას მხარს უჭერს ლეონტი მროველის სხვა ჩვენებებიც. სახელდობრ, სამეცნიერო ლიტერატურაში ერგად არის შენიშნული ის გარემოება, რომ, ამ ავტორის თანახმად, ეგროსი — მეგრელთა ეთნარქ-ეპონიმი ისეთივე ძმაა აღმოსავლეთ ქართველთა მამამთავრის ქართლოსის, როგორც პეროსი ან ლეკანი, რომლებიც, თავის მხრივ, ალანთა და დაღესტნელთა ეთნარქებს წარმოადგენენ და პოლიტიკური თვალსაზრისით ქართლის თანასწორ ერთეულებს განასახიერებენ[2].

ამრიგად, მართალია, ზემოთ განხილულ რეალიებში ქუჯი „მეფედ“

---

[2] დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, წ. 1, 1975, გვ. 77.

არ იხსენიება და არც მისი სამფლობელო ეგრისი იწოდება „სამ-ფოდ“, მაგრამ ძნელია დაეჭვება იმაში, რომ ამ ჩვენებებში მოხსენ-ებული „ეგრისის“ სახით საქმე გვაქვს ძველი კოლხეთის სახელმწიფ-ორგანიზაციასთან, რომელიც არსებობდა დასავლეთ საქართველოს მ-წა-წყალზე ქართლის ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბების წინა პერ-ოდში (წინაელინისტური ხანა) და ამ სამეფოს შექმნის დროსაც. ხ-ლო, რაც შეეხება ქუჯის, იგი სიმბოლოა კოლხეთის, ოდესღაც ძლ-რი, სრულუფლებიანი მეუფისა; თავისი მდგომარეობით ქუჯი მეუ-მისი პოლიტიკური ძალა, საისტორიო ტრადიციის მიხედვით, მის მ-ციხე-გოჯის მშენებლობის ფაქტშია განსახიერებული, რადგან ის-ვინც ციხის უფალია, ის ქვეყნის რეალური მფლობელი და გამგებ-ლიც არის. ამასთან ერთად, ნიშანდობლივია ისიც, რომ საისტორ-ტრადიციაში დამოწმებული სახელი „ქუჯი“, როგორც ვარაუდობ-უკავშირდება ციხის სახელწოდებას — „გოჯი“, ხოლო ორივე ეს სა-ხელი უნდა მომდინარეობდეს ზანური (მეგრული) ტერმინიდან ქვ-ქვინჯი, რაც ნიშნავს ძირს, ანუ მთავარს (აქედან—„ჯიხანქუჯი“ მთ-ვარ ციხეს უნდა გულისხმობდეს)[3].

ლეონტის გადმოცემაში აღწერილ მომდევნო მოვლენებს თ-თვალს გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ აქ ნათლად შეინიშნება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ქართლის სამეფოს წარმო-ქმნის შემდეგ, ეგრისის ურთიერთობა ქართლთან მკვეთრად იცვლება. ეგრისის მეუფე-მბრძანებელი ქუჯი, ფარნავაზის თანაბარი მოკავშ-რის („ძმის“) სტატუსიდან მისადმი დამოკიდებულ („მონის“ ანუ ვასალის) მდგომარეობაში ექცევა. ქუჯი აღიარებს ქართლის მეფის უპირატესობას.

გადმოცემაში ეგრისის მიერ ქართლის პრიორიტეტის აღიარება იმაშიც ვლინდება, რომ ფარნავაზი ქუჯის ეგრისის ერისთავად ნიშ-ნავს, საერისთავოდ უმტკიცებს ადრე მის სამფლობელო კოლხეთის ერთ ნაწილს, სვანეთთან ერთად, და აწესებს მის საგამგეო ერთეულის საზღვრებს. ამრიგად, ეჭვი არ არის, რომ საისტორიო ტრადიციაში შემონახული ეს რეალიაც შეიცავს საყურადღებო ცნობას, რომლის თანახმად, ქართლის სამეფოს შექმნის შემდეგ, ძველი კოლხეთის ცხოვრებაში დგება მკვეთრი გარდატეხის ხანა. ოდესღაც სუვერე-

---

3 ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა. XI—XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. 1988, გვ. 11—15.

ნელი სახელმწიფოდან ის გადაიქცევა ქართლისგან დამოკიდებულ პოლიტიკურ ერთეულად. ლეონტი მროველი (უკეთ მისი წყარო) მას ამიერიდან საერისთავოს უწოდებს, მაგრამ ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, თუ რეალურად რა უნდა იგულისხმებოდეს ამ პოლიტიკურ ერთეულში.

გადმოცემაში დაცულ ამ რეალიას თან ერთვის მეორე, არანაკლებ საყურადღებო ჩვენება: ქართლის სამფოს ჩამოყალიბების შემდეგ (ძვ. წ. III ს-ის დამდეგიდან) ეგრისის პოლიტიკურ ერთეულში შედის არა მთელი კოლხეთი, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი. სახელდობრ, თუკი ადრე, ძვ. წ. III ს-ის წინა პერიოდში (ადრეანტიკური ხანა), ლეონტის მიხედვით, ეგრისი მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, რაც კარგად შეესატყვისება ბერძენ ავტორთა (ჰეროდოტეს, ესქილეს, სკილაქს კარიანდელის) ცნობებს, რომელთა თანახმად, ძვ. წ. V—IV სს. კოლხთა გავლენა ქ. დიოსკურიამდე (დღ. სოხუმამდე) აღწევდა, ზემოთ განხილული გადმოცემით, ფარნავაზის გამეფების შემდეგ, ქუჯის სამფლობელო ეგრისი ტერიტორიულად საგრძნობლად შემცირებულია. სახელდობრ, მისი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი აღარ უკვე ეგრის წყალზე გადის (ჩვენ სავსებით მისაღებად გვეჩვენება ეგრის წყლის გაიგივება დღ. მდინარე ღალიძგასთან. მეგრულად ღალიძგა ნიშნავს კიდის ანუ მიჯნის წყალს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ღალიძგა ერთ დროს ეგრისის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს წარმოადგენდა). ლეონტისთან დაცული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, მნიშვნელოვნად შემცირებულია ქუჯის სამფლობელო ქვეყანა ასევე აღმოსავლეთით და სამხრეთითაც. ქუჯის საგამგეო ერთეული ამ დროს ლიხის მთას აღარ სწვდება, არამედ მხოლოდ მდინარე რიონის ზემო და ქვემო წელს შორის მდებარე მიწა-წყლით ისაზღვრება. რიონი ამ ერთეულის საზღვარია სამხრეთით და აღმოსავლეთით[4]. შეუცვლელი დარჩენილა მხოლოდ ჩრდილოეთი მიჯნა, რომელიც ამ დროს კვლავ სვანეთამდე აღწევდა, თვით სვანეთი კი წარმოადგენდა ქუჯის სამფლობელოს ნაწილს.

---

4 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 94, 112. ქუჯის ეს საგამგეო ქვეყანა — ქართული წყაროს შიდა ეგრისი — უნდა იყოს პტოლემაიოსის იგივე ეგრიკტიკე, ანუ სომეხი გეოგრაფოსის ეგრეეიკი, რომელიც, ამავე გეოგრაფოსის განმარტებით, არის საკუთრივ ეგრისი. ამ პროვინციას, ისევე როგორც ქართული წყაროების შიდა ეგრისს, რიონი აქვს საზღვრად. ეს ფრიად მნიშვნელოვანი დაზუსტებაა (დ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 94).

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ ეგრისის (კოლხეთის სახელმწიფოს) მიწა-წყლის შემცირება და მის მიერ ქართლის პრიორიტეტის აღიარება საისტორიო ტრადიციაში ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ მოვლენებად არის წარმოდგენილი, ისინი მოჰყოლია ქართლის ძლიერი სამეფოს წარმოქმნას და შემდგომ მისი გავლენის გავრცელებას კოლხეთში.

ზემოთ განხილულ საისტორიო ტრადიციაში აღნიშნულია ისიც, თუ კონკრეტულად რაში გამოვლინდა ქართლის ასეთი დამოკიდებულება კოლხეთის მიმართ. როგორც უკვე ითქვა, ფარნავაზს ჩაუტარებია გადამწყვეტი მნიშვნელობის რამდენიმე პოლიტიკური აქცია, გარდა იმისა, რომ მისი ინიციატივით აუშენებიათ ციხეები — შორაპანი და დიმნა, რომელთაც უნდა შეესრულებინათ დასაყრდენის როლი ქართლის სამეფოს პოლიტიკური პოზიციების შემდგომი განმტკიცებისათვის კოლხეთის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში, კოლხეთის იმ ნაწილში, რომელიც ქუჯის სამფლობელო ეგრისში არ შევიდა, ფარნავაზს შეუქმნია ქართლის სამეფოსაგან უშუალოდ დამოკიდებული საგამგეო ერთეულები. ამრიგად, ლეონტის მიერ შემონახული საისტორიო ტრადიციიდან გამოდის, რომ ეგრისში მომხდარი ცვლილებები, ძირითადად, მოუტანია ახლად წარმოქმნილი ქართლის სამეფოს მისწრაფებას თავის სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულ სისტემაში მოექცია დასავლეთი საქართველო.

როგორც ზემოთ ითქვა, წინაელინისტური და ელინისტური ხანის მიჯნაზე კოლხეთში შექმნილი ვითარების ამსახველ ქართულ საისტორიო ტრადიციაში დაცული რეალიების მეცნიერული შეფასების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს სტრაბონის „გეოგრაფიაში" შემონახულ ფრიად საგულისხმო ცნობას, რომელშიც აღწერილია უძველესი ხანიდან მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის დაპყრობამდე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია.

სტრაბონი გვაუწყებს:

„თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ცხადჰყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე... ამაზე უწინ კი ფრიქსეს (ლაშქრობაზე)".

„მომდევნო ხანის მეფეებს სკეპტუხიებად დანაწილებულ ქვეყანაში ეპყრათ ზომიერი ხელისუფლება, ხოლო როდესაც მითრიდატე ევპატორის ძალაუფლება მნიშვნელოვნად გაძლიერდა, მის ხელში გადავიდა ეს ქვეყანა" (Strabo, XI, 2, 14).

სტრაბონის ზემოთ მოტანილი ინფორმაცია ჩვენ შემდეგნაირად გვესმის: ამ ცნობაში კოლხეთის პოლიტიკური ისტორიის ორი ძირითადი პერიოდია წარმოდგენილი: პირველ ანუ უძველეს პერიოდში (იგულისხმება ადრეანტიკური და ამაზე ადრინდელი ხანაც) კოლხეთი განთქმულია თავისი სიძლიერით, ძლიერია სამეფო ხელისუფლებაც. მეორე პერიოდში (იგულისხმება მითრიდატეს მიერ ქვეყნის დაპყრობის წინა ეპოქა — ძვ. წ. III—II სს. ანუ ელინისტური ხანა) კოლხეთი დაქუცმაცებულია და სამეფო ხელისუფლებაც აღარ გამოირჩევა თავისი სიძლიერით. ე. ი. მის ოდინდელ სიძლიერესთან შედარებით, იმხანად ეს ხელისუფლება ზომიერია[5].

რითი შეესატყვისება სტრაბონის მიერ აღწერილი ეს ვითარება კოლხეთში ლეონტი მროველის გადმოცემის მიხედვით დახატულ სურათს და რა არის მათ შორის საერთო, ეს შეიძლება დავინახოთ ორ

---

5 თ. ყაუხჩიშვილი სტრაბონის გეოგრაფიის ჩვენ მიერ განხილულ ადგილს შემდეგნაირად თარგმნის: „თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ცხადყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე,... ამაზე უწინ კი ფრიქსეს (ლაშქრობაზე). ამის შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სკეპტუხიებად დაპყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება; ხოლო როდესაც მითრიდატე ევპატორის ძალაუფლება მნიშვნელოვნად გაძლიერდა, მის ხელში გადავიდა ქვეყანა" (თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 124). მოტანილ თარგმანში კოლხეთის მეფეების მიერ ქვეყნის სკეპტუხიებად დაყოფა და მათი ხელისუფლების ზომიერება ერთდროულ მოვლენად არის წარმოდგენილი, მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ ამ მეფეთა მიერ ქვეყნის სკეპტუხიებად (საგამგეო ერთეულებად) დაყოფა კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბების ხანაში უნდა მომხდარიყო, მის მესვეურთა ხელისუფლება კი ზომიერი ხდება უფრო მოგვიანებით, ფარნავაზის მიერ კოლხეთის შემოერთების შემდეგ, ე. ი. ელინისტურ ეპოქაში. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ადგილის ბერძნული ტექსტის—„*βασιλῆσι εἰς σκηπτουχίας διῃρημένην ἔχοντες τὴν χώραν μέσως ἔπραττον*"—თარგმნისას, უთუოდ, ანგარიში უნდა გაეწიოს წინდებულ „*εἰς*"-ს, რომელიც, ზმნის მიმღეობის ბრალდებით ბრუნვასთან ერთად, აღნიშნავს არა მხოლოდ მოქმედებას, არამედ ამ მოქმედე'ის შედეგსაც. ამდენად, სტრაბონის ტექსტში—„*εἰς σκηπτουχίας διῃρημένην τὴν χώραν*"—გულისხმობს არა მხოლოდ მეფეთა მიერ ქვეყნის დაყოფას სკეპტუხიებად, არამედ ამ ღონისძიების შემდეგ შექმნილ ვითარებასაც, ე. ი. სკეპტუხიებად უკვე დანაწილებულ ქვეყანაში კოლხეთის მეფეთა ხელისუფლების დაკნინებულ მდგომარეობას (მის ზომიერებას).

აღმოსავლეთით მდებარე მიწებისკენ, სადაც ქართველი ტომები ცხოვრობდნენ. აქ პონტო აქტიურად ერევა ქართლის საქმეებში და დიდ მონაწილეობას იღებს პირველობისათვის ქართულ გაერთიანებათა ჭიდილში, რაც აისახება ფარნავაზისა და აზონის ბრძოლაში სამეფო ტახტისათვის[6].

აღნიშნულ მოსაზრებას, ძვ. წ. III ს-ის პირველ ნახევარში პონტოს სამეფოს აქტიურად ჩარევის შესახებ ქართლში მიმდინარე პოლიტიკურ პერიპეტიებში, ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს. მათი აზრით, პონტოს სამეფოს მონაწილეობა და აქტიურობა ამიერკავკასიაში, ასე ადრეული პერიოდისთვის ლოგიკურად გამორიცხული და არც რაიმე კონკრეტული არგუმენტი არ გაგვაჩნია მის დასადასტურებლად[7]. აქვე ისმის საკითხი პონტოს სამეფოს გამორიცხვის შემთხვევაში, რომელი პოლიტიკური ძალა უნდა ვივარაუდოთ „საბერძნეთში", რომელიც ქართული საისტორიო წყაროს მიხედვით, ზურგს უმაგრებდა აზოს და ამავე დროს, უპირისპირდებოდა „ასურასტანს" (სელევკიების სამეფოს) ქართლის საკითხში.

მკვლევართა ერთი ნაწილი უფრო დამაჯერებლად მიიჩნევს ამ მოსაზრებას, რომლის თანახმად ასეთ ძალად აღებულ ხანაში მხოლოდ თრაკიის მეფე ლისიმაქე შეიძლებოდა გამოსულიყო, რადგან ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველოს მთელი ტერიტორია ლისიმაქეს გავლენის სფეროს წარმოადგენდა. მაშინ როცა პონტოს ამ დროს არ ჰქონდა გასასვლელი შავი ზღვისკენ. აღნიშნულ მკვლევართა თანახმად, ფარნავაზის ბრძოლა ქართლის ტახტისათვის მოხდა ძვ. წ. 284—280 წლებში, რადგან დაპირისპირება სელევკსა და ლისიმაქეს შორის იწყება ძვ. წ. 284—3 წელს, ხოლო ძვ. წ. 280 წელს კვდება სელევკი. ამაზე ადრე, ძვ. წ. 281 წელს კლავენ ლისიმაქეს[8].

მაგრამ მკვლევარნი, რომელნიც აზოს მომხრე რეალურ პოლიტიკურ ძალად — „საბერძნეთად" — მიიჩნევენ პონტოს სამეფოს (გ. მელიქიშვილი და სხვ.), უპირველეს ყოვლისა, ამოდიან იმ ფაქტიდან, რომ, მართალია, ლისიმაქეს წილად ხვდა უზარმაზარი სამფლობელო, მაგრამ, გარეგნული ბრწყინვალების და ფინანსური სიძლიერის მიუხედავად, პოლიტიკური თვალსაზრისით ლისიმაქეს არ ჰქონდა მყარი მდგომარეობა, რადგან მისი სახელმწიფო წარმოადგენდა სხვადასხვა ტომთა და საგამგეო ერთეულთაგან შემდგარ კონგლომერატს, ხოლო მისი თითქოს მძლავრი არმია არ იყო საიმედო. ამიტომ არის, რომ ლისიმაქემ მთელი თავისი სიცოცხლე მაკედონიასა და მცირე აზიაში მემკვიდრეობით მიღებული სამფლობელოების დამკვიდრებისათვის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლას შეალია.

მკვლევარნი (მათ შორის ჩვენც), რომელნიც ვარაუდობენ ამიერკავკასიაში პონტოს გააქტიურებას 280-იანი წლების დასასრულისათვის, ითვალისწინებენ ლისიმაქეს მერყევ პოლიტიკურ მდგომარეობას მცირე აზიაში, განსაკუთრებით კი მის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებში, სადაც ამ დროს იქმნება ძლიერი სამხედრო პოტენციალის მქონე, ადგილობრივ ტომთაგან შემდგარი პოლიტიკური ძალა — კაპადოკიის პონტოს საგამგეო ერთეული; ამ ერთეულს საკუთარი მმართველი მითრიდატე II კტისტი უდგა სათავეში. პონტო აღიარებს ლისიმაქეს გავლენას და თავისი სამხედრო ძალებით დიდ დახმარებასაც უწევს მას ჯერ კიდევ ძვ. წ. 302 წელს, როდესაც ანტიგონეს წინააღმდეგ იქმნება კოალიცია პტოლემეს, სელევკის, ლისიმაქეს და კასანდრეს შემადგენლობით. მიუხედავად იმისა, რომ აღებულ ხანაში პონტოს არ ჰქონდა უშუალოდ ზღვაზე გასასვლელი გზა, მითრიდატე II კტისტმა შეძლო ანტიგონეს წინააღმდეგ ბრძოლის დროს პაფლაგონელთა და კაპადოკიელთაგან დიდი არმიის გამოყვანა, ანტიგონეს განადგურების შემდეგ კი — მის გარშემო შემოკრებილ ტომთა მეთაურიდან პონტოს სამეფოს მბრძანებლად გახდომა[9].

აღსანიშნავია ისიც, რომ, მართალია, პონტოს ამ დროს არ ჰქონდა ზღვაზე გასასვლელი, მაგრამ ამიერკავკასიის საქმეებში მონაწილეობა თავისი სამხედრო ძალებით მას სახმელეთო გზებითაც შეეძლო (მის აღმოსავლეთით მცირე არმენია იყო). გასათვალისწინებელია ისიც, რომ პონტოს დედაქალაქ ამასიაზე გამავალი დიდი სახმელეთო

---

[6] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. გვ. 442.

[7] Н. Ю. Ломоури. К истории Понтийского царства. Тб., 1979; Т. Г. Дундуа. Колхида, Иберия и Понтийское царство по нумизматическим материалом. Автореферат на соиск. уч. ст. кандидата ист. наук. Тб., 1992, с. 6—13.

[8] Ю. М. Гагошидзе. Самадло. Тб., 1979, с. 97—99.

[9] М. И. Максимова, Античные города Юго-Восточного Причерноморья. М.-Л., 1956. с. 172—176: იხ. ს. იუ. სამრიკინის რეცენზია B. Mcging-ის ნაშრომზე—The Foreign Policy of Mithridates VI Eupator, King of Pontus. Leiden. E. J. Brill, 1986. BDU, 1990, №2, с. 204-9.

მაგისტრალით სრულიად ადვილი იყო ზღვისპირა ქ. ამისოსთან დაკავშირებაც[10].

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართლის შემომტკიცების იდეა, რომელიც, შესაძლოა, მართლაც, ჯერ კიდევ ლისიმაქეს მეფობის ბოლო წლებში ისახება სელევკთან დაპირისპირებასთან ერთად, ხორციელდება პონტოს მეშვეობით და მასზე დაყრდნობით, რადგან ამ იდეის გამტარებლად და ფარნავაზის წინააღმდეგ ახალ დამხმარე პოლიტიკურ ძალად გამოსვლა, რეალურად, ამ დროს სწორედ ძლიერი სამხედრო პოტენციალის მქონე, მეზობლად მდებარე პონტოს შეეძლო. ამას ნათლად მოწმობს ის ფაქტიც, რომ ისტორიკოს მემნონის გადმოცემით, როგორც კი მოკლულ იქნა ლისიმაქე (ძვ. წ. 281 წელს), ჰერაკლეის მთავარი პოლიტიკური მოკავშირის როლში შავ ზღვაზე სწორედ პონტოს სამეფო გამოვიდა[11].

მაგრამ, როგორც ირკვევა, პონტოს (საისტორიო ტრადიციით „ბერძენთა") მიზნებმა აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგან მის მისწრაფებებს აქ წინ აღუდგა ახლად შექმნილი, ერთიანი და ძლიერი ქართლის სახელმწიფო და მისი მოკავშირე სელევკიდების სირიის სამეფო, პონტოს დიდი მეტოქე ახლო აღმოსავლეთში.

ქართლის ცხოვრებიდან ნათლად ჩანს, რომ მას შემდეგ რაც ფარნავაზი განიმტკიცებს მდგომარეობას ქართლში და „ასურასტანის" მხრიდან ზურგს გაიმაგრებს, ის იწყებს ზრუნვას კოლხეთის შემოერთებისათვის და კიდეც ავრცელებს თავის გავლენას მასზე.

აქ ფარნავაზი კვლავ უპირისპირდება პონტოს, რომელსაც ასეთივე ზრახვები უჩნდება კოლხეთის მიმართ. ამიერკავკასიის ცენტრალური რეგიონებისაგან განსხვავებით, კოლხეთში პონტო გარკვეულ წარმატებებს აღწევს, ფეხს იკიდებს ეგრის წყლის (ლაღიძგას) „ქვემოთ", მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე. ამას მოჰყვება ის შეთანხმება ფარნავაზსა და „საბერძნეთის" (პონტოს) მესვეურს შორის, რომლის ძალითაც ეგრის წყლის ქვემოთ მდებარე ქვეყანა რჩებათ „ბერძნებს", ხოლო ეგრის წყლის ზემოთი (სამხრეთი) მიწები — ფარნავაზის პოლიტიკურ გავლენაში მყოფ კოლხეთს (ე. წ. „ეგრისის საერისთავოს").

ამრიგად, პონტოს პრეტენზიები კოლხეთის ჩრდილოეთ სანაპიროს რეგიონების მიმართ აღებულ ხანაში განმტკიცებულ და უზუნველყოფილ იქნა ფარნავაზსა და „ბერძნების" (პონტოს) მბრძანებელთა შორის დადებული ხელშეკრულებით.

[10] М. И. Максимова. დასახ. ნაშრ., გვ. 172—176.

[11] იქვე.

მოტანილი ცნობის „ბერძნებში", რომელთაც დარჩათ ეგრისწყლის ჩრდილოეთით მდებარე კოლხეთის სანაპირო, რომ მართლაც პონტოელები უნდა იგულისხმებოდნენ, ხოლო „მკვიდრნი მის ადგილისანი", რომელთაც არჩიეს პონტოს გავლენის სფეროში ყოფნა, უნდა ნიშნავდეს ჩრდილოეთ კოლხეთის, ძირითადად, ქალაქ დიოსკურიის ირგვლივ მდებარე „ქვეყნის" ადგილობრივ მოსახლეობას, ამის ერთადერთი დამადასტურებელ საბუთად ეშერის ბერძნული წარწერა გვევლინება. წარწერა, რომელიც ძველ დიოსკურიის „ხორას" ტერიტორიაზე, დღ. სოხუმის დასავლეთით, მისგან 10-ოდე კმ-ის დაშორებით, აღმოჩნდა (სოფ. ეშერაში), შესრულებულია ძვ. წ. III ს. არქიტექტურულად გაფორმებულ ბრინჯაოს ფირფიტაზე[12]. კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ ძვ. წ. III ს-ის პირველ ნახევარში პონტოს სამეფო, ჩრდილოეთ კოლხეთის სანაპიროს თავისი პოლიტიკური გავლენის სფეროში მოქცევისა და მისი მდიდარი ბუნებრივი რესურსების (ლიმონის და სხვ.) დაუფლების მიზნით, თავის მოკავშირე ჰერაკლეასთან ერთად, მისი საზღვაო ძალების გამოყენებით, მონაწილეობს ეშერის მოსახლეობის დაცვაში ზღვაზე მოთარეშე ტომთა შემოსევებისაგან. მსგავსი აქციების განმეორების თავიდან აცილების მიზნით იგი ასევე აქტიურად ერევა მის გამაგრებაში. დასახელებულ ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლები მოწმობენ, რომ ძვ. წ. III ს. ეშერის სამოსახლო გადაიქცა გამაგრებულ ციხე-ქალაქად და ამაში დიდ როლს ასრულებდნენ როგორც სამხრეთ შავიზღვისპირეთის დიდი სავაჭრო ცენტრები (ჰერაკლეა, სინოპე), ისე პონტოს სამეფო[13]. კოლხეთის ჩრდილოეთ სანაპიროს ბინადართა („მკვიდრთა მის ადგილისანთა") „ერთგულებას" პონტოს სამეფოსადმი (მათ „არა ინებეს განდგომა ბერძენთა") განაპირობებდა ასევე დიოსკურიისა და მისი „ქვეყნის" ბერძნული და ადგილობრივი მოსახლეობის დიდი დაინტერესება ამიერო სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტით სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებსა და მათ მოკავშირე პონტოს სამეფოსთან.

[12] Т. С. Каухчишвили. Греческая надпись Эшерского городища. Источниковедческие разыскания. Тбилиси. 1985.

[13] ვ. ინაძე. ეშერის ბერძნული წარწერის გაგებისათვის. — „მნათობი", თბ., 1988 № ,1, გვ. 147—155.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კოლხეთის მიმართ ... რინდელ მეფეთა ანალოგიურ პოლიტიკას ატარებდა, ერთნახევარი ... უკუნის შემდეგ, მითრიდატე VI ევპატროსიც. როგორც არქეოლოგიური მონაცემები და წერილობითი წყაროები მოწმობენ, ძვ. წ. II ს-ის დასასრულს მითრიდატე VI ეშერის ტერიტორიაზე აგებს საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელ სისტემას, რაც პონტოს მბრძანებელს უქმნის დიდ სტრატეგიულ უპირატესობას ამიერკავკასიის ქვეყნებზე და ჩრდ.-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზე პოლიტიკური ბატონობისათვის[14]. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ძვ. წ. III ს. ეშერაში დადგმული წარწერა მითრიდატეს ხელუხლებლად დაუტოვებია აქ ჩატარებული დიდი სასიმაგრო მშენებლობის შემდეგაც, ვფიქრობთ, როგორც მისი წინაპრების, პონტოს ადრინდელ მეფეთა ოფიციალური დოკუმენტი, ანუ დიოსკურიასა და მის „ხორაზე" მათი უფლებების დამადასტურებელი საბუთი. ეშერის წარწერის კვლევით მიღებულ ამ დასკვნასთან დაკავშირებით, ყურადღებას იმსახურებს ავრეთვე ახ. წ. I ს-ის რომაელ ისტორიკოს პომპეუს ტროგოსთან დაცული ერთი მეტად საინტერესო ცნობა[15]. დასახელებული ცნობიდან ირკვევა, რომ კოლხები, ისევე როგორც პაფლაგონელები და ბოსფორელები, მითრიდატე ევპატორმა პონტოს სამეფოს შეუერთა კანონიერი გზით, მემკვიდრეობის უფლებით, ხელშეკრულებით[16].

რა თქმა უნდა, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ პომპეუს ტროგოსის ცნობაში ასახული ვითარება — მითრიდატეს მიერ კოლხების შეერთება მემკვიდრეობის წესით, ე. ი. მის წინაპართა მიერ ადრე დადებული ხელშეკრულების ან შეთანხმების ძალით—მთელ კოლხეთზე გავავრცელოთ. მაგრამ სავსებით დასაშვებია, რომ აღნიშნულ ცნობაში არეკლილი იყოს მითრიდატეს მიერ ჩრდილოეთ კოლხეთის სანაპიროს იმ რეგიონის მოსახლეობის მშვიდობიანი შეერთება, რომელიც ჯერ კიდევ ძვ. წ. III ს-დან მჭიდროდ დაუკავშირდა პონტოს სამეფოს და სამხრეთ შავიზღვისპირა ქალაქებს. ერთი სიტყვით, პომპეუს ტროგოსის ცნობაში, სავსებით შესაძლებელია, ასახვა პოვ...

[14] მ. ინაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 152, 153; იხ. Д. Б. Шелов. Колхида в системе понтийской державы Митридата VI.—Кавказ и Средиземноморье. Тбилиси, 1980.

[15] ეს ცნობა შემოუნახავს უფრო გვიანდელ ავტორს — იუსტინეს — თავის ნაშრომში, რომელიც პომპეუს ტროგოსის თხზულების შემოკლებას (ეპიტომას) წარმოადგენს. ამ ნაწარმოების რუსული თარგმ. იხ. ВДИ, 1955, № 1.

[16] იუსტინე. XXXVII. I, 10. ВДИ, 1955, № 1, с. 200.

ეს ფაქტმა, რომ პონტოს მეფეებს, რაღაც შეთანხმების ძალით, ადრიდანვე გარკვეული იურიდიული უფლებები ჰქონდათ ჩრდილოეთ კოლხეთის მიწა-წყალზე, ან მის ნაწილზე (დიოსკურიის „ქვეყანა"), რაც თავი იჩინა მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის შეერთების დროსაც[17].

პონტოს სამეფოს ეს აქტიური საგარეო პოლიტიკა შავიზღვისპირეთის ქვეყნებისა და ქალაქების მიმართ ნათლად იკვეთება ძვ. წ. II ს. ფარნაკეს მეფობის დროსაც, როდესაც პონტოს ეს მბრძანებელი ხელთ იგდებს სინოპეს — სატრანზიტო-სავაჭრო ურთიერთობების ამ უდიდეს ცენტრს შავ ზღვაზე და ამავე ხანებში, ძვ. წ. 179 წელს, ჰერაკლიასთან ერთად, ერევა სკვითების თავდასხმის გამო საფრთხეში ჩავარდნილი ქერსონესის საშინაო საქმეებში, დებს მასთან დახმარების ხელშეკრულებას. პონტოს მეფის ასეთი აქტიური საგარეო პოლიტიკა ნათლად გამოსჭვივის, ასევე, ბერძენი ისტორიკოსის პოლიბიოსის ცნობიდან, საიდანაც ირკვევა, რომ ფარნაკეს ამ პოლიტიკის შედეგად გამოწვეულ საომარ მოქმედებას ძვ. წ. 183/2—179 წლებში მოჰყვა მშვიდობიანი მოლაპარაკება პონტოს მეფესა და მის ყოფილ მოწინააღმდეგეებს შორის. ტექსტში ამ ხელშეკრულების შესრულების გარანტთა შორის დასახელებული არიან აზიის დინასტთაგან: არტაქსია, დიდი სომხეთის გამგებელი, და აკუსილოხი, ხოლო ევროპის დინასტთაგან — გატალოს სარმატი[18].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ აქ მოხსენიებულ პირთაგან აკუსილოხში შეიძლება იგულისხმებოდეს კოლხეთის მეფე აკუს, რომელიც სწორედ ამ ხანებში ჭრის ოქროს მონეტას — ლისიმაქეს სტატერის მინაბაძს — წარწერით ΒΑΣΙΛΕΩΣ ΑΚΟΥ[19].

[17] მ. ინაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 151—155.

[18] Polib., XXV, 2. თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 1977, გვ. 35.

[19] А. И. Немировский, Понтийское царство и Колхида,—Кавказ и Средиземноморье. Тб., 1980, с. 155, 156. ა. ნემიროვსკი ამასთან აღნიშნავს, რომ კოლხეთის მეფის სახელი სახელობით ბრუნვაში უნდა წავიკითხოთ არა როგორც აკოს ან აკესი, როგორც ამას დ. კაპანაძე გვთავაზობდა, არამედ როგორც აკუ. ამრიგად, მისი აზრით, აკუ არის არა ნათესაობითი ბრუნვა კოლხეთის მეფის სახელისა აკოს, ან აკეს, არამედ დასაწყისი ნაწილი მისი სრული სახელწოდების აკუსილოხი, რომლის ბოლო ნაწილი არაბერძნული ხასიათისაა და კარგად ეხმიანება კოლხეთის მეორე მეფის სახელს სალახოსს (А. И. Немировский. დასახ. ნაშრ. გვ. 151. 155. ამ საკითხის შესახებ იხ. Т. Т. Тодуа, Колхида в составе Понтийского царства. Тб., 1990, с. 40—41).

აკუსილოხის მეფე აკუსთან გაიგივების ერთ-ერთ დამადასტურებელ სა-ბუთად მკვლევართ მიაჩნიათ აკუსილოხის დასახელება არმენიისა და სარმატიის დინასტთა შორის, ე. ი. კავკასიის ზღვისპირეთში.

მცირე აზიასა და შავიზღვისპირეთში არსებულ პოლიტიკურ ძალა-ა დაპირისპირებისა და შექმნილი სიტუაციის მშვიდობიანად მოგვარებ-სათვის დადებულ ხელშეკრულებაში ერთ-ერთ გარანტად, სწორეთ, კოლხეთის გამგებლის შეყვანა სავსებით კანონზომიერად მოგვეჩვე-ნება, თუ გავითვალისწინებთ ფარნაკეს წინამავალ პონტოს მეფეთა პო-ლიტიკურ მისწრაფებებს ჩრდილოეთ კოლხეთის მიმართ, მათ განსა-კუთრებულ დაინტერესებას მისი ბუნებრივი სიმდიდრით და, რაც მთავარია, პონტოს სამეფოსა და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებ-თან (სინოპე) მშვიდობიანი ეკონომიკური კონტაქტების შენარჩუნე-ბის დიდ მნიშვნელობას თვით კოლხეთის ამ რეგიონის (დიოსკურიის „ქვეყნის“) მოსახლეობისათვის (როგორც დადგენილია, ელინისტურ-ხანიდან სინოპე წარმართავს მთელი კოლხეთის საგარეო სავაჭრო ურ-თიერთობებს და თავის ფაქტორიებს ქმნის სამხრეთ და ჩრდილოეთ კოლხეთის სანაპიროზე არსებულ არაერთ ბერძნულ ახალშენთან, მათ შორის დიოსკურიასთან)[20].

179 წლის მშვიდობიან ხელშეკრულებაში კოლხეთის ჩართვა განპირობებული უნდა ყოფილიყო ასევე ჩრდილოეთით სარმატული ტომების განსაკუთრებული გააქტიურებით ძვ. წ. III—II სს. და მათი თავდასხმების გახშირებით სამხრეთის მიმართულებით. გარდა ამისა, ამ მშვიდობიან მოლაპარაკებაში მონაწილეობა ერთგვარად უზრუნველ-ყოფდა კოლხეთის უსაფრთხოებას სამხრეთიდანაც, თვით პონტოს სა-მეფოს ან არმენიის მხრიდან, რომლის ტერიტორიული გაფართოები-საკენ სწრაფვა შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენოდათ კოლხეთის მმარ-თველ წრეებს[21]. მით უფრო, რომ, შინაპოლიტიკური დაქსაქსულობის და სკეპტუხიათა განდგომის შედეგად გამოწვეული ტერიტორიული დამცრობის პირობებში, კოლხეთის სამეფოს, უთუოდ, უნდა გაძნელე-ბოდა სასაზღვრო პუნქტების გამაგრება, მათზე კონტროლი, რაც ადრე აქ ასე წარმატებით ხორციელდებოდა[22].

---

20 მ. ი ნ ა ძ ე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. გვ. 177, 178.

21 Т. Т. Т о д у а. დასახ. ნაშრომი, გვ. 43, 44.

22 ადრეანტიკურ ხანაში კოლხეთის სამეფოს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებში საზღვრების სასიმაგრო კედლებით და კოშკებით გამაგრებისა და აქ თა-ვისებური სამხედრო ორგანიზაციის არსებობის შესახებ იხ. ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. სა-

აქვე გარკვეულ ახსნას მოითხოვს ძვ. წ. 179 წელს ფარნაკესთან დადებულ ხელშეკრულებაში აკუსილოხის (აკუს?) მეფის ტიტულის გარეშე მოხსენიება (მაშინ როდესაც სხვა დინასტები თავისი ტიტუ-ლებით არიან ჩამოთვლილნი). ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავი-ხსენოთ ის გარემოება, რომ მეფე აკუსი, ამ ამბების წინა ხანაში, ძვ. წ. II ს-ის 90-იან-80-იან წლებში ჭრის სრულფასოვან ოქროს მონე-ტას წარწერით — „ΒΑΣΙΛΕΩΣ ΑΚΟΥ“, რომლის ემისია, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ემსახურებოდა, ჯერ კიდევ ძვ. წ. III ს., ფარნავაზის მეფობის დროს, ტერიტორიულად დამცრობილი კოლხე-თის სამეფოს გამგებლის საკმაოდ შერყეული პოლიტიკური პრესტი-ჟის აღდგენას, მეფის სტატუსით მის აღიარებას. მაგრამ, როგორც ცნობილია, დასახელებული მონეტის ემისიას ეპიზოდური ხასიათი ქონდა. ამიტომ ფარნაკესთან დადებული ხელშეკრულების შედეგად შექმნილ ოფიციალურ დოკუმენტში აკუსილოხის მეფის ტიტულის გარეშე მოხსენიება სავსებით შესაძლებელია მისი, როგორც მეფის, ამ არამყარი პოლიტიკური სტატუსის ერთგვარი გამოძახილი იყოს[23].

დავუბრუნდეთ კვლავ ძვ. წ. III ს. კოლხეთის ჩრდილოეთ სანა-პიროზე შექმნილ სიტუაციას, რომლის გარკვევაში ჩვენ დიდად და-გვეხმარა, ერთი მხრივ, ეშერის ბერძნული წარწერა, ასევე პომპეუს ტროგოსის და პოლიბიოსის ცნობები, ხოლო, მეორე მხრივ, ლეონტი მროველის საისტორიო გადმოცემა. ამით ნათელი გახდა ლეონტისთან დაცული კიდევ ერთი ჩვენების, როგორც საისტორიო წყაროს, გან-საკუთრებული მნიშვნელობაც. ხოლო ყველა ამ ცნობის ერთობლივი შესწავლით ისიც გამოჩნდა, რომ კოლხეთის სამეფოსაგან ადრე მისი კუთვნილი ჩრდილო-დასავლეთი მიწების ჩამოშორება დაძაბულ სა-გარეო ვითარებაში მიმდინარეობდა და მეზობელი, აგრესიული პონ-ტოს სამეფოს გავლენით ხდებოდა.

აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ფარნავაზის აქტი-

ირზე საქართველოს უძველესი ქალაქი, გვ. 131; გ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, გვ. 123.

23 ამ საკითხის შესახებ განსხვავებული აზრისაა ა. ნ ე მ ი რ ო ვ ს კ ი. მისი ვა-რაუდით, ფარნაკესთან დადებულ ხელშეკრულებაში აკუსილოხის მეფის ტიტულის გარეშე ხსენება იმით არის გამოწვეული, რომ მცირე აზიისა და შავიზღვისპირეთის ქვეყნების მმართველ ოფიციალურ წრეებში იგი ამ ტიტულის გარეშეც საყოველ-თაოდ ცნობილი იყო, როგორც მეფე (А. Немировский. დასახ. ნაშრ. გვ. 155, 156).

ური ჩარევა კოლხეთის შინაპოლიტიკურ საქმეებში და მისი ქართველ-თან შემოერთების მცდელობაც, ნაწილობრივ მაინც, ნაკარნახევი იყო მეზობელი აგრესიული სახელმწიფოების, მათ შორის პონტოსგან, მის სალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების საჭიროებით და მათ საპასუხო პოლიტიკურ აქციას წარმოადგენდა.

როგორც იმავე საისტორიო გადმოცემებიდან ირკვევა, ქართველ-ებს გაერთიანებების მიმართ, სწორედ, პონტოსა და სხვა მეზობელი სა-ხელმწიფოების ასეთივე გეგმების წინააღმდეგ იყო მიმართული ფარ-ნავაზის მიერ მცირეაზიული ოლქების — აძიანძორისა და ეკლეცის — დალაშქვრაც, რასაც შედეგად მოჰყოლია ქართლის სამეფოს ტერი-ტორიის სამხრეთ-დასავლეთით გავრცობა (მესხეთის ნაწილის, ტაო-სპერის და სხვათა შემოერთება)[24].

ახლო აღმოსავლეთში ქართლის სამეფოს პოზიციების განმტკი-ცებას ისახავდა მიზნად ფარნავაზის მიერ აქ გადადგმული დიპლომა-ტიური ნაბიჯებიც — სელევკიდთა სირიის სამეფოს სუვერენიტეტის აღიარების შემდეგ, მთელი თავისი ხანგრძლივი მეფობის განმავლო-ბაში, მისი „ერთგულად მსახურება“, რასაც არაერთგზის ხაზგასმით გვაუწყებს „ფარნავაზის ცხოვრება“.

ამრიგად, ეჭვი არ არის, რომ ამ საისტორიო ტრადიციამ შემო-გვინახა, ელინისტური ხანის დამდეგს, კოლხეთის სამეფოს დამცრობა და მისი ქართლთან გაერთიანების გამომწვევი მიზეზების ამსახველ-ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები.

მთელ ზემოთ მოტანილ მსჯელობას იმ დასკვნისაკენ მივყევართ, რომ „ფარნავაზის ცხოვრებაში“ და სტრაბონის ზემოგანხილულ გად-მოცემაში კოლხეთის ისტორიული წარსულის ერთი და იმავე მონა-კვეთში მოხდარი პოლიტიკური მოვლენები და მათი შედეგებია ასა-ხული, მაგრამ ეს მოვლენები აღნიშნულ წყაროებში სხვადასხვა თვა-ლით არის დანახული და გაშუქებული. ქართული საისტორიო ტრა-დიციის ავტორი, ქართლის მეფეთა ცხოვრების მემატიანე ამ მოვ-ლენებს განიხილავს ფარნავაზის პოლიტიკური მოღვაწეობის წარმო-ჩენის თვალსაზრისით. სტრაბონი კი ამავე ხანის ფაქტებსა და მოვ-ლენებს აგვიწერს სულ სხვა კუთხით; ის გადმოგვცემს კოლხეთის მო-კლე ისტორიას, ამ ქვეყნის გეოგრაფიულ აღწერილობასთან ერთად. ამიტომ არის, რომ ამ ორი გადმოცემის შედარებითი შესწავლით შე-საძლებლობა გვეძლევა არა მხოლოდ გამოვავლინოთ ქართულ ეროვ-

24 საქართველოს ისტორიის ნაარკვევები. I. გვ. 455—457.

ნულ საისტორიო ტრადიციაში დაცული უტყუარი ცნობები, დავადგი-ნოთ მათი რეალურობა, არამედ გამოვიყენოთ კიდეც ეს მონაცემები ჩვენს ხელთ არსებულ წყაროთა შესავსებად. ჩატარებული კვლევა-ძიების შუქზე, სტრაბონის ზემოთ განხილული გადმოცემა ამიერიდან ჩვენ ისე გვესმის, რომ ადრეელინისტური ხანის კოლხეთში კვლავ არ-სებობს სამეფო, რომლის ხელისუფალი ფლობს არა მთელ კოლხეთს მასში შემავალი სკეპტუხიებით, არამედ მხოლოდ ქვეყნის ერთ ნა-წილს, რომელიც, ქართულ საისტორიო ტრადიციას თუ მოვიშველია-ებთ, მოიცავს რიონის ზემო და ქვემო წელს, ზღვასა და ეგრის წყალს შორის მდებარე მიწა-წყალს. ქვეყნის დანარჩენი ნაწილი კი რჩებათ სკეპტუხებს, რომელნიც აღარ ცნობენ კოლხეთის სამეფოს გავლენას; მისგან ცალკე არიან გამდგარნი, რაც აისახება კოლხეთის ოდესღაც ძლიერი სამეფო ხელისუფლების შედარებით დასუსტებაში.

მეორე მხრივ, ქართული საისტორიო ტრადიციისა და სტრაბონის ცნობების ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ ლეონტის „ეგრისის საერისთავოში“ (რომელიც თითქოს ფარნავაზის გამეფების შემდეგ შექმნილა) სინამდვილეში უნდა იგულისხმებოდეს არა საერისთავო, არამედ სწორედ ეს დამცრობილი კოლხეთის სამეფო, რომელსაც მარ-თავდა ზომიერად ძლიერი ხელისუფალი. ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ როცა კოლხეთის მესვეურს განუდგნენ მის სამეფოში შე-მავალი სკეპტუხიები — ძველი სამეფოს საგამგეო ერთეულები, კოლ-ხეთის სახელმწიფოებრიობამ მდ. რიონითა და ზღვით შემოსაზღვრულ ქვეყნებში — სამეფო სახლის ამ ძველთაძველ მამულში — ქუჯის სამ-ფლობელო ეგრისში შემოინახა თავი. მანვე ითავა კოლხეთის ძველი სამეფოს ტრადიციების გამგრძელებლისა და მემკვიდრის როლი.

ვფიქრობთ, სწორედ ამ სამეფოდან იღებენ სათავეს ბერძნულ-რომაულ მწერლობაში შემონახული, სავსებით კონკრეტული ცნობები ელინისტური ხანის კოლხეთის მეფეთა შესახებაც, რომელნიც თავის თავს ლეგენდარული აიეტის ანუ ოდესღაც ძლიერი კოლხეთის სამე-ფოს ხელისუფალთა ჩამომავლებად მიიჩნევდნენ.

აქ უნდა გავიხსენოთ ახ. წ. I ს-ის რომაელი ავტორის პლინიუს უფროსის ენციკლოპედიურ თხზულებაში („ბუნების ისტორიაში“) და-ცული ერთი მეტად საინტერესო ნახევრად ლეგენდარული გადმოცემა, რომლის თანახმად, კოლხეთში აიეტის ჩამომავალი მეფე სავლაკე დიდძალ ოქრო-ვერცხლს პოულობდა სვანეთის მიწა-წყალზე და სა-ერთოდ, თავის სახელმწიფოში, რომელიც განთქმული იყო ოქროს საწმისით (VI, XXXIII,52).

აღნიშულ გადმოცემაში, გარდა იმისა, რომ შემონახულია ელ-ნისტური ხანის კოლხეთის მეფის კონკრეტული სახელი — სავლა-ნიშანდობლივია ისიც, რომ მის სამფლობელო ქვეყნად, კოლხეთთან ერთად, ნაგულისხმევია სვანეთიც. ეს ჩვენება დამაჯერებლობას მატებს როგორც პლინიუსის ამ ნახევრად ლეგენდარულ გადმოცემას, ისე ზემოგანხილულ ქართულ საისტორიო ტრადიციაში დაცულ ამ ცნობას, რომ ქუჯის საგამგეო ქვეყანა მოიცავდა სვანეთსაც[25].

ამრიგად, ქართულ საისტორიო ტრადიციაში (ლეონტისთან დაცულ „ფარნავაზის ცხოვრებაში") შემონახული რეალიებისა და ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობების შედარებითმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ გადმოცემაში აისახა ელინისტური ხანის გარიჟრაჟზე ქართლისა და ეგრისის (კოლხეთის) ურთიერთობის თითქმის ყველა უმთავრესი მომენტი და დასავლეთ საქართველოში იმჟამად შექმნილი ვითარება. უთუოდ სარწმუნო ჩანს ჩვენება ფარნავაზის მეფობის წინა ხანის ეგრისზე, ანუ კოლხეთის სამეფოზე. წინაელინისტურ ხანაში ეს სამეფოს მართლაც, დიდი ტერიტორიის მომცველი, ქართლისაგან ცალკე არსებული პოლიტიკური ერთეულია. თუმცა უდავოა ისიც, რომ საისტორიო ტრადიციაში დაცულ ამ უძველეს ცნობას, დასავლეთ საქართველოში ოდითგან ძლიერი პოლიტიკური ერთეულის არსებობის შესახებ, საუკუნეთა მანძილზე, გარკვეული ცვლილება განუცდია, რაზეც უნდა მეტყველებდეს თუნდაც ის ფაქტი, რომ ეგრისის სრულუფლებიანი მეფის, ქუჯის სახელი ამ საისტორიო გადმოცემაში ციხის სახელის — „გოჯის" — პერსონიფიკაციის შედეგადაა მიღებული.

ჩვენ, ძირითადად, რეალური სინამდვილის გამომხატველად გვეჩვენება აგრეთვე ცნობა, რომელშიც ოდესღაც ძლიერი ეგრისის პოლიტიკური ერთეულის (ანუ კოლხეთის სამეფოს) მიწა-წყლის შემცირების ფაქტია ასახული; მოცემულია ასევე (თუმც თავისებური ფორმით) მისი მესვეურის — ქუჯის — ძალაუფლების შედარებითი დაკნინება.

ამავე დროს, „ფარნავაზის ცხოვრების" შესწავლით გაირკვა ისიც, რომ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში გაჩენილა აუცილებლობა ქართლისა და ეგრისის იმ პოლიტიკური ერთობისათვის, რომელიც საისტორიო ტრადიციაში ფარნავაზისა და ქუჯის თავდაპირველი თანამშრომლობითა და თანამოღვაწეობით არის წარმოდგენილი. პოლიტიკური კონსოლიდაციის ეს საჭიროება საერთო მტრის, ტრადიციით „ბერძენთა" (ჯერ ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრის, ლისიმაქეს, შემდეგ კი პონტოს სამეფოს), წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში შექმნილა. ამდენად, ვფიქრობთ, ეს ჩვენებაც, ფარნავაზ-ქუჯის ადრინდელი პოლიტიკური კავშირის შესახებ, სავსებით რეალურ ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული. ამ მხრივ საგულისხმოა ისიც, რომ უცხო დამპყრობლების განსადევნად ქართლისა და კოლხეთის საერთო ძალებით ბრძოლის ამსახველი რეალია, რომელიც „ფარნავაზის ცხოვრებაშია" დაცული, იმ ხანის ვითარებას გადმოგვცემს, როცა ეგრისი (ანუ კოლხეთის სამეფო) ჯერ კიდევ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ხოლო ძლიერი ქართლის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი დასრულებული არ იყო. ესეც, რა თქმა უნდა, ამ რეალიის სიძველესა და სანდოობაზე მეტყველებს.

სარწმუნო ცნობას უნდა ემყარებოდეს, აგრეთვე, გადმოცემის ის ჩვენებაც, რომელშიც ქართლის სახელმწიფოს შექმნაში ეგრისის დიდი წვლილი, ამ საქმეში მისი საგანგებო მონაწილეობაა ასახული. ყველაფერ ამას რომ რაღაც რეალური საფუძველი არ ჰქონოდა, „ფარნავაზის ცხოვრების" შემქმნელი, რომლის მიზანს ქართლის ეროვნული სახელმწიფოს დაარსებაში ფარნავაზის ღვაწლის წარმოჩენა წარმოადგენდა, ეგრისის მფლობელ ქუჯის ამ პროცესში ასეთი დიდი მისიის შესრულებას ვერ დააკისრებდა და მის საბრძანებელ ეგრისს ფარნავაზის ცხოვრების აღწერილობაში ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად ვერ შეიტანდა. ჩანს, ეგრისთან ფარნავაზის კავშირის ჩვენების გარე-

---

25 სვანეთის მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი კოლხეთის სამეფოსთან სავარაუდოა ადრეანტიკურ ხანებშიც. ეს მხარე, ისევე როგორც რაჭა-ლეჩხუმი, კოლხეთის ბარისა და მთისწინეთის მოსახლეობისათვის ლითონის (სპილენძი, რკინა, ტყვია, თუთია, კალა, ვერცხლი) ნედლეულის მოპოვების ძირითადი წყარო იყო. აქედან იღებდნენ კოლხეთის ხელისუფალნი ოქროსაც. მდინარეების — ენგურის, ცხენისწყლის, ტეხურის და რიონის ქვიშა გარკვეული რაოდენობით შეიცავს ოქროს (ა. ჭ ყ ო ნ ი ა. ვანის ნაქალაქარის ოქროს სამკაულები. — ვანი VI, გვ. 92—99). ამას ადასტურებს სტრაბონის ცნობაც: „წყლის ნაკადებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლები მას აგროვებენ დაჩვრეტილი ვარცლებით და ბეწვიანი ტყავებით" (XI, II, 19). სვანეთის ადრიდანვე მოქცევას კოლხეთის სახელმწიფოს ეკონომიკურ სისტემაში უნდა მოწმობდეს აქ დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა, ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი 367 ცალი ოქროს სტატერი (სულ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია 375 ასეთი სტატერი) და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფ. ბეჩოს ზემოთ, სადაც აღმოჩნდა ალექსანდრეს სტატერები, ნაპოვნი იყო ოქროს ზოდებიც (ა. Г. Ф. Д у н д у а. Нумизматика античной Грузии, с. 46, 50, 51).

ში ქართლის სამეფოს შექმნის სურათი სრული ვერ იქნებოდა. ამ-
ტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ცნობაც, რომელშიც ეგრისის პოლ-
ტიკური ერთეულის ასეთი მონაწილეობაა ასახული, რაღაც ძველი ფ
სარწმუნო წყაროდან უნდა მომდინარეობდეს.

სამეცნიერო ლიტერატურში დიდი ხანია შემჩნეულია, რომ „ფარ-
ნავაზის ცხოვრებაში“ გატარებული ეს იდეა ძველთაგანვე წარმოშ-
და მისი აღმოცენება გარკვეული რეალური ვითარებით იყო გამოწვ-
ული. სახელდობრ, ფიქრობენ, რომ ამ საისტორიო ტრადიციაში
აირეკლა ქართლის სამეურნეო-ეკონომიკური და პოლიტიკური უპი-
რატესობა, რომელიც ჯერ კიდევ ფეოდალიზმის წინა ხანაში, ქართლ-
სახელმწიფოს დაარსების ჟამს მოიხაზა[26].

ქართლის ასეთ მეწინავეობას საქართველოს გაერთიანების პრო-
ცესში, როგორც დავინახეთ, იმჟამად ხელს უმართავს კოლხეთის შ-
ნაგანი დაქუცმაცება და მის გარეთ შექმნილი რთული სიტუაცია. ა-
დენად, ჩვენ სავსებით მისაღებად გვეჩვენება ის აზრი, რომ „ფარ-
ვაზის ცხოვრებაში“ გატარებულ ამ იდეას, მართლაც, რაღაც რეა-
ლურ-ისტორიული საფუძველი უდევს. მაგრამ უდავოა ისიც, რომ
ქართლის ჰეგემონობისა და ქართლოსის ჩამომავალთა უპირატესობ-
ეს იდეა მერმინდელ ხანაში, ახალი პოლიტიკური ვითარების შესაბ-
მისად, უფრო მკვეთრ პოლიტიკურ ჟღერადობას იღებს.

ამრიგად, კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ „ფარნავაზის ცხოვრ-
ბაში“ დაცულ, ზემოთ განხილულ ჩვენებებში კონკრეტული რეალურ-
ისტორიული ფაქტები და მოვლენებია არეკლილი. მეორე მხრივ,
უდავო ჩანს ისიც, რომ ამ ეროვნულ საისტორიო გადმოცემაში თ-
მოყრილი ყველა ცნობა ექვემდებარება ერთ იდეას — წარმოგვიდგ-
ნოს „ქართლოსის“ და „ეგროსის“ ჩამომავალთა პოლიტიკური ერთ-
ბის, ამ ორი მოძმე „ნათესავის“ კონსოლიდაციის სურათი. მკვეთრ-
იგრძნობა ასევე მისწრაფება წინ წამოიწიოს ქართლის პრიორიტეტ-
და მისი მესვეურის, ფარნავაზის ღვაწლი და მნიშვნელობა საქართ-
ლოს გაერთიანების საქმეში[27]. გარდა ამისა, როდესაც ვეხებით საის-
ტორიო გადმოცემის ცნობას დასავლეთ საქართველოში ფარნავაზ-
მიერ მიღებული ადმინისტრაციული ღონისძიებების შესახებ (რასაც

---

26 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 244, 249 და შემდ.

27 ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ მ. ი ნ ა ძ ე. ეგრისისა და ქართლის ურ-
ერთობისათვის. — „მნათობი“, 1989, № 8, გვ. 162—164.

ტრადიციის მიხედვით, თითქოს ერთვოდა ეგრისის პოლიტიკური ერ-
თეულის დამცრობა, მისი შემოზღუდვა, ძირითადად, რიონის ზემო და
ქვემო წელსა და შავ ზღვას შორის მდებარე მხარით), უპირველესად,
ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქართლის სახელმწი-
ფოს წარმოქმნა და ქვეყნის საერისთავოებად დაყოფა გადმოცემაში
ქართლის და კოლხეთის გაერთიანებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ,
ერთი დროის მოვლენადაა წარმოდგენილი. მართლაც, ქვეყნის საგამ-
გეო ერთეულებად დანაწილება სახელმწიფოს წარმოქმნის დამახასი-
თებელი ნიშანია და ეს ღონისძიება, ჩვეულებრივ, თან სდევს ხოლმე
სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნას, ანდა მის განახლებას, მის
განვითარებაში მომხდარ ტეხილს. ამდენად, სავსებით ბუნებრივია,
რომ ქართლში ადრეარსებული პოლიტიკური წარმონაქმნების ერთ-
სახელმწიფოდ გაერთიანებას და, ამავე დროს, ქართლთან კოლხეთის
შემოერთებისაკენ სწრაფვას, ფარნავაზის წინაშე უნდა დაესვა მათი
მართვის, მათი ერთ ადმინისტრაციულ სისტემაში მოქცევის საკითხი.
ყველაფერ ამას კი ფარნავაზის მხრივ უნდა მოჰყოლოდა საგამგეო
ერთეულების შექმნა არა მხოლოდ აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ
საქართველოშიც. უკვე ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საისტო-
რიო გადმოცემის ამ ჩვენებაში ფარნავაზის სახელმწიფოებრივ მო-
ღვაწეობასთან დაკავშირებული რაღაც მნიშვნელოვანი ღონისძიებე-
ბის გატარების კვალი უნდა იყოს აღბეჭდილი (ამას დამაჯერებლობას
მატებს მითითება ფარნავაზის მიერ ეგრისის აღმოსავლეთ რეგიონებში
ორი ციხის — შორაპნისა და დიმნის — შენების თაობაზე). მაგრამ, მე-
ორე მხრივ, სტრაბონის ცნობა კოლხეთში იმჟამად დასუსტებული სა-
მეფოსა და ძველი საგამგეო ერთეულების — სკეპტუხიების — არსე-
ობის შესახებ, ამასთან, დასავლეთ საქართველოში (ვანი, საირხე)
არქეოლოგიური გათხრებით სკეპტუხიათა ორი უმნიშვნელოვანესი
პოლიტიკურ-რელიგიური ცენტრის დადასტურება, ჩვენს წინაშე სვამს
კითხვას — რამდენად პირდაპირ უნდა გავიგოთ „ფარნავაზის ცხოვრე-
ბის“ ეს ჩვენება და რამდენად შეესაბამება იგი ისტორიულ სინამდვი-
ლეს. ამ კითხვასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მეორე მნიშვ-
ნელოვანი საკითხი; სახელდობრ, რა საფუძველზე უნდა შეექმნა ფარ-
ნავაზს დასავლეთ საქართველოს საერისთავოები და რა მიმართებაში
იყვნენ ისინი ძველთაგანვე აქ არსებულ სკეპტუხიებთან.

სტრაბონის ცნობის საფუძველზე, ქართული წყაროს ყველა ზე-
მოთ განხილული რეალიის გათვალისწინებით, უნდა ვიფიქროთ,
რომ ფარნავაზის მიერ კოლხეთში დაარსებული საერისთავოები სხვა

არა არის რა, თუ არა სტრაბონთან მოხსენიებულ ეთნო-ტერიტორიულ წარმონაქმნთა საფუძველზე აღმოცენებული ის ძველი საგამგეო ერთეულები, რომელთაც, კოლხეთის სამეფოსთან განდგომის შემდეგ, აღიარეს და ცნეს ქართლის მეფის პოლიტიკური გავლენა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ, როგორც ისტორიული გეოგრაფიული და არქეოლოგიური ფაქტები მოწმობენ, თვით ქართლშიც საერისთავოები ფარნავაზს ნებისმიერად კი არ დაუწესებია, არამედ თავის მოღვაწეობისას მას ამოსავლად აუღია ისტორიულად ჩამოყალიბებული ხევების, ძველი ტერიტორიული წრმონაქმნების სქემა.

ამრიგად, როგორც საფიქრებელია, ფარნავაზის მიერ საერისთავოების შექმნა ეგრისში, ფაქტიურად, გამოიხატა იმაში, რომ მან სცადა აქ ძველთაგანვე არსებული სკეპტუხიები თავის დასაყრდენ საგამგეო ერთეულად ექცია; მაგრამ მომდევნო ხანის მოვლენებიდან ჩანს, რომ, ფარნავაზის მიერ გატარებული აქციების მიუხედავად, სკეპტუხიათა უმრავლესობა, შემდეგში მაინც, ინარჩუნებდა ტრადიციულ თავისთავადობას. ფარნავაზმა, თავისი ღონისძიებებით, მხოლოდ დროებით შეძლო კოლხეთზე ქართლის გავლენის გავრცობა; ძვ. წ. II და I სს. ეს გავლენა მარტო კოლხეთის აღმოსავლეთ რეგიონს, ქართლის მომიჯნავე, ე. წ. არგვეთის საერისთავოს ერთ ნაწილს შემორჩა. ვფიქრობთ, ფარნავაზის მოღვაწეობის ამსახველ, ჩვენ მიერ განხილულ ცნობასაც რეალურ-ისტორიული მარცვალი უდევს საფუძვლად, თუმც გვიანდელ ხანაში მას გარკვეული გადამუშავება განუცდია. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია თუნდაც ფარნავაზის მიერ დასავლეთ საქართველოში დაწესებული საერისთავოების ტერიტორიათა მოცულობა, მათი სიდიდე შედარებით კოლხეთის ძველ საგამგეო ერთეულებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, ერთი „ხევის“, ან „ქვეყნის“ ფარგლებით ისაზღვრებოდა. მარგვის ანუ არგვეთის საერისთავო, ლეონტის თანახმად, ვრცელდებოდა ლიხის ქედიდან რიონის ზემო წელამდე, ამასთან, მის მიწა-წყალში შედიოდა შორაპნისა და დიმნის ქვეყნებიც, მაშინ, როდესაც, ჩვენს ხელთ არსებულ სხვა წყაროთა მონაცემებით (ვახუშტი ბატონიშვილი) და არქეოლოგიური კვლევა-ძიებებითაც, ლიხის ქედის გადაღმა მხარეში ფარნავაზის დროს რამდენიმე უფრო მცირე საგამგეო ერთეული იხაზება. მათ შორისაა სავარაუდებელი ყვირილის ზემო წელზე მდებარე, ადრე კოლხეთის სამეფოში შემავალი სკეპტუხია — ცენტრით საირხე (საჩხერის რაიონი) და შორაპნის ანუ ლომსიანთ ხევის საერისთავო — ცენტრით შორაპანი. იგი მოიცავდა დიმნის ციხის „ქვეყანასაც“ (ხანის წყლის ხეობა)[28].

ლეონტისთან დაცულ საისტორიო ტრადიციას, სტრაბონის ზემოთ განხილულ ცნობასთან და არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად, უთუოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს ვანის ქვეყნის იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გასარკვევად. აღნიშნული მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ ვანისა და საირხის „ქვეყნები“, რომლებიც ადრე კოლხეთის სამეფოს საგამგეო ერთეულებს — სკეპტუხიებს — წარმოადგენდნენ, ამიერიდან ეგრისის სამეფოში არ შედიან. ამ ერთეულთაგან თუკი საირხის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი უშუალოდ იბერიის სამეფოში იქნა შეყვანილი საერისთავოს სახით, ისევე როგორც არგვეთი[29], ამის თქმა ძნელია კოლხეთის შუაგულში მდებარე ვანის „ქვეყნისა“ (სკეპტუხიის) და მისი სატაძრო-პოლიტიკური ცენტრის მიმართ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარკვეულ პერიოდში „ვანის ქვეყანა“ ქართლის სამეფოს გავლენას განიცდის, მაგრამ მისი პოლიტიკური სტატუსი მაინც განსხვავდება კოლხეთის უკიდურესი აღმოსავლეთი რეგიონების მდგომარეობისაგან. ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევჩერდეთ ელინისტური ხანის ვანისა და მისი სანახების არქეოლოგიურ ძეგლებზე, რომელთა შესწავლა შემდეგ სურათს წარმოგვიდგენს: ძვ. წ. III—I სს. ვანის ძველი ქალაქის (ახვლედიანების გორის) ყველა უბანზე თითქმის მხოლოდ არქიტექტურულად გაფორმებული, ელინისტური ტექნიკით ნაშენი საკულტო-სატაძრო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანია გამოვლენილი.

ძვ. წ. IV ს-ის ბოლოს, თუ III ს-ის დასაწყისში „ახვლედიანების გორად“ წოდებული ბორცვის ირგვლივ იგება რთული საფორტიფიკაციო ნაგებობანი, სასიმაგრო კედელი და კოშკები, რომლებიც ერთიან მძლავრ თავდასაცავ სისტემას ქმნიან[30]. გარდა ამისა, აღებულ

---

28 გ. ცქიტიშვილი. ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის. — საქართველოს ისტ. გეოგრაფიის კრებული. II. თბ., 1964, გვ. 71—107.

29 იქვე.

30 ვანი. II. გვ. 7; უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში ამ თავდასაცავ ნაგებობების კომპლექსის აგების ხანად ძვ. წ. III ს. ან III ს-ის მეორე ნახევარია მიჩნეული (О. Д. Лордкипанидзе. Город-Храм Колхиды, с. 15-87). ძვ. წ. III ს. ვანის ამ თავდასაცავი მძლავრი სისტემის შექმნა საფუძველს აძლევს გ. ლორთქიფანიძეს გამოთქვას მოსაზრება, რომლის თანახმად, ამ დროს ვანი ხდება დიდი სტრატეგიული პუნქტი, დასაყრდენი ცენტრი კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი სკეპტუხიისა; იგი ბატონობს ფასისის მთელ მარცხენა სანაპიროზე (Г. Лордкипанидзе. Колхида в VI—II вв. до н. э., с. 61).

ხანაში ქალაქი მნიშვნელოვნად ფართოვდება. მდინარე რიონისა და სულორის შესართავთან (საყანჩიას ველზე), როგორც არქეოლოგიური კვლევა-ძიებით დადასტურდა, საკმაოდ დიდ ფართობზე (20—25 ჰექტარი), ძვ. წ. III ს-დან არსებობს საქალაქო ტიპის დასახლება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ძველ ქალაქთან („ახვლედიანების გორა"). აქ აღმოჩენილი ძვ. წ. III—II სს-ის ოთხკუთხედი სა ოჯახო საკურთხევლების მიხედვით, მკვლევარნი ვარაუდობენ ამ დასახლებაში, ადგილობრივთან ერთად, ბერძნული მოსახლეობის, ძირითადად ხელოსნებისა და ვაჭრების, არსებობას[31].

ძვ. წ. IV ს-ის მიწურულიდან ვანის ქალაქში დასტურდება ელინისტური კულტურის ძლიერი გავლენა, რაც სხვადასხვა სახით მჟღავნდება ხუროთმოძღვრებაში, კერამიკასა თუ ოქრომჭედლობაში, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ელინისტური კულტურის იმპულსები მომდინარეობენ ერთი წყაროდან — მცირე აზიიდან და ამ გავლენის გავრცელებაში გარკვეულ როლს ასრულებს დასავლეთ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში აღმოსავლურ ქართული ტომების (სახელდობრ, მესხების) კოლონიზაცია, ძველი კოლხეთის აღმოსავლეთი მხარის ქართიზაცია, რაც იბერიის დიდ ექსპანსიას მოჰყვება თან. როგორც ჩანს, ამ ახალ ეთნო-პოლიტიკური სიტუაციის შექმნას კოლხეთში (ძვ. წ. III ს-დან) უკავშირებენ, აგრეთვე, ვანის ძველი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრის ადგილას სატაძრო ქალაქის წარმოქმნას[32].

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია შენიშნულია აღმოსავლურქართული — მესხური — მოსახლეობის შემოსვლა კოლხეთის, ისევე როგორც იბერიის სამხრეთ ნაწილში, ძვ. წ. VII ს-ში ცალკეული

---

31 ვ. ლიჩელი. III—II სს-ის შიდა კოლხეთის მატერიალური კულტურის შესწავლისათვის (საყანჩიას ნამოსახლარი).—„მაცნე", 1981, № 2, გვ. 41 და შემდეგ. როგორც მკვლევარი ვარაუდობს, ბერძნული კულტურის მატარებელი ეთნიკური ჯგუფი საყანჩიაში შემოსული უნდა იყოს მცირე აზიის ერთ-ერთი სანაპირო რეგიონიდან. ჩვენი აზრით, ამ ბერძნული ეთნოსის წარმომავლობის ადგილის უფრო დაზუსტება შესაძლებელია საყანჩიაში აღმოჩენილი იმპორტული კერამიკული ტარის მიხედვით, რომელიც, უმთავრესად, სინოპედან და როდოსიდან არის შემოტანილი (იხ. მ. ინაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1983, გვ. 219).

32 ოთ. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი (წერილი მეორე).—ვანი III, გვ. 26, 27.

ლი ეთნიკური ჯგუფების ინფილტრაციის სახით[33]. მესხური ელემენტის ბატონობა სამხრეთ კოლხეთში რამდენადმე უნდა გაძლიერებულიყო ძვ. წ. IV ს-ის ბოლოს სამხრეთიდან (მესხთა პოლიტიკური წარმონაქმნიდან), აზოს ლაშქრობებისა და მისი ქართლსა და კოლხეთში გაბატონების დროს (ეს ფაქტი თითქოს ასახვას პოვებს ვანში აღმოჩენილ კერამიკასა და გლიპტიკურ ძეგლებში)[34]. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვამტკიცოთ ამ დროს მესხური მოსახლეობის მასობრივი შეჭრა კოლხეთში[35].

რაც შეეხება ფარნავაზის მეფობის დროს კოლხეთის აღმოსავლეთი და შიდა ნაწილის ქართიზაციას, ამის დასტურად, ჩვეულებრივ, მიიჩნევენ ცვლილებებს ელინისტური ხანის კოლხეთის მატერიალურ კულტურაში, მასში მთელი რიგი ახალი ელემენტების გაჩენას, რაც, თითქოს, ქართლიდან მომდინარე ზემოაღნიშნული პროცესებით უნდა აიხსნას[36]. მაგრამ სწორედ ვანსა და მის სანახებში აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლების — საცხოვრებელ ნაგებობათა, კერამიკის, ოქრომჭედლობისა და სხვ. საგულდაგულო შესწავლამ აჩვენა ელინისტური ხანის ვანის მატერიალურ კულტურაში ადგილობრივი კოლხური ტრადიციების შენარჩუნება, ხოლო მათ გვერდით აღმოსავლურქართული და ასევე ელინისტური კულტურის საკმაოდ ძლიერი გავლენა, რაც ამ დროს შიდა კოლხეთის ნივთიერი კულტურის ძეგლებს თავისებურ, თვისებრივად ახალ იერს აძლევს. ასეთი ვითარება დასტურდება, სახელდობრ, საყანჩიას ველზე გამოვლენილ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ხუროთმოძღვრებაში, სადაც, აღმოსავლურქართულ ელემენტებთან ერთად, შეინიშნება ხის კონსტრუქციების, ადრეანტიკური ხანის კოლხეთისათვის ტიპიური საცხოვრებელი შენობის დაგეგმარების გამოყენება და სხვა[37]. იგივე ითქმის ვანის ნაქალაქარის საიუველირო ხელოვნებაზე. აქ, ერთი მხრივ, მყარად არის დაცული კოლხური სამკაულის ტრადიციული ფორმები, მეორე მხრივ, ჩნდება შემკობის ახალი სისტემა, ახალი ტიპები ოქრომჭედლობაში,

---

33 Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии გვ. 112.

34 ო. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი. — ვანი III. გვ. 20, 21.

35 ნ. ხაზარაძე. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები. თბ., 1984, გვ. 50—70.

36 ოთ. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 20, 21.

37 В. Т. Личели. Торгово-ремесленное поселение III—II до н. э. во внутренней Колхиде.—Причерноморье в эпоху эллинизма, 1982, Тб., 1985. გვ. 468—473.

რაც განპირობებულია საერთო ელინისტური ხასიათის ინოვაციებით, ამდენად, ძვ. წ. IV—II სს. კოლხეთის (ვანის) საოქრომჭედლო ხელოვნება, რომელშიც ასახულია ახალი გავლენა, მაინც წარმოადგენს ადგილობრივი საიუველირო სკოლის კანონზომიერი განვითარების შედეგს. ელინისტურ ხანაში ვანის ნაქალაქარზე განაგრძობენ არსებობას ადგილობრივი, ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები, ადგილობრივი ღვთაებებიც, რომლებიც უკავშირდებიან ნაყოფიერებისა და [illegible] წათმოქმედების კულტს. ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩენილია საინტერესო ფირფიტები (ძვ. წ. II ს.). ერთ-ერთ მათგანზე წარმოდგენილია ქალის სახის რელიეფური გამოსახულება, „ვარდულები“ (სოლარული ნიშნები) და ხარის თავები. როგორც ვარაუდობენ, შესაძლოა აქ იგივე ბუნების დიდი დედის — ნაყოფიერების ქალღვთის — სახე იყოს აღბეჭდილი[39], რომელიც ოფიციალურ კულტად იყო აღიარებული ადრეანტიკური ხანის ვანში. ელინისტურ ხანაში ვანის ადგილობრივი კულტები, კერძოდ, ბუნების ნაყოფიერების ქალღმერთი უახლოვდება ერწყმის ელინურ აგრარულ ღვთაებებს — დემეტრას, აფროდიტეს, ასევე მცირეაზიულ კიბელეს[40].

მთელი ზემოთ მოტანილი მასალა იმის მაჩვენებელია, რომ სიახლე ვანის ძველი ქალაქის ცხოვრებაში გამოწვეული იყო არა იმდენად მის მოსახლეობაში მომხდარი ეთნიკური ცვლილებებით, მასში აღმოსავლურქართული ელემენტის შერევით, არამედ ადგილობრივი კოლხური საზოგადოების შემდგომი განვითარებით, ახალ ეკონომიკურ, კულტურულ გარემოსთან (ელინისტურ სამყაროსთან) მჭიდრო კონტაქტისა და იბერიის პოლიტიკური მომძლავრების პირობებში.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთ ჩატარებული კვლევა-ძიებით მიღებულ დასკვნებს ვანის („ახვლედიანების გორის“) ადგილზე ადრეანტიკურ ხანაში საკულტო ცენტრისა და სატაძრო ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი ფორმების არსებობის შესახებ, მაშინ ელინისტური ხანისათვის აქ დადასტურებული „სატაძრო ქალაქი“, როგორც უნდა ვიფიქროთ, სხვა არა არის რა, თუ არა ოდითგან კოლხურ წარ-

---

[38] А. М. Чкония, Ювелирное искусство Колхиды в IV—II вв. до н. э. (Вопросы инновации).—Причерноморье в эпоху эллинизма. გვ. 519—524.

[39] ა. ჭუკნია. ოქროს სამკაულები..., — ვანი VI, გვ. 84,

[40] Н. Н. Матиашвили. Эллинизм и религиозные верования древних колхов. Причерноморье..., გვ. 489—494.

[illegible] წარმოქმნილი სატაძრო ცენტრის განვითარების შემდგომი ეტაპი, განპირობებული ახალი პოლიტიკური და კულტურული გარემოს ზეგავლენით. ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ელინისტურ ხანაში ვანის ქალაქის გარეგნული იერისა და ხასიათის „ცვლილება“ კანონზომიერი შედეგია მისი ადრინდელი საკულტო ფუნქციების განვითარებისა ახალ გარემოში.

ყოველივე ზემოაღნიშნული მოითხოვს უფრო დაზუსტდეს „ვანის ქვეყანაში“ ამ დროს შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვას — ვის უნდა მიეწეროს ის დიდი საამშენებლო საქმიანობა, რის შედეგად „ახვლედიანების გორად“ წოდებულ ბორცვზე ჩნდება რთული თავდასაცავი და საკულტო ნაგებობანი[41]. ეჭვი არ არის, რომ ამ შრომატევადი და ხანგრძლივი მშენებლობის ჩატარება ხდება მას შემდეგ, რაც განიდევნება აზო და „ვანის ქვეყანა“, ასევე როგორც ტერიტორიულად დამცრობილი კოლხეთის ანუ ეგრისის სამეფო (თავის მბრძანებელ ქუჯითურთ), სხვა მხარეებთან ერთად, ქართლის მეფის — ფარნავაზის — გავლენას დაექვემდებარება (ძვ. წ. III ს-ის დასაწყისის მომდევნო ხანაში). მაგრამ, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული წყაროების მიხედვით, ეგრისის მფლობელი ქუჯი პოლიტიკურად საკმაოდ ძლიერია. ქუჯი დიდ მონაწილეობას იღებს აზოს განდევნასა და ფარნავაზის გამეფებაში და აზოსთან ბრძოლაში ფარნავაზის პოლიტიკურ მოკავშირედ გვევლინება. ასეთად რჩება იგი ფარნავაზის გამეფების შემდეგაც.[42]

აღმოსავლურქართული გავლენის გავრცელებაში კოლხეთის ხელოსნურ წარმოებაზე, ხუროთმოძღვრებასა და რწმენა-წარმოდგენებზე, უთუოდ, დიდი როლი უნდა შეესრულებინა ქართლისა და კოლხეთის მოსახლეობას შორის აქამდე არსებულ საეკონომო-ეკონომიკურ და კულტურულ კონტაქტებს, რომლებიც ელინისტურ ხანაში უფრო ინტენსიური ხდება. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივი ჩანს არქეოლოგიური კვლევის შედეგად დადასტურებული ფაქტი — სამადლოში საამშენებლო მასალად ასეთი ჯიშის ქვის (ეკლარის) გამოყენება (ძვ. წ. IV—III სს.), რომელიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის მახლობლად მოიპოვება (Ю. Гагошидзе. Самадло. Тб., 1979, გვ. 54).

41 საკითხის გარკვევას ისიც ართულებს, რომ მეტად ძნელია ამ დიდი მშენებლობის დასაწყისი თარიღის დადგენა (იხ. ო. ლორთქიფანიძე. — ვანი III, გვ. 22, შენ. 65). ეს თარიღი მერყეობს ძვ. წ. IV ს-ის დასასრულსა და ძვ. წ. III ს-ის შუა ხანებს, ან მეორე ნახევარს შორის.

42 ქართლის ცხოვრება, I, გვ., 24. ეგრისის სამეფოს მბრძანებელ ქუჯის ფარნავაზის ჯერ მოკავშირედ, შემდეგ ვასალად მიიჩნევს დ. მუსხელიშვილი. იხ. Неко-

თავის სამფლობელოში ქუჯი აშენებს ციხე-გოჯს. ანალოგიური ურ[illegible] ერთობაა სავარაუდებელი შიდა კოლხეთის (ვანის სკეპტუხიასა) [illegible] იბერიის სამეფოს შორისაც, რადგან ქუჯის პოლიტიკური პოზიციებ[illegible] ჩანს, რომ იბერიის მეფე ფარნავაზის მიერ კოლხეთის მიმხრობა [illegible] გილობრივი ძალების მხარდაჭერისა და შემწეობის გარეშე არ მ[illegible] დარა. ერთ-ერთი წამყვანი ძალა (მოკავშირე), რომელსაც შეიძლებ[illegible] დაყრდნობოდა იბერია ცენტრალურ კოლხეთში, როგორც ჩანს, ვ[illegible] მთავარი სკეპტუხიაც იყო, სადაც, ჩვენი ვარაუდით, კოლხეთის სამ[illegible] ფო გვარის ჩამომავალი იჯდა. საგულისხმოა ამ მხრივ ის გარემო[illegible] რომ სწორედ იმ დროს, როდესაც ქუჯის თაოსნობით ეგრისში იგ[illegible] ციხე-გოჯი, პარალელურად ვანში იწყება საფორტიფიკაციო ნაგებ[illegible] ბათა მძლავრი სისტემის მშენებლობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ ა[illegible] ლოგიურ ფაქტებთან გვაქვს საქმე. ორივე შემთხვევაში ციხესიმ[illegible] რის მშენებლობა ხდება ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ. ნიშ[illegible] დობლივია ისიც, რომ თუკი ფარნავაზის შესახებ ლეონტი მროველ[illegible] შენიშნავს, რომ მან დასავლეთ საქართველოში „აღაშენნა ორნი ც[illegible] ხენი, შორაპანი და დიმნა“[43], ვანის ადგილზე სასიმაგრო ნაგებობა[illegible] მშენებლობის შესახებ არაფერს ამბობს, რაც ერთხელ კიდევ მოწმობ[illegible] მათ აგებას ადგილობრივ ხელისუფალთა და არა ფარნავაზის მიერ[illegible] თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანია ფარნავაზის მიერ ციხე დიმნ[illegible] აგება (დიმნა უშუალოდ ვანის ქვეყანას ემეზობლებოდა[44]), რაც გვ[illegible] ძლევს საფუძველს ეს ფაქტი (დიმნის ციხის მშენებლობა) განვიხ[illegible] ლოთ, როგორც ვანის სკეპტუხის საპასუხოდ, შიდა კოლხეთში ქარ[illegible] თლის პოზიციების განსამტკიცებლად ფარნავაზის მიერ განხორციელ[illegible] ბული პოლიტიკური აქცია[45].

ამდენად, საფიქრებელია, რომ როგორც საფორტიფიკაციო, ის[illegible] საკულტო ნაგებობათა შენება ვანში ხორციელდება ადგილობრივ ხ[illegible]

торые проблемы источниковедческой критики грузинских средневековых источников.—„მაცნე“, ისტორიის სერია. თბ., 1986, № 3, გვ. 6[illegible].

43 ქართლის ცხოვრება. I. 24.

44 დიმნა დღ. ბაღდათის რაიონში დიმის ციხესთანაა იდენტიფიცირებულ[illegible] (გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71—107).

45 შდრ. ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ვანის ნაქალაქარი, ვანი III, გვ. 27.

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად არის შენიშნული, რომ ასეთი მნიშ[illegible] ნელოვანი საღმშენებლო საქმიანობა შეეძლო გაეწია მხოლოდ დიდი ეკონომიკურ[illegible] შესაძლებლობის საზოგადოებას (Г. А. Л о р д к и п а н и д з е. Колхида..., გვ. 61 და შმდ.).

[illegible]ელისუფალთა მიერ, რომელთა საგამგეო სკეპტუხია ამ დროს წარმო[illegible] [illegible]ენს ძლიერი ეკონომიკური პოტენციალის მქონე, მნიშვნელო[illegible] [illegible] პოლიტიკურ ერთეულს. აღნიშნული ფაქტი კი იმის მომასწავე[illegible] [illegible]ელია, რომ ვანის სკეპტუხიას და მის სატაძრო ცენტრს, აღებულ ხა[illegible] [illegible]ში, ჰყავს არა მხოლოდ თავისი პრივილეგირებული თეოკრატიული [illegible] [illegible]ფეხა, შესაბამისი მმართველობის აპარატით, არამედ აქვს საკუთა[illegible] [illegible] სამხედრო ორგანიზაციაც. ამაზეც მეტყველებს „ახვლედიანების [illegible]ის“ ზედა ტერასაზე გამოვლენილი ძვ. წ. III ს-ის წარჩინებულ [illegible]ომართა სამარხები, რომლებიც ქალაქს ყველაზე საპატიო ნაკვეთ[illegible] [illegible], ძველთაგანვე არსებულ საკულტო ნაგებობათა ადგილზე გაუმარ[illegible] [illegible]ეთ, მტრის ლაშქრობის დროს მათი დანგრევის შემდეგ.

საინტერესო პარალელები შეიძლება ამ თვალსაზრისით გაივლ[illegible] [illegible]ცირე აზიის სატაძრო გაერთიანებებთან, რომლებიც გამოირჩეოდნენ [illegible]ავისი დიდი სამხედრო პოტენციალით. საერთაშორისო მძაფრი ომე[illegible] [illegible]ით დატვირთულ ელინისტურ ხანაში, მათი მმართველი ქურუმები [illegible]ოდად ზრუნავენ საგამგეო სატაძრო ცენტრების ძლიერი ციხეებით [illegible]ამაგრებაზე[46].

მომდევნო ხანაში (ძვ. წ. II ს-ის დასაწყისი) ვანის სკეპტუხია, [illegible]როგორც საფიქრებელია, სავსებით თავისუფლდება ქართლის სამე[illegible]ოს პოლიტიკური გავლენისგან, რაც დაკავშირებული უნდა ყოფი[illegible]იყო სომეხთა მთავარსარდლების არტაქსია და ზარიადრესის მიერ [illegible]ბერთა სამეფოსგან სამხრეთი ოლქების ჩამოშორებასა და მის დრო[illegible]ებით დასუსტებასთან[47]. ამიერიდან ვანის სკეპტუხია ცალკე პოლი[illegible]ტიკური ერთეულის სახეს იღებს, რაც, უთუოდ, განაპირობებს ვა[illegible]ის სატაძრო ცენტრის შემდგომ გამსხვილება-გაძლიერებას და რო-

---

46 Г. А. П е р и х а н я н, დასახ. ნაშრომი, გვ. 78, 79.

47 საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I. გვ. 466. ამავე დროს, უნდა დაბრუ[illegible]ებოდა კოლხეთს მოსხიკეს ის ნაწილი, რომელიც, სტრაბონის თანახმად, მის კუთვ[illegible]�ად ითვლებოდა (Strabo, XI, 2. 18). ვფიქრობთ, ამ ხანაში დაიბრუნა კოლხეთმა [illegible]ამოსავლეთით, იბერიის საზღვართან მდებარე რეგიონებიც, გარდა ყვირილის ზემო [illegible]წელისა, სადაც ძვ. წ. I ს. გადიოდა იბერია-კოლხეთის სახელმწიფოებრივი საზღვა[illegible]ი (იხ. თავი II. 3). სტრაბონის ცნობით, შორაპანი კოლხური ციხესიმაგრეა, რო[illegible]ელსაც შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა (XI, 2, 17; XI, 3, 4). ეს [illegible]ცნობა, რომელიც სტრაბონის წინადროის ვითარებას ასახავს, იმასაც მოწმობს, რომ [illegible]ერ მითრიდატეს, შემდეგ კი რომის მესვეურთ, თავის პოლიტიკურ ორბიტაში კოლხე[illegible]ის მოქცევის დროს, გარკვეული ნაბიჯები გადაუდგამთ ამ მნიშვნელოვანი ციხე-[illegible]სიმაგრის კოლხეთის ფარგლებში დასატოვებლად.

გორც სატაძრო ორგანიზაციის საბოლოოდ ჩამოყალიბებას. „ახლ
დიანების გორად“ წოდებული ბორცვი, უპირველეს ყოვლისა, ხდ
ბა ცენტრი, სადაც კონცენტრირებულია საკულტო ნაგებობანი, ს
დაც ტარდება საკრალური სადღესასწაულო ცერემონიალები და სხ
ამას ხელს უწყობს ვანის ქალაქის შემდგომი ზრდა-გაფართოებ
წარმოქმნა ახალი უბნებისა ხელოსანი და მოვაჭრე საზოგადოებ
იმდროინდელი სამყაროს უდიდესი ცენტრებიდან — სინოპედან
როდოსიდან — ჩამოსული ბერძნული მოსახლეობით. აღნიშნული
რემოება მნიშვნელოვნად აპირობებს ახვლედიანების გორაზე ელ
ნისტური ტექნიკით ნაგები, არქიტექტურულად გაფორმებული მ
ვალი სატაძრო ნაგებობის შექმნას, რაც ამ ადგილზე ადრე არსებულ
საკულტო ცენტრს ახალ, ელინისტური ხანის სატაძრო ქალაქისთვ
დამახასიათებელ იერს აძლევს.

ყველა ზემოჩამოთვლილი ფაქტორის ერთობლიობა ქმნის საფუ
ველს ვიფიქროთ, რომ ძვ. წ. III საუკუნის მეორე ნახევარსა და II
საუკუნეში ვანის სატაძრო ცენტრის განვითარებაში დგება ხანა, რ
დესაც იგი თავისი ფუნქციებით, სოციალურ-პოლიტიკური ორგან
ზაციით უახლოვდება ელინისტურ ხანის მცირე აზიის სატაძრო
ერთიანებებს.

ელინისტური ეპოქის დასასრულისთვის ვანის რელიგიურ-პ
ლიტიკური ცენტრი — ბერძნული წარწერის სურისი(Σοῦρις), წყვეტ
არსებობას, თუმც ახ. წ. I ს-ის ავტორის პლინიუსის ჩვენებით, „სუ
რიუმად“ წოდებული პუნქტი მის დროსაც ცნობილი ყოფილა რ
გორც ქალაქი. რომაელი ავტორი ჯერ ჩამოთვლის მდინარე ფასისის
გაყოლებით მდებარე მითიური სახელწოდებების მქონე ძველ ქალ
ქებს: ტინდარიდას, კირკეუმს, ეას და შემდეგ განაგრძობს: „ახლა არ
სებობს მხოლოდ სურიუმი, რომელსაც სახელი ჰქვია მდინარის (სუ
რიუმის) მიხედვით. ეს მდინარე (ფასისს) ერთვის იქ, სადამდეც (ფ
სისზე) შეიძლება დიდი ხომალდებით ცურვა“ (NH, VI, 13). საერ
თოდ, უნდა აღინიშნოს, რომ პლინიუსის მთელი ნაშრომისთვის, ისე
ვე როგორც კოლხეთის აღწერილობისთვისაც, დამახასიათებელ
სხვადასხვა დროის წყაროებიდან ამოღებული ცნობების ერთად თავ
მოყრა. ერთი მხრივ, ეს არის ავტორის დროზე გაცილებით ადრინდ
ლი — იონიური კოლონიზაციის ხანის — ცნობები, მეორე მხრივ, მის
თანადროული ამბებისა და მოვლენების შემცველი ინფორმაცია, რ
მელიც პლინიუსს მოტანილი უნდა ჰქონდეს ოფიციალურ პირთ

ერ შედგენილი, უახლესი სტატისტიკური მონაცემების და ადმინის
ტრაციული აღწერილობების (ე. წ. იტინერარიუმების), ასევე საომარი
ოქმედებების ადგილზე მიღებული ცნობების მიხედვით. როგორ
ელევამ გვიჩვენა, ეს თანადროული ცნობები პლინიუსს, ჩვეულებ
რივ, აწმყო დროში აქვს ხოლმე გადმოცემული. პლინიუსისეულ კოლ
ხეთის აღწერილობაში არაერთი მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული ავ
ტორის თანადროული ამბების შესახებ. მათ უნდა მივაკუთვნოთ
ცნობა დიოსკურიაში რომაელ ვაჭართა საქმიანობის და შემდეგ ამ ქა
ლაქის დაცარიელების თაობაზე. ასევე გადმოცემა დიდი, უმდიდრესი
ქალაქის — პიტიუნტის — ჰენიოხთა მიერ გაძარცვის შესახებ[48].

როგორც ვანში აღმოჩენილ ბერძნულ წარწერაში დადასტურე
ბული სახელი — სურისი — მოწმობს, დიდი მეცნიერული ღირებუ
ლება აქვს აგრეთვე პლინიუსის ჩვენებას სურიუმზე, რომელსაც ავ
ტორი, ფასისის გაყოლებით მითიური სახელწოდებიანი ძველი საქა
ლაქო ცენტრებისგან განსხვავებით, ასევე აწმყო დროში მოიხსენიებს
(„ახლა არსებობს მხოლოდ სურიუმი“). სურიუმზე ამ გადმოცემის
ეტყუარობის, პლინიუსის დროს აღნიშნული საქალაქო ცენტრის რე
ალურად არსებობის მაჩვენებელი უნდა იყოს ამავე ავტორის მიერ
აქვე დართული მითითება ქალაქ სურიუმის თანამოსახელე მდინარ
ფასისთან შეერთების ადგილამდე დიდი გემებით ნაოსნობის შესაძ
ლებლობის შესახებ. ეს ფრიად საყურადღებო მითითება იმის მაუწ
ყებელია, რომ ერთ დროს ფასისის მაგისტრალზე მდებარე სახელგან
ოქმული ქალაქი სურისი, კოლხეთზე რომაელთა გაბატონების შემ
დეგაც, არ კარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც საქონლის გამანა
წილებელი დიდი სავაჭრო ცენტრი, საიდანაც რომაელი ვაჭარ-საქ
ონლები მსხვილ კომერციულ ოპერაციებს ახორციელებდნენ შავი
ზღვისპირეთის ცენტრებთან[49].

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ვანში დიდი რაოდე
ობით ვერცხლის და ოქროს რომაული მონეტების აღმოჩენა[50], და,
რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, აქვე გამოვლენა პერგამონულ

---

48 Plin., NH, VI, 12. 13.

49 შენიშნული გვაქვს, რომ ასეთივე საქმიანობას ეწეოდნენ რომაელი ვაჭრები დიო
სკურიაში მისი დაცემა-დაცარიელების წინა ხანაში (იხ. М. П. Инадзе. Причер
номорские города... с. 236—243).

50 ნ. ხოშტარია. ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. — ვანი I,
ს. 84, 85.

წარმომავლობის, ახ. წ. დასაწყისით დათარიღებული წითელლაკის კერამიკის ნიმუშებისა. ამ ჯგუფის დადასტურება ვანის მასალის მკვლევართ საფუძველს აძლევს ახ. წ. დასაწყისში ივარაუდონ ვანის ქალაქის ურთიერთობა გარე სამყაროსთან და დაუშვან, ელინისტური ხანის დასასრულს მომხდარი ნგრევის შემდეგ, ამ ქალაქის მცირე ხნით აღორძინება[51].

მართლაც, ვანის ქალაქი — სურიუმი, მიუხედავად მისი მოსახლეობისა იმდროინდელ სააღებმიცემო ურთიერთობებში, როგორც სავაჭრო ცენტრი, მალე დაცემას განიცდის[52]. საქმე ის არის, რომ ახ. წ. დასაწყისში დიდი ხნით იქნა დარღვეული ის მშვიდობიანი საერთაშორისო ვითარება, რომელიც ელინისტურ ხანაში ასე უმართავდა ხელს კოლხეთის საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკურ აღმავლობას და ვაჭრობის განვითარებას. ხანგრძლივმა ომიანობამ, რომელთან სდევდა ჯერ მითრიდატე ევპატორის, შემდეგ კი რომის მიერ მცირე აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობას, დიდი ხნით შეაფერხა ელინისტურ ხანაში კოლხეთსა და იმდროინდელ სამყაროს უდიდეს ცენტრებს შორის არსებული ინტენსიური ურთიერთობა. მოსახლეობამ თანდათან მიატოვა რიონის მაგისტრალის გაყოლებაზე და ზღვისპირას განლაგებული ქალაქები, რის გამო ახ. წ. I ს-ის დასასრულისთვის საგრძნობლად შესუსტდა მისი კავშირი საგარეო ბაზართან. სავაჭრო ურთიერთობის შესუსტებამ, თავის მხრივ, დიდი გავლენა მოახდინა საშინაო ეკონომიკური ბაზის მოშლაზე. მნიშვნელოვნად შემცირდა სასაქონლო წარმოება როგორც სოფლის მეურნეობაში (მევენახეობა-მეღვინეობა, სელის კულტურა, მეფუტკრეობა

51 ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი. ძვ. წ. III—I სს. კოლხეთის ქალაქების ეკონომიკური ისტორიიდან. თბ., 1977, გვ. 50. ვფიქრობთ, ამავე ხანებს განეკუთვნება რომაელების მიერ ფასისის მაგისტრალზე კონტროლის დაწესება (W. S c h u r. Die Orintalpolitik des Keisers Nero.—„Klio,"xv, Leipzig, s. 45 და შემდ; M. P. C h a r l e s w o r t h. Trade—routes and commerce of the Roman Empire, p. 106, 107), რის შედეგად მათ ხელში მოექცა როგორც კოლხეთიდან ბუნებრივი სიმდიდრის ექსპორტირების ორგანიზაცია, ისე ადგილობრივი მოსახლეობის სავაჭრო ურთიერთობა ზღვისპირა ქალაქებთან.

52 ამასთან დაკავშირებით ახსნას მოითხოვს კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ. წ. II ს.) შიდა კოლხიდის აღწერილობაში (V. 9,5) დამოწმებული ტოპონიმი— „სურიონის" — რაობის საკითხი (იხ. ნ. ლ ო მ ო უ რ ი. კლავდიოს პტოლემაიოსი. გეოგრაფიის სახელმძღვანელო. ცნობები საქართველოს შესახებ. — მსკი. 32, თბ., 1955, გვ. 45, 46, 57).

და სხვ.), ისე მეთუნეობასა და მელითონეობაში. შეიზღუდა მათი პროდუქციის გატანა საგარეო ბაზარზე. ამას მოჰყვა სწორედ შიდა კოლხეთში ფასისის სანაოსნო მაგისტრალის მახლობლად განლაგებული მრავალი საქალაქო ცენტრის დაცემა. გავიხსენოთ პლინიუსის ზემოთ განხილული ცნობა და ამასთან, მდ. რიონის ქვემო წელის არქეოლოგიური დაზვერვებით მიღებული სურათი, რომლის მიხედვით, კოლხეთის ამ ნაწილში გამოვლენილ მრავალრიცხოვან სამოსახლოებზე ანტიკური ხანის კულტურული ფენები, მეტწილად, ძვ. წ. VI—II სს-ის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება[53].

წერილობით წყაროებში და არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებული ეს მოვლენები მიგვანიშნებს კოლხეთის დაბლობზე, რიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ადრე არსებული მსხვილი სამოსახლოებისა და საქალაქო ცენტრების სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ ღრმა ცვლილებებზე. როგორც ითქვა, ეს ცვლილებები, პირველ ყოვლისა, უნდა მოჰყოლოდა მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის დამორჩილებას. ამის შემდეგ კოლხეთი, მთელი თაავისი ბუნებრივი სიმდიდრით, გემთმშენებლობისთვის საჭირო ხე-ტყით და სხვა რესურსებით მთლიანად დაექვემდებარა პონტოს მბრძანებლის პოლიტიკურ ინტერესებს, მის საომარ სამზადისს რომის წინააღმდეგ. მართალია, ამ დროს შიდა კოლხეთიდან მდინარეებით ზღვისპირა ცენტრებში კვლავ ხდებოდა ხე-ტყის ჩაზიდვა, ასევე ქვეყანაში სხვა გემსაშენი მასალის (სელის, კანაფის, ცვილის) დიდი რაოდენობით დამუშავება (Strabo, XI, 2, 17); მაგრამ, ვფიქრობთ, ყველაფერი ეს ემსახურებოდა არა იმდენად კოლხეთის მოსახლეობის სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას, არამედ მითრიდატეს მომავალი ომებისთვის დიდი ფლოტის შექმნას[54].

საგარეო ბაზართან შიდა კოლხეთის მოსახლეობის კავშირის შესუსტება გარკვეულწილად განაპირობა, ასევე, შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ცენტრის — სინოპეს პოლიტიკური სტატუსის შეცვლამ, მისმა დაპყრობამ ძვ. წ. 188 წელს პონტოს მეფის ფარნაკეს მიერ, ხოლო მომდევნო ხანაში მითრიდატე ევპატორის მიერ ამისოსთან ერთად, სინოპეს გადაქცევამ ამ სამეფოს უმთავრეს საქალაქო ცენტრად და მასზე პროტექტორატის დაწესებამ[55], რის შემდეგ საგრძნობლად შეიზღუდა შავიზღვისპირეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით

53 ვ. გ რ ი გ ო ლ ი ა ...., დასახ. ნაშრომი, გვ 33, 34,

საკუთრებით კოლხეთში, ამ ცენტრების სავაჭრო-საშუამავლო საქმ-
ანობა. კერძოდ, თუკი ადრეულ ხანაში სინოპე დიდ როლს ასრულებ-
და კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების ცხოვრებაში, ხოლო ძვ. წ. IV-
III სს-დან თითქმის მთლიანად წარმართავდა კოლხეთის მოსახლეო-
ბის გარეეკონომიკურ ურთიერთობებს, იმ სავაჭრო ფაქტორიების მ-
შვეობით, რომლებიც, ჩვენი ვარაუდით, მის მიერ იქნა დაარსებულ-
კოლხეთის ზღვისპირა ცენტრებთან (ფიჭვნარი, დიოსკურია) და უფ-
ოდ, ფასისის სანაოსნო მაგისტრალის გაყოლებითაც — ქალაქ სურ-
თან (ვანის მახლობლად, ადგილ საყანჩიაში)[56], მითრიდატეს დრ-
ვითარება თანდათან იცვლება. ამიერიდან პონტოს მბრძანებელი ო-
ვის კონტროლს უქვემდებარებს სინოპეს სავაჭრო ურთიერთობ-
კოლხეთთან; ამავე დროს, იყენებს მის მდიდარ რესურსებს თავ-
ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისთვის. ამ თვალსაზრისით, ფრ-
ნიშანდობლივია, ძვ. წ. II ს-ის დასასრულიდან, საყანჩიას ველ-
ვანის ქალაქის სამეურნეო უბანთან ერთად, იმ ფაქტორიის გაქ-
ბა, საიდანაც სინოპელი და როდოსელი ვაჭრები ფართო საალ-
ცემო კონტაქტებს ამყარებდნენ შიდა კოლხეთის ცენტრებთან. ამ-
დროს, შავიზღვისპირა ქალაქებთან და უფრო შორეულ ქვეყნებ-
ნაც (კუნძული როდოსი, ეგვიპტე და სხვ.).

კოლხეთზე მითრიდატეს და რომის ბატონობამ, როგორც ითქ-
დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის დაბლობი რეგიონების მეურნეობას-
ეს მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული უნდა ყოფილიყო რიონ-
ქვემო წელის აუზში საუკუნეთა მანძილზე არსებული წყლის საწრ-
ტი და სარწყავი დიდი საარხო სისტემების მოშლასთან. ასეთი საარ-
სისტემების და მორწყვის კოლექტიურმა ორგანიზაციამ განაპირობ-

54 ა ბ ი ა ნ ე. მითრიდატეს ომების ისტორია. თბ. 1959, გვ. 59, 135.

55 М. И. Максимова. დასახ. ნაშრ. გვ. 180, 181.

56 მ. ი ნ ა ძ ე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, 172, 219. ბერძნული კულტურის მატარებელი ხელოსანი და მოვაჭრე ეთნიკ-ჯგუფი, მკვლევართა აზრით, საყანჩიაში შემოსული უნდა იყოს მცირე აზიის ერ-ერთი სანაპირო რეგიონიდან. ასევე შენიშნულია, რომ ელინისტურ ხანაში ... რიონი უშუალოდ ამ სამოსახლოს ჩამოუდიოდა ჩრდილოეთი მხრიდან (იხ. ე. ... ჩელი. ძველი წელთაღრიცხვის IV—II სს-ის შიდა კოლხეთის მატერიალური კულ-ტურის შესწავლისათვის (საყანჩიას ნამოსახლარი, გვ. 41). ჩვენი ვარაუდით, ... ყანჩიაში დადასტურებული ზემოაღნიშნული ეთნიკური ჯგუფის წარმომავლობ-უფრო დაზუსტება შეიძლება აქ, უმთავრესად, სინოპური და როდოსული კერამ-კული ტარის აღმოჩენის მიხედვით.

ერთ დროს კოლხეთის დაბლობზე ჭარბი ტენიანობის პირობებში, ...ჭაობიანი ადგილების სახნავ-სათეს სავარგულებად გამოყენება და აქ ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარება. ვფიქრობთ, სწორედ ამ სისტემების დარღვევას უნდა მოჰყოლოდა რიონის ქვემო წელის, განსაკუთრებით კი მისი მარცხენა ნაპირის მიმდებარე მიწების, ხანგრძლივი დროით დაცარიელება, აქ ცხოვრების ჩაკვდომა. აღნიშნული მოვლენების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის პროკოპი კესარიელის (ახ. წ. VI ს.) ნაშრომი, რომელშიც ცოცხლად და საინტერესოდ არის აღწერილი აღებული ხანისთვის რიონის მარცხენა ნაპირის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე შექმნილი ვითარება. აღწერილობიდან ირკვევა, რომ რიონის მარცხნივ მდებარე დაბლობი გავერანებული, უქალაქო ქვეყანა გამხდარა. მოსახლეობა მხოლოდ მახლობლად მდებარე მთებში და ღრმა ხევებში ყოფილა შერჩენილი[57]. აქედან ნათლად ჩანს, რომ რიონის სამხრეთი ქვეყანა, სადაც უწინ ძალუმად ჩქეფდა ცხოვრება, ჩამორჩენილა, გაუდაბურებულა, მთავარი გზის მოსახლეობა აღგვილა და მთებშიღა შემორჩენილა[58].

პროკოპი კესარიელის მიერ აღწერილ ამ სურათს მნიშვნელოვნად ავსებს არქეოლოგიური მონაცემები, რომელთა მიხედვით, გვიანანტიკური ხანის დასაწყისში საგარეო პოლიტიკურმა ძვრებმა და ქვეყნის შიგნით შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა „შეიწირა“ ვანის სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიაზე არსებული, მევენახეობა-მეღვინეობით განთქმული დიდი დასახლებებიც.

ამ დროს ცხოვრება ჩაკვდა დაბლაგომში, დაფნარში, მთისძირში და სხვ. ამათგან სამოსახლოს გამოცოცხლება გვიანანტიკური ხანის ბოლოს შეინიშნება მხოლოდ მთისძირში. ამ ეტაპის მთისძირი ისევ გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენს, რომელიც ახლა უკვე ლაზიკის საქალაქო ცენტრებისკენ მიმავალ გზებს კრავს[59]. აღებულ ხანაში უფრო მოშენებული ჩანს და კვლავ მეწინავეობს რიონის მარჯვენა ნაპირის მიმდებარე ქვეყანა, მოხირისის მდიდარი და ნაყოფიერი მხარით, სადაც კვლავ საფუძველი ეყრება ახალ სახელმწიფოს, ძველი კოლხეთის შემკვიდრე ლაზთა, ანუ ეგრისის სამეფოს.

57 BP II, 29, გეორგიკა. ტ. II. გვ. 101, 112.

58 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1990, გვ. 479, 480.

59 გ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბ., 1982, გვ. 101, 124.

თავი V

პოლიტიკური ვითარება გვიანელინისტური ხანის კოლხეთში

ქართული საისტორიო ტრადიციისა და სტრაბონის ცნობის უ[illegible] თიერთშედარებამ და ამ ორი წყაროს ერთობლივმა კვლევამ გვიჩვე[illegible]ნა, რომ ლეონტისთან დაცული „ფარნავაზის ცხოვრების“ „ეგრისის საერისთავოში“, რომელიც; თითქოს; ფარნავაზის გამეფების კვალ[illegible] დაკვალ შექმნილა, რეალურად უნდა იგულისხმებოდეს არა საერის[illegible] თავო, არამედ დამცრობილი კოლხეთის სამეფო, რომელიც, მის[illegible]გან სკეპტუხიების დიდი ნაწილის ჩამოშორების შემდეგ, მოიცავ[illegible]მდ. რიონის ზემო და ქვემო წელს, შავ ზღვასა და ეგრის წყალ[illegible] შორის მდებარე ტერიტორიას. ამ დამცრობილ კოლხეთის სამეფო[illegible] ჩვენი აზრით, მართავდნენ ოდინდელ ძლიერებას მოკლებული ხელისუ[illegible]ფალნი. აღინიშნა ისიც, რომ როდესაც კოლხეთის მეფეს საბოლოოდ[illegible] განუდგნენ ოდესღაც მის სამფლობელოში გაერთიანებული სკეპტუ[illegible]ხიები — ძველი საგამგეო ერთეულები კოლხეთის სახელმწიფოებრ[illegible]ობამ რიონითა და შავი ზღვით შემოსაზღვრულ ქვეყანაში, შიდა ეგ[illegible]რისში — შემოინახა თავი. მანვე ითავა ამიერიდან კოლხეთის ძველ[illegible] სამეფოს ტრადიციების გამგრძელებლისა და მემკვიდრის როლი. ამ[illegible] დებულების შემდგომი დასაბუთების თვალსაზრისით, განსაკუთრებ[illegible]ლი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ხელთ არსებულ ნუმიზმატიკურ მონაცე[illegible]მებს, რომელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახუ[illegible]რებს ბასილევს აკუს (აკეს) ოქროს სტატერები.

უკანასკნელ ხანებში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად, სპე[illegible]ციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ ამ სტატერების ემისია[illegible] უნდა განისაზღვროს არა ძვ. წ. III ს-ით (როგორც ამას ადრე ვარ[illegible] უდობდნენ), არამედ ძვ. წ. II ს-ის 90—80-იანი წლებით[1].

[1] Г. Ф. Дундуа, Нумизматика античной Грузии, Тб., 1987, გვ. 88—91

აღსანიშნავია, რომ მეფე აკეს მონეტები, რომლებიც წარმოადგენენ ლისიმაქეს სტატერების მინაბაძებს, სტილისტური და ტექნიკური ფეისებებით და ხარისხით, არაფრით ჩამორჩებიან თავიანთ პროტოტიპებს. ეს არის მინაბაძების კლასიკური ნიმუშები, რომლებიც, თავისი ფასოვნებით და მხატვრული ღირსებით, ორიგინალის ეკვივალენტურია. ისინი მოჭრილია მაღალი ხარისხის ოქროსგან, გამოსახულებები შესრულებულია დიდი ოსტატობით. ავერსზე გამოსახულია ალექსანდრე მაკედონელის თავი, დიადემით შემკული, ხოლო რევერსზე ტახტზე მჯდომარე ათენა პალადა, გაწვდილ ხელზე ნიკე უდგას, მის უკან წარწერაა მოთავსებული — ΒΑΣΙΛΕΩΣ ΑΚΟΥ, ტახტის ქვეშ — სამკაპია და დელფინები[2].

ბასილევს აკეს ერთი სტატერი ნაპოვნია სოფ. კინჩხაში (ხონის რაიონი), მეორე — ტრაპეზუნტის სანახებში; ასე რომ, ორივე ძველი კოლხეთის მიწაზეა აღმოჩენილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ აკეს სტატერებისაგან კოლხეთში შემდეგ ამზადებენ მის მინაბაძებს. ასეთებია სოფ. რეყეში აღმოჩენილი მონეტა, რომელიც თარიღდება ძვ. წ. II ს-ის შუახანებით და „სადღაც სამეგრელოში“ აღმოჩენილი, ძვ. წ. II ს-ის მეორე ნახევარში მოჭრილი, მისი მეორე ცალი (ორივე დაბალი ხარისხისაა). ამას მოსდევს კიდევ უფრო გაუარესებული სხვა მინაბაძები ვანიდან (ძვ. წ. II ს-ის დასასრული) და ა. შ.[3].

აკეს სტატერების მოჭრის თარიღის დაზუსტებას უაღრესად დიდი ნიშვნელობა აქვს, რადგან ეს სტატერები, დღესდღეობით, წარმოადგენენ ერთადერთ მონეტებს, რომელთა საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ კოლხეთში სამეფო მონეტების ემისია.

მაგრამ, სამწუხაროდ, აკეს სტატერების გენეზისის საკითხს გ. დუნდუა ფაქტიურად ღიად ტოვებს იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ, თითქოს, წერილობითი ცნობების სიმცირის გამო, ჩვენი წარმოდგენები ძვ. წ. III—II სს-ის კოლხეთში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის, სახელდობრ, აქ ერთიანი სამეფოს არსებობის შესახებ, ჯერ კიდევ არ სცილდება ჰიპოთეზების ფარგლებს.

ჩვენი მხრივ გვინდა შევნიშნოთ, რომ, მართალია, გ. დუნდუამ ნაწილებით სწორად დაათარიღა აკეს სტატერები, მაგრამ მათი ატრიბუ-

[2] Г. Ф. Дундуа, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

[3] იქვე.

ციის საკითხი მაინც კვლევა-ძიებას მოითხოვს. სახელდობრ, ჩვენ მ[illegible] გვაჩნია, რომ, ვიდრე ელინისტური ხანის კოლხეთში აკეს სტატერე[illegible]ბის მოჭრის საკითხს ეჭვის ქვეშ დავაყენებდეთ, საჭიროა გავითვალის[illegible] წინოთ აღებული ხანის კოლხეთში არსებული შინაპოლიტიკური ე[illegible] თარების ამსახველი წერილობითი წყაროები და მათი მონაცემების ერთობლივი შესწავლის საფუძველზე მიღებული შედეგები. ამ მონა[illegible]ცემების მიხედვით კი, შეიძლება იმის მტკიცება, რომ ძვ. წ. III ს-ის შემდეგაც არსებობდა კოლხეთის სამეფო, თუმც უფრო დამცრობილი და ოდინდელ სიძლიერეს მოკლებული. როგორც ითქვა, სწორედ ამ სამეფოდან უნდა მომდინარეობდეს რომაულ მწერლობაში შემორჩენილი, ერთ-ერთი სავსებით კონკრეტული ჩვენება, ლეგენდარული აიეტის ჩამომავალის, კოლხთა მეფის — სავლაკეს შესახებ, რომელშიც გვიანელინისტური ხანის კოლხეთის ერთ-ერთი „ბასილევსი", სახელად სავლაკე უნდა იგულისხმებოდეს; ამას, ჩვენი აზრით, კარგად ადასტურებს ამ მეფის სახელით მოჭრილი მონეტაც (რომლის შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება მსჯელობა).

წერილობითი წყაროების ზემოთ ჩატარებული კვლევა-ძიების შემდეგ, ძვ. წ. II ს-ის 90-იან — 80-იან წლებში, ბასილევს აკეს მიერ მოჭრილი სრულფასოვანი სტატერის აღმოჩენა სამეგრელოს მიწაზე, იქ, სადაც, ძირითადად სავარაუდებელია დამცრობილი კოლხეთის სამეფოს არსებობა, სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს დასახელებული პოლიტიკური ერთეულის რაობის გარკვევის თვალსაზრისით. იგი მოჭრილია, სწორედ, კოლხთა ამ დამცრობილი სამეფოს მესვეურის მიერ, ხოლო თვით ფაქტი მისი ემისიისა უშუალოდ უკავშირდება აღებული ხანისათვის კოლხეთსა და ქართლში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას. ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმის თაობაზე, რომ სელევკიდთაგან გამდგარ, გაძლიერებულ სომეხთა მთავარსარდლების — არტაქსიას და ზარიადრესის — მიერ იბერთ სამეფოსაგან სამხრეთი ოლქების ჩამოცილებამ, დროებით, მნიშვნელოვნად დაასუსტა ქართლის მანამდე ძლიერი სახელმწიფო. ამავე ხანას ემთხვევა მეორე მნიშვნელოვანი მოვლენაც — ფარნავაზის სიკვდილის შემდეგ ქართლის ერისთავთა აჯანყება მისი ვაჟის საურმაგის წინააღმდეგ და ამით გამოწვეული შინაპოლიტიკური არეულობა[4].

[4] ქც. I. გვ. 25.

ზემოჩამოთვლილი ფაქტები — ძვ. წ. II ს-ის 90—80-იან წლებში ერთიერთობის გამწვავება კოლხეთის მეზობელ სახელმწიფოებში (ქართლი, სომხეთი), შინაპოლიტიკური არეულობა ქართლში — შესაფერის საფუძველს ქმნიდა იმისათვის, რომ კოლხეთის დამცრობილი სამეფოს მმართველს ეზრუნა ქართლის გავლენისაგან თავის დაღწევასა და დამოუკიდებლობის აღდგენაზე. ამდენად, სწორედ, ძვ. წ. II ს-ის 90-იან, 80-იან წლებში ბასილევს აკეს (აკუს) მიერ ოქროს სრულფასოვანი მონეტის მოჭრა (ზედ მეფის წოდებისა და სახელის აღნიშვნით), რაც მხოლოდ თავისთავადი სახელმწიფო გამგებლის რეალიას წარმოადგენდა, სავსებით შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც კოლხეთის მეფის მიერ განხორციელებული პოლიტიკური მნიშვნელობის აქცია, როგორც ოდესღაც ძლიერი, მაგრამ შემდეგ დასუსტებული კოლხეთის სამეფოს მესვეურის მცდელობა, იურიდიულად აღადგინოს და დააკანონოს ქვეყანაში თავისი ხელისუფლების არსებობა[5]. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ აკეს (აკუს) მონეტის ემისიას, უპირველეს ყოვლისა, ჰქონდა პოლიტიკური მნიშვნელობა.

სრულიად განსხვავებული დანიშნულება უნდა ჰქონოდა აკეს სტატერების მინაბაძებს, რომლებიც, გ. დუნდუას განსაზღვრით, იჭრებოდა უკვე ძვ. წ. II ს-ის შუა ხანებში და მის მეორე ნახევარში. მათი ემისია გრძელდებოდა ძვ. წ. I ს-შიც[6]. ამ მინაბაძებზე წარწერა (მეფის სახელი) წაშლილია, სრულიად სახეშეცვლილია მათ ადრეულ ცალზე მოთავსებული გამოსახულებებიც. დეგრადაციას განიცდის ამ მონეტების მხატვრული გაფორმება, წონა და სხვ. ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო მინაბაძების მიხედვით ჩანს, რომ კოლხეთის დამცრობილ სამეფოში დგება ხანა, როდესაც სამეფო ხელისუფლეთის სახელით სრულფასოვანი ოქროს სტატერების მოჭრა ვეღარ ხერხდება, ამის განხორციელებას რაღაც გარემოებანი აბრკოლებენ. სამაგიეროდ, იქმნება აკეს სტატერების (ლისიმაქეს სტატერების) მინაბაძების, უსახელო მონეტების — დიდი რაოდენობით მოჭრის აუცილებლობა. გ. დუნდუა ვარაუდობს, რომ შეუძლებელია ერთი და იმავე ზარაფხანაში მოეჭრათ, ერთი მხრივ, აკეს სრულფასოვანი, კლასიკური გლიპტიკით შესრულებული სტატერები, ხოლო, მეორე მხრივ, მათი

[5] შდრ. Г. Ф. Дундуа. დასახ. ნაშრომი, გვ. 87—89, 97—99.

[6] აღნიშნული მინაბაძების დიდი ნაწილი თარიღდება კოლხეთში მითრიდატეს ბატონობის ხანით (Г. Дундуа. დასახ. ნაშრ., გვ. 89, 95—98).

მინაბაძები. ამავე დროს, მკვლევარი ითვალისწინებს იმასაც, რომ მინაბაძების უმეტესი ნაწილი კოლხეთში მითრიდატე ევპატორის ბატონობის პერიოდს ემთხვევა. აქედან გამომდინარე, იგი დასაშვებად თვლის აღნიშნული მინაბაძების ანონიმურ სერიად მიჩნევას (რადგან ოქროსა და ვერცხლის მონეტების მოჭრის უფლებით სარგებლობდა მხოლოდ პონტოს მბრძანებელი), ხოლო ამ მინაბაძების მოჭრის ცენტრს, მისი ვარაუდით, წარმოადგენდა ვანის ქალაქი. ამ მოსაზრების მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ვანი დღეს ერთადერთი პუნქტია, სადაც გვხვდება ელინისტური ხანის ყველა სამონეტო ტიპი, რომელთა საფუძველზე, საბოლოო ჯამში, იქმნება მინაბაძების ფენომენი (ვანში აღმოჩენილია ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს სახელებით მოჭრილი ოქროს მონეტები, მათი ორივე მინაბაძი, მათ შორის ალექსანდრეს ადრეული ტიპის ორი მინაბაძი)[7].

ნუმიზმატიკური მონაცემების საფუძველზე გამოთქმულ ამ მოსაზრებას სავსებით მხარს უჭერს ვანის არქეოლოგიური კვლევა-ძიებაც.

როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ვანი, მითრიდატეს მიერ კოლხეთის დაპყრობამდე, მთელი ადრეანტიკური ხანის მანძილზე, ისევე, როგორც ელინისტურ ხანაშიც, წარმოადგენდა კოლხეთის მთავარი სკეპტუხიის რელიგიურ-პოლიტიკურ ცენტრს, სადაც კოლხეთის სამეფო სახლის საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი იჯდა. ვანის სკეპტუხს ეკისრებოდა ქვეყნის მთავარსარდლის ფუნქციების შესრულებაც (დედატოსი, ოლთაკე). აქედან გამომდინარე, ჩვენ ეფუძნებით, რომ საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობათა გრანდიოზული მშენებლობაც, ძვ. წ. III ს-ის მიწურულსა და II ს. ვანში, სწორედ, ამ ადგილობრივ ხელისუფალთა (სამეფო სახლის ამ ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელთა) მიერ ხორციელდებოდა. ვანის სკეპტუხიას ამ დროს ჰქონდა როგორც თავისი მმართველობის აპარატი, ისე საკუთარი სამხედრო ორგანიზაცია. ამდენად, სავსებით კანონზომიერია, რომ აქვე მოეჭრათ ლისიმაქეს სტატერების მინაბაძებიც. ეს პროტოტიპად ვანის ხელისუფალთ აეღოთ კოლხეთის სამეფო კარზე უფრო ადრე (II ს-ის 90-იან — 80-იან წლებში) მოჭრილი აკეს მონეტები. ყველაფერი ეს კი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ კოლხეთის დამცრობილ სამეფოსა და ვანის სკეპტუხიას შორის, ძვ. წ. II ს-ის მთელ მანძილზე, მაინც არსებობდა ძველთაგან შემორჩენილი

7 Г. Ф. Дундуа. დასახ. ნაშრ., გვ. 100—101

ადრილი პოლიტიკური კავშირი (თუმც, უდავოდ, რამდენადმე შეცვლილი, უფრო ნომინალური).

ჩვენი აზრით, ქართლის გავლენისგან განთავისუფლების (ძვ. წ. II ს.) შემდეგ, ვანის ქვეყანა, თუმცა ოფიციურად უკვე ცალკე პოლიტიკური ერთეულია, მაგრამ, სხვა სკეპტუხიებისაგან განსხვავებით, ვანის სკეპტუხია მაინც გარკვეულ დამოკიდებულებაშია დამცრობილ კოლხეთის სამეფოსაგან, არ წყვეტს მასთან პოლიტიკურ კავშირს, რასაც, უთუოდ, ისიც განაპირობებდა, რომ ამ ორ პოლიტიკურ ერთეულს ადრიდანვე სამეფო სახლის წარმომადგენელნი მართავდნენ.

მოსაზრება მეფე აკეს მინაბაძების ვანში (ძვ. წ. II ს-ის დასასრულიდან) მოჭრის შესახებ მხარს უჭერს ამ ვარაუდს. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ მითრიდატეს მიერ კოლხეთის დამცრობილი სამეფოს დამორჩილებისა და ქვეყანაში სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ, ციხე-გოჯი (დღ. ნოქალაქევი), როგორც ამ სამეფოს პოლიტიკურ-სტრატეგიული ცენტრი, დროებით კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას და ეს როლი ამ დროს ვანის ქალაქს რჩება. ძვ. წ. II—I სს., კოლხეთში მითრიდატესა და რომაელთა ბატონობის ჟამს, ვანი წარმოადგენს მთავარ ასპარეზს, სადაც ვითარდება იმდროინდელი ყველა დიდი პოლიტიკური მოვლენები.

მაგრამ, ვიდრე მითრიდატე კოლხეთში მეფობას გააუქმებდა (ძვ. წ. II ს-ის დასასრულამდე), როგორც აღინიშნა, ჩვენ მიერ ზემოთ მოხაზულ ტერიტორიაზე, ელინისტურ ხანაში, დამცრობილი სახით მაინც განაგრძობდა არსებობას კოლხეთის სამეფო.

ასეთი სამეფო ერთეულის არსებობა კარგად დასტურდება ე. წ. მეფე სავლაკეს მონეტებითაც. მართალია, ზოგიერთი მკვლევარი მათ მოჭრას მიაწერეს სკვითმონა სავმაკს, რომელმაც ძვ. წ. 108—107 წწ. ხელთ იგდო ბოსფორის სამეფო, მაგრამ ამ მონეტების დეტალურმა კვლევამ, და ასეთი 3 ცალი მონეტის აღმოჩენამ სოხუმის მიდამოებში (მაშინ როდესაც ბოსფორში ამ მონეტებს საერთოდ არ ვხვდებით), მათ მსგავსებამ კოლხური თეთრის წვრილ ნომინალებთან და არისტარხეს სახელით მოჭრილ მონეტებთან, აგრეთვე, პლინიუსთან დაცულმა წერილობითმა ტრადიციამ კოლხეთის მეფე სავლაკეს შესახებ (Plin. XXXIII, 52), დაბოლოს ამ მონეტის ახალი, მესამე ტიპის აღმოჩენამ, რაც მოწმობს მისი ემისიის ხანგრძლივ ხასიათს (მაშინ, როდესაც სკვითი სავმაკე ძალზე ცოტა ხანს მეფობდა), ჩვენი აზრით, საკმაო დამაჯერებლობა შემატა მკვლევართა იმ ვარაუდს, რომ-

ლის თანახმად დასახელებულ მონეტაზე იკითხება კოლხეთის მეფე სავლაკეს სახელი[8].

მაგრამ სავლაკეს მონეტების წარმომავლობასთან დაკავშირებული ისმის კიდევ ერთი საკითხი: საქმე ის არის, რომ ეს მონეტები, უმთავრესად, სპილენძის წვრილი ნომინალებია (მხოლოდ ერთი ცალი ვერცხლის), მაშინ როდესაც კოლხეთის სამონეტო სისტემისთვის სრულიად უცხოა სპილენძის მონეტების ემისია სამეფო ზარაფხანის მიერ. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სავლაკეს მონეტების მოჭრა, ფაქტიურად, ხორციელდებოდა ქალაქ დიოსკურიის ზარაფხანაში. მაგრამ კოლხეთის სამეფო ხელისუფლების მოთხოვნით, წვრილ მონეტაზე მისი ქვეყნის საშინაო ბაზრის საჭიროების დასაკმაყოფილებლად[9].

გვიანელინისტური ხანის კოლხეთის სამეფოს მოსახლეობის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის მოწესრიგებას კვლავ ემსახურებოდა, უთუოდ, კოლხური თეთრის წვრილი ნომინალები — ნახევარდრაქმიანებიც, რომლებიც ძვ. წ. II ს-ით თარიღდებიან[10]. ამასთან, ნიშანდობლივი ჩანს ის გარემოება, რომ იმდროინდელი (II ს-ის) ნახევარდრაქმიანების აღმოჩენა დასტურდება მხოლოდ კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე (ნოქალაქევი), მის ფარგლებს გარეთ კ კოლხური თეთრი ძვ. წ. III ს-ის შუახანებში გამოდის მიმოქცევიდან[11].

აღნიშნული გარემოება შესაძლოა აიხსნას იმით, რომ გვიანელინისტური ხანის კოლხეთის სამეფო ცალკე პოლიტიკური და ეკონომიკური ერთეულია, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს მის სამონეტო მიმოქცევაზეც. ამდენად, აღებული ხანის კოლხეთის სამეფო, საშინაო

---

[8] К. В. Голенко. Новый тип монет царя Сав (лака).—Сообщ. АН ГССР. т. XXV. №1, 1960.

[9] ამ თვალსაზრისით სავსებით სწორი იყო კ. ვ. გოლენკო, როდესაც შენიშნავდა, რომ სავლაკეს მონეტის გამოშვება განპირობებული იყო არა მხოლოდ იურიდიული მოსაზრებებით, არამედ ეკონომიკური აუცილებლობით, წვრილი მონეტის მიმოქცევის საჭიროებით კოლხეთის საშინაო ბაზარზე ძვ. წ. II ს-ის დასასრულამდე (К. В. Голенко, დასახ. ნაშრ., გვ. 127).

[10] გ. გვინჩიძე, ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის, თბ., 1988, გვ. 73.

[11]. Г. Ф. Дундуа, Г. А., Лордкипанидзе, Денежное обращение Центральной Колхиды в V—I вв. до н. э. (по материалам Ванского городища), Тб., 1983, с. 13, 88.

ბაზარზე კოლხური თეთრის ხმარების თვალსაზრისითაც, მისი წინამორბედი სახელმწიფოს ტრადიციების გამგრძელებლად გამოდის. ეს მონეტა მიმოქცევაში რჩება აქ ძვ. წ. II ს-ის 10-იან წლებამდე, ე. ი. მითრიდატეს მიერ სამეფო ხელისუფლების გაუქმებამდე.

გვიანელინისტური ხანის კოლხეთში არსებული პოლიტიკური ვითარების კვლევა-ძიების თვალსაზრისით, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ე. წ. არისტარხეს დრაქმებს, რომელთა შესწავლა, აგრეთვე, ახალ შუქს ჰფენს ჩვენთვის საინტერესო ეპოქის კოლხეთის საზოგადოების რომთან ურთიერთობის ზოგიერთ მხარეს.

არისტარხეს დრაქმის სულ ხუთი ცალია აღმოჩენილი. ამათგან მხოლოდ ერთის აღმოჩენის ადგილია ცნობილი. ის ნაპოვნია „სოხუმის მახლობლად“ და დეტალურად არის აღწერილი ო. ფ. რეტოვსკის მიერ[12].

მონეტის პირზე გამოსახულია მამაკაცის თავი, შემკული ხუთქიმიანი გვირგვინით. მონეტის უკანა მხარეს ქალია გამოსახული. ქალი ზის მაღალზურგიან სავარძელში, რომელიც ფრონტალურად დგას. მარცხენა ხელში უპყრია სფეროსებრი საგანი, ხოლო მეორე ხელში — საჭე. ქალის გამოსახულების გარშემო მოთავსებულია ბერძნული წარწერა: ΤΟΥ ΕΠΙ ΚΟΛΧΙΔΟΣ ΑΡΙΣΤΑΡΧΟΥ“—დრისტერხე გამგებელი კოლხეთისა“ (ანუ „არისტარხესია, რომელიც განაგებს კოლხეთს“). ქვეოთ ორი ასოა — ΒΙ — ინდიქტი 12, რაც ნიშნავს — მონეტა მოჭრილია არისტარხეს მმართველობის მე-12, წელს, ე. ი. ძვ. წ. 52/1 წლებში, რადგან წყაროებიდან ვიცით, რომ კოლხეთის გამგებლად პომპეუსმა არისტარხე დანიშნა ძვ. წ. 63 წელს.

არისტარხეს დრაქმა სპეციალურად შეისწავლა კ. ვ. გოლენკომ. მონეტაზე გამოსახული ატრიბუტების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ვარაუდობდა, რომ აქ წარმოდგენილია ქალაქის ქალღვთაება, ტიუხე, როგორც მისი კეთილდღეობის სიმბოლო და მფარველი. გარდა ამისა, კ. ვ. გოლენკოს მტკიცებით, არისტარხეს მონეტით დასტურდება მთელი რიგი პოლიტიკური მომენტები, რომლებიც ახასიათებდა ამ დინასტის ხელისუფლებას: უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი ტრადიციები (არისტარხეს თავი ჰელიოსის გვირგვინითაა გამოსახული — კოლხეთის ლეგენდარული მეფე აიეტი ჰელიოსის ანუ

---

[12] О. Ретовский. Драхма Аристарха Колхидского из собрания Имп. Эрмитажа.—Труды МНО, т. III, вып. 2, 1903, с. 1.

ᲛᲖᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲐ), ᲛᲔᲝᲠᲔ — ᲠᲝᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ (ᲐᲠᲘᲡᲢᲠᲐᲠᲮᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲝᲛᲞᲔᲣᲡᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲗᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ), ᲛᲔᲡᲐᲛᲔ — ᲐᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ (ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲣᲮᲡᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ) ᲓᲐ ᲡᲮᲕ.[13].

Გ. ᲓᲣᲜᲓᲣᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲨᲘ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲘᲖᲘᲐᲠᲔᲑᲡ Კ. Ვ. ᲒᲝᲚᲔᲜᲙᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚ ᲘᲛ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲡᲢᲐᲠᲮᲔᲡ ᲓᲠᲐᲥᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲝᲛᲞᲔᲣᲡᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲗᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲕᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲙᲐᲠᲜᲐᲮᲔᲕᲘ. ᲓᲠᲐᲥᲛᲐᲖᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲘᲡᲐᲮᲐ ᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲡᲢᲐᲠᲮᲔ ᲞᲝᲛᲞᲔᲣᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲥᲕᲔᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲔᲑᲐ (ᲐᲞᲘᲐᲜᲔ)[14].

Გ. ᲓᲣᲜᲓᲣᲐ ᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ Კ. ᲒᲝᲚᲔᲜᲙᲝᲡ ᲓᲐ Ვ. ᲯᲔᲜᲙᲘᲜᲡᲡ ᲐᲠᲘᲡᲢᲐᲠᲮᲔᲡ ᲓᲠᲐᲥᲛᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲢᲐᲪᲘᲐᲨᲘᲪ. ᲛᲘᲡᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲐᲥ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲥᲐᲚᲚᲛᲔᲠᲗᲘ ᲢᲘᲣᲮᲔ; ᲐᲛᲐᲖᲔ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ ᲡᲐᲭᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲡ ᲮᲔᲚᲗ ᲣᲞᲧᲠᲘᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡ Ქ. ᲤᲐᲡᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲭᲠᲐᲡ Გ. ᲓᲣᲜᲓᲣᲐ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲐᲡᲔᲗ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲒᲕᲔᲕᲐᲠᲐᲣᲓᲐ ᲓᲘᲝᲡᲙᲣᲠᲘᲐ[15].

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ, Გ. ᲓᲣᲜᲓᲣᲐᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ, Კ. Ვ. ᲒᲝᲚᲔᲜᲙᲝᲡ ᲘᲛ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛ, ᲐᲠᲘᲡᲢᲐᲠᲮᲔᲡ ᲓᲠᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲨᲘ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲔᲜ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲔᲑᲘ[16].

ᲐᲠᲘᲡᲢᲐᲠᲮᲔᲡ ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲖᲔᲛᲝᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲐᲡᲐᲬᲔᲕᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲐᲛ ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲠᲣᲚᲘᲗ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲔᲡ — ᲗᲣ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲛᲝᲘᲭᲠᲐ ᲐᲠᲘᲡᲢᲐᲠᲮᲔᲡ ᲓᲠᲐᲥᲛᲐ ᲛᲐᲘᲜᲪᲓᲐᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔ-12 ᲬᲔᲚᲡ (Ე. Ი. ᲫᲕ. Წ. 52, ᲐᲜ 51 ᲬᲔᲚᲡ), ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲡ ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲫᲕ. Წ. 63 ᲬᲔᲚᲡ; ᲠᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲔᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲛᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲐᲓ ᲠᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲭᲠᲐ.[17]

---

[13] К. В. Голенко, Аристарх Колхидский и его монеты.—ВДИ. 1974, №4, с. 105—110. ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐ Ვ. ᲯᲔᲜᲙᲘᲜᲡᲡᲐ (G. K. Jenkins. Recent Acquisition of Greek Coins by the British Museum, NC, 1959).

[14] Г. Ф. Дундуа. ᲓᲐᲡᲐᲮ. ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ, ᲒᲕ. 131.

[15] ᲘᲥᲕᲔ.

[16] ᲘᲥᲕᲔ. ᲒᲕ. 131—132.

ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲡᲘᲡᲐ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲒᲕᲘᲬᲘᲝᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲪᲜᲝᲑᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲙᲣᲡ ᲢᲣᲚᲘᲣᲡ ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲜᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲔᲜᲐᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲙᲘᲚᲘᲙᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲙᲘᲚᲘᲙᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲓᲐᲧᲝ (ᲫᲕ. Წ. 52 Წ-ᲓᲐᲜ 51 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ), ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲗ.

ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲫᲕ. Წ. 51 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ, ᲐᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲫᲕ. Წ. 51 ᲬᲔᲚᲡ) ᲞᲐᲠᲗᲘᲐᲨᲘ, ᲛᲐᲠᲙᲣᲡ ᲚᲘᲪᲘᲜᲘᲣᲡ ᲙᲠᲐᲡᲣᲡᲘᲡ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲠᲧᲐ. ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲜᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲔᲕᲠᲓᲝᲛ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲐᲗ. ᲡᲮᲕᲐ ᲕᲐᲡᲐᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲠᲝᲛᲡ ᲖᲣᲠᲒᲘ ᲨᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲛᲐᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲠᲝᲛᲐᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲝᲓᲐ ᲐᲜᲢᲘᲠᲝᲛᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲗ ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲐ ᲢᲘᲒᲠᲐᲜ ᲡᲝᲛᲔᲗᲗᲐ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲫᲔᲛ ᲐᲠᲢᲐᲕᲐᲖᲓ II-ᲛᲓ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲠᲝᲛᲡ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲬᲐᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲝᲤᲔᲜᲔ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲐᲠᲛᲔᲜᲘᲐ. ᲐᲠᲢᲐᲕᲐᲖᲓ II-Ს ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲭᲠᲘᲚᲘᲧᲝ ᲙᲐᲞᲐᲓᲝᲙᲘᲐᲨᲘᲪ. ᲞᲐᲠᲗᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲙᲘᲚᲘᲙᲘᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲔᲚᲝᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲣᲠ ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲗᲐᲜ[17]. ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲘᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲐ ᲰᲐᲠᲗᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ; ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲕᲐᲡᲐᲚᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ, ᲐᲛᲐᲗ ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲜᲢᲘᲝᲥᲔ ᲙᲝᲛᲐᲒᲔᲜᲔᲚᲘ, ᲞᲝᲜᲢᲝᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲓᲔᲘᲝᲢᲐᲠᲔ, ᲙᲐᲞᲐᲓᲝᲙᲘᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲐᲠᲘᲝᲑᲐᲠᲖᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲕᲐᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲘᲠᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲙᲔᲗᲘᲚᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲜᲘ, ᲛᲐᲗ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲣᲠᲓᲐᲗ ᲠᲝᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲕᲐ. ᲐᲛ ᲐᲠᲐᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲛᲔᲤᲔ-ᲢᲘᲠᲐᲜᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ვ. Ო. ᲒᲝᲠᲔᲜᲨᲢᲔᲘᲜᲘ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲑᲡ ᲒᲐᲚᲐᲢᲘᲘᲡ ᲢᲘᲠᲐᲜᲡ ᲑᲝᲒᲝᲓᲘᲐᲢᲐᲠᲡ, ᲰᲐᲤᲚᲐ-

---

[17] Письма Марка Туллия Цицерона, II, годы 51—46. Перевод и комментарии В. О. Горенштейна. М,-Л., 1950, с. 24—30.

გონიის მეფე ატალს, კოლხეთის დინასტს არისტარხეს, ლიბანის მეფეს პტოლემეს და დამასკოს ტირანს არეტესს[18].

ძვ. წ. 51 წლის 21/22 სექტემბერს პართიის მეფის ოროდ I-ის შვილს პაკორს, სხვადასხვა ტომებისაგან შემდგარი დიდი ლაშქრით, მართლაც, გადაულახავს ევფრატის ნაპირები. პაკორი არა მარტო უშუალოდ ემუქრებოდა სირიას, არამედ საფრთხეს უქმნიდა მცირე აზიას და რომაელთა აქ ბატონობას. საბოლოოდ ციცერონმა შეძლო მტრის შეჩერება და მისი ძალების მოგერიება. როგორც ირკვევა, ციცერონის მიერ ჩატარებული სამხედრო აქციის შემდეგ, რომაელებმა შეძლეს მცირე აზიის პროვინციების შენარჩუნება, მერყევი, არასაიმედო მოკავშირეების შემომტკიცება და მტრულად განწყობილ ქვეყნებში თავისი პოზიციების განმტკიცება. სომხეთმა ცნო რომის უზენაესობა, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში ციცერონმა სხვადასხვა ღონისძიებები გაატარა. არისტარხეს დრაქმის ემისიის თარიღის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (რომელიც დაახლოებით ამ ხანებში, სახელდობრ, ძვ. წ. 51 წელს არის მოჭრილი), უნდა ვიფიქროთ, რომ რომის ხელისუფალნი გარკვეული ზომები მიუღიათ კოლხეთის გამგებლის არისტარხეს მიმართაც, რომელიც, ჩანს, ამ კრიტიკულ ჟამს რომისგან განდგომილ ვასალურ სახელმწიფოთა შორის იმყოფებოდა.

ციცერონის მიერ ძვ. წ. 51 წელს (19—21 სექტემბერს) კონსულების, პრეტორების, სახალხო ტრიბუნებისა და სენატისადმი მიწერილ ოფიციალურ წერილში აღწერილი ვითარების გათვალისწინებას შემდგომ, არისტარხეს სახელით მონეტის მოჭრის ფაქტი, სწორედ ძვ. წ. 51 წელს, ჩვენი აზრით, სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს. როგორც ჩანს, ამ მონეტის ემისია, პირველ ყოვლისა, მიზნად ისახავდა კოლხეთსა და რომს შორის არსებული ურთიერთობის აღდგენა-მოწესრიგებას. მასში გამოხატულება პოვა გარკვეულმა პოლიტიკურმა აქციამ, რომელიც რომის წარმომადგენლებმა ჩაატარეს კოლხეთის მიმართ. ამდენად, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ პართიისა და სომხეთის რომთან დაპირისპირების შემდეგ (ძვ. წ. 51 წ.), კოლხეთიც არასაიმედო გამხდარა რომისთვის, ე. ი. არახელსაყრელი მდგომარეობა რომისთვის შექმნილა არა მხოლოდ სომხეთში, არამედ ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებშიც (კოლხეთში). მაგრამ პართიის შეტევის მოგერიებისა და მდგომარეობის სტაბილიზაციის შემდეგ, რომის ხელისუფლებამ, ჩანს, იზრუნა აქ თავისი პოზიციების

[18] Письма Марка Туллия Цицерона, с. 412.

განმტკიცებაზე. სწორედ ამ მოვლენებს უნდა მოჰყოლოდა არისტარხეს სახელით მონეტის მოჭრა (ძვ. წ. 51 წელს). მონეტის ემისიას უნდა დაედასტურებინა, რომ ძვ. წ. 63 წელს კოლხეთის გამგებლად დანიშნული არისტარხე 12 წლის შემდეგაც აღიარებდა რომის უზენაესობას; ამით ის დამოკიდებულება კოლხეთსა და რომს შორის, რომელიც ოფიციალურად დამყარდა ძვ. წ. 63 წელს, კვლავ აღდგენილ და განმტკიცებულ იქნა.

აღნიშნული მონეტის ემისიით არისტარხემ კვლავ აღიარა რომის პოლიტიკური გავლენა (რომელიც, ჩანს, საგრძნობლად შესუსტდა ძვ. წ. 63 წ.-დან ძვ. წ. 51 წელს შორის პერიოდში). ამას ადასტურებს მონეტაზე პომპეუსის სახისნაკვთებიანი ადამიანის თავის გამოსახვა (პომპეუსი ამ ხანაში დიქტატორის უფლებებით იყო აღჭურვილი).

ზემოთ განხილული ფაქტები და მათი ანალიზი ნათელყოფენ, რომ, მართალია, ძვ. წ. 65 წელს კოლხეთის მესვეურებმა აღიარეს რომისადმი მორჩილება, მისგან დამოკიდებულება, მაგრამ ქვეყანაში მაინც სუფევდა ანტირომაული განწყობილება, კვლავ ძლიერნი იყვნენ დამპყრობელის წინააღმდეგ მიმართული ძალები, ხელშემწყობი სიტუაციის შექმნისთანავე, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრაში. როგორც ჩანს, კოლხეთის რომისადმი არაკეთილგანწყობილმა ძალებმა შეძლეს არისტარხეს მიმხრობაც[19].

კოლხეთისა და რომის ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებები ძვ. წ. 51 წლისათვის, რაც პართიაში კრასუსის დამარცხებასა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ანტირომაული ძალების მომძლავრებასთან იყო დაკავშირებული, საშუალებას გვაძლევს კვლავ გადავხედოთ თვით

[19] კ. ვ. გოლენკო ვარაუდობდა, რომ არისტარხე იყო ერთ-ერთი ადგილობრივი დინასტი, რომელიც პომპეუსის მხარეს იბრძოდა მითრიდატესთან რომაელების ომის დროს, ხოლო კოლხეთის მმართველად იგი პომპეუსის მიერ დანიშნულ იქნა რომისადმი ერთგულებისა და დამსახურების გამო. ასეთ დასკვნამდე მიდის იგი სტრაბონის იმ ცნობის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად, სადაც ვკითხულობთ: „როდესაც პომპეუსმა [მითრიდატე] დაამარცხა და იმავე საზღვრებში მყოფი ქვეყანა დაიპყრო, არმენიის და კოლხეთის ირგვლივ მდებარე ადგილები თანამებრძოლ დინასტებს გაუნაწილა“ — II, 3, I, (თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბ., 1957, გვ. 200). მაგრამ მოტანილ ცნობაში ლაპარაკია არა კოლხეთის დინასტზე, არამედ მხოლოდ არმენიისა და კოლხეთის მეზობლად („ირგვლივ“) მდებარე ქვეყნების დინასტიებზე, რომელნიც, მართლაც, პომპეუსის თანამებრძოლნი იყვნენ.

არისტარხეს ხელისუფლების რაობის საკითხს. არისტარხე, როგორც მეფე, იხსენიება ლათინურ წყაროებში. ევტროპისა და ფესტუსის თანახმად, არისტარხე პომპეუსს მეფედ დაუსვამს კოლხეთში[20]. ხოლო ბერძენთა ავტორის აპიანეს მონათხრობის თანახმად, პომპეუსმა არისტარხე კოლხთა დინასტად დანიშნა. ისტორიკოსი გვამცნობს: [პომპეუსმა] „დაპყრობილ ხალხთაგან ზოგს დამოუკიდებლობა მისცა მოკავშირეობის პირობით, სხვები მაშინვე რომაელთა [ქვეშევრდომებად] აქცია, ზოგიც კიდევ სამეფოებად გადასცა; ტიგრანეს — არმენია, ფარნაკეს — ბოსფორი, არიობარზანეს — კაპადოკია და სხვა [მხარეები], რომლებზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. ანტოქოს კომაგენელს მან ჩააბარა სელევკია და მესოპოტამიის სხვა [ნაწილები], რომლებიც კი მან მოარბია. დეიოტარე და სხვები მან ტეტრარქებად დაუყენა გალოგრეკებს... პაფლაგონიაში [დანიშნა] ატალოსი, ხოლო კოლხთა დინასტად — არისტარქე. კომანაში არქელაოსი გამოაცხადა ქალღმერთის ქურუმად, რაც სამეფო ხელისუფლებას [ედრება]“[21].

თ. ყაუხჩიშვილმა დეტალურად შეისწავლა ყველა ეს ზემოთ მოტანილი ცნობა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ევტროპი არ აზუსტებს ტერმინებს: დინასტსა და ტეტრარქს ის ერთნაირად „rex“-ს უწოდებს [ფესტუსის შესახებ ვერაფერს ვიტყვით], ხოლო რაც შეეხება აპიანეს, რომელსაც ყველაზე სანდო ცნობები აქვს დაცული აღნიშნული ხანის პოლიტიკური ვითარების შესახებ, მას, განსხვავებით სხვა ავტორებისგან, ძალაუფლების აღმნიშვნელი ყველა ტერმინი ერთმანეთისგან გარჩეული აქვს: სიტყვით — „δυνάστης“[22] — აპიანე თავის „მითრიდატიკაში“, ჩვეულებრივ, აღნიშნავს ქვეყნის „მმართველს“. აქედან გამომდინარე, თ. ყაუხჩიშვილი დაასკვნის, რომ არისტარხე იყო არა კოლხების მეფე, არამედ მათი „მმართველი“[23].

მაგრამ არისტარხეს რეალური ფუნქციების დადგენის საკითხი, ჩვენი აზრით, მხოლოდ აპიანეს ზემოთ განხილული ცნობების დეტალური ანალიზით არ შეიძლება გადაწყდეს. საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს მთელი ის ვითარება, რომელიც აღებულ ხანაში კოლხეთსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში იქმნება, ასევე ის ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ამ ქვეყნებსა და რომს შორის მყარდება ძვ. წ. 65—ძვ. წ. 51 წწ.

ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია იმავე ბერძენი ავტორის აპიანეს ცნობები, საიდანაც ირკვევა, რომ პომპეუსმა კოლხეთი მაათვალა იმ ვასალურ სამეფოებს, რომელთა მეფეებს უნდა ეზრუნათ რომის ინტერესების დასაცავად მათთვის დაქვემდებარებულ ქვეყნებში და რომის პოლიტიკის გატარებისათვის აღმოსავლეთში. სტრაბონის სიტყვით, ეს ქვეყნები ცხოვრობდნენ მამაპაპეული კანონების მიხედვით[24], რაც იმის მაჩვენებელია, რომ კოლხეთი, ისევე როგორც სხვა ვასალური სამეფოები, დამოუკიდებლობით სარგებლობდა თავის საშინაო საქმეებში[25]. აპიანეს მიხედვით, ასეთ ქვეყნებს, კოლხეთის გარდა, წარმოადგენდნენ არმენია, ბოსფორი, კაპადოკია, სელევკია, პაფლაგონია და გალატია[26], რომლის მეფესაც, სტრაბონის ცნობით, დაექვემდებარა აგრეთვე „არმენიისა და კოლხეთის ირგვლივ“ მდებარე ადგილები...“[27].

გარდა ამისა, სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ გადმოგვცემს, რომ „მთელი [ქვეყანა] ფაზისისა და ევფრატის შიგნით გარდა არაბეთის ზოგი [ნაწილისა] რომაელების გამგებლობაშია და [რომაელების] მიერ დაყენებული დინასტების [ხელშია“][28].

მოტანილი ცნობებიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ პომპეუსის მიერ კოლხეთის დინასტად დანიშნული არისტარხე, რომის რესპუბლიკის საერთაშორისო კანონების თანახმად, ისეთივე ფუნქციებს ასრულებდა, როგორსაც სხვა ვასალური სახელმწიფოების მესვეურები. ამ მხრივ იგი თავისი ხელისუფლებით მეფეს გაუთანაბრდა. ამრიგად, ქვეყნის შინაგანი დამოუკიდებლობის პირობებში, მართალია, არისტარხემ არ მიიღო მეფის ტიტული, მაგრამ მაინც მეფის სწორი ერთპიროვნული მმართველი გახდა[29].

---

[20] ევტროპი წერს: „Aristarchum Colchis regem imposuit“—VI, 14. SC, II, გვ. 319; ფესტუსთან ვკითხულობთ: „Idem Pompeius Bosphorianis et Colchis Aristarchum regem imposuit“.—XVI, SC, II. გვ. 323.

[21] აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია. თბ., 1959, გვ. 220, 221.

[22] იქვე. გვ. 27—34.

[23] იქვე.

[24] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. VII, 3, 24.

[25] მ. ინაძე. ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის (ფლავიუს არიანე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ). თბ., 1953 (საკანდიდატო დისერტაცია), გვ. 95 (ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში).

[26] აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია. 114, გვ. 220, 221.

[27] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. XII, 3, 1, გვ. 200.

[28] იქვე. VI, 4, 2, გვ. 98.

[29] მ. ინაძე. დასახ. ნაშრომი., გვ. 97; შდრ. Н. Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения, ч. I, Тб., 1981.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ფრიად საგულისხმოდ გვეჩვენება გ. დუნდუას დაკვირვება, რომლის თანახმად, მართალია, მონეტაზე არისტარხე მეფედ არ იხსენიება (წარწერის მიხედვით ის მხოლოდ კოლხეთის მმართველია), მაგრამ, ფაქტიურად, მას ხელთ უპყრია ოფიციალური ძალაუფლება. ის ფლობს სამონეტო რეგალიას; ამავე დროს, მისი მონეტები იმდროინდელი სტანდარტების დონეზეა მოქანილი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არისტარხე ერთპიროვნული ხელისუფლების მატარებელია, ფაქტიურად მეფეა, რომელიც ახორციელებს სრულფასოვანი ვერცხლის მონეტების ემისიას[30]. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ არისტარხეს მიერ მოჭრილ მონეტაზე გამოსახულ მამაკაცის თავი, მართალია, პომპეუსის ზოგიერთი ნაკვთები აქვს, მაგრამ, ფაქტიურად, ეს არის ჰელიოსის თავი, შემკული სხივანა გვირგვინით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არისტარხე, ისევე როგორც კოლხეთის ადრინდელი მეფეები, ჰელიოსის — მზის ჩამომავლად იყო მიჩნეული.

მაგრამ, მეორე მხრივ, ფაქტია ისიც, რომ არისტარხეს ხელისუფლება მაინც შეზღუდული იყო რომის მიერ. ამაზე, გარდა ამისა, მიერ მისი კოლხების დინასტად მოხსენიებისა, მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ არისტარხეს სახელით მონეტა იჭრება მხოლოდ მისი მმართველობის მე-12 წელს და ისიც მეფის ტიტულის აღნიშვნის გარეშე. მაშინ, როდესაც რომისადმი ისეთივე ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ბოსფორის მეფე ფარნაკე მის მიერ მოჭრილ მონეტაზე „დიდ მეფედ" არის მოხსენიებული („ΒΑΣΙΛΕΩΣ ΜΕΓΑΛΟΥ ΦΑΡΝΑΚΟΥ")[31]. აღნიშნული გარემოება — არისტარხეს ხელისუფლების შეზღუდვა რომის მიერ უნდა აიხსნას კოლხეთში იმხანად, მეზობელ ვასალურ ქვეყნებთან შედარებით, განსხვავებულ ვითარების არსებობით.

კოლხეთში შექმნილი თავისებური ვითარება იმით იყო განპირობებული, რომ რომაელთა შემოსვლის წინა ხანაში აქ ერთიანი სამეფო ხელისუფლება აღარ არსებობდა და ქვეყანა ცალკეულ სკეპტუხებად იყო დანაწილებული.

ძველი სამეფო ხელისუფლება, შინაგანი დაქსაქსულობის პირობებში, თანდათან დასუსტდა და საგარეო ძალების ზემოქმედების შედეგად, მოისპო კიდეც. ძველი, ცენტრალური ხელისუფლების მოსპობის პირობებში, ხდება კოლხეთის ზოგიერთ დაწინაურებულ სკეპტუხთა პოლიტიკური გაძლიერება. ეს სკეპტუხები უკვე თვითონ იჩენენ მისწრაფებას მეფობისაკენ[32].

ამდენად, აღებული ხანის კოლხეთში არ არსებობდა არც ადგილობრივი ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლება, რომელსაც გამოიყენებდა რომი თავისი მიზნებისათვის (მსგავსად სომხეთის, ბოსფორის და სხვა მეფეებისა), და არც ისეთი ძალა, რომელსაც შეიძლობრივი ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლება, რომელსაც გამოიყენებდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ არისტარხე იყო ადგილობრივი ზედაფენის წარმომადგენელი, ერთ-ერთი სკეპტუხი ან დინასტი (სამეფო საგვარეულოს ერთ-ერთი წევრი), რომელიც რომმა გამოიყენა თავისი მიზნებისათვის. ამისთვის არისტარხეს მიებოძა კოლხეთის მმართველობა.

მაგრამ, როგორც მთელი ზემოთ მოტანილი საისტორიო და ნუმიზმატიკური მონაცემები მოწმობენ, ქვეყნის მმართველად არისტარხეს დანიშვნით რომმა მაინც ვერ უზრუნველყო მშვიდობა კოლხეთში (თავის სახელმწიფოს ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრებთან). კოლხეთი, განსაკუთრებით მისი შიდა რეგიონები, მაინც არასაიმედო დასაყრდენი აღმოჩნდა რომის რესპუბლიკისათვის, რომელიც აღებულ ხანაში მძიმე კრიზისს განიცდიდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ არისტარხემ ისარგებლა ამ კრიზისით და თანდათანობით განიმტკიცა თავისი მდგომარეობა კოლხეთში, რამაც, თითქოს, თავისი გამოხატულება პოვა მისი სახელით მონეტის მოჭრაში[33]. მაგრამ როგორც წერილობითი წყაროების (მათ შორის, განსაკუთრებით ციცერონის ოფიციალური წერილების) განხილვამ გვიჩვენა, ძვ. წ. 51 წლის ახლო ხანებში, ფაქტიურად, თვით რომს მოუხდა ზრუნვა მისი შესუსტებული პოზიციების განმტკიცებაზე აღმოსავლეთის ვასალურ ქვეყნებში, მათ შორის კოლხეთშიც, რის შემდეგ არისტარხეს ხელისუფლება კვლავ

---

[30] Г. Дундуа, დასახ. ნაშრ., გვ. 131—132.

[31] მ. ინაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

[32] მ. ინაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 97,

[33] გ. ლორთქიფანიძემ სპეციალურად გამოიკვლია არისტარხეს მონეტაზე გამოსახული ლეგენდა— 'ΑΡΙΣΤΆΡΧΟΥ ΤΟΥ 'ΕΠΙ ΚΟΛΧΊΔΟΣ. — მისი პირდაპირი თარგმანია „მონეტა არისტარხესი, რომელიც კოლხეთზეა". ამრიგად, არისტარხეს ტიტული, მონეტის ლეგენდის მიხედვით, არის „'ΕΠΙ ΚΟΛΧΊΔΟΣ", „ე. ი. ის არის პირი, რომელიც კოლხეთზე დგას", ანუ კოლხეთის მმართველია, იგულისხმება პომპეუსის წყალობით (Г. А. Лордкипанидзе. К истории древней Колхиды, с. 39).

თავის სტაბილურ მდგომარეობას დაუბრუნდა, საფიქრებელია, კიდევ უფრო შეზღუდული სახით. ამის მაჩვენებელია, ჩვენი აზრით, მის მონეტაზე იმის ხაზგასმით აღნიშვნა, რომ არისტარხე პომპეუსის მიერ კოლხეთის მმართველად არის დასმული, ე. ი. მისი ხელქვეითია და არ სრულუფლებიანი მეფე. ამით ოფიციალურად კვლავ დადასტურდა არისტარხეს ხელისუფლების რომისადმი დაქვემდებარება და მორჩილება[34].

აქვე საჭიროა შევეხოთ არისტარხეს დრაქმის მოჭრის ცენტრის საკითხს. მონეტის პირზე მოთავსებული ქალღმერთის გამოსახულების ატრიბუტების სიმბოლიკის კვლევა-ძიებიდან გამომდინარე, კ. ვ. გოლენკო ვარაუდობდა, რომ მონეტის ემისია განხორციელდა ისეთ ცენტრში, სადაც გავრცელებული იყო ბერძნული წარმოდგენები. ამავე დროს, ეს ცენტრი წარმოადგენდა მდინარის ნაპირთან მდებარე მნიშვნელოვან საქალაქო ორგანიზაციას, რომელიც დიდ როლს ასრულებდა არისტარხეს სახელმწიფოში (ანუ კოლხეთში). ასეთ ცენტრად კ. ვ. გოლენკო მიიჩნევდა ქალაქ ფასისს[35]. გ. დუნდუა მონეტის მოჭრის ცენტრის საკითხს ღიად ტოვებს[36]. ჩვენი აზრით, აღებული ხანის კოლხეთის ვასალურ სახელმწიფოში ასეთ პოლიტიკურ ცენტრად შეიძლება მივიჩნიოთ ქალაქი დიოსკურია, რომელიც, ამ გამაგრებული ადგილიდან მითრიდატეს განდევნის შემდეგ, რომის მთავარ დასაყრდენ ციხე-ქალაქად იქცა კოლხეთის სანაპიროზე. აღნიშნული ცენტრის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე (რომაელთათვის) ისიც მეტყველებს, რომ, უფრო მოგვიანებით, ავგუსტეს ბრძანებით, აქ საფუძველი ჩაეყარა დიდი ციხესიმაგრის მშენებლობას[37].

---

[34] ამდენად, სავსებით სწორი იყო კ. ვ. გ ო ლ ე ნ კ ო, როდესაც ამ მონეტის ემისიას რომის მიერ კოლხეთის მიმართ ჩატარებული პოლიტიკურ აქციის გამოხატულებად მიიჩნევდა (К. В. Г о л е н к о. დასახ. ნაშრ., გვ. 106—107).

[35] იქვე. გვ. 108—109.

[36] Г. Ф. Д у н д у а, დასახ. ნაშრ. გვ. 133.

[37] Plin., VI, 14.

თ ა ვ ი VI

ძველი კოლხეთის საზოგადოების კულტურა

ძვ. წ. VI—I სს-ის კოლხეთის საზოგადოების მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის კვლევისთვის მდიდარ მასალას გვაწვდიან დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილას მიკვლეული არქეოლოგიური ძეგლები, აქ გათხრილი სამაროვნები, ნაქალაქარები და ნამოსახლარები, სატაძრო ნაგებობანი და სხვ. სადღეისოდ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კოლხეთის მხატვრული ხელოსნობის დარგების განვითარების მაღალი დონისა და თავისებურებათა შესახებ. ეს სპეციფიკური ნიშნები განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ოქრომჭედლობაში (ოქროს ნივთების, სამკაულის დამზადება, საიუველირო ხელოსნობა), რომელიც ეყრდნობოდა ადგილობრივი ნედლეულის ბაზას, საზრდოობდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით.

სადღეისოდ ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგად, სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია ადრეანტიკური ხანის კოლხეთის საზოგადოების მატერიალური კულტურის სრული ერთიანობა (როგორც მთიან, ისე დაბლობ რეგიონებში). ამასთან, აღნიშნულია ისიც, რომ არქიტექტურა და საამშენებლო საქმე, კერამიკა, ბრინჯაოს ნაწარმი, საომარი და სამეურნეო იარაღი, ოქროსა და ვერცხლის სამკაული ქმნიან კოლხეთის მატერიალური კულტურის შემადგენელი კომპონენტების ტიპოლოგურ ერთგვაროვნებას, საერთო კოლხურ ტიპს[1].

კოლხეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ვანსა და საირხეში, მოპოვებული მეტალის ნაწარმი და მხატვრული ნაკეთობანი იმასაც

---

[1] О. Д. Л о р д к и п а н и д з е. Культура Грузии в античную эпоху. Колхида.—Очерки истории Грузии, Т. I, Тб., 1989, с. 462—465.

ნათელყოფენ, რომ ქვეყანაში არსებობდა არა მხოლოდ ერთიანი მხატვრული სტილი, არამედ ერთიანი იდეოლოგიაც, ერთიანი რწმენა-წარმოდგენები, ოფიციალური კულტები, რაც, გარკვეულწილად, გაპირობებული იყო ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობით, კოლხეთის საზოგადოების გაერთიანებით ერთ სახელმწიფოებრივ სისტემაში. მაგრამ ზემოთ განხილული მასალის კვლევა-ძიებამ დაგვარწმუნა, რომ მთავარი ძალა, რომელიც ახორციელებს, იცავს ამ საზოგადოების იდეოლოგიის, რელიგიური წარმოდგენების ერთიანობას, არის ტაძარი და მის სათავეში მდგომი თეოკრატიული ზედაფენა (უზენაესი კულტმსახურნი). ჩვენ ისიც შევნიშნეთ, რომ, ჯერ კიდევ წინაანტიკურ ხანაში, ტაძარი მნიშვნელოვანი მაორგანიზებელი ძალაა, რომელიც წარმართავს კოლხეთის საზოგადოების სულიერ ცხოვრებას. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება უზენაეს კულტმსახურთა როლი ადრეანტიკურ ხანაში, როდესაც ქვეყანაში იქმნება ძლიერი სატაძრო ორგანიზაციები განვითარებული ფორმებით, დაკანონებული ღვთისმსახურებით, რიტუალებით, რაც გამოიხატებოდა მკაცრად რეგლამენტირებულ დაკრძალვის წესებში, საკულტო კერებისა და სამლოცველოების, სარიტუალო ორმოებისა და საგანგებო მოედნების (ტრიზნების) მოწყობაში, მსხვერპლშეწირვის, საკრალური ცერემონიალებისა და სამარხი-აკლდამების გამართვაში[3]. ვანისა და საირხის მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარის, საკულტო დანიშნულების ნივთებისა და სამკაულის კვლევის საფუძველზე, წინა თავებში ჩვენ ღვთაელურად განვიხილეთ კოლხეთის ძველი საზოგადოების რელიგიური წარმოდგენები, ღვთაებათა პანთეონი, კულტები და კულტმსახურება.

კოლხეთის საზოგადოების სულიერი ცხოვრების კვლევაში, მდიდრულ სამარხებთან ერთად, ახალი სინათლე შეიძლება შეიტანოს ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილმა ბერძნულმა წარწერამ (რომლის შესახებ, ნაწილობრივ, უკვე გვქონდა საუბარი).

ვანის სატაძრო ცენტრში საკრალური ხასიათის საკანონმდებლო დადგენილების შემცველი სტელის დადგმა, თავისთავად, მრავლისმეტყველი ფაქტია. ამ წარწერით, უწინარეს ყოვლისა, დადასტურდა ვანისა და საირხის ზემოთ განხილული მდიდრული სამარხების კვლევა-ძიებით დახატული საინტერესო სურათი, რომლის მიხედვით ამ ცენტრების საზოგადოების სულიერი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი იყო ტაძრის ღვთისმსახურთა ზედაფენის — წარჩინებული ახალგაზრდა ქალებისა და მეომარი მამაკაცების — მონაწილეობა ნაყოფიერების ღვთაებისა და ციური მნათობებისადმი მიძღვნილ რთულ სარიტუალო ცერემონიალებში[4].

წარწერა მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ასეთი ხასიათის საკანონმდებლო დადგენილების გამოტანა ელინისტური ხანის ვანის სატაძრო კოლექტივის მიერ, იმ რიტუალური წესების ჩამოთვლით, რომლებსაც, სხვებთან ერთად, უნდა მისდიოს ამ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელმა, უდავოდ მოწმობს არქეოლოგიური მასალის საფუძველზე გამოთქმულ იმ მოსაზრებასაც, რომ ვანში, ისევე როგორც კოლხეთის სხვა მნიშვნელოვან ცენტრებში (საირხე), ძვ. წ. VI—IV სს. საკრალური წესები სრულდება მკაცრად განსაზღვრული ნორმების დაცვით, რომლებსაც მისდევდა როგორც უზენაესი ქურუმი, თავისი თანმხლები ღვთითშთაგონებული ქალებით და წარჩინებული მეომრებით, ისე ამ საზოგადოების ყველა სხვა წევრი. ხოლო წარწერაში საგანგებოდ აღნიშნა იმისა, რომ ისინი, ვინც მონაწილეობენ საკრალურ ცერემონიალში, უნდა იყვნენ განწმენდილნი საფლავთან მისვლამდე და მასთან შეხებისას (მასთან „შეხების შემთხვევაში“) და ეს შეეხება „მათაც“ (ვინც უთუოდ მონაწილეობს ამ რიტუალში) და „მათ ჩამომავლებსაც“, იმის დასტურიც არის, რომ ვანის სატაძრო საზოგადოებაში, ადრეელინისტურ ხანაშიც, გამორჩეული პატივით ეკიდებოდნენ წინაპართა საფლავებს[5]. ვფიქრობთ, ძნელია დაეჭვება იმაში, რომ აქ, სწორედ, იმ წმინდა საფლავებზეა საუბარი, სადაც ადრეანტიკურ ხანაში სრულდებოდა უზენაესი ქურუმი ქალებისა და მათი თანმხლები, მსხვერპლად შეწირული პერსონალის დაკრძალვის ცერემონიალები.

ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ მოწმობს წინა- და ადრეელინისტური ხანის ვანში (სურიში) ძველი რელიგიური ტრადიციების დამცველი თეოკრატიული საზოგადოებისა და მისი ზედაფენების არსე-

---

2 იქვე.

3 ვ. ინაძე. სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში. გვ. 44.

Дж. Ш. Надирадзе. Саирхе древнейший город Грузии (К истории восточной провинции Колхиды I тыс. до н. э.). Автореферат докт. дисс., Тб., 1991, с. 38—41.

4 ვ. ინაძე. სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, გვ. 44.

5 ვ. ინაძე. ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 60—63.

ბობას, რომელიც მყარად ინახავდა ძველთაგანვე ფესვგადმულ რწმენა-წარმოდგენებს და წინაპართა მიერ დადგენილ რიტუალურ წესებს.

ვანის საკანონმდებლო დადგენილება იმასაც გვაფიქრებინებს, რომ კოლხეთის ამ მთავარ სატაძრო ცენტრში, როგორც ადრეელინისტურ, ისე მის წინა ხანაშიც, არსებობდა რთული სარიტუალო წესების ჩაწერის საჭიროება, არსებობდა ასევე აუცილებლობა სატაძრო მიწებიდან შემოსული გადასახადებისა და შესაწირავების (ღვინის და სხვა პროდუქტის), ანდა კერძო პირთა (ვაჭართა) მიერ ხატისთვის გაღებული ფულადი თანხების აღრიცხვისა. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივი ჩანს დადგენილებაში საგანგებოდ იმ პუნქტის შეტანა, სადაც ლაპარაკია რაღაცის დათვლის შესახებ („ვინც ჩაურთავს და ვინც დათვლის, იანგარიშებს"). ამდენად, სავსებით დასაშვებად გვეჩვენება, რომ აღნიშნულ პუნქტში, სწორედ, ამ შესაწირავი პროდუქტის აღნუსხვაზე, ან შეწირული თანხის დათვლაზე იყოს ლაპარაკი. გარდა ამისა, ვანის სატაძრო ორგანიზაციის მიერ საგანგებო საკანონმდებლო წარწერის აღმართვა აგრეთვე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ვანის (სუფრის) კულტმსახურთა წრეში ამაზე ადრეც არსებობდა ასეთი ჩანაწერების გაკეთების ტრადიცია.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინების შემდეგ, სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ვანის ქვეყნის ერთ-ერთ დიდ დასახლებაში — დაბლაგომში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სამარხებად გამოყენებულ ქვევრებზე დატანილი ნიშნები.

უკანასკნელ ხანებში ჩვენთვის საინტერესო ნიშნების რაობის საკითხი სპეციალურად შეისწავლა ვ. ლიჩელმა. მანვე დაადგინა, რომ ამ ნიშნების დიდი ნაწილი კოლხეთშია აღმოჩენილი[6]. ამასთან, რაც განსაკუთრებთ საყურადღებოა, ყველაზე ადრე ნიშნები ჩნდება დაბლაგომში (ძვ. წ. IV ს-ის დასასრულს), ხოლო ძვ. წ. IV—III სს. — დაფნარსა და ვანის „ქვეყნის" მიმდებარე მიწაზე (სუფსა-ნატანების აუზი). დაბლაგომის ქვევრსამარხებზე დამოწმებულია 9 სახეობის ნიშანი, დაფნარში — 5, სუფსა-ნატანების აუზის ქვევრებზე — 6. ვ. ლიჩელი, ისევე როგორც სხვა მისი წინამორბედი მკვლევარნი, ამ ნიშნებს

6 ყველაზე ხშირად ეს ნიშნები გვხვდება ქვევრებზე, ამფორებზე და კრამიტებზე. მთელი ეს ნაწარმი ადგილობრივ არის დამზადებული. ნიშნები ჯერ კიდევ გამოწვამდეა დატანილი. ქვევრებზე ნიშნები გამოყვანილია მხარზე (ყელის ქვემოთ), ასევეა ამფორებზეც, ხოლო კრამიტებზე ნიშნები (კოლხეთსა და იბერიაში), როგორც წესი, გარე ზედაპირზეა დასმული (ვ. ლიჩელი, დაბლაგომური ასო-ნიშნები. — „მაცნე", № 4, თბ., 1989, გვ. 30—43).

ერ ჯგუფად ყოფს — ბერძნული ანბანის ნიშნები და გაურკვეველი ასო-ნიშნები. „გაურკვეველ" ნიშანთა ჯგუფში მას 18 ნიშანი აქვს შეტანილი[7]. ვ. ლიჩელმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტებზეც, რომ, მიუხედავად აღნიშნულ ნიშანთა გავრცელებისა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, თვალშისაცემია მათი მეტად შეზღუდული ოდენობა (სულ 18-ია), მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი დამღები მრავლად (რამდენიმე ათეული) არის აღმოჩენილი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გათხრილ, დაახლოებით ამავე ხანის ამფორებზე. აღნიშნული გარემოება საფუძველს აძლევს მკვლევარს იმისათვის, რათა დაბლაგომური ნიშნები დამღებად არ მიიჩნიოს[8].

მეორე მხრივ, გაურკვეველი ნიშნების რაობის დადგენის თვალსაზრისით, უთუოდ, ყურადღებას იქცევს ის საგულისხმო ფაქტი, რომ ნიშნები კრამიტზე დატანილია ზუსტად იმ ადგილას, სადაც, ჩვეულებრივ, ბერძნული ასოებია ხოლმე გამოყვანილი. ანალოგიურია მათი ფუნქციაც და რაოდენობაც (თითო ნიშანი). აქედან გამომდინარე, გამოითქვა ვარაუდი, რომ გაურკვეველი ჯგუფის ნიშნებიც ანბანის ასოებს წარმოადგენდა[9]. ამავე დროს, ვ. ლიჩელმა სცადა სხვადასხვა პერიოდის ძველ ანბანებში დაბლაგომური ნიშნების მსგავსი მოხაზულობის ასოების დაძებნა, რამაც მას საშუალება მისცა ეს ნიშნები, თავისი მოხაზულობით ასოებად მიეჩნია, ხოლო მათი ერთობლიობა გაეაზრებინა როგორც დამწერლობა[10]. ყველა ზემოთ მოტანილ ფაქტობრივ მონაცემზე დაყრდნობით, მკვლევარი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გაურკვეველი ნიშნების სახით საქმე გვაქვს დამწერლობასთან, სახელდობრ კი, აქამდე უცნობ ასოთა ერთობლიობასთან. აღინიშნა ისიც, რომ დაბლაგომური დამწერლობა აღმოცენებული უნდა იყოს ძველი სემიტური დამწერლობის ერთ-ერთი განშტოებიდან და განვითარებულია რამდენადმე დამოუკიდებელი გზით; იგი ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარში სამხრეთიდან მოსული და ჯერ კოლხეთში, შემდეგ კი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებული რომელიმე ქართველური ტომის მოტანილი უნდა იყოს[11].

7 ვ. ლ ი ჩ ე ლ ი. დასახ. ნაშრომი.

8 იქვე.

9 იქვე.

10 იქვე.

11 თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი დამწერლობის ამ სახეობის გაჩენას კოლხეთში მაინცდამაინც მესხურ ტომთა მოსვლას არ მიაწერს

რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას ამ ნიშნების კვლევა-ძიებისა და მისი შედეგებისადმი.

უპირველეს ყოვლისა, აშკარაა, რომ მკვლევრის მიერ გაურკვეველ ნიშანთა ჯგუფში შეტანილი რამდენიმე ასო-ნიშანი (სახელდობრ, A, N, Π, Z) ახლო მსგავსებას ავლენს ბერძნულ ასოებთან; ამდენად, მათი შეტანა „გაურკვეველ“ ნიშანთა ჯგუფში ჩვენ გაუმართლებლად გვეჩვენება. ასევე უსაფუძვლოა ამ ჯგუფში ისეთი ნიშნების შეტანა, რომლებიც ბერძნული წარმოების ამფორებზეც გვხვდება (ასეთებია სვასტიკა, ჯვარი, ისარი). რაც შეეხება „გაურკვეველი“ ჯგუფის დანარჩენ ნიშნებს, ისინი, თავისი მოხაზულობით, მართლაც შეიძლება არაბერძნულ ასო-ნიშნებად მივიჩნიოთ, თუმცა ვ. ლიჩელის მიერ დადგენილი მათი მსგავსება სამხრეთ არაბული (ლიხიანი, საფაი), ძველ სემიტური, სირიულ-პალესტინური დამწერლობის ასოებთან სპეციალისტთა კრიტიკულ შეფასებას და შემდგომ საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ ვ. ლიჩელის კვლევის მეთოდში და მის მიერ მიღებულ დასკვნებში ჩვენ ბევრი რამ სადავოდ გვეჩვენება, მაინც, ვფიქრობთ, რომ სავსებით აშკარაა გაურკვეველი ჯგუფის ცალკეული არაბერძნული ასო-ნიშნის მსგავსება საზოგადოდ ანბანური დამწერლობის ასოებთან, რაც დასაშვებს ხდის ამ ნიშნებში, მართლაც, დავინახოთ ასოები (ან ასო-ნიშნები).

გარდა ამისა, უთუოდ, ფრიად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ყველაზე ადრეული ასო-ნიშნები დადასტურებულია დაბლაგომში აღმოჩენილ ქვევრებზე, რომლებიც სამარხებად გამოიყენებოდა. საყურადღებოა ის დაკვირვებაც, რომ სწორედ დაბლაგომური ქვევრსამარხების ნიშნები იჩენენ გარეგნულ მსგავსებას ზემოდასახელებული ანბანების ცალკეულ ასოებთან. ამ ფაქტების დადგენას, დაბლაგომსა და კოლხეთის სხვა ადგილებში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს დაბლაგომური ნიშნების წარმომავლობისა და მათი თავდაპირველი ფუნქციის გარკვევისათვის.

ამ საკითხის კვლევა მჭიდროდ არის ასევე დაკავშირებული კოლხეთში, პირველად ვანის ქვეყანაში (დაბლაგომი), მიცვალებულთა ქვევრებში დაკრძალვის წესის გაჩენასთან.

ორი გარემოების გამო: პირველი — ჯერ კიდევ დასაბუთებას მოითხოვს თვით ქვევრსამარხების მესხებთან დაკავშირება და მეორეც — არ ვიცით, ჰქონდათ თუ არა საერთოდ დამწერლობა მესხებს (ვ. ლიჩელი. დასახ. ნაშრომი).

კოლხეთის ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებში მოპოვებული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების შესწავლის შედეგებმა, სახელდობრ კი, იმ გარემოებამ, რომ მოსახლეობა სამარხებად იყენებდა ქვევრებს, რომელთაც სარიტუალო დანიშნულება ჰქონდათ და ეს ქვევრები საგანგებოდ მზადდებოდა ღვთაებისათვის აღთქმული ღვინის — ზედაშეს — შესანახად, ხოლო შემდგომში გამოიყენებოდა გარდაცვლილი მევენახის სამარხად[12], ჩვენ დაგვარწმუნა ადრე გამოთქმული მოსაზრების სისწორეში. კერძოდ (როგორ ზემოთ, III თავშიც ითქვა), ჩვენი ამ მოსაზრების თანახმად, ქვევრში დაკრძალვის იდეა, უთუოდ, პირველად ჩაისახა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დიდი სატაძრო ცენტრების, მათ შორის ვანის საკულტო ცენტრის მიწებზე მსხდომ იმ საზოგადოებაში, რომელიც თვითონ აყენებდა ნაყოფიერების ღვთაებისათვის აღთქმულ ღვინოს — ზედაშეს, ინახავდა მას საგანგებოდ დამზადებულ, სარიტუალო დანიშნულების ქვევრებში და შემდეგ მონაწილეობდა ღვთაებისათვის ამ წმინდა სასმელის შეწირვის ცერემონიალში. სავსებით ბუნებრივია, ღვთაების მსახურებაში მყოფი ამ მევენახე-მეთემის გარდაცვალების შეთხვევაშიც საკულტო რიტუალთან დაკავშირებული ეს ქვევრები გამოეყენებინათ დაკრძალვის რიტუალის შესრულების დროსაც როგორც სამარხი. ამის შესანიშნავ ილუსტრაციას წარმოადგენს დაბლაგომის, დაფნარის, წიფნარის და სხვა ქვევრებზე გამოყვანილი, საკმაოდ მრავალფეროვანი გამოსახულებებისა და ნიშნების სიმბოლიკა. პირობით ეს გამოსახულებანი შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს: 1. სოლარული ნიშნები (სვასტიკები და ირიბი ჯვრები), 2. ცხოველთა რქების სტილიზებული გამოსახულებანი, 3. ადამიანების (ღვთაებების), ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებანი. როგორც ფიქრობენ, სოლარული ნიშნის — სვასტიკის — გამოყვანა ქვევრზე ნაყოფიერების იდეასთან იყო დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მგელძაღლის, ცხენის, ასევე მამლების გამოსახულებაც დაბლაგომის და წიფნარის ქვევრსამარხებზე. მამალი, ერთი მხრივ, მზის ფრინველია, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული ეთნოგრაფიული მასალებით, მჭიდროდ ჩანს დაკავშირებული ნაყოფიერების კულტთან.

12 ნ. ვაშაკიძე, გ. ლორთქიფანიძე. კოლხური ქვევრი. — სდსძ. V. 1976, გვ 100—105.

აქედან დაასკვნიან, რომ სვასტიკისა და მამლების გამოსახულების კოლხურ ქვევრებზე გარკვეული მაგიური დანიშნულება ჰქონდა[13].

ამრიგად, მთელი ზემოთ მოტანილი მასალა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დაბლაგომის ქვევრსამარხებზე ასო-ნიშნების დასმას, ისევე როგორც ამ ქვევრებზე გამოსახულების მოთავსებას, გარკვეული საკრალურ-სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა.

დაბლაგომის ქვევრსამარხებზე დასმული ასო-ნიშნების თავდაპირველ საკრალურ მნიშვნელობას და მათში გარკვეული მაგიური შინაარსის ჩადებას უნდა მოწმობდეს ერთ-ერთ ქვევრსამარხში აღმოჩენილი, ხელით ნაძერწი და გამოუწვავი დოქი, რომელზედაც სამი ნიშანია შემორჩენილი. როგორც ვარაუდობენ, დაბლაგომის წარწერიანი დოქი სახელდახელოდ, მიცვალებულისათვის სამარხში ჩასატანებლად უნდა იყოს დამზადებული, ხოლო ამ დოქზე ამოკაწრული ასო-ნიშნები ღვთაების სახელს უნდა აღნიშნავდეს[14] (ჩემი აზრით, ასო-ნიშნებად შეიძლება მივიჩნიოთ მეორე და მესამე ნიშანი, ხოლო პირველი, უდავოდ, სვასტიკაა, სოლარული ნიშანია).

სამარხებად გამოყენებულ ქვევრებზე ასოების დატანის მაგიურ დანიშნულებაზე უნდა მეტყველებდეს ჩოხატაურის რაიონის სოფ. ზემოფარცხმის სამაროვანზე აღმოჩენილ სამარხად გამოყენებულ ქვევრზე, გ-ის მსგავს ნიშანთან ერთად, გამოხატული ადამიანის თავის გამოსახულება, რომელიც ნაყოფიერებასთან დაკავშირებულ ღვთაებად არის მიჩნეული. აქვეა ცხენის გამოსახულებაც, რომელიც ასევე მზის კულტს უკავშირდება[15].

ამრიგად, მთელი ზემოთ მოტანილი მასალა ნათელყოფს, რომ ქვევრზე დატანილი ასოების წარმომავლობის, მათი რაობის დადგენის, ისევე როგორც მიცვალებულის ქვევრში დაკრძალვის წესის წარმოქმნის კვლევისთვის, უთუოდ, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ერთიც და მეორეც (ე. ი. ასოებიც და ქვევრსამარხებიც) თავდაპირველად ჩნდებიან ვანის ქვეყანაში, კოლხეთის იმ მთავარი სატაძრო ცენტრის მიწაზე, რომელიც წარმართავდა მის გარშემო შემოკრებილი საზოგადოების სულიერ ცხოვრებას. ამიტომ სავსებით ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ დაბლაგომის ქვევრსამარხებზე დასმული ეს საკრალური ნიშნები შექმნილია ვანის ტაძრის

13 ნ. ვაშაკიძე, გ. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 100—105.
14 იქვე, გვ. 105.
15 იქვე; ვ. ლიჩელი, დასახ. ნაშრ., გვ. 42, შენ. 83.

კულტმსახურთა წრეში. ასეთი ასო-ნიშნების შექმნას, უთუოდ, განაპირობებდა ვანის სატაძრო ცენტრში არსებული, არქეოლოგიურად დადასტურებული რთული სარიტუალო წესების და ნორმების ფიქსირების საჭიროება საკრალური ჩანაწერების სახით, სატაძრო კოლექტივის და რიგით მეთემეთა მონაწილეობა საკულტო რიტუალებში (მაგალითად, ღვთისათვის ღვინის, ან სხვა პროდუქტის შეწირვა და მისი აღნუსხვა). დაბლაგომის ქვევრსამარხების მიხედვით ჩანს, რომ ამ ასო-ნიშნებს საზოგადოების საშუალო და დაბალი ფენებიც ხმარობდნენ და ისინი მათთვის სავსებით გასაგები და ხელმისაწვდომი იყო. ვფიქრობთ, ამ ნიშნებს, მაგიურ დანიშნულებასთან ერთად, თავიდანვე რიცხვითი მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდათ, რადგან მომდევნო ხანაში ხელოსნები მათ, მეტწილად, სწორედ, რიცხვით მაჩვენებლად იყენებდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ძვ. წ. VI—V სს-ის კოლხეთში ადგილობრივი დამწერლობის ჩასახვისათვის აუცილებელი ყველა პირობა არსებობდა, რაზედაც პირდაპირ მიგვანიშნებს ქვეყნის რამდენიმე ადგილას (ვანი, საირხე) სატაძრო ორგანიზაციის განვითარებული ფორმების, ერთნაირი საკულტო-სარიტუალო წესების რთული სისტემის არსებობა და ასევე, არსებობა ქურუმთა ზედაფენისა, რომლის წრეშიც შეიძლებოდა შექმნილიყო ასეთი ასო-ნიშნები.

ზემოთ მოხმობილი მონაცემების განხილვასთან დაკავშირებით, სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს ბერძენი ავტორის, ძვ. წ. III ს-ის ალექსანდრიელი პოეტის აპოლონიოს როდოსელის პოემის — „არგონავტიკის“ — მე-4 თავში დაცული ფრიად საგულისხმო ცნობა — ძველად კოლხეთში „კვირბების“ სახით დამწერლობის არსებობის შესახებ.

აპოლონიოს როდოსელი გვაუწყებს, რომ კოლხებს „შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“ (4, 279—281)[16].

მოტანილი ცნობის საფუძველზე, სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია შენიშნულია, რომ აპოლონიოსის მიერ დაცული ცნობა კოლხთა კვირბების თაობაზე ნდობას იმსახურებს, იგი რეალური ვითარების ამსახველი ცნობაა და კოლხურ საზოგადოებაში უძველესი ხანიდან არსებულ დამწერლობაზე მეტყველებს[17].

16 აკ. ურუშაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 151—152.
17 იქვე, გვ. 151—165.

აღინიშნა ისიც, რომ კოლხებს ჰქონდათ ძველისძველი წერილობითი ძეგლები („მამათაგან ნაწერი") სამანძილო კვირბების სახით. ამ რიგად, აპოლონიოსის მიხედვით, კვირბებს კარტოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონიათ და კოლხები მათ პრაქტიკული მიზნით იყენებდნენ. მოგზაურთათვის კვირბებზე აღნიშნავდნენ წყლისა და ხმელეთის, გზებისა და საზღვრების მდებარეობას. მაგრამ აქვე, უთუოდ, უნდა გავიხსენოთ კვირბების ის განმარტება, რომელსაც აპოლონიოს როდოსელზე ადრინდელი ბერძენი ავტორები გვამცნობენ. ამათგან აღსანიშნავია ანტიკური სამოსამართლო რიტორიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ორატორ ლისიას (დაახ. 458—380 ძვ. წწ.) განმარტება, რომლის თანახმადაც, კვირბები სასულიერო წარწერების შემცველი ძეგლებია. იგი აღნიშნავს: „მსხვერპლშეწირვები კვირბებისა და სვეტების თანახმად". აქედან ნათელია, რომ კვირბები ისეთ ფირფიტებს წარმოადგენდნენ, რომლებზე გაკეთებული წარწერის მიხედვით მსხვერპლშეწირვის წესებს ასრულებდნენ.

არანაკლები მნიშვნელობის ანალოგიური ცნობა აქვს დაცულ პლუტარქესაც, რომელიც, ჩვეულებრივ, ძველ წყაროებს ემყარება. იგი წერს: „ზოგიერთები ამბობენ, რომ კვირბები ეწოდებოდათ ის (დაფებს), რომლებიც ღვთისმსახურებასა და მსხვერპლშეწირვებთან დაკავშირებულ წესებს შეიცავდნენ[18].

ჩვენთვის ძალზე საყურადღებოა, აგრეთვე, ძვ. წ. IV ს-ის ისტორიკოსის თეოპომპე ქიოსელის დაკარგული თეოლოგიური თხზულების — „ღვთისმოშიშრობისათვის" — ფრაგმენტში მოცემული განმარტება კვირბებისა. „კვირბები სპილენძისა იყო და არა რაიმე ხისაგან, ისინი გამოიგონეს კორიბანტებმა, საიდანაც კვირბები შეერქვათ"[19].

ზემოთ მოტანილი გადმოცემებისა და ბერძნულ მწერლობაში დაცულ სხვა ცნობათა მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად კვირბები ეწოდებოდათ მხოლოდ სასულიერო, საკრალური ხასიათის წარწერებს, უფრო გვიან კი — ყველა საზოგადო სამართალ და კანონს. შედარებით გვიანდელ ხანაში კოლხურ კვირბებს უნდა მიეღოთ კარტოგრაფიული მნიშვნელობაც (აპოლონიოს როდოსელი და მისი სქოლიასტი).

---

18 პ ლ უ ტ ა რ ქ ე. რჩეული პარალელური ბიოგრაფიები. თარგ. აკ. ურ უ შ ა ძ ი ს ა. თბ., 1957, გვ. 57, 301.

19 აკ. ურ უ შ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი. 156 (იხ. F. Jacoby, FHG, II B., Berlin, 1927, 526—617; აგრეთვე, FHG, I, 278, IV. 643 შდ.).

ყველა ამ წერილობითი ცნობის განხილვამ, ჯერ კიდევ ვანისა და სირხის არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და ვანის ბერძნული წარწერის აღმოჩენამდე, მკვლევარნი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ კოლხური დამწერლობა კვირბების ანუ საკრალური ჩანაწერების სახით ქურუმთა წრეში უნდა გაჩენილიყო და წერის ხელოვნებას კოლხეთში, ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, უძველესი ხანიდან ქურუმთა კოლეგიები მეთაურობდნენ[20].

კოლხეთის წიაღში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის კვლევა-ძიების შუქზე, ზემოთ მოტანილი მოსაზრებანი მეტ დამაჯერებლობას იღებენ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ, რეალურ მინაარსს იღებენ, აგრეთვე, ძველ ბერძენ ავტორთა (თეოპომპეს, აპოლოდორეს, თეოფრასტეს) ის საყურადღებო გადმოცემებიც, რომელთა თანახმად, წმინდა წარწერები — კვირბები — გამოიგონეს კორიბანტებმა. თვით კორიბანტები კი (ზოგიერთი ავტორის ცნობით), კოლხთაგანნი იყვნენ (ე. ი. კოლხებისაგან იყვნენ წარმომდგარნი). მოტანილი ცნობები საგანგებო ყურადღების ღირსია იმ თვალსაზრისით, რომ კორიბანტები ძველ მცირეაზიულ და ბერძნულ სამყაროში მიჩნეული იყვნენ ნაყოფიერების, ბუნების მფარველი ღვთაების — კიბელეს — შეიარაღებულ მცველებად და, ამავე დროს, მის ქურუმებად[21].

ბერძნულმა მწერლობამ შემოგვინახა არაერთი საყურადღებო გადმოცემა მცირეაზიული ღმერთების დედის კიბელესადმი (იმავე იდესადმი) მიძღვნილი საკულტო სადღესასწაულო ცერემონიალებში კორიბანტ ქურუმ-მეომართა მონაწილეობის შესახებ. ზოგიერთი ძველი ბერძენი ავტორის მიერ კორიბანტების ანუ ნაყოფიერების ღვთაების მეომარი-ქურუმების კოლხებთან დაკავშირება, ამასთან, მათი კვირბების, ანუ საკრალური წარწერების გამომგონებლად დახატვა, თავისთავად, ფრიად მნიშვნელოვანი გვეჩვენება, რადგან, თუ ყველა ამ მონაცემს, რომელთაც კოლხებისა და მათი კულტურული სამყაროსაკენ მივყავართ, არქეოლოგიური მასალის კვლევა-ძიების შუქზე განვიხილავთ, ბევრი რამ ამ გადმოცემებიდან სავსებით რეალური სინამდვილის ანარეკლად წარმოგვიდგება. გავიხსენოთ თუნდაც ზემოთ მოტანილი არქეოლოგიური ფაქტები წარჩინებული მეომრების დაკრ-

---

20 აკ. ურ უ შ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 156, 157; რ. პ ა ტ ა რ ი ძ ე, ქართული ასომთავრული, თბ. 1980, გვ. 382.

21 s t r a b o. X, 2, 19—20.

ძალვისა ნაყოფიერების ღვთაებათა ქანდაკებების ახლოს, ან ... რანგის მეომრის ქურუმი ქალისა და რკინის ღვთაების გვერდით (... ნი), წარჩინებული ახალგაზრდა მეომრების მონაწილეობა უზენაეს ... ქურუმისა და მისი თანმხლები პირების დაკრძალვის რიტუალში (... ირხე). ყველაფერი ეს ადასტურებს, რომ ბერძნებს სავსებით რეალური წარმოდგენები ჰქონდათ ძველი კოლხეთის საზოგადოების სულიერი ცხოვრების, მის რწმენებსა და საკრალურ რიტუალებზე, რომელთაც, ჩანს, ბევრი რამ ჰქონდა საერთო მცირეაზიული ნაყოფიერების ღვთაების — კიბელე-იდეს — კულტსა და მისადმი გამართულ ცერემონიალებთან.

აღნიშნული გარემოება მაუწყებელია კოლხეთის საზოგადოებასა და ბერძნულ-მცირეაზიულ სამყაროს შორის უძველესი ხანიდან არსებული მჭიდრო კულტურული კონტაქტებისა. გარდა ამისა, საირხის დაკავშირება მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსთან მდებარე მთა იდესთან და მისთვის ამ სახელწოდების შერქმევა (ფრიქსოპოლისის პარალელურად) სვამს საკითხს იმ ცენტრების შესახებ, საიდანაც უნდა მოსულიყვნენ ყვირილის ხეობაში იდეს და ფრიქსოპოლისის სახელების მომტანი ბერძნები. ამასთან ერთად, დგება საირხეში მათი შემოღწევის დროის საკითხი. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ კოლხეთის ამ შორეულ მხარეში მცირეაზიელ ბერძენთა შემოსვლა, შემოღწევას თავისი რეალური საფუძველი ჰქონდა (როგორც ამას ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავდა არგონავტთა ლაშქრობასთან დაკავშირებით). კერძოდ, ჩანს, ყვირილის ხეობა, ისევე როგორც შორეული ესპანეთის იბერია, ადრიდანვე იზიდავდა ბერძნებს ძვირფასი და ფერადი ლითონით, რკინის ფართო წარმოებით. როგორც დადგენილია, სალითონე საქმე ამ ხეობაში ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში დაწყებულა, ხოლო წინარე ანტიკურ ხანაში, მთელი ეს მხარე, განსაკუთრებით კი საირხის მიმდებარე ტერიტორია, მთლიანად იფარება რკინის წარმოების მძლავრი კერებით[22].

როგორც ვარაუდობენ, კოლხეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაუფლებისადმი ინტერესი ბერძნებს ჯერ კიდევ მიკენურ ხანაში გასჩენიათ. ამ მიზნით, აქეველები შორეულ მოგზაურობებს აწყობდნენ სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის სანაპიროსკენ[23]. მაგრამ რეალური პირობები მდ. რიონ-ფასისის ჩრდილოეთით მიმდებარე მთიანი მხარის რესურსების ათვისებისათვის იქმნება უფრო გვიან. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ფრიქსეს სახელი კოლხეთში ვრცელდება მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, იდეს მთასთან მდებარე ეოლიიდან, რომელზე დაყრდნობით, ადრეულ ხანაში, ფრიქსეს მშობლიური ქალაქი ორქომენი (ბეოტია) და თესალიის ქალაქი იოლკოსი (იასონის სამშობლო) სავაჭრო ურთიერთობას ახორციელებდნენ მცირე აზიის სანაპიროებთან. ამის მოწმობად მკვლევარნი მიიჩნევენ მიკენური კერამიკის აღმოჩენას ცენტრალურ ანატოლიაში[24]. საბერძნეთიდან მოსულ ზღვაოსანთა ინტერესს ამ რეგიონისადმი თავიდანვე განაპირობებდა მისი სიმდიდრე წიაღისეულით (სპილენძი, ვერცხლი, ოქრო, რკინა).

ადრეულ ხანაში, ბეოტიელთა ექსპანსიის შესახებ მცირე აზიის სანაპიროებისკენ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს სტრაბონიც. დიდი გეოგრაფოსი მოგვითხრობს, რომ ბეოტიელთა პირველი ლაშქრობა აზიაში, ეოლიელთა ფლოტის დახმარებით, ჯერ კიდევ აგამემნონის შვილმა, ორესტმა წამოიწყო, ხოლო მისი სიკვდილის მერე (ტროას ომიდან 60 წლის შემდეგ), მისმა შვილებმა და შვილიშვილებმა, ეოლიელებთან ერთად, განაგრძეს მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთი სანაპიროების დასახლება. ამავე სტრაბონის ცნობის თანახმად, ორესტის ძემ, პენფილემ და მისმა თანამგზავრებმა, სხვა ბეოტიელებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ეოლიელთა კოლონიების დაარსებაში მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, და ამით ხელი შეუწყვეს მათ დამკვიდრებას შავი ზღვის მისადგომებთან, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავდა ძველ ტროას ქვეყანას მდ. ჰერმემდე (Strabo, IX, 2, 5; XIII, 1; 3; 4). ამიერიდან ეოლიელებმა (იონიელებზე ოთხი თაობით და, შესაძლებელია, უფრო ადრეც), ფართოდ გაშალეს თავისი საკოლონიზაციო საქმიანობა შორეულ ქვეყნებში (XIII, 1, 3), რაც, უპირველესად, ლითონის მოპოვებას ისახავდა მიზნად. როგორც ჩანს, მათ კარგად გამოიყენეს მახლობლად მდებარე

---

22 ჯ. ნაღირაძე. საირხე.., გვ 18, 19,

23 იხ. თ. მიქელაძე. ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის. — საქართველოს მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ, მოამბე, II. 1960, გვ 165—168.

24 უკანასკნელ ხანებში თურქმა არქეოლოგმა თ. იოზგუჩმა მდ. იეშილ-ირმაკის ხეობაში მდებარე ძველ მაშათში გამოაღწინა გვიანჰელადური III-ის ბოლოდროინდელი ... კერამიკა, რითაც ნაწილობრივ მაინც მისაღები გახადა ძველი სამსუნში (ამისოში) ადრიდანვე მოპოვებული თანადროული მასალა (М. И. Максимова. Античные города..., с. 41). იხ. გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის. თბ., 1985, გვ. 32, 33.

შავი ზღვის მისადგომები ლითონით მდიდარი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ასათვისებლადაც. აქ, დღ. სამსუნის ტერიტორიაზე, მათ მიერ დაარსებულ იქნა ქალაქი ამისო[25]. ვფიქრობთ, ქ. ამისო იყო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ის უძველესი ცენტრი, რომლის მეშვეობით ეგეოსურ-მცირეაზიული სამყაროდან მოსული ეოლიელები (და ფოკეელი) ზღვაოსნები საგაჭრო-კულტურულ კავშირებს აბამდნენ კოლხეთის ლითონით მდიდარ შიდა მთიან რეგიონებთანაც (რაჭა-ლეჩხუმი, ყვირილის ხეობა, სვანეთი).

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ეოლიურ-თესალიური გავლენის უტყუარ მანიშნებლად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე სინოპეში დაცული ტრადიცია და ანტიკურ მწერლობაში შემონახული ცნობები, რომელნიც ამ ქალაქის დაარსებას მიაწერედნენ თესალიელ ავტოლიკეს და მის თანამოლაშქრეებს[26]. ძვ. წ. VIII ს-დან სინოპე ხდება შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე უმნიშვნელოვანესი ცენტრი[27], რომელზე დაყრდნობით მცირე აზიიდან მოსულ ეოლიელ ზღვაოსნებს თამამად შეეძლოთ კოლხეთის შიდა რეგიონებში შეღწევა.

ზემოაღნიშნული გარემოება საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ეოლიელ ზღვაოსანთა მნიშვნელოვან როლზე არგონავტთა თქმულებასთან დაკავშირებულ გმირთა — ფრიქსეს, იასონის, ავტოლიკეს — სახელების შემოტანა-დამკვიდრებაში შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე, საიდანაც თქმულებები ამ გმირთა მოღვაწეობის შესახებ ფართოდ ვრცელდება კოლხეთში და ქვეყნის შიდა რეგიონებს აღწევს.

ამრიგად, საირხის ძველ სახელწოდებაში — ფრიქსოპოლისი — დასავლურ-მცირეაზიული სამყაროს კოლხეთთან ურთიერთობის ის პერიოდი უნდა იყოს ასახული, როდესაც, ეოლიელ ბერძენთა საზღვაო-სავაჭრო მიმოსვლის წყალობით, შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე ფართოდ გავრცელდა ბეოტიურ-თესალიური თქმულებები ფრიქსეს და არგონავტთა ლაშქრობის გმირთა შესახებ.

[25] М. И. Максимова. დასახ. ნაშრომი, გვ. 53—65.

[26] Ps.—Scym., Peripl., 941 — 952: Strabo, XII, 3, 11; Plut., Luc., 23, App., Mithr, 83. სინოპეში არსებობდა ავტოლიკეს კულტი და მისი სახელობის ოლიმპია (იხ. М. И. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 42).

[27] Н. Б. Брашинский. Синопа и Колхида.—Во просы древней истории. IV. Тб., с. 156—170.

ჩვენი ამ მოსაზრების სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ ამავე პერიოდში ხდება ეოლიურ-იონიურ სამყაროში ფრიქსეს თავგადასავლისა და არგონავტთა ლაშქრობის ამსახველი ბეოტიურ-თესალიური თქმულებების ლიტერატურული გადამუშავება, რომლის დროსაც უნდა შექმნილიყო ვერსიები და გადმოცემები ამ გმირთა საქმიანობის — სალოცავების, ტაძრების, სამისნოების დაარსების თაობაზე სინოპესა და მის მახლობლად მდებარე სანაპიროზე, ასევე კოლხეთში: ფასისის შესართავში, მოსხიკეში, კოლხეთისა და იბერიის საზღვარზე და სხვ.

საფიქრებელია, ამავე დროს შეიქმნა ეოლიურ სამყაროში ვერსია ფრიქსეს მამის, ორქომენის მეფე ათამანტის ეოლოსისგან წარმომავლობის შესახებ[28] (რითაც ფრიქსე წარმოშობით ეოლიელებთან იქნა დაკავშირებული).

რაც შეეხება სახელწოდება იდეესას, ვფიქრობთ, ეს სახელი საირხის საკულტო-საქალაქო ცენტრს შეერქვა უფრო მოგვიანებით (ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებიდან), როდესაც ათენმა თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა გაავრცელა ჩრდილო-დასავლეთ მცირე აზიის სანაპიროზე (იდეს ოლქზე), დაეუფლა შავ ზღვაში შემოსასვლელ სრუტეებს და დომინირებული მდგომარეობა მოიპოვა მთელ შავიზღვისპირეთთან, კერძოდ კოლხეთთან, ვაჭრობაში. არქეოლოგიური გათხრებით დადგენილია, რომ ამ ხანაში ათენელი ვაჭრები მჭიდრო კავშირს ამყარებენ ყვირილის ხეობის, სახელდობრ, საირხის მოსახლეობასთანაც.

როგორც ზემოთ ითქვა, საირხისათვის მცირეაზიული ღვთაების — იდეს სახელწოდების შერქმევა უნდა გამოეწვია იმ მსგავსებას, რომელიც არსებობდა საირხის ნაყოფიერების ღვთაებასა და მცირეაზიელი იდეს კულტებსა და მათდამი მიძღვნილ საკრალურ რიტუალებს შორის. სწორედ ამ ხანაში შეინიშნება საირხეში, საბადურის გორაზე ნაყოფიერების ღვთაებისათვის განკუთვნილი დიდი საკულტო რიტუალების შესრულება. ამავე ხანას ემთხვევა აქ რკინის წარმოების გაფართოება, რაც, უთუოდ, უკავშირდება ათენელ ზღვაოსანთა მიერ აქედან შავი და ფერადი ლითონის დიდი რაოდენობით გატანას.

დასავლეთ მცირეაზიულ-ბერძნულ სამყაროსთან შიდა კოლხეთის ცენტრების ამ უძველესი კონტაქტების ფონზე, სრულიად განსაკუთ-

[28] Her., VII, 197.

რებულ მნიშვნელობას იღებს საირხესა (საბადურის გორა) და ეანში გამოლენილი, ძვ. წ. V—IV სს-მდიდრული სამარხები, რომელთა კვლევა-ძიებით დადასტურდა უზენაეს ქურუმ ქალთა დაკრძალვის დროს წარჩინებულ ახალგაზრდა ქალთა ნებაყოფლობით მსხვერპლად შეწირვა ნაყოფიერების ღვთაებისათვის[29], ამ ჟამად აღნიშნულ ფაქტში საგულისხმო ის არის, რომ ანალოგიური წესი, უფლისწულთა და წარჩინებულ ქალთა მსხვერპლად შეწირვისა, ბერძნული სამყაროდან მომდინარე მონაცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით, დამოწმებულია მხოლოდ ფრიქსეს სამშობლო ბეოტიის ქალაქ ორქომენში. ბეოტიის მეფე ათამანტი თავის ვაჟს ფრიქსეს, სწორედ, მოსავლიანობისათვის უპირებდა მსხვერპლად შეწირვას. ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ნაყოფიერების ღვთაებისთვის ახალგაზრდა წარჩინებულ ქალთა ყოველწლიურად მსხვერპლად შეწირვის წესი ორქომენში, გადმონაშთის სახით, არსებობდა ახ. წ. პირველ საუკუნეებშიც[30].

ბეოტიელ და თესალიელ ბერძენთა და შიდა კოლხეთის მოსახლეობას შორის ოდითგანვე გარკვეული კონტაქტების არსებობის ნათელი დადასტურებაა ძვ. წ. VIII ს-ის ბეოტიელი ეპიკური პოეტის ჰესიოდეს მიერ ძველი მსოფლიოს უდიდეს მდინარეთა შორის, ფაზისთან ერთად, მდ. რესოსის მოხსენიება[31]. ამ მდინარეს, რომლის სახელწოდება ძვ. წ. IV ს-ის ავტორს ფსევდო-სკილაქსსაც აქვს დამოწმებული თავის „პერიპლუსში“ (fr. 81), მკვლევარნი აიგივებენ რიონის ზემო წელთან[32]. აღნიშნული გარემოება იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ძველ ბერძნულ სამყაროში (სახელდობრ, კი ბეოტიაში), უკვე ამ ხანაში, კარგად იცნობდნენ შიდა კოლხეთის ლითონით მდიდარ მხარეებს (რაჭა, ყვირილის ხეობა).

შიდა კოლხეთის საზოგადოების ბერძნულ სამყაროსთან იონიურ კოლონიზაციამდელ ხანაში არსებული ურთიერთობებით შეიძლება აიხსნას საირხის უძველესი საკულტო ცენტრის ტერიტორიაზე (ადგილ ლომინაურში), ადრეანტიკური ხანის სხვა ძეგლებთან ერთად, დორიული კაპიტელების აღმოჩენა. დორიული ორდერის კაპიტელები,

---

29 მ. ი ნ ა ძ ე. სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში. გვ 45—51,

30 Plut., Luc., 23.

31 ჰ ე ს ი ო დ ე. თეოგონია, ტ. 337—340. აკ. ურ უ შ ა ძ ე. დასახ, ნაშრომი.

32 K i e s l i n g, R E, s. v. Pis

როგორც ცნობილია, არქაულ ხანაში ისახება პელოპონესში და აქედან ვრცელდება ძველი სამყაროს ქვეყნებში. მართალია, ლომინაურის კაპიტელების შექმნის ქრონოლოგიური ჩარჩოები არ არის საბოლოოდ დადგენილი, მკვლევართა ერთი ნაწილი მათ არქაული ხანით ათარიღებს[33], ნაწილი V—IV სს-ით[34], ზოგიერთი კი ძვ. წ. II—I სს-ით[35], მაგრამ, როგორც არ უნდა გადაწყდეს მათი დამზადების თარიღი, ერთი რამ უდავოა, რომ ისინი არქაული დორიული კაპიტელების მოდელის საფუძველზე არიან შექმნილი, უთუოდ, მცირე აზიიდან მოსული ბერძენი ხელოსნების მიერ.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, რომ ფრიქსოპოლის-იდეესას გაიგივება საირხის საკულტო-საქალაქო ცენტრთან, უდავოდ, ანგარიშგასაწევი გარემოებაა ეგეიდურ-მცირეაზიული და კოლხური სამყაროს კულტურულ-ისტორიული პარალელებისა და ამ კულტურის მატარებელ ხალხთა ადრინდელი კონტაქტების კვლევის თვალსაზრისით.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ მცირეაზიულ-კოლხურ პარალელებში უნდა დავინახოთ მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის კვალი ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებების, ხეთურ-ხურიტულ, ხოლო უფრო მოგვიანებით, ფრიგიულ სამყაროსა და კოლხეთს შორის, რის შედეგად ნაყოფიერების ქალღვთაების კულტი და მისდამი მიძღვნილი რიტუალები ფართოდ ვრცელდება კავკასიასა და ანატოლიაში[36].

ამრიგად, მთელი ზემოთ მოტანილი მასალა იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ რიონ-ყვირილის ხეობის მიმდებარე რეგიონებს ბერძნები ეცნობიან კოლხეთის სანაპიროზე იონიელი (მილეტელი) კოლონისტების გამოჩენამდე საკმაოდ დიდი ხნით ადრე (ძვ. წ. VIII ს.

---

33 გ. ლ ე ქ ა ვ ა. სოფელ საირხეში აღმოჩენილი სვეტისთავის შესახებ.—„საბჭოთა ხელოვნება“, 1962, №2, გვ. 49—51, И. Р. П и ч и к я н. Элементы восточного ордера в Колхиде и Иберии.—VII всес. конф. по Древнему Востоку, посвящ. памяти акад. В. В. Струве. Тезисы докладов, М., 1979, с, 70.

34 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. საირხე... გვ, 11, 111.

35 გ. ყ ი ფ ი ა ნ ი. კაპიტელები. თბ., 1987, გვ. 12—23.

36 ჩვენი ვარაუდით, ამ კონტაქტების შედეგად ვრცელდება ღვთაება იდეს სახელწოდება და მისი კულტი მცირე აზიის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზეც. ვახუშტი ბაგრატიონი თავის გეოგრაფიაში მთა იდის იხსენიებს მდ. ჭოროხის მახლობლად: „არამედ ართვანსა ზეითი, იდამდე, ჭოროხის დასავლეთია. ჭოროხის მთის აღმოსავლეთით არს პარხალი ანუ ტაოსკარი, ანუ ტაო...“ (აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 136).

და, შესაძლოა, ამაზე უწინარეს), რაც თავის ასახვას პოვებს ბერძენ მწერალთა ცნობებში შემონახულ, ფრიქსეს მოღვაწეობასთან დაკავშირებულ რელიგიურ-საქალაქო ცენტრების ნომენკლატურაშიც (ფრიქსოპოლისი, ლევკოთეა და სხვ.)[37]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მილეტელი კოლონისტების მოსვლას და დამკვიდრებას არ დაუტოვებია რამდენადმე შესამჩნევი კვალი შიდა კოლხეთის საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე.

მნიშვნელოვნად იცვლება ვითარება ძვ. წ. V ს-ის შუახანებიდან, როდესაც ანტიკურ სამყაროსთან კოლხეთის საზოგადოების ურთიერთობაში გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებს ათენი. ბერძნულ სამყაროსთან კულტურული ურთიერთობის ეს ეტაპი ხასიათდება, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ამ დროს ბერძნული ცივილიზაციის მიღწევების გაცნობა-ათვისება ადგილობრივი საზოგადოების მიერ გაცილებით უფრო ფართოვდება და უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე იონიური კოლონიზაციის დროს[38].

ამ თვალსაზრისით, უთუოდ, ნიშანდობლივია კოლხეთის უკიდურეს აღმოსავლეთ რეგიონში, საირხის მიდამოებში უკანასკნელ ხანს მოპოვებული, ძვ. წ. V—IV სს-ის უნიკალური მასალა, მრავალფეროვანი ატიკური კერამიკული ნაწარმი, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის კოლხეთის ამ სიღრმეში მცხოვრები საზოგადოების სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობაზე ათენთან. ამ მასალიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცამეტე აკლდამაში აღმოჩენილი ვერცხლის ფიალები და თიხის ატიკური კილიკი, რომელზედაც ამოკაწრულია ლიგატურა და ოთხი ბერძნული ასოსაგან შედგენილი წარწერა. როგორც შენიშნულია, ყველა ამ ნივთს რამდენადმე არქაული იერი აქვს[39]. ატიკურ ნაწარმთა შორის საგანგებო ყურადღებას იმსახურებს საირხის მახლობლად (წყაროსთავის გორის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობის კულტურულ ფენაში) აღმოჩენილი, მაღალი ოსტატობით მოხატული

[37] ეგეოსურ სამყაროს ადრეულ კონტაქტებზე დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კი კავკასიის მთის რეგიონების მოსახლეობასთან, რაც, ძირითადად, გამოიხატებოდა ცალკეულ საზღვაო ექსპედიციებში ეგეიდიდან კავკასიისკენ, შესაძლოა მიგვანიშნებდეს აქ მიკენური მშვილდისმაგვარი ფიბულების ფართოდ გავრცელება ძვ. წ. XI-—X სს. (რ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი. წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985, გვ. 166, 167).

[38] ვ. ი ნ ა ძ ე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. გვ. 212, 213.

[39] ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, გვ. 148, 149.

კერამიკა, რომელიც ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებით თარიღდება. ამავე ხანას მიეკუთვნება საირხეში გამოვლენილი სხვადასხვა დანიშნულების ატიკური მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელთა შორის აღსანიშნავია სკიფოსის ფრაგმენტი სილენის გამოსახულებით. ატიკური ჭურჭლის ფრაგმენტები გამოვლენილია ლომინაურშიც, რომლის მიდამოებში ადრე დორიული ორდერის კაპიტელები იყო აღმოჩენილი[40].

ზემოხსენებული ატიკური იმპორტული ნივთები მოწმობენ, რომ ბერძნული ცივილიზაციის ცენტრებთან კოლხეთის ამ რეგიონის ურთიერთობას, რომელსაც ფესვები შორეულ წარსულში ჰქონდა გადგმული, ძვ. წ. V ს-ის შუახანებიდან მჭიდრო, ინტენსიური ხასიათი მიეცა.

მთელი ზემოთ მოტანილი მასალა გულისხმობს არა მხოლოდ საირხის საზოგადოების კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობას ბერძნულ სამყაროსთან, არამედ ბერძნული რელიგიისა და წეს-ჩვეულებების გავლენას ამ საზოგადოების ზედაფენაზე საკმაოდ ადრეულ ხანაში.

ფართო ეკონომიკურ კონტაქტებთან ერთად, რასაც საფუძვლად ედო ათენის მიერ აღნიშნული რეგიონიდან დიდი რაოდენობით ფერადი და შავი ლითონის გატანა, კოლხეთის საზოგადოების მჭიდრო კულტურულ ურთიერთობას საბერძნეთის ამ უმნიშვნელოვანეს ცენტრთან განაპირობებდა, ძვ. წ. V ს-ის შუახანებიდან, ათენის პოლიტიკური გავლენის ორბიტაში თითქმის მთელი შავიზღვისპირეთის მოქცევა, როგორც საფიქრებელია, სწორედ ამ ხანაშია შემოტანილი ვანში, „ახალდიანების გორაზე“ გათხრილ ერთ-ერთ მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ატიკური წარმოშობის მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშები (ვერცხლის არიბალი, შემკული სფინქსების გამოსახულებით და სხვ.), რომლებიც სრულიად უნიკალურ ნივთებს წარმოადგენენ და ძვ. წ. V ს-ის მეორე მეოთხედით და შუახანებით თარიღდებიან[41]. ჩვენი ვარაუდით, ეს ნივთები ვანის ხელისუფალთ მიღებული ჰქონდათ არა სავაჭრო კონტაქტების გზით, არამედ ძღვენის სახით ათენის მმართველი წრეების წარმომადგენლებთან დიპლომატიური მოლაპარაკების დროს[42].

[40] იქვე. გვ. 149.

[41] O. Л о р д к и п а н и д з е. Древяя Колхида. Тб. 1979. с. 159—160.

[42] ვ. ი ნ ა ძ ე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. გვ. 154, შენ. 182

როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან შეინიშნება, ელინიური ხელოვნების ნიმუშების, კერძოდ, მაღალმხატვრული ნაწარმის გავრცელება კოლხეთში ბევრად უფრო ადრე დასტურდება საზოგადოების ზედაფენაში, ვიდრე მის საშუალო და დაბალ ფენებში. ადგილობრივ წარჩინებულთა ახლო კონტაქტი ბერძნულ ცივილიზაციასთან განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს ძვ. წ. IV ს-ის შუახანებიდან. ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, დიდ ინტერესს იწვევს ე. წ. „წარჩინებული მეომრის" სამარხის ინვენტარი, რომლის შესახებ ზემოთ არაერთხელ გვქონდა საუბარი. ამ შემთხვევაში ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ „წარჩინებული მეომრის" სამარხში აღმოჩენილ ინვენტარში, ძვ. წ. VI—V სს-ის კოლხური კულტურის ტრადიციის საფუძველზე შექმნილ საიუველირო ნაწარმსა და თიხის ნაკეთობათა გვერდით, გამოიყოფა ზოგიერთი ისეთი ნივთი, რომელშიც მკვეთრად ვლინდება ბერძნული კულტურის გავლენა. ასეთი იერი აქვს, უპირველეს ყოვლისა, მეომრის შეიარაღებას (ბრინჯაოს „საწვივეები" და „საბარკულები"), რომლებიც ტიპოლოგიურად იმეორებს ბერძნული კნემიდების ფორმებს (შეიარაღების ასეთი ტიპი მთელ ანტიკურ სამყაროში იყო გავრცელებული ძვ. წ. V—II სს.)[43].

ბერძნული წესების გადმოღების ტენდენციას ვამჩნევთ ინვენტარის სხვა ელემენტებშიც. ამ ახალ მომენტებს შორის აღსანიშნავია სამარხში ამფორის ჩაყოლება. ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე ამავე „წარჩინებული მეომრის" სამარხში ფილიპე II-ის ოქროს სტატერის აღმოჩენაც; მონეტა, ბერძნული წესის მიხედვით, მიცვალებულის პირში ყოფილა ჩადებული. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს პირველი შემთხვევაა მონეტის აღმოჩენისა ადგილობრივი დიდებულის სამარხში[44].

ბერძნული სამყაროდან ადგილობრივი საზოგადოების ზედაფენა ითვისებს დამარხვის ზოგიერთ სხვა წესსაც. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ორმოსამარხები გადახურული ხის ძელებით და სამარხები ხის ყუთებში (კუბოებში), რომელნიც რკინის ლურსმნებით არიან შეკრული. კოლხეთში (ვანში) წარჩინებულთა დამარხვის წესი ხის სარკოფაგებში, როგორც ჩანს, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მეშვეობით არის აქ გავრცელებული ათენსა და სინოპედან[45].

[43] О. Лордкипанидзе. Древняя Колхида. Тб., 1979, с. 183.

[44] იქვე.

[45] Ю. М. Гагошидзе. Самад ло, с. 69. იხ. აგრეთვე მ. ინაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის..., გვ. 212, 213, შენ. 81.

ძვ. წ. V ს-დან კოლხეთის შიდა რეგიონებში ვრცელდება ბერძნული ენა და დამწერლობა, რომელიც აქ დიდი ხნით დაიმკვიდრებს თავის პოზიციებს, როგორც სავაჭრო ურთიერთობების, მეცნიერების, კულტურის და დიპლომატიური ურთიერთობების წარმოებისათვის საჭირო ოფიციალური ენა.

კოლხეთში ბერძნული დამწერლობის ადრე (ძვ. წ. V ს-დან) გავრცელების სასარგებლოდ მეტყველებს ბერძნული ასოების მოთავსება კოლხურ მონეტებზე, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელთა მიერ კერამიკაზე ამოკაწრული ცალკეული ასოები. მაგალითად, სოფ. ითხვისში ნაპოვნ, ძვ. წ. V ს-ის შავლაკიან თასზე აღბეჭდილია გრაფიტო — ΜΕΤΟΣ.

ბერძნული დამწერლობის საკმაოდ ადრე გამოყენებას კოლხეთის საზოგადოების ოფიციალურ წრეებში, გარე სამყაროსთან ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით, დასტურებს იმავე წარჩინებული მეომრის სამარხში აღმოჩენილი ოფიციალური დოკუმენტების დასაბეჭდად განკუთვნილი ოქროს საბეჭდავი-ბეჭედი ინსიგნია, რომელზედაც მისი მფლობელის სახელი „დედატოსი" არის აღბეჭდილი[46].

როგორც ვხედავთ, დედატოსის სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი მრავალმხრივ იმსახურებს ყურადღებას; ეს სამარხი იმ რთული მოვლენების მოწმეა, რომლებიც ძვ. წ. IV ს-დან მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ როგორც კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკურ წყობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ისე ამ საზოგადოების იდეოლოგიასა და მატერიალურ კულტურაზე.

დედატოსის საბეჭდავი-ბეჭედი, მასზე გამოსახული ნაყოფიერების ღვთაებით, ამავე დროს, მაუწყებელია კოლხეთის სახელმწიფოში უკვე ჩამოყალიბებული იდეოლოგიისა, რომელშიც გაბატონებული ადგილი ნაყოფიერებისა და ბუნების მფარველი ღვთაების კულტს ეჭირა.

ჯერ კიდევ წინაელინისტურ ეპოქაში კოლხეთში გზას იკვლევენ ბერძნული კულტებიც. სახელდობრ, ფართოდ იყო აქ გავრცელებული მევენახეობისა და მეღვინეობის ღვთაების — დიონისეს — კულტი. როგორც ირკვევა, დიონისეს წრის ღვთაებათა (სილენის — სატირის) კულტები, უკვე IV ს-დან, საკმაოდ ცნობილი იყო კოლხეთის საზოგადოების ზედაფენაში. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც დედატო-

[46] მარგ. ლორთქიფანიძე. არქაული და „არქაიზირებული" საბეჭდავი-ბეჭედები ვანიდან. — ვანი II, გვ. 138, 139.

სის ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ საბეჭდავ-ბეჭედზე წვეროსანი სატირის ნიღბის გამოსახვა (ნიღაბი გამობმულია რქიან ცხენზე, რომელზედაც შუბმომარჯვებული მხედარი ზის). სატირის ნიღაბი ამ საბეჭდავზე ნაყოფიერების ღვთების სიმბოლოს წარმოადგენს. ღვთაებ-ტოსის საბეჭდავზე ამ ღვთაების ელინიზირებული ფორმით გამოსახვა იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ კოლხეთის ადგილობრივ წარჩინებულთათვის, ძვ. წ. IV ს-ის პირველ ნახევარში, წმინდა ელინური რელიგიურ-მითოლოგიური სახეები გასაგები და ახლობელი იყო.

ძვ. წ. IV ს-ით თარიღდება ასევე ვანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია სალენი სალამურით.

კოლხეთის საზოგადოების ზედაფენაში დიონისეს წრის ღვთაებათა კულტის გავრცელებას უკავშირებენ ვანის მახლობლად, მთის ძირში აღმოჩენილ ვერცხლის ვაც-კაცის გამოსახულებიან ყანწ-რიტონს, რომელიც ძვ. წ. V—IV სს-ით თარიღდება. ვაც-კაცი გააზრებულია როგორც დიონისეს თანამგზავრის, პანის ტიპის ანალოგიური ადგილობრივი მითოლოგიური სახე[47].

არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების (დურისი — ძვ. წ. 340—275) მიხედვით, კოლხეთში კარგად იყო ცნობილი ჰერაკლეს კულტიც. აღნიშნულ გარემოებას იმით ხსნიან, რომ სწორედ ჰერაკლემ გაათავისუფლა კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთე. ვანში აღმოჩენილი შტამპი ჰერაკლეს გამოსახულებით ამ ცნობის დადასტურებას უნდა წარმოადგენდეს[48].

ელინური გავლენა შეინიშნება, აგრეთვე, ვანსა და საირხეში გათხრილ არქიტექტურულ დეტალებში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს ვანში გათხრილი ლომის თავების სამი სკულპტურული გამოსახულება, რომლებიც ადგილობრივი თეთრი კირქვისაგან არის გამოძერწილი. ორი მათგანი წარმოადგენს წყლისსაწრეტი სიმის ნაწილებს. ლომის თავების ეს სკულპტურები, როგორც ვარაუდობენ, მონუმენტური სატაძრო ტიპის ნაგებობების ნაწილებია, და უდავოა მოწმეა ბერძნული არქიტექტურის საამშენებლო ხერხების ძლიერი ზეგავლენისა შიდა კოლხეთის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე. გარდა

---

[47] გ. გამყრელიძე. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, გვ. 81.

[48] ნ. მათიაშვილი. მედალიონი ჰერაკლეს გამოსახულებით.., — ძეგლის მეგობარი, № 33, თბ., 1973, გვ. 46—49; მისივე, ფიალები ვანიდან. — ვანი III.

ამისა, თავისი კონსტრუქციული დეტალებით, ისინი წარმოადგენენ ელინური, ან ელინიზირებული ტიპის შენობის შემადგენელ ნაწილს[49].

ამრიგად, ძვ. წ. IV ს-დან, ელინური კულტურის ზეგავლენის კვალი ნათლად შეიმჩნევა შიდა კოლხეთის ცენტრებში და მათი მოსახლეობის ზედაფენაში. ეს ზედაფენა, თავისი სულიერი მოთხოვნილებებით და კულტურის განვითარების მაღალი დონით, ახლოს იდგა ანტიკური სამყაროს მოწინავე საზოგადოებასთან, ხოლო ბერძნული ცივილიზაციის მიღწევები და ელინთა რელიგიური წარმოდგენები მისთვის სრულებითაც არ იყო უცხო და მიუღებელი. მიუხედავად ამისა, კოლხეთის მთელი მოსახლეობა, ისევე როგორც მისი არისტოკრატიული ფენები, ძალზე მკაცრად მისდევდნენ და იცავდნენ ადგილობრივ საკულტო-სარიტუალო წეს-ჩვეულებებს, რწმენებს. ადრეანტიკურ ხანაში ქვეყანაში არსებობდა ადგილობრივი რელიგიური წარმოდგენების რთული სისტემა, რომელიც კოლხეთის სახელმწიფოს ერთიან იდეოლოგიას ედო საფუძვლად; არსებობდა კოლხური კულტურის ტრადიციები, რომელთაც ემყარებოდა ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული ხელოსნობის ისეთი მნიშვნელოვანი, მაღალგანვითარებული დარგები, როგორიც იყო ოქრომჭედლობა, კერამიკული წარმოება, მელითონეობა და სხვ. ამიტომაც იყო, რომ ბერძნული გავლენა შიდა კოლხეთში მაინც ზედაპირული ხასიათისა იყო. იგი არ შეხებია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წყობის სიღრმეებს. კოლხეთის სამეფო რჩებოდა სპეციფიკური თავისებურებების მქონე თეოკრატიულ სახელმწიფოდ, რომელსაც ჰქონდა თავისი ეკონომიკური საფუძველი და საკუთარი თვითმყოფადი მატერიალური და სულიერი კულტურა.

ელინიზმის ეპოქაში კოლხეთის საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში რთული პროცესები მიმდინარეობს, რაც განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ეს საზოგადოება, თავისი იდეოლოგიური აზროვნებით, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადგილობრივი კულტურის უღრმეს ფესვებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ელინისტურ სამყაროში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებთან[50].

---

[49] О. Лордкипанидзе. Древняя Колхида, с. 207.

[50] იხ. Г. А. Лордкипанидзе. Колхида в VI—II вв. до н. э., с. 119—136; А. М. Апакидзе, О. Д. Лордкипанидзе. Культура Грузии в античную эпоху.—Очерки истории Грузии. Том I. Грузия с древнейших времен до IV в. н. э. Тб., 1989, с. 393—485; О. Д. Лордкипанидзе. Наследие древней Грузии. Тб., 1989, с. 272—308.

ამ ხანაში ბევრი ცვლილება და სიახლე შეინიშნება კოლხეთის საზოგადოების სულიერ ცხოვრებასა და ყოფაში. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ვანსა და მის სანახებში აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლების — საცხოვრებელ ნაგებობათა, კერამიკის, ოქრომჭედლობისა და სხვათა საგულდაგულო შესწავლამ აჩვენა, ელინისტური ხანის ვანის მატერიალურ კულტურაში ადგილობრივი კოლხური ტრადიციების შენარჩუნებასთან ერთად, აღმოსავლურ-ქართული და ასევე ელინისტური სამყაროს საკმაოდ ძლიერი გავლენა, რაც იმ დროის შიდა კოლხეთის ნივთიერი კულტურის ძეგლებს თავისებურ, ახალ-იერს აძლევს[51]. ელინისტურ ხანაში ვანის ნაქალაქარზე განაგრძობენ არსებობას ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები, ადგილობრივი ღვთაებებიც, რომლებიც უკავშირდებიან ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების კულტს.

ბუნების მფარველი ქალღვთაება ოფიციალურად აღიარებული კულტია არა მარტო ადრეანტიკური ხანის, არამედ ელინისტური ეპოქის კოლხეთშიც, თუმცა ამ დროს ის უახლოვდება და ერწყმის ბერძნულ აგრარულ ღვთაებებს — გეას, დემეტრას, აფროდიტეს, ასევე მცირეაზიულ კიბელეს.

ყველა ეს სიახლე და ცვლილება შედეგად მოჰყვა ადგილობრივი კოლხური საზოგადოებისა და მისი სატაძრო-საქალაქო ცენტრების შემდგომ განვითარებას, ახალ ეკონომიკურ, კულტურულ გარემოსთან (ელინისტურ სამყაროსთან) მჭიდრო კონტაქტსა და მეზობლად წარმოქმნილი ძლიერი იბერიის სამეფოდან შემოჭრილ გავლენას.

განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება აღმოსავლურ-ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის გავლენა ყვირილის ზემოწელის — საირხის — ქვეყნის მოსახლეობაზე, რომელიც თავიდანვე (ძვ. წ. III ს-ის მეორე მეოთხედიდან) იბერიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სისტემაში იყო მოქცეული[52].

ელინიზმის ეპოქაში ცვალებადობა შეინიშნება ცენტრალური კოლხეთის საზოგადოების კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაშიც

---

51 მ. ინაძე. ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 60—63.

52 ეს საკითხი დაწვრილებით აქვს განხილული ზ. ბრაგვაძეს, რომელიც ძვ. წ. III—I სს. საირხის საზოგადოების სულიერ ცხოვრებასა და მატერიალურ კულტურაში მომხდარ ახალ მოვლენებს, ძირითადად, უკავშირებს ამ მხარის ქართიზაციის პროცესს (იხ. მისი ნაშრომი — კოლხეთის აღმ. რეგიონების ქართიზაციის საკითხისათვის. გვ. 143—149).

ფასისის მაგისტრალთან მდებარე იმდროინდელი ვანი (სურისი) წარმოგვიდგება ფართო კონტაქტების მქონე უდიდეს ქალაქად, რომლის ახლად წარმოქმნილი სავაჭრო-სახელოსნო უბნები ვანის ძველი საკულტო ცენტრის (ე. წ. „ახვლედიანების გორის“) მახლობლად მდებარე დაბლობ ადგილებში იყო განლაგებული. აქ თავს იყრიდა მრავალი უცხოენოვანი (ძირითადად, ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე) ვაჭარი; აქვე, ამ ახალ უბნებში ცხოვრობდნენ იმდროინდელი სამყაროს უდიდესი ცენტრებიდან (სინოპე როდოსი და სხვ.) ჩამოსული ხელოსნებიც.

ამავე დროს, „ახვლედიანების გორად“ წოდებულ ბორცვზე ჩნდება ელინისტური ტექნიკითა და ბერძნული ხუროთმოძღვრული წესებით ნაშენი მრავალი საკულტო ნაგებობა, რის შედეგადაც ქალაქის ეს ადგილი, თავისი გარეგნული იერით ელინიზირებული თეოკრატიული ცენტრის ელფერს იღებს.

როგორც ჩანს, ამ დროს აქ, შესაბამისი ცერემონიალებით, კვლავ სრულდება დიდი საკრალური დღესასწაულები, რომლებსაც, ძვ. წ. III—I სს-ის მცირე აზიის (პონტოს, კაპადოკიის და სხვ.) დიდ სატაძრო გაერთიანებებში არსებული ვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ადგილობრივი სატაძრო თემის წევრების გარდა, ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული უცხოელი ვაჭრები, მეომრები და მრავალი ის პირი, რომელნიც გარკვეული მიზეზით დაინტერესებულნი იყვნენ ამ სადღესასწაულო ცერემონიალებში მონაწილეობით. ისინი შესთხოვდნენ ნაყოფიერების ღვთაებას მფარველობას, სწირავდნენ მას მსხვერპლს; ზოგიერთი შეძლებული ვაჭარი კი არ იშურებდა ტაძრისთვის დიდი ფულადი თანხის გაღებასაც.

ვანის სატაძრო ცენტრში გამართულ სადღესასწაულო ცერემონიალებში არა მხოლოდ ადგილობრივი საზოგადოების, არამედ უცხოელთა მონაწილეობის დამადასტურებლად მიგვაჩნია საკრალურ დადგენილებაში იმის აღნიშვნა, რომ ის, ვინც წამოიწყებს რაიმე საქმეს, უნდა იყოს ყოველმხრივ წმინდა და რომ ეს დადგენილება მიმართულია სხვათა შორის იმ პირთა წინააღმდეგაც, ვისთანაც ვერაფერს გააწყობ (როგორც ჩანს, ამ აკრძალვის გარეშე). ვფიქრობთ, დადგენილების ეს მუხლი მიმართული იყო, უპირველესად, იმ პირთა წინააღმდეგ, ვისაც შეეძლო ვანის ტაძარში მიღებული საკრალური წესები უხეშად დაერღვია და ვისაც ამიტომ, ამ საკანონმდებლო „დაწერილით“, საგანგებოდ გაფრთხილება და მკაცრი აკრძალვა სჭირდებოდა. ბუნებრივია. ასეთი პირები სადღესასწაულო ცერემონიალში მონაწილე უცხოელ-

თაგანნი უფრო შეიძლება ყოფილიყვნენ, ვიდრე ვანის სატაძრო თემის წევრები, რომელნიც, ტრადიციულად, ისედაც კარგად იცნობდნენ ამ მოქმედ ნორმებს. თუმც, ჩანს, არც ის იყო გამორიცხული, რომ, ეს მონაკლისის სახით, საკანონმდებლო დოკუმენტში აღნიშნული წესები სატაძრო თემის რომელიმე წევრსაც დაერღვია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ „დაწერილში“ საგანგებოდ არ იქნებოდა აღნიშნული, რომ აქ ჩამოთვლილ წესებს უნდა მისდიონ „ქალებმა“ და სატაძრო კოლექტივის დანარჩენმა წევრებმა[53].

ამრიგად, ვანის საკრალური წარწერის განხილვა გვაფიქრებინებს, რომ ელინისტურ ეპოქას კოლხეთის სატაძრო-საქალაქო ცენტრების ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებები უნდა მოეტანა.

ამ ცენტრების საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ჩაბმამ, რასაც თან სდევდა ღრმა ძვრები სატაძრო თემების სოციალურ განსაკუთარებაში, გარედან მოსული ვაჭრების, ხელოსნების მოზღვავებამ, უთუოდ, უნდა გამოეწვია საკულტო ცენტრებში ძველთაგანვე ტრადიციულად დადგენილი საკრალური წესების შეცვლა, მათი ხელახლა გადამუშავების, ახალი საკანონმდებლო ნორმების სახით ჩამოყალიბებისა და გამართვის საჭიროება, რაც, თავისთავად, გულისხმობდა იმ ახალი ურთიერთობების გათვალისწინებასაც, რომელიც მყარდებოდა სატაძრო კოლექტივსა და გარედან მოსულ, ქალაქის ახალ უბნებში თავმოყრილ უცხოენოვან მოსახლეობას შორის. ვფიქრობთ, რომ ვანის ზემოთ განხილული საკანონმდებლო დოკუმენტის, ანუ „დაწერილის“ შემუშავება, სატაძრო თემის წარმომადგენელთა მიერ ამგვარი საქმიანობითაც იყო ნაკარნახევი.

ზემოთ აღწერილი ვითარების გათვალისწინების შემდეგ, საკმაოდ გასაგები ხდება ის გარემოება, თუ რატომ უნდა შექმნილიყო ფაზისი და კოლხეთის საკულტო-საქალაქო ცენტრში ადგილობრივი სატაძრო საზოგადოების საკანონმდებლო დოკუმენტი ბერძნულ ენაზე. ეს ფაქტი მით უფრო გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ელინისტურ ეპოქაში, წინა პერიოდთან შედარებით, მთელ იმდროინდელ სამყაროში საგრძნობლად იზრდება ბერძნული ენის, როგორც სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობის, დამწერლობის, მეცნიერებისა და კულტურის ენის მნიშვნელობა. ამასთან, ძვ. წ. III ს-დან ბერძნულმა ენამ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა და მტკიცე პოზიციები დაიმკვიდრა მთელ აღმოსავლეთში (სირიიდან ინდოეთამდე), როგორც საქმის წარმოებისა და კანონმდებლობის ენამ. ამავე დროს, არამეული დამწერლობის გამოყენების ძველი ტრადიცია განაგრძობდა მოქმედებას აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის მთელ რიგ ქვეყნებში[54], მათ შორის კოლხეთშიც.

კოლხეთის საზოგადოებაში ელინისტური კულტურის ნაკადი განსაკუთრებით ძლიერად იკვლევს გზას მითრიდატე ევპატორის მიერ მისი დამორჩილების შემდეგ (ძვ. წ. II ს-ის დასასრულიდან), როდესაც პონტოს მბრძანებელმა ვანის სატაძრო-საქალაქო ცენტრი (ისევე როგორ დიოსკურია), თავის უმთავრეს პოლიტიკური დასაყრდენად გაიხადა. ამასთან დაკავშირებით, ფრიად საგულისხმოა ამ დროს ვანში საფორტიფიკაციო დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობა და მისი მრავალი ტაძრით შემკობა, რაც ასე დამახასიათებელი იყო მითრიდატეს საქმიანობისთვის პონტოს სამეფო ქალაქებში (Strabo, XII, 3, 11). ასევე ნიშანდობლივია აღებულ ხანაში დიონისეს თაყვანისცემის ფაქტად დანერგვა ვანის ქალაქში[55] და აქვე მისი სახელობის ტაძრების აგება[56]. ღვთაება დიონისეს კულტის დაწესებით, პონტოს მბრძანებელი საკუთარ კულტს ნერგავდა დაპყრობილ ქვეყნებში.

ელინისტური გავლენის გაძლიერება ძვ. წ. II ს-ის დასასრულიდან მკვეთრად აირეკლა ვანურ კერამიკაშიც, რომლის ძირითადი ნაწილი ანტიკური სამეთუნეო ნაწარმის მიბაძვით არის დამზადებული[57].

მოტანილი ფაქტები მოწმობენ, რომ შიდა კოლხეთში ელინისტური გავლენის გავრცელებისას, კულტურულ-ეკონომიკურ კონტაქტებთან ერთად, რომლებიც, ძირითადად, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უმსხვილესი ცენტრების, მათ შორის სინოპეს, მეშვეობით ხორციელდებოდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ ფაქტორსაც, სახელდობრ, მჭიდრო კავშირს პონტოს სამეფოსთან, რითაც აიხს-

---

53 თ. ყაუხჩიშვილი. ვანის ახლადაღმოჩენილი ბერძნული წარწერა, გვ. 131—142.

54 Р. Фрай. Наследие Ирана, М., 1972, с. 195—199.

55 ქ. რამიშვილი. ანტიკური ხანის ტერაკოტები ვანიდან. — საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. თბ., 1968, გვ. 292, და შემდ.

56 ვანი. I. გვ. 30 და შემდ.; ი. ა. ლორდკიპანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 122, და შემდ,

57 ნ. მათიაშვილი. ძვ. წ. III—I სს. კოლხეთის ქალაქების ეკონომიკური ისტორიიდან, გვ. 75.

ნება ძვ. წ. II—I ს. ელინისტური კულტურისა და ტექნიკური მიღწევების ძლიერი შემოჭრა კოლხეთის იმ ქალაქებში, რომელნიც იმდროინდელი პოლიტიკური მოვლენების ცენტრში იყვნენ მოქცეულნი. მეორე მნიშვნელოვანი კერა, საიდანაც ელინისტური კულტურის იმპულსები ვრცელდებოდა კოლხეთში, ისევე როგორც ქართლში, იყო ახლო აღმოსავლეთი, განსაკუთრებით სელევკიდების სირია, რომელთანაც ამ ქვეყნებს მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირი ჰქონდა.[58]

[58] М. П Инадзе, К вопросу о влиянии эллинизма в странах Закавказья.—Проблемы античной истории и культуры. I. Ереван, 1979, 106—114.

ДРЕВНЕКОЛХИДСКОЕ ОБЩЕСТВО

Резюме

Достижения археологических исследований, проведенных за последние десятилетия на территории Западной Грузии, дают возможность сызнова осмыслить данные письменных источников — сведения античных авторов (Геродота, Аполлония Родосского, Страбона, Плиния и др.), выдвинуть новые положения по ряду вопросов, связанных с интересующей нас проблемой.

К концу II тыс. до н. э. широкое применение металлических земледельческих орудий способствовало более интенсивному освоению Колхидской низменности. В указанное время сельское хозяйство достигает довольно высокого уровня. Постепенно густо заселяются и внутренние части Колхиды, в том числе и междуречье Риони и Цхенисцхали, для хозяйственного освоения которого благоприятные условия создаются лишь с конца II и начала I тыс. до н. э. Распространение в этой области характерных для колхидской культуры орудий создало возможность для очистки от густого растительного покрова довольно просторной территории глубоких ущелий и для обработки созданных благодаря этому плодородных земельных угодий. Росту населения в этой области также способствовали тесные связи с довольно мощными металлургическими очагами, существовавшими с конца II тыс. до н. э. в Рача-Лечхуми, откуда доставлялся металл не только населению соседнего предгорья и равнины Колхиды, но и более отдаленных южных регионов. Имеется основание для предположения, что металл в виде бронзовых слитков из Рача-Лечхуми через посредство греческих мореходов — ахейцев и эолийцев по речным ущельям и морем вывозился в страны Эгейского мира.

Указанные обстоятельства — создание благоприятных условий для развития земледелия и близость богатых металлом горных регионов, послужили важным стимулом для начала постепенного перемещения к концу II тыс. до н. э. населения с юга во внутренние области Колхиды. В этом процессе, по предположению некоторых исследователей, ведущую роль играли южно-

колхидские племена. По их мнению, именно в процессе постепенного перемещения южноколхских этнических групп во внутренние регионы Колхиды происходит формирование единой позднебронзовой культуры и ее широкое распространение по всей территории Западной Грузии.

Инфильтрация отдельных групп населения южной Колхиды в бассейн реки Риони и в северное предгорье более интенсивно протекает в период широкого освоения железа, что, видимо, в значительной степени было обусловлено наличием в горных регионах Колхиды больших запасов залежей железной руды и других полезных металлов. Как известно, южноколхидские племена довольно рано приступили к плавке железа, а широкое производство этого металла стало одним из важнейших факторов усиления политического образования Колха. Указанное обстоятельство дает основание для предположения, что богатства северной Колхиды должно быть рано привлекли внимание правящих кругов Колха, способствуя введению этого края в орбиту их экономических и политических интересов.

Думается, с этим было связано создание в северной Колхиде, на обоих берегах реки Очхомури, притока реки Хоби, мощного очага производства железа, датируемого рядом исследователей первыми веками I тыс. до н. э. В пользу нашего предположения говорит высказанное в специальной литературе мнение, согласно которому технология плавки железа в северную Колхиду была перенесена южноколхскими мастерами, игравшими ведущую роль в основании здесь (на берегах Очхомури) множества железоплавильных мастерских.

С конца VIII в до н. э. в равнинной части Колхиды, а особенно в ее предгорной зоне, благодаря применению железных орудий, развитие земледелия достигает наибольшего эффекта; указанный край (особенно земля вдоль среднего течения Риони и предгорья) становится самой плодородной частью страны. Все это, при наличии здесь благоприятных условий для мирной жизни, содействовало дальнейшему распространению в этих краях новой волны населения с юга Колхиды. По нашему предположению, интенсивный характер этого процесса был обусловлен и падением во второй половине VIII в. до н. э. политического образования Колха, вслед за которым последовало перемещение к северу основного племенного ядра колхов и их политических центров в регион среднего течения Риони (окрестности нын. Кутаиси).

Вышеотмеченные обстоятельства должны были вызвать значительный рост населения в предгорной полосе Колхиды. И действительно, по материалам археологических разведок,

проведенных в междуречье Риони и Ингури, установлено, что именно в интересующий нас период (в VIII—VII вв. до н. э.) число поселений на холмах необычайно возрастает, что исследователи связывают с «демографическим взрывом», происходящим в этом регионе. При этом особое значение приобретает и тот факт, что в предантичную и античную эпохи вместе с численным ростом отдельных поселений, одновременно намечается и качественное изменение этих поселений. Они приобретают ряд специфических черт, совершенно отличающих их от ранних поселений (меняется их планировка, масштабы и т. д.).

Судя по археологическим исследованиям, существенный рост населения и прогресс в его общественном развитии (переход на применение железных орудий, насаждение интенсивного земледелия), прослеживается и в северо-западной части Колхиды. Отмеченное обстоятельство, возможно, также связывается с переселением сюда после разгрома политического образования Колха колхских племен — кораксов и колов, занявших территорию около г. Диоскурии (Сухуми) как в прибрежной полосе, так и в богатой металлом предгорной зоне, к северу от этого города. Судя по сведениям Гекатея Милетского и Псевдо-Скилака Рариандского, здесь в раннеантичную эпоху колы были расселены у нижних отрогов Кавказского хребта (с запада примыкая к сванам).

Исходя из сведений того же Псевдо-Скилака, в раннеантичную эпоху территория колхов простиралась от реки Апсароса (Чорохи) до Диоскурии. Все эти данные наряду с вышеприведенными археологическими материалами говорят в пользу того, что после падения объединения Колха носители государственных традиций колхи — их основное ядро, обретают доминирующее положение не только на расположенной вдоль реки Риони территории, но и в предгорной зоне, где проживали и другие западно-картвельские племена.

Одним из основных западно-картвельских племен, занимавших к указанному времени прилегающие к среднему и нижнему течению реки Ингури земли, видимо, являлись эгры (мегры), наименование которых временно было покрыто этно-политическим названием «колхи».

Проникновение колхов в бассейн реки Риони и прилегающие к нему предгорные регионы, обоснование их на этой плодородной, богатой части страны сильно содействовало дальнейшему экономическому и политическому продвижению колхов и их активному включению вместе с другими западно-картвельскими племенами в процесс создания нового колхидского государства. Таким образом, по нашему представлению, именно в

это время должно было возникнуть на указанной территории предгосударственное образование ведущего ядра колхов, которому впоследствии, примерно к 20-ым годам VI в. до н. э., удалось объединить расположенные вокруг себя этно-территориальные единицы — «квекана» („ქვეყანა“) и сформировать Колхидское царство.

Это в значительной мере способствовало дальнейшему экономическому и политическому сближению центральной части Колхиды с северными, а также южными регионами страны.

В этой связи обращает внимание засвидетельствованное у Геродота сообщение, по которому в период зависимости от персов вместе с колхами добровольными приношениями обязали себя и племена, проживавшие к северу от них до Кавказского хребта. Они также, как и колхи (т. е. совместно с колхами), каждые четыре года должны были посылать персидскому царю сто мальчиков и сто девушек (Her. III, 97).

В сплочении вокруг колхов более слабых соседних племен и в окончательном становлении обширного политического объединения Колхиды, наряду с довольно высоким уровнем экономического развития, проявившегося в создании в стране прочной единой экономической базы, важное значение имели и внешние факторы, военная угроза со стороны агрессивной Персии и т. д.

С формированием Колхидского государства завершается и образование административных подразделений Колхидского царства (т. е. скептухий), в основу которых были положены исторически сложившиеся этно-территориальные единицы («квекана», «хеви»).

Сравнение сведений авторов эллинистической и ранневизантийской эпохи (Аполлония Родосского, Прокопия Кесарийского) дает основание для утверждения, что предгосударственное образование колхов, возглавившее объединение этно-политических единиц Колхиды, территориально примерно совпадало с т. н. «Кутаисской землей» или «Кутаисской страной» Аполлония. С востока и с юга оно включало бассейны среднего и нижнего течения р. Риони, на западе простиралось до моря, а на севере почти доходило до отрогов Кавказского Хребта.

Весьма примечательно и то обстоятельство, что согласно Прокопию сама «Кутаисская земля» находилась приблизительно на той же территории, где позднее существовала страна под названием Мухуресис, Мохирисис — самая богатая и плодородная часть Колхиды.

Рассматривая в одной связи имевшиеся у нас данные, можно заключить, что под «Кутаисской землей» («страной») Аполлония следует усматривать именно предгосударственное образование колхов VIII—VII вв. до н. э., а в упомянутом им могущественном Аиэте видеть олицетворение властителя этой политической единицы.

Таким образом, выходит, что в «Аргонавтике» Аполлония отразилось положение, созданное в доантичную эпоху именно в указанной, славившейся плодородием и богатством части Колхиды (расположенной между бассейном р. Риони, Кавказскими горами и морем). Судя по всему, здесь же, в этом предгосударственном образовании, должна была зародиться и развиться царская власть колхов, а земля подвластной ей страны приобрести статус домена царского рода, т. е. превратиться в родовую собственность царского дома, переходившую по наследству из поколения в поколение.

Видимо, этим было обусловлено возникновение той исторической традиции, согласно котерой цари Колхиды с ранних времен вплоть до позднеэллинистической эпохи рассматривались как потомки Аиэта, повелителя «Кутаисской земли» («страны») (см. Ксенофонт, Апав., V, 36, 37; Плиний, NH, XXXIII, 52). Подчеркивая преемственность царей Колхиды от Аиэта, царя Кутаии, и усиленно насаждая идею этой преемственности, цари колхов, по всей вероятности, старались обосновать и юридически узаконить права царского рода (дома — სახლი) колхов на землю, которой они издавна владели (освоив и заселив ее еще с первых веков I тыс. до н. э.).

Царским доменом остается «Кутаисская земля» и в эпоху эллинизма. Это положение находит подтверждение в исторической традиции, сохранившейся у грузинского летописца Леонтия Мровели. По преданию Леонтия, после распространения на Эгриси (Колхиду) политического влияния Картли (в начале III в. до н. э.) и разделения страны на отдельные эриставства (административные единицы), бывшему властителю Колхиды Куджи в виде эриставства была отдана и утверждена за ним лишь территория, находившаяся между р. Риони, морем, Кавказским хребтом и рекой Эгрисцхали (идентифицируемой с нын. Галидзга), т. е. именно та часть страны, которой еще со времен существования здесь предгосударственного образования владели колхи и их правители, считавшиеся потомками Аиэта, царя Кутаисской земли античных авторов. Отсюда следует, что в начале эллинистической эпохи, когда от Колхидского политического объединения отпали его бывшие административные единицы (скептухии по Страбону), царской власти досталась лишь та страна, которая считалась наследственным владением их предков (т. е. собственная земля царского дома).

Таким образом, сопоставление сведений Страбона, Плиния, Аполлония Родосского, Прокопия Кесарийского с сохранившимся у Леонтия Мровели преданием дает возможность раскрыть подлинный смысл и значение грузинской исторической традиции об т. н. «Эриставстве Эгриси» и о реальном статусе этой страны, известной в эллинистической и византийской литературе под названием «Кутаисской земли».

Хотя на сегодняшний день город Кутаиси и его окрестности находятся лишь в процессе археологического исследования, однако выявленные здесь в 1984 г., а также в последующие годы памятники (остатки строений VIII—VII вв. до н. э. и т. д.), явно свидетельствуют о наличии в этих местах значительного населенного пункта, сыгравшего немаловажную роль в экономической и политической жизни этого края во времена существования здесь предгосударственного образования колхов. Посредством этого пункта, расположенного на фасисско-рионской магистрали, видимо, осуществлялись связи центральной Колхиды как с прибрежными, так и с горными регионами страны.

Конец VI в. и V в. до н. э. является периодом, когда во внутренней Колхиде и в ее восточных регионах (вдоль среднего течения р. Риони и р. Квирила) создаются большие храмовые центры (Вани, Саирхе). Они зарождаются на основе существующих здесь (на этой земле) святилищ и объединенных вокруг них сельских (храмовых) общин.

Рассматривая в одной связи памятники культово-ритуального назначения VIII—VI вв. до н. э., выявленные в сел. Вани на верхней и центральной террасах т. н. «Ахвледианебис гора», можно установить, что одно из главных святилищ «Ванской земли» с ранней поры находилось именно на этой территории и здесь в VIII—VI вв. в довольно больших масштабах происходило культовое служение, посвященное божеству плодородия.

В раннюю пору, еще до окончательного формирования Колхидского государства, святилище являлось также значительной политической силой; оно служило не только культовым, но и организационным центром общины. Храм правил общиной, подчиняя ее своей духовной силе, и в соответствии с этим, служители культа присваивали ведение всеми мирскими делами племени, сосредотачивая в своих руках и духовные функции.

После формирования Колхидского царства отдельные этнотерриториальные единицы с их религиозными центрами — Вани, Саирхе были включены в административную систему государства. В факте устройства скептухий и их политических центров именно там, где издавна существовали важнейшие святилища страны (Вани, Саирхе), можно усмотреть стремление

царской власти Колхиды в лице верховных теократических правителей создать надежную социальную прослойку — в качестве опоры Колхидского государства.

С V в. до н. э. в Колхиде наблюдаются большие социально-экономические сдвиги: создается дифференцированное общество с довольно сложной структурой. Изменения, естественно, происходят и в ванском и саирхском обществах, вызывая в них большие преобразования. В V—IV вв. до н. э., судя по новым археологическим открытиям, Вани и Саирхе представляют собой крупные политические и экономические центры, широко втянутые в общественную жизнь страны, с высокоразвитым ремесленным производством и с торговыми связями.

Однако, одним из существенных моментов в жизни ванского и саирхского обществ этого периода является то, что вместе со сдвигами социально-экономического характера, коренной перелом происходит и в самих святилищах Вани и Саирхе. В частности, с указанного времени (VI—V вв. до н. э.) здесь развиваются большие культовые центры с вполне сформировавшимся институтом жрецов, со сложной системой священных обрядов, сакральных ритуалов и с твердо установленными нормами культослужения.

Помимо этого, памятники из Вани и Саирхе, особенно богатые женские погребения V—IV вв. до н. э., открытые на «Ахвледианебис гора» (в Вани) и «Сабадурис гора» (около сел. Саирхе), подтверждают, что совершавшиеся в этих центрах ритуальные обряды подчинялись одним и тем же религиозным нормам, основная идея которых заключалась в усилении и обновлении божества плодородия путем принесения в жертву молодых женщин при совершении весьма сложного ритуального обряда во время погребения верховной жрицы.

Сходство ритуальных обрядов особенно ярко проявляется также в назначении и социальной атрибуции помещенных в погребениях украшений и других предметов. В обоих пунктах (как в Вани, так и в Саирхе) погребенные вместе с верховной жрицей молодые женщины были украшены довольно богатыми изделиями из серебра и золота, содержащими одинаковую символику, явно связанную с культом плодородия и солярного божества. Кроме предметов, украшенных изображениями орлов, головок баранов, птиц, розеток и т. д., особое внимание привлекают серебряные диадемы, которые обычно помещали в погребения почетных лиц колхидского общества (например в Итхвиси в могилу знатного воина).

Погребение вместе со знатными культослужительницами молодых женщин, пользующихся привилегией ношения сереб-

ряной диадемы и других украшений культового назначения, дает основание предположить, что эти особы занимали высокое положение в обществе Вани и Саирхе, и являясь приближенными верховной жрицы, по всей вероятности, исполняли немаловажную роль в религиозной жизни ванского и саирхского обществ раннеантичной эпохи. В этой связи исключительный интерес вызывает греческая надпись (обнаруженная в Вани на Ахвледианебис гора), датированная III в. до н. э. и являвшаяся законодательным постановлением храмового коллектива города Вани (т. е. Суриса), в которой особо отмечаются т. н. «женщины» (juvaíkai). видимо, также имевшие связь с совершавшимися в городе культовыми церемониалами. По нашему предположению, этих особо упомянутых в надписи «женщин» следует отнести к той же категории служительниц культа, к которой принадлежали, судя по археологическим исследованиям, молодые женщины, приносимые в жертву богине плодородия.

В Вани на «Ахвледианебис гора» и в Саирхе (на западном склоне «Сабадурис гора») около богатых погребений знатных культослужительниц были выявлены и захоронения знатных воинов, результаты исследований которых позволяют проследить за ходом развития верхушки общества религиозно-политических центров Вани (Суриса) и Саирхе.

В этой связи исключительно ценным источником является погребение знатного воина IV в. до н. э. на центральной террасе «Ахвледианебис гора» (поблизости от культового очага предантичного периода).

Для определения социальных функций знатного воина, наряду с военными снаряжениями, многочисленным оружием (только общее количество железных наконечников копий достигает до 50), из погребального инвентаря первостепенную важность имеет золотой перстень-печать, на щитке которого вырезано имя владельца — Дедатос; этот перстень-печать являвшийся инсигнией, т. е. правовым знаком власти Дедатоса, предназначался для печатания официальных документов (Перстень изготовлен на месте в начале IV в. до н. э. по заказу самого Дедатоса). Из этого следует, что Дедатос пользовался большими правами, и помимо выполнения военных функций занимался и другими государственными делами.

Кроме надписи на том же перстне-печати помещено изображение верховной богини плодородия, в виде реально существующей женщины (как полагают, жрицы), что можно объяснить лишь тесной связью, существовавшей между властью Дедатоса и верховной служительницей божества. Все это наводит на

мысль, о том, что Дедатос принадлежал к той же среде, точнее к тому же роду, к которому относилась изображенная на перстне жрица. Это подтверждается и погребением Дедатоса на той же террасе, где было устроено захоронение верховной жрицы, вместе с принесенными в жертву служительницами культа. Ведь погребения Дедатоса и этой «знатной колхидянки», как полагают, были приусадебными. В раннеантичную эпоху здесь, на этом священном участке древних культовых очагов, должны были быть погребены и другие служители культа из этого же рода, однако от них сохранились лишь некоторые предметы культа.

Принадлежность Дедатоса к теократической правящей верхушке Вани подтверждают и помещенные в погребение другие предметы: головной убор, содержащий одновременно эмблемы божества плодородия — Великой Матери и солярного культа, а также второй перстень-печать с изображением всадника (воина) на рогатом коне с маской сатира, сочетавшим эмблемы властителя и божества.

Рассматривая вопрос о светских и жреческих функциях представителей правящей верхушки древнего города Вани (Суриса), следует провести параллели между Дедатосом и знатным воином, погребение которого было выявлено на верхней террасе «Ахвледианебис гора», рядом с захоронениями железного скульптурного изображения мужского божества и жрицы (III в. до н. э.). Исходя из факта помещения знатного воина рядом с изображением божества плодородия и его жрицы, трудно усомниться в том, что и всадник был причастен к культу этого божества. В доэллинистическую эпоху носителями как светской, так и духовной власти, видимо, являлись и представители знатного рода, правившего религиозно-политическим центром Саирхе. Об этом свидетельствуют обнаруженные на западном склоне «Сабадурис гора» (около захоронения высших служительниц культа) остатки погребального инвентаря знатного воина (середины IV в. до н. э.), содержащие предметы вооружения (бронзовые наконечники стрел) и множество железных пластинок панциря. Это открытие, по нашему мнению, говорит в пользу принадлежности владетеля указанного вооружения, вместе с погребенными на Сабадурис гора знатными лицами, к одному аристократическому роду, представители которого выполняли светские и культовые функции, разделяя их между собой.

Сведения Страбона, позволяющие провести интересные параллели между религиозно-политическим центром Вани и теократическими объединениями Малой Азии, а также резуль-

таты археологических открытий в Вани, Саирхе и др. дают возможность создать определенное представление о политическом статусе Вани и о социальных позициях его правящей верхушки. В частности — создается впечатление, что древний город Вани (Сурис) выделяется среди других городов Колхиды своим значением как главный храмово-политический центр всей страны, а стоявшие во главе его культовые служители и правители занимали особо почетное социальное положение, внешне выражавшееся в ношении ими исключительно золотых инсигний власти. Из этого же следует, что правители Ванской земли (с центром Вани) являлись главными скептухами Колхиды. К носителям подобных функций следует отнести, вероятно, и упомянутого греческим автором Аппианом Олтака — «скептуха колхов», игравшего к концу эллинистической эпохи (после упразднения царской власти в Колхиде) главенствующую роль в политической жизни страны и в разыгравшихся здесь военных действиях. Имеется также основание для предположения, что теократические правители Вани принадлежали к тому же роду, из которого происходили и колхидские цари, представляя подобно верховным жрецам Коман «второе лицо после царя».

На основании детских погребений, открытых на той же «Ахвледианебис гора», в одном из которых были обнаружены золотые головные украшения девочки культового назначения, а в другом инсигний власти (перстень-печать), мы также считаем, что функции верховного жреца (или жрицы) в Вани и Саирхе передавались по наследству.

Углубленный анализ сведения Страбона о Фриксополисе (городе Фрикса), той же Идеессе, позволил установить, что в этом сообщении историческая действительность тесно переплетается с преданием о Фриксе, который якобы наряду с другими «памятниками» основал и святилище Левкотеи в стране Мосхов. Думаем, под названием Фриксополис подразумевается упомянутый выше город Саирхе (Сарихе), где на территории нын. Сабадурис гора, как было сказано, существовал крупный религиозно-политический центр. Помимо этого, исходя из дальнейшего повествования Страбона, согласно которому в его время (т. е. в I в. до н. э.) Фриксополис, уже переименованный в Идеессу, находился в Иберии на границе Колхиды, представляя собой сильно укрепленный небольшой город, мы считаем, что это сведение Страбона вполне согласуется с результатами археологических исследований Сабадурис гора и находившегося вблизи от нее холма Цхаростави. Согласно этим археологическим данным, город Саирхе со второй четверти III века до н. э. попадает под влияние Картлийского царства, утрачивая былое

значение как храмово-политический центр Колхиды и превращается в небольшой специально укрепленный город в Иберии на границе Колхиды.

Название «Идеесса», так же, как и «Фриксополис», греческого происхождения. Они были перенесены по ассоциации на Саирхе в различные периоды с северо-западного побережья Малой Азии, в частности, из области горы Иде, где с участием жрецов — вооруженных воинов, служителей Матери богов Иде, покровительницы природы (леса) с ранней поры совершались сложные культовые ритуалы. Думаем, название Фриксополис было перенесено в Квирильское ущелье (в Саирхе) эолийскими мореплавателями (с родины Фрикса — Орхемены), совершавшими в поисках металла (медь, железо, золото и т. д.), задолго до ионийцев, дальние путешествия в различные страны, в том числе в Южное и Юго-Восточное Причерноморье. Что касается названия Идеесса, то оно из области Иде было, по-видимому, перенесено на Саирхе позже (в середине V в. до н. э.) афинскими торговцами, с которыми в этот период население Квирильского ущелья имело интенсивные экономические взаимоотношения. В этом смысле весьма знаменательно и то, что, по археологическим данным, совершение вышеупомянутых культовых ритуалов в Саирхе на «Сабадурис гора», аналогичных с обрядами, исполнявшимися в честь Иде в Малой Азии, падает именно на середину V в. до н. э. Это обстоятельство, вероятно, сыграло немаловажную роль при переименовании Саирхе-Фриксополиса в Идеессу, что означает «место почитания Иде», божества плодородия, слившегося с древом жизни, с лесом. Иде — по гречески одновременно означает и гору божества Иде и лес (Сравни с древним местным названием Саирхе ‖ Сарихе — «древо»).

В раннюю пору, еще до окончательного формирования государства, святилища Вани (Сурис) и Саирхе (Фриксополис) со своей правящей верхушкой являлись организующей силой не только духовной, но и экономической жизни объединенных вокруг них общин (сельское хозяйство, ремесленное производство). Поэтому думаем, что общины, издавна занимавшие земли святилищ, исполняя определенные обязанности в пользу храма, и в последующую эпоху (после установления здесь сложной системы культослужения) оставались храмово-сельскими общинами. Кроме того, учитывая то обстоятельство, что крупные религиозно-политические центры со своими землями занимали довольно значительную часть внутренних регионов страны, следует также предположить, что удельный вес храмовых общин среди сельских производителей общества Колхиды был

довольно велик. Правда, храмовые земли первоначально принадлежали божеству, считаясь его собственностью, однако, судя по вышерассмотренным богатым погребениям V—IV вв. до н. э., реальными владетелями большей части этих земель еще с раннеантичной эпохи выступали высшие храмовые служители и теократические правители отмеченных религиозно-политических центров. К указанному времени эта верхушка в социальном отношении уже выделилась от общинников и рядовых служителей храма, занимая территорию «Ахвледианебис гора» (в Вани) и «Сабадурис гора» (в Саирхе). На упомянутых горах находились резиденции этих теократических правителей и их родовые погребения. Здесь же совершались сакральные ритуалы. Погребение представителей теократической верхушки на священном участке (в Вани и Саирхе) имело особо важное значение в сохранении целостности присвоенных ими храмовых земель, так как лишь право погребения на этой земле предоставляло теократическим правителям реальные права на владение участками, которые некогда принадлежали храму и божеству. Со своей стороны, единство и нераздельность находившихся во владении аристократического рода храмовых земель обеспечивали укрепление достигнутых ими социальных позиций в храмовой общине, а также привилегированное положение в государственной системе. Вручение царской властью административных функций представителям теократической верхушки должно было сыграть немаловажную роль в их дальнейшем продвижении вверх по социально-политической лестнице и в их окончательном выделении от остальных слоев общества.

Что касается остальной части храмовых земель, то они, по всей вероятности, находились в пользовании свободных, или полусвободных общинников. Погребения представителей этих слоев — т. н. кувшинные погребения в большом количестве появляются с начала эллинистической эпохи по среднему течению реки Риони, заменяя грунтовые погребения раннеантичного времени.

В связи с появлением кувшинных погребений встает вопрос о социальной сущности погребенных в них землевладельцев-виноградарей и о характере их зависимости от правящих кругов религиозно-политического центра Вани. С этой точки зрения картину социальной структуры рассматриваемого общества в значительной мере восполняют материалы, выявленные в Даннари и Даблагоми, территория которых в историко-географическом отношении составляла органическую часть «Ванской земли» — «Квекана». Городище Даблагоми в эллинистическую эпоху представляло одно из крупных поселений городского типа. Здесь, на пририонских холмах Нацихвара и Насакиреви (в 10—12 км. от Вани) было раскопано около 55 кувшинных погребений, отражавших быт и социально-экономическое положение рядовых производителей — земледельцев, интенсивно занимавшихся виноградарством и виноделием. В научной литературе отмечено, что по погребальному инвентарю в этом слое общества наблюдается лишь незначительная имущественная дифференциация, однако для характеристики социальной структуры общества «Ванской земли» ценные данные содержат результаты исследования раскопанного на том же холме Нацихвара перекрытого синопской черепицей богатого погребения, датируемого первой половиной III в. до н. э. Весьма примечательно, что погребение было устроено рядом с ранее обнаруженными кувшинными погребениями конца IV в. до н. э. Исходя из этого можно предположить, что на упомянутом холме наряду с рядовыми членами хоронили и зажиточных, привилегированных лиц общины, которые, с одной стороны, все еще тесно были связаны родовыми узами с остальными общинниками, а с другой стороны, находились в интенсивных взаимоотношениях с внешним миром (Синопа, Родос), испытывая сильное влияние эллинистической культуры. Отмеченное обстоятельство указывает на то, что погребенный здесь владетель богатого инвентаря хотя имущественно и выделялся от рядовых общинников, однако в социальном отношении он не был окончательно оторван от общины. В этом смысле заслуживает внимания обнаружение в могиле этого привилегированного лица предметов культового назначения, что явно говорит в пользу причастности этого лица к обрядам. Как видно, в этих обрядах активное участие принимали и некоторые рядовые общинники Даблагоми, погребенные в кувшинах. Имеется в виду погребение № 16, рядом с которым прямо в земле был похоронен принесенный в жертву человек, а также погребение № 4, содержащее предметы явно культового назначения. В смысле социальной стратификации общинников аналогичная картина вырисовывается и в существовавших на «Саирхской земле» (скептухии) общинах с центрами в Итхвиси, Шромисубани и др. В частности, в Итхвиси в 10 км от Сачхере, рядом с погребениями лиц среднего достатка были обнаружены богатые погребения, по-видимому, принадлежащие знатным, привилегированным членам общины. Поэтому хотя здесь и устанавливается имущественное различие в среде указанного общества, однако не наблюдается резкое выделение социально возвысившихся над остальными общинниками лиц. Помимо этого, примечательно и то, что упо-

мянутые знатные лица в рамках общины выполняли культовые функции, о чем свидетельствуют обнаруженные в одном из погребений (№ 2) железные и серебряные части штандартов, принадлежащих общинным святилищам, а также другие ритуальные предметы. Культовые предметы были также открыты около Итхвиси, в могиле знатного воина раннеантичной эпохи, в том числе и серебряная диадема, украшенная солярными символами.

Таким образом, в общинах центрального и восточного регионов Колхиды (на Ванской и Саирхской землях) в V—IV вв. до н. э. наблюдаются сложные социально-экономические процессы. В частности, здесь явно прослеживается обогащение определенной части занимавшихся виноградарством общинников. Основным источником их обогащения являлось производство в большом количестве и экспортировка вина, втягивание их в торгово-денежные отношения, о чем свидетельствует хотя бы помещение в кувшинные погребения монет — т. н. «Колхидок», а также хранение их в виде кладов (вместе с иностранными монетами). Все это должно было послужить главным стимулом для развития в этом слое частной собственности и индивидуального землевладения. Однако, несмотря на это, на храмовых землях процесс социальной стратификации общинников до позднеэллинистической эпохи протекал сравнительно медленно, чему в значительной мере способствовало то обстоятельство, что земля общинников издавна считалась собственностью божества, служение которому, по традиции, занимало важное место как в духовной жизни, так и в хозяйственной деятельности общины. Существовали веками установленные родовые священные обряды, культовые ритуалы, которым должны были следовать как производители-земледельцы, так и выдвинувшиеся из общины лица.

О противоречивых процессах, протекавших в раннеэлинистическую эпоху в храмовых центрах Колхиды, можно судить по данным греческой надписи, являвшейся законодательным документом, составленным теократическим коллективом Вани (Суриса). По фрагментам этой надписи исследователи предполагают, что в ней речь шла о сакральных правилах, которым должны были следовать как представители высших слоев общества, так и «остальные», т. е. рядовые его члены (например, строго запрещалось без предварительного очищения прикасаться к могилам предков и т. д.). Предложенная интерпретация текста, в которой приводятся и другие предупреждения для соблюдения сакральных правил, позволяет предположить, что храмовый коллектив Суриса в раннеэлинистическую эпоху принимает строгие меры для соблюдения традиционных сакральных норм предков. С другой же стороны, этот факт явно свидетельствует об определенных переменах, происходящих в жизни храмового коллектива Вани-Суриса, грозивших нарушением почитаемых раннее порядков, что и побудило глав храмового коллектива установить стеллу с надписью подобного содержания.

Так как наделенные административными функциями правители ванской скептухии, судя по всем данным, происходили из царского рода и высшие культослужители религиозного центра Вани-Суриса являлись членами этого рода, имеется основание для предположения, что определенной частью земель центральной Колхиды первоначально помимо храма владели и представители царского дома. Поэтому не исключено, что в раннюю пору земельные владения ванского храма и царского дома Колхиды не были еще резко разграничены друг от друга. Однако, сохранение теократической верхушкой ведущей роли в духовной жизни населения Колхиды и присвоение ее представителями довольно значительной части храмовых земель должно было постепенно ограничить расширение владений царского домена в центральной и восточной частях страны. Принадлежащие царскому дому земельные угодия должны были заметно сократиться также после распространения на Колхиду политического влияния Картлийского царства и отпадения от него бывших административных единиц — скептухий, когда во владении царей Колхиды осталась лишь территория царского домена (родовая собственность их предков), ограниченная рекой Риони, морем, Кавказским хребтом и рекой Эгрисцхали.

В это же время Колхидское царство утрачивает и Саирхскую провинцию, в результате чего последовало упразднение во второй четверти III в. до н. э. существующего здесь храмового центра. Поэтому следует предположить, что отныне храмово-общинные земли религиозно-политического центра Саирхе-Сабадурис гора переходят во владение картлийских царей. После этого определенная часть указанных земель должна была быть отдана в условное владение административно-военным правителям (эриставам и др.) этой провинции; вслед за этим Картлийскими царями здесь, так же как и во всем государстве, проводятся меры для создания служилой знати, к чему ранее (в раннеантичную эпоху) безрезультатно стремились цари Колхиды.

После ослабления Колхидского государства, бывшая административная единица «Ванской земли» (с центром Вани) должно быть также попадает под политическое влияние Картлийс-

кого царства. Однако, это положение длилось недолго. С конца III в. до н. э., или в начале II в. до н. э. «Ванская земля» (в отличие от Саирхской) фактически становится независимой от Картли политической единицей, что было вызвано захватом в 189 г. до н. э. армянскими полководцами Артаксием и Зариадресом южных и восточных областей Иберии и ее временным ослаблением. В указанное время в Вани строятся сложные фортификационные сооружения, создающие вокруг города и его окрестностей единую мощную оборонительную систему. Политическая единица «Ванской земли» имеет свою привилегированную теократическую верхушку, соответствующий аппарат управления и собственную военную силу. Имеется также основание для предположения, что теократические правители «Ванской земли» и в этот период находились в определенной зависимости от уменьшенного Колхидского царства. В частности, думаем, между этим царством и бывшей Ванской скептухией почти на всем протяжении II в. до н. э. все еще существовала политическая связь (хотя и в видоизмененной форме). По всей вероятности, эта связь была обусловлена тем обстоятельством, что обеими этими политическими единицами и в указанное время правили представители одного (царского) рода. В этом отношении заслуживают пристального внимания высказанные в специальной литературе предположения об эмиссии правителями Вани подражаний статерам Лисимаха с надписью «Басилеос Акоу». Ведь прототипами этих подражаний являлись полноценные золотые статеры, чеканенные в 90-ые или в 80-ые годы II в. до н. э., по всем данным, властителем уменьшенного Колхидского царства, басилевсом Акесом, после того как он, как и правители Ванской земли, вышел из-под политического влияния Картлийского государства. В связи с вышесказанным следует особо отметить и факт сооружения главой уменьшенного Колхидского царства, по словам грузинского летописца Леонтия Мровели, «эриставом Эгриси Куджи», крепости Цихе-годжи (Археополис — византийских авторов, нын. Нокалакеви), приблизительно в тот же период, когда Ванские правители вокруг города построили сложные фортификационные сооружения. Думаем, в этих двух акциях, которые, по-видимому, были взаимосвязанны друг с другом, следует усматривать (наряду с эмиссией царем Акесом полноценного золотого статера) отражение временного восстановления во II в. до н. э. независимости уменьшенного Колхидского царства, а также Ванской скептухии.

Укрупнению Ванской земли как религиозно-политической единицы в значительной мере способствовал и рост ее населения за счет развития ремесленного производства и торговли,

установления интенсивных культурно-экономических сношений с важнейшими центрами эллинистического мира, а также усиления процесса имущественного расслоения общинников-виноделов, проживающих на сельской территории «Ванской земли». В этом отношении весьма примечательно исчезновение с III—II вв. в одном из крупных поселений «Ванской земли», торгово-ремесленном центре Даблагоми кувшинных погребений, что, по-видимому, было вызвано переходом большей части земельных угодий виноградников во владение разбогатевших торговлей лиц. Отныне эти лица должно быть предпочитают жить в городе, в торговом квартале Вани, откуда им легче было осуществлять крупные коммерческие операции с внешним миром. В этой связи следует также заметить, что именно с конца III в. до н. э. в Вани, на территории нын. Саканчиа, появляется торгово-хозяйственный квартал, где, судя по археологическим памятникам, проживали как представители местного населения, так и приезжие из Синопы и Родоса ремесленники и торговцы. В результате всего этого строительство в Вани архитектурно оформленных храмово-культовых и других зданий, созданных по правилам эллинистической техники, принимает широкие масштабы. Значение ванской храмово-государственной организации (с центром Вани) особенно усиливается после покорения Колхиды понтийским царем Митридатом Евпатором (конец II в. до н. э.) и упразднения им царской власти, в результате чего столица уменьшенного Колхидского царства Цихе-годжи как политическо-стратегический центр временно переходит на второй план, а опорой владычества Митридата в стране, наряду с Диоскурией, становится Вани. Здесь же, в этих двух городах в первой половине I в. до н. э. разыгрываются важнейшие политические события — взятие римлянами этих городов, за которым последовали бегство Митридата из Диоскурии и установление влияния римлян над страной.

К концу эллинистической эпохи Вани (Сурис) как религиозно-политический центр прекращает свое существование, хотя, судя по сведению Плиния (I в. н. э.), город, именуемый Суриумом, существовал и во времена этого автора (в I в. н. э.). Достоверность указанного сведения подтверждается и другим сообщением Плиния, согласно которому вверх по реке Фасису большим судам можно было плыть до впадения в нее реки Суриума. Это сообщение свидетельствует, что во времена владычества Рима город Суриум, находившийся у впадения реки Суриума в реку Фасис, являлся конечным пунктом, центром, где сосредотачивался весь товар, завозимый большими судами по фасисской магистрали в центральную Колхиду. Следует поло-

гать, что из Суриума этот товар распределялся по всей стране. Из Вани римлянами осуществлялись крупные коммерческие операции, о чем свидетельствует нахождение в Вани в большом количестве римских серебряных и золотых монет, образцов краснолаковой керамики пергамского происхождения, датируемых началом I в. н. э., что дает также основание для предположения о временном восстановлении Вани (после разгрома) и возобновлении его внешних экономических связей.

Думаем, к этому же времени относится установление римлянами контроля над Фасисской магистралью, в результате чего в их руках оказалась организация экспорта природных богатств и продукции Колхиды, в которой ранее (в III—II вв. до н. э.) ведущая роль принадлежала Синопе, имевшей как на побережье Колхиды (Эшера, Пичвнари), так и внутри страны (Саканчиа) свои эмпории.

В связи с исследованием политического положения, сложившегося в Колхиде после упразднения царской власти, в частности, с уточнением взаимоотношений, установленых между Колхидой и Римом к концу эллинистической эпохи, особое значение имеет изучение монет ставленника Рима в Колхиде Аристарха (из местной правящей верхушки), выпущенных им на 12-ом году своего правления страной, т. е. в 51 г. до н. э. На цели и условия эмисии этих монет в качестве первоисточника проливают свет официальные письма Марка Тулия Цицерона. Эти письма им были отправлены в Рим проконсулам, преторам, народным трибунам и сенату в 51 г. до н. э., во времена выполнения Цицероном обязанностей проконсула Киликии.

Из писем Цицерона выясняется, что после поражения парфянского похода Марка Лициния Красса на Ближнем Востоке создается весьма сложная политическая обстановка. По сведениям Цицерона, в этой ситуации вместе с некоторыми союзными государствами от Рима отпала и Армения, считавшаяся до того другом и союзником римлян. Повсюду чувствовалось антиримское настроение. Этим воспользовался Артавазд, сын царя Армении Тиграна, и с помощью парфян вновь присоединил Софену и Малую Армению.

Коалиционные силы Парфии и Армении стали угрожать римскому господству в Киликии, Сирии и в Малой Азии. 21/22 сентября 51 года до н. э. царь Парфии Пакор, сын Орода 1-го, с большим войском перешел через р. Евфрат. В создавшейся опасной обстановке Цицерону своими войсками помогли лишь цари Комагены, Понта, Каппадокии и Аманы; что касается правителей и царей других вассальных государств, в числе которых предполагается и династ Колхиды Аристарх, они оказались ненадежными для Рима. Цицерону лишь с большим усилием удалось удержать натиск неприятеля, и поход был приостановлен. После этого «Великим рамлянином» были проведены мероприятия для укрепления позиции Рима, стабилизации его положения в странах Востока, в результате чего римлянам удалось сохранить власть в малоазийских провинциях, а также вновь подчинить отпавших союзников и вассальные государства. Следует предполагать, что подобные меры были проведены и в Колхиде в 51 году до н. э., с чем был связан и выпуск именно в этом году монеты от имени Аристарха, правителя Колхиды.

Эмиссия этой монеты, которая осуществилась на 12-ом году правления Аристарха, имела большое значение. В ней нашла отражение вышеуказанная политическая акция, осуществленная римлянами в Колхиде для упрочнения своей власти. Выпуск этой монеты должен был подтвердить, что правитель Колхиды Аристарх (назначенный Помпеем в 63 году до н. э.), заново в 51 году до н. э. был официально признан Римом как ставленник Помпея.

В результате продолжительных войн Митридата Евпатора, а затем Рима основательно были нарушены существовавшие ранее в Колхиде благоприятные условия для развития торговли и экономического расцвета страны. Вывоз в больших масштабах необходимых для развития экономики страны ресурсов и природных богатств, упадок товарного производства и сельского хозяйства (интенсивного земледелия и виноградарства), особенно в низменных регионах (к югу от левого берега Риони, в связи с нарушением мелиоративной системы, служившей ранее осушению этих местностей), привело к постепенному упадку многочисленных городов и торговых поселений, расположенных по левобережью реки Фасис. Наступивший экономический кризис, вместе с политическими событиями, сильно сказался и на существовавших на Ванской земле крупных поселениях — Даблагоми, Дапнари, Мтисдзири и т. д. Население покидает их. В позднеантичную эпоху в более благополучных условиях оказались поселения и города, лежащие к северу от правого берега реки Риони, в богатой и плодородной стране Мухирисис, что способствовало зарождению на этой территории нового политического образования — Эгрисского царства, преемника Колхидского государства эллинистической эпохи.

THE SOCIETY OF ANCIENT COLCHIS

Summary

The book is devoted to the study of the socio—political history of Colchis. It is based on a special analysis of the evidence found Greek and Roman writers, as well as on a study of the vast archaeological material obtained in Vani and Sairkhe (the Qvirila valley) during the recent years.

The process of the development of Colchian Society is examined from the 7th to the Ist contury B. C., including the formation of the Colchian state its socio—political hierarchy, etc,

It is shown that in the preclassical period (8th—7th. cent. B. C.) the lands in Western Georgia lying along the Rioni and the foothill zone especially stood out from the economic point of view. The economic advancement of this region was facilitated by its fertility and close links with the mountain areas rich in metal (Racha and Svaneti).

Following the destruction of the political confederation of the Qulha (Qolha), important ethnic processes occurred here from the 720 cent. B. C. The Colchian tribal nucleus assumed a dominant position, resulting in its further social and political advancement and active involvement in the process of formation of the State of Colchis. In the 7th—6th cent. B. C. there emerged a proto—State entity of the Colchians, based on the possession of this fertile region rich in natural resources. This entity undertook to unite the surrounding ethno—territorial units or lands playing a leading role in the shaping of a Colchian political confederation. The Colchian royal house and kingship originated here the lands of the region being declared a patrimony belonging to the royal house.

The area, bounded by the lower and upper course of the Rioni and the Black Sea, remained the principal domain of the Colchian royal house in the Hellenistic period too. This is reflected well in Leonti Mroveli's historical tradition. According to it, following the extension of the politcal influence of Kartli to Egrisi (Colchis) and its division into eristavates, only this land—bounded by the Rioni and the Sea—was left to Kuji, the former ruler of Egrisi.

It is ploved that from the 7th to the 6th cent. B. C. Vani and Sairkhe represented central places of worship of the Colcian tribal union. From the end of the 6th cent. B. C. Vani and Sairkhe also were the chief towns of Colchian administrative-territorial units—sceptuchies. In both places the analogous socio—political and cultural—economical developments were evident, in particular the presence of the noble tribal aristocracy with its temporal and spiritual functions, succession of the tribal aristocracy, gradual intensification of the estrangement between the military and industrial strata, formation and prosperity of the temple communities, similar burial ceremonies, abundance of burial goods, especially jewellery, solid property differentiation, etc.

From the second half of the 4th cent. B. C. a fundamental difference is evidenced between the history of Vani and Sairkhe. This was primarily connected with the spread of Hellenism. At present a stronger influence is observable in Vani in comparison with Sairkhe. The decisive factor was the immediate proximity of Vani to Hellenized centres in Asia Minor, facilitating the spread of Hellenism ere by the sea. The influence of Hellenism is clearly evident in this period combined with local cultural traditions.

The absence of residential construction in the area of the ancient city of the 3rd—1st cent. B. C., as well as of cultural layers characteristic of ordinary secular—type city settlements, on the one and, and the abundance of temple—cult buildings, on the other, leads one to the conclusion that this was a city—sanctuary with its own political and military organization. It is also obvious, that from the 3rd cent. B. C. Sairkhe, in contrast to Vani, found itself within the bounds of the Kingdom of Iberia; from the 2nd to the Ist cent. B. C. it represented one of the ordinary Iberian settlements surrounded by defensive walls

The analyses of information concerning Kutaia and Aeea preserved in „Argonautica“ by Apollonius Rhodius (cent. 3rd B. C) as well as fragments from the poetical works of Callimachus and Lycophron (3rd cent. B. C.) leads the author to the arrumption, that in the works of Alexandrian poets the comprehension of the above—mentioned geographical names is changed: the name Kutaia, as well as Aeea, which were used earlier to signify the land of Colchis, bounded by the lower and upper course of the Rioni and the Black Sea (playing a leading role in the shaping of a Colchian political confederation), acquires more concrete meaning and is used to denote the city of Kutaia, the capital of the State of Colchis.

შინაარსი

შესავალი	3
თავი I — კოლხეთი წინა და ადრეანტიკურ ხანაში	13
1 სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა კოლხეთში	13
2. მწარმოებელი საზოგადოება ძველ კოლხეთში	16
3. ადრეანტიკური ხანის კოლხეთის პოლიტიკური გაერთიანება	46
თავი II — სატაძრო და პოლიტიკური ცენტრები ძველ კოლხეთში	56
1. კუტაია — ადრეანტიკური კოლხეთის პოლიტიკური ცენტრი	56
2. ვანი, საირხე	71
3. ფრიქსოპოლისი — იდეესა	104
თავი III — ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი	119
1. სოციალურ-პოლიტიკური ვითარება	119
2. სატაძრო თემები	137
3. სატაძრო მიწათმფლობელობა	162
4. სამეფო მიწათმლობელობა	166
თავი IV — პოლიტიკური ერთეულები ელინისტური ხანის კოლხეთში	173
თავი V — პოლიტიკური ვითარება გვიანელინისტურ ხანის კოლხეთში	212
თავი VI — ძველი კოლხეთის საზოგადოების კულტურა	229
Древнеколхидское общсетво (Резюме)...	257
The Sociсty of Ancient Colchis (Summary)	276